ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე, თამთა კუხალეიშვილი

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში

მეთოდური სახელმძღვანელო
2-იდან 6 წლამდე
ასაკობრივი ჯგუფებისთვის

ადრეული განათლების კურიკულუმი - „თამაში“

მეთოდური სახელმძღვანელო
2-იდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

2025

გადამუშავებული ვერსიის ავტორები:

ხათუნა დოლიძე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროექტის ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნინო ცინცაძე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროექტის ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

თამთა კუხალეიშვილი, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროექტის ექსპერტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

კონსულტანტები:

ელიზაბეთ სთიდი (Elizabeth Steed), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროექტის საკვანძო ექსპერტი.

სარა გარითი (Sarah Garrity), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროექტის საკვანძო ექსპერტი

პროექტის ხელმძღვანელი ნენსი ფრეი (Nancy Frey)

მხატვარი ლექსო რატიანი

სტილის რედაქტორი თამარ ცქიტიშვილი

ორიგინალური ვერსიის ავტორები:

ხათუნა დოლიძე, თამარ ბაქრაძე, ნინო ჯიჯავაძე

წიგნში გამოყენებულია შემდეგი საბავშო ბაღების ფოტოები:
თბილისის №6 ბაგა-ბაღი; ბოლნისის №2 ბაგა-ბაღი; ბათუმის №34 საბავშვო ბაღი; ბათუმის №30 საბავშო ბაღი; ადრეული განათლების ცენტრი „მწვანე ალუბალი“

შენიშვნა
წინამდებარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო განახლებული სახით შემუშავდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) მიერ.

ნაშრომი შესრულდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამაში „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შედგა.

ISBN 978-9941-8-8220-3

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 7

ნაწილი 1. კურიკულუმის მიზნები და პრინციპები 12

თავი 1. ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები 12

თავი 2. კურიკულუმის მიზნები 19

ნაწილი 2. საგანმანათლებლო პროცესი 29

თავი 3. ბავშვებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია 29

თავი 4. თამაში და ბავშვის ინტერესის მიყოლა (ბავშვის და უფროსის მიერ წამოწყებული საქმიანობები) 38

თავი 5. თემატური მიდგომა და პროექტის მეთოდი 60

ნაწილი 3. კურიკულუმის მიზნები და განვითარებადი მახასიათებლები 80

თავი 6. ჯგუფის ერთობა და განვითარებადი მახასიათებლები 81

თავი 7. კვლევა-აღმოჩენა და განვითარებადი მახასიათებლები 115

თავი 8. ინკლუზიური განათლება: დაინახე ბავშვი, დაეხმარე მას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება 153

თავი 9. სტრატეგიებისა და აქტივობების მაგალითები 165

ნაწილი 4 - საგანმანათლებლო გარემოს მოწყობა 194

თავი 10. ფიზიკური გარემოს მოწყობა 194

თავი 11. დრო და განრიგი 214

ნაწილი 5 - შეფასება, დაგეგმვა, რეფლექსია 220

თავი 12. დანახვა, ჩანიშვნა, დაფიქრება 220

თავი 13. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა 238

ნაწილი 6 - ოჯახებთან და პერსონალთან თანამშრომლობა 266

თავი 14. ოჯახებთან თანამშრომლობა 266

თავი 15. პერსონალის თანამშრომლობა 272

ნაწილი 7 - პრაქტიკული მაგალითები..... 277
თავი 16. 2-3-წლიანთა ჯგუფი..... 277
თავი 17. 3-4-წლიანთა ჯგუფი..... 287
თავი 18. 4-5-წლიანთა ჯგუფი..... 298
თავი 19. 5-6-წლიანთა ჯგუფი..... 305
თავი 20. შერეული ასაკობრივი ჯგუფი..... 320

წინასიტყვაობა

ადრეული განათლების კურიკულუმი - „**თამაში“** - წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობით, 2020 წელს შექმნილი მეთოდური სახელმძღვანელოს განახლებულ ვერსიას.

განახლებული კურიკულუმი შემუშავებულია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მსოფლიო ბანკის დონორობითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

განახლებული კურიკულუმი შემუშავდა პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი - საქართველო I2Q (WB) ფარგლებში“, რომლის მიზანიცაა ქვეყნის მასშტაბით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაუმჯობესება და პროგრამების ხარისხის ამაღლება.

კურიკულუმის თავდაპირველი ვერსია განკუთვნილი იყო 2-იდან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალისთვის. კურიკულუმის განახლებული ვერსია კი მოიცავს 5-6 წლის ასაკსაც და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ადრეული განათლების დაწესებულებებში, ასევე - სასკოლო მზაობის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გარემოს ჯგუფებში. თავდაპირველი ვერსია ორი ნაწილისგან შედგებოდა, განახლებულ ვერსიაში კი მეთოდური და პრაქტიკული ნაწილი გაერთიანებულია.

კურიკულუმში განახლდა შემდეგი თავები: „კურიკულუმის მიზნები“, „დაკვირვება-შეფასება“, „დაგეგმვა“, „თემატური მიდგომა და პროექტის მეთოდი“, „სტრატეგიები“, ასევე - „ფიზიკური და დროითი გარემო“.

კურიკულუმს დაემატა შემდეგი თავები: „ბავშვებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“, „თამაში და ბავშვის ინტერესის მიყოლა“, „ჯგუფის ერთობა და განვითარებადი მახასიათებლები“, „კვლევა-აღმოჩენა და განვითა-რებადი მახასიათებლები“, „ინკლუზიური განათლება: დაინახე ბავშვი, დაეხმარე მას, ვი-საც ეს ყველაზე მეტად სჭირდება“, „პრაქტიკული მაგალითი 5-6-წლიანთა ჯგუფისთვის“.

კურიკულუმის თავები გამდიდრებულია პრაქტიკული სცენარებითა და მაგალითებით, განახლებული გეგმის ნიმუშებით, ქართულ საბავშვო ბაღებში გადაღებული ვიდეო მაგალითებით და ჩანართებით შემდეგ თემებზე:

- როგორ შევუწყო ხელი ფიქრსა და აზროვნებას
- რატომაა თამაში მნიშვნელოვანი
- ბულინგის პრევენცია ადრეული განათლების დაწესებულებებში
- როგორ და რატომ ვუკითხოთ ბავშვებს წიგნები
- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება

- ნაწერითა და წერით დაინტერესება
- როგორ დავსვათ კვლევის წამახალისებელი შეკითხვები
- როგორ შევუწყოთ ხელი თხრობის უნარებს
- როგორ შევუწყოთ ხელი პრობლემის გადაჭრის უნარებსა და მათემატიკურ ცნობიერებას
- ბავშვის პორტფოლიო
- აღმზრდელის პორტფოლიო
- დაკვირვება-დაგეგმვის ურთიერთკავშირი

კურიკულუმი, დანართების სახით, გთავაზობთ ორი ტიპის შეფასების ინსტრუმენტს: ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით შედგენილ განვითარების კითხვარს (დანართი 1.) და ჯგუფის დინამიკაზე დაკვირვების ინსტრუმენტს კურიკულუმის მიზნების შესარჩევად (დანართი 2.)

შესავალი

კურიკულუმი „თამაში“ - ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისა და 2-იდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალისთვის შეიქმნა. იგი წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა იქმნებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის მრავალმხრივად განმავითარებელი გარემო, სადაც ბავშვები თამაშსა და სწავლას სიხარულით, შთაგონებითა და აქტიური ჩართულობით შეძლებენ.

თეორიული და კონცეპტუალური საფუძვლები

კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა თეორიების საკვანძო იდეებსა და პრაქტიკულ მიდგომებს. ეს კურიკულუმი იმართება ისეთი მეთოდოლოგიებით, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების პრიორიტეტულობას.

ფრიდრიხ ფრობელის თამაშზე დაფუძნებული სწავლება - ბავშვობა, თავისთავად, არის ღირებული ეტაპი და არა მოზრდილობისთვის „მზადების“ პერიოდი. ბავშვები სამყაროს, საკუთარ თავს მზრუნველ გარემოში თამაშისა და ძიების გზით იმეცნებენ და ყალიბდებიან. ისინი უკეთ ვითარდებიან, როდესაც მრავალმხრივი განვითარების (ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და სულიერი) და ბუნებასთან სიახლოვის შესაძლებლობა ეძლევათ.

ჯონ დიუის განათლების კონცეფცია - განათლება გამოცდილებას და სოციალურ ინტერაქციას ემყარება და არა ფაქტების დამახსოვრებას. გამოცდილება აღმზრდელის სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში აისახება და მისი ამოსავალი წერტილი ბავშვის ინტერესები, აქტივობები და ამ გარემოში მოსწავლის თავისუფალი ნების გამოხატვაა. სასწავლო პოტენციალი ცხოვრების ყოველდღიურ გამოცდილებებშია. ზრდისთვის არსებითი კი - გამოცდილების უწყვეტობაა.

ჟან პიაჟეს და ლევ ვიგოტსკის კონსტრუქტივიზმი - ცოდნა ბავშვის მიერ გარემოს აქტიური კვლევითა და ძიებით შენდება. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარებისთვის თამაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია. გარემოსთან ინტერაქცია არსებითია სამყაროს შესახებ ცოდნის აგებაში. აღმზრდელი ბავშვს სწავლის ფორმირებასა და თანმიმდევრობაში ეხმარება და საშუალებას აძლევს, სწავლის კონკრეტული და ფიზიკური გამოცდილებიდან აბსტრაქტულ, ვერბალურ და ინტელექტუალურ წვდომაზე გადავიდეს. ამ იდეოლოგიაში აღმზრდელი ცოდნის გადამცემი არ არის. ის ყურადღებით აკვირდება ბავშვებს და სწავლისთვის კომფორტულ გარემოს ქმნის.

რეჯიო ემილიას მიდგომა

კურიკულუმის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს რეჯიო ემილიას მიდგომა, რომელიც ბავშვს კომპეტენტურ, აქტიურ და შემოქმედებით პიროვნებად მიიჩნევს. ეს მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბავშვის გამოხატვის მრავალ გზას („100 ენა“) და სწავლების პროცესში ბავშვების აქტიურ მონაწილეობას. ამასთან, თემატური და პროექტის

მიდგომა ხელს უწყობს კვლევასა და აღმოჩენებს, რაც ბავშვებს ღრმა და შემოქმედებით გამოცდილებებს სთავაზობს. ამ მიდგომების ერთობლიობა, პროვოკაციებით მრავალფეროვანი გარემო ბავშვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მოტივაციას უქმნის.

კრეატიული კურიკულუმი

კრეატიული კურიკულუმი ბავშვის ყოველმხრივ (ჰოლისტურ) განვითარებას ისახავს მიზნად, სადაც წამყვანი შემოქმედებითობა, თავდაჯერებულობა და კრიტიკული აზროვნებაა. მისი საგანმანათლებლო სივრცე ინტერესების სფეროებადაა დაყოფილი. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ბავშვების ინტერესებზე მორგებულ მრავალფეროვან თემებს, რომელთა ირგვლივ ორგანიზებული საგანმანათლებლო პროცესი სხვადასხვა ცენტრებში აქტივობების სახით ხორციელდება. ბავშვები საკუთარი სურვილითა და არჩევანის გათვალისწინებით ერთვებიან სხვადასხვა ტიპის თამაშებში, რაც მათი მრავალმხრივი განვითარების პირობას ქმნის.

პირამიდის მოდელი და სოციალურ-ემოციური სწავლება

კურიკულუმი ეფუძნება პირამიდის მოდელს, რომელიც ადრეულ ასაკში სოციალური და ემოციური განვითარების მნიშვნელობასა და სპეციფიკას უსვამს ხაზს. ბავშვების სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინდივიდუალური კეთილდღეობისთვის, არამედ ჯგუფში ერთობისა და თანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბებისთვისაც. ეს მოდელი უზრუნველყოფს უსაფრთხო, მხარდამჭერ გარემოს, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, ისწავლონ ემოციების ამოცნობა, რეგულირება და ურთიერთგაგება.

განვითარების შესაბამისი პრაქტიკა

კურიკულუმში ინტეგრირებულია განვითარების შესაბამისი პრაქტიკის ელემენტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის უნიკალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. უფროსის მიერ ინიციირებული და მიზანმიმართული პრაქტიკა ბავშვებს ეხმარება, უფრო სიღრმისეულად ჩაერთონ და გამოიყენონ საკუთარი უნარები კონკრეტულ სიტუაციებში. ასაკისა და განვითარების შესაბამისი, ინდივიდუალური მიდგომები ხელს უწყობს ბავშვების მოტივაციისა და თავდაჯერებულობის ზრდას, რაც აუცილებელია როგორც სოციალური, ისე აკადემიური წარმატებისთვის.

ბავშვი და აღმზრდელი კურიკულუმის მიხედვით

კურიკულუმი ბავშვს ხედავს როგორც **ცნობისმოყვარეს**, **მედეგს და ლაღს**. ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს შეკითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია.

ამავე კურიკულუმით, აღმზრდელი გულისხმიერად ურთიერთობს ბავშვებთან, **პასუხისმგებლიანია,** ფიქრობს საკუთარ ნაბიჯებზე **(რეფლექსურია) და პატივს სცემს სხვებს.** იგი მგრძნობიარეა ბავშვის საჭიროებების მიმართ და დროულად რეაგირებს მათზე; გულწრფელად აღიარებს და აფასებს ბავშვის თავისებურებებს, ინდივიდუალობას, ემოციებს, სურვილებს, მიღწევებს, უფლებებს. მისი პროფესიონალიზმის და კომპეტენტურობის მთავარი იარაღი - თავის საქმიანობაზე მუდმივი ზრუნვა, ფიქრი და ანალიზია.

თამაში, როგორც სწავლების ძირითადი საშუალება

თამაში კურიკულუმის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს და მიჰყვება ბავშვის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და კრეატიულობას. თამაში ქმნის შესაძლებლობებს, სადაც ბავშვი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური თამაშების მონაწილე, სწავლობს, ატარებს ექსპერიმენტებს და ქმნის ახალ რეალობებს. კურიკულუმი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ბავშვის აქტიურ მონაწილეობაზე, მის წამყვან როლზე ინტერესების და აქტივობების განსაზღვრაში, უფროსები კი მათთვის გზამკვლევისა და მხარდამჭერის როლს ასრულებენ.

გარემო და მრავალფეროვანი გამოცდილებების მნიშვნელობა

ფიზიკური გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის თვითგამოხატვასა და მოტივაციას. ღია მასალებთან ურთიერთობა და ბუნებრივი გარემოს გაცნობა ბავშვებს სთავაზობს მრავალფეროვან გამოცდილებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმი ეყრდნობა იმ იდეას, რომ ბავშვი სწავლობს გარემოსთან, ადამიანებთან და მასალებთან მრავალმხრივი ურთიერთობის გზით. გამოცდილებების სიმრავლე ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, მათ შორის, შემოქმედებითი და სიღრმისეული კვლევის უნარების ჩამოყალიბებას.

კურიკულუმის შინაარსი

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე - ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას. კურიკულუმში ორი მიზნის გამოყოფა არ აკნინებს სხვა სფეროების ღირებულებას, პირიქით - ეს მიზნები სხვადასხვა უნარების განვითარებით მიიღწევა.

კურიკულუმის მიზნების მისაღწევად, აღმზრდელმა ბავშვების სხვადასხვა უნარებზე უნდა იზრუნოს და გაითვალისწინოს ის სენსიტიური პერიოდები, თუ რისი სწავლისა და განვითარებისთვის არის ბავშვი მზად როგორც ზოგადი განვითარების მხრივ, ისე ინდივიდუალურად. ამიტომ არის კურიკულუმის მთავარი პრინციპი ჰოლისტურობა და ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე ინდივიდუალური ზრუნვა.

BOX: სენსიტიური პერიოდი - პერიოდი, როდესაც ბავშვის თავის ტვინი განსაკუთრებულ მზადყოფნაშია გარკვეული უნარების ასათვისებლად, მაგალითად, ენობრივი უნარების სენსიტიური პერიოდი დაბადებიდან სამ წლამდეა.

სკოლისათვის მზაობის ახალი ხედვა განვითარების სფეროებს შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობას და განვითარების თანმიმდევრულობას უსვამს ხაზს. ურთიერთკავშირში სფეროების ერთიანობა იგულისხმება და არა ცალკეული სფერო. მაგალითად, ისეთ ცოდნასთან ერთად, როგორიცაა ფერებისა და ფორმების კატეგორიზაცია, მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა და ემოციური კომპეტენცია, რისთვისაც საჭიროა მითითებების მოსმენის, სწავლით დაინტერესების, ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების, გარკვეული ხნით მშვიდად ჯდომის უნარი. სკოლისათვის მზაობა ადრე დასწავლილ უნარებსა და ქცევებზე შენდება. ანუ, მარტივი უნარების მიღწევა უფრო რთულის დაუფლებას განაპირობებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს შეხედულება, რომ სკოლისათვის მზადება გაცილებით ადრე იწყება, პრაქტიკულად, განვითარების პირველი დღიდან, ანუ, უშუალოდ სკოლაში შესვლამდე, ერთი წლით ადრე.

ორ მსხვილ მიზანზე - **ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა** - ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი, თავისი მეთოდოლოგიური მიდგომებით, ბავშვებისთვის მრავალმხრივი განვითარების და სხვადასხვა უნარების გაერთიანების შესაძლებლობას იძლევა. აღმზრდელის მიერ მოფიქრებული დღის გეგმა, შექმნილი გამოწვევები და მრავალმხრივი სტრატეგიები სწორედ ამ ჰოლისტურობის პრინციპს ეფუძნება, სადაც დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვების მიერ ინიციირებულ თამაშებს ეთმობა.

აღმზრდელი კურიკულუმის მიზნებს ბავშვების მრავალფეროვან და მრავალმხრივ გამოცდილებებში მონაწილეობით აღწევს, რისთვისაც იგი შემდეგ საშუალებებს იყენებს:

- ***თამაში,*** *რომელიც ბავშვების მიერ არის ინიციირებული*, მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასევე თამაში, რომელიც აღმზრდელის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული, რომელიც ეფუძნება ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობია.
- ***გამოწვევები და პროვოკაციები,*** რომელიც აღმზრდელის მიერ არის შექმნილი, ბავშვებში იდეების, ფანტაზიის და ინიციატივის პროვოცირების მიზნით. ეს ერთ-ერთი სტრატეგიაა, რაც რესურსების შეტანის გზით, მათი საგანგებოდ ორგანიზებითა და ვერბალური კომენტარებით ბავშვებისთვის ბიძგის მიცემას გულისხმობს.
- **სტრატეგიები,** აღმზრდელის გამიზნული ქმედებები, რომელიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება. სტრატეგიები გამოიყენება ნებისმიერ კონტექსტში, ბავშვების მიერ ინიციირებული ან აღმზრდელის მიერ დაგეგმილი თამაშებისას, რუტინული საქმიანობების დროს, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.
- ***ფიზიკური გარემო***, როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების, მასალების ორგანიზება და პერიოდული განახლება, რაც უზრუნველყოფს როგორც აღმზრდელის, ისე ბავშვების მიერ ინიციირებული თამაშების ეფექტურ განხორციელებას.
- ***დაკვირვება*** ბავშვებსა და საგანმანათლებლო პროცესზე, ბავშვების ინტერესების აღმოსაჩენად, მათი სწავლისა და განვითარების პროგრესის სანახავად, საგანმანათლებლო პროცესის შეფასების, ეფექტურად დაგეგმვისა და ბავშვების საჭიროებებზე მოსარგებად.

კურიკულუმი და სახელმწიფო სტანდარტები

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკო-

ლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი).

კურიკულუმის მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა - ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება, რაც ასეთი გარემოს მოწყობის საშუალებაა.

ბავშვის განათლების სტანდარტი, განვითარების სფეროებისა და თემატური მიმართულებებით, განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი განათლების ფარგლებში. განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები - ბავშვის განვითარების ერთი მთლიანი პროცესის ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპონენტია. ერთის მხრივ, თემატური მიმართულებები ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სფეროებში მოცემული უნარების ათვისებასა და ცოდნის შეძენას, ხოლო მეორე მხრივ, ბავშვის შემეცნებითი, მეტყველების, სოციალური, ემოციური, ფიზიკური შესაძლებლობები განაპირობებს ცოდნისა და უნარების ზრდა-განვითარებას თემატური მიმართულებებით.

განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების შედეგების მიღწევა კურიკულუმით არის შესაძლებელი. კურიკულუმის მიზნების შესაბამისად, ბავშვებისთვის მრავალფეროვანი თამაშების შეთავაზება და მასში ინტერესით მონაწილეობა ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას უზრუნველყოფს. აღმზრდელი, რომელიც ამ გამოცდილებებს ქმნის, აკვირდება და აფასებს ბავშვის ინდივიდუალურ პროგრესს. დაკვირვებისას იგი განათლების სტანდარტით ხელმძღვანელობს, რომელიც ბავშვების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი უნარების დემონსტრირების კონკრეტულ გზებს განსაზღვრავს. ამ საკითხებს დეტალურად გაეცნობით კურიკულუმის ერთ-ერთ თავში, სახელწოდებით, „დაკვირვება-შეფასება“.

ნაწილი 1. კურიკულუმის მიზნები და პრინციპები

თავი 1. ღირებულებები და სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელოს ამ თავში აღწერილია ათი პრინციპი, რასაც ეფუძნება კურიკულუმი და განმარტებულია თითოეული მათგანი. მაგალითის სახით მოცემულია ერთი დღე ბაღის ცხოვრებიდან, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ ვლინდება ეს პრინციპები და ღირებულებები პრაქტიკაში.

კურიკულუმის ათი ღირებულება და პრინციპი

1. ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში

ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან, როცა პროცესში აქტიურად არიან ჩართულები - იკვლევენ, აღმოაჩენენ, თამაშობენ, გამოცდილებას იძენენ, კითხვებს სვამენ, ურთიერთო-

ბენ, რისკავენ. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი თავისი სწავლის პროცესის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს და თავს არ ახვევს მას, რა გააკეთოს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, არჩევანს, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. ასეთი გამოცდილება ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ საკუთარი თავი, გარე სამყარო, გაიგონ თავიანთი ფიქრები, გაიცნონ სხვები, მაქსიმალურად გამოავლინონ პოტენციალი.

2. ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია

ინკლუზიური განათლება ხარისხიან განათლებას ნიშნავს, რომელიც სარგებლის მომტანია არა რომელიმე ბავშვისათვის, არამედ ყველასთვის. ბაღი ხარისხიანია, თუ ყველა ბავშვისთვის ღიაა, მიუხედავად ფიზიკური, მენტალური თუ სოციალური შესაძლებლობისა. ინკლუზიური განათლება ამ სივრცეში მყოფი თითოეული ბავშვის, ბაღის პერსონალის და ოჯახის ჩართულობას გულისხმობს, სადაც ყველას კეთილგანწყობილად ხვდებიან და იღებენ, სადაც თითოეული დაფასებულად და ღირსეულად გრძნობს თავს, სადაც მრავალგვარობა და განსხვავებები თამაშის, სწავლისა და ჩართულობის რესურსად გამოიყენება.

3. განვითარება ჰოლისტურია

ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარებას და სწავლას ხედავს როგორც ინტეგრირებულ და ურთიერთდაკავშირებულ პროცესს, სადაც ბავშვის ფიზიკური, ემოციური, გონებრივი სფეროები და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა თანაბრად მნიშვნელოვანია, ხოლო მათი ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, არსებითია. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სფეროზე ზრუნვა მეორის განვითარების პირობას ქმნის, ჰოლისტური მიდგომა ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროზე ერთდროულად ზრუნვას გულისხმობს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, თანაბრად მოხდეს ამ სფეროებზე დაკვირვება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ჰოლისტური მიდგომა ბავშვების, ოჯახებისა და თემის ურთიერთკავშირსა და პარტნიორობის მნიშვნელობაზეც მიუთითებს და აღიარებს თანამშრომლობით სწავლებასა და ჩართულობას.

4. ბავშვი ინდივიდია, სწავლა და განვითარება - ინდივიდუალური

განვითარებასთან დაკავშირებულ განსხვავებებთან ერთად, ბავშვები ინტერესებით, პიროვნული თვისებებით, სწავლის სტილითა და ცოდნით განსხვავდებიან. ეფექტური სწავლება ყველასთვის ერთი გზით ვერ განხორციელდება. ეფექტური სწავლებისას ბავშვისთვის საინტერესო გამოცდილება მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს ერგება. ასეთი გამოცდილება, თითოეული ბავშვისთვის, უნდა იყოს როგორც რთული, ისე მიღწევადი, რომ ინტერესი და მოტივაცია არ დაკარგოს და საკუთარი თავის რწმენა და სწავლა-განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეს. ,,რთულისა და მიღწევადის“ კრიტერიუმები ბავშვებში განსხვავებულია, რაც ინდივიდუალური მიდგომის საფუძველს წარმოადგენს და ყველას ესადაგება.

5. თამაში ბავშვის არჩევანი, სახალისო და საინტერესოა

თამაში სწავლისა და განვითარების ერთადერთი საშუალებაა. ბავშვი მაშინ თამაშობს, როდესაც მას მიაჩნია, რომ თამაშობს, ხალისობს და იღებს სიამოვნებას. თამაშისას საგ-

ნები, ქმედებები და სიტუაციები ჩვეულ მნიშვნელობას კარგავს და ახალს იძენს. თამაშით ბავშვები რეალურ დროს და ადგილს წყდებიან და ახალ შესაძლებლობებს ცდიან. თამაშის დროს ბავშვები შინაგანი მოტივაციით მოქმედებენ, სადაც მათი ყურადღება ქმედებებზეა მიმართული და არა მიზნებზე, სადაც პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროდუქტი, ხოლო მიზანი კი თავად თამაშია.

6. მრავალფეროვანი გამოცდილება სწავლისა და განვითარების პირობაა

სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშის მეშვეობით კვლევა-ძიებას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებსა და რისკსაც მოიცავს. ბავშვები სწავლობენ ყველა სიტუაციაში, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო სიტუაციებშიც, როგორიცაა გადასვლები სივრცესა და თამაშებში, ბაღში წასვლა-მოსვლა, სადილი და სხვა რუტინული საქმიანობები. სწავლობენ მაშინაც, როცა ,,შეცდომებს“ უშვებენ. უფროსებმა ასეთი გამოცდილება სწავლისთვის უნდა გამოიყენონ და ნებისმიერი გამოწვევა ,,სასწავლო მომენტად“ აქციონ. უფროსის მხრიდან მოთმინებით გაძღოლა, ბავშვებისთვის დროის მიცემა არა მხოლოდ კეთების, შექმნისა და მცდელობისთვის, არამედ ,,შეცდომებზე“ დაკვირვებისა და მათი გამოსწორებისათვის, ზრდის ბავშვების დამოუკიდებლობას. სწორედ ასეთი მიდგომით ღვივდება სწავლის, კვლევის სურვილი და ცნობისმოყვარეობა ყველა სიტუაციაში.

7. ფიზიკური გარემო ზრდის, სწავლისა და განვითარების საშუალებაა

ბავშვების სწავლა-განვითარებას არა მხოლოდ კომპეტენტური უფროსი, არამედ შესაბამისად ორგანიზებული ფიზიკური გარემოც განაპირობებს. „უსაფრთხო“, „მხარდამჭერი“, „ზრდის“ და „განვითარების“ ხელშემწყობი - ამ ზედსართავებით ისევე შეიძლება ფიზიკური გარემოს დახასიათება, როგორც - ბავშვებთან მომუშავე კომპეტენტური უფროსის. სწორად მოწყობილი გარემო უფროსის საქმესაც აკეთებს:

- აძლიერებს ზრუნვას
- ხელს უწყობს დამოუკიდებლობასა და კომპეტენტურობას ბავშვებში
- ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას
- ამცირებს რთულ ქცევას
- ზრდის აღმზრდელების ეფექტურობას
- ხელს უწყობს მისაღებ სოციალურ ურთიერთობებს
- უზრუნველყოფს სტრუქტურასა და პროგნოზირებადს ხდის მას

კარგად ორგანიზებული და მოქნილი შიდა სივრცეები, სადაც შესაძლებელია მრავალგვარი თამაში, ბუნებაში თამაშით დაბალანსებული, ხარისხიან სწავლას, წარმოსახვას და თავგადასავლის ძიებას უწყობს ხელს. ბავშვების ცნობისმოყვარეობა, წარმოსახვა და შემოქმედებითობა ამგვარი მრავალფეროვანი გამოცდილებებით და გარემოებებით უნდა იყოს ინსპირირებული.

8. ოჯახებთან პარტნიორობით ბავშვებთან მუშაობა გაცილებით უფრო შედეგიანია

კარგი ბაღი ბავშვების განვითარებასა და სწავლას ემსახურება, საუკეთესო კი ოჯახებს აძლიერებს. ასეთი პროგრამა მშობელს, ოჯახს პარტნიორად განიხილავს და მისთვის კეთი-

ლმოსურნე გარემოს უზრუნველყოფს, პატივს სცემს და ასახავს ოჯახურ ღირებულებებს, სთავაზობს ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა შესაძლებლობას; უზრუნველყოფს კომუნიკაციის ძლიერ სისტემას და ეხმარება ურთიერთობების დამყარებაში; გამოხატავს მზაობას, დაამყაროს კავშირები იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ოჯახებს ემსახურება.

ხარისხიანი პროგრამა აცნობიერებს, რომ ოჯახებთან პარტნიორობით მათი ბავშვებთან მუშაობა უფრო შედეგიანია.

9. ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია

ბავშვები ცოდნასა და უნარებს სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობით იძენენ და ივითარებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ სჭირდებათ მზრუნველი და მხარდამჭერი უფროსი. ეფექტური სწავლების საფუძველი წინასწარ გამიზნულობაა. მრავალფეროვან გარემოში მიმდინარე სწავლა და განვითარება ეფექტურია, როდესაც გამოცდილი და მცოდნე უფროსის ხელმძღვანელობით ხორციელდება და არ არის შემთხვევითი.

მიზანდასახული აღმზრდელი გეგმავს და პასუხობს მკაფიოდ გამოკვეთილ მიზნებს, რომლებიც ქვეყნის სტანდარტებს ეყრდნობა და ითვალისწინებს დაკვირვებიდან, შეფასებიდან და ოჯახებიდან მიღებულ ინფორმაციას. იგი გააზრებულად აწყობს გარემოს, არჩევს სწავლების სტრატეგიებს და არა მარტო იცის, რა გააკეთოს, არამედ ლოგიკურად მსჯელობს და ხსნის, რატომ აკეთებს ამას.

მიზანდასახული აღმზრდელი ბავშვებს მრავალგვარი გამოცდილებებითა და მასალებით უზრუნველყოფს, რაც ხელს უწყობს ბავშვების წარმატებით ჩართულობას, ურთიერთობებს და სტანდარტით გათვალისწინებული უნარების განვითარებასა და კომპეტენციების მიღწევას.

10. ავტონომიური და შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი თავისუფალი და შემოქმედებითია

შემოქმედებითი უფროსი ექსპერიმენტირებს რესურსებით, ერთვება პრობლემის გადაჭრაში, ირგებს სხვადასხვა როლს, ახდენს იდეების გენერირებას. ასეთი უფროსი მოქნილია და იგივე მაგალითს აძლევს ბავშვებს თავისი ინოვაციურობით და სპონტანურობით. შემოქმედებითი უფროსი ავტონომიურია, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს, სწრაფად ცვლის ფოკუსს ბავშვების ინტერესების შესაბამისად და კითხვებზე საპასუხოდ. ასეთი მიდგომით აბალანსებს დაგეგმილსა და ცოცხალ პროცესებს. შემოქმედებითი და ავტონომიური უფროსი აცნობიერებს საკუთარ შემოქმედებითობას და ცდილობს, იგივე განუვითარდეს ბავშვებსაც. იგი ბავშვებს კრეატიულ მოაზროვნეებად აღიქვამს და ყოველთვის უტოვებს უცნობ, გაურკვეველ სივრცეს და ხელს უწყობს მათ, რომ ის თავდაჯერებულად, დამოუკიდებლად იკვლიონ. ამით ის უზრუნველყოფს ბავშვების ავტონომიურობას სწავლის პროცესში.

შემოქმედებითი უფროსი ბავშვების ნამუშევრებშიც და თამაშის პროცესშიც უჩვეულო იდეებსა და ახალ ელემენტებს ხედავს და ხარობს მათი მიღწევებით.

პრინციპები პრაქტიკაში

შევიხედოთ ერთ-ერთ ჯგუფში და ვნახოთ, როგორ ვლინდება ათი პრინციპი პრაქტიკაში

... ბავშვების ერთი ჯგუფი ,,წამლების“ მაგიდასთან თამაშობს. ისინი მონდომებით ურევენ სხვადასხვა ფერის საღებავს, სითხეს და ნივთიერებებს ერთმანეთში. აქტიურად იყენებენ პატარა სინჯარებს, პიპეტებს, კოვზებს და მცირე ზომის ჭურჭელს. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში საქმიანი ფუსფუსი და ზომიერი ხმაურია, წამლების კუთხეში მოთამაშე ბავშვები ისეთი ჩართულები არიან, რომ ერთმანეთში თითქმის არ საუბრობენ, მხოლოდ მასალებს ცვლიან და ყურადღებით აკვირდებიან სხვადასხვა ნივთიერების შერევას. ანა აღმზრდელმა მეცნიერების ცენტრში ეს მასალები მას მერე განათავსა, რაც აღმოაჩინა, რომ ბავშვების ერთი ჯგუფი წამალზე ინტერესით საუბრობდა ***(გამიზნული პრაქტიკა)****. რამდენიმე ბავშვი ხელოვნების ცენტრში წინა დღეს დამზადებულ თაბაშირის ფიგურებს საღებავებით ღებავს. ბავშვების ნაწილი დრამატულ ცენტრშია. ისინი სუპერმარკეტის დახლებს გულმოდგინედ ამზადებენ და ერთად მსჯელობენ, სად რა განათავსონ და ვინ რა გააკეთოს. სამი ბავშვი მშვიდ ადგილას, კუთხეში ბალიშებზეა მიწოლილი და წიგნებს ათვალიერებს. ზოგიერთი, კუბურების ცენტრში ბამბუკებისა და სხვა ბუნებრივი მასალის გამოყენებით ცხოველებისთვის საავადმყოფოს აშენებს* ***(ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა; თამაში ბავშვის მიერ ინიციირებული, სახალისო და საინტერესოა; მრავალფეროვანი გამოცდილებები; ფიზიკური გარემო)****. ანა დროდადრო მიდის მოთამაშე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფთან და ესაუბრება, თვალს ადევნებს, ხომ არ სჭირდებათ მისი დახმარება. უცებ შენიშნა, რომ დრამატულ ცენტრში მოთამაშე ბავშვებმა მარკეტის დახლის მოწყობაზე კამათი დაიწყეს. ანა ბავშვებთან მივიდა, მათ სიმაღლეზე ჩაჯდა და მიმართა: ,,ვხედავ, დახლის მოწყობაზე კამათობთ. მითხარით, რა არის პრობლემა. ოღონდ, ჯერ ჩვენი წესი მინდა შეგახსენოთ - ერთმანეთს დავაცადოთ აზრის გამოთქმა და ბოლომდე მოვუსმინოთ. მოდით, ამისთვის მოლაპარაკების ჯოხი გამოვიყენოთ“. ანამ ყველა ბავშვს მისცა შესაძლებლობა, საკუთარი აზრი გამოეთქვა. მერე ყველას ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება. ბავშვებმა სხვადასხვა აზრი გამოთქვეს. ანამ წაახალისა, რომ თითოეულს თავისი აზრი დაესაბუთებინა, თუ რატომ თვლიდა, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იყო. აზრების გაცვლის შემდეგ ბავშვები ურთიერთდათმობაზე წავიდნენ და საერთო შეთანხმებას მიაღწიეს* ***(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვიც შემოქმედებითია, ეფექტური პრაქტიკა მოქნილია, ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია).***

ანამ შემდეგ კუბურების ცენტრში გადაინაცვლა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, შენობის ნაწილი იშლებოდა. ,,რატომ ვერ დგას მყარად? დაკვირდით, რა არის საჭირო, რომ გაჩერდეს?“ - ანას ამ კომენტარმა ბავშვები დაუფიქრა.

,,ეს ნაწილი უშლის ხელს“- თქვა ნიკამ. ,,მოდი, მეორე მხრიდან გავამაგროთ და ქვეშ ეს კუბური დავდოთ,რომ არ ჩამოსრიალდეს“- მოიფიქრა ლუკამ ***(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვიც შემოქმედებითია, ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნული და მოქნილია, მრავალფეროვანი გამოცდილებები სწავლის პირობაა).*** *სენსორულ ცენტრში ანა ბავშვების მოქმედებებს და ჩანაფიქრს ახმოვანებს და სხვადასხვა ფორმის ჭურჭელს უმატებს* ***(შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვიც შემოქმედებითია, ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა).*** *წიგნიერების ცენტრში ბავშვების საუბარს მოუსმინა და დაკვირდა,*

*რომელ წიგნს ათვალიერებდნენ, რომ შემდგომი თემისთვის ან თამაშისთვის გამოეყენებინა **(გამიზნული პრაქტიკა; ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში)**. ცოტა ხანში ანა ეზოში გასვლის სიმღერას წამოიწყებს, რომ ბავშვებს ეზოში გასვლის დრო ანიშნოს. გიორგისთან პირადად მიდის და ეზოს ბარათს აჩვენებს, რომ გარეთ გასვლის დრო მასაც მიანიშნოს **(ინდივიდუალური მიდგომა, ხარისხიანი განათლება ინკლუზიურია)**. იგი დარწმუნებულია, რომ ეზოში, როგორც გუშინ, დღესაც ხალისით ითამაშებენ. გასაგრძელებელია გუშინდელი წამოწყებული საქმე - ხიდის აშენება. ზოგი კი, ისევ კუს ძებნას დაიწყებს **(ჰოლისტური განვითარება; მრავალფეროვანი გამოცდილებები)**.*

ანა ყოველდღე ისეთ გარემოს უქმნის ბავშვებს, რომ ისინი თავისუფლად ირჩევენ სასურველ თამაშს, თამაშის პარტნიორს, იკვლევენ, ჭრიან პრობლემებს, უშვებენ შეცდომებს, უფიქრდებიან, აკვირდებიან, წვრთნიან სხეულის მსხვილ და წვრილ კუნთებს, საუბრობენ, კამათობენ, გამოსავალს - ხან დამოუკიდებლად, ხან უფროსის დახმარებით პოულობენ, ქმნიან, ხალისობენ, ამაყობენ მიღწევით, სწავლობენ თავიანთ შესაძლებლობებს და ვითარდებიან **(ინდივიდუალური მიდგომა; ბავშვზე ცენტრირებული მიდგომა; ჰოლისტური განვითარება)**.

*ანას პრაქტიკა დაკვირვებიდან და ოჯახებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზს ეფუძნება. ანამ უკვე შეისწავლა თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვი და დღის გეგმა ბავშვების ინტერესებს, მათი განვითარების თავისებურებებსა და სახელმწიფო სტანდარტებზე დაეფუძნა **(ავტონომიური უფროსი; გამიზნული პრაქტიკა)**. ის უკვე კარგად იცნობს ჯგუფს, მისი დაგეგმილი და ინიციირებული დღის თამაშები ამ ეტაპზე კვლევას, ფიზიკურ თამაშებს, ურთიერთობების, ენისა და მეტყველების ხელშეწყობას მოიცავს. დღის განმავლობაში ანა ბავშვებს ეხმარება, იყვნენ უფრო დამოუკიდებლები როგორც საკუთარი თავის მოვლის საკითხებში, ასევე სოციალურ ურთიერთობებში **(ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში, ჰოლისტური განვითარება)**. ანა, თავის მიერ დაგეგმილი თამაშების გარდა, სხვადასხვა გამოწვევას ქმნის ბავშვებისთვის, რომ განსხვავებულ თამაშებში ინტერესით ჩაერთონ **(მრავალფეროვანი გამოცდილებები)** და უფრო მეტის კვლევის საშუალება ჰქონდეთ **(ინდივიდუალური მიდგომა)**. თანდათანობით ბავშვები მეტ აღმოჩენებს აკეთებენ და უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ, თუ რა ითამაშონ. ბუნებრივია, ანა მათ ინტერესს დღითი დღე აღვივებს და შესაბამისი სტრატეგიებით მოქმედებს, სიტუაციებისა და მომენტების შესაბამისად **(ავტონომიური და შემოქმედებითი უფროსის გვერდით ბავშვი ავტონომიური და შემოქმედებითა, ეფექტური პრაქტიკა წინასწარ გამიზნულია, ცოცხალ პროცესებზე შესაბამისი და დროული რეაგირებებით)**. ასევე, ყოველდღე ათამაშებს ბავშვებს მუსიკალური რიტმის თანხლებით, რომლის ტემპსაც სახალისოდ ცვლის და ცდილობს, ბავშვები აიყოლიოს და რიტმს აყოლოს **(განვითარება ჰოლისტურია)**.*

ერთ-ერთმა მშობელმა იკითხა, როდის დაიწყებდა ანა აკადემიურ უნარებზე მუშაობას და ისეთ აქტივობებს, რომელიც უფრო განავითარებდა მის შვილს.

ანა: ,,ბავშვები, ვისაც ადრეულ ასაკში მეტი თვითკონტროლი შეუძლია, მეტად მოსწონთ სხვა ბავშვებს და უკეთეს ნიშნებს იღებენ სკოლაში. ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ თვითკონტროლის გამომუშავებაზე. ერთი შეხედვით არასერიოზული თამაში - მუსიკის რიტმზე აყოლა - სწორედ ამ მნიშვნელოვანი უნარის გამომუშავებაში ეხმარება ბავშვებს. ამით სწავლობენ,

დაფიქრდნენ, სანამ იმოქმედებენ. ეს არის ჩვენი ამოცანა - მოახერხონ იმპულსის კონტროლი, რაც ავითარებს მოქმედებების დარეგულირების უნარს. ამასთან ერთად, ჩვენ ყოველდღე ვასწავლით და ვეხმარებით ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმედგაცრუებას, იფიქრონ და გააზრებულად გადაწყვიტონ პრობლემები“ ***(გამიზნული პრაქტიკა; ოჯახი პარტნიორია)****.*

ანა მშობლის ამ კომენტარმა დააფიქრა და გადაწყვიტა, მშობლებისთვის აეხსნა, რა მიზნებს ემსახურება ეს თამაშები, მათი ამოცანები და როგორ დაეხმარება ეს ყველაფერი მათ შვილებს, თავი კარგად იგრძნონ ბაღში და წარმატებულები იყვნენ მომავალ ცხოვრებაში, სკოლაში. ამ მიზნით, ანამ გადაწყვიტა, ხშირად გაუგზავნოს წერილი მშობლებს სხვადასხვა თამაშის შესახებ, მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს როლურ თამაშებს ბავშვის სწავლასა და განვითარებაში. ასევე, პერიოდულად შეხვდეს და მოკლედ გააცნოს მათ, როგორ ვითარდებიან ბავშვები, უფრო სიღრმისეულად გააცნოს პორტფოლიოები. მან ბაღის ადმინისტრაციასა და ფსიქოლოგს გაანდო თავისი იდეა და ერთად დაგეგმეს პერიოდული შეხვედრები, ბავშვის განვითარებისა და ასაკობრივი თავისებურებების გაცნობის მიზნით ***(უფროსის ავტონომიურობა და შემოქმედებითობა, ოჯახი პარტნიორია)****.*

BOX: ჰოლისტური განვითარება – თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მისი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები.

თავი 2. კურიკულუმის მიზნები

კურიკულუმის მიზნები ორ ჯგუფად არის წარმოდგენილი: ***ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა.*** ეს ნიშნავს, რომ აღმზრდელი, ერთი მხრივ, უნდა ზრუნავდეს, ბავშვებში გააღვივოს შემეცნებისა და კვლევისადმი ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს მათი სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარებას და ჯგუფის ერთიან გუნდად ჩამოყალიბებას.

ეს ორი უმნიშვნელოვანესი მიზანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ბავშვების კეთილდღეობასა და ჰოლისტურ განვითარებას უზრუნველყოფს.

პირველი მსხვილი მიზანი, - ჯგუფის ერთობა - ორიენტირებულია ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების გაძლიერებაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, თანაგრძნობასა და თვითრეგულირებაზე.

მეორე მსხვილი მიზანი - კვლევა-აღმოჩენა - მაღალი სააზროვნო უნარების გამომუშავებას ეხება. ცნობისმოყვარეობის, კრიტიკული აზროვნების და პრობლემის გადაჭრის წახალისებით კურიკულუმი კოგნიტიური (შემეცნების) განვითარების სტიმულირებას ახდენს, რაც აზროვნებისა და სასწავლო გამოცდილებაში აქტიური დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის გადამწყვეტია.

კურიკულუმის მიხედვით, ამ მიზნებზე მუშაობა არა იზოლირებულად, არამედ ჰოლისტურად (მთლიანობითად) ხორციელდება, რაც განვითარების ყველა სფეროსა და უნარების მხარდაჭერას გულისხმობს. ეს მიდგომა ასევე ხელს უწყობს ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილი განვითარების ეტაპებისა და ინდიკატორების მიღწევას. მიზნების მკაფიო განსაზღვრით, კურიკულუმი აღმზრდელებს ისეთ ჩარჩოს სთავაზობს, რაც გამიზნული და ეფექტური საგანმანათლებლო პრაქტიკის წარმართვაში ეხმარება და ბავშვებს სასურველი შედეგებისკენ უბიძგებს. ამ ორ მიზანზე ფოკუსირებით, კურიკულუმი ბავშვების კეთილდღეობასა და ჰოლისტური განვითარების მხარდამჭერ გარემოზეა ორიენტირებული, სადაც მიზნები ხელშესახებ შედეგებად უნდა იქცეს. იხ. ცხრილი 1. კურიკულუმის მიზნები და ქვემიზნები

ცხრილი 1.

კურიკულუმის მიზნები და ქვემიზნები

ჯგუფის ერთობა	**ურთიერთობები**	*„ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად"*	**სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია**
			სოციალური თამაში
	ცნობიერება	*„რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ"*	**თვითცნობიერება**
			სოციალური ცნობიერება
	რეგულაცია	*„ვიქცევი დავიქრეობით"*	**თვითრეგულაცია**
			კონფლიქტის გადაჭრა
კვლევა-აღმოჩენა	**ცნობისმოყვარეობა**	*„მაინტერესებს, რა არის"*	**ინტერესის გაღრმავება**
			ინტერესების გამრავალფეროვნება
	კვლევა	*„მაინტერესებს, როგორ"*	**სენსომოტორული კვლევა**
			ჩაღრმავებული (მეცნიერული) კვლევა
	შემოქმედებითობა	*„ვქმნი და ვიგონებ"*	**შექმნა**
			პრობლემის გადაჭრა

პირველი მიზანი: ჯგუფის ერთობა



რატომ - ჯგუფის ერთობა? ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა ისეთი უნარების, ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში კეთილდღეობის საწინდარია. თუ რამდენად კარგი ურთიერთობა აქვთ ბავშვებს თანატოლებთან და უფროსებთან, შემდგომში მათ შემეცნებით განვითარებაზე, თავდაჯერებულობაზე, ფსიქიკურ სიჯანსაღესა და სწავლაზე აისახება. ბავშვები, რომლებიც უკეთესად არეგულირებენ საკუთარ ქცევას, უფრო პროსოციალურები არიან და თანატოლებს მეტად მოსწონთ; უფრო დამყოლები არიან მოთხოვნების მიმართ, როცა შეუძლიათ თავიანთი ქმედებების კონტროლი. ყველაფერი ეს კი წარმატებულ სწავლას უწყობს ხელს.

სოციალური კომპეტენცია მოიცავს სოციალურ ცნობიერებას - სხვისი შეხედულებების გაზიარებას, სხვისი მდგომარეობის გათვალისწინებას, სხვისი ემოციების და ზოგადად, სოციალური კონტექსტის გაგებას.

ჯგუფის ერთობაზე ზრუნვა ბავშვებში თვითცნობიერების და თვითმართვის უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, რაც გულისხმობს საკუთარი ემოციების გაგებას, საკუთარი კომპეტენციების ცოდნას, იმპულსების, ძლიერი ემოციების და კონფლიქტების მართვას. ასევე, მიზნების დასახვის და ამ მიზნების თანმიმდევრულად განხორციელების უნარს.

ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება და სოციალური უნარების განვითარება შეუძლებელია ბავშვების ენობრივ და კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვის გარეშე, რათა ბავშვებმა შეძლონ ინტერაქცია, ერთად თამაში, საუბარი, შთაბეჭდილებების, იდეების და გამოცდილების გაზიარება, ინფორმაციის მოპოვება, საკუთარი და მეგობრების უფლებების დაცვა.

ჯგუფის ერთობა სამი მიზნით არის წარმოდგენილი: **ურთიერთობები, ცნობიერება და რეგულირება.** განვიხილოთ თითოეული თავისი ქვემიზნებით.

ურთიერთობები - ვზრუნავთ ერთმანეთზე, ვთამაშობთ ერთად

ურთიერთობების მიზანი ორი ქვემიზნისგან შედგება:

- **სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია**
- **სოციალური თამაში**

სოციალური ურთიერთობები - ადრეული ასაკი განსაკუთრებული პერიოდია, სადაც ემოციური კეთილდღეობა და შემდგომ უკვე სწავლა და განვითარება უფროსებთან ურთიერთობით არის განპირობებული. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიჯაჭვულობა არა აქვს, თანდათან გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული შეიძლება გახდეს. ემოციურად უსაფრთხო გარემო, მზრუნველი, გულისხმიერი და მხარდამჭერი უფროსი სწავლის და კვლევის მნიშვნელოვანი პირობაა. თითოეული ბავშვის მიღება, მათთან პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, ჯგუფში დადებით ემოციურ ატმოსფეროს ქმნის. რაც უფრო დარწმუნებულია ბავშვი, რომ ჯგუფის ღირსეულ წევრად აღიარებენ, მით უფრო თავდაჯერებული და კომუნიკაბელური ხდება.

სოციალური ურთიერთობების მხარდაჭერით ბავშვებს ისეთი სოციალური უნარები უვითარდებათ, როგორიცაა - გაზიარება, თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაციაა. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობითა და კოოპერაციული, თანამშრომლობითი თამაშით ბავშვები სწავლობენ სხვისი პერსპექტივების გაგებას, პატივისცემას, მეგობრობას. ბავშვებში მეგობრობის წახალისება ხელს უწყობს მათ განვითარებას. რამდენად კარგად ეწყობიან თანატოლებს - მათი ურთიერთობის ხარისხი - გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენს სწავლობენ ბავშვები. მეგობრობა აუცილებელია ბავშვისთვის, რომ სწორად გაიგოს და იზრუნოს სხვა ადამიანების გრძნობებსა და ფიქრებზე. რეალურად, მეგობრობა პროსოციალურ ურთიერთობებს კიდევ უფრო ავითარებს. ურთიერთობებში წარმატებისთვის, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა სიტუაციაში - როგორ მოიქცნენ, რა სიტყვები და ფრაზები გამოიყენონ. უნდა შეეძლოთ, თავიანთი ქცევა სხვადასხვა გარემოს მიუსადაგონ. გაიაზრონ, რა ქცევას - რა შედეგი მოჰყვება. დაიცვან წესები და იგივე მოითხოვონ სხვებისგანაც.

ბავშვებმა ასევე უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დაცვა ისე, რომ არ ავნონ სხვას. ბავშვი ასერტულია, როდესაც იცის, როგორ გამოხატოს თავისი გრძნობები, საჭიროებები, აზრები და როგორ დაიცვას საკუთარი თავი, სხვების უფლებების შელახვის გარეშე. იმის ცოდნა, თუ როგორ მიუდგე ან უპასუხო ასერტულად, ბავშვებს საშუალებას აძლევს, მიზნებს აგრესიის გამოყენების გარეშე მიაღწიონ. ასერტულ პასუხს შეუძლია, დაიცვას ბავშვი, არ გახდეს ჩაგვრის ობიექტი.

ბავშვების კომუნიკაციურ და ენობრივ უნარებზე ზრუნვა მათ სოციალურ კომპეტენციებზე დადებითად აისახება. ეს ის იარაღია, რაც ბავშვებს ურთიერთობაში, ერთად თამაშში, შთაბეჭდილებების, იდეების და გამოცდილების გაზიარებაში ეხმარება. მათ უნდა შეეძლოთ, თავისუფლად გადასცენ სხვას შეტყობინება, დასვან კითხვები, გააზიარონ იდეები თამაშის დროს, მოყვნენ თავიანთ გამოცდილებებზე, გამოიყენონ მეტყველება ინფორმაციის მოსაპოვებლად, ასევე სხვისი საუბრის, მითითებების და ინსტრუქციების გაგება.

სოციალური თამაში - ინტერაქციული, თანამშრომლობითი თამაშია. სოციალური თამაშის, როგორც კურიკულუმის, ერთ-ერთი ქვემიზნის მხარდაჭერა, ისეთი გარემოს შექმნას ნიშნავს, სადაც ბავშვებს ერთად, საინტერესოდ თამაშის შესაძლებლობა აქვთ.

სოციალური თამაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და ვითარდება. ადრეულ წლებში სოციალური თამაში მარტო თამაშით იწყება. შემდეგ ბავშვები სხვების თამაშით ინტერესდებიან და ბევრს სწავლობენ დაკვირვებიდან. განვითარებასთან ერთად, იწყებენ თანატოლებთან თამაშს, რაც თანდათან უფრო რთულ, კოოპერაციულ თამაშად გარდაიქმნება, რომელსაც საერთო მიზანი და მჭიდრო თანამშრომლობა ახასიათებს. აღმზრდელებმა ბავშვებში სოციალური თამაშის მხარდაჭერაზე უნდა იზრუნონ, რადგან ასეთი კოოპერაციული თამაში ხელს უწყობს: სოციალურ ურთიერთობას - გაზიარებას, რიგის დაცვას, თანამშრომლობას; ავითარებს კომუნიკაციურ უნარებს - დიალოგს, მოლაპარაკებას; ზრდის ემოციურ კომპეტენციას - ემოციების გაგების და მართვის უნარს; ახდენს კოგნიტიური განვითარების სტიმულირებას - აყალიბებს კრიტიკულად აზროვნების, შემოქმედებითობის, პრობლემის გადაჭრის, წარმოსახვის უნარს; ხელს უწყობს მოტორულ განვითარებას, ზრდის თავდაჯერებულობასა და დამოუკიდებლობას.

ამ მიზნის მისაღწევად აღმზრდელებმა ბავშვებს ერთად თამაშის შესაძლებლობები და მონაწილეობისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური გარემო უნდა შეუქმნან; პოზიტიური სოციალური ურთიერთობების მაგალითი აჩვენონ და წაახალისონ ბავშვებს შორის კომუნიკაცია და მეგობრობა.

ცნობიერება - რას ვგრძნობთ, რას ვფიქრობთ, რას ვხედავთ

ცნობიერების მიზანი ორი ქვემიზნისგან შედგება:

- **თვითცნობიერება**
- **სოციალური ცნობიერება**

თვითცნობიერება - საკუთარი თავის რწმენა ბავშვებში მისაღებ ქცევას განაპირობებს. ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის დამოკიდებულება მის მიმართ ბავშვის თვითრწმენაში აისახება. თუ მშობლები და აღმზრდელები მიიჩნევენ, რომ ბავშვი საყვარელი, ღირსეული და გარკვეული კომპეტენციების მქონეა (ნდობა იმისა, რომ მას რაღაცები შეუძლია ან შეძლებს), იგი უფრო თავდაჯერებულია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეულ ბავშვთან საუბარი მის მიღწევებზე, ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე ამ ყოველივეს ხშირი აღნიშვნა და უკუკავშირი. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს თავიანთი ემოციების შეცნობასა და გაგებაში დავეხმაროთ. ემოციების სწავლასა და ურთიერთობებს ხელს უწყობს გულწრფელი საუბრები ემოციების შესახებ, როდესაც უფროსები ამჩნევენ მათ ემოციებს და საშუალებას აძლევენ, დაასახელონ და ისაუბრონ ამის შესახებ. რეგულარული საუბრები ემოციებზე, სხვადასხვა ემოციების განმარტება და სახელის დარქმევა („მე ვიცი, ამან გაგაბრაზა“ „ეს შეიძლება საშიში იყოს“), მათი გულისყურით მოსმენა, ბავშვებს საკუთარ ფიქრებზე, ქცევებზე, ემოციებსა და დამოკიდებულებებზე აფიქრებს. ემოციური განვითარება კი ბავშვის კეთილდღეობასა და პოზიტიურ ურთიერთობებს უწყობს ხელს.

სოციალური ცნობიერება - პროსოციალური ქცევის საფუძველი - სხვისი თვალით დანახვის უნარია, როდესაც ბავშვს შეუძლია გაიგოს, რას ფიქრობს, რა მოტივი ამოძრავებს სხვას. ეს ეხმარება ბავშვს, ახსნას სხვისი ქცევა და გაუგოს მას. მაგალითად, „მასაც უნდა სახანძრო მანქანით თამაში“ (გაზიარება), ან ,,მისთვის უმჯობესია, თუ ის ექიმი იქნება და მე - დედა“ (თანამშრომლობა).

ბავშვებმა აუცილებლად უნდა ისწავლონ სხვა ადამიანებზე დაკვირვება და მათი გრძნობების ამოცნობა და გაგება. ენის განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია, რათა მათ სიტუაციების სხვისი თვალით დანახვა შეძლონ. ბავშვებთან სხვის ემოციებსა და განზრახვებზე საუბარი ამ უნარის გაძლიერებას უწყობს ხელს. კარგი აღმზრდელი თამაშის, სასწავლო პროცესის, ურთიერთობების დროს ბავშვებს პროსოციალურ ქცევას ასწავლის. მაგალითად: „ეკა, ეს ქეთაა და ის ახალია ჩვენთან, ჯერ არავის იცნობს. როგორ ფიქრობ, რას გრძნობს? რისი გაკეთება შეგიძლია, თავი უკეთ რომ იგრძნოს?“ „თამარ, შენ ის საღებავი აიღე, რომელსაც ნიკა ელოდებოდა. რას გრძნობს ახლა ნიკა?“

რეგულაცია - ვიქცევი დაფიქრებით

რეგულაცია ორი ქვემიზნისგან შედგება. ესენია:

- **თვითრეგულაცია**
- **კონფლიქტის მართვა**

თვითრეგულაცია - სხვადასხვა სიტუაციებში საკუთარი ემოციების, ქცევების და ყურადღების მართვაა. ის მოიცავს იმპულსებისა და ემოციების კონტროლის უნარს, რაც უმნიშვნელოვანესია ამოცანებზე ფოკუსირებისა და დაგეგმვის უნარების განვითარებისთვის და ასევე ცვლილებებთან და გამოწვევებთან ადაპტაციისათვის. თვითრეგულირების განვითარება საფუძველს უქმნის პოზიტიურ სოციალურ ურთიერთობებს და ზოგად ფსიქიკურ ჯანმრთელობას. თანმიმდევრული ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ბავშვები თავიანთი გრძნობებისა და ქმედებების მართვას სწავლობენ.

იმპულსის კონტროლი - როდესაც ბავშვებს რიგის დაცვას, რაიმე ქმედებისგან თავის შეკავებას ვთხოვთ, ანუ მათგან იმპულსის კონტროლს ვითხოვთ. იმპულსის კონტროლია ასევე ტემპის ცვლა, შენელება ან აჩქარება. აღმზრდელის დახმარებითა და იმპულსის კონტროლის ხელშემწყობი თამაშებით ამ უნარის გამომუშავება შესაძლებელია. ბავშვი, რომელსაც იმპულსის კონტროლი შეუძლია, წარმატებული და სასურველი მოთამაშეა.

ემოციების კონტროლი - თვითმართვა ძლიერი ემოციების კონტროლის უნარიცაა. იმედგაცრუების ან ბრაზის მართვა, უარყოფითი ემოციების მისაღები ფორმით გამოხატვა, თვითდამშვიდება, სწორ გამოსავალზე ფიქრი - ემოციების მართვის უნარია. თანატოლებს შორის კონფლიქტი, განსაკუთრებით პატარა ბავშვებში, ძლიერ ემოციურ რეაქციებს იწვევს. ისინი ამ ასაკში იწყებენ სოციალური უნარების განვითარებას. რადგან ბევრმა არ იცის, როგორ მართოს იმედგაცრუება და ბრაზი, ძლიერმა ემოციამ შეიძლება დარტყმის ან ყვირილისკენ უბიძგოს. აღმზრდელის ამოცანაა, დაეხმაროს ბავშვებს, ასწავლოს, როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე, იფიქრონ სწორ გამოსავლებზე და სასურველი მეგობრები გახდნენ.

ყურადღების მართვა, დაგეგმვის უნარი - ბავშვების იმპულსურობა არა მარტო ქცევაში, არამედ აზროვნებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც ვლინდება. ზოგიერთ ბავშვს ყურადღების დიდხანს კონცენტრირება არ შეუძლია. უმეტესობა ვერ ახერხებს საკუთარი ქმედების დაგეგმვას. ზრდასთან ერთად ბავშვები უფრო დაფიქრებულები და ნაკლებად იმპულსურები ხდებიან, როგორც საქმიანობაში, ისე გადაწყვეტილების მიღებისას. მათ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება თამაშზე, ქმედების ან ქმედებების დაგეგმვა მიზნის მისაღწევად და მათი თანმიმდევრული განხორციელება. ამის გამომუ-

შავებაში პატარებს შემდეგი სტრატეგიები ეხმარება: ,,რა გჭირდება ხატვისთვის“, ანუ გააზრებული არჩევანის გაკეთება, როდესაც მიზანი გაქვს და ამ მიზნისთვის გეგმავ ქმედებებს. უფროს ასაკში ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ქმედების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, რეცეპტის მიხედვით კერძის დამზადება, ნიმუშის ან წარმოდგენილი კონსტრუქციის მიხედვით რთული ნაგებობის აწყობა, რომელიმე ბავშვთან ერთად რამე თამაშის მოფიქრება და წამოწყება. ნებისმიერ პროექტში ბავშვის მონაწილეობა დაგეგმვის უნარს საჭიროებს და მის განვითარებას უწყობს ხელს.

კონფლიქტის მართვა - სოციალურ ურთიერთობებში კონფლიქტის კონსტრუქციულად მოგვარება მნიშვნელოვანია. ასეთი ქცევა ყველა ზემოთ განხილულ უნარს საჭიროებს. იმისათვის, რომ ბავშვმა კონფლიქტის მოგვარება მოახერხოს, მას საკუთარი მდგომარეობის გააზრება, პრობლემის დანახვა, სხვისი თვალით დანახვა, მოლაპარაკება, კომუნიკაცია, ქმედების შედეგის განჭვრეტა და სწორი არჩევანის გაკეთება უნდა შეეძლოს.

მეორე მიზანი: კვლევა-აღმოჩენა

რატომ - კვლევა-აღმოჩენა? კურიკულუმის ამოცანა მოაზროვნე და შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებაა. რადგან ბავშვი ბუნებით ცნობისმოყვარეა, მისთვის კვლევა ბუნებრივი პროცესია და დაბადებიდან, როგორც ნამდვილი მკვლევარი, სამყაროს დაკვირვებით, მოსინჯვით სწავლობს. ცნობისმოყვარეობა მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორია მის განვითარებასა და სამყაროს შეცნობაში. საგანმანათლებლო პერსონალმა ეს ინტერესები ადრეული ასაკიდან უნდა გამოიყენოს ბავშვის კვლევითი და შემოქმედებითი უნარების მხარდასაჭერად. შემოქმედებით პროცესებში ბავშვი ივითარებს წარმოსახვას, იწყებს განსხვავებულად ფიქრს, ეძებს პრობლემების გადაწყვეტის ახლე-

ბურ გზებს. შემოქმედებითობის ხელშეწყობა არა მხოლოდ შემეცნებით უნარებს ავითარებს, არამედ, სწავლასა და აღმოჩენებს აყვარებს ბავშვს.

კვლევა-აღმოჩენა სამი მიზნით არის წარმოდგენილი: **ცნობისმოყვარეობა, კვლევა და შემოქმედებითობა.** განვიხილოთ თითოეული თავისი ქვემიზნებით.

ცნობისმოყვარეობა - მაინტერესებს, რა არის

კურიკულუმი, ცნობისმოყვარეობის მხარდაჭერას ორი გზით გვთავაზობს:

- **ინტერესების გაღრმავება**
- **ინტერესების გამრავალფეროვნება**

ინტერესების გაღრმავება გამოცდილების გამდიდრებით - საინტერესო აქტივობის, მასალის, საგნის შეთავაზებით და ამ ინტერესის მხარდაჭერით, ბავშვის ცნობისმოყვარეობის შენარჩუნებას და უფრო მეტად დაინტერესებას გულისხმობს. მაგალითად ამჩნევთ, რომ ბავშვი კონკრეტული თემით - კოსმოსით ინტერესდება. კოსმოსზე წიგნების შეთავაზებით, ექსპერიმენტებით, ან თუნდაც ვარსკვლავებზე დაკვირვების „ღამის“ მოწყობით აღმზრდელი ინტერესის გაღრმავებაში ეხმარება მას. მრავალფეროვანი გამოცდილება ბავშვს საშუალებას აძლევს, დასვას კითხვები, მიიღოს პასუხები, აღმოაჩინოს და ამ პროცესში უფრო განვითარდეს. ბავშვი, რომელიც ცხოველებთან დაკავშირებული ამბების მიმართ იჩენს ინტერესს, უფრო მეტად დაინტერესდებ ა, თუ აღმზრდელი მას ცხოველთა სახეობების განხილვაში ჩართავს, აჩვენებს მოკლე დოკუმენტურ ფილმს, ან მოაწყობს ექსკურსიას. ქვიშაში მოთამაშე ბავშვებსაც კი, უფროსი ძალიან დაეხმარება, თუკი მას ახალ მასალას - სხვადასხვა ზომის ან ფორმის ჭურჭელს, ფიგურებს, წყალს შესთავაზებს, ასევე -მნიშვნელოვანია უფროსის სწორი კომენტარები და საუბარი რაც ბავშვს ინტერესის შენარჩუნებაში, ახალ აღმოჩენებსა და თამაშის საინტერესოდ გაგრძელებაში დაეხმარება.

ინტერესების გამრავალფეროვნება - ბავშვებისთვის ახალი, განსხვავებული გამოცდილების შეთავაზებასა და მათი ინტერესის გამოწვევას გულისხმობს. უფროსი, მიმზიდველი და საინტერესო გარემოს შექმნით აღძრავს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, აძლიერებს მათ შინაგან მოტივაციას, შეისწავლონ ახალი მოვლენები, იდეები, დასვან კითხვები და აქტიურად ჩაერთონ პროცესში.

ინტერესების გამრავალფეროვნება უზრუნველყოფს, რომ ბავშვები არ შემოიფარგლონ ინტერესების და თამაშის თემების ვიწრო ნაკრებით. ბავშვების სხვადასხვა თემითა და საკითხებით დაინტერესებით, უფროსები აფართოებენ მათი ცნობიერების ჰორიზონტებს და ახალისებენ შესაძლებლობებისა და ცოდნის უფრო ჰოლისტურ განვითარებას.

კვლევა - მინდა გავიგო, რატომ და როგორ

კვლევა ორ ქვემიზნად არის წარმოდგენილი:

- **სენსომოტორული კვლევა**
- **მეცნიერული (ჩაღრმავებული) კვლევა**

სენსომოტორული კვლევა - გულისხმობს ბავშვის გარემოსთან აქტიურ ინტერაქციას შეგრძნებებისა (შეხება, მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, საკუთარი სხეულის შეგრძნება) და მოტორიკის გამოყენებით (საგნების დაჭერა, მანიპულირება, მოძრაობა). ბავშვები

ასეთი გზით ცდილობენ, გაერკვნენ, ისწავლონ და გაიაზრონ სამყარო, საგნების თვისებები (რბილია, ცივია, ბურთივით მრგვალია, ადვილად ტყდება), აღმოაჩინონ მოქმედების შედეგები (მაგ. ხელი რომ მოვუჭირე ხელის ფორმა მიიღო; ძირს რომ დავაგდე ხმა გამოსცა), მოვლენებსა და მოქმედებებს შორის თვალსაჩინო კავშირები (მაგ. მაღალი კოშკი ადვილად დაინგრა). სენსომოტორულ კვლევაში წამყვანია გარემოდან მიღებული უშუალო სენსორული ინფორმაცია და საგნებთან ურთიერთობის ხელშესახები გამოცდილება.

მეცნიერული (ჩაღრმავებული) კვლევისას წამყვანი ბავშვის კოგნიტიური (გონებრივი) ჩართულობაა. ჩაღრმავებული კვლევა არა მხოლოდ შეგრძნებებით, არამედ გონებით კვლევას გულისხმობს, რაც მოიცავს: საკვლევი საკითხის ირგვლივ კითხვების დასმას (მაგ. ნეტა ცხოველებს ემოციები აქვთ?), ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას („მე ვფიქრობ, ეს ჭურჭელი სულ დაიფარება წყლით“), ექსპერიმენტებს ჰიპოთეზების შესამოწმებლად, კრიტიკულად ფიქრს (მაგ. ნეტავ, რატომ არ დგას მყარად ეს შენობა), აბსტრაქტული ცნებების გაგებას (მაგ. რა არის მეგობრობა), მიზეზშედეგობრიობის აღმოჩენას, დასკვნების გაკეთებას (მაგ., მსუბუქი და გარკვეული ფორმის საგნები არ იძირება).

ბავშვებმა მათ გარშემო არსებული სამყარო აქტიური ძიებით, ექსპერიმენტებითა და სიღრმისეული კვლევის გზით უნდა აღმოაჩინონ და შეიმეცნონ. მნიშვნელოვანია ბავშვების წახალისება, გახდნენ მკვლევრები, მაძიებლები, დააკვირდნენ და აღმოაჩინონ სამყაროში არსებული კანონზომიერებები, მიზეზშედეგობრიობა.

შემოქმედებითობა - ვქმნი და ვიგონებ

შემოქმედებითობის მიზანი ორი ქვემიზნისგან შედგება. ესენია:

- **შექმნა**
- **პრობლემის გადაჭრა**

შექმნა - გულისხმობს თამაშითა და ხელოვნების გზით საკუთარი აზრების, ემოციებისა და იდეების წარმოსახვით და ორიგინალურად გამოხატვას. ეს შემოქმედებითი თვითგამოხატვაა, რაც ახალი პროდუქტისა თუ პროცესის მოფიქრებას, სრულიად განსხვავებული გზის პოვნას გულისხმობს და არა აღმზრდელის მიერ ნაჩვენები ქმედებების გამეორებას. შემოქმედებითი თვითგამოხატვა ბავშვისთვის აზრების, ემოციების და იდეების უნიკალური გზებით კომუნიკაციის შესაძლებლობაა.

პრობლემის გადაჭრა. შემოქმედებითობა ასევე მოიცავს პრობლემის გადაჭრის ქვემიზანსაც - მიუდგე გამოწვევებს ახალი პერსპექტივით. პრობლემის გადაჭრის უნარი სხვადასხვა გამოწვევებისა და სირთულეების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებაში და მათი გადაჭრის უნარში ვლინდება. ის პრობლემის იდენტიფიცირებას (მაგ. ბავშვი ამჩნევს რომ სათამაშო ისე არ მუშაობს როგორც უნდა მუშაობდეს), მის ანალიზს (მაგ. ბავშვი ფაზლის დეტალებზე დაკვირვებით ხვდება, რომ იმიტომ არ ერგება ერთმანეთს, რომ განსხვავებული ფორმები აქვს), ეფექტური გადაწყვეტილებების ძიებას (მაგ. როდესაც კოშკი ენგრევა და ბავშვი ფიქრობს - შეიძლება დამჭირდეს უფრო დიდი კუბის გამოყენება ქვედა ნაწილში, რომ არ გადაყირავდეს ან კედელთან ავაშენო, რომ კედელმა დაიმაგროს), გადაჭრის მცდელობას და გამოსავლის შეფასებას (მაგ. „ეს სამაგრი რომ გამოვიყენე ამან უფრო კარგად დაიჭირა“ ან „კედელმა მაინც ვერ დაიჭირა“) მოიცავს. პრობლემის გადაჭრის პროცესში

ბავშვმა ასევე უნდა გამოავლინოს გამძლეობა და პოზიტიური დამოკიდებულებით გაა-გრძელოს საქმიანობა თუ გამოსავალზე ფიქრი. ბავშვს ასევე უნდა ესმოდეს დახმარების ძიებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა, როგორც პრობლემის გადაჭრის პროცესის ნაწილი, შეეძლოს ხელმისაწვდომი რესურსის და ინსტრუმენტის ეფექტურად გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად (მაგ. სახაზავს იყენებს, რათა გაზომოს და ქაღალდი ზუსტად გაჭრას იმისთვის, რომ მოერგოს კონკრეტულ ადგილს). პრობლემის გადაჭრის კომპეტენ-ციაა, როდესაც ბავშვს შეუძლია ლოგიკურად იმსჯელოს და დაინახოს მიზეზშედეგობ-რივი კავშირები (მაგ. როდესაც ბავშვი ხვდება, თუ როგორ უნდა გახსნას ყუთი საკეტთან სხვადასხვა ფორმის გასაღებების მორგებით). პრობლემის გადაჭრის უნარს უკავშირდება ახალი ინფორმაციის შესაბამისად მოქმედება (მაგ. როდესაც მისი სტრატეგია არ მუშაობს ფაზლის აწყობისას და იგი ახალ სტრატეგიას იყენებს, რომელიც მეგობრისგან ისწავლა).

ნაწილი 2.
საგანმანათლებლო პროცესი

თავი 3. ბავშვებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია

რა არის მთავარი ბავშვთან ურთიერთობისას - როგორ გავხდე გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი?

სანამ ამ თავს და ზოგადად კურიკულუმს გაეცნობით, დაფიქრდით, ვინ არის თქვენთვის ბავშვი? 1)„სუფთა ფურცელი“, რომელსაც ისეთად გამოძერწავ, როგორადაც გინდა, თუ 2) საკუთარი ინდივიდუალობისა და კომპეტენციების მქონე პატარა ადამიანი, რომელსაც სამყაროს შესწავლის გზაზე თქვენი მხარდაჭერა და გაძღოლა სჭირდება?

თუ მეორე პასუხისკენ იხრებით, ეს კურიკულუმი თქვენთვისაა, რადგან ამ კურიკულუმის ღირებულებები ბავშვის პატივისცემას აღიარებს. მასში სერიოზულად აღიქმება ბავშვის პიროვნება, მისი საჭიროებები, ინტერესები და უნარები.

ბავშვების სწავლა და განვითარება თქვენთან და თანატოლებთან ურთიერთობითა და კომუნიკაციით ხდება. ამ ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ტონის მიმცემი და მთავარი მასტიმულირებელი თქვენ ხართ, შესაბამისად, თქვენს საკომუნიკაციო სტილზე და ბავშვებთან ურთიერთობის ფორმაზე ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული.

თქვენ თუ შეძლებთ იყოთ სანდო, გულისხმიერი *კომუნიკაციური პარტნიორი,* ბავშვები თქვენთან ერთად თავს დაცულად იგრძნობენ და განვითარების დიდი პოტენციალი მიეცემათ.

BOX: ზეიმები და ბავშვის პატივისცემა:

ბავშვისადმი პატივისცემა ყველაზე უკეთ ზეიმების იმ ფორმებში ჩანს, რომელსაც თქვენ აორგანიზებთ ხოლმე საახალწლოდ, წელიწადის დასასრულს ან ბაღის დამთავრებისას.

იმ ტრადიციული ზეიმების მიზანი, რომელიც ჩვენს ბაღებში ჯერ კიდევ არის გავრცელებული, არ არის ბავშვის პატივისცემა, მისი ემოციებისა და ინტერესების გათვალისწინება. ასეთი ზეიმები ბავშვებისთვის ემოციურად დამთრგუნველია, ის სილაღის ნაცვლად ხელოვნურობასთან ასოცირდება და მასში ბავშვი უფრო ღონისძიების მოსაწყობ ინსტრუმენტად მოიაზრება, ვიდრე პიროვნებად.

ზეიმის თანამედროვე კონცეფციის ცენტრში ბავშვი და მისი სილაღეა, ზეიმი ბავშვისთვის განსაკუთრებული სიხარულისა და სიამოვნების წყარო უნდა იყოს, ის ბავშვებთან ერთად, მათი სურვილებისა და იდეების გათვალისწინებით უნდა იგეგმებოდეს და ხორციელდებოდეს. თანამედროვე ზეიმის მახასიათებლების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ იუნისეფის მიერ მომზადებული ქართულენოვანი ვიდეო და პოსტერი.

მგრძნობელობა, სხეულის ენა და პირადი სივრცე

გულისხმიერი კომუნიკაციური სტილის მქონე ადამიანები, როგორც წესი, როდესაც ბავშვებს ელაპარაკებიან, ისინი არიან მათ სიმაღლეზე, ამყარებენ მათთან თვალით კონტაქტს და ხშირად უღიმიან.

ბავშვის სიმაღლეზე ყოფნა, თვალებში ყურება და ღიმილი იმის ნიშანია, რომ თქვენთვის ბავშვი ღირებული, პატივსაცემი და საინტერესო ინდივიდია და არა პატარა, „უჭკუო“ არსება.

გულისხმიერ, კომუნიკაციურ პარტნიორს კარგად აქვს განვითარებული *მგრძნობელობა,* მან იცის, როგორ გამოიყენოს *სხეულის ენა* და *სახის გამომეტყველება* ბავშვებთან ურთიერთობისას. მის სხეულსა და სახეზე, სიტუაციის შესაბამისად, ადვილად იკითხება თანაგრძნობა, მხარდაჭერა, გაოცება, ინტერესი, აღფრთოვანება, კითხვის ნიშანი, გულისწყვეტა, სიხარული... ის ხშირად აძლევს ბავშვებს ჟესტების გამოყენების მაგალითს, რადგან იცის, რომ საუბართან ერთად მარტივი ჟესტების გამოყენება - „მომე“, „კარგია“ „არ მინდა“, „გაჩერდი“, „მინდა“ და სხვა - ბავშვებს ენის გაგებასა და ათვისებაში ეხმარება.

თქვენი *სხეულის ენითა და სახის გამომეტყველებით* ბავშვს შეიძლება აგრძნობინოთ როგორც სიყვარული, პატივისცემა და მხარდაჭერა, ასევე - პირიქით - მორჩილების მოთხოვნა, უკმაყოფილება და ა.შ. ზოგჯერ შეიძლება სიტყვები „მოზომილი“ იყოს, თუმცა ბავშვმა ამოიკითხოს თქვენი რეალური განზრახვები (მაგ. შერცხვენა, ან ძალის ან უპირატესობის დემონსტრირება) თქვენს მზერაში, სხეულის პოზაში, ხმის ტონში. 2-3 წლის ასაკში ბავშვი უკვე მარტივად ხვდება, რა შეტყობინება იმალება თქვენი მზერის მიღმა - უკმაყოფილო ხართ თუ - პირიქით - სასიამოვნო განცდებით აღსავსე უყურებთ. თვალის კონტაქტის ნაკლებობას ბავშვები, ისევე როგორც უფროსები, საკმაოდ მძაფრად აღიქვამენ, რადგან ეს არის ერთ-ერთი გზა, დავინახოთ სხვა ადამიანის განცდები და ემოციები ჩვენ მიმართ. თუ ბავშვს რაიმეს ეუბნებით სიტყვიერად, მაგრამ თქვენი სახის გამომეტყველება იმავე შინაარსს არ ადასტურებს, ამას ბავშვი მარტივად ამოიცნობს.

გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი ბავშვების გვერდით ყოფნისას *არ არღვევს მათ პირად სივრცეს*, არ ეხება ბავშვებს უცაბედად და გაუფრთხილებლად; იცის, როდის არის მაგრად ჩახუტების და როდის - ფრთხილად შეხების თუ მცირე დისტანციის დაჭერის დრო. მან იცის, რა დისტანციაზე გრძნობს ბავშვი თავს მშვიდად თქვენთან და სხვებთან და პატივს სცემს მის პირად სივრცეს.

გულისხმიერმა კომუნიკაციურმა პარტნიორმა იცის, როდის ისაუბროს ხმადაბლა და მშვიდად, როდის - უფრო ემოციურად და უფრო ხმამაღლა, ან - როდისაა უმჯობესი უბრალოდ გაჩუმება და გვერდით ყოფნა.



დაკვირვება, დალოდება, აქტიური (გულისყურით) მოსმენა

გულისხმიერი კომუნიკაციური სტილის მქონე აღმზრდელმა *დაკვირვების, დალოდებისა და აქტიური (გულისყურით) მოსმენის* უნარებიც უნდა გამოიმუშაოს.

ბავშვზე *დაკვირვების* უნარი მიგახვედრებთ, როგორია იგი, რა მისწრაფებები და ინტერესები აქვს მას. როდესაც ბავშვს *ელოდები და ყურადღებით უსმენ,* მას აგრძნობინებ, რომ მისი ნათქვამი შენთვის მნიშვნელოვანია. ეს კი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის სურვილს აძლიერებს.

BOX: *დალოდება* კომუნიკაციის და ენის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხია. დალოდება არა მხოლოდ ბავშვის ინიციატივას ახალისებს, არამედ მას ასევე აძლევს დროს პასუხის გასაცემად ან რაიმეს სათხოვნელად. როდესაც ელოდები, შენ ბავშვს აძლევ დროს, გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს აქტივობაში.

აქტიური (გულისყურით) მოსმენა ნიშნავს, რომ ბავშვს არ ვაწყვეტინებთ და ჩვენ თავად არ ვვარაუდობთ, რისი თქმა უნდა, სანამ ის საუბარს ან მინიშნებას დაასრულებს.

BOX: როდესაც ბავშვებს შეკითხვას ვუსვამთ, ხშირად გვეშლება და არ ველოდებით მის პასუხს და ვცდილობთ სიჩუმის პერიოდის ამოვსებას. ვიდრე ბავშვის რეაქციას ელოდებით, შეეცადეთ, გულში 10-მდე დაითვალოთ, თქვენ აღმოაჩენთ, რომ ეს დიდი დროა, მაგრამ ხანდახან ბავშვებს სწორედ ამდენი დრო ესაჭიროებათ რეაგირებისთვის.

მოსმენისას აღმზრდელი არ აწყვეტინებს ბავშვს საუბარს, არ აჩქარებს, არ არის დაკავებული პარალელურად სხვა საქმიანობით, არ უბრუნებს მზა პასუხებს. არამედ, უსმენს, როცა ბავშვი საუბრობს, აზუსტებს რამდენად სწორად გაიგო მისი ნათქვამი და თავად აძლევს ბავშვს ფიქრის საშუალებას.

ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც უფროსს ეხმარება, აჩვენოს ბავშვს, რომ დაინტერესებულია მისი საუბრის მოსმენით, არის ***არეკვლა***. როგორც სარკე ირეკლავს ადამიანის გამოსახულებას, სწორედ ამგვარად უნდა აირეკლოს აღმზრდელმა ბავშვის მოსაზრებები, ხელახლა გაიმეოროს ისინი, თუმცა ოდნავ განსხვავებული სიტყვებით.

მხარდამჭერი მეტყველება

თქვენი კომუნიკაციის სტილი ბავშვისთვის არის მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს თავად. ისინი უფროსებისგან სწავლობენ, როგორ სცენ პატივი საკუთარ თავსა და სხვებს, როგორ გამოხატონ და დაიცვან საკუთარი აზრები და გაითვალისწინონ - სხვისი.

გულისხმიერი კომუნიკაცია დაფუძნებულია ემოციურ სიახლოვეზე და არა შიშზე, კონტროლზე, მორჩილებასა და შერცხვენაზე. თუ ბავშვს აშინებენ („ნუ ტირი, თორემ, დედა არ მოვა“), ან არცხვენენ („რა გატირებს, სირცხვილია!“), სავარაუდოდ, შემდგომში ისიც ასევე

მოექცევა სხვებს. ამის საპირისპიროდ, როდესაც მას ვეუბნებით: „ვიცი, რომ ძალიან გული დაგწყდა და განიცდი, შენი სათამაშო რომ გატყდა“, ის საკუთარი ემოციების გაცნობიერებასაც სწავლობს და იმასაც, როგორ უნდა იურთიერთოს სხვასთან, როდესაც ხედავს, რომ ის აღელვებულია.

არ ისაუბროთ ბავშვებზე მესამე პირში, მათი თანდასწრებით!

გულისხმიერმა კომუნიკაციურმა პარტნიორმა იცის, რომ ბავშვების ღირსებას უნდა გაუფრთხილდნენ და მათი თანდასწრებით მათ შესახებ მესამე პირში, თანაც უხერხულ თემებზე, არ უნდა ისაუბრონ. „ამისთვის როგორი შარვალი ჩაუცმევიათ, ვერ ვხდი!“, „დედამისი იგვიანებს და მეც აქ ვზივარ“. ბავშვები ამგვარ საუბრებს მტკივნეულად იტანენ და რაც არ უნდა პატარები იყვნენ, ნათქვამის შინაარს თუ არა, განწყობას მაინც გრძნობენ. ცხადია, თავი უნდა შევიკავოთ ბავშვების სუბიექტური დახასიათებისგანაც, (თუნდაც ეს დახასიათება დადებითი იყოს): „ეს ჯიუტია, ცელქია... ყოჩაღია... ნიჭიერია და ა.შ.“.

როდესაც ბავშვთან ერთადაა, მხარდამჭერი პარტნიორი საუბრობს ბავშვთან და არა ბავშვზე. ის ეხმარება ბავშვს, აღიქვას და დაასახელოს საკუთარი და სხვისი ემოციები, დააკავშიროს საკუთარი და სხვისი ემოციები და ქცევა შედეგებთან, ახალისებს მის ძალისხმევას და თანმიმდევრულობას, ეხმარება, თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი, დასვას შეკითხვები და გააკეთოს აღმოჩენები.

ხუთსაფეხურიანი დიალოგი

ბავშვების ცნობისმოყვარეობის ხელშესაწყობად, სააზროვნო თემების გასაფართოებლად, ემოციების გასაზიარებლად და მსჯელობის წასახალისებლად გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორები ასხივებენ გულწრფელ ინტერესს ბავშვების საქმიანობისა და ემოციური მდგომარეობის მიმართ და მზად არიან, მათთან მათთვის საინტერესო თემებზე მცირე დიალოგები გამართონ.

მაგალითად, ხედავთ, რომ ბავშვმა დრამატულ ცენტრში დადებული ყუთიდან ძველი ჩანთა და ქუდი ამოიღო და სარკის წინ იზომებს:

- *მართა, ვხედავ, სადღაც წასასვლელად ემზადები!*
- *ხო, მარი, მაღაზიაში მივდივარ!*
- *რის ყიდვას აპირებ მაღაზიაში?*
- *ნამცხვრები უნდა ვიყიდო, დღეს სტუმრები მოდიან.*
- *დღეს შენი დაბადების დღე ხომ არ არის?*
- *არა, მარი, ჩემი დაბადების დღე ზამთარში იყო, დღეს ნათია და გიო ისე დავპატიჟე, ნამცხვრის საჭმელად.*

ხედავთ, რომ გიომ ბიჭი დახატა:

- *გიო, ვხედავ ბიჭი დაგიხატავს, მგონი, გაბრაზებულია, არა, თუ ნაწყენი?*
- *არა... ხო, გაბრაზებულიცაა და ნაწყენიც.*

- *მუშტები ისე აქვს შეკრული, მგონი უფრო გაბრაზებულია.*
- *ხო, დიდმა ბიჭებმა არ ათამაშეს და სათამაშო წაართვეს.*
- *წარმომიდგენია, როგორ გაბრაზდებოდა!*

ხედავთ, რომ 4 წლის მარი და ნუცა ეზოში ჭიანჭველების ბუდეს აკვირდებიან:

- *რას უყურებთ ასე დაკვირვებით?*
- *ნახე, ნინო, რამდენი ჭიანჭველაა, აქეთ-იქით დადიან და ამ ჰატარა მიწის ბურთულაში ძვრებიან?*
- *ჭიანჭველების ბუდე გიჰოვიათ, ისინი ამ ბუდეში ცხოვრობენ, აქა აქვთ თავისი ოთახები მოწყობილი.*
- *მიწის ქვეშ როგორ სუნთქავენ? ოთახებში რა აქვთ?*
- *აი, შეხედეთ, ჰაერი ამ ნაპრალებიდან ჩადის, ოთახებში კი ბევრი საინტერესო რამეა, გინდათ, საინტერესო ამბები გაიგოთ ჭიანჭველებზე? მოდი, ერთად მოვიფიქროთ, როგორ!*

ენის გამოყენება ფიქრისა და სწავლისათვის - როგორ წავახალისოთ ბავშვებში შეკითხვების დასმა

რას ნიშნავს ენისა გამოყენება ფიქრისა და სწავლისათვის? თუ დავფიქრდებით და დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი ყოველდღიური, სასაუბრო ენა საკმაოდ ღარიბია, რადგან როდესაც ერთმანეთთან "აქ და ახლა თემებზე" ველაპარაკებით, ჩვენს ბევრ სათქმელს გარემო, ჩვენი მზერა ან სხეულის მოძრაობა ამბობს.

-"მიდი რა, მომიტანე" - ეუბნებით ბავშვს და მას ის ნივთი მოაქვს, რაც სთხოვეთ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამ ნივთის სახელი არ დაგისახელებიათ. საიდან იცის ბავშვმა, რომ მან მაინცდამაინც ეს ნივთი უნდა მოგიტანოთ? საიდან და მან ეს ინფორმაცია კონტექსტიდან, თქვენი მზერის მიმართულებიდან და შესაძლოა, საგნის მიმართულებით გაშვერილი ხელიდან "წაიკითხა". ყოველდღიურ ენას "ზარმაც, ან ეკონომიურ" ენასაც ეძახიან, რადგან არავინ ამბობს გრძლად იმას, რისი თქმაც მოკლედაც შეიძლება.

ენა, რომლის გამოყენებაც ბავშვებს სკოლაში მოუწევთ, არ არის ყოველდღიური ენა, ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც ბავშვებმა უნდა იფიქრონ და იმსჯელონ ისეთ რამეებზე, რაც აქ და ახლა არ არის, მათ უნდა დაუკავშირონ სხვადასხვა ამბები ერთმანეთს, გამოთქვან ვარაუდები, მოძებნონ პრობლემის გადაჭრის გზები

ენის ფიქრისა და სწავლისათვის გამოყენება უმნიშვნელოვანესია კითხვის უნარების კარგად დასაუფლებლად, მით უმეტეს იმ დროისათვის, როდესაც საკითხავი მასალა გაიზრდება და გართულდება.

თუ თქვენ ბავშვებთან საუბრისას მხოლოდ კონკრეტული და მარტივი შეკითხვებით შემოიფარგლებით, როგორიცაა: "რას აკეთებს?" "რა ფერია?" ბავშვებიც მარტივი და კონკრეტული ენით საუბარს განაგრძობენ, მაგრამ, თუ მათთან მდიდარი ენით საუბრობთ, ბავშვებიც აიმაღლებენ ენობრივ უნარებს.

თუ წიგნის კითხვისას ან ბავშვებთან სხვადასხვა თემებზე საუბრისას ხშირად იყენებთ შეკითხვებსა და ფრაზებს, რომლებიც ასე იწყება: “მე ვფიქრობ, რომ...”, “მაინტერესებს..”, “როგორ ფიქრობ, რატომ...” თქვენ უკვე ეხმარებით მათ, განივითარონ ფიქრისა და სწავლისთვის საჭირო ენა.

ჩანართი

როგორ შევუწყო ხელი ფიქრსა და აზროვნებას

როდესაც

- ბავშვები რამეს გიყვებიან
- თქვენ უყვებით რამეს
- წიგნს კითხულობთ
- წიგნზე საუბრობთ
- რაიმე სიტუაციას არჩევთ

გამოიყენებთ ქვემოთ მოცემული სტრატეგიები:

- ასწავლეთ ბავშვებს **განმარტების გაკეთება**, ეს მათ კარგად მოამზადებს სკოლის გარემოსთვის, სადაც ხშირად ისმის კითხვა “რატომ?” წაახალისეთ ბავშვები, ახსნან მოვლენები, დასვით “რატომ” შეკითხვები, მათ შორის ამ ფორმითაც: “როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის მიზეზი?” “რატომ ჩაკეტა ბიჭმა კარი? მე ვფიქრობ, რომ...”
- დაეხმარეთ ბავშვებს, ნასწავლი ან მოსმენილი **დაუკავშირონ საკუთარ გამოცდილებას**: ეს კავშირები ეხმარება მათ, დააკავშირონ ძველი ახალთან და კარგად გაიაზრონ ამბის შინაარსი. ოდესაც ბავშვებს უკითხავთ ან რაიმე ამბის გარშემო საუბრობთ, კითხეთ მათ: “ასეთი რამ შენც გადაგხდენია თავს?..”, “ოდესმე ყოფილხარ...”, ოდესმე გინახავს..?” არ დაგავიწყდეთ საკუთარი გამოცდილებების გაზიარებაც.
- **ისაუბრეთ ემოციებზე** - ემოციებზე საუბარი ეხმარება ბავშვებს, გაიგონ საკუთარი და სხვისი ემოციები, რაც სწავლის მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან ის ბავშვს სხვისი პერსპექტივის გაგებას ასწავლის. ემოციების გაგება ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ამბის პერსონაჟების ქცევის მოტივები გავიგოთ, მაგ.: “...ასეთი ანერვიულებული იმიტომ ჩანს, რომ გასაღები დაკარგა, მეც ვნერვიულობ, თუ გასაღებს ვერ ვპოულობ ხოლმე.”
- მოსმენილის, წაკითხულის გაგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი უნარია, **შეაფასო** ის ინფორმაცია, რაც მოისმინე, ან წაიკითხე: წიგნის კითხვისას, ამბის მოყოლისას ან რაიმე თემაზე საუბრისას წაახალისეთ ბავშვები, შეაფასონ მოსმენილი ან სიტუაცია. კითხეთ მათ, მათი აზრით, მომხდარი კარგი იდეა იყო თუ არა? ანდა ეს ჩანაფიქრი შესრულდება თუ ვერა? სთხოვეთ ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე. რა თქმა უნდა, ბავშვები ყოველთვის მზად არ იქნებიან, პასუხი გასცენ ამგვარ შეკითხვებს. ასეთ შემთხვევაში, მიეცით მათ მინიშნებები სწორი პასუხების

საპოვნელად, თუ სწორი პასუხის მონახვა მაინც გაუჭირდათ, ბოლოს პასუხი თავად გაეცით.

- კარგ მსმენელს შეუძლია, მოსმენილი საკუთარი ცოდნასა და გამოცდილებას დაუკავშიროს და ასე **ივარაუდოს**, თუ რა მოხდება შემდეგ. წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან ვარაუდი, ამგვარი შეკითხვების დასმით: "როგორ ფიქრობ, რა მოხდება?...", "რა მოხდება, თუ..", მიეცით ბავშვებს მაგალითი და თავადაც გამოთქვით ვარაუდები: "ვფიქრობ, რომ ის...".
- ენის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია **პრობლემების გადაჭრაა**. ხშირად წაკითხულის გაგება დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად გესმის, რა არის ის მთავარი საკვანძო საკითხი, პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას. როდესაც ბავშვებს უკითხავთ, ან რაიმე თემაზე საუბრობთ, დაუსვით მათ შეკითხვები, რომელიც პრობლემის გადაჭრისკენ, ფიქრისკენ უბიძგებს, მაგალითად: "რისი გაკეთება შეეძლო?" ან "რა იქნებოდა საუკეთესო გზა?..".
- **პროექციის უნარი,** ანუ საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოდგენა, უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელიც ბავშვებს ეხმარება გაიაზრონ სხვისი პერსპექტივა და იყვნენ ნაკლებად ეგოცენტრულები. საკუთარი თავის სხვა დროში, სხვის ადგილას და სხვა გამოცდილებაში გადატანა მნიშვნელოვნად ეხმარება ბავშვებს, მომავალში უკეთ აითვისონ ისეთი საგნები, როგორიცაა ისტორია, გეოგრაფია, სოციოლოგია და სხვა. წიგნის კითხვისას ან რაიმე თემაზე საუბრისას, წაახალისეთ ბავშვები, წარმოიდგინონ თავი სხვის ადგილას: "მოგეწონებოდა, გინდა, რომ იყო მეფე/დედოფალი? რატომ, რა იქნებოდა კარგი? ისე რა კარგი.." თუ კითხვები ბავშვისთვის ძალიან რთული აღმოჩნდება, მიეცით მათ შესაძლო პასუხების მაგალითები..

როგორ ვუპასუხოთ ბავშვების შეკითხვებს

ბავშვებს უკვე აინტერესებთ:

- ბერდებიან თუ არა ჭიანჭველები?
- სტკივათ თუ არა ყვავილებს?
- რატომ გრუხუნებს ცა ელვის დროს?
- რატომ ჰქვია მზეთამზეს მზეთამზე?

და კიდევ ბევრი რამ...

ზრდასთან ერთად, ბავშვებმა სულ უფრო მეტი და მეტი შეკითხვა უნდა დასვან. როგორ ვუპასუხოთ ბავშვების უცნაურ შეკითხვებს, ან როგორ წავახალისოთ ისინი, რომ დასვან ბევრი შეკითხვა და ეძიონ პასუხები?

- ამ ასაკში ბავშვების მიერ დასმული შეკითხვები ძალიან მრავალფეროვანი და ხშირად მოულოდნელია, მაგრამ ამავდროულად არსებობს შეკითხვები, რომლებსაც ბავშვები უფრო ხშირად სვამენ, მაგალითად, რატომაა თოვლი ცივი? როგორ ლაპარაკობენ ცხოველები? ან რატომ ისმის ხმაური ჭექა-ქუხილის დროს? ინტერნეტისა და თანა-

მედროვე საბავშვო ენციკლოპედიების გამოყენებით, გულისხმიერი აღმზრდელები ცდილობენ, მოამზადონ პასუხები ამგვარ ხშირად დასმულ შეკითხვებზე, და მარტივად და გასაგებად აუხსნან სხვადასხვა მოვლენის არსი.

- ხანდახან კარგი სტრატეგიაა, ბავშვის მიერ დასმული შეკითხვის უკან ჯგუფში „გადაგდება“. თუ ბავშვების მცირე ჯგუფთან ერთად თამაშობთ ან მათ უკითხავთ და რომელიმე მათგანმა საინტერესო შეკითხვა დასვა, კითხეთ სხვა ბავშვებს, რას უპასუხებდნენ მეგობარს. ყურადღებით მოუსმინეთ მათ პასუხებს, წაახალისეთ დიალოგი და მოკლედ შეაჯამეთ თითოეულის ნათქვამი. ამ მეთოდით ენის სამ მნიშვნელოვან უნარს წაახალისებთ: მოსმენას, აზრის ჩამოყალიბებასა და დიალოგს.
- დროდადრო ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვას უცნაური, რეალობისგან შორს მდგომი პასუხი გაეცით და თქვენი სახის გამომეტყველებითა და სხეულის ენით გამოხატეთ, რომ მისგან ელით თქვენი ფანტაზიისა და /ან ხუმრობის დაფასებას. ამით ბავშვებს დაეხმარებით ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს, გადატანითი მნიშვნელობების, ხუმრობებისა და არაპირდაპირი მეტყველების დახვეწაში.
- ხანდახან ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხი არ გვაქვს და ეს ბუნებრივია. ამ დროს გულწრფელად უთხარით, რომ პასუხი არ იცით და შესთავაზეთ, ერთად მოიფიქროთ, თუ სად და როგორ იპოვოთ პასუხი.
- ზოგიერთი შეკითხვა კარგი ბიძგია სხვადასხვა საინტერესო პროექტების მოსამზადებლად და თემების გასაშლელად.

მიეცით ბავშვებს საინტერესო კითხვების დასმის მაგალითი, რომელზე პასუხის გაცემასაც დაფიქრება და მსჯელობა სჭირდება: შეკითხვები, რომელსაც „სწორი პასუხები არა აქვს“, **აზროვნებასა და ენობრივ განვითარებას ეხმარება,** მაგალითად: ვაპირებ ეს ცარიელი ყუთი შევინახო, როგორ ფიქრობთ, რაში გამოვიყენოთ? ანდა: ალბათ, როგორი უცნაური იქნებოდა, ჟირაფივით მაღლები რომ იყოთ, გინდათ, რომ ასეთი მაღლები გაიზარდოთ? რას იზამდით, ასეთი მაღლები რომ იყოთ?

დაბოლოს... როგორი უფროსები მოსწონთ ბავშვებს?

ბავშვებს მოსწონთ ადამიანი, რომელსაც თამაში შეუძლია, ოღონდ არა დიდივით თამაში, არამედ ბავშვივით თამაში, ვისაც არ დავიწყებია, როგორია ნამდვილი ბავშვური თამაში, შეუძლია როლში შესვლა, აქვს კარგი ფანტაზია, საინტერესო იდეები და იუმორის გრძნობა.

თავი 4. თამაში და ბავშვის ინტერესის მიყოლა (ბავშვის და უფროსის მიერ წამოწყებული საქმიანობები)

ჩანართი

რატომაა თამაში მნიშვნელოვანი

არსებობს მკაფიო კავშირი თამაშსა და ისეთ ძირითად უნარებს შორის, როგორიცაა: მუშა მეხსიერება, თვითრეგულირება, ენობრივი უნარები, სოციალური უნარები და ასევე - თამაშსა და სკოლაში წარმატებას შორის

თამაში ავითარებს და ხელს უწყობს:

- სიმბოლურ და წარმოსახვით აზროვნებას
- ენის ათვისებას და გამრავალფეროვნებას
- ფიზიკურ განვითარებას
- პრობლემის გადაჭრის უნარებს

თამაში ეხმარება ბავშვებს:

- თავიანთი სამყაროს გააზრებაში
- სხვებთან ურთიერთობაში

- ემოციების გამოხატვასა და მართვაში
- გამომუშავებული უნარების გავარჯიშებაში

როდესაც ბავშვები **ირჩევენ, როგორ ითამაშონ**, ისინი თავისუფლები არიან ამ არჩევანისას. ისინი **ხედავენ კავშირს არჩევანსა და არჩევანის შედეგებს შორის**, სწავლობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას

თამაშში გამოყენებული **ღია მასალები** საშუალებას აძლევს ბავშვებს, თავად გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენონ ისინი

მაგ.: ბავშვს შეუძლია, წარმოიდგინოს, რომ კუბური სახანძრო მანქანაა. მაგრამ სახანძრო მანქანა ყოველთვის სახანძრო მანქანაა.

ღია მასალები ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ისე, როგორც აქამდე არავის გაუკეთებია, რაც **შემოქმედებითი აზროვნების გამოვლინებაა** და აღფრთოვანებას იწვევს.

ხშირად თამაში სრულიად დაუგეგმავია ან ბავშვს უკვე დაგეგმილ თამაშში შეაქვს ცვლილებები. ასეთი თამაში ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, განივითაროს აზროვნების მოქნილობა და გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც ასეთი მნიშვნელოვანია ცხოვრებაში.

ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებით, ამ კურიკულუმის მიზნების მიღწევისათვის, მნიშვნელოვანია კურიკულუმის პრინციპებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება.

ამ თავის გაცნობის შემდეგ თქვენ შეძლებთ, პასუხი გასცეთ შემდეგ შეკითხვებს:

- რას გულისხმობს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა?
- რა არის თამაში და უფროსის როლი თამაშისას? თამაში და აქტივობა ერთსა და იმავე პროცესს აღნიშნავს?
- რას ნიშნავს ბავშვის ინტერესებზე მიყოლა?

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა

როგორც ამ კურიკულუმის ღირებულებები და პრინციპები გვეუბნება, ბავშვი თავისი სწავლისა და განვითარების ცენტრალური აქტორია, ის აქტიურად მონაწილეობს პროცესში და თავად აკეთებს არჩევანს, რა და როგორ ისწავლოს.

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა ბავშვს განიხილავს დაგეგმვისა და კურიკულუმის შემუშავების საწყის წერტილად და ფოკუსირებულია ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა:

- ირეკლავს **ბავშვობის სილაღეს**
- საჭიროებს **ფრთხილ დაკვირვებას**

- ფოკუსირებულია **ბავშვის მთლიანობით განვითარებაზე**
- მოითხოვს **ოჯახებთან პარტნიორობას და ბავშვების ცხოვრების პატივისცემას**

ჩვენ გვინდა, რომ ბავშვობის წლები იყოს სილაღით სავსე. მაღალი ხარისხის ბაღი ბავშვებს მომავალში წარმატების მიღწევაში კი ეხმარება, თუმცა გაცნობიერებული აქვს, რომ **თავად ადრეული ბავშვობაა ცხოვრების განსაკუთრებული დრო და ბავშვს აქ და ახლა უწყობს ხელს, სიამოვნება მიიღოს აღმოჩენების კეთებით და სამყაროს შემეცნებით**. ყოველ ჯერზე, როცა ბავშვებს უხარიათ და ლაღად გრძნობენ თავს, მათ თავის ტვინში სასიამოვნო განცდებზე პასუხისმგებელი ნეირონული კავშირები მყარდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მენტალური ჯანმრთელობისთვის.

სალომე და ლევანი ეზოს კიდეში ბალახებში დგანან. სალომე ფერდობზე ბურთს აგორებს. ლევანი ქვემოთ ეშვება, ბურთს ეწევა და ისვრის სალომესკენ. სალომე ისევ ისვრის, ამჯერად ორივე მირბის და ასე ექვს- შვიდჯერ ჩაირბინეს და ამოირბინეს. ბოლოს სუნთქვაშეკრულნი მიწაზე დაეცნენ და ერთად იცინოდნენ.

ამ მაგალითში, ბავშვები თითქოს არაფერს სწავლობენ, თუმცა ასეთი მომენტები უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა აქ და ახლა ლაღი თამაშითა და ერთად ყოფნის სიამოვნებით გაიმყარონ ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

ბავშვზე ორიენტირებულ ადრეულ განათლებაში ბავშვი უმეტესად თამაშობს და სწავლობს კეთებით.

ხუთი წლის მია, გიო, ლუკა და ელენე მაღაზიობანას თამაშობდნენ. ორშაბათს ბავშვებმა დიდი კუბურებითა და რამდენიმე პატარა კუბურით მაღაზია ააშენეს, შემდეგ კი გააფორმეს გირჩებითა და ლენტებით. სამშაბათს სამშენებლო ქაღალდისგან ფული დაამზადეს, ფრთხილად გამოჭრეს კუთხეები, რათა ფული ერთნაირი ზომის გამოსულიყო და დააწერეს ციფრები. ოთხშაბათს ბავშვებმა საჭმლის კონტეინერებისგან სალარო აპარატი, ხოლო ფეხსაცმელების ყუთისგან სავაჭრო კალათები დაამზადეს.

ეს მაგალითი კარგად გვაჩვენებს რამდენი რამის გაკეთებას სწავლობენ ბავშვები, რამდენ რამეზე იფართოებენ ცოდნასა და გამოცდილებას, თუ მათ ამის საშუალებას მივცემთ და შესაბამისი რესურსებით მოვამარაგებთ.

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის გააზრება გვაძლევს პასუხს კითხვაზე: თუ როგორ უნდა ვასწავლოთ ბავშვს. საგანმანათლებლო პროცესი, ამ კურიკულუმის მიხედვით, თამაშით სწავლების პრინციპებს ეყრდნობა. შესაბამისად, ადრეულ განათლებაში არაკომპეტენტური თვალისთვის საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროცესი „მხოლოდ თამაშია“, გარემო, სადაც ბავშვები ლაღები არიან და ერთობიან, მხოლოდ ადრეული განათლების სპეციალისტი ხედავს თამაშსაც და მის მიღმა არსებულ განვითარებასა და სწავლას.

რა არის თამაში?

როგორც აღინიშნა, **ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა თამაშს ბავშვის ბუნების განუყოფელ ნაწილად განიხილავს და თვლის, რომ თამაში სწავლის საუკეთესო შესაძლებლობაა.**

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაცაა. რაც უფრო მეტი, განსხვავებული ტიპისა და დროის ხანგრძლივობის თამაშის შესაძლებლობა ექნებათ ბავშვებს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას.

რა არის თამაში? როგორ უნდა მივხვდეთ, რომ საქმიანობა, რომელშიც ბავშვია ჩართული, ნამდვილად თამაშია? ამაში თამაშის მახასიათებლების გამოყოფა დაგვეხმარება: (1) თამაში დადებით ემოციებს უნდა იწვევდეს; (2) ბავშვისთვის თამაშის პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი; (3) იგი თავისი შინაგანი მოტივაციით არის ჩართული ამ პროცესში; (4) ეს მისი თავისუფალი არჩევანია; დაბოლოს (5), თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს, არარეალურ, თამაშის სამყაროში გადაინაცვლოს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ზემოთ მოცემული თითოეული მახასიათებელი:

თამაში აუცილებლად *დადებით ემოციას უნდა იწვევდეს ბავშვებში,* ეს არის სიხარულისა და ბედნიერების მომგვრელი საქმიანობა. თამაშის დროს ბავშვები ხალისობენ, იცინიან. ეს არის საქმიანობა, რომელიც სასიამოვნო განცდებთან არის დაკავშირებული, მიუხედავად თამაშის სირთულისა და ტიპისა.

თამაშის დროს ბავშვისთვის თავად *პროცესია მნიშვნელოვანი და არა შედეგი*, იგი ამ პროცესში მონაწილეობით იღებს სიამოვნებას და არ ფიქრობს საბოლოო პროდუქტზე. თუ ბავშვს საქმიანობის მიზანს წინასწარ განვუსაზღვრავთ, მაგ: დახატე შემოდგომის პეიზაჟი, ააშენე მაღალი კოშკი, მოდი, ექიმობანა ითამაშე და ნიას წამალი გამოუწერე - ამ დროს ბავშვი შედეგზე ორიენტირებული ხდება და თამაშის ნაცვლად, მისთვის ეს საქმიანობა სავალდებულო გახდება.

ადრეულ ასაკში ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თამაშის დროს მათი *თავისუფალი არჩევანი* იყოს გათვალისწინებული, მხოლოდ ასეთ საქმიანობას არქმევენ ბავშვები თამაშს. ზემოთ მოცემული მაგალითის მსგავსად, ჩვენი მითითება: მოდი, ექიმობანა ითამაშეთ, აქ დასხედით და თოჯინას წიგნი წაუკითხეთ და ა.შ. - ბავშვის მიერ დავალების შესრულებად აღიქმება და არა - თამაშად, თუ ეს მისი თავისუფალი არჩევანი არ არის. განსხვავებულია შემთხვევა, როდესაც ბავშვი თავად ირჩევს ხელმისაწვდომ ნივთებს, მაგალითად, იღებს ექიმის ყუთს, ირგებს როლს და თავად ქმნის თამაშის სიუჟეტს — ასეთი თამაში ნამდვილად იძენს მისთვის მნიშვნელობას და არის ბავშვის ინიციატივით წარმართული.

თამაში ისეთი საქმიანობაა, რომელშიც ბავშვი *შინაგანი მოტივაციით არის ჩართული*. თამაშში ჩასართავად ბავშვს არ სჭირდება გარეგანი მოტივატორი - უფროსის აღიარება, შექება, საყვედურის აცილება და ა.შ. თამაშში ბავშვი ერთვება, რადგან პროცესი თავად მოსწონს და სიამოვნებს.

თამაში ბავშვს საშუალებას აძლევს, რეალობას გასცდეს და არარეალურ სამყაროში გადაინაცვლოს, იყოს შემოქმედებითი, წარმოსახვას მოუხმოს და ახალ, სხვა რეალობაში იმოქმედოს.

რა ტიპის თამაშების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ბავშვებს?

ამ კურიკულუმის განხორციელებისას ყურადღება მიაქციეთ ზემოთ მოცემულ მახასიათებლებს. დააკვირდით, რამდენად აქვს ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებს ეს მახასიათებლები. გარდა ამისა, იფიქრეთ თამაშების მრავალფეროვნებაზე, რადგან ამით, ერთი მხრივ, ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას შევუწყობთ ხელს და მეორე მხრივ, მათი ინტერესი და ჩართულობა იქნება მაღალი.

დრამატული თამაშები - ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავის წარმოსახვას იყენებს და სხვადასხვა როლებს ირგებს, რეალურ ან წარმოსახვით სიტუაციებს გაითამაშებს - სახლობანა, ექიმობანა, ბანკობანა და ა.შ.

ვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებული თამაშები - საქმიანობები, რომლებიც შემოქმედებით პროცესებთან, სხვადასხვა მასალების გამოყენებით ახლის შექმნასთან არის დაკავშირებული - ხატვა, ძერწვა და ა.შ.

საშემსრულებლო ხელოვნებასთან დაკავშირებული თამაშები - მუსიკალური და რიტმული თამაშები, ცეკვა და ა.შ.

კვლევითი თამაშები - საქმიანობები, რომლის დროსაც ბავშვები იკვლევენ მასალებსა და მათ თვისებებს - ექსპერიმენტი სოდისა და ძმრის გამოყენებით, ყინულის დნობაზე, მცენარის ზრდაზე დაკვირვება და ა.შ.

სენსორული თამაშები: თამაშები, რომლებიც განსაკუთრებით ახდენს შეგრძნებების სტიმულირებას - ქვიშით, წყლით, ჩრდილებით თამაში, სურნელების გამოცნობა და ა.შ.

სამაგიდო თამაშები - თამაშები, რომლებიც გარკვეული წესის დაცვას მოითხოვს მოთამაშისგან, მაგალითად ლოტო, მემო, ფაზლი და ა.შ.

მოძრავი თამაშები - თამაშები, რომლის დროსაც აქტიურად ხდება მსხვილი მოტორული უნარების გამოყენება - დაჭერობანა, წრეში ბურთი.

მანიპულაციური თამაშები: თამაშები, რომლის დროსაც ბავშვი საგნებით მანიპულირებს - კრავს ან ხსნის თასმას, უყრის თოკს მძივში, ხსნის ან კეტავს ბოქლომს და ა.შ.

კონსტრუქციული თამაშები: თამაშები, რომლებიც კუბურების, მეორადი ან ბუნებრივი მასალის გამოყენებით კონსტრუქციების აგებას გულისხმობს.

კულინარიული თამაშები: სხვადასხვა კერძებისა და ტკბილეულის მომზადება რეალური საკვები პროდუქტების გამოყენებით

წიგნიერებასთან დაკავშირებული თამაშები: წიგნებთან, ნაწერებთან, წარწერებთან დაკავშირებული საქმიანობები, მათ შორის, დიალოგური წიგნის კითხვა.

როგორც უკვე ითქვა, საგანმანათლებლო პროცესს თამაშით სწავლების ფორმა უნდა ჰქონდეს. ამისთვის ბავშვებთან მომუშავე პერსონალმა დღის განმავლობაში ბავშვს უნდა მისცეს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტიპის თამაშების საშუალება. ქვემოთ იხილეთ თამაშით სწავლების ერთ-ერთი **მაგალითი.**

აღმზრდელი, სენსომოტორული კვლევის ქვემიზნის ფარგლებში, ცდილობს, ბავშვებს ასწავლოს ფერების (წითელი, მწვანე და ყვითელი) ცნობა. ის წინასწარ აწყობს ფიზიკურ გარემოს ისე, რომ ყველა ცენტრში ხელმისაწვდომი იყოს წითელი, მწვანე და ყვითელი ფერის ნივთები. ამისთვის მაგალითად, კუბურების ცენტრში სხვა ფერის კუბურები დროებით გააქვს ჯგუფიდან. დღის მანძილზე, აღმზრდელი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას თავისუფლად ითამაშონ, თავად კი ყურადღებითაა, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც ამის სიტუაცია იქმნება, გამოიყენოს ეს სამი სიტყვა, მაგალითად: *"გიორგი, ყვითელი კუბური მომაწოდე თუ შეიძლება, ყვითელ შენობას ვაშენებ. არა, ეს ყვითელი არ არის ეს კუბური მწვანეა. აი ყვითელი კუბური, (თითს იშვერს) ყვითელი მომაწოდე", „რა საინტერესო კონსტრუქცია აგიშენებია, ვხედავ ყვითელი და მწვანე კუბურები გამოგიყენებია, კიდევ რა ფერის კოშკის აშენება შეგიძლია?", „ნინოს ხიდს შეხედე, ერთი ფერი აურჩევია", „რის აშენებას აპირებ? რა ფერის კუბურების გამოყენებას გეგმავ? დაგეხმარები, მე მომწოდებელი ვიქნები. რომელი ფერის კუბური მოგაწოდო? ახლა რომელი ფერი გჭირდება?"*

ამ მაგალითში ფერებით თამაში წახალისებულია არა უფროსის მითითებებით, არამედ ფიზიკური გარემოთი და აღმზრდელის თამაშის მოდელირებით.

თამაშის განვითარების ეტაპები

თამაშობენ თუ არა ბავშვები საბავშვო ბაღის ჯგუფში და რა ფორმის თამაშებს თამაშობენ, ძალიან კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ეფექტურად ვმუშაობთ კურიკულუმით და გავდივართ ბავშვებთან დასახულ მიზნებზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ თამაშის განვითარების ეტაპები, ვხედავდეთ, არის თუ არა პროგრესი თითოეული ბავშვის თამაშში და ხელს ვუწყობდეთ თამაშის განვითარებას.

თამაშზე დაკვირვება ბავშვის განვითარების მიმდინარეობის დანახვისა და შეფასების საუკეთესო საშუალებაა. **განვითარებასთან ერთად ვითარდება თამაშის ფორმებიც.**

თუ ბავშვის თამაშის განვითარებას **სოციალური სფეროს** განვითარების ტერმინებით აღვწერთ, მაშინ მას შემდეგი ფორმები აქვს:

მარტო თამაში: ბავშვი მთლიანად არის ჩართული თამაშში და არ ამჩნევს სხვა ბავშვებს. - *ყველაზე ხშირად ვლინდება 2 წლამდე ასაკის ბავშვებში.*

პარალელური თამაში: ბავშვი ჰბაძავს სხვა ბავშვების თამაშს, მაგრამ აქტიურად არ ერთვება მათთან. მაგალითად, იყენებს იგივე სათამაშოს, რასაც სხვები. - *ყველაზე ხშირად ვლინდება 2 წლის ასაკის ბავშვებში.*

ასოციაციური თამაში: ბავშვები უფრო მეტად ინტერესდებიან ერთმანეთით, შედიან ხანმოკლე ურთიერთობაში და ცვლიან სათამაშოს, თუმცა მათ თამაშში არ არის საერთო მიზანი. ეს არის თამაშის პირველი კატეგორია, რომელშიც ჩნდება სოციალური ინტერაქცია. - *ყველაზე ხშირად ვლინდება 2,5-3,5 წლის ასაკის ბავშვებში.*

კოოპერაციული (თანამშრომლობითი, კომპლექსური) თამაში: ბავშვების თამაში ხდება

უფრო ორგანიზებული საერთო მიზნის გარშემო, მაგალითად, ისინი თამაშის დროს ხშირად ინაწილებენ როლებს, თამაშობენ გუნდურად.- *იწყება დაახლოებით 3,5 წლის ასაკიდან და გრძელდება 8-9 წლის ასაკამდე.*

თუ ბავშვის თამაშს, განვითარებას **კოგნიტიური სფეროს** განვითარების ტერმინებით აღვწერთ, მაშინ მას შემდეგი ფორმები აქვს:

სენსორული ძიებითი - ბავშვი იკვლევს და ერთობა გარემოში არსებული საგნებით: სტაცებს ხელს, იდებს პირში, უყურებს, ამოძრავებს, აკაკუნებს, ატრიალებს - *ასეთი თამაში იწყებს გამოვლენას, დაახლოებით, 3 თვიდან და, დაახლოებით, 12 თვემდე გრძელდება.*

არაფუნქციური - ბავშვი ერთად აგროვებს საგნებს, ყუთში ყრის და ყუთიდან იღებს, გაწოდებს და უკან გართმევს, დაბლა აგდებს და აკვირდება, თუმცა საგნებს ჯერ კიდევ არ იყენებს ფუნქციურად - *ვლინდება, დაახლოებით, 8 თვის ასაკში და გრძელდება საშუალოდ 14 თვემდე.*

ფუნქციური - ბავშვი იწყებს საგნებით ფუნქციურ თამაშს - თოჯინას დაძინება, მანქანის გაგორება, ფლომასტერით ჯღაბნა და ა.შ. - *იწყება, დაახლოებით, 10-12 თვის ასაკიდან.*

სიმბოლური - სიმბოლური თამაში, იგივე "წარმოსახვითი თამაში," გულისხმობს საგნების, ქმედებების ან იდეების გამოყენებას სხვა საგნების, ქმედებების ან იდეების წარმოსადგენად. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება გამოიყენოს ჯოხი როგორც ხმალი, ან ყუთი - როგორც კოსმოსური ხომალდი. - ასეთი თამაში, როგორც წესი, ჩნდება *18-24* თვის ასაკში, გრძელდება *8-9* წლის ასაკამდე. სიმბოლური თამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის შემოქმედებითი უნარების, სოციალური უნარების და კოგნიტიური შესაძლებლობების - პრობლემების გადაჭრისა და სიმბოლური აზროვნებების განვითარებაში.

ადრეული ენობრივი განვითარება და სიმბოლური თამაშები მჭიდრო ურთიერთკავშირშია - ეს ორი სფერო ერთმანეთთან დაკავშირებულია დროის, შინაარსისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. სიმბოლური თამაში ჩნდება იმ დროს, როდესაც ბავშვი იწყებს წინადადებების გამოყენებას. სიმბოლური თამაშის სტრუქტურა რთულდება წინადადებების სტრუქტურისა და სათქმელის მრავალფეროვნად გამოხატვის შესაძლებლობის ზრდასთან ერთად.

კოოპერაციული თანამშრომლობითი თამაშებისათვის ბავშვი მაშინაა მზად, როდესაც შეუძლია თამაშისას როლების გადანაწილება და მორგება, იდეების გაცვლა და სათამაშოების გაზიარება. თანამშრომლობითი თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ სხვისი საკუთრების პატივისცემას, თამაშის წესების მიყოლას. როდესაც ბავშვი სხვებთან ერთად თამაშობს და საქმიანობს, მას შეუძლია, დააკვირდეს თანატოლებს და ისწავლოს სხვადასხვა პერსპექტივიდან მოქმედება. როდესაც ბავშვები საერთო მიზნისკენ ერთად თამაშობენ, მათ სჭირდებათ თანატოლის ნდობა - რომ თითოეული სწორად ასრულებს თავის ნაწილს თუ ამოცანას. ისინი სწავლობენ ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ეხმარებიან ერთმანეთს.

ზრდასთან ერთად, ბავშვები უფრო მეტად სწავლობენ წესების დაცვასა და გაზიარებას, თუმცა მათ მაინც აქვთ კონფლიქტები. კოოპერაციული თამაში კი ბავშვებს ეხმარება პრო-

ბლემაზე მსჯელობაში, კომუნიკაციაში, კომპრომისზე წასვლასა და ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მოფიქრებაში.

კოოპერაციული თამაშის დროს ბავშვები ავლენენ ემოციების მართვის, მოთმინების და დალოდების უნარს. რადგან თამაში მნიშვნელოვანია მათთვის, ისინი ცდილობენ წესებზე დამორჩილებას, კომპრომისზე წასვლას და შედეგად საკუთარი იმპულსებისა და ემოციების მართვას. ეს მნიშვნელოვანი უნარები შემდეგ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გადააქვთ.

კოოპერაციული თამაში გარკვეულ კომუნიკაციურ უნარებს საჭიროებს. ბავშვისგან მოითხოვს საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების გამოხატვას, მეგობრის, სხვა მოთამაშის მოსმენას. ბავშვები სწავლობენ, რომ თუ არ ილაპარაკებენ ან არ მოუსმენენ, თამაში ისე ვერ გაგრძელდება და შესაძლოა, ნაკლებად სასიამოვნო იყოს. ზრდასთან ერთად კიდევ უფრო იხვეწება ბავშვების კომუნიკაციური უნარები, თამაშის მეშვეობით.

კოოპერაციული თამაშის დროს თითოეულ ბავშვს გარკვეული როლი აქვს, რაც სასურველი შედეგის მისაღწევად არის საჭირო. ბავშვები როლების განაწილების და წესების დადგენის პროცესში ერთმანეთის პერსპექტივიდან ფიქრს სწავლობენ, რათა ყველა კარგად გაერთოს. ის ფაქტი, რომ თითოეული ბავშვი განსხვავებულად აღიქვამს მსგავს სიტუაციას, ემპათიის პირველი ნაბიჯია.

რა როლი ენიჭება აღმზრდელს ბავშვებთან თამაშისას?

თამაშთან მიმართებით, აღმზრდელის მთავარი მოვალეობაა,

- მისცეს ბავშვებს თამაშის საშუალება
- უზრუნველყოს მასალების მრავალფეროვნება, რათა ხელი შეეწყოს მრავალფეროვან თამაშს
- დააკვირდეს ბავშვების თამაშს და სადაც ამის საჭიროება არსებობს, დაეხმაროს ბავშვებს, განავითარონ თამაში და გახადონ ის უფრო მდგრადი.

იმ ასაკში, როდესაც ბავშვები ბაღში მოდიან, ისინი **სიმბოლური და თანამშრომლობითი (კოოპერაციული) თამაშების** განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან და ზრდასთან ერთად, თამაშის ამ ფორმებს ხვეწენ და ართულებენ. თუმცა, თქვენ შესაძლოა აღმოაჩინოთ, რომ რომელიმე ბავშვი, მიუხედავად მისი ასაკისა, ჯერ კიდევ იმყოფება თამაშის განვითარების უფრო ადრეულ სტადიაზე - თამაშობს მარტო ან პარალელურად, მისი თამაში ძირითადად სენსორულ-ძიებითია ან დაკავშირებითი, ან იცის მხოლოდ რამდენიმე თამაშისა და სათამაშოს ფუნქცია. ამ შემთხვევაში, თქვენი ამოცანა იქნება, იმოძრაოთ **ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაში** და ბავშვს თამაშის იმ ფორმების განვითარებაში დაეხმაროთ, რაც მისი განვითარების ზონასთან ყველაზე ახლოსაა.

BOX: განვითარების უახლოესი ზონა - გულისხმობს იმ ფსიქიკურ ფუნქციებს, უნარებს, ჩვევებს, მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია მოზრდილის დახმარებით.

აღმზრდელმა რომ თავისი როლის შესრულება შეძლოს, თამაშთან დაკავშირებით, კურიკულუმი მას რამდენიმე პრინციპს განუსაზღვრავს. დღის განრიგში თამაშისთვის შესაფერისი დროის გამოყოფა (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 11) იძლევა საშუალებას, ბავშვებმა დღის უმეტესი დრო თამაშში გაატარონ და მაქსიმალურად შემცირდეს თამაშის შეწყვეტის აუცილებლობა. ფიზიკური გარემოს სივრცეებად მოწყობა (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 10) კი უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ბავშვის არჩევანს და, მეორე მხრივ, თამაშების მრავალფეროვნებას. კურიკულუმით აღწერილი დაგეგმვის პრინციპებიც ისეა განსაზღვრული, რომ მრავალფეროვანი თამაშის შესაძლებლობის და განვითარების ხელშეწყობა მოხდეს (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 13). აღმზრდელი მიმდინარე (კვი-რის) გეგმაში წერს აქტივობებს, გამოწვევებსა და რესურსს. გეგმაში აქტივობების, პრო-ვოკაციების და შესაბამისი რესურსების ჩამოწერა გვეხმარება კურიკულუმში თამაშის ცენ-ტრალური როლის გააზრებაში.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ზემოთ აღწერილი როლის შესასრულებლად **აღმზრდელი ხან მის მიერ წამოწყებულ თამაშებსა და აქტივობებს და ასევე პროვოკაციებს** იყენებს, ხან კი **ბავშვებს უჭერს მხარს მათ მიერ წამოწყებული თამაშების** განვითარებასა და გაღრმავებაში.

ხარისხიანი ადრეული განათლების ერთ-ერთი ინდიკატორია, თუ რამდენად კარგადაა ბალანსი დაცული აქტივობებსა და თამაშებს შორის საბავშვო ბაღში.

თამაში, რომელიც ბავშვების მიერ არის წამოწყებული - მათთვის საინტერესო, სახალისო და სწავლისა და განვითარების მთავარი ძალაა. ასეთი თამაშის დროს ბავშვი თავად განსაზღვრავს როგორც საქმიანობას, ასევე გამოყენებულ მასალებს, სათამაშოებს, ადგილს. განსაზღვრავს, რამდენ ხანს ითამაშებს და ვისთან ერთად. ამგვარი თამაში შეიძლება ბავშვმა წამოიწყოს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ან - უფროსის მიერ დაგეგმილი და შეთავაზებული გამოწვევებისა და პროვოკაციების შედეგად.

ბავშვის მიერ წამოწყებული თამაშებისას აღმზრდელს შესაძლოა ჰქონდეს სამი როლი:

- აკვირდებოდეს ბავშვის ინტერესებს, იდეებს, დასმულ შეკითხვებს თამაშისას, რომელზე დაყრდნობითაც აწყობს გარემოს, უზრუნველყოფს ღია და საინტერესო მასალებს ბავშვებისთვის; გეგმავს თემებსა და პროექტებს, რათა უზრუნველყოს ბავშვების ცნობისმოყვარეობითი ჩართულობა (ვრცლად იხ. თავი 12).
- *ერთვებოდეს თამაშში გარედან (ჩარევა გარედან)* - სვამს რაიმე ისეთი შეკითხვას, ან აკეთებს რაიმე ისეთი კომენტარს, რაც გაზრდის თამაშის მდგრადობას, გააჩენს ახალ ინტერესს, დაეხმარება ბავშვებს პრობლემის გადაჭრაში, უპასუხებს ბავშვების შეკითხვებს, გაუმყარებს ბავშვებს ცოდნას. ასეთი ჩართვა ხანმოკლეა და შემდეგ აღმზრდელი თამაშის სივრცეს შორდება.
- *ირგებდეს მოთამაშის როლს (ჩარევა შიგნიდან)* და თამაშობდეს ბავშვებთან ერთად და მიჰყვებოდეს ბავშვების იდეებს.

ქვემოთ მოყვანილია გარედან ჩარევის **მაგალითი**, რომლის დროსაც აღმზრდელი, ერთ-ერთ ბავშვს ახალი ნასწავლი სიტყვის მნიშვნელობის გახსენებაში, გააზრებასა და გამოყენებაში დელიკატურად ეხმარება:

ნანას ჯგუფში 3 და 4 წლის ბავშვები არიან. ცენტრებში საქმიანობის დროა და ბავშვები მცირე ჯგუფებად გაიყვნენ. ერთ ცენტრში ნანამ გულდასმით შეარჩია სათამაშო მასალები, მათ შორის ბეღელი, თავლა, ბოსელი, ქათამი და ცხოველების ფიგურები, რომელიც შეესაბამება იმ წიგნს, რომელსაც ამ დღეებში კითხულობენ. ჯგუფის თემა ფერმის ცხოველებია. სალი, ლევანი და ანდრო შედიან ცენტრში და მაშინვე იღებენ სათამაშოებს. თითოეული ირჩევს ფიგურას და იწყებს თამაშს. სალი ეუბნება ლევანს: "მე ვიქნები ძროხა!" ლევანი ამბობს: „კარგი, მაშინ მე ვიქნები ქათამი. მე ვაჰირებ, საქათმეში დავიძინო. ძროხამ ბოსელში უნდა დაიძინოს". ანდრო ამბობს: "მაშინ მე ვიქნები ცხენი და მეც წავალ, ბოსელში დავიძინებ". რადგან ბოსელი და თავლა კვირის თემის სამიზნე სიტყვაა, ნანამ გადაწყვიტა, დარწმუნდეს, ანდროსაც დანარჩენებივით კარგად ესმის თუ არა ამ სიტყვის მნიშვნელობა. ამიტომ ის თამაშში ერთვება და ამბობს: - „ბოსელში ძილი მშვენიერი იდეაა, ლევან! ბოსელი არის ძროხების სახლი. გახსოვთ, როცა ფერმაში გასეირნებისას ვნახეთ ძროხების სახლი? ლევან, სალი და ანდრო, როგორ ფიქრობთ, სად იცხოვრებდნენ ძროხები ფერმაში რომ არ გვქონდეს სახლი?" სალი ამბობს: „ალბათ, თავლაში იცხოვრებენ ცხენებთან!" ანდრო ამატებს: -„კი, თავკაში ცხენებთან, ხო მე ცხენი ვარ და თავლაში დავიძინებ".

გარედან ჩარევის **მეორე მაგალითში** აღმზრდელი ხელს უწყობს, რომ ბავშვებმა ერთმანეთს შორის საუბარი გააბან და გამოცდილებები გაუზიარონ, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც სოციალური, ასევე ენობრივი განვითარებისათვის:

*ნია, კატი და დათა ექიმობანას თამაშობენ. ნია და კატი თოჯინებს „ნემსს უკეთებენ". დათა მარტო დგას, ფონენდოსკოპს ათვალიერებს. არც ერთი არ საუბრობს ერთმანეთში. რამდენიმე წუთის დაკვირვების შემდეგ აღმზრდელი გადაწყვეტს, რომ, შესაძლოა, ბავშვებს მისი ჩარევა მცირედ დაეხმაროს. აღმზრდელი: -"ვხედავ, რომ ნემსს უკეთებთ, ავად არიან ბავშვები?" ნია: -"კი, მათ წამლები და აცრები სჭირდებათ". აღმზრდელი:-" რა სჭირთ?" ნია: -"მოდი, ვითომ მუცელი სტკივათ." კატი: -"არა, მათ ყურის დრენაჟი სჭირდებათ, ჩემს ძმას გაუკეთეს". დათი დებს ფონენდოსკოპს და საუბარს უერთდება: - „მე ვიცი, კი. საავადმყოფოში გაძინებენ და ისე გიკეთებენ". ბავშვები ამ თემაზე საუბარს აგრძელებენ. კატი ჰყვება, როგორ გაუკეთეს მის ძმას დრენაჟი, დათიც იხსენებს თავის გამოცდილებას. აღმზრდელი მათ კიდევ ცოტა ხანს ესაუბრება და შემდეგ სათამაშო სივრცეს ტოვებს (*ადაპტირებულია ჯეფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან " ადრეული ასაკის ბავშვების თამაში".)

როდესაც თამაშში მონაწილეობთ (ჩარევა შიგნიდან), უფროსის როლიდან უნდა გამოხვიდეთ და მოთამაშის როლი მოირგოთ. ამისთვის, პირველ რიგში, გაიხსენეთ, როგორ თამაშობდით ბავშვობაში, **დაეშვით ბავშვების სიმაღლეზე,** თავი ბავშვად, კომფორტულად და თავისუფლად იგრძენით. **თქვენი სახე და სხეული ცოცხალ და გულწრფელ ინტერესს უნდა გამოხატავდეს**, ბავშვების აქტივობისა და იდეების მიმართ. ბავშვები კარგად რეაგირებენ იმ უფროსებზე, რომლებიც თამაშისას **ენთუზიაზმსა და სითბოს ავლენენ**. თამაშისას **დაიცავით თქვენთვის მორგებული როლის წესები**, ისაუბრეთ და მოიქეცით როლის შესაბამისად. **მიეცით ბავშვებს საშუალება, იყვნენ თამაშის ლიდერები, მიჰყევით მათ მითითებებს**, დაეყრდენით მათ იდეებს და გაუღვივეთ ავტონომიურობის გან-

ცდა. **ჩართეთ თამაშში იუმორი**, ბავშვებს უყვართ მხიარული ხუმრობები და მხიარული სახეები. ბავშვებთან თამაშისას **გამოიყენეთ მარტივი, ნათელი და სახალისო ენა, ყურადღება მიაქციეთ მათ მინიშნებებს და შეეწყვეთ ემოციურად**.

მოყვანილი მაგალითი ზემოთ აღწერილი უნარების საუკეთესო ილუსტრაციაა. ამ მაგალითში ჩანს, როგორი ვირტუოზულობით ახერხებს აღმზრდელი შედარებით მორცხვი ბავშვის თამაშში ჩართვას, ისე, რომ ბოლომდეა როლში შესული ბავშვებთან თამაშისას:

> აღმზრდელი ლალი დრამატულ სივრცეში თამაშობს მაღაზიობანას სამ ბავშვთან ერთად და დაინახა ანა, რომელიც ხშირად მარტო თამაშობს ხოლმე, ამჯერად ის „ჩაის ასმევს“ თავის თოჯინას. ამ დროს ლალი იწყებს როლის გათამაშებას: - „ჩემს მეგობარ ანას ვხედავ ქუჩის მეორე მხარეს“, ეუბნება ბავშვებს: - „გამარჯობა, ანა, ცოტა გვწყურია, რაიმე სასმელს ხომ არ მოგვყიდი?“ ანას სახე უნათდება და ჭიქები ლალისკენ მოაქვს. - „რა ღირს, ეს ჩაი?“ - ეკითხება ანას. -„ხუთი ლარი“ - პასუხობს ანა. -„ისე მინდა ჩაი, ნებისმიერ ფასს გადავიხდი,“ - ამბობს ლალი - „კიდე ვინმეს ხომ არ გინდათ ჩაი, ანა ქალაქში საუკეთესო ჩაის ამზადებს“. დანარჩენი ბავშვები ლალის მაგალითს ჰბაძავენ და ანასგან „ჩაის ყიდულობენ“. ამის შემდეგ, ლალი ცოტა ხანს კიდევ აგრძელებს როლში ყოფნას და როცა ხედავს, რომ ჯგუფმა თამაში გაითავისა, ბავშვებს ტოვებს: „ახლა ავტობუსს უნდა მივუსწრო, დეიდაჩემის სანახავად მივდივარ, მადლობა, ამდენი კარგი რამე რომ მაყიდვინეთ და ასეთი გემრიელი ჩაი დამალევინეთ“. ამ შემთხვევაშიც აღმზრდელი ერთდროულად მუშაობს კურიკულუმის ორივე მიზანზე - ჯგუფის ერთობა - ანას ჩართვა თამაშში და კვლევა-აღმოჩენა - თამაშის ახალი სქემები: “საუკეთესო ჩაი ქალაქში” (ადაპტირებულია წიგნიდან: Language Learning and Loving It).

ამ მაგალითშიც აღმზრდელი მოთამაშის როლს ირგებს, (ჩარევა შიგნიდან):

> აღმზრდელი ხედავს, რომ 3 წლის ლილე თოჯინას ხელით დაატარებს და არწევს. ის თოჯინას არ ელაპარაკება და არც რაიმე სხვა ქმედებებს ასრულებს. –„ლილე, ვხედავ, რომ შენს თოჯინას ლოყები გაუწითლდა, აბა, ხელი დაადე, სიცხე ხომ არა აქვს?“. ლილე აღმზრდელს ცოტა ხანი უყურებს, მერე თოჯინას შუბლზე ხელს ადებს და ამბობს - „კი, ცხელია!“ – „რას, ამბობ! მოდი, სიცხე გავუზომოთ!“ - ამბობს აღმზრდელი, იღებს ფანქარს, ერთი წამით თავად იდებს იღლიაში და შემდე ლილეს აწვდის, ვითომ თერმომეტრია. ლილე აღმზრდელს საქმიანად ართმევს „თერმომეტრს“ და თოჯინას იღლიაში უდებს. თამაშით იქვე მყოფი ლევანიც ინტერესდება, მასაც უნდა გაიგოს, აქვს თუ არა ბავშვს სიცხე.

ამგვარი მონაწილეობით, აღმზრდელი რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს აღწევს: ის ლილეს ეხმარება: 1) გახადოს თამაში უფრო სიმბოლური (სწრაფი შეთავაზება და მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ფანქარი თერმომეტრად გამოვიყენოთ); 2) გააფართოოს თამაშის მარტივი სქემა, ახალი თემის შემოტანით გახადოს თამაში უფრო საინტერესო; 3) გამოიყენოს ახალი სიტყვები და 4) გახადოს თამაში სოციალური (ლევანის თამაშში ჩართვა). ამ პატარა ჩარევით აღმზრდელი კურიკულუმის ორივე მიზანზე გადის (კვლევა-აღმოჩენა, ინტერესის გაღრმავება - ლილემ აღმოაჩინა, თამაშის განსხვავებული საინტერესო გზები და ჯგუფის ერთობა, სოციალური თამაში - ახლა ლილე და ლევანი ერთად თამაშობენ).

ნუ ჩავერევით, თუ ვხედავთ, რომ ბავშვები გატაცებით თამაშობენ.

ზემოთ მოყვანილი სცენარი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი სარგებელი შეიძლება მოიტანოს თამაშში უფროსის ჩართულობამ, მაგრამ, არსებობს სიტუაციები, როდესაც უფროსის ზედმეტმა ჩარევამ შესაძლოა თამაშის შეფერხება გამოიწვიოს. **თუ ხედავთ, რომ ბავშვები თამაშში კარგად არიან ჩართულები, ერთმანეთს ესაუბრებიან და თამაში ვითარდება, თქვენი ჩარევა საჭირო არ არის.** თუ რაიმე მიზეზით, თამაშში ჩარევას გადაწყვეტთ, გახსოვდეთ, რომ თამაშის ლიდერები ბავშვები უნდა იყვნენ, არ დაარღვიოთ მათი ავტონომია ზედმეტი შეკითხვების დასმით, მითითებების მიცემითა და თამაშის მსვლელობის უხეში შეცვლით.

უფროსის მიერ შეთავაზებული საქმიანობები

თამაში, რომელიც უფროსის მიერ არის მოფიქრებული და შეთავაზებული უნდა ეფუძნებოდეს ბავშვების ინტერესებს და მათი განვითარების შესაბამისი და ხელშემწყობი უნდა იყოს. აღმზრდელი თამაშების ინიციირებას აკეთებს, ძირითადად, შეთავაზებების გამოყენებით ან მოდელირებას უკეთებს თამაშს (წამოიწყებს მარტო ან ერთ ბავშვთან ერთად) და ამით უზრუნველყოფს, რომ ამ პროცესს თამაშის ყველა მახასიათებელი ჰქონდეს. თამაში აქტივობისგან იმით განსხვავდება, რომ ამ პროცესიდან აღმზრდელი შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში გავიდეს, მაგრამ ამით თამაში არ შეწყდება.

აღმზრდელის მიერ წამოწყებული თამაში შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი, ან სპონტანური (უცებ მოფიქრებული). ბუნებრივია, წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილი თამაშები გეგმის ნაწილია.

პროვოკაცია (Reggio Emilia-ს მიდგომის თანახმად) არის საგულდაგულოდ შერჩეული და გააზრებულად მოწყობილი კონკრეტული ფიზიკური გარემო და მასალები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ფიქრისა და კვლევის სტიმულირებას. პროვოკაცია არ წარმოადგენს დავალებას, ინსტრუქციას ან წინასწარ განსაზღვრულ ამოცანას, როგორც ეს სტრუქტურირებულ აქტივობაშია. ეს არის ღია, ირიბი შეთავაზება, რომელიც იწვევს ბავშვებს, დააკვირდნენ, იფიქრონ, გამოცადონ იდეები და ღრმად ჩასწვდნენ კონკრეტულ ცნებას ან საკითხს. პროვოკაციაზე პასუხი ბავშვის გადასაწყვეტია: ის ირჩევს, როგორ გამოხატოს ინტერესი, რა გააკეთოს, რამდენ ხანს და რა ფორმით ჩაერთოს პროცესში.

პროვოკაცია არ არის უბრალოდ მასალების შეთავაზება ბავშვის ყურადღების მისაპყრობად, ან თამაშში მოსაპატიჟებლად, სადაც ასევე ხელშეწყობილია ბავშვის ინიციატივა. პროვოკაცია კვლევის და კითხვების გაჩენის სტიმულია.

მაგალითად, უბრალო შეთავაზებაა, როდესაც უფროსი წყლის კონტეინერს დაუდებს ბავშვებს პლასტმასის ჭიქებით, ძაბრებით, პატარა თოჯინებით, ღრუბლებითა და პიპეტებით. ამ შემთხვევაშიც უფროსი არაფერს უხსნის, უბრალოდ, სივრცე მოწყობილია სახალისოდ და მიმზიდველად. ბავშვებს შეუძლიათ, მიუახლოვდნენ, გამოიყენონ მასალები საკუთარი სურვილისამებრ – ჩაასხან, დაასხან, გაწურონ, ითამაშონ. ეს **შეთავაზებაა**, რადგან ბავშვი წყვეტს, ითამაშოს თუ არა. არ არსებობს არც კითხვები, არც მიზნობრივი ფოკუსი — უბრალოდ მიწვევაა თამაშისთვის. ხოლო **პროვოკაციაა,** როდესაც მაგიდაზე მოთავსე-

ბულია ორი გამჭვირვალე ჭიქა: ერთში ცივი წყალია ყინულით, მეორეში – თბილი წყალი. შიგნით ჩაგდებულია პატარა მეტალის ბურთულა. გვერდით დევს წარწერა (ან უფროსი უბრალოდ ამბობს): „რატომ ჩაიძირა ბურთი ერთ ჭიქაში და მეორეში არა?“ ეს არის პროვოკაცია, რადგან მასალა ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებს გაუჩნდეთ კითხვები, დაკვირვების სურვილი, განიხილონ თერმული განსხვავებები, სიმძიმე, მოძრაობა — არ არსებობს სწორი პასუხი, არსებობს კვლევის მოტივაცია.

ან აღმზრდელმა შესაძლოა, ხელოვნების ცენტრში გირჩებისგან შექმნილი დათვების გამოსახულებები გააკრას და იქვე განათავსოს გირჩები, რაც ბავშვებს მსგავსი გამოსახულების შექმნის იდეას „კარნახობს“.

პროვოკაციის მაგალითია ასევე მაგიდაზე განთავსებული მრგვალი სარკეები, ფერადი ბურთულები და შუქის წყარო. ასე განთავსებული მასალები ბავშვებს აწვდის იდეას, იკვლევენ ანარეკლებს, მოძრაობასა და ფერების ცვლილებს.

პროვოკაციის კიდევ ერთი მაგალითია, როდესაც აღმზრდელი დგამს მაგიდაზე ლამაზად გაფორმებულ ყინულებს, რომლებშიც ყვავილებია, იქვე, ახლოს დევს - სინათლის წყარო, ჭურჭელი, გამადიდებელი შუშა, წყალი, ხელსახოცები. ბავშვები ხედავენ და რეაგირებენ: ზოგი ხელით ეხება და ამბობს: „ცივია!“ ზოგი ცდილობს გაადნოს ყინული ან წყალი დაასხას. შეიძლება თავად დასვან შეკითხვები, რაც უფროსს გაუჩენს შესაძლებლობას შემდგომში გამოწვევის შეთავაზებისთვის.

აღმზრდელის მიერ წამოწყებული აქტივობები: აღმზრდელის მიერ წამოწყებული აქტივობები, მის მიერ წამოწყებული თამაშებისგან იმით განსხვავდება, რომ სტრუქტურირებულია, მართავს უფროსი თავად და პროცესშიც სრულად ჩართულია. ამგვარი აქტივობების აუცილებელი პირობაა, რომ მათაც ჰქონდეს თამაშის რამდენიმე მახასიათებელი, თუმცა ყველა ვერ ექნება, რადგან არ არის ბავშვის მიერ არჩეული. ასეთი აქტივობებია დიდი ჯგუფის აქტივობები (მაგ., წრეები და წიგნის დრო) და ასევე მცირე ჯგუფის აქტივობები, მაგალითად “პაპიე-მაშეს” ტექნიკით ბურთის გაკეთება. აღმზრდელის მიერ კარგად განხორციელებული, მართული აქტივობები ბავშვებს აძლევს აქტიური ჩართულობის, ერთმანეთთან ინტერაქციისა და ღია კითხვებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას. ამგვარი აქტივობებისას აღმზრდელი ურიგებს ან უნაწილებს ბავშვებს ამოცანებს და იწვევს მათ ჩართულობას გარკვეული თანმიმდევრულობით, კონკრეტული მოთხოვნების და მიზნების შესაბამისად.

ვიდეო მაგალითი აღმზრდელი მიერ წამოწყებულ აქტივობაზე იხ. აქ:

გამოწვევა არის მიზანმიმართული სასწავლო ან განვითარების ბიძგის მიმცემი მასალა, იდეა, შეკითხვა, კომენტარი ან აქტივობა, რომელიც ბავშვის ამჟამინდელ უნარებზე ცოტათი უფრო რთულია და უბიძგებს მას **ფიქრისკენ, სტრატეგიის განვითარებისა და ახალი უნარების დაუფლებისაკენ**. უფროსის მიერ წამოწყებული აქტივობები არ არის ყოველთვის გამოწვევა, რადგან ბავშვის კომფორტის ზონაშია და მის უნარებთან მიმართებით არ არის რთული. გამოწვევა კი ყოველთვის უნდა მოითხოვდეს გარკვეულ ძალისხმევას ბავშვისგან, რაც ბიძგს აძლევს განვითარების ან ცოდნის შემდგომ საფეხურზე გადასვლას.

გამოწვევას აღმზრდელმა შესაძლოა მიმართოს ნებისმიერ დროს: როდესაც ბავშვები უფროსის მიერ წამოწყებულ აქტივობებში არიან ჩართულები, როდესაც უფროსის მიერ შეთავაზებული რესურსებით ინტერესდებიან, როდესაც უფროსის მიერ ორგანიზებულ პროვოკაციას პასუხობენ, ან მათ მიერ წამოწყებული თამაშებით არიან დაკავებულები.

უფროსის მიერ წამოწყებულ აქტივობაში გამოწვევის შექმნის მაგალითი: უფროსი აჩვენებს, როგორ კეთდება ხელნაკეთი ქაღალდის ფრინველი (სტრუქტურირებული აქტივობა), ხოლო შემდეგ ბავშვებს სთხოვს, თავად შექმნან ქაღალდისგან რაიმე ისეთი, რაც ფრინავს.

უფროსის მიერ შეთავაზებულ რესურსებში გამოწვევის შექმნის მაგალითი: უფროსი წარადგენს ახალ ინსტრუმენტებს მუსიკის კუთხეში (შეთავაზება), ხოლო შემდეგ ბავშვებს სთხოვს, შექმნან მელოდია მხოლოდ 3 ხმის გამოყენებით.

უფროსის მიერ ორგანიზებულ პროვოკაციაში გამოწვევის შექმნის მაგალითი: სივრცეში განათებულია კედელი ან თეთრი ფარდა — მის წინ დგას სხვადასხვა სინათლის წყარო (მაგ. მაგიდის სანათი, ფანარი). ახლოს კი განთავსებულია: გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე მასალები (მაგ. ქსოვილი, შუშის ბურთულები, ბაფთა, ქაღალდი), პატარა ფიგურები, ფოთლები, ხელსახოცები, ძაფები (პროვოკაცია). ზოგი ბავშვი იწყებს ფიგურების მოძრაობას სინათლის წინ, სხვები აკვირდებიან, როგორ იცვლება ჩრდილი მასალის მიხედვით, ზოგი ცდილობს, შექმნას ცხოველის ფორმები. აღმზრდელი ამჩნევს ერთ ბავშვს, რომელიც ამბობს: *„ჩემი ჩრდილი ყველაზე დიდია!“* მაშინ აღმზრდელი ინტერესით ეკითხება: *„როგორ ვფიქრობთ, როგორ შეიძლება გავზარდოთ ან შევამციროთ ჩრდილი?“* ამით ის ქმნის გამოწვევას — ახლა ბავშვები იწყებენ ექსპერიმენტირებას: აახლოებენ და აშორებენ სინათლეს, იყენებენ სხვადასხვა მასალას, ადარებენ ზომებს.

ბავშვების მიერ წამოწყებულ თამაშებში გამოწვევის შექმნის მაგალითი: ბავშვები თამაშობენ სალონობანას, მასწავლებელი მათ სთავაზობს იდეას, შეადგინონ ვარცხნილობების კატალოგი, რათა „კლიენტებმა“ შესაბამისი ვარცხნილობის არჩევა შეძლონ. მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელი ამგვარი ჩართვების დროს იყოს ფრთხილი, მაქსიმალურად დაიკავოს „მოთამაშის“ როლი და არ დაარღვიოს ბავშვების თამაშის დინამიკა და მდგრადობა.

გამოწვევა შესაძლებელია იყოს კოგნიტიური, მოტორული, სოციალური ან ემოციური.

მაგალითები:

მოტორული გამოწვევა (3 წლის ბავშვი): დაბალ კიბეზე გადავლა ბალანსის გარეშე. ბავშვი ცდილობს, მასწავლებელი კი გვერდიდან ეხმარება. მიზანია მოტორიკის განვითარება და თავდაჯერებულობა.

პრობლემის გადაჭრის გამოწვევა (5 წლის ბავშვი): ბავშვებს ეძლევათ სხვადასხვა სიგრძის ჯოხები და ეკითხებიან: *„შეგიძლია, ააგო კოშკი ისე, რომ არ დაინგრეს?“* საჭიროებს წინასწარ ფიქრს, ოდნავი სირთულის გადალახვას.

სოციალური გამოწვევა: ბავშვი, რომელიც ყოველთვის მარტო თამაშობს, მიწვევით ჩაერთოს ერთობლივ საქმიანობაში — ბავშვმა უნდა ისწავლოს თანატოლებთან შეთანხმება ან მათთან თამაში.

ცხრილი 2. გამოწვევისა და პროვოკაციის მახასიათებლები

	პროვოკაცია	გამოწვევა
მიზანი	ცნობისმოყვარეობის, კვლევის სტიმულირება	სწავლისა და სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის ბიძგის მიცემა
ხასიათი	ღია და მრავალმხრივი	მიზანმიმართული და განსაზღვრული
სირთულე	არაა აუცილებლად რთული	შეგნებულად ოდნავ რთული
ბავშვის პასუხი	ბავშვი თავად არჩევს, როგორ იმოქმედოს	ბავშვს სთხოვენ, ცადოს, გაუმკლავდეს, გადალახოს და იგი რეაგირებს, ცდის, აზროვნებს, ეძებს გამოსავალს
ინიციატორი	უფროსი - დაგეგმვის და იდეის ინიციატორი, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვი კი - ქმედებების და პროცესის განვითარების ინიციატორი (ბავშვი წყვეტს, როგორ იმოქმედოს და რა მიმართულება მისცეს)	უფროსი, ბავშვის განვითარების ეტაპის გათვალისწინებით

რას ნიშნავს ბავშვის ინტერესებზე მიყოლა

ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაორგანიზებასა და წარმართვას ბავშვისთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ, მისი სურვილებისა და არჩევანის შესაბამისად. ამ მიდგომის ფარგლებში შეუძლებელია გვქონდეს წინასწარ განსაზღვრული წლიური პროგრამა, სადაც გაწერილი იქნება თემები, რომელსაც „გავივლით“ ბავშვებთან. ამ მიდგომის ფარგლებში, ბავშვი ხდება აღმზრდელის პარტნიორი და მთავარი აქტორი საკუთარ სწავლა-განვითარების პროცესში, ის

იძლევა ბიძგს, თუ რა მიმართულებას მიიღებს საგანმანათლებლო პროცესი, ხოლო აღმზრდელის უმთავრესი მოვალეობა ამ ბიძგების დაფიქსირება და მათ შესაბამისად საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესის ორგანიზებაა.

აღმზრდელი ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომის დასანერგად მიჰყვება ბავშვის ინტერესებს, რაც მოიცავს ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რომელიც ემყარება მათი ცნობისმოყვარეობის, შინაგანი მოტივაციისა და ჩართულობის გაღრმავებას.

ამ პროცესში ის პატივს ცემს თითოეული ბავშვის ინდივიდუალობას, ხელს უწყობს სწავლას გამოცდილების მეშვეობით და ეხმარება ბავშვებს შემოქმედებითობის, პრობლემების გადაჭრისა და სოციალური-ემოციური უნარების ზრდაში. **ბავშვის ინტერესების მიყოლა** ის ერთ-ერთი მთავარი როლია, რომელიც აღმზრდელმა უნდა აიღოს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას, რათა მუდმივად უზრუნველყოს ბავშვის თამაშში ან თამაშის მახასიათებლების მქონე აქტივობებში ჩართულობა.

ბავშვის ინტერესის მიყოლა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ბავშვი ბუნებით ცნობისმოყვარე და მკვლევარია (რაც არ უნდა მცირე იყოს მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები). ბავშვის ინტერესების მიყოლა ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ ამ ინტერესებს დანახვა და დაკვირვება სჭირდება, რომ როდესაც ბავშვს მის ინტერესებში მიჰყვები, ესაუბრები მისთვის საინტერესო თემაზე, ეთამაშები მისთვის საინტერესო თამაშს, სთავაზობ სხვადასხვა მასალებს მისთვის საინტერესო საკითხზე, აღნიშნავ და აფასებ მის ცნობისმოყვარეობას, მას სამყაროს შესახებ ცოდნის ათვისებასა და გაფართოებაში ეხმარები და ასევე იმაში, რომ ჰქონდეს საკუთარი თავის რწმენა. ამით კი სკოლისათვის მზაობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს უქმნი, რადგან უვითარდება პოზიტიური დამოკიდებულება სწავლისადმი და ის უნარები და დამოკიდებულებები, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა, რომელიც სკოლასა და მომავალ ცხოვრებაში ინდივიდის განვითარებისა და ცოდნის მიღების საფუძველია.

რა არის აღმზრდელის როლი ბავშვების ინტერესის მიყოლისას?

ბავშვის ინტერესების გათვალისწინება ადრეულ განათლებაში გულისხმობს მათი ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის, არჩევნებისა და ქმედებების დაკვირვებასა და საპასუხო რეაგირებას.

ბავშვის ინტერესის მიყოლისათვის მათი ინტერესების შემჩნევა საკმარისი არ არის, აღმზრდელი უნდა აკვირდებოდეს და აკეთებდეს ჩანაწერებს ამ ინტერესების შესახებ, ისე, როგორც ამას ბავშვის განვითარების შესაფასებლად აკეთებს (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 12). ამისთვის კი მას სჭირდება უნარი, რათა შეჩერდეს და გარემო, რომელშიც გარედან დაკვირვებას შეძლებს. საგანმანათლებლო პროცესი ისეთნაირად უნდა იყოს წარმართული, რომ აღმზრდელს რჩებოდეს დრო და შესაძლებლობა ჯგუფში დამკვირვებელი იყოს, როდესაც ის მხოლოდ უყურებს და უსმენს ბავშვებს და ინიშნავს იმ საკითხებს, რომელიც ბავშვებისთვის საინტერესოა. მას უნდა შეეძლოს ბავშვთან ურთიერთობის პროცესში და თამაშისას შეაჩეროს ან შეანელოს საკუთარი რეაქციები, რათა ადგილი დაუთმოს ბავშვის ინიციატივებს და შეძლოს მათი დანახვა.

დანახვის შემდეგ რეაგირება სამ ტიპად შეიძლება დავყოთ:

- პროცესში რეაგირება
- ახალი გამოცდილებებით და რესურსით რეაგირება
- ინტერესის გაღრმავების შესაძლებლობების შექმნა

პროცესში ინტერესის მიყოლა გულისხმობს ისეთ რეაქციებს აღმზრდელისაგან, რომელიც ბუნებრივად მომდინარეობს, როდესაც ჩვენთვის ადამიანი საინტერესოა და გვინდა, ზუსტად გავიგოთ, რა უნდა და აინტერესებს. მაგალითად, როდესაც ბავშვი ცვლის საუბრის საკითხს ან თამაშის მიმართულებას, აღმზრდელი უკან კი არ აბრუნებს მას, არამედ მიჰყვება. საუბრისა და თამაშის პროცესში ბავშვის ქცევასა და ინტერესებზე მოზომილად რეაგირებს, ის ბავშვს მიმართულებას აძლევს ფრთხილი შეთავაზებებით და აკვირდება მის რეაქციას, გაჰყვება თუ არა ის ამ სიახლეს, **მაგალითად**:

ბავშვმა დაიწყო მანქანების ხშირი ხატვა, ამიტომ აღმზრდელი ხატვის დროს გვერდით უჯდება და იწყებს მასთან საუბარს მანქანებზე. ამ საუბარში, ის სთავაზობს იდეას, რომ შემდეგ გადავიდნენ კუბურების ცენტრში და იქ გზები აუშენონ მანქანებს. თუმცა, ბავშვი ხატვას რომ ასრულებს, აღარ ახსენებს ამ იდეას. აღმზრდელი აკვირდება, როგორ გადადის ბავშვი სენსორულ ცენტრში. შემდეგ აღმზრდელი მარტო გადადის კუბურებში და იწყებს გზების აშენებას, როდესაც შეამჩნევს რომ ბავშვმა დაინახა, ინტერესით ელოდება შემოუერთდება თუ არა ის მას. ბავშვი სენსორულ ცენტრში აგრძელებს საქმიანობას, ე.ი. მისი ინტერესი მანქანების მიმართ არ ვრცელდება გზების აშენებაზე. წიგნის დროს, დასრულების შემდეგ, აღმზრდელი ბავშვს ყურადღებას უმახვილებს მანქანების შესახებ წიგნზე: "იცოდი, ასეთი წიგნი რომ გვაქვს ჯგუფში?" და ისევ ელოდება ბავშვის რეაქციას. მან ბავშვის რეაქციის მიხედვით უნდა იმოქმედოს - შესაძლოა, ეს წიგნი წაუკითხოს, ან ხელოვნებაში გადაიტანოს და სხვადასხვა მანქანის დახატვის შესაძლებლობა შექმნას, ან სხვა თამაშები წაახალისოს. მაგალითად, წიგნში მანქანის სიჩქარეზეა საუბარი და შეიძლება მანქანების რბოლა ითამაშონ. ბავშვი გადაფურცლავს და აკვირდება სხვადასხვა მანქანის ნახატს. - "გინდა, წაგიკითხო აქ რა წერია?" - ეკითხება აღმზრდელი. ბავშვი კი ამბობს: - "შეხედე რამხელა ბორბლები აქვს". აღმზრდელი ხვდება, რომ ბავშვს ახლა წიგნის კითხვა კი არა, დათვალიერება უნდა და ეუბნება: - "ამ ნახატში მანქანას შენ რომ დახატე, იმაზე დიდი ბორბლები აქვს თუ პატარა?" - "უფრო დიდი, მაგრამ ჩემი მანქანა ამაზე სწრაფია", - პასუხობს ბავშვი. აღმზრდელი მას დახატვას აღარ სთავაზობს, რადგან იცის, რომ მისი წახალისების გარეშეც ბევრს ხატავს ბავშვი, ამიტომ, უბრალოდ დააკვირდება, ამ წიგნის დათვალიერების შემდეგ თუ დაიწყებს ბავშვი განსხვავებული მანქანების ხატვას და შესაძლოა, შემდეგ ჯერზე შესთავაზოს ამ წიგნის გამოყენება ახალი იდეებისთვის.

ბავშვის ინტერესის მიყოლას აღმზრდელი ასევე ახორციელებს ახალი რესურსის ან გამოცდილების შეთავაზებით. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ეს შესაძლოა, შემდეგნაირად გამოვლინდეს: მას შემდეგ, რაც აღმზრდელმა დააფიქსირა ბავშვის ინტერესი, მომდევნო დღეს ხელოვნების ცენტრში, გამოწვევის სახით, შეაქვს დიდი ზომის ყუთები და შესაბამისი რესურსი. ის ბავშვებს წაახალისებს, თავიანთი მანქანები შექმნან. ეს მანქანები კი შემდეგ დღეებში დრამატულ ცენტრში გადააქვს.

ინტერესის მიყოლა საჭიროებს სწრაფ რეაგირებას. ადრეული ასაკის ბავშვებს ძალიან ბევრი რამ აინტერესებთ და საბავშვო ბაღში არსებული გარემო მათ სთავაზობს უამრავ ახალ აღმოჩენას, შესაბამისად, უმრავლესობა ინტერესებისა შესაძლოა სწრაფად და მარტივად გაქრეს, თუ იმ დღესვე ან მომდევნო დღეებში არ მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. იშვიათად არის ინტერესები, რომელიც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ბუნებრივად ნარჩუნდება ჯგუფში. შესაბამისად, ამ კურიკულუმის ფარგლებში ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა მიმდინარე (კვირის) გეგმის მუდმივი გადახედვა და განახლება ბავშვების საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღში ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა თემის ირგვლივ ორგანიზებული სხვადასხვა რესურსი და ღია მასალა (ბუნებრივი და მეორადი), რათა აღმზრდელმა სწრაფი რეაგირება მოახდინოს ბავშვის ინტერესების შესაბამისად..

აღსაზრდელის ინტერესების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას კი აღმზრდელი ახალი გამოცდილებებისა და რესურსების შეთავაზებით, თემატური მიდგომის ან პროექტის მეთოდის გამოყენებით უფრო ორგანიზებულად შეძლებს თუმცა იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ ამ მიდგომების ისე გამოყენება, რომ ბავშვის ინტერესზე დაფუძნებულ მიდგომას არ გავცდეთ, შესაძლებელია, გვქონდეს დღეები ან კვირები, როდესაც ჯგუფში არც თემა და არც პროექტი გვაქვს. ამ პერიოდს აღმზრდელი იყენებს იმისთვის, რათა დაინახოს და შეარჩიოს ინტერესის საკითხი, რომელსაც შემდეგ თემად ან პროექტად აქცევს. ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, მუდმივად იყენებს ინტერესის მიყოლის უკვე აღწერილ ტიპებს.

როდესაც აღმზრდელს ჯერ არ აქვს შეტანილი თემა ან პროექტი, ის საგანმანათლებლო პროცესს გეგმავს იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც ინდივიდუალურ ბავშვებს აქვთ. წლის დასაწყისში ან საახალწლო არდადეგების შემდეგ. შესაძლოა, ვივარაუდოთ რამდენიმე ინტერესი და წინასწარ გაწერილ მიმდინარე (კვირის) გეგმაში ჩავინიშნოთ სავარაუდო ინტერესები, როგორიც არის: საბავშვო ბაღის გარემო და რა შეიძლება ვაკეთო? ვინ არიან ჩემი ჯგუფის მასწავლებლები და თანატოლები? არდადეგებზე ვინ რა გააკეთა და როგორ დაისვენა? და სხვა. აქტივობები, გამოწვევები და რესურსიც მიზნებისა და ამ ინტერესების მიხედვით დაიგეგმება.

ნათიას ჯგუფში ბავშვები მუშაობენ პროექტზე - “როგორ ლაპარაკობენ ცხოველები ერთმანეთთან?” და უკვე მესამე ფაზაზე გადადიან. ამ პროექტის მიმდინარეობისას ნათიას არ დაუფიქსირებია ისეთი ინტერესი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს შემდეგ საკითხად თემატური მიდგომის ან პროექტის მეთოდის ფარგლებში. ამიტომ მომდევნო კვირის გეგმას შემდეგნაირად აწყობს (იხ. გეგმის ნიმუში 1.):

გეგმის ნიმუში 1.

თარიღი: 22-26.10 ასაკობრივი ჯგუფი:-	**ორშაბათი**	**სამშაბათი**	**ოთხშაბათი**	**ხუთშაბათი**	**პარასკევი**
მიზნები	თვითცნობიერება შექმნა				
ინტერესი თემატური მიდგომა პროექტის მეთოდი	სხვადასხვა ბავშვების ინტერესები: ჭიები და ხოჭოები; პრინცესები/გამოპრანჭობანა; კონცერტი და მუსიკოსობა; სანდრო - სუპერგმირები; ნინა - ლეგოები				
აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსი	სამაგიდო - დავამატო ლეგოები დრამატული - შევიტანო მუსიკალური ინსტრუმენტები და მიკროფონი, კოსტიუმები (ძველი ტანსაცმელი და ნაჭრები)	ხელოვნება - მე რომ სუპერგმირი ვიყო - წავახალისოთ, დახატონ საკუთარი თავი სუპერგმირად. კითხვები: როგორ გრძნობს თავს ნახატში? როგორ იგრძნობდა თავს, როცა ... იზამდა? როდის გრძნობ ხოლმე ასე თავს რეალობაში? მეცნიერებაში - წიგნი მიწის ქვეშ არსებულ ცოცხალ არსებებზე. სათამაშო მწერები/ობობები/ჭიები - დაახარისხონ ფეხების რაოდენობის მიხედვით	ხელოვნება - საკერავი მანქანა, ნაჭრები, მუყაოები, ბუსუსა მავთულები, საღებავები. დავეხმაროთ ბავშვებს, შექმნან სუპერგმირის კოსტიუმის ელემენტები (ნიღაბი, მოსასხამი და სხვა). - გადავიტანოთ დრამატულში სათამაშოდ. სენსორული - ქვიშაში სათამაშო ხოჭოები და ჭიები ჩავყაროთ	ხელოვნება - იგივე კუბურები - სამეფო ოჯახების სასახლეების პოსტერების გაკვრა და პატარა ფიგურების შეტანა (დედოფალი, მეფე, რაინდები)	დრამატული "კონცერტობანა" „ბინა" წავახალისოთ დაამზადონ ბილეთები, „გაყიდონ" მოაწყონ „დარბაზი", მოამზადონ ნომრები, ჩაატარონ კონცერტი. მეცნიერება - მატლების ექსპერიმენტი: ხელსახოცების მომზადება (ფლომასტერით ფერებისა და ფორმის მიცემა) წყლისა და პიპეტის შეტანა.
ეზო	მოვაწყო „მეცნიერების ცენტრი" შევიტანო გამადიდებელი შუშა, ნიჩბები, მწერების დასაჭერი ბადე, მწერების მოსათავსებელი სპეციალური ქილები	წავახალისო ჭიების მოძებნა, გადავაადგილო მაგიდა, რომლის ქვეშაც ბევრი მატლია, რომ შეძლონ დაკვირვება			
წიგნის დრო	წავიკითხოთ ის წიგნები, რომელსაც ისინი შეარჩევენ. შევიტანოთ მრავალფეროვანი წიგნები, მათ შორის სუპერგმირებზე. ხაზი გავუსვათ ემოციებს ილუსტრაციებში და იმას, თუ რას გრძნობენ თვითონ წიგნის კითხვის დროს.				
სტრატეგია	დავეხმაროთ ემოციების აღქმაში - აღვწეროთ საკუთარი ემოციები და განცდები; ვასწავლოთ ბავშვებს ემოციების გამომხატველი ახალი სიტყვები. მივცეთ ბავშვებს საშუალება, ხატონ და მოსინჯონ მრავალფეროვანი მასალები.				
ინდივიდუალიზაცია					
კვირის ანალიზი:					

ინტერესის მისაყოლად კურიკულუმი გვთავაზობს თემატური მიდგომის ან პროექტის მეთოდის გამოყენებას. მათ შესახებ შემდეგ თავში წაიკითხავთ (თავი 5), ამ თავში კი გთავაზობთ იმ პროცესის აღწერას. თუ როგორ უნდა შეარჩიოთ საკითხი ბავშვის ინტერესის შესაბამისად.

სწავლის პროცესი უფრო ეფექტურია, როდესაც იგი ბავშვის რეალურ ინტერესებს ეფუძნება და მის გამოცდილებას უკავშირდება. ბავშვებისთვის საინტერესო საკითხთან მრავალფეროვანი ურთიერთობა (გათამაშება, დაკვირვება, მოსმენა, შექმნა, აზრის გამოთქმა, სიახლის გაგება, შეგრძნება) ამ საკითხის გააზრებას, მრავალმხრივ განვითარებას და გამოცდილებების გამთლიანებას უწყობს ხელს.

საკითხის შერჩევის კრიტერიუმები

არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელსაც სპეციალისტები გვთავაზობენ ინტერესის საკითხის შესარჩევად, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება თემატურ მიდგომასა ან პროექტის მეთოდში.

საკითხი უნდა გამომდინარეობდეს ბავშვების ინტერესებიდან

აღმზრდელი აკვირდება ბავშვების ყოველდღიურ თამაშს, უსმენს მათ საუბარს და დიალოგს, რათა გამოავლინოს, რა აინტერესებთ და აღელვებთ მათ. რაზე საუბრობენ ბავშვები ყველაზე ხშირად, რას თამაშობენ, რა აინტერესებთ, ან რის შესახებ აქვთ მეტი კითხვები? რა საკითხებია, რომელიც ინდივიდუალურად აინტერესებთ ბავშვებს და რა ინტერესები აქვთ საერთო სრულ ჯგუფს ან ბავშვების მცირე ჯგუფებს.

რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს

თუ კონკრეტულ საკითხზე არ არსებობს შესაბამისი, მრავალფეროვანი რესურსი, რომელსაც თემის ან პროექტის დროს გამოიყენებთ, მუშაობა შეიძლება ნაკლებად საინტერესო აღმოჩნდეს. ამიტომ, გაითვალისწინეთ, არის თუ არა ხელმისაწვდომი ამ საკითხთან დაკავშირებული რესურსები. მაგალითად, ავტობუსების საკითხზე მუშაობისას (პროექტის შემთხვევაში) შეძლებთ თუ არა ბავშვების წაყვანას ექსკურსიაზე ავტოსადგომში, არიან თუ არა შესაბამისი სპეციალისტები, რომლებსაც მოიწვევთ; (თემის შემთხვევაში) ხელი მიგიწვდებათ თუ არა ავტობუსებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსზე, რომლითაც ყველა ცენტრს დატვირთავთ, როგორიცაა წიგნები, სხვადასხვა ზომის სათამაშო ავტობუსები, დრამატულის ცენტრის ავტობუსად ან ავტობუსის გაჩერების გადასაკეთებლად და ა.შ.

უნდა არსებობდეს საკითხზე ინფორმაციის პირველწყაროდან მიღების შესაძლებლობა

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პირდაპირ და მაქსიმალურად დამოუკიდებლად იკვლიონ საგანი ან მოვლენა შემდეგი საშუალებებით: შეხებით, მოსმენით, გასინჯვით, ახლოს ნახვით, გადაადგილებით, ჩახატვით, მანიპულაციით ან ექსპერიმენტირებით. თუ ისინი მხოლოდ სხვისი მოთხრობილი ამბებით, ნახატებით, წიგნებით ან სხვა „არაპირდაპირი“ საშუალებებით იღებენ ინფორმაციას საკითხზე, ეს ნაკლებად სასარგებლოს

ხდის პროცესს და ვერ უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესის სრულად დაკმაყოფილებას.

ბავშვებისთვის აქტუალური უნდა იყოს

შეარჩიეთ საკითხი/თემა, რომელიც ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება. იმისათვის, რომ ბავშვები უფრო მეტი ინტერესით, სიღრმისეულად ჩაერთონ პროცესში, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა ან გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, შერჩეულ საკითხს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ბავშვების რეალურ გამოცდილებებთან. მაგალითად, ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ბავშვებს უფრო მეტად გაუადვილდებათ ნავების თემაზე მუშაობა, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს - მეტროზე და ა.შ.

უნდა იყოს საგანმანათლებლო მიზნებისთვის ღირებული

საკითხი/თემა უნდა შეიცავდეს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობებს, როგორიცაა ახალი ცოდნის შეძენა, საკითხთან/თემასთან დაკავშირებული კვლევის და მრავალფეროვანი თამაშების გაშლის შესაძლებლობა. საკითხის/თემის ირგვლივ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებამ მრავალმხრივი განვითარებისა და გამოცდილების ინტეგრირების შესაძლებლობა უნდა შექმნას.

ინტერესის იდენტიფიცირების შემდეგ, სანამ მის თემად ან პროექტად ქცევის გადაწყვეტილებას მივიღებთ, მნიშვნელოვანია, მოვსინჯოთ - **დამხმარე პროვოკაციების გამოყენებით.** აღმზრდელი სთავაზობს მასალებს, წიგნებს ან ვიზიტებს, რათა გამოიწვიოს ახალი კითხვები და დააკვირდეს ბავშვების რეალურ ინტერესს. იდენტიფიცირებული, საკითხთან დაკავშირებული პროვოკაციები დაგეხმარებათ უკეთ დაინახოთ, რამდენად დაინტერესდებიან ბავშვები და გამოჰყვებიან ამ სიახლეს, ვინ დაინტერესდება, რა დონეზე მოისურვებს თითოეული ბავშვი ჩართვას. ეს ინფორმაცია კი დაგეხმარებათ, გადაწყვიტოთ, აქციოთ თუ არა ეს საკითხი თემატური მიდგომის ან პროექტის მეთოდის საკითხად და ამ ორი მიდგომიდან რომლის გამოყენება უმჯობესია.

ინტერესების გამრავალფეროვნების მიზნით, აღმზრდელის მიერ წამოწყებული საკითხი

შესაძლებელია, ინტერესის საკითხი უფროსის მიერ იყოს მოფიქრებული და შეთავაზებული, ბავშვების ინტერესების გამრავალფეროვნებისა და გაღრმავების მიზნით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ ეს საკითხიც ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს და მნიშვნელოვანია, დაიცვათ ბალანსი უფროსისა და ბავშვის წამოჭრილი ინტერესების თემა/პროექტად ქცევისას (წელიწადის მანძილზე უმრავლესობა შემთხვევაში ბავშვისგან წამოსული ინტერესები უნდა იყოს გამოყენებული). როდესაც აღმზრდელს მის მიერ წამოწყებული ინტერესი შეაქვს ჯგუფში, მნიშვნელოვანია, თემატური მიდგომის ან პროექტის წამოწყებამდე შესაბამისად მოემზადოს, რადგან მისი მიზანიც უნდა იყოს ამ საკითხის მიმართ ბავშვების ინტერესის გამოწვევა და მათ რეალობასთან დაკავშირება. ამისათვის უფროსი უნდა ეცადოს:

- შთაბეჭდილებები შეუქმნას ბავშვებს, ცნობისმოყვარეობა აღუძრას მათ. საინტერესოდ მიაწოდოს საკითხი: ვიზუალური მასალებით, წიგნებით, რეალური საგნებით, ვიდეოებით ან ექსკურსიით.

- დაგეგმოს ინტერაქციული აქტივობები. შესთავაზოს ბავშვებს საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები.
- ბავშვები ჩართოს გადაწყვეტილების მიღებაში. ჰკითხოს მათ, როგორ აქტივობებს ისურვებდნენ, ან რისი შესწავლა აინტერესებთ ამ საკითხის ფარგლებში.

მას შემდეგ, რაც საკითხი შეირჩევა, აღმზრდელმა უნდა გადაწყვიტოს, ის თემად აქციოს თუ პროექტად. ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ამ ორი მიდგომის გააზრება. მომდევნო თავში სწორედ ეს მიდგომებია აღწერილი და ის, თუ როგორ და რა შემთხვევაში ვიყენებთ თითოეულს.

თავი 5. თემატური მიდგომა და პროექტის მეთოდი

ინტერესზე დაფუძნებული კურიკულუმების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური ფორმებია **თემატური მიდგომა** და **პროექტის მეთოდი.** ეს მიდგომები ითვალისწინებს ბავშვების ინტერესებს და მათ განვითარებას, რის შედეგადაც ბავშვები მათთვის მნიშვნელოვან და აზრიან გამოცდილებებში აქტიურად მონაწილეობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მიდგომას ბევრი საერთო აქვს, ისინი მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან, რისი გააზრებაც აღმზრდელებს ამ მიდგომების ეფექტურად გამოყენებაში დაეხმარება.

აღმზრდელების გუნდი ერთად იღებს გადაწყვეტილებას, რომელი მიდგომა გამოიყენოს. ამ თავში დეტალურად არის განხილული ორივე მიდგომა, მათი ძირითადი მახასიათებლები, ეტაპები და განხორციელების სტრატეგიები, პრაქტიკული მაგალითები და რეკომენდაციები.

თემატური მიდგომა

თემატური მიდგომის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესი ერთი თემის გარშემოა ორგანიზებული. კონკრეტული თემის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, განვითარების სფეროები და მიმართულებები ერთ თემას უკავშირდება და ამ გზით ერთიანდება. ეს მიდგომა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, მათთვის საინტერესო საკითხი სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით შეიმეცნონ, იკვლიონ; ასევე ამ თემასთან მიმართებით, საკუთარი თავი და იდეები სხვადასხვა გზით გამოხატონ, რაც თემის სიღრმისეულ გაგებასა და ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს.

თემატური მიდგომის ძირითადი პრინციპებია:

- **ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროცესი** — საერთო თემა ქმნის გამოცდილების (მიმართულებების და განვითარების სფეროების) ერთიანობას, რაც ბავშვებს ეხმარება ცოდნის ინტეგრირებაში, ცნებების ერთმანეთთან დაკავშირებასა და საკითხის სიღრმისეულ გაგებაში.
- **თემის ირგვლივ სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროცესი** - თემა სრულად მოიცვას საგანმანათლებლო პროცესს, რაც ნიშნავს, რომ ფიზიკურ გარემოში თითოეულ ცენტრში მასთან დაკავშირებული რესურსის მრავალფეროვნებაა. ასე ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა, სხვადასხვა ტიპის თამაშებით შეისწავლონ ახალი საკითხები და ასევე გამოიყენონ შეძენილი ცოდნა.
- **ბავშვების აქტიური მონაწილეობა** — იქიდან გამომდინარე, რომ თემა ბავშვებისთვის საინტერესოა და ცნობისმოყვარეობას აღძრავს, აქტივობები და თამაშები მრავალფეროვანი და განვითარების შესაბამისია. ისინი აქტიურად ერთვებიან საგანმანათლებლო პროცესში, რაც შედეგიანს ხდის სწავლისა და განვითარების პროცესს.
- **მიზნობრივი, უფროსის მიერ დაგეგმილი თამაშები და აქტივობები** — თემატური მიდგომა იყენებს უფროსის მიერ თემის ირგვლივ დაგეგმილ თამაშებს, ექსპერიმენტებსა და აქტივობებს, სადაც ბავშვების შესაძლებლობები და საჭიროებებია გათვალისწინებული და მიზნად ისახავს თემის ღრმა გაცნობას და კურიკულუმის მიზნების მიღწევას.
- **კავშირი რეალურ ცხოვრებასთან** — თემები და აქტივობები პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებას, რაც სწავლის პროცესს უფრო პრაქტიკულს, შინაარსიანს და ღირებულს ხდის.

განხორციელების ეტაპები

თემის შერჩევა და დაგეგმვა

ჯგუფში ისეთი ინტერესის დაფიქსირების შემდეგ, რომელიც აკმაყოფილებს საკითხის შერჩევის კრიტერიუმებს (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 4). აღმზრდელმა შესაძლოა, გადაწყვიტოს ამ ინტერესის თემატური მიდგომის საკითხად გადაქცევა, თუ მას ასევე შემდეგი კრიტერიუმები ახასიათებს:

- საკითხი ფართოა, ინტერესის სფერო არ არის კონკრეტული და შესაძლებელია მოიცავდეს ყველაფერს, რაც კი ამ საკითხს უკავშირდება, მაგალითად, ფერმა და შინაური ცხოველები, პლანეტები, დინოზავრები და სხვა.
- ინტერესის საკითხი ბავშვისთვის არ არის პირდაპირ დაკავშირებული კვლევა აღმოჩენასთან, მას უბრალოდ აინტერესებს და მოსწონს ამ საკითხზე ფიქრი ან თამაში და არ მოელის, რომ რაღაცას აღმოაჩენს ან შექმნის.

ფიზიკურ გარემოში თემის შესაბამისი ცვლილებები - თემის შეტანის პირველი დღისთვის მნიშვნელოვანია, ფიზიკურ გარემოში არსებულ ცენტრებში დაიგეგმოს რესურსის განახლება, რაც გულისხმობს თემის შესაბამისი სპეციფიკური რესურსის შეტანას. რესურსი ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ ჯგუფში შემსვლელისთვის ერთი თვალის გადავლებითაც თვალსაჩინო იყოს, რა თემაზე მუშაობენ ბავშვები.

რესურსის შეტანა შესაძლებელია გულისხმობდეს ჯგუფში არსებული რესურსის დროებით გატანასაც. მაგალითად, დინოზავრების თემის გაშლის მიზნით, კუბურების ცენტრში დატოვებთ კუბურებს, ბუნებრივ რესურსს (გირჩები, ჯოხები და მორები) და გაიტანთ მანქანებს და შინაური ცხოველების ფიგურებს. სამაგიდო ცენტრში კი სხვა თემის ირგვლივ არსებულ ფაზლს დინოზავრების ფაზლით ჩაანაცვლებთ. არათემატური რესურსის გატანა ასევე დაგეხმარებათ ბავშვების ინტერესის მეტად შენარჩუნებასა და მათ ფოკუსირებაში შემოტანილ თემაზე.

თუმცა, მნიშვნელოვანია ყველა არათემატური რესურსი ოთახიდან არ გაიტანოთ. არათემატური რესურსის დატოვების მიზეზი შესაძლოა, ერთი ან რამდენიმე ბავშვის სხვა საკითხის მიმართ ინტერესი იყოს. მაგალითად, თუ გიო მანქანებით მუდმივად თამაშობს, ოთახში რამდენიმე მანქანა აუცილებლად უნდა დატოვოთ; თუ დრამატულ ცენტრში ბავშვები ხშირად ირგებენ კოსტიუმებს (მეორად ტანსაცმელს), შესაძლოა დრამატულის სივრციდან „სამზარეულოს“ ავეჯი გაიტანოთ და გადააკეთოთ „ტყედ“. აღჭურვოთ დინოზავრების ქაღალდის ქუდებით, ფრთებით ან კუდებით, ბავშვების დინოზავრების როლის მორგების წასახალისებლად, თუმცა ერთ კუთხეში დატოვოთ ყველა სხვა კოსტიუმებიც, რათა ბავშვებს “არათემატური” თამაშის ინიციირების საშუალებაც ჰქონდეთ.

დაგეგმვა ინტერესის შენარჩუნებისათვის - წრის შეხვედრები დილაობით მნიშვნელოვანი მომენტია, რათა შერჩეული თემის მიმართ ინტერესი შეინარჩუნოთ და გაზარდოთ. შესაბამისად, აღმზრდელი თემატური მიდგომისას განსაკუთრებულად გეგმავს დილის წრეს და იყენებს მას, რათა ყოველ დილით თემისადმი ინტერესი შეუნარჩუნოს. საუკეთესო პრაქტიკაა დილის წრეზე განსაკუთრებული რესურსის შეტანა და ამ რესურსის ირგვლივ კითხვების დასმა ან ბავშვების კითხვების წახალისება. მაგალითად, დინოზავრების თემის ირგვლივ, სხვადასხვა დღეს, შესაძლებელია, აღმზრდელს დაგეგმილი ჰქონდეს ბავშვებს დილის წრეზე დაახვედროს ახალი წიგნი დინოზავრებზე, დინოზავრის „ძვლები“, მოკლე ვიდეო დინოზავრებზე და სხვა.

სიახლეები ასევე მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის ინტერესის შენარჩუნებისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, აღმზრდელს მოფიქრებული ჰქონდეს განსაკუთრებული აქტივობები და თამაშები, რომელსაც არა პირველ დღეს, არამედ თემის მსვლელობისას შეიტანს. მაგალითად, სენსორულ ცენტრში პირველივე დღეს შესაძლოა, ქვიშაში დინოზავრის პატარა ფიგურები შეიტანოთ, გათხრების იმიტაციისთვის, თუმცა თემის მანძილზე დაგეგმილი გქონდეთ ამ სივრცეში სხვადასხვა დღეს შემდეგი გამოწვევები: ოთხშაბათს - ყინულებში ჩასმული პატარა დინოზავრები, სათამაშო ჩაქუჩები, ბოთლებით ცივი და თბილი წყალი, მარილი. პარასკევს - ძვლები თიხაში და არქეოლოგიური ხელსაწყოები. ხელოვნების ცენტრში კი პირველივე დღიდან შეიძლება იყოს სხვადასხვა დინოზავრის პლაკატები ან გადაშლილი წიგნები, რათა წაახალისოთ დინოზავრების ხატვა, მომდევნო დღეებში კი დაგეგმოთ დინოზავრების გამოძერწვა თიხით და სხვა ბუნებრივი რესურსით ან დინოზავრების შექმნა/აწყობა მეორადი რესურსის გამოყენებით (ყუთები, ბორბლები, მუყაოს შეკვრა და სხვა).

აქტივობების კურიკულუმის მიზნებთან დაკავშირება - იფიქრეთ, როგორ დაგეხმარებათ თემატური აქტივობები, თემის სიღრმისეულ გაგებასთან ერთად, კურიკულუმის მიზნების მიღწევაში. დაუკავშირეთ აქტივობები/გამოწვევები კურიკულუმის მიზნებს. გამოყავით კუ-

რიკულუმის კონკრეტული მიზნები, რაზეც გსურთ ბავშვებთან მუშაობა და დაუკავშირეთ თემატურ აქტივობებს. მაგალითად, ბავშვებს აინტერესებთ დინოზავრები. დინოზავრებთან დაკავშირებული აქტივობებისა და გამოწვევების მოფიქრებისას იფიქრეთ ასევე, კურიკულუმის რა მიზნებზე მუშაობთ ბავშვებთან. თუ თქვენი მიზანია სენსორული კვლევა, ან/და შემოქმედებითობა და სოციალური თამაში, იფიქრეთ, რომელი აქტივობები რომელ მიზნებზე გასვლაში დაგეხმარებათ. მაგალითად, ქვიშაში, თიხაში (ან სენსორულად განსხვავებულ მასალაში) არქეოლოგიური გათხრების - დინოზავრის ნამარხების მოძებნა სენსორულ კვლევას უკავშირდება; შემოქმედებითობის ხელშეწყობის მიზნით, ბავშვებმა შეიძლება უნიკალური დინოზავრები შექმნან ასევე მრავალფეროვანი, სენსორულად განსხვავებული ღია მასალით. სოციალური თამაშის ხელშესაწყობად, დრამატული სივრცე აღჭურვეთ დინოზავრების ქაღალდის ქუდებით, ფრთებით, ან კუდებით, მინიატიურული სათამაშოებით, ბუნებრივი მასალით (ქვები, ტოტები), რათა ბიძგი მისცეთ დინოზავრების როლის მორგებას და ახალი ისტორიების შექმნას გუნდურად.

თემა საგანმანათლებლო პროცესში

ხანგრძლივობა - თემა შესაძლოა, ერთი დღიდან რამდენიმე კვირამდე ხანგრძლივობის იყოს. ეს დამოკიდებულია თვითონ საკითხზე, რამდენად გვაძლევს ის შესაძლებლობას, გავშალოთ მრავალფეროვან აქტივობებად ან ჩავშალოთ უფრო ვიწრო ქვეთემებად. მაგალითად, შინაური ცხოველების თემა შესაძლოა, რამდენიმე დღის მანძილზე ფოკუსირებული იყოს ძაღლის, შემდეგ კი კატის ირგვლივ აქტივობებზე. თემის ამოწურვა უნდა ხდებოდეს ბავშვების უმეტესობის ინტერესის დაკმაყოფილების შემდეგ. როგორც კი ბავშვები ავლენენ ახალ ინტერესებს და აღარ ინტერესდებიან თემის ირგვლივ საკითხებით, ეს ნიშანია, რომ მათი ინტერესი ამოიწურა და დროა, ახალი თემა ან პროექტი შევთავაზოთ.

აღმზრდელის როლი.- აღმზრდელები აწყობენ გარემოს და აკვირდებიან ბავშვების ჩართულობას, მათ პროგრესს, აკეთებენ ჩანაწერებს, იყენებენ კურიკულუმის მიზნებთან დაკავშირებულ სტრატეგიებს მეტი ეფექტურობისთვის მიზნებზე გასასვლელად - პროცესში მოქმედებენ ისე, როგორც ბავშვის ინტერესზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს.

პრაქტიკული რეკომენდაციები თემატური მიდგომის განხორციელებისთვის

- მრავალფეროვნება: მოამზადეთ მრავალფეროვანი მასალა და ეცადეთ, ცენტრებში ერთნაირად მიმზიდველი, მრავალფეროვანი გამოწვევები შექმნათ, რათა თავიდან აირიდოთ ბავშვების მხოლოდ ერთი ცენტრით ან აქტივობით დაინტერესება.
- თანამშრომლობა მშობლებთან: უთხარით მშობლებს თემის შესახებ და შესთავაზეთ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობა ან სხვა გზით თანამშრომლობა.
- მიზნებთან შესაბამისობა: თემა არ წარმოადგენს მიზანს. ნებისმიერი ინტერესის საკითხი მიზნებზე გასვლის და ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, თემის შერჩევისას არ არის საჭირო მიზნებზე ფიქრი, თუმცა, როდესაც თემის ირგვლივ მრავალფეროვან გამოცდილებებს დაგეგმავთ, ამ დროს უნდა დაუკავშიროთ ისინი (აქტივობები და თამაშები) მიზნებს. თითოეული აქტივობა, ერთი მხრივ, უნდა ეხმიანებოდეს თემას, და, მეორე მხრივ, იძლეოდეს მიზანზე გასვლის შესაძლებლობას.

- ბავშვების ინიციატივის წახალისება: მიეცით ბავშვებს თავისუფლება, მოიფიქრონ ახალი იდეები და თვითონ შესთავაზონ თემასთან დაკავშირებული აქტივობები.
- გუნდური მუშაობა: სხვა აღმზრდელებთან ერთად დაგეგმეთ თემატური აქტივობები და ერთმანეთს გაუზიარეთ იდეები, რესურსები, გამოცდილება.
- სრული ჯგუფის მოცვა: ეცადეთ, ისეთი ინტერესები გამოიყენოთ თემატური მიდგომის საკითხებად, რომელიც ბავშვების დიდ უმრავლესობას ბუნებრივად აინტერესებს, ან რომლითაც უმრავლესობის დაინტერესებას შეძლებთ. შესაძლებელია, ინტერესი ერთი ბავშვიდან მოდიოდეს, თუმცა თუ სხვა ბავშვებიც ვერ დააინტერესეთ, მაშინ თემატური მიდგომის შესაბამისად, საკითხით სრული ჯგუფის მოცვა არასწორი იქნება, რადგან გამოვა, რომ პროცესი უმრავლესობის ინტერესზე ორიენტირებული არ არის.

თემატური მიდგომის ამსახველი ვიდეო მაგალითი იხ. აქ:

პროექტის მეთოდი

პროექტის მიდგომა ბავშვების ინტერესებს ეფუძნება და ბავშვების აქტიური მონაწილეობით პრობლემების კვლევასა და გადაწყვეტაზეა ფოკუსირებული. ეს მიდგომა ბავშვებს

საშუალებას აძლევს, განივითარონ კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, გუნდური მუშაობა და დამოუკიდებელი კვლევითი უნარები.

პროექტის მიდგომის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესში, სხვა საქმიანობების პარალელურად, ხდება ერთ საკითხზე ფოკუსირება და ამ საკითხის კვლევა შედარებით ხანგრძლივ დროში. ეს კვლევის პროცესი სამი ფაზისგან შედგება - ბავშვები იწყებენ საკვლევი კითხვის ჩამოყალიბებით და დაგეგმვით, შემდეგ აკეთებენ აღმოჩენებს და საბოლოოდ აჯამებენ და აზიარებენ მიღებულ შედეგებს.

პროექტის მიდგომის მთავარი მახასიათებლები:

- **ბავშვებზე ორიენტირებული:** პროექტები ხშირად იწყება ბავშვების მიერ წამოყენებული კითხვებიდან ან იდეებიდან.
- **კვლევაზე დაფუძნებული:** პროექტი მოიცავს ცნობისმოყვარეობის სტიმულირებას, ჰიპოთეზების ფორმირებას, ექსპერიმენტებს და დასკვნების გამოტანას.
- **კომუნიკაცია და თანამშრომლობა:** ბავშვები თანამშრომლობენ, გამოთქვამენ იდეებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და ქმნიან საბოლოო პროდუქტს.
- **მასტიმულირებელი გამოცდილება:** პროექტები მრავალმხრივია და მოიცავს იმ საქმიანობებს, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, მეცნიერებას, ტექნოლოგიას და სხვა სფეროებსა თუ მიმართულებებს.

განხორციელების ფაზები

პროექტის მეთოდის ფარგლებში, საკითხის სიღრმისეული კვლევის პროცესი შემდეგ სამ ფაზას გადის. ესენია:

1. პროექტის საკითხის შერჩევა, კითხვების ჩამოყალიბება, დაგეგმვა
2. პროექტის იდეის განვითარება, კვლევა
3. შეჯამება

პირველი ფაზა – პროექტის საკითხის შერჩევა, დაგეგმვა, კითხვების ჩამოყალიბება-შერჩევა

პროექტი საკვლევი საკითხის შერჩევით იწყება, რომელიც ბავშვებისთვის საინტერესოა. მაგალითად, “როგორ ამოსდის ხეს ყვავილები?” ან “როგორ შენდება ქალაქი?” „როგორ იბადებიან ცხოველები?“

ჯგუფში ისეთი ინტერესის დაფიქსირების შემდეგ, რომელიც აკმაყოფილებს საკითხის შერჩევის კრიტერიუმებს (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 4), აღმზრდელმა შესაძლოა, გადაწყვიტოს ამ ინტერესის პროექტად გადაქცევა, თუ მას ასევე შემდეგი კრიტერიუმები ახასიათებს:

- **ინტერესის საკითხი უნდა იყოს კონკრეტული**

რაც უფრო კონკრეტულია თემა, მით უფრო მარტივია ბავშვებისთვის მისი გაგება და მასზე კონცენტრირება. ამიტომ, უმჯობესია, არ განაზოგადოთ საკითხები და შეეცადეთ, იყოს კონკრეტული, ფორმულირება კი - შეკითხვის სახით ჩამოყალიბებული. მაგალითად, კონ-

კრეტული კითხვებია: “როგორ მუშაობს სახანძრო მანქანა?“ „რატომ მოძრაობენ საათის ისრები?“ ზოგადი თემებია: „ცხოველები “, „დრო“, „ბუნება“, რაც არ არის სასურველი პროექტის თემად იყოს შერჩეული.

- **ინტერესის საკითხი უნდა იძლეოდეს პრაქტიკული კვლევის და მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას:**

პროექტის საკითხი, თემა ბავშვებისთვის ***საკვლევი ამოცანა უნდა იყოს.*** თემატური მიდგომისთვის შერჩეული თემისგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება მხოლოდ ბავშვების ინტერესს ეფუძნებოდეს, ინტერესის გარდა, პროექტს სჭირდება პრობლემური საკითხი. ნებისმიერი თემა პროექტისთვის არ გამოდგება, ის რაღაც გამოწვევას უნდა შეიცავდეს, რამაც ბავშვებს ამ საკითხის კვლევისკენ უნდა უბიძგოს. ეს შეიძლება იყოს ის, რაც არ იციან და უნდათ, აღმოაჩინონ, ან ის რისი გაკეთებაც არ შეუძლიათ და უნდათ, შეძლონ.

იმისათვის, რომ პროექტი საინტერესო და სახალისო იყოს, საკითხი უნდა იძლეოდეს სხვადასხვაგვარ საქმიანობებში ჩართვის და კვლევის შესაძლებლობას. მაგალითად: „როგორ მუშაობს ქარის წისქვილი?“ ამიტომ, საკითხის შერჩევისას დაფიქრდით, შეძლებენ თუ არა ბავშვები ამ პროექტზე მუშაობისას, მრავალფეროვან აქტივობებში ჩართვას და განსხვავებული მასალების გამოყენებას.

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი პროექტზე “მეცნიერული ლაბორატორია“

მაშინ. როდესაც ჯგუფში თითოეული ბავშვის თამაშს მივყვებოდით და გუნდურად არაფერს ვიკვლევდით, გადავწყვიტეთ, განსაკუთრებული მეცნიერული აქტივობა შეგვეთავაზებინა ბავშვებისთვის. გავაკეთეთ ჩვენი წინასწარი მოლოდინების ცხრილი, ჩავატარეთ ექსპერიმენტი, დავაკვირდით, რა მოხდა, ვისაუბრეთ. საუბარში ერთ-ერთმა ბავშვმა თქვა: „ესეთ რაღაცეებს მეცნიერები აკეთებენ“. იმ დღეს ძალიან კმაყოფილები დავრჩით, რომ ასეთი მხიარულება და ინტერესი გამოიწვია ამ აქტივობამ, მაგრამ პროექტზე არ გვიფიქრია. მეორე დღეს ბავშვებმა ისევ მოინდომეს ექსპერიმენტების ჩატარება, იგივე რესურსი აღარ გვქონდა. ამიტომ ჯგუფში შემოვიტანეთ ყველაფერი რაც კი მარტივად მოგვეპოვებოდა: ძმარი, სოდა, ზეთი, წყალი და ჭურჭელი. ბავშვების თამაშის ყურებისას დავაფიქსირე, რომ ეს ინტერესი შეიძლებოდა პროექტად ქცეულიყო...

იდეა მალე მომივიდა... „მეცნიერობანას“ თამაში მოსწონთ და აინტერესებთ და თან ოთახში არ გვაქვს მეცნიერების კარგად მოწყობილი ცენტრი. ამით დაიწყო პროექტი „როგორ მოვაწყოთ ლაბორატორია?“

წყარო: ადრეული განათლება, N 4 (2024).

პროექტის მეთოდისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ბავშვები უნდა იყვნენ ჩართულნი თავიდანვე, პროექტის საკითხის შერჩევაშიც კი. ბავშვები და აღმზრდელი ერთად განიხილავენ, რა საკითხი გახდება მათი კვლევის საგანი. ბავშვებმა თავად უნდა ჩამოაყალიბონ კითხვები და საკვლევი ამოცანები, რომელიც მათ ინტერესს უკავშირდება. მაგალითად, თუ პროექტის საკითხია - “ამ მარცვლიდან ხე ამოვა?”, შეკითხვები შეიძლება იყოს: “როგორ შეიძლება გავიგოთ, რომ მარცვალმა დაიწყო ზრდა?“ „რა პირობებია საჭირო, რომ გაიზარდოს?“

პროექტის ამ ეტაპზე ბავშვების მიერ ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვები პროექტის შემდგომი ფაზის საფუძველი ხდება. ამ ეტაპზე, აღმზრდელის დახმარებით, ისინი ქმნიან გონებრივ რუკას, რომელიც ასახავს ბავშვების კითხვებს, იდეებს, თავისი ვიზუალური, გრაფიკული გამოსახულებებითა და ნახატებით.

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი
წარუმატებელ პროექტზე

რატომ არ გამოგვივიდა პროექტი ფოტოაპარატზე? პირველ რიგში, იმიტომ, რომ ბავშვების რეალური ინტერესი ვერ დავინახე. იმდენად ვიყავი საკუთარ იდეებზე ჩაბღაუჭებული, რომ პროვოკაციის შედეგად ველოდი, როდის გაჩნდებოდა ის კითხვა რომელიც მე მინდოდამ რომ გვეკვლია, იმის მაგივრად, რომ შემემჩნია, მათი ინტერესი ფოტოაპარატის მიმართ - როგორ მუშაობს? რისთვის არის ღილაკები? ლინზა რატომ ტრიალებს?

ამ პრობლემის გადასაჭრელად ორი მნიშვნელოვანი სტრატეგია დავნერგე ჩემს პრაქტიკაში - რეფლექსური დღიურის წერა, რომელიც მაძლევდა საშუალებას, ჩემი ემოციები და ფიქრები განმეცალკევებინა ბავშვების საჭიროებებისგან და ამით რეალური სურათი უკეთ დამენახა; და გუნდურად მუშაობა ჩემი ჯგუფის სხვა აღმზრდელებთან, მათთან ერთად ფიქრი იმაზე, თუ რა ხდება ჯგუფში და რა ინტერესები აქვთ რეალურად ბავშვებს.

წყარო: აღრეული განათლება, N 4 (2024).



წარმოდგენილი ნიმუში ასახავს გონებრივ რუკას საკითხზე - “კვერცხი”. შუაში წრეში წარმოდგენილია ინტერესის საკითხი. მას უკავშირდება ბავშვების მიერ წამოჭრილი კითხვები, ასევე, რაც უკვე იციან და მათი იდეები, რა შეიძლება გააკეთონ ამ საკითხის ირგვლივ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ დაგეგმვის რუკის ცვლილება შესაძლებელია პროექტის მიმდინარეობისას. მას შეიძლება დაემატოს ახალი საკითხი ან კითხვა, რომელსაც ბავშვები პროექტის მსვლელობისას წამოჭრიან.

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი პროექტზე „მეცნიერული ლაბორატორია“

გავაკეთეთ პროექტის რუკა ლაბორატორიის შესახებ - ვისაუბრეთ და ჩავინიშნეთ, რა ვიცით, რას აკეთებენ იქ მეცნიერები, როგორი უნდა იყოს, რა ნივთები დაგვჭირდება და როგორ გავარკვიოთ ის, რაც არ ვიცით.

პირველი ფაზა: დაგეგმვა. ერთად მოვიფიქრეთ როგორ და სად შეგვეძლო გადაგვემოწმებინა და მოგვეძია ინფორმაცია, შევთანხმდით, რომ წავიდოდით ექსკურსიაზე ნამდვილი ლაბორატორიის სანახავად და როდესაც გვეცოდინებოდა, თუ რა გვჭირდება, შევაგროვებდით საჭირო რესურს და ერთად მოვაწყობდით სივრცეს, სადაც ექსპერიმენტებს ყოველ დღე ჩავატარებდით, ნამდვილი მეცნიერებივით.

პროექტის მეორე ფაზა - ინფორმაციის დასაზუსტებლად დავათვალიერეთ სამეცნიერო წიგნები და ვნახეთ სურათები, ასევე ვუყურეთ მოკლე ვიდეოებს და შევავსეთ პროექტის რუკა ახალი ინფორმაციით. ბავშვებმა რესურსების სიის კეთება დაიწყეს.

ამავე ფაზის დროს წავედით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში.

წყარო: ადრეული განათლება, N 4 (2024).

შესაძლოა, დაემატოს ახალი თამაში, რომელსაც ბავშვების ინტერესების შესაბამისად დაგეგმავთ. რუკას შეიძლება დაამატოთ პროექტის განმავლობაში შეძენილი ახალი ცოდნა, რაც შეიძლება ერთჯერადად ან ყოველი აქტივობის განხორციელების შემდეგ ხდებოდეს. ამასთან, შესაბამის საკითხთან მიუთითეთ, რა ახალი ინფორმაცია მიიღეთ. პროექტის საკითხის შერჩევის, მისი გავრცობისა და განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია თქვენ მიერ დასმული და ბავშვების მიერ ჩამოყალიბებული კითხვები.

მნიშვნელოვანია, ბავშვების ინტერესების კითხვებად ჩამოყალიბება. უფროსი ასაკის ბავშვები ადვილად აყალიბებენ შეკითხვებს, პატარებისთვის კი, კითხვის ჩამოყალიბება შეიძლება მარტივი არ იყოს, გრძელ საუბარში გადაიზარდოს. შეგიძლიათ, დაეხმაროთ ბავშვებს კითხვის ფორმულირებაში და უთხრათ. ეს არის, რისი გარკვევაც გინდა? გაინტერესებს, რა ... ? გაინტერესებს, როგორ ...?

არ უნდა მოგერიდოთ თქვენი კითხვების დასმაც: მაინტერესებს, როგორ...? მაინტერესებს, სად...? და ა.შ. 037

ეს შეგიძლიათ გააკეთოთ ინდივიდუალურად, ბავშვების მცირე ან დიდ ჯგუფებთან და გამოკვეთოთ ბავშვების სპეციფიკური კითხვები პროექტის საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგს შეიძლება აინტერესებდეს კვერცხის აგებულება, სხვას - კვერცხისმდებელი არსებები, ნაწილს კი - რა მზადდება კვერცხისგან. აქედან გამომდინარე, კითხვების დახარისხება სხვადასხვა კატეგორიებადაა შესაძლებელი.

კითხვები აუცილებლად უნდა ჩაიწეროთ, გადაიტანოთ ფორმატზე რუკების ან სიების სახით და მიუწეროთ ბავშვების სახელები. მეტი თვალსაჩინოებისთვის, უმჯობესია, კითხვებს გაუკეთდეს გრაფიკული მინიშნებები შეკითხვასთან დაკავშირებული ჩანახატის სახით.



კითხვების ჩამოყალიბებასთან ერთად, ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს, ანუ ჰიპოთეზებს, რაც ასევე უნდა ჩაინიშნოთ ფორმატზე. სასკოლო ასაკის ბავშვებთან კი შესაძლოა წაახალისოთ მარტივი სიმბოლოების სახით, თავადვე ჩაინიშნონ საკუთარი ჰიპოთეზები.

ბავშვებთან ერთად განიხილავთ და გეგმავთ კითხვებზე პასუხების მოპოვების გზებს. ბავშვებს, რომლებსაც ნაკლები კომპეტენცია და გამოცდილება აქვს, თქვენ უნდა შესთავაზოთ ეს გზები. შესაძლებელია, ზოგჯერ არჩევანი გააკეთებინოთ, ხოლო უკვე გამოცდილი ბავშვები თავად მოგაწვდიან საინტერესო იდეებს. ასე იგეგმება კონკრეტული თამაშებიც, აქტივობებიც, ექსპერიმენტებიც, ექსკურსიაც, ექსპერტებთან შეხვედრებიც, ფიზიკური გარემოს გადაწყობაც, რათა დაიწყოს აქტიური კვლევის ფაზა.

ძირითადი კითხვების ჩამოყალიბების და მასთან დაკავშირებული კვლევითი აქტივობების დაგეგმვის შემდეგ, იწყება პროექტის მომდევნო - მეორე ფაზა. მეორე ფაზა აქტიური კვლევისა და საქმიანობების დროა, როცა ბავშვები, კვლევების და ცდების საშუალებით, საკუთარ კითხვებზე პასუხების მოძიებას იწყებენ და ჰიპოთეზების გადამოწმებას ახდენენ.

ამ ეტაპზე ხდება დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, როგორიცაა: ექსპერიმენტები, თამაშები.
ყურადღებით დააკვირდით და იფიქრეთ, შესაძლებელია თუ არა ბავშვების კითხვაზე პასუხის გასაცემად და ვარაუდის (ჰიპოთეზის) გადასამოწმებლად სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება - მანიპულაცია ნამდვილი ნივთებითა და საგნებით იმგვარად, რომ ბავშვებმა შეძლონ შედეგის თვალსაჩინოდ დანახვა. კვერცხთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მისაღებად დაიგეგმა ექსპერიმენტები: კვერცხის გატეხა და შიგთავსზე დაკვირვება, მორევა, გაცხელება, გადასხმა, მთლიანი კვერცხისა და ბუმბულის წყლიან თასში ჩაყრა და დაკვირვება, ჩაიძირება თუ არა. ასევე, უმი და მოხარშული კვერცხის გაგორება და დაკვირვება მათ მოძრაობაზე. ასევე მაგალითად, თუ საკვლევი თემა იყო მარცვალი, ისინი აკვირდებიან, ზომავენ და ადარებენ, როგორ იზრდება მარცვალი სხვადასხვა გარემოში. სურთ, ნახონ, რა მოხდება, თუ პირობებს შეუცვლიან. სხვა პროექტის ფარგლებში ექსპერიმენტის მეშვეობით დაადგინეს, რატომ ვდებთ წყალში მოტეხილ ღეროს. ორი ღერო შეადარეს ერთმანეთს: ერთი - წყალში ჩადებული და მეორე - წინასწარ წყალში გაჩერების გარეშე დარგული. დაკვირვების შედეგად, ბავშვებმა ნახეს, რომ წყალში ჩადებული ტოტი დაფესვიანდა, უწყლოდ კი - გახმა.

თემასთან დაკავშირებით წიგნების წაკითხვა, დათვალიერება, ვიდეოების ნახვა, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, საბავშვო აპლიკაციების გამოყენება კვლევის ერთ-ერთი საშუალებაა, სადაც ბევრ საინტერესო პასუხებს ნახულობენ.

კვლევის პროცესშიც ყურადღებით დააკვირდით ბავშვებს, ჩაინიშნეთ ან წაახალისეთ, თავად ჩაინიშნონ მათი აღმოჩენები, ახალი კითხვები და ახალი კვლევითი გზების იდეები. ეს პროცესი გრძელდება ბავშვების ინტერესის საბოლოო დაკმაყოფილებამდე.

გახსოვდეთ! აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს აქტივობებში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების ინიციატივა და კითხვები კვლევის ძირითადი მიმართულების მიმცემი იყოს.

ტექნოლოგიების გამოყენება

კვლევის პროცესში ვიყენებთ სპეციალური ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს, რომელიც დაეხმარება ბავშვებს კვლევაში, დაკვირვებაში, მონაცემების შეგროვებასა და დასკვნების გაკეთებაში. მაგალითად, ფოტოების გადაღება, ვიდეო ჩანაწერების გაკეთება, ან სხვა მოწყობილობების საშუალებით დაკვირვება.

ექსპერტებთან კონსულტაცია, მათთან ვიზიტი ან მათი სტუმრობა. მნიშვნელოვანია, ბავშვებს ურთიერთობა ჰქონდეთ კომპეტენტურ ადამიანებთან, თემის ექსპერტებთან, ვისგანაც შეიძლება საინტერესო და კომპეტენტური პასუხები და ახალი ინფორმაცია მო-

ისმინონ. ექსპერტებთან ურთიერთობა ექსკურსიების დროსაც შესაძლებელია, ასევე შეგიძლიათ, ცალკე აქტივობად დაგეგმოთ ექსპერტის სტუმრობა. ამ აქტივობის წინასწარ დაგეგმვა და ექსპერტთან წინასწარ გასაუბრებაც მნიშვნელოვანია. ექსპერტი თავის საქმის მცოდნეა და არა ადრეული ასაკის ბავშვების. შესაძლებელია, ის პირველად ხვდება ამ ასაკის აუდიტორიას, ამისათვის მნიშვნელოვანია, მას აუხსნათ, რა კითხვები აქვთ ბავშვებს, რა იქნება მათთვის საინტერესო, რაში მდგომარეობს პროექტის მეთოდით სწავლა, როგორ სწავლობენ ამ ასაკის ბავშვები. ამით ექსპერტს დაეხმარებით ბავშვებთან შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადებაში და საინტერესო გამოცდილების შექმნაში.

ექსკურსიები და საგნის, მოვლენის ბუნებრივ გარემოში შესწავლა

ექსკურსია კვლევის ერთ-ერთი საშუალებაა და შეიძლება რამდენჯერმე განხორციელდეს პროექტის როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე ფაზების დროს. აუცილებელი არ არის, ყველა ბავშვი ერთად წავიყვანოთ ექსკურსიაზე. შეიძლება, ბავშვები დავყოთ მათი ინტერესების მიხედვით და მცირე ჯგუფებად გავიყვანოთ სხვადასხვა ადგილას.

ერთის მხრივ, ექსკურსია მიზნად ისახავს, უფრო აქტუალური და რეალური გავხადოთ პროექტის საკითხი, მეორე მხრივ კი, ექსკურსიის მიზანია, ბავშვებმა რეალურ გარემოში ნახონ, როგორ მუშაობს რაღაც, გამოცადონ საკუთარი ვარაუდები, გაიღრმაონ ინტერესი ახალი კითხვების დასმით. მაგალითად, იმისათვის, რომ ბავშვებს საშუალება ჰქონოდათ, კვერცხის თემაზე თავიანთი შეკითხვების ჩამოყალიბების შემდეგ, პასუხები მიეღოთ, დაჰკვირვებოდნენ პროცესებს და გასაუბრებოდნენ ექსპერტებს, დაიგეგმა ექსკურსია ქათმების ფერმასა და ზოოპარკში.

ექსკურსიაზე წასვლამდე საჭიროა რამდენიმე საკითხის კარგად დაგეგმვა და გათვალისწინება, ესენია:

1. უსაფრთხოების ზომები

- არის თუ არა ადგილი უსაფრთხო პატარებისთვის?
- იქნება თუ არა ბავშვების მეთვალყურეობა ადვილი, როცა ბავშვები ექსკურსიის ადგილის კვლევას დაიწყებენ?
- შესაძლებელი იქნება თუ არა ბავშვების დაცვა მანქანების მოძრაობისგან, სხვადასხვა მექანიზმებისგან, წყლის ან სხვა სახის საფრთხისგან?

2. კვლევა

- არის თუ არა ექსკურსიის ადგილზე ისეთი საგნები ან აღჭურვილობა, რომელსაც ბავშვი თვითონ დააკვირდება და გამოიკვლევს?
- შეუძლიათ თუ არა ხელით შეხება და მანიპულირება, ექსპერიმენტების ჩატარება?
- არის თუ არა ადგილზე ისეთი ხელსაწყოები, მოწყობილობები, საშუალებები, რომელიც მიიქცევს ბავშვის ყურადღებას და გამოიწვევს მათ ინტერესს?
- არის თუ არა ადგილზე ისეთი კონკრეტული საგნები, რომელთანაც ბავშვებს შეუძლიათ ინტერაქცია? არის თუ არა საგნები, რომელსაც შეიძლება შეეხონ, გადააადგილონ, გასინჯონ, უსუნონ ან მოუსმინონ?

- არის თუ არა საგნები, რომელიც შეიძლება ჩახატონ ან უფრო ახლოს შეისწავლონ?

3. ექსპერტები

- არის თუ არა ადგილზე მასპინძელი, რომელსაც შეუძლია ექსპერტის ფუნქციის შესრულება და ბავშვების შეკითხვებზე პასუხის გაცემა?
- არის თუ არა ვინმე ადგილობრივი თანამშრომლებიდან, ვისაც აქვს სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება?

4. ნივთები

- არის თუ არა რამე ნივთი (იარაღი, აღჭურვილობა, პროდუქცია და ა.შ.), რომელიც შეიძლება ითხოვოთ და წამოიღოთ ჯგუფში უკეთ შესასწავლად?

ეს ყველაფერი შეგიძლიათ გაარკვიოთ სატელეფონო ზარით, ან ადგილზე მისვლით და წინასწარ დათვალიერებით. ძალიან მნიშვნელოვანია, წინასწარ გაესაუბროთ თანამშრომლებს, რომლებიც ადგილზე დაგხვდებიან, იქნება ეს მუზეუმის გიდი თუ მაღაზიის გამყიდველი. უნდა შეეცადოთ, აუხსნათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვისთვის კვლევა და შეკითხვების დასმის წახალისება.

ადამიანებს, რომლებსაც სამსახურში ბაღის ბავშვების სტუმრობის გამოცდილება არ აქვთ, შეიძლება წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რას შეეკითხებიან ბავშვები. ზოგჯერ, ბავშვების შეკითხვების წინასწარი ცოდნა ექსპერტებს მათთან ურთიერთობას უადვილებს, თუმცა, შეკითხვების წინასწარი გაცნობა ყოველთვის არ არის აუცილებელი და საჭირო. ზოგიერთი ექსპერტი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, როცა უშუალოდ ბავშვის მიერ ბუნებრივად დასმულ შეკითხვას პასუხობს. ასევე მნიშვნელოვანია, ექსკურსიის დროს მასპინძლებმა იცოდნენ, რომ ბავშვებთან მოკლე, ლექციის ტიპის საუბარს ნაკლები სარგებელი მოაქვს და რომ ისინი უკეთ სწავლობენ, როდესაც მათ კითხვებს პასუხობენ და თავად მონაწილეობენ ადგილზე მიმდინარე პროცესებში.

ექსკურსიისთვის საჭირო რესურსებია:

- პატარა დაფები ჩანახატებსა და ცხრილებზე სამუშაოდ;
- ტექნიკა: მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვიდეოკამერა ან ხმის ჩამწერი;
- საწერი და სახატავი საშუალებები;
- ჩანთები, ყუთები ან სხვა კონტეინერები მასალის შესანახად.

მნიშვნელოვანია, ექსკურსიაზე ყოფნის დროს ბავშვებმა ჩაინიშნონ საკუთარი დაკვირვებები და მონაცემები, რაც მათ საკვლევ საკითხზე კონცენტრირებასა და დეტალებზე დაკვირვებაში დაეხმარება.

ექსკურსიის შემდეგ, ჯგუფში დაბრუნებულებმა, სთხოვეთ ბავშვებს, მოყვნენ და ხელახლა გააანალიზონ, რა ნახეს და აღმოაჩინეს. მოიშველიეთ ის დაკვირვებები, რომლებიც ადგილზე გააკეთეს, დაეხმარეთ ახალი კითხვების ჩამოყალიბებაში.

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი პროექტზე „მეცნიერული ლაბორატორია“

„ ... ექსკურსიაზე აღმოვაჩინეთ, რომ უსაფრთხოება მნიშვნელოვანია ექსპერიმენტის ჩატარების დროს. აღმოვაჩინეთ ისიც, რომ მეცნიერები ყველაფერს ინიშნავენ. საბავშვო ბაღში დაბრუნების შემდეგ ჩვენს რუკას მივუმატეთ, რომ გვჭირდება სათვალეები, ხელთათმანები და ხალათი უსაფრთხოებისათვის, ასევე ფანქრები და ფურცლები/ბლოკნოტი ჩანიშვნებისთვის.

რესურსი მოსაგროვებლად რამდენიმე კვირა დაგვჭირდა. ლაბორატორიის მიმართ ინტერესი რომ არ დაკარგულიყო, მისი მოწყობა მეორე ფაზაშივე დავიწყეთ ,თან პროექტის რუქკზე ვნიშნავდით, რაც უკვე გვქონდა და ვამატებდით იმას, რასაც აღმოვაჩენდით რომ გვჭირდებოდა.

წყარო: ადრეული განათლება, N 4 (2024).

ფიზიკური გარემოს გადაწყობა, ან საინტერესო მასალის შეთავაზება პროექტის საკვლევი საკითხის შესაბამისად.

ერთ-ერთი მეთოდი, რომლითაც პროექტზე მომუშავე ბავშვების მხარდაჭერა შეგიძლიათ, ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანაა. კარგი იქნება რომელიმე სივრცის პროექტის თემატიკაზე დაყრდნობით მოდიფიცირება. მაგალითად, წარმოსახვით-როლური თამაშებისთვის გამოყოფილ სივრცეს, სადაც, ჩვეულებრივ, „სახლობანას“ თამაშობენ და შესაბამისად არის მოწყობილი, სახანძროს პროექტზე მუშაობისას გარკვეული ნივთებისგან დაცლით და შესაბამის აღჭურვილობას შეიტანთ. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენ მხოლოდ ახალისებთ, ბიძგს აძლევთ ამ პროცესს პირველი ფაზის ბოლოს და მეორეს დასაწყისში, შემდეგ კი, კვლევის დროს ხელს უწყობთ ბავშვებს, თავად შექმნან და გაამდიდრონ ასეთი სათამაშო სივრცეები.

ინტერესის გაღრმავებისა და კვლევის ხელშეწყობის შემდეგი კომპონენტი ჯგუფის სივრცეში პროექტის საკითხთან დაკავშირებული ახალი და საინტერესო რესურსის შეტანაა. ასეთი რესურსის მაგალითებია: ჩიტის ბუდე, ტელეფონის აპარატი, საბეჭდი მანქანა თუ ფოთლების კოლექცია.

გაითვალისწინეთ, რომ ზემოჩამოთვლილი კომპონენტები ხშირად ფარავს ერთმანეთს. მაგალითად, სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება თავისთავად მოიაზრებს საინტერესო მასალის შეთავაზებასაც და გამოწვევების შექმნასაც.

მესამე, საბოლოო ფაზა – შეჯამება და რეფლექსია

ამ ეტაპზე ბავშვები აჯამებენ, აანალიზებენ მიღებულ ინფორმაციას და წარმოადგენენ კვლევისა და პროექტის შედეგებს. ამ ეტაპზე ხდება რეფლექსია, რომელიც ხელს უწყობს გააზრებულ შემეცნებას, თვითშეფასებას და ერთმანეთთან თანამშრომლობასა და გაზიარებას.

პროექტის მესამე ფაზაში გადასვლის ნიშნები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ბავშვებს აღარ აქვთ შეკითხვები, მათი ინტერესი დაკმაყოფილებულია, ენთუზიაზმი კი - ჩამქრალი.
- ამ ეტაპზე კვლევის გასაგრძელებლად ბავშვების მხრიდან უფრო მაღალი კომპეტენციაა საჭირო, რომელიც ჯერ არ აქვთ.

ზოგჯერ გამოცდილ პრაქტიკოსებსაც კი ჰგონიათ, რომ პროექტის საკითხის მიმართ ინტერესის დაკარგვა პროექტის წარუმატებლობას გამოხატავს. პროექტის მიმდინარეობისას ინტერესის კლება ბუნებრივი პროცესია და მიგვანიშნებს მესამე ფაზაზე გადასვლის მოა-

ხლოებაზე. მესამე ფაზა შედგება საფეხურებისგან, რომლებსაც საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებთან ერთად ახორციელებს:

- პროექტის მიმდინარეობის გახსენება და შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა
- შემაჯამებელი აქტივობის ჩატარება

მესამე ფაზაში მნიშვნელოვანია, პროექტის საბოლოო შემაჯამებელ აქტივობასთან ერთად, პროექტის შეფასება მოხდეს. ამ ეტაპზე ბავშვები და აღმზრდელი ერთობლივად აფასებენ პროექტის ყველა ეტაპს - როგორ დაიწყეს, როგორ განახორციელეს, რა გადაწყვიტეს, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო უკეთესად. პროექტის შედეგების გაზიარების შემდეგ ხდება რუკის განახლება, სადაც აისახება, თუ რა კითხვები დარჩათ საკვლევი, რა პასუხები მიიღეს და აღმოაჩინეს. რეფლექსიის დროს ბავშვები განიხილავენ, რა ისწავლეს და როგორ შეიცვალა მათი წარმოდგენები საკვლევ თემასთან მიმართებით.

ამ ყოველივეს გასახსენებლად შეგიძლიათ:

თუკი კვლევის პროცესში ბავშვებთან ერთად სისტემატურად უბრუნდებოდით დაგეგმვის რუკებს და ამატებდით შეძენილ ცოდნასა და ინფორმაციას, კიდევ ერთხელ გადახედოთ რუკებს ერთობლივად.

თუ პირველი ფაზის შემდეგ პირველადი რუკა არ შეცვლილა, შეგიძლიათ შეჯამებისას მიუთითოთ, რა გაიგეს ბავშვებმა. სასურველია, ეს ინფორმაცია რუკებზე განსხვავებული ფერით აღნიშნოთ.

როდესაც ბავშვებთან ერთად პროექტის მიმდინარეობას გაიხსენებთ, უმჯობესია, აჩვენოთ პროექტის მანძილზე შეგროვებული მასალა, რადგან მსჯელობა და საუბარი - რა აღმოაჩინეს ბავშვებმა - მათთვის უფრო მარტივია მაშინ, როდესაც ათვალიერებენ საკუთარ ნამუშევრებს, კონსტრუქციებსა და ფოტოებს.

დაეხმარეთ პროცესის გახსენებაში კითხვების დასმის გზითაც. მაგალითად: „რა გიპასუხა, _____ როცა ჰკითხე _____ ?“ ან „რა მოხდა, როცა _____?“

მას შემდეგ, რაც ბავშვებთან ერთად მიმოიხილავთ პროექტის მიმდინარეობას და შედეგს, შეგიძლიათ შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვაზე იფიქროთ. შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვასა და შესრულებაში ბავშვების ჩართვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის საწყის ფაზებში. ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ გაუზიარონ სხვებს ცოდნა და ნამუშევრები.

ბავშვებს შეიძლება ჰკითხოთ, რა უნდა გაკეთდეს, რომ გავლილი პროექტი უკეთ დაამახსოვრდეთ: „ახლა ამდენი რამ ვიცით სახანძრო მანქანების შესახებ. რას ფიქრობთ, როგორ გავუზიაროთ ეს ცოდნა მშობლებს?“ ან - ჯგუფ „ჭიამაიებს?“

თუ ბავშვებმა ვერაფერი მოიფიქრეს, სთხოვეთ, შექმნან ისეთი ნამუშევარი, სადაც აისახება ყველაფერი, რაც საკითხის გარშემო აღმოაჩინეს; ან შესთავაზეთ, დაამზადონ წიგნი, პლაკატი ან პრეზენტაცია პროექტზე მუშაობის შესახებ.

შემაჯამებელი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება უფროსი ასაკის ბავშვებში უფრო მარტივია, რადგან მათ შეიძლება უკვე ჰქონდეთ საკუთარი „მუშაობის“ შედეგების გაზიარების გამოცდილება, მაგალითად, უკვე დაუმზადებიათ წიგნი ან კოლაჟი, ან გამოსულან „მოხსენებით“ მსმენელების წინაშე.

პატარებთან კი მეტი მუშაობა და მოთმინებაა საჭირო.

კარგად დაგეგმილი და მოფიქრებული შემაჯამებელი აქტივობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის სხვა საქმიანობები. ბავშვები ამ დროს იხსენებენ და იაზრებენ, რა გზა გამოიარეს, რა შედეგს მიაღწიეს და ამით, გარკვეულწილად, საკუთარი შესაძლებლობების რწმენას იძენენ.

შემაჯამებელი აქტივობა ასევე ეხმარება მშობლებს და სხვა სტუმრებს (თუკი ასეთი სტუმრები მოწვეული ჰყავთ აქტივობაზე), ნახონ, რა გამოცდილება და კომპეტენციები შეიძინეს ბავშვებმა, პროექტზე მუშაობის შედეგად, თუ როგორ სწავლობენ ისინი.

შეიძლება მიგაჩნდეთ, რომ პროექტი უნდა დასრულდეს დიდი ღონისძიებით, მაგრამ წიგნის დამზადება ან საგამოფენო პანოს მოწყობა, შესაძლოა, უფრო პროდუქტიული და მნიშვნელოვანი შემაჯამებელი აქტივობა გამოდგეს, ვიდრე დიდი ღონისძიება.

დაპატიჟეთ მშობლები გამოფენის დასათვალიერებლად. წაახალისეთ ბავშვები, დამოუკიდებლად გააცნონ ოჯახის წევრებს საკუთარი ნამუშევრები და უამბონ მათ შესახებ. ასევე, შეგიძლიათ, დამზადებული წიგნები შინ გაატანოთ მშობლებს, რათა ბავშვებთან ერთად უკეთ დაათვალიერონ. თუ ბავშვებმა ერთი წიგნი დაამზადეს, შეგიძლიათ, თითოეულს მორიგეობით გაატანოთ სახლში.

შესაძლებელია შეჯამებისთვის ბავშვებთან ერთად დიდი სივრცე მოაწყოთ პროექტთან დაკავშირებული როლური თამაშისათვის, ვთქვათ, კაფე ან საავადმყოფო. თუ ბავშვების სურვილი იქნება, შეიძლება მოიწვიოთ მშობლებიც, ჩართოთ თამაშში და ბავშვებთან ერთად ათამაშოთ.

არსებობს შემაჯამებელი აქტივობების რამდენიმე ვარიაცია:

- ნამუშევრების გამოფენა
- პროექტზე მუშაობის პროცესის ამსახველი ფოტოების გამოფენა
- ანგარიშების წარდგენა
- პატარა დადგმის, წარმოდგენის ჩატარება
- კოლაჟების, წიგნების წარდგენა
- როლური სივრცის მოწყობა
- პრეზენტაცია

ერთ-ერთი პროექტის დროს ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ მუზეუმით და გადაწყვიტეს, გაეკეთებინათ პროექტი - „ხელოვნების მუზეუმი“. პროექტის განმავლობაში მათ დაამზადეს ხელოვნების ნიმუშები და გამოფინეს ბაღის დერეფანში, დანიშნეს მუზეუმის

დათვალიერების ტურები, გაყიდეს ბილეთები და თვითონ ეწეოდნენ გიდობას მშობლებისა და სხვა ჯგუფებისთვის.

ერთ შემთხვევაში ბავშვებმა (პროექტის ფარგლებში) ავტომანქანის დიდი მაკეტი გააკეთეს და შემაჯამებელი აქტივობის სახით ჰოლში გამოფინეს.

ღონისძიებაზე შეიძლება დაპატიჟოთ პროექტში მონაწილე ექსპერტები, ექსკურსიის გიდები ან სხვა სტუმრები, რომლებსაც ბავშვები კვლევის ეტაპზე შეხვდნენ. შემაჯამებელ აქტივობას ენთუზიაზმით ეკიდებიან ბავშვებიცა და მშობლებიც. ამასთან ერთად, ასეთი ტიპის აქტივობა ხელს უწყობს ერთობის ჩამოყალიბებას.

პრაქტიკული რეკომენდაციები პროექტის მეთოდის განხორციელებისთვის

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი

ჩემი პრაქტიკის დასაწყისში ჩემი გამოწვევა ის იყო, რომ საერთოდ ვერ ვიწყებდი პროექტს. ბავშვები ერთი ინტერესიდან მეორეზე ხტებოდნენ - პროექტი კი მოითხოვს საკითხზე ხანგრძლივ კონცენტრაციას, ინტერესის შენარჩუნებას; ერთმანეთში ხშირად ჰქონდათ კონფლიქტები - პროექტი კი მოითხოვს თანამშრომლობას კვლევისას; არ იცოდნენ, როგორ ეკვლიათ, ვერ აყალიბებდნენ კითხვებს და იდეებს - პროექტის მეთოდი კი მოითხოვს, საკუთარი ინტერესის ჩამოყალიბებას, კვლევის გზების განსაზღვრას და შემაჯამებელი საქმიანობის ფორმის მოფიქრებას.

კვლევები აჩვენებს, რომ ხშირად საგანმანათლებელო პროცესში პროექტის მეთოდის დანერგვა აღმზრდელებს არ გამოსდით, ბავშვების დაბალი კომპეტენციების გამო. მეც ამ პერიოდში პროექტების ძალიან მწირი მცდელობა მქონდა და იმის მაგივრად, რომ საკუთარ კომპეტენციების გაზრდაზე მეფიქრა, ვმუშაობდი ბავშვების კომპეტენციების გაზრდაზე, სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრატეგიების გამოყენებით.

დღევანდელი გადმოსახედიდან კი ვხვდები, რომ პრობლემა ის იყო, რომ არ ვიცოდი, როგორ გამემარტივებინა პროექტები ბავშვების განვითარების დონის შესაბამისად. მარტივი და უფრო ხანმოკლე პრექტები დამატებითი ინსტრუმენტი იქნებოდა ამ უნარების მხარდაჭერაში, მე კი ის არ გამომიყენებია.

წყარო: აღრეული განათლება, N 4 (2024).

- **აღმზრდელების კომპეტენციები** - პროექტის მეთოდის დანერგვას სპეციფიკური კომპეტენციები სჭირდება, ამიტომ მნიშვნელოვანია, აღმზრდელებმა და მათზე პასუხისმგებელმა პირებმა იზრუნონ ამ მიმართულებით პროფესიულ განვითარების ხელშეწყობაზე.

აღმზრდელი თამთა კუხალეიშვილი

მარტივად შეიძლება გეგონოს, რომ პროექტის მეთოდს იყენებ, სინამდვილეში კი სხვა რაღაცას აკეთებ, რაც შეიძლება ცუდი არ არის მაგრამ, არც პროექტის მეთოდია და შესაბამისად, არც ის უპირატესოსები აქვს, რაც პროექტის მეთოდს გააჩნია.

პროექტს მეტი სპონტანურობა და ლავირება სჭირდება, ხშირად სწრაფი რეაგირებაც. მაგრამ პროეტის უპირატესობა ისაა, რომ თემატური მიდგომისგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ ის არსებულ რესურსის შესაბამისად დაიგეგმოს - ის გამოიყენო, რაც გაქვს და ამ რესურსის ირგვლივ აეწყოს პროექტი. სხვა სივრცეებში/ცენტრებში, უბრალოდ, არ შეიტან ამ პროექტის შესაბამის მასალას,. უპირატესობა ასევე ისაა, რომ თითოეული ბავშვის ინტერესის გათვალისწინების შესაძლებლობას გაძლევს. ვისაც ეს საკითხი არ აინტერესებს, ის ჯგუფში მარტივად იპოვის სივრცეს, სადაც თავისი ინტერესის შესაბამისად გაშლის თამაშსს და იქნება თავისი დამოუკიდებელი პროექტიც წამოიწყოს. და კიდევ, პროექტი შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერი საკითხი ისე შეიკრას, რომ ბავშვებს ჰოლისტური განვითარების და სიღრმისეული სწავლების შესაძლებლობა მიეცეთ. აღმოჩენები კი, რომელსაც ჩვენ თავად ვაკეთებთ არასდროს გვავიწყდება.

წყარო: ადრეული განათლება, N 4 (2024).

- **მოქნილი სამუშაო გარემო და შესაბამისი რესურსი:** ბავშვების ინტერესები შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. აღმზრდელებმა უნდა შეინარჩუნონ მოქნილობა, რომ ბავშვების ცვალებად ინტერესებზე სწრაფად და ეფექტურად რეაგირება მოახდინონ. მიმდინარე (კვირის) გეგმაში ერთი ან ორი კვირით ადრე გაწერილი პროექტი მხოლოდ სავარაუდო სურათია და აღმზრდელმა უნდა შეძლოს ყოველდღიურად ბავშვების ინტერესების და იდეების მიხედვით სწრაფი ცვლილებების შეტანა. ამისთვის მას სჭირდება შესაბამის რესურსზე დაუბრკოლებელი წვდომა. პროექტის მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ შესაძლებელია, ის ბუნებრივად ხელმისაწვდომ რესურსზე აეწყოს, მაგალითად, მშობლის პროფესიის/სამუშაო ადგილის ან ბაღის ეზოს გარემოში არსებული გამოწვევების გამოყენებით, თუმცა ასევე შესაძლოა, ძალიან სპეციფიკური რესურსიც დაგჭირდეთ, მაგალითად წიგნები რომელიმე სპეციფიკურ საკითხზე, რომელიც საბავშვო არ არის და ამიტომ ბაღში არ გაქვთ, და სხვა.
- პროექტის პარალელური პროცესი - პროექტის სხვადასხვა ფაზების დროს ხშირად ფიზიკურ გარემოში არსებული ყველა ცენტრის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად, რჩება სივრცე სხვა ინტერესების მიხედვით თამაშების გასაშლელად. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ პროექტის პარალელურად, აღმზრდელმა სხვა სივრცეებშიც დაგეგმოს რაიმე და შესთავაზოს აღსაზრდელებს, ან უბრალოდ დაუთმოს სივრცე რომ სხვა ინტერესების შესაბამისად ითამაშონ ბავშვებმა. ეს ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ აღმზრდელების ჯგუფმა რამდენიმე პროექტი პარალელურად წარმართოს ჯგუფში, განსხვავებით თემატური მიდგომისა, რომელშიც სხვა საკითხების გაშლა პარალელურად არ ხდება.

- პროცესის ინდივიდუალიზება - კარგია, თუ თითოეულ ბავშვს წავახალისებთ, რათა პროექტში ჩაერთოს, თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, მისი შესაძლებლობების შესაბამისად, თუმცა პროექტის მეთოდი იძლევა შესაძლებლობას, ერთი ბავშვის ან ბავშვების მცირე ჯგუფის ინტერესს დაეფუძნოს, რადგან პარალელური პროცესებით გვეძლევა შესაძლებლობა, იგივე მიზნებზე გავიდეთ ბავშვებთან, რომლებსაც ეს ინტერესი არ აქვთ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის ერთი და იმავე ბავშვების ინტერესის შესაბამისი საკითხის შერჩევა არ ხდებოდეს და წლის მანძილზე უზრუნველვყოთ თითოეული ბავშვიდან წამოსული ინტერესის შესაბამისი პროექტის განხორციელება.

ცხრილი 3. თემატური VS პროექტის მიდგომა შერჩევის პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები

მახასიათებელი	თემატური მიდგომა	პროექტის მეთოდი
დაგეგმვა	წინასწარ განსაზღვრული	პროცესში განვითარებული
ინტერესი	ფართო ინტერესი	კონკრეტული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კვლევასთან და აღმოჩენასთან
რესურსები	მრავალფეროვანი და საკმარისი რესურსი, რომ ჯგუფის თითოეულ ცენტრში გადანაწილდეს	საკვლევი კითხვის სპეციფიკური რესურსი
მორგებადობა	ნაკლებად მოქნილი	მეტად მოქნილი
აღმზრდელის კომპეტენცია	არ საჭიროებს დამატებით კომპეტენციას	საჭიროებს პროექტის მეთოდთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს
ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინება	არ იძლევა შესაძლებლობას, მიჰყვე ინდივიდუალურ ინტერესებს რესურსების ან ახალი გამოცდილების შეთავაზებით	იძლევა შესაძლებლობას, ერთი პროექტის პარალელურად მეორეც განხორციელდეს ან/და სხვა ბავშვების განსხვავებული ინტერესების შესაბამისი რესურსი/გამოცდილებები შეიტანო

პროექტის მიდგომის ამსახველი ვიდეო მაგალითი იხ. აქ:

ნაწილი 3. კურიკულუმის მიზნები და განვითარებადი მახასიათებლები

კურიკულუმის ორივე ჯგუფის მიზანი - **ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა,** თავისი ქვემიზნებით:

- **ურთიერთობები (სოციალური ურთიერთობები/კომუნიკაცია და სოციალური თამაში)**
- **ცნობიერება (თვითცნობიერება და სოციალური ცნობიერება)**
- **რეგულაცია (თვითრეგულაცია და კონფლიქტების მართვა)**
- **ცნობისმოყვარეობა (ინტერესების გაღრმავება და ინტერესების გამრავალფეროვნება)**
- **კვლევა (სენსომოტორული და სიღრმისეული)**
- **შემოქმედებითობა (შექმნა და პრობლემის გადაჭრა)**

საერთოა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, თუმცა აღმზრდელებმა ამ მიზნებზე მუშაობისას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ასაკობრივი მახასიათებლები უნდა გაითვალისწინონ, რაც თავისთავად ცხადია, აღმზრდელისგან ბავშვის განვითარებადი უნარების ნიუანსების კარგ ცოდნას მოითხოვს.

ამ ქვეთავებში განხილული ბევრი მაგალითი, შესაძლოა, პრაქტიკაში გამოგიყენებიათ, თუმცა ახლა მნიშვნელოვანია, მათ მივუდგეთ, როგორც **გამიზნული პრაქტიკის მაგალითებს** და ისინი ბავშვებთან ურთიერთობისას *ცნობიერად* და *თანმიმდევრულად* გამოიყენოთ.

ამ თავში თქვენ გაეცნობით, როგორ დააკავშიროთ 2-3, 3-4,4-5 და 5-6 წლის ბავშვებისათვის დამახასიათებელი განვითარებადი უნარები კურიკულუმის მიზნებსა და სტრატეგიებთან. ეს ქვეთავები დაგეხმარებათ დანერგოთ **ასაკისა და განვითარების შესაბამისი, გამიზნული** პრაქტიკა.

თავი 6. ჯგუფის ერთობა და განვითარებადი მახასიათებლები



ურთიერთობები

სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია

2-3

ორიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვის განვითარება ძალიან სწრაფია, ამიტომ აღმზრდელებმა ერთდროულად ძალიან ბევრ ნიუანსს უნდა მიაქციონ ყურადღება. ორიდან სამ წლამდე ასაკს ენობრივი აფეთქებისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების ასაკს უწოდებენ.

ორი წლის ასაკში ბავშვების მეტყველება ძირითადად ერთი და ორსიტყვიანი ფრაზებით შემოიფარგლება, სამი წლის ასაკისთვის კი ისინი 3-5-სიტყვიან გამართულ წინადადებებს ამბობენ.

ესაა ასაკი, როდესაც ბავშვები სწავლობენ „ბუდიდან ფრენას“, იძენენ ბევრი რამის დამოუკიდებლად გაკეთების უნარს, სწავლობენ დედასთან და ოჯახთან გარკვეული დროით განშორებას (ბაღში წასვლის სტრესის გადალახვა). 2-3 წლის ასაკი ოჯახს გარეთ, სხვადასხვა უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობების დამყარების სწავლის დაწყების პერიოდია. ესაა ასაკი, როდესაც მათ უნდა ისწავლონ მრავალფეროვან გარემოში ყოფნა, ურთიერთობა და კომუნიკაცია.

როგორ დავეხმაროთ ამ ასაკის ბავშვებს კომუნიკაციისა და ურთიერთობების უნარების განვითარებაში?

სანდო და უსაფრთხო გარემო

სანდო კომუნიკაციისა და ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ნებისმიერი აღმზრდელის პირველი ამოცანა ჯგუფში **სანდო და უსაფრთხო გარემოს შექმნაა,** განსაკუთრებით კი - პატარებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მიჩვეულები მშობლებთან განშორებას და ახლა ძალიან სჭირდებათ სანდო პარტნიორი, ვისთანაც **უსაფრთხო მიჯაჭვულობას ჩამოაყალიბებენ**. ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს თავისუფლად თამაშს და ურთიერთობებს, როდესაც თავს დაცულად გრძნობს.

თავისთავად ცხადია, სანდო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, მნიშვნელოვანია:

- არ შეარცხვინოთ ბავშვი - „ნუ ტირი, შენ ხომ დიდი ბიჭი ხარ!“
- არ შეაშინოთ ბავშვი - „თუ ცუდად მოიქცევი, დედიკო აღარ მოვა!“ „გაჩერდი, თორემ ექიმი მოვა და ნემსს გაგიკეთებს“
- არ მოატყუოთ ბავშვი - „შეჭამე და ეზოში გავალთ“ (როდესაც ამის გაკეთებას არ აპირებთ)
- არ დააეჭვოთ თქვენს სიყვარულში - „ასე თუ მოიქცევი, აღარ მეყვარები!“
- წაახალისეთ და დააფასეთ მისი ყოველი ძალისხმევა და აღმოჩენა - „აი, დათუნიას მისწვდი!“
- აღწერეთ, გაახმოვანეთ მისი ქმედებები: - „ყვავილს ყნოსავ, კი, ამ ყვავილს კარგი სუნი აქვს!“
- დაამშვიდეთ, როდესაც ეს საჭიროა - „მუხლი გეტკინა, გაგიწმენდ და მალე გაგივლის“
- გაიზიარეთ ერთად კეთების სიამოვნება - „მე სკამებს მოვიტან, შენ ჭიქები დაალაგე!“ (ადაპტირებულია წიგნიდან: „რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“).

ჟესტების და სხეული ენა

BOX: არავერბალური კომუნიკაცია - ურთიერთობა სიტყვების გარეშე, ჟესტებისა და მიმიკის საშუალებით.

კომუნიკაციისა და ურთიერთობების მთავარი მაგალითი ჯგუფში თქვენ ხართ. დააკვირდით ბავშვის კომუნიკაციისა და ურთიერთობის ყველა მცდელობას. გახსოვდეთ, რომ პატარებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, თუ რას ეუბნებით მას, არამედ თქვენი სხეულის ენაც: რამდენად თბილად იღიმით, რას ამბობენ თქვენი თვალები, რამდენად მშვიდად ხართ, რამდენად ხშირად შეგიძლიათ ბავშვის სიმაღლეზე ყოფნა და რამდენად შეგიძლიათ, ამოიცნოთ, ვის ჭირდება ახლა კარგი ჩახუტება და ვის - შედარებით ფაქიზად ხელის დადება მხარზე.

ზოგიერთ მათგანს ჯერ მეტყველება შეიძლება არც ჰქონდეს დაწყებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი არავერბალური (არასამეტყველო) მინიშნებები - ჟესტები, სხეულის ენა, უსიტყვოდ გაგებინება და გაგება ძალიან მნიშვნელოვანი არ არის.

ბავშვებს, რომლებიც ჯერ ვერ მეტყველებენ, **ასწავლეთ რამდენიმე ჟესტის გამოყენება,** მაგალითად:

- წინ გაშვერილი ხელი და ზევით აწეული, გაშლილი ხელის მტევანი „არას“ ნიშნად
- თავის დაკვრა დასტურის ნიშნად
- მომეს ჟესტი
- თითით მინიშნება ახლო მანძილზე ან თითის გაშვერა შორ მანძილზე და ა.შ.

გახსოვდეთ, რომ თანამედროვე კვლევების თანახმად, ამ ჟესტების ცოდნა ბავშვის მეტყველების განვითარებას არ შეაფერხებს, პირიქით - დაეხმარება კომუნიკაციისა და სოციალური ურთიერთობების დამყარებაში.

პრინციპი - ერთით მეტი!

ყველა პატარა ბავშვს თქვენი ნათქვამის გაგების ერთნაირი უნარი არა აქვს. უფროსები ხანდახან ვერ ვაცნობიერებთ, რომ პატარებს იმაზე უფრო გრძელი წინადადებებით ველაპარაკებით, ვიდრე მათ ამის გაგება შეუძლიათ. ენობრივი განვითარების ხელშეწყობისას **გამოიყენეთ პრინციპი 1-ით მეტი!** თუ ბავშვი მეტყველებისას ჯერ მხოლოდ თითო სიტყვას იყენებს, თქვენ მასთან უპირატესად 2-3-სიტყვიანი ფრაზებით უნდა იურთიერთოთ, თუ ბავშვი ძირითადად 2-3 სიტყვიანი წინადადებებით საუბრობს, თქვენ მასთან ურთიერთობისას ძირითადად 3-5-სიტყვიანი წინადადებები გამოიყენეთ.

შეუსაბამეთ თქვენი მეტყველება ბავშვის ენობრივი განვითარების დონეს!

მნიშვნელოვანია, **შეუსაბამოთ თქვენი შეკითხვები ბავშვის კომუნიკაციური უნარების და ენობრივი განვითარების დონეს**. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ღია ტიპის შეკითხვების დასმა კარგია, მაგრამ 2-3 წლის ასაკის ბავშვებისთვის ზოგი ღია შეკითხვა ზედმეტად „ღიაა“, ისინი ჯერ არ არის მზად მასზე საპასუხოდ:

აღმზრდელი: გიო, რა მოხდა, ექიმთან როცა იყავი? (აღმზრდელმა იცის, რომ გუშინ გიო დედამ ყელ-ყურის ექიმთან წაიყვანა და მის მიმართ ყურადღების გამოჩენა და მისი დიალოგში ჩართვა სურს, მაგრამ გიო პასუხს არ იძლევა, რადგან ეს შეკითხვა მისთვის ძალიან ფართოა, აღმზრდელი დაფიქრდება და შეკითხვას ცვლის/ავიწროებს)
აღმზრდელი: გიო, რა დაგითვალიერა ექიმმა?
გიო: პირი.
აღმზრდელი: პირი გააღე და ჩაგხედა? კბილები დაგითვალიერა თუ ყელი?
გიო: ყელი.

როდესაც აღმზრდელმა უფრო კონკრეტული, გიოს განვითარების საფეხურისათვის შესაბამისი შეკითხვების დასმა დაიწყო, დიალოგიც განვითარდა.

საბაზისო სოციალური ურთიერთობები

უფროსი ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, ორიდან სამ წლამდე ასაკში ბავშვებს სჭირდებათ საბაზისო სოციალური ურთიერთობების სწავლება, ერთმანეთთან ურთიერთობის წახალისება: - *„კითხე ლევანს, რომელი ფერი უფრო მოსწონს“*.

აღმზრდელებმა ბავშვებს უნდა მისცენ გამარჯობის თქმისა და დამშვიდობების მაგალითი და წაახალისონ, რომ თავადაც მიესალმონ და დაემშვიდობონ ერთმანეთს. თავდაპირველად ბავშვებს ერთმანეთის სახელების დამახსოვრებაშიც სჭირდებათ დახმარება, შემდეგი კი ისინი, თქვენი მაგალითის კვალდაკვალ, ისწავლიან ერთმანეთის მოკითხვას და მადლობის გადახდას, კითხვის დასმას, როდესაც სხვისი ნივთის აღება სურთ და ა.შ.

გაზიარებისა და თანამშრომლობის სწავლება

ერთად საქმიანობა, თხოვება, გაზიარება, თანამშრომლობა - 2 წლის ასაკის ბავშვებისათვის ჯერ კიდეც რთული უნარებია, ისინი განსაკუთრებით მესაკუთრეები არიან და თქვენი თანმიმდევრული ძალისხმევა სჭირდებათ, ამ უნარებს რომ დაეუფლონ. ამიტომ ბევრი ითამაშეთ მათთან ერთად წყვილებში ან მცირე ჯგუფებში, სადაც რიგის დაცვით გააგორებთ ბურთს, მანქანას, ერთად ჩაყრით და მოზელთ ქვიშას, მიაწოდებთ და გამოართმევთ ნიჩბებს და სხვა ნივთებს, მისცემთ მათ დახმარებისა და გაზიარების ბევრ მაგალითს: *„მოდი, ჩემი ფანქრები აიღე და ერთად ვხატოთ“*. ხშირად შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ნივთები, შემდეგ სულ ცოტა ხნით გამოართვით, რომ მაგალითად ვედრო ქვიშით გაუვსოთ და სწრაფადვე დაუბრუნეთ უკან. შეამჩნიეთ და აღნიშნეთ ბავშვების მხრიდან გაზიარებისა და თანამშრომლობის ყველა მაგალითი: *„რა კარგია, კუბურებით ერთად რომ თამაშობთ*!“

დახმარების თხოვნის სწავლება

როდესაც რაიმე გვიჭირს ან მარტო ვერ ვართმევთ თავს, დახმარებას ვითხოვთ ხოლმე, თუმცა ყველა პატარა ბავშვი ასე არ იქცევა, ზოგიერთ მათგანს ამის სწავლება სჭირდება. *„თუ შეიძლება, დამეხმარე“*, *„თუ შეიძლება, მომაწოდე“*, *„თუ შეიძლება, დამიჭირე“* - ეს ის ფრაზებია, რომლის გამოყენების მაგალითსაც ხშირად უნდა იძლეოდეთ. თუ ბავშვი დახმარების თხოვნით მოგმართავთ, აუცილებლად უთხარით, რომ გაგიხარდათ, როდესაც მოგმართათ; ასევე შეამჩნიეთ და აღნიშნეთ, თუ ისინი ერთმანეთს დახმარების თხოვნით მიმართავენ ან ეხმარებიან. მოთხრობების წაკითხვისას, ამბების მოყოლისას, შეჩერდით და დასვით კითხვა: *„რა გააკეთა გმირმა, როდესაც დახმარება სჭირდებოდა*?“ - დროდადრო ხელოვნურად შექმენით სიტუაციები (მაგალითად, მაგრად მოუჭირეთ თავსახური საპნის ბუშტის ბოთლს, ღრმად ჩასვით ფლომასტერის თავსახური და სხვა), ბავშვს დახმარების თხოვნა რომ მოუწიოს. ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური უნარი და მომავალი თანამშრომლობითი ურთიერთობების მდგრადი საფუძველია.

განმარტების თხოვნის სწავლება

ზოგადად, დიალოგის ერთ-ერთი წესია, რომ მოლაპარაკე, როდესაც მისთვის მიწოდებული ინფორმაცია გაუგებარია, განმარტებას ითხოვს. თუმცა პატარა ბავშვები ხანდახან ამგვარ განმარტებას არ ითხოვენ ხოლმე. შეიძლება მათ ვერც გააცნობიერონ, რომ ვერ გა-

იგეს, რა ითქვა. მაშინაც კი, თუ გააცნობიერებენ, შესაძლოა, განმარტება არ მოითხოვონ. შედეგად, ისინი ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობაში არიან სწავლისა და ახლის გაგების თვალსაზრისით. მოგვიანებით, ბავშვები, რომლებიც არ ითხოვენ განმარტებას, სკოლაში უფრო დაუინტერესებლები, იმედგაცრუებულები და პასიურები ხდებიან.

განმარტების მოთხოვნის საუკეთესო გზაა მოდელირებაა მცირე ჯგუფური აქტივობებისას:

დათი 3 წლის ბიჭია ენობრივი განვითარების შეფერხებით. მას დიდად არ უყვარს კომუნიკაციაში შემოსვლა და არასდროს ითხოვს განმარტებას, როდესაც არ ესმის, რა ითქვა. ჭამის დროა და ის მაგიდასთან სამ სხვა ბავშვთან და აღმზრდელ თათიასთან ერთად ზის. ამ დროს ერთ-ერთი ბავშვი ნანიკო აღმზრდელს თავის ორცხობილას აჩვენებს და რაღაცას ეუბნება, რაც არავის ესმის. თათია ყველა ბავშვს უყურებს და სახეზე გარკვევით აწერია, რომ ვერ გაიგო, რა უთხრეს. შემდეგ, ბავშვებს ხელების მოძრაობით ანიშნებს, რომ ვერ გაიგო, იხრება დათისკენ და გარკვევით ამბობს: - „დათი, ვერ გავიგე, რა მითხრა ნანიკომ, მოდი ერთად ვკითხოთ“ - რა? ნანიკო, რა თქვი?“ ნანიკო, ცოტა უფრო გასაგებად იმეორებს, თავის ნათქვამს. თათია: - „ა, შენი ორცხობილა გატყდა? ხედავ, დათი, ნანიკოს ორცხობილა გატყდა“ (ადაპტირებულია წიგნიდან Language Learning and Loving It).

თარჯიმნის როლის მორგება

ხანდახან ბავშვებს ერთმანეთის ნათქვამი და ქმედება არ ესმით. თქვენ ამ დროს თარჯიმნის როლი უნდა შეასრულოთ. *„ნია, ანდროს უნდა, გითხრას, რომ დიდი კოშკი ააშენა“; „დათო, ვფიქრობ, გვანცა გეუბნება, რომ ახლა მარტო უნდა თამაში“, ,,ანა, ლუკას დავეხმარები, აგიხსნას, რატომ უნდა ფოტოების გადაღება და ა.შ.“.*

3-5

სამიდან ოთხი წლის ასაკის ბავშვებთან სოციალური ურთიერთობების მიზანზე მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ასაკის ბავშვებში ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული ისეთი საბაზისო სოციალური უნარები, როგორიცაა გაზიარება და რიგის დაცვა.

სამიდან ოთხი წლის ასაკში ურთიერთობები ჯერ კიდევ ეფუძნება სიახლოვეს (ვინ აღმოჩნდება ამ დროს შენს გვერდით) და არა - არჩევანს. მეგობრობა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საერთო ინტერესების ან ერთმანეთის თვისებების მოწონების მიხედვით. ამ ასაკში ბავშვებს შორის ურთიერთობები და თამაში ჯერ კიდევ შედარებით ხანმოკლეა.

როდესაც მიზნად სოციალურ ურთიერთობებსა და კომუნიკაციას ისახავთ, ყურადღება ისევ გამახვილებული უნდა იყოს ისეთ ძირითად სოციალურ უნარებზე, როგორიცაა თამაშში მონაწილეობის თხოვნის მისაღები ფორმების გამოყენების სწავლება: *„შეიძლება“, „მადლობა“*. ბავშვებს ხშირად უნდა შეახსენოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა: *„დაელაპარაკე მეგობარს“, “გაიღიმე”. სამიდან ოთხ წლამდე ასაკის ბავშვებთან ან ისეთ შერეულ*

ჯგუფში მუშაობისას, სადაც სამი და სამ-ნახევარი წლის ბავშვები გყავთ, გადახედეთ ზემოთ აღწერილ ორ-სამწლიანთა მახასიათებლებსაც

4-იდან 5 წლამდე ბავშვების სოციალური ურთიერთობები უფრო განვითარებულია. მათ უფრო თავისუფლად შეუძლიათ საერთო მიზანზე მუშაობა, ისინი ივითარებენ მეგობრობის უნარებს, არჩევენ მეგობრებს საერთო ინტერესებისა და ურთიერთსიმპათიის მიხედვით, ესმით სოციალური წესები და ანაწილებენ როლებს ჯგუფური თამაშისას. ამ ასაკში აღმზრდელი უნდა ახალისებდეს საუბარს ისეთ თემებზე, თუ *„რა გვაქცევს კარგ მეგობრებად“*, *„როგორ ჩავრთოთ სხვები თამაშში“*. ბავშვები ასევე უნდა იწყებდნენ თანატოლებთან კონფლიქტების დამოუკიდებლად მოგვარების სწავლას.

თუ აღმზრდელებს სამიდან ოთხ წლამდე ბავშვებისათვის უფრო ხშირად სჭირდებათ რიგის დაცვისა და გაზიარების წესების შეხსენება, ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვებთან თავისუფლად შეიძლება **თანამშრომლობაზე, სამართლიანობასა და თანაგრძნობაზე** საუბარი, მაგალითად:

4-5 წლის ასაკის ბავშვების მცირე ჯგუფი ჩართულია ხატვის აქტივობაში. მათი ამოცანაა, ერთ დიდ ფორმატზე ერთად დახატონ. მათ უნდა მოიფიქრონ, რას დახატავენ, გაანაწილონ როლები და გაინაწილონ ფლომასტერები, ფუნჯები, საღებავები და ფურცელი. დავითის აზრით, ბავშვებმა ცხოველები უნდა დახატონ, ლევანს კოსმოსის დახატვა სურს. აღმზრდელი მათ უახლოვდება და ამბობს: -„ვხედავ, მშვენიერი იდეები გაქვთ, როგორ გავაერთიანოთ ისინი? იქნებ ცხოველებიც წაიყვანოთ კოსმოსში?“ აღმზრდელის ამგვარი კომენტარით ბავშვები სწავლობენ ერთმანეთის იდეების მოსმენას და გათვალისწინებას, თანამშრომლობის დაფასებას. როდესაც ბავშვები ხატვას იწყებენ, ნინი ფლომასტერების უმეტესობას იღებს, დანარჩენებისთვის კი მხოლოდ რამდენიმეს ტოვებს: -„ვხედავ, მხოლოდ რამდენიმე ფლომასტერია დარჩენილი, როგორ ფიქრობთ, უფრო სამართლიანი ხომ არ არის, ფლომასტერები შუაში იდოს და მორიგეობით გამოიყენოთ ხოლმე? უცებ, ლევანი ტირილს იწყებს, რადგან მას უნდოდა, მზე დაეხატა, ნიკამ კი დაასწრო. ის თავს დაჩაგრულად გრძნობს და ტირის. - „ვხედავ, გულდაწყვეტილი ხარ, რადგან მზის დახატვა გინდოდა.“ - ამბობს აღმზრდელი და აგრძელებს: -„მესმის რომ განიცდი. მოდი, დაველაპარაკოთ ნიკას და მზის გარშემო ღრუბლები ან ცისარტყელა მივახატოთ?” ამგვარად ლევანი იღებს თანაგრძნობის მაგალითს და სწავლობს, რომ ემოციების გამოხატვა ნორმალურია; ამავდროულად, სწავლობს იმასაც, რომ მაინც შეიძლება თანამშრომლობა და საერთო საქმეში წვლილის შეტანა. ნიკა, როდესაც ხედავს, რა გავლენა მოახდინა მისმა ქცევამ ლევანზე, იწყებს ემპათიის გრძნობის განვითარებას.

ოთხი წლის ასაკიდან, როდესაც ბავშვები ერთმანეთს მიმართავენ, უკვე არაპირდაპირი მოთხოვნის ფორმებს იყენებენ: „შეგიძლია?“ „ხო არ...?“ ან „მომცემ?“ „მომეცი, რა,“ ან იხსენებენ სიტუაციას, როდესაც რაიმე სასურველი მიიღეს. ეს ნიშნავს, რომ ისინი უკვე იწყებენ მოლაპარაკებებისა და დაყოლიების ნიუანსების დაუფლებას, რაც აღმზრდელმა უნდა წაახალისოს.

ირიბი მოთხოვნის სცენარი: წინა კვირას ჯგუფს თამუნას დედა სტუმრობდა და ყველამ ერთად გამოაცხო ორცხობილები. აღმზრდელს ესმის, როგორ ეუბნება ლიკა თამუნას: „დედაშენი მომენატრა!“ აღმზრდელს ეღიმება და ამბობს, -„თამუნა, გემრიელი იყო ის ორცხობილები თამუნას დედასთან ერთად რომ გამოვაცხვეთ? გინდა, ისევ გამოვაცხოთ?“

სამიდან ოთხ წლამდე ბავშვები ჯერ კიდევ სწავლობენ **არავერბალური სოციალური მინიშნებების მნიშვნელობას** (სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, ხმის ტონი). მათ ჯერ კიდევ ბევრი შეხსენება სჭირდებათ, რომ დააკვირდნენ ერთმანეთის სახეებს და გაიგონ ერთმანეთის ემოციები.

ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვებს ამგვარი მინიშნებების გაგება უკეთ შეუძლიათ. შესაძლოა, ამ ასაკში ბავშვმა უკვე შენიშნოს, როდესაც მისი მეგობარი მოწყენილია და ჰკითხოს: *„რატო ხარ ასე?“* მათ უკვე იციან, რომ როდესაც მეგობარი გულზე ხელებს დაიკრეფს და თავს ჩაღუნავს, ის იმედგაცრუებულია.

ჯგუფური აქტივობებისას, თუ ერთი მეორეს საუბარს აწყვეტინებს, სამი წლის ასაკის ბავშვს, უბრალოდ, უნდა შევახსენოთ, რომ სხვას საუბარი დააცადოს, ოთხი-ხუთი წლის ბავშვს კი უკვე შეგვიძლია ავუხსნათ, რომ სხვისი ლაპარაკის დასრულების დალოდება მნიშვნელოვანია, რადგან ყველამ იგრძნოს, რომ მას უსმენენ.

5-6

სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, 5-6 წლის ბავშვის განვითარება კარგად რომ გავიაზროთ, დავაკვირდეთ თამაშისას სათამაშოს წართმევისა და გაზიარების, ასევე თამაშიდან გარიყვისა და თამაშში ჩართვის განვითარებად უნარებს: ორი წლის ასაკში ბავშვები ჯერ კიდევ ვერ იაზრებენ, რომ სხვისი ნივთის აღებამ შეიძლება სხვა გააღიზიანოს; ამ ასაკში ისინი ჯერ კიდევ პარალელურად თამაშობენ და ვერც ხვდებიან, რას ნიშნავს ვინმეს თამაშში ჩართვა ან გარიყვა. 3-5 წლის ასაკში ბავშვები ნელ-ნელა სწავლობენ, რომ ნივთის დაუკითხავად აღებამ ან სხვისთვის არ გაზიარებამ შესაძლოა, სხვა ბავშვი გაანაწყენოს ან გააბრაზოს; ისინი ნელ-ნელა იწყებენ სხვისი ემოციების გააზრებას, უფროსების დახმარებითა და მიბაძვით უჩნდებათ ემპათიის უნარები და სხვისი პერსპექტივის გააზრებასაც იწყებენ. 5-6 წლის ასაკიდან კი ბავშვებში სამართლიანობის შეგრძნება იმდენად ვითარდება, რომ შესაძლოა, ისინი ჩაერიონ კიდეც, როდესაც ხედავენ, რომ ერთმა მეორეს სათამაშო წაართვა ან გარიყა და სამართლიანობის აღდგენას შეეცადონ. ამ ასაკში ბავშვები უფრო აქტიურად სწავლობენ **თანაგრძნობას, ნუგეშისცემას, დახმარებას და კონფლიქტებთან გამკლავებას მოლაპარაკებების გზით, რადგან სხვისი პერსპექტივის გაგების უნარი მათში უფრო განვითარებულია.**

წინა წლებთან შედარებით, 5-6 წლის ბავშვებისათვის თავიანთ თანატოლებთან ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობები, მეგობრობა მეტად სტაბილური და მნიშვნელოვანი ხდება. ამ ასაკში ბავშვებს უფრო მეტად უნდათ და შეუძლიათ ჯგუფებში მუშაობა და თანატოლებთან თანამშრომლობითი თამაში.

5-6 წლის ასაკში ბავშვები ხანდახან მეტ დროს ანდომებენ თამაშის წესებზე შეთანხმებასა და როლების განაწილებას, ვიდრე თავად თამაშს და ეს მათი განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამ მახასიათებლიდან ჩანს, რომ მათთვის მოლაპარაკება, წესების დაცვა და შეხედულებები სამართლიან განაწილებაზე ძალიან მნიშვნელოვანია. მოლაპარაკებებისას ისინი ხანდახან დიდების მიმსგავსებულ ფრაზებს იყენებენ, ცვლიან ინტონაციებს, ცდილობენ ერთმანეთის დაყოლიებას და საამისოდ მრავალფეროვან არგუმენტებს იშველიებენ. **ეს მომავალი არგუმენტირებული მსჯელობისა და მოლაპარაკებებისას მოქნილობის გავარჯიშების კარგი შესაძლებლობაა.** ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სივრცე და დრო ამგვარი მოლაპარაკებებისთვის, რადგან ეს ავითარებს სოციალურ კომუნიკაციას, აზროვნებასა და ენას.

სხვადასხვა თამაშებისას მორგებული წარმოსახვითი თუ რეალური როლები, უფროსების ქცევაზე დაკვირვება მათ ეხმარება სოციალური როლების უსაფრთხოდ მორგებასა და გავარჯიშებაში.

5-6 წელი ის ასაკია, როდესაც ბავშვები სწავლობენ, როგორ შეუერთდნენ თანატოლებს ეფექტურად უკვე დაწყებული თამაშისას. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ იკითხონ *„მეც მათამაშებთ?“* - რაც ხშირად მთავრდება პასუხით -*„არა!“* - ბავშვები სწავლობენ, როგორ გამოარჩიონ ჯგუფის ლიდერი და თამაშში ჩართვის სათხოვნელად, მას მიმართონ სახელით, რაც თამაშში ჩართვის შანსს ბევრად უფრო ზრდის (ტრევიკ-სმითი 2023).

ამ ასაკში ბავშვები უკეთ ახერხებენ, რომ საკუთარი მოთხოვნის ან შეთავაზების ინტონაცია და ფრაზირება ისე შეცვალონ, რომ დანარჩენები მათ შეთავაზებებს დათანხმდნენ (ტრევიკ-სმითი 2023).

5 წლის ნია და გიო კუბურების ცენტრში არიან, ნია გიოს მიმართავს: -„გიო, დამიჭირე რა ეს კოშკი, თავსახური უნდა დავადგა“. გიო ნიას არ პასუხობს. -“გიო, მოდი რა!“ - ბრაზდება, ნია. –„არა, მე ამ სახლს ვაშენებ!“, ნიასკენ არც იხედება, ისე პასუხობს გიო. –„გიო, ამ კოშკში ჩვენი საგანძური გადავმალოთ, ორივესი იყოს, კარგი?“ ტონალობას ცვლის ნია. –„კარგი“, პასუხობს გიო და ნიასკენ მიდის.

ამ ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ აქტიურად და გააზრებულად ჩაერთონ **წესების შემუშავებაში.** წარმართეთ ჯგუფური საუბრები წესების მნიშვნელობაზე. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ წესები. ჩართეთ ბავშვები მსჯელობაში. რატომ ფიქრობ, რომ ეს წესი მნიშვნელოვანია? ეს დაეხმარება ბავშვებს, გაიაზრონ წესის მნიშვნელობა. წესები ხშირად გაიმეორეთ დიდ ჯგუფში. გადაამოწმეთ მცირე ჯგუფებში, რამდენად კარგად ესმით წესები. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ინდივიდუალური მხარდაჭერა, ინდივიდუალური ინსტრუქციები, შეხსენებები. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ წესების დასწავლით არ ხდება რთული ქცევის პრევენცია. ამას კომპლექსური, თანმიმდევრული მუშაობა სჭირდება, სადაც დიდი წილი ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენციის მხარდაჭერას და განვითარებას ეთმობა.

მოდელირება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა სოციალური ურთიერთობების სწავლების

პროცესში, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, რადგან ბავშვები უფროსების ქცევაზე დაკვირვებით და მიბაძვით სწავლობენ. უფროსმა სწორი და პატივისცემით სავსე კომუნიკაციის მაგალითები უნდა გამოავლინოს, როგორც ბავშვებთან, ისე უფროსებთან ურთიერთობაში.

ცხრილი 4: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

1. ქვემიზანი: სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
1.1.მიჯაჭვულობა და დაცულობა	• გამოხატავენ ემოციურ მიჯაჭვულობას და უსაფრთხოებას აღმზრდელთან • ემორჩილებიან მის მითითებებს	• მიმართავენ უფროსს დახმარებისთვის • იღებენ და ეძებენ ემოციურ და ქცევით მხარდაჭერას	• ავლენენ დამოუკიდებლობას • თავად იჩენენ ინიციატივას უფროსებთან ურთიერთობისას და მხარდაჭერის მოძიებისას
1.2.ურთიერთობაში ენის გამოყენება და გაგება	• იყენებენ 2-3-სიტყვიან წინადადებებს • ესმით მარტივი მიმართვები	• იყენებენ 3-5-სიტყვიან წინადადებებს • ძირითადად სწორად იგებენ სხვის ნათქვამს	• გამართული წინადადებებით გამოხატავენ აზრს • იგებენ სოციალურ მინიშნებებს (ინტონაცია, მიმიკა) • იცვლიან საუბრის ტონს და სტილს პარტნიორის დასარწმუნებლად
1.3. ურთიერთობების დამყარება და კომუნიკაცია	• უფროსის დახმარებით ამყარებენ კონტაქტს ჟესტებითა და მარტივი სიტყვებით	• იწყებენ დამოუკიდებლად ურთიერთობის დამყარებას • ამჩნევენ და რეაგირებენ ემოციურ მინიშნებებზე. მაგ. რატომ არის მოწყენილი • აცდიან ერთმანეთს საუბარს	• დამოუკიდებლად ურთიერთობენ როგორც უფროსებთან ისე თანატოლებთან • სწავლობენ როგორ შეუერთდნენ უკვე დაწყებული თამაშს ან აქტივობას ეფექტურად
1.4. მეგობრობის ინიციატივა და თანამშრომლობა ჯგუფში	• უფროსის დახმარებით ერთვებიან ერთობლივ საქმიანობასა და ინტერაქციულ თამაშში	• იჩენენ თამაშის ინიციატივას • მეგობრობის მცდელობები ხშირია, თუმცა ხშირად ხანმოკლე • შეუძლიათ საერთო მიზანზე მუშაობა	• მეგობრობა უფრო მდგრადი ხდება და მნიშვნელობას იძენს • იყენებენ თანატოლებთან „დაყოლიების“ ელემენტებს (მაგ. დიდების მიმბაძველი ფრაზები) • თანამშრომლობისას იჩენენ უფრო დიპლომატიურ მიდგომებს

1.5. საბაზისო სოციალური ნორმების ცოდნა	• უფროსის დახმარებით მიჰყვებიან მარტივ წესებს	• ესმით და იცავენ ძირითად სოციალურ ნორმებს - მისალმება, დამშვიდობება, იციან მოკითხვა, კითხვის დასმა • მიმართავენ დახმარების თხოვნით	• იყენებენ არაპირდაპირი მოთხოვნის ფორმებს (მაგ. შეგიძლია მომცე?) • იციან გაზიარება, თხოვნის ფორმულირება, მეგობრის თამაშში ჩართვა • მონაწილეობენ წესების შემუშავებაში

სოციალური თამაში

2-3

რაც შეეხება სოციალური თამაშის განვითარების სპეციფიკას. ორი წლის ასაკში ბავშვები უფრო ხშირად, ერთ სივრცეში, ერთმანეთის **პარალელურად თამაშობენ,** თუმცა ერთმანეთით ინტერესდებიან და ერთმანეთს აკვირდებიან. პარალელურ თამაშთან ერთად, ისინი ნელ-ნელა **ასოციაციურ თამაშებსაც** იწყებენ - ესაუბრებიან ერთმანეთს, ხანდახან სათამაშოებსაც ცვლიან, მაგრამ ძირითადად თავიანთი თამაშის მიზნებზე არიან ორიენტირებულნი. ამასთან ერთად, ორიდან სამ წლამდე ბავშვები **იმიტაციურ თამაშებსაც** ეუფლებიან - ჰბაძავენ ერთმანეთის ქმედებებს, იმეორებენ ერთმანეთის ნათქვამსა და ჟესტიკულაციას. ამას მალე მოჰყვება **მარტივი კოოპერაციული (თანამშრომლობითი) თამაში**, თამაშის მოკლე და მარტივი სცენარებით, რისი შემდეგი ნაბიჯიც ცოტა უფრო გართულებული **როლური თამაშია.**

შესაბამისად, თუ **ორი წლის ასაკში** ბავშვები ძირითადად ერთმანეთის გვერდით (მაგრამ არა ერთად) თამაშობენ (პარალელური თამაში), **სამი წლის ასაკისთვის** კი ისინი უკვე ერთმანეთს როლებს უნაწილებენ და ერთმანეთის სურვილების გათვალისწინებას სწავლობენ.

მათი ამ განვითარებადი უნარებისა და შესაძლებლობების მხარდასაჭერად ბავშვებში უნდა ახალისებდეთ ერთმანეთის თამაშით დაინტერესებას: *„ნახე, ნიკო კოშკს აშენებს, მოდი, ეს კუბიკი მივაწოდოთ!“* ერთმანეთის მიბაძვას და მარტივი სცენარების გათამაშებას.

თქვენ მიერ რამდენიმე ბავშვთან ერთად წამოწყებული ნებისმიერი თამაში, იქნება ეს „ზილინა“ თუ კოშკის ერთად აშენება, სოციალური თამაშის ხელშეწყობის კარგი საშუალებაა. სოციალური თამაშის წამოწყების ხელშეწყობაა, როდესაც ხედავთ, რომ ბავშვი თოჯინას აძინებს ან აჭმევს, კუბურებისგან შენობას აშენებს ან სპაიდერმენებივით დახტის და ეუბნებით: *„ნახე, ლიზიც აძინებს თავის ლეკვს, ნეტა, მის ლეკვს რა ჰქვია, მოდი, ვკითხოთ“; „სანდრო, დათის მანქანებისთვის გარაჟი ხომ არ ააშენე?“; „შენ მეგობრები როდის გაიგებენ სპაიდერმენი რომ ხარ?“*

3-5

თუ ამ ასაკის ბავშვებთან მიზნად სოციალურ თამაშს იღებთ, თქვენი მთავარი ამოცანა **კოოპერაციული (თანამშრომლობითი)** თამაშის ხელშეწყობაა, რადგან იგი ბავშვის განვითარებაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიშნულად (მიღწევად) ითვლება. კოოპერაციული თამაში სოციალური თამაშის ყველაზე მაღალი საფეხურია. როგორც მე-4 თავში აღვნიშნეთ, კოოპერაციული თამაში ბავშვების ერთად თამაშს გულისხმობს, რომლის დროსაც ისინი ერთად ჭრიან პრობლემებს, საერთო შედეგის მისაღწევად. კოოპერაციულ თამაშში, განსხვავებით შეჯიბრებისგან, სადაც გამარჯვებული ან დამარცხებულია, ბავშვები საერთო მიზნის მისაღწევად შეთანხმებულად მოქმედებენ.

სოციალური თამაშები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ბავშვის განვითარების თავისებურებებზე. 3-იდან 4 წლამდე ბავშვები კოოპერაციული თამაშების უნარებს ახლა ხვეწენ. მათი ამგვარი თამაშები უფრო ხანმოკლეა და არ მოიცავს რთულ კომუნიკაციურ ურთიერთობებს. ამ მიზანზე მუშაობისას აღმზრდელის ამოცანაა, ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინოს კოოპერაციული თამაშის საბაზისო უნარებზე და მათ როლებზე თამაშისას: *“ერთად რა კარგი კოშკი ააგეთ, ნიკო, შენ იჭერდი, ნუცა კი აწყობდა”.*

კოოპერაციული თამაში უფრო მეტად ოთხი წლიდან ვლინდება, როდესაც ბავშვები აქტიურად ერთვებიან ერთმანეთთან კოორდინირებულ და თანამშრომლურ მოქმედებებში. ბავშვები სოციალური თამაშის ეტაპებს სხვადასხვანაირად გადიან. ზოგიერთი ბავშვი უფრო ადრე ავლენს, ხოლო სხვებს მეტი დრო სჭირდებათ კოოპერაციული თამაშის უნარების გამოსამუშავებლად.

4-5 წლის ასაკში თამაშები უფრო თანამშრომლურია: ბავშვები თამაშისას ინტერაქციას უფრო დიდი ხნით ინარჩუნებენ, ისინი სწავლობენ მოლაპარაკებას, კომპრომისს და საერთო მიზანზე ზრუნვას; იგონებენ ახალ სცენარებს და მეტ წარმოსახვით როლს ირგებენ. კოოპერაციული თამაშები ამ ასაკში შეიძლება კომპლექსურ სცენარებს მოიცავდეს, სადაც ბავშვები ერთიანი მიზნისკენ ისწრაფვიან. აღმზრდელის ამოცანაც სწორედ ერთად თამაშისას საერთო მიზანზე ზრუნვა და როლების განაწილების ხელშეწყობაა. თანამშრომლობითი თამაშები მნიშვნელოვანია სოციალური განვითარებისთვის, რადგან ბავშვები სწავლობენ თანამშრომლობას, პრობლემის გადაჭრას და შეთანხმების მიღწევას ჯგუფური თამაშების დროს.

გავრცელებული კოოპერაციული თამაშის მაგალითები:

- დრამატული თამაშები (მაგ. სახლობანა, ექიმობანა, საყიდლებზე წასვლა, წარმოდგენის გამართვა)
- თამაშები, რომელიც პრობლემის ჯგუფურად გადაჭრას და გუნდურ მუშაობას მოითხოვს (სამაგიდო თამაშები)
- ჯგუფურ პროექტზე ერთად მუშაობა (მაგ, ერთობლივი ნახატი, ერთად რაღაცების დამზადება, აგება, შექმნა, გუნდური კვლევითი აქტივობები)
- გუნდური სპორტული თამაშები

3-5 წლის ბავშვებში სოციალური თამაშის განვითარება კრიტიკულია მათი ჰოლისტური განვითარებისთვის. აღმზრდელის სწორი მიდგომებით - რესურსების ორგანიზებით, მრავალფეროვანი მასალების შეთავაზებით, გამოწვევების შექმნით, გამოცდილების გამრავალფეროვნებით, დახმარებითა და როლური თამაშების წახალისებით შესაძლებელია სოციალური თამაშების ხელშეწყობა.

მაგალითად, თუ კუბურებით თამაშისას ბავშვი იტყვის: - *„მოდი, ავაშენოთ ყველაზე მაღალი კოშკი!“* თქვენ შეგიძლიათ უთხრათ: -*„გახსოვდეთ, თუ ერთად ვიმუშავებთ და ერთმანეთის იდეებს მოვისმენთ, კოშკი ძალიან მყარი გამოვა“*. თქვენ ასევე შეგიძლიათ ბავშვებს როლების განაწილებაშიც დაეხმაროთ, ერთი შესაბამის კუბურებს ეძებს, მეორე ამაგრებს, მესამეს ქვემოდან უჭირავს.

5-6

5-6 წლის ბავშვების თამაშის წამყვანი ფორმა **კოოპერაციული (თანამშრომლობითი) თამაშია.** კოოპერაციული თამაშის უნარი ბევრი სხვა უნარის მომწიფებულობასა და განვითარებაზე მეტყველებს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებისთვის **სოციალური ურთიერთობები მნიშვნელოვანია, რომ ისინი იუმჯობესებენ შეთანხმების, დათმობისა და განაწილების, წესების მიყოლის უნარებს, რომ მათ უკეთ გამოსდით ემოციებისა და იმპულსების კონტროლი და, რომ მათ შეუძლიათ საერთო მიზნისკენ სწრაფვა.**

თამაშებისას დროს ბავშვები **მიჰყვებიან თამაშის წესებს და თავიანთ რიგს ელოდებიან ისე, რომ თამაში კონფლიქტის გარეშე გაგრძელდეს.** ისინი ათანხმებენ, რას ნიშნავს იყო გამარჯვებული, მაგალითად: „დავთვალოთ და ვისაც ბოლოს მეტი ბარათი ექნება, ისაა გამარჯვებული“; „გავითვალოთ პირველი, მეორე, მესამე და ისე ვისროლოთ ბურთები“ და სხვა.

ამ ასაკში ბავშვები თამაშისას სულ უფრო მეტად და მეტად იყენებენ **პრობლემის გადაჭრის თანამშრომლობით გზებს.** ისინი ანაწილებენ და ასრულებენ როლებს წინაღობების გადასალახად,, მაგალითად, -„მოდი, მე ქვემოდან დავიჭერ და შენ აწიე“, „ნიკომ თოკი ჩამოწიოს, მე ჯოხს მივაბამ“ და სხვა.

ამ ასაკში ბავშვები **კომპრომისებისა და კონფლიქტის გადაჭრის ,,დიპლომატიური'' მეთოდების** გამოყენებას იწყებენ, რათა თამაში გაგრძელდეს, მაგალითად:

> ლევანი და დათა კონსტრუქციას აშენებენ, ლევანს უნდა, რომ ეს აეროდრომი იყოს, დათას კი - ცხენების თავლა. ცოტა ხანი ბავშვები ვერ თანხმდებიან, მაგრამ უცებ დათა ამბობს: „მოდი, ვითომ „კოვბოებმა“ ამ აეროდრომში თავლა ააშენეს. თვითმფრინავიდან ჩამოფრენილები სახლში ცხენებით რომ წავიდნენ, კაი?“.

5-6 წლის ასაკში **სიმბოლური თამაშის მახასიათებლები** უკვე კარგა ხნის განვითარებულია (სიმბოლურ თამაშზე მეტი იხ. თავი 4, ასევე თავი 7. ქვემიზანი შექმნა). ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ, თავი სხვა ადგილას წარმოიდგინონ, გაწვნენ ხალიჩაზე, ხელ-ფეხი აამოძრაონ და თქვან, რომ ზღვაში მიცურავენ, ისინი შესაძლოა წარმოსახვით მეგობარს

ესაუბრებოდნენ ან წარმოსახვითი მიკროფონებით მღეროდნენ. დრამატული თამაშისას, როდესაც ისინი სხვადასხვა როლებს ირგებენ, ხანდახან თავს გადახდენილ სხვადასხვა მოვლენას გაითამაშებენ ხოლმე, რაც ემოციურ სირთულეებთან გამკლავების კარგი სტრატეგიაა.

კვლევები ამბობს, რომ **დრამატული თამაშებისას ბავშვები უფრო მეტ და უფრო რთულ წინადადებებს იყენებენ** და მათ ამის მრავალფეროვანი საშუალებები და საკმარისი დრო უნდა მივცეთ!

ჯგუფურ სამაგიდო თამაშებში ბავშვები არა მხოლოდ ლოგიკურ, მათემატიკურ ან მოტორულ უნარებს ივითარებენ, არამედ სწავლობენ თამაშის წესებს, შეთანხმებას, მოგებასა და წაგებას, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია.

ხშირად მიეცით ბავშვებს საშუალება, **ერთად შექმნან რაიმე ნახატი ან ააშენონ რაიმე კონსტრუქცია,** რაც გაზიარების, როლების განაწილებისა და თანამშრომლობის წახალისების კარგი საშუალებაა.

ბავშვები ასევე ბევრ რამეს სწავლობენ და თან **მოტორულად** ვითარდებიან, როდესაც ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ ისეთ ჯგუფურ სახალისო აქტივობებში, როგორიცაა „ვისი სული გსურს“, „ორდროშობანა“ და სხვა.

მრავალფეროვანი და ერთობლივი თამაშებისა და აქტივობების მხარდაჭერისას განსაკუთრებული ყურადღებას მიაქციეთ, რომ ბავშვებში **საერთო მიზანზე ერთობლივად მუშაობის, როლების განაწილებისა და გუნდურობის** უნარები წაახალისოთ.

ცხრილი 5: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

2. ქვემიზანი: სოციალური თამაში

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
2.1.პარალელური თამაში	• თამაშობენ ერთ სივრცეში, მაგრამ დამოუკიდებლად, პარალელურად, თუმცა ინტერესდებიან ერთმანეთით	(შენიშვნა: ამ ასაკში პარალელური თამაში ეტაპობრივად გადაიზრდება ასოციაციურში)	(შენიშვნა: ამ ასაკში ნაკლებად აქტუალურია, თამაშები თანამშრომლურია)
2.2. ასოციაციური თამაში	• უფროსის დახმარებით ერთმანეთს ესაუბრებიან, ცვლიან სათამაშოებს • ერთმანეთს ჰბაძავენ, იმეორებენ ქმედებებს, სიტყვებსა და ჟესტებს	• 3 წლიდან იწყებენ მცირე კომუნიკაციას • უზიარებენ სათამაშოებს • იჩენენ ინტერესს ერთმანეთის თამაშის მიმართ	• არ არის დომინანტური ფორმა, თუმცა გარკვეულ სიტუაციებში ვლინდება, როგორც კოოპერაციული თამაშის გარდამავალი ფორმა

2.3. კოოპერაციული თამაში	• უფროსის დახმარებით ჩნდება კოოპერაციული თამაშის ელემენტები • თამაში მოკლეა და მარტივი სცენარებით მიმდინარეობს	• იწყებენ შეთანხმებულ მოქმედებას თამაშის საერთო მიზნის მისაღწევად • ინარჩუნებენ ინტერაქციას ხანმოკლე დროით • 4-წლიდან ავითარებენ კოორდინირებულ და თანამშრომლურ ქმედებებს • ინაწილებენ როლებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის სურვილებს • იწყებენ შეთანხმებებს, მიდიან კომპრომისზე • იგონებენ ახალ სცენარებს • მუშაობენ ჯგუფურ პროექტებზე, მაგალითად, ნახატი, კონსტრუქცია	• როლური თამაშები რთულდება და ხდება კომპლექსური • თამაშში კომპრომისებისა და კონფლიქტის გადაჭრის ,,დიპლომატიურ'' , თანამშრომლობით გზებს იყენებენ. • თამაშის დროს უკეთ აკონტროლებენ ემოციებსა და იმპულსებს • თამაშისას მიჰყვებიან წესებს • თამაშობენ ჯგუფურ სამაგიდო თამაშებს
2.4. სიმბოლური თამაში	• იმიტირებენ მარტივ ყოველდღიურ ქმედებებს (დალევა, ჭამა, თოჯინასთვის საბნის დაფარება) • ახასიათებთ განმეორებადი მოქმედებები ერთსა და იმავე სცენარში • იწყებენ როლების მინიჭებას (მაგ. თვითონ არის “დედა”, თოჯინა — “ბავშვი”) • იყენებენ ერთ საგანს მეორის ნაცვლად (მაგ. კოვზს - ტელეფონად)	• ქმნიან თამაშის სცენარებს • ცვლიან ხმას ან ინტონაციას როლის მიხედვით • იყენებენ სხვადასხვა საგნებს სიმბოლურად • თამაშობენ სხვა ბავშვებთან ერთად და როლებს ინაწილებენ • შეუძლიათ რთული სცენარის განვითარება	• ქმნიან რთულ და ხანგრძლივ თამაშის სცენარებს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღე • ემოციებსა და იდეებს სიმბოლურად გამოხატავენ როლური თამაშით, ნახატით ან იმიტაციით. მაგ. ექიმობანას თამაშისას ამშვიდებს თოჯინას • აგებენ თამაშს წარსულის ან წარმოსახვით სამყაროზე (მაგ. მოგზაურობა კოსმოსში, მეფე და რაინდები) • როლებში ერთვებიან შეთანხმებით და ჯგუფურად ავითარებენ სიუჟეტს • შემოქმედებითად იყენებენ მრავალფუნქციურ და სიმბოლურ საგნებს

ცნობიერება

თვითცნობიერება

2-3

ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საკუთარი თავისადმი რწმენის გაღვივებაა, რაც სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების ქვაკუთხედია. სწორედ 2-3 წლის ასაკში იწყება ბავშვის პიროვნული მე-ს ჩამოყალიბება, რაც ბავშვებში ავტონომიურობის, ქმედებათა დამოუკიდებლად შესრულების და საკუთარი მე-ს გამოვლენის დიდ სურვილს აჩენს. თუმცა ამ ასაკში მათი სურვილების და შესაძლებლობები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც იწვევს ხოლმე ჭირვეულობასა და ნეგატივიზმს.

საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შესახებ წარმოდგენის ფორმირების ამ უმნიშვნელოვანეს ასაკში ბავშვებს სჭირდებათ **ემოციური მხარდაჭერა, მათი მცდელობების პოზიტიური განმტკიცება და დამოუკიდებლობის წახალისება.**

ყურადღებით დააკვირდით, რას გრძნობენ ბავშვები. სახელი დაარქვით მათ განცდებს და ემოციებს:

- „მოწყენილი ხარ, რადგან მამა უნდა წავიდეს“.
- „ძალიან ცდილობ ამ თავსატეხის აწყობას და იმედგაცრუებული ხარ, რომ არ გამოდის.“
- „გორაკიდან ჩამოსვლას ცდილობ. მე დაგხვდები ქვევით, რომ არ დავარდე“.

ძალისხმევა მიმართეთ იქეთაც, რომ დღის განმავლობაში რამდენჯერმე აღწეროთ საკუთარი გრძნობები და ემოციები:

- „იმედგაცრუებული ვარ, რადგან ეს ქილა ვერ გავხსენი“.

თანმიმდევრულად წაახალისეთ ბავშვის მცდელობები და არა იმდენად შედეგი; „ვხედავ, როგორ ცდილობ თავსატეხის აწყობას“. ეს ბავშვებს ასწავლის, რომ მათი ძალისხმევა მნიშვნელოვანი და დაფასებულია, შეამჩნიეთ და აღნიშნეთ ყველა პოზიტიური ქცევა.

როდესაც თქვენ რთავთ ბავშვებს ყოველდღიურ აქტივობებში, ასწავლით, როგორ დაიბანოს ხელები, დალიოს ჭიქით, დაალაგოს სათამაშოები, ბავშვს უჩნდება დამოუკიდებლობისა და კომპეტენტურობის განცდა.

ამ ასაკში ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ჰქონდეთ არჩევანის გაკეთების უფლებაც, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად მრავალფეროვან შეთავაზებებს შორის არჩევანის გასაკეთებლად და სჭირდებათ მკაფიო და შეზღუდული შეთავაზებები, მაგალითად, რომელ საკიდზე დაკიდებს ქურთუკს? საღებავებით დახატოს თუ ფანქრებით? რას მიირთმევს, სტაფილოს თუ ვაშლს?

3-5

სამიდან ოთხ წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები ჯერ კიდევ თვითცნობიერების განვითარების ადრეულ სტადიაზე არიან. ისინი იწყებენ საკუთარი თავის ცალკეულ ინდივიდებად აღქმას და იმის გაცნობიერებას, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები. შესაძლოა, მათ ბოლომდე ვერ გაიაზრონ ისეთი ცნებები, როგორიცაა სირცხვილი, დანაშაულის გრძნობა ან სიამაყე. ისინი ემოციებს უფრო მეტად გამოხატავენ ქცევებით და არა სიტყვებით - მალავენ სახეს მორცხვობისას ან გარიდებენ თვალს შეცბუნებისას.

სამიდან ოთხ წლამდე ასაკში თვითცნობიერების მხარდაჭერისას მთავარი ამოცანა ჯერ კიდევ ის არის, რომ ბავშვებმა ამოიცნონ და დაასახელონ თავიანთი ემოციები და გაიგონ ძირითადი სოციალური ნორმები. წაახალისეთ ისეთი მარტივი აქტივობები, როგორიცაა სარკეში საკუთარი თავის ყურება და გრძნობების ამოცნობა ან ლაპარაკი იმაზე, თუ რა ახარებთ ან აბრაზებთ მათ. კითხვისას და ამბების მოყოლისას ყურადღება გაამახვილეთ პერსონაჟების საბაზისო ემოციებზე.

ოთხიდან ხუთ წლამდე ასაკში ბავშვები უკეთ აცნობიერებენ საკუთარ ემოციებს და იმასაც, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები. მათ შეუძლიათ, განიცადონ და გაიგონ უფრო რთული ემოციები, როგორიცაა სიამაყე, დანაშაულის გრძნობა და უხერხულობა. მათ შეუძლიათ ისეთი სიტუაციების ამოცნობა და განხილვა, რომლებიც იწვევს ამ ემოციებს; მათ ასევე შეუძლიათ ახსნან, თუ რატომ გრძნობენ თავს ამგვარად ან იმგვარად. ისინი უკეთ სწავლობენ საკუთარი ქმედებებს და ქცევებზე დაფიქრებას და იწყებენ იმის გაგებას, რომ მრავალფეროვანი გრძნობები ბუნებრივია და მათი მართვა შესაძლებელი.

ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვებს შეუძლიათ, აგყვნენ საუბარში და გაიაზრონ, თუ რა გავლენას ახდენს მათი ქმედებები სხვებზე. ამ ასაკში ისინი უფრო მგრძნობიარენი არიან იმის მიმართ, თუ რას ფიქრობენ სხვები მათზე, და ეს გავლენას ახდენს მათ თვითშეფასებასა და ქცევაზე. თქვენი ამოცანაა, დაეხმაროთ ბავშვებს ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში.

მაგალითად, ბავშვი, აღფრთოვანებული აჩვენებს საკუთარ ნამუშევარს დანარჩენებს, თანატოლები კი აღფრთოვანებას ვერ იზიარებენ, ეუბნებიან, რომ ნახატი "სულელურია", რამაც შესაძლოა, ნახატის ავტორი შეურაცხყოფილი დატოვოს. თუ თქვენ ეტყვით: "ყველა სხვადასხვანაირად ხედავს საგნებს. მე ვფიქრობ, შენი ნახატი მართლაც საინტერესოა და ძალიან კარგია, რომ გვაჩვენე. რა მოგწონს მასში ყველაზე მეტად?" ეს მიდგომა დაეხმარება ბავშვს, გაუმკლავდეს თანატოლების გამოხმაურებას და აძლიერებს აზრს, რომ საკუთარი აზრიც მნიშვნელოვანია.

ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ სტრატეგიებს ისეთ უარყოფით ემოციებთან გასამკლავებლად, როგორიცაა: ღრმა სუნთქვა, თავიანთ გრძნობებზე საუბარი ან სიტუაციის პოზიტიური ასპექტების პოვნა. წაახალისეთ ისინი, დაფიქრდნენ და ისწავლონ საკუთარი გამოცდილებიდან, რაც ხელს უწყობს მედეგობისა და ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

5-6

ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვები უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ ისინი არიან ინდივიდები განსხვავებული გრძნობებით და აზრებით. ამ ასაკში ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ, თუ რას ფიქრობენ სხვები მათზე, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სოციალურ ურთიერთობებზე, ემოციურ რეგულირებასა და თვითშეფასებაზე.

ამ ასაკში ბავშვები უფრო **მგრძნობიარეები ხდებიან შექების, კრიტიკის ან დაცინვის** მიმართ და ეძებენ მეგობრებისა და უფროსების მოწონებას. ბავშვები იწყებენ საკუთარი მნიშვნელობის განცდის ჩამოყალიბებას თავიანთი გამოცდილებების, წარმატებებისა და ურთიერთობების საფუძველზე. თანატოლებისა და უფროსების პოზიტიური უკუკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში.

აღმზრდელებს ამ ასაკში განსაკუთრებული მგრძნობელობის გამოჩენა უწევთ, რადგან ბავშვები იწყებენ საკუთარი გარეგნობის, უნარების და მიღწევების შედარებას თანატოლებთან. მათ შესაძლოა, გაუჩნდეთ სიამაყე საკუთარი მიღწევების გამო ან ან დაუმდაბლდეთ თვითშეფასება სხვადასხვა გარემოებების გამო.

5-6 წლის ბავშვები იწყებენ ისეთი **რთული ემოციების** იდენტიფიცირებასა და გამოხატვას, როგორიცაა სირცხვილი, სიამაყე და დანაშაული. ეს ემოციები ხშირად უკავშირდება იმას, თუ როგორ აღიქვამენ მათ სხვები და ასევე - სოციალურ მოლოდინებს.

შესაბამისად, **მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი აზრები, გრძნობები და შეხედულებები.** ეს შეიძლება მოხდეს შემოქმედებითი აქტივობების, წიგნებისა და ამბების თხრობის ან დისკუსიების საშუალებით.

ყურადღება გაამახვილეთ ბავშვების ძალისხმევაზე და არა მხოლოდ შედეგზე, ეს ეხმარება ბავშვებს მედეგობისა და თვითდაჯერებულობის განვითარებაში, რაც ხაზს უსვამს, რომ მცდელობა ისეთივე ღირებულია, როგორც წარმატება.

მათი ქცევის რეგულირებისას ან რჩევების მიცემისას გამოიყენეთ პოზიტიური მიდგომა. თავიდან აიცილეთ კრიტიკული ენა, რომელმაც შეიძლება დააკნინოს მათი თვითშეფასება.

შექმენით უსაფრთხო გარემო შეცდომებისთვის, მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, რომ დაუშვან შეცდომები და იცოდნენ, რომ შეცდომები სწავლების ნაწილია. ეს ეხმარება მათ მარცხის შიშის შემცირებაში და ზრდის განვითარებაზე ორიენტირებულ აზროვნებას.

ცხრილი 6: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

3. ქვემიზანი: თვითცნობიერება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
3.1.საკუთარი თავის რწმენა	• ავლენენ ავტონომიურობის პირველ ნიშნებს. • ცდილობენ დამოუკიდებლად იმოქმედონ • აკეთებენ მარტივ არჩევანს	• მგრძნობიარენი არიან იმასთან მიმართებით, რას ფიქრობენ სხვები მათზე • ხედავენ საკუთარ შესაძლებლობებს, თუმცა ზოგჯერ იმედგაცრუებულები არიან, როდესაც შედეგს ვერ იღებენ	• უფრო მკაფიოდ აღიქვამენ საკუთარ თავს, როგორც განსხვავებულ ინდივიდს • იწყებენ შეცდომების აღიარებას • სწავლობენ საკუთარი ძალისხმევის მნიშვნელობას
3.2. ემოციების ცოდნა	• ემოციების ამოცნობაში სჭირდებათ უფროსის დახმარება • ცნობენ მარტივ ემოციებს: სიხარული, გაბრაზება, შიში	• უკეთ აცნობიერებენ საკუთარ ემოციებს • იწყებენ ემოციების დასახელებასა და ახსნას • იაზრებენ რთულ ემოციებს როგორიცაა სიამაყე ან დანაშაულის გრძნობა • სწავლობენ საკუთრ ქმედებებსა და ქცევებზე დაფიქრებას • იწყებენ გაგებას, რომ მრავალფეროვანი გრძნობები ბუნებრივია და მართვა შესაძლებელი	• ცნობენ უფრო კომპლექსურ ემოციებს, როგორიცაა უხერხულობა ან დაბნეულობა • შეუძლიათ საკუთარი ქცევების გააზრება • აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა გრძნობა ბუნებრივია და მართვა შესაძლებელი
3.3. ემოციების გამოხატვა	• ემოციებს ქცევებით გამოხატავენ	• 4 წლიდან იწყებენ რთული ემოციების სახელდებას • სწავლობენ ახსნას, რას და რატომ გრძნობენ	• აქვთ მდიდარი ემოციური ლექსიკონი • შეუძლიათ დაასახელონ და განმარტონ რთული ემოციები

ჩანართი

ბულინგის პრევენცია

3-5 წლის ბავშვებში ბულინგის საკითხი ხშირად არ აღინიშნება, რადგან ბევრი ფიქრობს, რომ ამ ასაკში ბავშვები უბრალოდ თამაშობენ და მათი ურთიერთობები არ შეიცავს ამგვარ ქცევებს. თუმცა, ფსიქოლოგების და პედაგოგების კვლევებმა აჩვენა, რომ შესაძლოა, პატარები უკვე ამ ასაკში გამოხატავდნენ აგრესიას, განსხვავებულის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ან დომინირების მცდელობებს, რაც ბულინგის საწყისი ნიშნები შეიძლება იყოს. 3-5 წლის ასაკში სოციალური ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქცევების მოდელირება, რომელიც ბულინგის პრევენციას უწყობს ხელს. უფროსებმა უნდა დაარეგულირონ ბავშვების ურთიერთობები ისე, რომ თითოეულმა ბავშვმა იგრძნოს საკუთარი მნიშვნელობა და თანამშრომლობის ფასი, როგორ უნდა იზრუნონ ერთმანეთზე, პატივი სცენ სხვას და არ დააზიანონ ერთმანეთი. საკმაოდ ხშირად ტრივიალური განსხვავებები, როგორიცაა ენობრივი განსხვავება, გარეგნობა, ან განსხვავებული შესაძლებლობები, შეიძლება ბულინგის მიზეზი გახდეს. ამ ასაკში ბავშვები ხშირად ვერ აცნობიერებენ სხვაობას და შეიძლება შეურაცხმყოფელი ქცევა გამოავლინონ, რადგან არ აქვთ სათანადო სოციალური უნარები და არ იციან, როგორ უნდა მოექცნენ განსხვავებულ ადამიანებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ბავშვებს ადრეულ ასაკში ასწავლოთ, რომ განსხვავებები ბუნებრივია და ის არ უნდა იყოს ბულინგის საფუძველი. ამ პერიოდში ბავშვები სწავლობენ, სად გადის ზღვარი პატივისცემასა და შეურაცხყოფას შორის. სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, როგორიცაა პატივისცემა, გაგება და ტოლერანტობა, ხელს უწყობს ბავშვებში ემპათიის განვითარებას და ამგვარი უარყოფითი ქცევების თავიდან აცილებას. აღმზრდელმა შეიძლება გამოიყენოს ჯგუფური დისკუსიები, სადაც განიხილავს თანაგრძნობის და კეთილგანწყობის მაგალითებს, ასევე უხეში მოქცევის შედეგებს.

2-3

სოციალური ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს ემპათიის, თანამშრომლობის და სხვის გათვალისწინების სწავლებას. თუმცა, რამდენადაც ემპათიურობა სხვისი პერსპექტივის დანახვის უნარსაც გულისხმობს, ამისთვის ბავშვები უფრო მეტად 3 წლის ასაკიდან არიან მზად, ან იმ ასაკიდან, როდესაც იმიტაციურ და სოციალურ თამაშებს იწყებენ. **შესაბამისად, 2-3 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჩვენი მთავარი ამოცანაა, ბავშვებს საკუთარი ემოციების გაცნობასთან და სახელდებასთან ერთად, სხვისი ემოციების დანახვა და სახელდება ვასწავლოთ.**

ხშირად გაახმოვანეთ ის, რაც მათ გარშემო ხდება:

- „ვხედავ, შენ და ნიას ეს წიგნი ძალიან მოგეწონათ.“
- „ვხედავ, ერთად კოტრიალი გსიამოვნებთ.“

მარტივი ენით აღწერეთ, რა არის მათი ან სხვების ამა თუ იმ ემოციის მიზეზი, ნელ-ნელა ემოციებსა და ქმედებებს შორის უხილავი მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა რომ შეძლონ:

- „გაგა ტირის, რადგან ნიამ ხელი ჰკრა.“
- “მოწყენილი ხარ, რაკი ბექა არ გათამაშებს.”
- „მიამ დაიკივლა, შენ რომ სწრაფად მორბოდი, შეეშინდა“.

3-5

სოციალური ნორმების გააზრება: **3-იდან 4 წლამდე ბავშვები** ჯერ კიდევ სწავლობენ ძირითადი სოციალური ნორმების გააზრებას, როგორიცაა „შეიძლება“ და „მადლობას“ თქმა, სათამაშოების გაზიარება და რიგის დალოდება. ისინი ძირითადად იცავენ ამ წესებს იმიტომ, რომ ამას უფროსები ეუბნებიან და არა იმიტომ, რომ მათ სრულად ესმით მათი მნიშვნელობა. **4-იდან 5 წლამდე ასაკში** ბავშვები კი უკვე იწყებენ სოციალური ნორმების მიღმა მიზეზების გააზრებას. მათ შეუძლიათ, დაიწყონ იმის დანახვა, თუ როგორ ეხმარება ეს წესები ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობაში და შეუძლიათ უფრო თანმიმდევრულად დაიცვან ისინი, მაშინაც კი, როცა უფროსები ამას არ სთხოვენ. ამ ასაკში ბავშვებს შეგიძლიათ, ესაუბროთ იმის შესახებ, თუ რატომ ვამბობთ „ბოდიშს“, როდესაც ვინმეს ვაწყენინებთ, ან რატომ არის მნიშვნელოვანი გაზიარება.

თანაგრძნობა და პერსპექტივა: **3-იდან 4 წლამდე** ბავშვებში ემპათიის უნარი ჩნდება, მაგრამ მათ შეიძლება დასჭირდეთ თქვენი დახმარება, რათა მიხვდნენ, როდის არის ვინმე მოწყენილი ან გაბრაზებული და რისი გაკეთება შეუძლიათ მათ დასახმარებლად, მაგალითად, ჩახუტება ან სათამაშოს გაზიარება. **4-იდან 5 წლამდე** ბავშვებს უკეთესად ესმით სხვისი გრძნობები. მათ შეუძლიათ, დაინახონ სხვა ადამიანის პერსპექტივა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ცნობიერების გასაღრმავებლად. წიგნის კითხვისას, ამბების მოყოლისას, როლური თამაშებისას, წაახალისეთ ისინი, საკუთარი თავი სხვის ადგილას წარმოიდგინონ გარკვეულ სიტუაციაში და თქვან, რას გრძნობდნენ.

თანამშრომლობა და გაზიარება: **3-იდან 4 წლამდე** ასაკის ბავშვებს ხშირად სჭირდებათ ზრდასრულთა ჩარევა, რათა წახალისდეს გაზიარება და რიგის დაცვა. 4-იდან 5 წლის ასაკში ბავშვები იწყებენ თანამშრომლობის უპირატესობების გაგებას, როგორიცაა საერთო მიზნის მიღწევა ან ერთად გართობა. **4-იდან 5 წელი** ის ასაკია, როდესაც ბავშვები უფრო მეტად აცნობიერებენ, რას ნიშნავს, როდესაც ვიღაცას ჩართავ თამაშში, ვიღაცას კი გარიყულს ტოვებ. ესაუბრეთ ბავშვებს იმაზე, თუ როგორ შეიძლება გრძნობდეს თავს, როდესაც ვინმე გარიყული ან დაჩაგრულია.

განსხვავებების გაგება და პატივისცემა: **3-იდან 4 წლამდე** ბავშვები ამჩნევენ განსხვავებებს გარეგნულად, შესაძლებლობების მიხედვით), მაგრამ შესაძლოა, ჯერ არ ესმით ან არ აფასებენ მრავალფეროვნებას. ამ ასაკში თქვენი მხარდაჭერა ფოკუსირებული უნდა იყოს მარტივ ცნებებზე, როგორიც არის ადამიანებს შორის მსგავსებების და განსხვავებების დანახვა. ასწავლეთ, რომ ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ და რომ ეს კარგია. **4-იდან 5 წლამდე** ბავშვები იწყებენ მრავალფეროვნების ცნების გააზრებას და შეუძლიათ, ისწა-

ვლონ სხვების განსხვავებების დაფასება და პატივისცემა. აქტივობები შეიძლება მოიცავდეს ისტორიების კითხვას სხვადასხვა პერსონაჟების შესახებ, სხვადასხვა კულტურული ტრადიციების აღნიშვნას და განხილვას.

თუ ჯგუფში უმცირესობის კულტურის წარმომადგენელი ბავშვი გყავთ (მაგალითად, ებრაელი, აზერბაიჯანელი ან სხვა), აღნიშნეთ მისი კულტურისთვის დამახასიათებელი დღესასწაულები (მაგალითად, ნოვრუზ ბაირამი ან სხვა), იქონიეთ მასალები - თოჯინები, წიგნები, პლაკატები - რომლებიც სხვადასხვა რასის, ეთნოსის ტრადიციებს ან სხვადასხვა შესაძლებლობებს (მაგალითად, ეტლში მჯდომი თოჯინა) ასახავს.

თუ ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი გყავთ, ესაუბრეთ მის თანატოლებს ამის შესახებ, გულწრფელად გაეცით პასუხი ყველა მათ შეკითხვას.

სოციალური პასუხისმგებლობა და დამხმარე ქცევა: **3-იდან 4 წლამდე** ბავშვებს შეიძლება ჯერ კიდევ არ ესმოდეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი სხვების დახმარება, მაგრამ თქვენ მაინც უნდა წაახალისოთ ისეთი ქცევები, როგორიცაა სათამაშოების დალაგება ან მეგობრის დამშვიდება. **4-იდან 5 წლამდე** ბავშვები იწყებენ სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვების დახმარების მნიშვნელობის გაგებას. წაახალისეთ ისინი, გამოიჩინონ ინიციატივა სხვების დასახმარებლად, როგორიცაა მოხალისეობა, რათა დაეხმარონ დასუფთავებაში ან დახმარება შესთავაზონ პატარებს.

4 წლის ასაკიდან უკვე თქვენც შეგიძლიათ ჩართოთ ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანაჯგუფელთან მიმართებით გადაწყვეტილების მისაღებ აქტივობებში და მათ ასეთი შეკითხვები დავუსვათ, როგორიცაა: *„როგორ ფიქრობთ, როდის გრძნობს ... თავს ყველაზე კარგად? რატომ? როდისაა უფრო მოწყენილი ან გაღიზიანებული? რისი გაკეთება შეგვიძლია, თავი ხშირად რომ იგრძნოს კარგად?“* აჩვენეთ ბავშვებს, რომ მათ იდეებს იწერთ, მიჰყევით მათ იდეებს და წაახალისეთ ბავშვების ინიციატივა და ჩართულობა თანატოლის მხარდაჭერაში. ეს მათ არა მხოლოდ სოციალური ცნობიერების განვითარებაში დაეხმარება, არამედ ასწავლის დაფიქრებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს.

5-6

როგორც თვითცნობიერებაზე საუბრისას აღინიშნა, **5-6 წლის ბავშვები** სულ უფრო უკეთ აცნობიერებენ, რა გავლენას ახდენს მათი ქმედებები, სიტყვები და ქცევები სხვებზე და შესაბამისად, უფრო ემპათიურები ხდებიან სხვისი გრძნობების მიმართ. ამ ასაკში ბავშვები უფრო მეტად ითავისებენ სოციალურ წესებს და ზრუნავენ თანატოლების მოსაზრებების და გრძნობების გათვალისწინებაზე.

წაახალისეთ ემპათია: გამოიყენეთ ბუნებრივად შექმნილი სხვადასხვა სიტუაციები და დაეხმარეთ ბავშვებს, რომ გააცნობიერონ სხვების გრძნობები და განიხილონ, თუ როგორ შეიძლება მათი ქმედებები მოქმედებდეს თანატოლებზე -დადებითად თუ უარყოფითად. შეგიძლიათ მოუხმოთ სხვადასხვა ლექსებსა თუ მოთხრობებში წაკითხულ პერსონაჟებს.

მიეცით ბავშვებს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა **გადაწყვიტონ უთანხმოებები მშვიდი საუბრისა და კომპრომისის გზით.**

დაეხმარეთ სხვისი პერსპექტივის გააზრებაში: ამ ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ **თავი სხვის ადგილას წარმოიდგინონ,** ამიტომ ისაუბრეთ ისეთ თემებზე, თუ რას შეიძლება გრძნობდეს მათი თანატოლი, რომელიც გარიყეს, არ ათამაშებენ ან სათამაშოებს არ უზიარებენ. –"შენ როგორ იგრძნობდი თავს, თუ ეს შენ დაგემართებოდა?"

ყოველთვის შეამჩნიეთ და დააფასეთ მათი პოზიტიური ქცევები, როგორიცაა გაზიარება, თანაგრძნობისა და ზრუნვის გამოხატვა.

ცხრილი 7: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

4. ქვემიზანი: სოციალური ცნობიერება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
4.1.სხვისი ემოციების აღქმა და გაგება	• უფროსების დახმარებით იწყებენ მარტივი, სხვისი ემოციების დანახვასა და სახელდებას	• ბავშვები იწყებენ სხვისი ემოციების უკეთ გაგებას • უჩნდებათ სურვილი, გაითვალისწინონ სხვების გრძნობები და საჭიროებები • შეხსენებისას აკვირდებიან ერთმანეთის სახეებს და ესმით ემოციები	• ესმით სხვისი ემოციები • ითვალისწინებენ სხვების გრძნობებს და საჭიროებებს, მაგ. მეგობრის მოწყენილობის შემჩნევა თამაშის დროს და რეაგირება
4.2. განსხვავებების გაგება და პატივისცემა	• განსხვავებების გასააზრებლად სჭირდებათ უფროსის დახმარება	• ამჩნევენ განსხვავებებს, მაგრამ ჯერ შესაძლოა არ ესმოდეთ ან ვერ დააფასონ მრავალფეროვნება • 4 წლიდან იწყებენ მრავალფეროვნების ცნების გააზრებას	• იწყებენ სხვების განსხვავებების დაფასებას და პატივისცემას
4.3. სოციალური პასუხისმგებლობა და წესები	• იწყებენ სხვების ქცევების დაკვირვებას და ზოგადი შთაბეჭდილებების შექმნას სხვებზე. • ხშირად უგულებელყოფენ წესებს და იწყებენ უფროსის დახმარებით წესებზე დამორჩილებას	• 4 წლიდან იწყებენ სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვების დახმარების მნიშვნელობის გაგებას. • იცავენ სამართლიანობას • ამჩნევენ წესებს და იწყებენ მათ გარკვეულწილად დაცვას, კვლავ უფროსის დახმარებით	• გამოხატავენ თანაგრძნობას, ეხმარებიან სხვებს • აქვთ სამართლიანობის შეგრძნება • ხშირ შემთხვევაში იცავენ წესებს და წესრიგს დამოუკიდებლად და უმნიშვნელო დახმარებით

4.4. სხვისი პერსპექტივის გაგება	• საჭიროებს უფროსის დახმარებას, რათა მიხვდეს, რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ.	• იწყებს იმის გაგებას თუ რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ.	• შეუძლიათ, წარმოიდგინონ საკუთარი თავი სხვის ადგილას. უკეთ ესმის რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ
4.5. სოციალური მიზეზშედეგობრიობა	• უფროსის დახმარებით იაზრებენ ემოციებსა და ქმედებებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს	• 4 წლიდან იაზრებენ, რა გავლენა აქვს მათ ქმედებებს, ნათქვამს, ემოციებს სხვებზე	• აცნობიერებენ საკუთარი ქმედებების, ნათქვამის, ემოციების გავლენას სხვებზე

რეგულაცია

თვითრეგულაცია

როგორც ვიცით, თვითრეგულაცია არის უნარი, რომელიც გვეხმარება საკუთარი ემოციების, ქცევებისა და იმპულსების მართვაში. ის მოიცავს ისეთ უნარებს, როგორიცაა მოთმინებით ლოდინი, იმედგაცრუებასთან გამკლავება, წესების დაცვა და იმპულსების კონტროლი. ის ასევე მოიცავს დაგეგმვის უნარების სწავლებას, რათა ბავშვებმა უკეთესად შეძლონ თავიანთი ყურადღების მართვა.

2-3

ორი-სამი წლის ასაკის ბავშვებში თავის ტვინის ის უბნები, რომელიც იმპულსებისა და ემოციების კონტროლზეა პასუხისმგებელი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მომწიფებული. მათ შესაძლოა ტირილი დაიწყონ და ფაზლის ნაწილები მოისროლონ, თუ ვერ შეძლეს ერთი ნაწილის სწორ ადგილას ჩასმა, რადგან იმედგაცრუების ემოციის კონტროლის რეგულირება ჯერ არ შეუძლიათ. მათ შესაძლოა, ძალიან გაუჭირდეთ რამდენიმე წუთით მოთმენა და სასურველ სასუსნავს ხელი მაშინვე დასტაცონ, მიუხედავად იმისა, რომ უთხარით, მოეთმინათ, რადგან იმპულსებს ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებენ სათანადოდ. ამიტომ იყავით მომთმენნი და რეალისტურები მათი შესაძლებლობების მიმართ.

ყოველთვის აღნიშნეთ და დააფასეთ, როდესაც ბავშვი ითმენს და საკუთარ რიგს ელოდება, ანდა სვამს შეკითხვას: შეიძლება თუ არა რაიმე ნივთის აღება?

ლოდინის პერიოდში დაასაქმეთ მარტივი თამაშით, მაგალითად, დათვლა, მოკლე სახალისო ლექსი ან სიმღერა.

3 წლის ბავშვებს მიეცით მოთმინებისა და თავშეკავების მაგალითი:

- „მოუთმენლად ველი, მაგრამ მოცდა მომიწევს.“
- „ძალიან მშია, მაგრამ ჯერ ხელები უნდა დავიბანო.“

შეიმუშავეთ მკაფიო და მყარი წესები და რუტინები. 2-3 წლის ასაკის ბავშვებთან ორ-სამ წესზე შეთანხმებაც საკმარისია, მნიშვნელოვანია, წესი პოზიტიურად იყოს ფორმულირებული და არა ნეგატიურად, მაგალითად, -*„ვუვლით წიგნებს“* და არა: -*„წიგნების დახევა არ შეიძლება“*. წესების შემუშავებისას გაითვალისწინეთ, რომ ისინი უნდა იყოს ვიზუალურად გაფორმებული, მარტივი და კონკრეტული მაგალითად: -*„ვუსმენთ სხვას“*. წესები უნდა ისწავლებოდეს სისტემურად. გააცანით წესები სასწავლო წლის დასაწყისში, ან როცა ახალი შემუშავებულია. ხშირად გაიმეორეთ და თანდათანობით შეამცირეთ გამეორება. თუ ხედავთ, რომ ბავშვები წესებს ემორჩილებიან, მოიფიქრეთ ახალი წესი, რაც კონკრეტულ ჯგუფს სჭირდება.

მრავალფეროვანი მოძრავი აქტივობები, სადაც მათ ტემპისა და მიმართულების შეცვლა უწევთ, ბავშვებს ენერგიის დახარჯვასა და აღდგენაში, ასევე საკუთარი სხეულის, ემოციებისა და ქცევის კონტროლში ეხმარება.

3-5

სამიდან ოთხ წლამდე ასაკში ბავშვები ჯერ კიდევ დიდად ეყრდნობიან ზრდასრულთა მხარდაჭერას თავიანთი ემოციებისა და ქცევების სამართავად. მათ ჯერ კიდევ კარგად არ ესმით მათი ქმედებების შესაძლო შედეგები. სამიდან ოთხ წლამდე ბავშვები იწყებენ ისეთი ძირითადი ემოციების ამოცნობას, როგორიცაა ბედნიერება, სევდა, ბრაზი და შიში, მაგრამ შეიძლება უჭირდეთ მათი სწორად დასახელება ან მათი მიზეზების გაგება. ამ ემოციების ამოცნობა და მათზე ყურადღების გამახვილება დაეხმარება ბავშვებს ემოციების რეგულირებაში. იმპულსების კონტროლისათვის ისევ შესთავაზეთ მოძრავი აქტივობები, სადაც მათ ტემპისა და მიმართულების მართვა მოუწევთ, აქტივობები, სადაც ერთმანეთის დალოდება დასჭირდებათ. მიეცით იმპულსების კონტროლის მაგალითი: -„ეზოში გასვლა მინდა, მაგრამ ჯერ ეს სათამაშოები უნდა მივალაგო.“

ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვებს უკეთ ესმით ემოციების ფართო სპექტრი და შეუძლიათ დაიწყონ უფრო რთული გრძნობების გაგება, როგორიცაა იმედგაცრუება ან ეჭვიანობა. მათ უფრო უკეთ აქვთ განვითარებული კოგნიტიური შესაძლებლობები და უკეთ ესმით მიზეზშედეგობრივი კავშირები. ისინი იწყებენ მეტი თვითკონტროლის გამოვლენას და შეუძლიათ დაიცვან მარტივი წესები უფროსების ნაკლები ჩარევით.

როგორც აღინიშნა, 4-იდან 5 წლამდე ბავშვებს უფრო ადვილად სწავლობენ სტრატეგიებს უარყოფით ემოციებთან გასამკლავებლად, როგორიცაა ღრმა სუნთქვა (4 თვლაზე ჩასუნთქვა, 7 თვლაზე ამოსუნთქვა) და, თავიანთ გრძნობებზე საუბარი. ამ ასაკში ისინი უფრო მარტივად შეძლებენ „კუს ტექნიკის“ სწავლას თვითრეგულირებისთვის. აუცილებლად აღნიშნეთ, მათი ამგვარი მცდელობები: -„ლუკა, ვხედავ, როგორ შეიკავე თავი და გამოიყენე კუს ტექნიკა ბრაზის სამართავად. “

ამ ასაკის ბავშვებში შეგიძლიათ წაახალისოთ გადავადებული სიამოვნება, მაგალითად, -„ჩვენ შეგვიძლია ეზოში ახლავე გავიდეთ, მაგრამ თუ ჯერ ოთახის დალაგებაში დამეხმარებით, შემდეგ კი ეზოში ყოფნას უფრო დიდხანს შევძლებთ“.

წაახალისეთ დაგეგმვის უნარები ბავშვებში: სთხოვეთ, დაფიქრდნენ, რა ნივთები სჭირდებათ თამაშისთვის. მაგალითად, თუ ბავშვი იტყვის, რომ სენსორულ მაგიდასთან ქვიშაში თამაში უნდა, დაუსვით ისეთი კითხვები, რაც დაგეგმვაში დაეხმარება: -„რა გინდა გამოიყენო? შეძლებ, თვითონ აიღო?“ გაახმოვანეთ, როგორ გეგმავთ თავად: -„ამ მაგიდასთან სამი ბავშვის ადგილია, უნდა ავიღო სამი სამუშაო ხალათი, სამი ფუნჯი და სამი სახატავი ჭიქა“.

ამ ასაკის ბავშვები უფრო მეტად **აკონტროლებენ ემოციებს**, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდებათ უფროსების მხარდაჭერა. მათ სულ უფრო უკეთ შეუძლიათ გამოიყენონ სიტყვები იმედგაცრუებასა და გაღიზიანებასთან გასამკლავებლად, რაც ამცირებს ხელჩართული დაპირისპირებების ოდენობას, თუმცა აფეთქებები მაინც შეიძლება მოხდეს, განსაკუთრებით, რთულ სიტუაციებში.

5-6

ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვებს სულ უფრო უკეთ შეუძლიათ:

- მოთმინებით ლოდინი თამაშების ან საუბრის დროს.
- მარტივი ინსტრუქციებისა და რუტინების შესრულება (მაგალითად, სათამაშოების მოწესრიგება).
- გრძნობების გამოხატვა სიტყვებით, ფიზიკური რეაქციების ნაცვლად (როგორიცაა ხელის დარტყმა).
- იმედგაცრუების ან სირთულეების მართვა გარკვეული წარმატებით, თუმცა ზოგჯერ შეიძლება ემოციური აფეთქებები მოხდეს.

თუმცა ამ უნარებს მუდმივი განმტკიცება სჭირდება, ამიტომ:

ხშირად აჩვენეთ ბავშვებს, **როგორ ინარჩუნებთ სიმშვიდეს იმედგაცრუების დრო**ს. ბავშვები სწავლობენ ზრდასრულთა ყურებით.

დააწესეთ და თანმიმდევრულად მოითხოვეთ ბავშვებისგან **მკაფიო წესებისას და რუტინების დაცვა**: „დაელოდე რიგს“ ან “დაასრულებინე საუბარი, მეგობარს” და სხვა.

წაახალისეთ ბავშვები, იფიქრონ გამოსავალზე პრობლემების დროს, იმპულსურად მოქმედების ნაცვლად.

დაეხმარეთ ბავშვებს, **დაასახელონ თავიანთი გრძნობები** („ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ“) და შესთავაზეთ სტრატეგიები მათ სამართავად.

დაეხმარეთ, გაივარჯიშონ მოთმინების უნარები: ჩაერთეთ ისეთ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს ლოდინს, მაგალითად, სამაგიდო თამაშები ან საუბრის დროს ჯერის დაცვა: „ვიცი, რომ გიხარია, მაგრამ უნდა დაველოდოთ შენს ჯერს. მოდი, ათამდე დავთვალოთ, სანამ ველოდებით.“

დაეხმარეთ მართონ იმედგაცრუება: როდესაც ბავშვი ნერვიულობს, რომ თავსატეხს ვერ წყვეტს, შეგიძლიათ უთხრათ: „არა უშავს, რომ იმედგაცრუებული ხარ. მოდი, ღრმად ჩავისუნთქოთ და თავიდან ვცადოთ, ან დახმარება ვითხოვოთ.“

რუტინების დაცვა: თამაშის შემდეგ შეახსენეთ ბავშვს სათამაშოების მოწესრიგება: „პირველ რიგში, სათამაშოები უნდა მოვაწესრიგოთ და შემდეგ გავიდეთ გარეთ. შეგიძლია, დამეხმარო ამაში?“

დაეხმარეთ ბავშვებს, **დაფიქრდნენ და დაგეგმონ აქტივობები:** “ხატვას აპირებთ შენ და ნიკა? აბა, დაფიქრდით, რომელი და რამდენი მასალა გჭირდებათ”.

ამ ქცევების წახალისება ეხმარება ბავშვებს თვითრეგულაციის უნარების გაძლიერებაში, რაც ემოციური და ქცევითი კონტროლის საფუძველს ქმნის.

ცხრილი 8: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

5. ქვემიზანი: თვითრეგულაცია

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
5.1. ემოციების რეგულირება	• ხშირია ძლიერი ემოციური გამოხატვები • საჭიროებენ უფროსის აქტიურ დახმარებას ემოციების, განსაკუთრებით ბრაზისა და იმედგაცრუების რეგულირებაში	• იწყებენ ემოციებთან გამკლავებას მარტივ სიტუაციებში, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდებათ წახალისება და მოდელირება უფროსის მხრიდან	• ხშირად ახერხებენ ემოციების დასახელებას და რეგულაციის სტრატეგიების გამოყენებას
5.2. მოთმინება და იმპულსების კონტროლი	• ბავშვებს იქცევიან იმპულსურად. სჭირდებათ უფროსის მხარდაჭერა იმპულსების კონტროლში	• იწყებენ მოთმინების გამოვლენას, განსაკუთრებით, როცა მოტივაცია მაღალია ან უფროსისგან იღებენ დადებით მაგალითს	• უკეთ შეუძლიათ მოთმინებით ლოდინი და საკუთარი სურვილების და იმპულსების კონტროლი, • შეუძლიათ, დაელოდონ ჯერს თამაშში
5.3. დაგეგმვის უნარი	• დაგეგმვა სპონტანურია • საჭიროებენ უფროსის დახმარებას დაგეგმვაში	• მოკლევადიან მიზნებთან მიმართებით ვლინდება დაგეგმვის უნარები • ჯერ კიდევ სპონტანურები არიან და არ აქვთ მიზანმიმართული და თანმიმდევრული ნაბიჯები მაგალითად, თამაშის წინ შესაბამისი ნივთების და საგნების მომზადებისას, ისევ საჭიროა უფროსის მინიშნებები	• ბავშვები უკეთ იყენებენ დაგეგმვის უნარებს, განსაკუთრებით, როდესაც გარკვეული აქტივობები მოითხოვს წინასწარ გადაწყვეტილებას • შეუძლიათ მარტივი გეგმების დასახვა და მოქმედებები თანმიმდევრულია • გეგმებს ხშირად სიტყვიერად აფიქსირებენ, მაგ. “ჯერ ეს უნდა გავაკეთო, მერე ის”

კონფლიქტების მართვა

კონფლიქტების მართვის უნარების ხელშესაწყობად ასევე მნიშვნელოვანია პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებაც, ამიტომ ხშირად აღმზრდელები ამ ორ ქვემიზანს ერთდროულად ირჩევენ ხოლმე. პრობლემის გადაჭრის უნარი გულისხმობს სხვადასხვაგვარი სირთულეების, ამოცანების გადაჭრის უნარს (მაგალითად, როგორ გავატიო სკამი ვიწრო გასასვლელში), ხოლო კონფლიქტის მართვა სხვასთან ურთიერთობისას წარმოშობილი სირთულის მოგვარების შესაძლებლობაა, რაც კოგნიტიურ უნართან ერთად (როგორ მოვიფიქრო გამოსავალი), სოციალურ უნარებსაც მოითხოვს (რატომ უნდა გავუგო სხვას და რატომ უნდა ვაფასებდე სხვასთან ურთიერთობას).

თუ ატყობთ, რომ ბავშვი შედარებით ხშირად კბენს, უბიძგებს ან ურტყამს სხვას, ნუ იფიქრებთ მხოლოდ ქცევაზე, იფიქრეთ მათ გამომწვევ მიზეზებზე. ასეთ ბავშვებს განსაკუთრებით სჭირდებათ თქვენი დახმარება და დაცვა და არა გაკიცხვა. ისინი შეიძლება იყვნენ დაღლილი, მშიერი, გაბრაზებული, იმედგაცრუებული, ზედმეტად გადატვირთული სტიმულებისგან; მათ შეიძლება სჭირდებოდეთ სტრესისგან განთავისუფლება, დამშვიდება, საზღვრების დაწესება, და რაც მთავარია, მეტი დრო და თანმიმდევრულობა იმპულსებისა და ემოციების კონტროლის სასწავლებლად. ხშირად იყავით მათ გვერდით, ასწავლეთ დამშვიდების ტექნიკები - ღრმად ჩასუნთქვა, ხუთამდე დათვლა. აღნიშნეთ და დააფასეთ ემოციისა და იმპულსის კონტროლის ყველა მათი მცდელობა, მიეცით სიმშვიდის, მხარდაჭერისა და სიყვარულის მაგალითი.

2-3

ორი-სამი წლის ასაკის ბავშვებთან კონფლიქტების მართვა განსხვავდება შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებში კონფლიქტების მართვისგან, სადაც თქვენ მეტ დროს უთმობთ, მათი აზრების მოსმენასა და გადაწყვეტილებამდე მოლაპარაკების გზით მისვლას.

2 წლის ასაკის ბავშვებს ჯერ კიდევ არ ესმით, რომ სხვისი სათამაშოს აღებამ შეიძლება სხვა ბავშვის განაწყენება ან გაბრაზება გამოიწვიოს, სამი წლის ასაკისთვის კი ისინი სხვისი პერსპექტივისა და ემოციების გააზრებას იწყებენ.

3 წლის ბავშვებს უკვე ისე აქვთ განვითარებული ენობრივი უნარები, რომ თანატოლებთან უფრო მეტად შეუძლიათ ურთიერთობა, ვიდრე ეს 2 წლის ასაკში შეეძლოთ. 3 წლის ბავშვისთვის „მეგობარი“ ის არის, ვინც მას ამ წუთს ეთამაშება, ვისაც საინტერესო სათამაშო ან იდეები აქვს. ამიტომაც, კონფლიქტის დროს ხშირად ამბობენ: “შენ აღარ ხარ ჩემი მეგობარი“. ბავშვებს, რომლებსაც ჯგუფური თამაშის მეტი გამოცდილება აქვთ, უკეთესი სოციალური უნარები აქვთ.

ამ ასაკში ბავშვები ყველაზე მეტად საკუთრების გამო ჩხუბობენ. სტრატეგიები: -„ათხოვე, ისიც ცოდოა“, -„არა უშავს, შენი მანქანა რომ აიღო, ითამაშებს და დაგიბრუნებს“, -„დაუთმე, შენ ხომ კარგი ბიჭი, ხარ“, ან -„მიეცი, შენ ხომ უკვე ითამაშე“ –„ნახე, როგორ აწყენინე ნუცას“ მყისიერად შეიძლება მუშაობდეს, მაგრამ ეს ბავშვებს კონფლიქტების მოგვარების სწორ გზას ვერ ასწავლის. ასეთ მოთხოვნებს მყისიერი ეფექტი იმიტომ აქვს,

რომ ბავშვი უფროსს წინააღმდეგობას ვერ უწევს, თუმცა სიტუაციაში ვერ ერკვევა, ვერ სწავლობს იმპულსებისა და ემოციების კონტროლს, ვერც საკუთარი თავისა და პოზიციების დაცვას, მხოლოდ უპირობო მორჩილებას ეჩვევა და თან უარყოფითი დამოკიდებულება უყალიბდება იმ ბავშვისადმი, რომელსაც რაიმე მისი სურვილის წინააღმდეგ უნდა დაუთმოს. ჩვენი ამოცანა კი არის ბავშვები ნელ-ნელა შევაჩვიოთ იმპულსებისა და ემოციების კონტროლს, სოციალურად მისაღებ ქცევას და განვუვითაროთ ასერტულობა და სამართლიანობის განცდა.

BOX: ასერტულობა – უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და არ დაარღვიო მათი უფლებები.

ხედავთ, რომ საბა, რომელსაც ძალიან გახშირებული აქვს სხვისთვის სათამაშოების წართმევის ჩვევა სხვა ბავშვთან მივიდა და მისთვის სათამაშოს წართმევას აპირებს. ამ დროს მათ შუაში დგებით და საბას ეკითხებით: „ლევანს ავტობუსით თამაშის უფლება უნდა სთხოვო?“ თუ საბა ამბობს: „კი-ს“, მაგრამ ლევანი უარზეა, თქვენ ამბობთ: –„ ლევანი ახლა ამით თამაშობს, მოდი, შენ სხვა რამე აირჩიე“. თუ ოთახში მეორე ავტობუსიც გაქვთ, ამ ავტობუსზე მიანიშნეთ. ხანდახან ეს მეთოდი ძალიან კარგად მუშაობს და ამ მიმართულებით თანმიმდევრულები უნდა იყოთ. ხანდახან ბავშვი შესაძლოა, არ დანებდეს და გაღიზიანდეს, ასეთ დროს თქვენ მის მცდელობას, სხვას წაართვას სათამაშო, ხელით აჩერებთ და ამბობთ: „საბა, მე არ მოგცემ უფლებას, ლევანს ავტობუსი წაართვა. შენ შეგიძლია ამ ავტობუსით ითამაშო, როცა ლევანი დაასრულებს თამაშს.“ იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვი ტირის და წუწუნებს, თქვენ ამჩნევთ, რომ ის კმაყოფილიცაა, მისი ასეთი საქციელი რომ შევაჩერეთ, დროთა განმავლობაში ნახავთ, რომ ის სხვებთან თამაშის და ურთიერთობის უკეთეს გზებს იპოვის, აჰყვება სხვებს თამაშში, დაიწყებს მათ მიბაძვას და თავადაც წამოიწყებს თამაშებს. ასევე აუცილებელია, ლევანს უთხრათ, რომ როდესაც ის თამაშს მორჩება, მივიდეს საბასთან და უთხრას, რომ მან უკვე დაასრულა ავტობუსით თამაში და ახლა საბას შეუძლია, ითამაშოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბას უკვე სხვა რამით ერთობა, ლევანს მაინც უნდა ვთხოვოთ, საბას სათამაშო მიაწოდოს, რადგან ლევანშიც უნდა ჩამოყალიბდეს გაზიარების პასუხისმგებლობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უნარების განვითარებას დრო და შედარებით ხანგრძლივი, თანმიმდევრული ძალისხმევა სჭირდება.

ასერტულობის სწავლება

თქვენი თანმიმდევრულობა დაეხმარება იმ ბავშვებსაც, როლებიც სათამაშოებს ადვილად თმობენ და ადვილი სამიზნეები არიან.

ერთ დღესაც დალიმ დაინახა, რომ ქეთომ თომას, რომელიც სათამაშოებს უსიტყვოდ თმობს ხოლმე, სათამაშო მანამ წაართვა, სანამ დალი ჩარევას მოასწრებდა. ამჯერად დალიმ შეამჩნია, რომ თომა გაღიზიანდა. დალიმ თომას უთხრა: - "თუ გინდა, რომ სათამაშო გქონდეს, დაიკავე და უთხარი ქეთოს - „არა, მე ამით ვთამაშობ." იმავე დღეს დალიმ თომას კიდევ ორჯერ შეახსენა, ეს ფრაზა გამოეყენებინა, როდესაც სხვა ბავშვები ცდილობდნენ მისთვის სათამაშოს გამორთმევას. შემდეგ კვირას თომას დედამ დალის უთხრა, რომ გაიგონა, ჩუმად როგორ იმეორებდა და ითავისებდა (იაზრებდა) თომა ფრაზას: -„არა, მე ამით ვთამაშობ".

3-5

სამიდან ოთხ წლამდე ასაკში კონფლიქტები უფრო ხშირად წარმოიქმნება სათამაშოების გამო. ბავშვებს ესაჭიროებათ ზრდასრულთა მეტი მხარდაჭერა ამ სიტუაციებთან გასამკლავებლად, გაზიარებისა და რიგითობის საბაზისო უნარების განსამტკიცებლად. ოთხიდან ხუთ წლამდე ბავშვები იწყებენ კონფლიქტების მოგვარებას უფროსების ნაკლები ჩარევით. ისინი სულ უფრო მეტად იყენებენ სიტყვებს თავიანთი გრძნობებისა და მოთხოვნილებების გამოსახატავად, მოლაპარაკების გასამართად მაგ., „შეიძლება ამ სათამაშოთი შენ მერე ვითამაშო?".

როდესაც თქვენი მიზანია, ბავშვებს დაეხმაროთ კონფლიქტების მართვაში, გამოიყენეთ ბავშვებს შორის ბუნებრივად წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციები სოციალური და ემოციური უნარების დასასწავლად. კონფლიქტური სიტუაციების დროს მათთვის დახმარების აღმოჩენით კონფლიქტის მოგვარებასაც შეუწყობთ ხელს და ამ პროცესში ბავშვებს მნიშვნელოვანი უნარების დაუფლებაშიც დაეხმარებით.

კონფლიქტის მოგვარებაში ბავშვების დახმარებისას თქვენ მათ ასწავლით:

- გაიაზრონ საკუთარი ემოცია და სხვისი ემოცია
- საკუთარი და სხვისი ხედვა
- დაფიქრდნენ
- შეიკავონ იმპულსები
- იპოვონ გამოსავალი
- და შეინარჩუნონ თანამშრომლობა.

სწორედ 3-5 წელია ის ასაკი, როდესაც ბავშვები ამ უნარების გამომუშავებას სწავლობენ და თქვენი როლი ამ პროცესის მხარდაჭერაში უაღრესად დიდია. 3-იდან 4 წლამდე ბავშვებში ხანდახან შესაძლოა კონფლიქტის გადაჭრის ის ხერხები გამოიყენოთ, რომელიც

2-3-წლიანთა ქვეთავშია აღწერილი, თუმცა ზრდასთან ერთად თქვენი ამოცანაა, ბავშვებს დაეხმაროთ კონფლიქტის მოგვარების გააზრებული გზების მოძიებაში.

როდესაც გადაწყვეტთ, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ბავშვებს მხარდაჭერა აღმოუჩინოთ:

- **მომხდარის განხილვისას შეინარჩუნეთ სიმშვიდე და თავშეკავება** - თუ საჭიროა, ორივე მხარეს მოუწოდეთ, სანამ ისაუბრებენ, დამშვიდდნენ, ღრმად ისუნთქონ, დაითვალონ ხუთამდე. მიეცით ბავშვებს პოზიტიური ქცევის მაგალითი და გამოიყენეთ რბილი, დამამშვიდებელი ტონი. ეს ბავშვებს იმპულსების და ემოციების დარეგულირებაში დაეხმარება.
- **გამოიყენეთ ასაკის შესაბამისი, მარტივი, ადვილად გასაგები მეტყველება** - რამდენადაც კონფლიქტის დროს მათი ემოციები მოჭარბებულია, მარტივი საუბარი მათ ემოციების დარეგულირებაში დაეხმარება.
- **მომხდარის განხილვისას იყავით ნეიტრალური** - თქვენი ამოცანა არ არის, კონფლიქტი გადაიჭრას ისე, როგორც თქვენ მიიჩნევთ ამას სამართლიანად, თქვენი ამოცანაა, ორივე ბავშვს დაეხმაროთ იმპულსებისა და ემოციების კონტროლში და კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიებაში.
- **წაახალისეთ ბავშვები, სიტყვიერად გამოხატონ თავიანთი გრძნობები** - წაახალისეთ ისინი, ამ დროს წინადადება დაიწყონ სიტყვით "მე" , რათა გააცნობიერონ, რას გრძნობენ.
- **დაეხმარეთ ბავშვებს, გაიგონ და ამოიცნონ ერთმანეთის გრძნობები** - წაახალისეთ ისინი, დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს მათმა ქმედებებმა სხვებზე.
- **ყურადღებით მოისმინეთ თითოეული ბავშვის ნათქვამი და შემდეგ გაიმეორეთ მათი ნათქვამი** - ამგვარი *პერიფრაზირება* ძალიან მნიშვნელოვანია. ამით ეხმარებით ბავშვებს, გაიგონ, ვინ რას ამბობს და თან ეხმარებით ბავშვებს, დაინახონ რომ უსმენთ და აღიარებთ.
- **ხელი შეუწყვეთ რიგის დაცვას საუბრისას** - ეს ეხმარება ბავშვებს, ისწავლონ მოთმინება და პატივისცემა სხვების პერსპექტივების მიმართ. შესაძლებელია, დაიხმაროთ მოლაპარაკებების ჯოხი ან ქუდი. ვისაც ხელში ჯოხი უჭირავს ან ქუდი ახურავს, ის საუბრობს.
- **დაეხმარეთ ბავშვებს კონფლიქტის გადაჭრის გზების მონახვაში** - წაახალისეთ ისინი, ერთად მოიფიქრონ შესაძლო გადაწყვეტილებები. თავიდან მათ ამის გაკეთება გაუჭირდებათ და შესაძლოა, თქვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტებიდან აირჩიონ გამოსავალი. ხანდახან შეიძლება გამოსავლის მოძიება ძალიან გაჭიანურდეს და საქმეში ტრიალა ისრის ან რაიმე მსგავსის ჩართვა მოგიწიოთ: „ვის მხარესაც გაჩერდება ისარი, იმის ჯერია", მაგრამ, მთავარია, რომ ბავშვები ნელ-ნელა საკუთარი აზრის გამოთქმა და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას მიეჩვიონ.
- **დააფასეთ და აღიარეთ კონფლიქტის მოგვარების პოზიტიური მცდელობები** - განამტკიცეთ აზრი, რომ ერთობლივი მუშაობა გადაწყვეტილებების მოსაძებნად ღირებული უნარია.

ჩანართები

კონფლიქტის მოგვარება

სცენარი: ***სათამაშოს გაზიარება***

4 წლის მარი გატაცებით თამაშობს სათამაშო მატარებლით, ლიკასაც სურს თამაში, მაგრამ მარის არ უნდა გაზიარება. ლიკა მატარებელს სწვდება, მარი ყვირის: “არა, ეს ჩემია! მე ვთამაშობდი”

აღმზრდელი ამჩნევს კონფლიქტს და ბავშვებს უახლოვდება.

— ”ვხედავ, რომ ჩხუბობთ. მარი, ვატყობ რომ ძალიან მოგწონს მატარებლით თამაში. ლია, შენც ძალიან გინდა ამით თამაში, არა? მაგრამ ახლა მარი თამაშობს, რა გავაკეთოთ? როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?”

— “ლიკამ სხვა მატარებელი აიღოს“ - ამბობს მარი.

— „ლიკა, მარი ფიქრობს, რომ შენ სხვა მატარებელი უნდა აიღო, შენ რას ფიქრობ ამაზე?“

— „არ მინდა სხვა მატარებელი, მე ეს მინდა“ - ამბობს ლიკა

— „მარი, ლიკას სხვა მატარებლის აღება არ უნდა, ამ მატარებლით უნდა თამაში,“ - ამბობს მასწავლებელი.

— „მე ვთამაშობ,“ - ამბობს მარი.

— „ლიკა, ახლა ამ სათამაშოთი მარი თამაშობს. შენ შეგიძლია, მეორე მატარებელი აიღო, თუ არ გინდა, მაშინ უნდა დაელოდო”.

— მარიმ დალოდება გადაწყვიტა.-”უთხარი მარის, მოგცეს სათამაშო, როდესაც თამაშს მორჩება“ -ეუბნება აღმზრდელი

— „მარი, მათხოვებ, რომ მორჩები?“ - ეკითხება ლიკა.

— „კარგი, ცოტას კიდევ ვითამაშებ და მერე მოგცემ,“ - ამბობს მარი.

— “მშვენიერი გამოსავალია, მარი და ლიკა, კარგია, რომ შეთანხმდით. ლიკა, შენ მანამდე შეგიძლია, კუბურებით ითამაშო ან ხატო”.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარი ნებაყოფლობით გადასცემს მატარებელს ლიკას. დღის ბოლოს აღმზრდელი ორივეს გოგონას ეუბნება:

— „მარი და ლიკა, დღეს კარგი იყო, გამოსავლის მოფიქრებაზე ერთად რომ ვიმსჯელეთ. მარი შევამჩნიე, როგორ მიუტანე სათამაშო ლიკას, როდესაც თამაშს მორჩი. ლიკა ვხედავდი, როგორ გაერთე კუბურებით, სანამ მარის ელოდებოდი. მიხარია, რომ ერთმანეთთან შეთანხმება შეძელით.“

ამ სცენარში კონფლიქტის მოგვარების პროცესი გულისხმობს გრძნობების აღიარებას, კომუნიკაციის წახალისებას, პრობლემის გადაჭრის უნარების სწავლებას და პოზიტიური ქცევის განმტკიცებას. აღმზრდელის მიზანია, დაეხმაროს ბავშვებს იპოვონ გამოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემს ორივეს, თავი კმაყოფილად იგრძნოს და ისიამოვნოს თამაშით.

სცენარი: ***საქანელაზე სრიალი***

მონაწილეები: 4 წლის ირაკლი და 5 წლის სოფო

ირაკლი აღელვებული ელოდება სასრიალოზე ჩამოსრიალების თავის რიგს. სოფო, რომელიც უფროსია, უკვე ჩამოსრიალდა, მაგრამ ისევ სწრაფად უნდა ჩამოსრიალება. სოფო ირაკლის წინ უდგება, გაბრაზებული ირაკლი კი ამბობს; "ჩემი ჯერია!"

კონფლიქტის მოგვარების ეტაპები:

1. დაკვირვება: აღმზრდელი ამჩნევს სიტუაციას და უახლოვდება ბავშვებს.
2. ემოციების მართვა: "როგორც ჩანს, აქ პრობლემაა. ირაკლი, შენ ელოდი შენს რიგს, არა? სოფო, ისევ გინდა ჩამოსრიალება?"
3. გრძნობების აღიარება: "ირაკლი, ვხედავ, გაბრაზდი, სოფო რომ წინ ჩაგიდგა?"
4. "ძალიან მინდა, ისევ სწრაფად ჩავსრიალდე, მაგარია!" - ამბობს სოფო.
5. განმარტება: "სოფო ვხედავ, რომ ძალიან მოგწონს სრიალი, მაგრამ რიგის დაცვა ყველასთვის მნიშვნელოვანია." ირაკლი მოთმინებით ელოდება თავის რიგს.
6. გამოსავალზე ფიქრის შეთავაზება: "როგორ დავიცვათ რიგი ყველასთვის?"
7. პრობლემის გადაჭრა: „სოფო დამელოდოს და მერე ჩასრიალდეს?"- ამბობს ირაკლი. სოფო თანახმაა: "კარგი, მე შემიძლია დაველოდო ირაკლის, შემდეგ კი ისევ ჩემი რიგი იქნება".
8. თანამშრომლობის დაფასება: "შესანიშნავია, ირაკლი და სოფო! თქვენ ორივემ იპოვეთ გამოსავალი, რომელიც ყველასთვის სამართლიანია."
9. ირაკლი სასრიალოზე დაბლა ეშვება, სოფო მოთმინებით ელოდება თავის რიგს. ირაკლის ჩასრიალების შემდეგ სოფო ხალისიანად ადის სასრიალოზე.

ამ სცენარში, კონფლიქტის მოგვარების პროცესი მოიცავს ემოციების განხილვას, რიგის დაცვის მნიშვნელობის სწავლებას, პრობლემის გადაჭრის წახალისებასა და პოზიტიური ქცევის განმტკიცებას.

5-6

ცხადია, ისევ როგორც ადრეულ ასაკში, ამ ასაკშიც ხშირია ბავშვებს შორის კონფლიქტური სიტუაციები. ამ ასაკშიც თანმიმდევრულად უნდა იყენებდეთ ყველა იმ სტრატეგიას, რაც ზემოთაა მოცემული და უნდა ითვალისწინებდეთ იმასაც, რომ ახლა, ბავშვებს დაფიქრებისა და მოლაპარაკების უფრო მეტი უნარები აქვთ. შესაბამისად აღმზრდელმა, რომელიც ბავშვებს კონფლიქტების მოგვარებაში ეხმარება და მიზნად კონფლიქტების მართვა აიღო, სწორედ დაფიქრების გზით გამოსავლის ძიებასა და თანამშრომლობის უნარების გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ამგვარ სიტუაციას აღწერს.

სიტუაცია: 5 წლის მია და 6 წლის ლევანი ერთად თამაშობენ სათამაშო მოედანზე. მია აშენებს კუბურებით, ლევანს კი სურს, შეუერთდეს მას და სთავაზობს განსხვავებულ თამაშს კაცუნების ჩართვით. მია ამბობს: "მე ჩემი შენობის აშენება მინდა, არ მინდა ამ კაცუნებით თამაში." ლევანი მაინც მოითხოვს კაცუნების ჩართვას.

დაკვირვებული აღმზრდელი ამჩნევს სიტუაციას, უახლოვდება ბავშვებს და ამბობს: "როგორც ჩანს, სხვადასხვა რამის თამაში გინდათ. მია, შენ გსიამოვნებს კუბურებით აშენება. ლევან შენ, გსურს კაცუნებით თამაში. როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?" ამ ფრაზებით ის ავლენს, რომ ორივე ბავშვის სურვილი დაინახა და გაითვალისწინა და თან მათ გამოსავალზე დაფიქრებისკენ მოუწოდებს.

ამგვარი ჩარევა ლევანს აძლევს საშუალებას, გამოხატოს გრძნობები: "მე ძალიან მომწონს ეს ფიგურები და ვფიქრობდი, რომ სახალისო იქნებოდა ერთად თამაში." მიას კი მეტი თანაგრძნობა უჩნდება და განსხვავებული ტონით ამბობს: "ხო, მაგრამ მე შენება მინდა და ერთად როგორ გავაკეთოთ?"

ახლა უკვე აღმზრდელი ცდილობს, ბავშვებს კომპრომისის გზები დაანახოს: "ხანდახან ორი იდეის გაერთიანება შესაძლებელია, როგორ შეგვიძლია ამის გაკეთება ამ სიტუაციაში?"

მია და ლევანი ფიქრს იწყებენ და ერთად აყალიბებენ იდეებს, ერთი ვარიანტია, რომ ლევანი მიას შენობაში ფიგურებს შეიყვანს, მეორე ვარიანტია, რომ მია მორჩება თავისი სახლის მშენებლობას და მერე შეუერთდება ლევანს ფიგურებით თამაშში.

ბოლოს გადაწყვეტილებაც მიღებულია, მია და ლევანი თანხმდებიან, რომ მია დაასრულებს კუბურებით მშენებლობას და შემდეგ ისინი გადავლენ კაცუნებით თამაშზე.

ახლა ისინი უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას აღასრულებენ: მია ამთავრებს თავის შენობას, ლევანი კი მოთმინებით ელოდება. დასრულების შემდეგ, ისინი იწყებენ კაცუნებით თამაშს, რაშიც მიას აშენებულ შენობასაც იყენებენ და შესაბამისად, ორივეს ინტერესი ერთიანდება.

აღმზრდელი აფასებს მათი კომპრომისის უნარებს: " მია და ლევან! თქვენ ორივემ შესანიშნავად იპოვეთ გამოსავალი, რომელმაც თქვენი ორივე თამაშის იდეა გააერთიანა."

თამაშის დასრულების შემდეგ აღმზრდელი წაახალისებს ბავშვებს, გაუზიარონ მას ერთად თამაშის გამოცდილება, რითაც კიდევ ერთხელ ძლიერდება კომპრომისისა და მოქნილობის ღირებულება.

ამ სცენარში კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს ბავშვებს შორის კომპრომისის იდეის დანერგვას, დაფიქრებისა და გადაწყვეტილების პოვნის წახალისებას. აქცენტი კეთდება გუნდურ მუშაობაზე და კომუნიკაციაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური თამაშის გამოცდილება მიასა და ლევანისთვის.

გახსოვდეთ, რომ ბავშვებს, რომლებსაც ურთულდებათ დაფიქრება და კომპრომისის მოძიება, სჭირდებათ ბევრად მეტი, ხანგრძლივი და თანმიმდევრული დრო, რათა ჯერ გამოიმუშაონ ემოციებისა და იმპულსების კონტროლის უნარი, რაც მათ გადაწყვეტილების მიღების წინ თავშეკავებასა და დაფიქრებას ასწავლის.

ცხრილი 9: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

6. ქვემიზანი: კონფლიქტების მართვა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
6.1კონფლიქტების მართვა	• კონფლიქტურ სიტუაციებში გამოხატავენ ემოციებს (ტირილი, ხელის კვრა), იშვიათად ითხოვენ დახმარებას სიტყვიერად. საჭიროებენ უფროსის დახმარებას • ემორჩილებიან უფროსს კონფლიქტების მოგვარებაში და ასრულებენ მითითებებს, რაც კონფლიქტის კონსტრუქციულ გადაჭრაში ეხმარება	• ცდილობენ სიტყვიერად გამოხატონ სურვილები კონფლიქტის დროს („ეს მინდა“, „არ მომწონს“), თუმცა ხშირად არ ითვალისწინებენ სხვის პოზიციას. უფროსის დახმარებით ცდილობენ შეთანხმებას • არჩევენ შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთ სტრატეგიას. იწყებენ არჩეული სტრატეგიის დასაბუთებულ ახსნას	• იწყებენ პრობლემის სიტყვიერად გამოხატვას და თანამოსაუბრის მოსმენას • კონფლიქტის დროს ცდილობენ, მოიფიქრონ გამოსავალი (გაცვლა, რიგის დაცვა) • შეუძლიათ გაიაზრონ, რა მოჰყვება თითოეულ გამოსავალს შედეგად • უფროსის ჩარევა ჯერ კიდევ სჭირდებათ. ზოგჯერ დამოუკიდებლად პოულობენ გამოსავალს და ესმით სხვების გრძნობები • ცდილობენ, აირჩიონ სამართლიანი გამოსავალი
6.2. მოლაპარაკების უნარები	• ჯერ ვერ თანხმდებიან. • საკუთარ სურვილებს გამოხატავენ უშუალოდ, ჟესტით ან სიტყვებით. • მხოლოდ საკუთარ პერსპექტივაზე არიან ორიენტირებულნი	• იწყებენ მარტივ მოლაპარაკებას თანატოლებთან: „მოდი, ასე გავადიდოთ და შენც შემოიყვან?“, ცდილობენ შეთანხმებას უფროსის მხარდაჭერით	• იყენებენ მიზნობრივ, მოლაპარაკების ფრაზებს შეთანხმებისთვის: „გავითვლი და ისე გადავწყვიტოთ, ვინ იქნება პირველი,“ „შენ დამეხმარე და მეც დაგეხმარები“ • სწავლობენ კომპრომისზე წასვლას
6.3. ასერტულობა	• გამოხატავენ სურვილს პირდაპირ და ძლიერად, არ ითვალისწინებენ სხვების რეაქციას	• იწყებენ საკუთარი მოსაზრებების ფორმულირებას: „მე მინდა ეს“, „არ მინდა ახლა თამაში“. უფროსის დახმარებით სწავლობენ მოსმენისა და უარის თქმის ფორმებს	• აფიქსირებენ საკუთარ აზრს დამაჯერებლად, ცდილობენ, თანატოლს სამართლიანად დაელაპარაკონ • ცდილობენ გაითვალისწინონ თანატოლის გრძნობები და საჭიროებები საუბრისას

თავი 7. კვლევა-აღმოჩენა და განვითარებადი მახასიათებლები

ჩანართი

როგორ და რატომ ვუკითხოთ ბავშვებს წიგნები

ბავშვების ინტერესების გაღრმავება და გამრავალფეროვნება მრავალი გზითაა შესაძლებელი, თუმცა, ამის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი გზა **წიგნების კითხვაა.**

წიგნების კითხვა, ბავშვების ინტერესების გაღრმავებასა და გამრავალფეროვნებასთან ერთად, სააზროვნო და ენობრივი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს.

ბავშვები წიგნებით რომ დააინტერესოთ, პირველ რიგში, უნდა დაანახოთ:

- თავად როგორ გიყვართ წიგნები
- როგორ ხალისობთ წიგნის კითხვით
- და როგორ უფრთხილდებით მათ

თქვენი ამოცანაა, წიგნისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაუღრმაოთ მათ, ვისაც ეს ინტერესი აქვს და გაუღვივოთ მათ, ვისაც ეს ჯერ არა აქვს.

თქვენი ამოცანაა, წიგნთან ურთიერთობა ჯგუფის ყველა წევრისთვის საინტერესო და სახალისო პროცესად აქციოთ, რადგან ადრეული წიგნიერების უნარები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის მომავალ შესაძლებლობებს წერასა და კითხვასთან მიმართებით.

აუცილებლად იქონიეთ სხვადასხვა ჟანრის წიგნები - ზღაპრები, საინფორმაციო წიგნები, ლექსების კრებულები, საბავშვო მოთხრობები.

წიგნის კითხვა ყოველდღიურობის ნაწილი უნდა იყოს 2-3-წლიანთა, 3-4-წლიანთა, 4-5-წლიანთა, 5-6-წლიანთა და შერეულ ჯგუფებშიც.

არ არსებობს ასაკი, როდესაც წიგნის კითხვა „ჯერ ადრე“ ან ნაკლებად საინტერესოა! ბავშვებს წიგნებს 9 თვის ასაკიდან უკითხავენ ხოლმე!

2-3-წლიანთა, 3-4-წლიანთა და შერეულ ასაკებში წიგნის კითხვა უპირატესად მცირე ჯგუფებში უნდა ხდებოდეს. 4-5-წლიანთა და 5-6-წლიანთა ჯგუფებში წიგნის კითხვის ყოველდღიური აუცილებელი ფორმატი უნდა იყოს როგორც მცირე ჯგუფებში კითხვა, ასევე დიდ ჯგუფთან კითხვა.

არა აქვს მნიშვნელობა, ბავშვი ჯერ ლაპარაკობს თუ არა. თუ შევაჩვევთ, წიგნით ის ბავშვებიც ინტერესდებიან, რომლებიც ჯერ ვერ საუბრობენ. დააკვირდით და ჩაინიშნეთ, რომელი ბავშვები ინტერესდებიან მეტად წიგნებით და რომელი ნაკლებად. დააკვირდით იმ ბავშვების ინტერესებს, რომლებიც წიგნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ნახეთ, რა თემები და სათამაშოები იტაცებთ. შეეცადეთ, შეურჩიოთ წიგნები მსგავსი თემატიკითა და სურათებით; კარგად დააკვირდით, რამდენად ესმით თქვენი წაკითხული, თუ საჭიროა, მათთვის წინადადებები განსაკუთრებით გაამარტივეთ. ზოგიერთ ბავშვს ისეთი წიგნები უფრო მოსწონს, სადაც გვერდების გადაშლისას სიურპრიზი ელოდება, ან ერთი და იმავე ფრაზის გახმოვანება უწევს. თავიდან მხოლოდ წიგნის დათვალიერებითაც თუ დაინტერესდებიან, ესეც კარგი შედეგი იქნება.

წიგნის კითხვის საუკეთესო ფორმატი მცირე ჯგუფებია, ცხადია, წიგნის წაკითხვა დილის და საღამოს წრეზეც შეიძლება, მაგრამ, დღის მანძილზე აუცილებლად გამოყავით ორი ან სამი 7-10-წუთიანი ინტერვალი, როდესაც ბავშვების მცირე ჯგუფს წიგნებს წაუკითხავთ (2-3-წლიანთა ჯგუფში 4-5 წუთიც საკმარისია). ამ დროს ბავშვებს ნახევარწრე აქვთ შეკრული, აღმზრდელი კი ისე ზის, რომ ადვილად შეუძლია წიგნი შემოაბრუნოს, ბავშვებს ილუსტრაციები აჩვენოს და ახალი სიტყვები განუმარტოს.

2-3 წლის ბავშვებს მოსწონთ წიგნები, სადაც საგნების მოძებნა და დასახელება შეუძლიათ. ზოგი წიგნი ინტერაქციულია, ბავშვმა პატარა ფანჯრები უნდა გამოაღოს, რომ იქ დამალული ნახატები იპოვოს, ზოგი ხმას გამოსცემს თითის დაჭერისას. 3-4 წლის ასაკში წიგნის მიმართ ინტერესი უკვე ცდება მხოლოდ ილუსტრირებულ წიგნებს. მათ მოსწონთ ნაცნობი მარტივი ამბები ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ოჯახზე, ცხოველებზე, ტრანსპორტზე.

პატარა ასაკის ბავშვთან ერთად წიგნის კითხვისას, მოკლე, ცხადი წინადადებები ბავშვისთვის გასაგებს ხდის, რა ხდება წიგნში. მნიშვნელოვანია წიგნში აღწერილის განსახიერებაც: - „ხო, აი, ბავშვმა დაიძინა - მოდი, ჩვენც დავიძინოთ, დავდოთ თავი ბალიშზე, ჩუმად, ჩუმად...“

წიგნები განმეორებადი ფრაზებით და სიტყვებით 2-4 წლის ბავშვებისთვის განსაკუთრებით საინტერესო და სახალისოა. ეცადეთ, ხშირად უკითხოთ ბავშვებს ამგვარი წიგნები, ამის მაგალითები უხვადაა საბავშვო ზღაპრებსა და მოთხრობებში, როდესაც მოქმედი პირი გზად სხვადასხვა პერსონაჟებს ხვდება და მათ ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამს, ან სადაც ერთი და იმავე სტრუქტურის ფრაზა ხშირად მეორდება: -„რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები, რატომ გაქვს ასეთი დიდი ცხვირი...?“ მსგავსი ფრაზების გამეორება ავარჯიშებს ბავშვებს წინადადებების სტრუქტურის გაგებაში, ტექსტის რიტმის შეგრძნებაში.

როდესაც პატარა ბავშვებთან ერთად ვკითხულობთ, ჩვენი ამოცანა წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვა კი არ უნდა იყოს, არამედ მათი დაინტერესება წიგნით. ამისთვის მნიშვნელოვანია, ვიყოთ მათ სიმაღლეზე, მათთან პირისპირ, ერთად უყუროთ და ათვალიეროთ წიგნები და ერთად ისაუბროთ იმის შესახებ, თუ რა ხდება მასში.

უფრო მშვიდი ბავშვები დასვით თქვენ წინ, ოდნავ მოშორებით, მათთან ხშირი თვალით კონტაქტიც საკმარისია მათი ყურადღების მისაპყრობად. შედარებით მოუსვენარი ბავშვები დაისვით თქვენთან ახლოს (ან ჩაისვით კალთაში), ისე, რომ დროდადრო მათთან ხელით შეხების საშუალებაც გქონდეთ, მიეცით მათ გარკვეული როლი - დაიჭირონ ან გადაფურცლონ წიგნი.

4 წლის ასაკიდან, როდესაც ბავშვების ლექსიკური მარაგი უკვე მდიდარია, ბავშვებს ძალიან იტაცებთ მოკლე და საინტერესოდ დაწერილი სათავგადასავლო ამბები.

ყველა საბავშვო წიგნი კარგად დაწერილი არ არის. თუ საჭიროა, კითხვისას გაამარტივეთ და შეამოკლეთ წინადადებები, გამოყავით, ხმამაღლა წარმოთქვით საკვანძო სიტყვები. კითხვისას, თხრობისას:

- ცვალეთ ინტონაცია
- ისაუბრეთ ნელა და მიეცით ბავშვებს საშუალება ჩაერთონ
- განუმარტეთ ახალი სიტყვები, სასურველია ილუსტრაციის ჩვენებასთან ერთად,
- განუმარტეთ იდიომატური მნიშვნელობის მქონე ფრაზები, მაგ-ად. “დახმარების ხელი გაუწოდა”, “გული გადაუშალა” და ა.შ.

ბავშვებთან ერთად ხშირად იკითხეთ **ლექსების კრებულებიც**, იმეორეთ ის ლექსები, რომელიც ბავშვებს განსაკუთრებით მოეწონებათ, დარწმუნდით, რომ ბავშვებს ესმით ლექსის შინაარსი, მასში მოყვანილი უცხო სიტყვები. გაამახვილებინეთ ბავშვებს ყურადღება ლექსის რიტმსა და მსგავსი სიტყვების ჟღერადობაზე. ეს ხელს შეუწყობს მათ ფონოლოგიურ ცნობიერებას და მოამზადებს მომავალი წერა-კითხვის უნარებისთვის.

5 წლის ასაკისთვის, როდესაც ბავშვებს რეგულარულად ვუკითხავთ საბავშვო წიგნებს, ზღაპრებსა თუ მოთხრობებს, ისინი ნელ-ნელა ხვდებიან, რომ ყველა ამბავს აქვს რაღაც საერთო. შენობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველა მათგანს აქვს ჭერი, კედლები და სახურავი. მოთხრობები და ზღაპრებიც სხვადასხვანაირი არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს:

- აქვს დასაწყისი
- ჰყავს პერსონაჟები
- აქვს ადგილი, სადაც ამბავი ვითარდება
- შეიცავს მთავარ საკითხს/პრობლემას
- ამ პრობლემის გადასაჭრელად განვითარებულ ამბებს
- და დასასრულს.

ამბის ამ შემადგენელ ნაწილებს სხვანაირად სიუჟეტის სტრუქტურას უწოდებენ. სიუჟეტის სტრუქტურის გაგება მომავალი სწავლის უნარის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. იმისთვის, რომ ბავშვებს ამ უნარების განვითარებაში დავეხმაროთ, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ერთი და იგივე მოთხრობა რამდენჯერმე მაინც წაუკითხოთ ხოლმე, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ გააღრმაოთ წაკითხულის გაგების უნარები.

- პირველი წაკითხვის დროს დაეხმარეთ ბავშვებს, გაიგონ ამბის სტრუქტურა: მთავარი გმირები, მთავარი ამბავი, რა ხდება მთავარი ამბის გადასაწყვეტად და რა შეიძლება ვისწავლოთ აქედან;
- მეორედ წაკითხვისას მიეცით ბავშვებს საშუალება, იფიქრონ და ილაპარაკონ მოქმედი გმირების აზრებსა და გრძნობებზე, რა გააკეთეს მათ და როგორ დასრულდა ამბავი;
- მესამედ წაკითხვისას დაეხმარეთ ბავშვებს, მოყვნენ ამბავი.

როდესაც ამბავს/მოთხრობას რამდენჯერმე წაიკითხავთ, შემდეგ ბავშვებს ამ ამბის გათამაშებაში დაეხმარეთ. გაუნაწილეთ ბავშვებს როლები. როლების გასათამაშებლად მიეცით მათ შესაბამისი ატრიბუტები და სათამაშოები. აიღეთ მთხრობლის ან სუფლიორის როლი და დაეხმარეთ ბავშვებს მოთხრობის დიალოგების წარმართვაში.

შეიტანეთ უკვე დამუშავებული წიგნები და შესაბამისი სათამაშოები წიგნიერების ან დრამატულ ცენტრში, რათა ბავშვებმა უთქვენოდ, დამოუკიდებლადაც გაითამაშონ ამბავი.

დიალოგური კითხვა

აქციეთ წიგნის კითხვა დიალოგად. ამას მრავალი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია. ასე ბავშვები უკეთ იგებენ და ამუშავებენ წაკითხულს, აკავშირებენ მას საკუთარ გამოცდილებასა და ემოციებთან. მსჯელობისას ივითარებენ აზრების დალაგებისა და მწყობრად გადმოცემის უნარებს.

დიალოგური კითხვა გულისხმობს იმასაც, რომ შენ საკმარისი დროს გექნება როგორც წიგნის წასაკითხად (მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან მის ბოლომდე დასრულებას ვერც შეძლებ), ასევე წიგნის გარშემო კარგი დიალოგის გასაბმელად.

წიგნის კითხვისას, ისევე როგორც ბავშვებთან ნებისმიერი ინტერაქციისას, მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ **დაკვირვების, დალოდებისა და მოსმენის** სტრატეგიები.

კითხვისას დროდადრო შეჩერდით და ძალიან ყურადღებით დააკვირდით ბავშვებს, თუ ასე მოიქცევით, შეამჩნევთ იმას, რასაც სხვა დროს ვერ ამჩნევდით: გაიტაცა ისინი ამბის რომელიმე ნაწილმა? რომელიმე გმირის ქცევამ ხომ არ გაამხიარულა ისინი? რომელიმე ილუსტრაცია ხომ არ იწვევს მათ განსაკუთრებულ დაინტერესებას? კვლავ დაინტერესებულები არიან? დააკვირდით, ხომ არ იშვერენ თითს? ხომ არ წამოიწია რომელიმე, რომ წიგნს ჩახედოს? გამოიყენეთ დაკვირვების ეს უნარი, რათა მიჰყვეთ ბავშვის ინტერესებს.

დალოდება საუკეთესო საშუალებაა ბავშვების წასახალისებლად, რათა თავადაც მიიღონ მონაწილეობა ინტერაქციაში. როდესაც ელოდებით, შეწყვიტეთ ლაპარაკი და შეხედეთ ბავშვებს მოლოდინის გამომხატველი სახით, რათა აგრძნობინოთ, რომ ახლა მათი ჯერია, რაიმე თქვან ან გააკეთონ. წიგნის კითხვისას რამდენიმე მომენტია, როდესაც უმჯობესია, შეიცადოთ და მისცეთ ბავშვებს ჩართვის საშუალება:

- გადაფურცვლამდე ან გადაფურცვლის შემდეგ
- ილუსტრაციაზე მითითებისა და კომენტირების შემდეგ
- განსაკუთრებით საინტერესო მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ
- საინტერესო კომენტარის ან მაპროვოცირებელი შეკითხვის დასმის შემდეგ

ბავშვების მოსმენა პასიური კი არა, აქტიური პროცესია. ამ დროს აქტიურად აქცევ ყურადღებას და ცდილობ, გაიგო, რისი თქმა უნდათ ბავშვებს, ასრულებინებ ნათქვამს ისე, რომ:

- არ აწყვეტინებ
- არ ვარაუდობ მის ნაცვლად
- არ ახდენ მისი ნათქვამის შენებურ ინტერპრეტაციას

როდესაც ბავშვებს უკითხავთ, მოუსმინეთ მათ კომენტარებს და შეკითხვებს, ხელი შეუწყვეთ მათ, იფიქრონ წაკითხულის შესახებ და განავრცონ საკუთარი ცოდნა. ამგვარი დამოკიდებულება მათ თავს დაფასებულად აგრძნობინებს და უმაღლებს მოტივაციას აძლევს, წამოიწყონ მსჯელობა.

მცირე და დიდ ჯგუფებში კითხვის ვიდეომაგალითები იხ. აქ

გიოს ძალიან მოსწონს მოთხრობა პატარა კუზე. ის თავადაც სიამოვნებით იყოლიებდა კუს, მაგრამ მის მშობლებს არ უნდათ, სახლში კუ ჰყავდეთ. როდესაც აღმზრდელი, მაია, წიგნის კითხვის დროს ჩერდება (აპაუზებს) და ბავშვების რეაქციებს ელოდება, გიო ამბობს: -"მეც მინდა, კუ რომ მყავდეს, მაგრამ დედაჩემი უარს მეუბნება". მაია გიოს პასუხობს: -"მესმის, რომ გინდა გყავდეს სახლში კუ, ალბათ, სხვა ბავშვებიც არიან, ვისაც იგივე სურვილები აქვთ, მოდი, კითხე, ვის უნდა, რომ საკუთარი შინაური ცხოველი ჰყავდეს?" გიო ბავშვებს ამ შეკითხვით მიმართავს და რამდენიმე ბავშვი მონდომებით აღწერს, როგორი შინაური ცხოველის ყოლა უნდა. ამ დიალოგის შემდეგ გიო კმაყოფილი ჩანს, კმაყოფილია, რომ სხვა ბავშვებს მისი ესმით და მის გრძნობებს იზიარებენ. თანაც ეს ყველა ბავშვს ეხმარება საუბრისა და მოსმენის უნარების განვითარებაში (ადაპტირებულია წიგნიდან ABC and Beyond).

როდესაც ბავშვების ჯგუფს (მცირე ჯგუფში ეს უკეთ გამოდის) უკითხავთ ან რაიმე თემაზე ესაუბრებით, შეეცადეთ, საუბარში ჩართოთ ჯგუფის თითქმის ყველა ბავშვი, ამისთვის:

- თუ რომელიმე ბავშვი შეკითხვას დასვამს, ნაცვლად იმისა, რომ თქვენ უპასუხოთ, დაუბრუნეთ შეკითხვა ჯგუფს და დაელოდეთ დანარჩენების პასუხებს
- თუ ბავშვი რაიმე თემას წამოწევს, ჰკითხეთ სხვა ბავშვებს, რას ფიქრობენ ამის შესახებ
- თუ ბავშვი საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობს, კითხეთ სხვა ბავშვებს თუ გადახდენიათ მსგავსი რამ
- თუ ბავშვი რაიმეს ამბობს (კომენტარს აკეთებს), დაიცადეთ და დააკვირდით, სხვა ბავშვები ხომ არ უპასუხებენ, ვიდრე თქვენ გასცემთ პასუხს
- დროდადრო სთხოვეთ ყველა ბავშვს, რომ გამოთქვან აზრი სასაუბრო თემაზე.

შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებთან (4 წლიდან ზემოთ), დაეხმარეთ მათ, გაივარჯიშონ შემდეგი უნარები:

- განმარტება: გოგონამ მაგიდაზე დატოვებული ფაფა იმიტომ შეჭამა, რომ ძალიან მშიერი იყო
- გამოცდილებაზე საუბარი: პატარა გოგონას მსგავსად, ოდესმე, რაიმე ისეთის გაკეთება თუ მოგნდომებია, რისი გაკეთებაც არ შეიძლება?
- ემოციების გააზრება: როგორ ფიქრობ, რას იგრძნობდა პატარა დათვი, თავისი სკამი გატეხილი რომ დახვდა?
- სიტუაციის შეფასება: კარგი აზრი იყო, გოგონამ ტყეში წასვლა მარტომ რომ გადაწყვიტა?
- ვარაუდის გამოთქმა: რას იფიქრებდნენ დათვები, თავიანთ საძინებელში დაძინებული პატარა გოგონა რომ დაინახეს?

- დაგეგმვა: თუ გავიღვიძებ და დავინახავ ჩემკენ წამოსულ დათვებს, ალბათ, ძალიან სწრაფად გავიქცევი
- პრობლემის გადაწყვეტა: რა უნდა ქნას გოგონამ, შინ რომ დაბრუნდეს?
- წარმოდგენა: მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ანა პატარა გოგონაა, ნიკა - პატარა დათვი, დათი და ელენე - დედა და მამა დათვები, და ეს ამბავი გავათამაშოთ.

ცნობისმოყვარეობა

ინტერესის გაღრმავება

ბაღის ასაკის ბავშვების ინტერესების გაღრმავებაზე რომ ვისაუბროთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვების ყურადღების ხანგრძლივობის ასაკობრივი მახასიათებლები.

ჩვეულებრივ, **2-3 წლის ასაკში** ტიპური ყურადღების ხანგრძლივობა 4-8 წუთია, ერთ საქმიანობაზე. ამ ასაკში ყურადღება ხშირად დამოკიდებულია მყისიერ ინტერესებსა და სენსორულ სტიმულებზე. ფოკუსი სწრაფად იცვლება აქტივობებსა თუ ობიექტებს შორის. ბავშვები შედარებით უფრო ხანგრძლივად რჩებიან ჩართული მათთვის მიმზიდველ საქმიანობებში, მაგალითად, მანქანებით ან ქვიშით თამაშში. პატარებისთვის შექმნილ საინტერესო წიგნებს ბავშვები უფროსებთან ერთად 2-3 წლის ასაკშიც სიამოვნებით ათვალიერებენ და ისმენენ ცოტა ხნით.

3-4 წლის ასაკში ტიპური ყურადღების ხანგრძლივობა: 8-12 წუთია, ერთ აქტივობაზე. ამ ასაკში ბავშვებს უვითარდებათ უნარი, კონცენტრირდნენ სტრუქტურირებულ ამოცანებზე, როგორიცაა მარტივი ხელნაკეთი ნივთების შექმნა ან მოკლე ამბების მოსმენა. მათი ყურადღება ჯერ კიდევ ადვილად იფანტება, მაგრამ შესაძლებელია, ხელახლა მიპყრობა. ამ ასაკში ბავშვებს უჩნდებათ მზარდი ინტერესი წარმოსახვითი თამაშებისადმი, რაც ყურადღების ხანგრძლივობას ზრდის.

4-5 წლის ასაკში ტიპური ყურადღების ხანგრძლივობა 10-15 წუთია, ერთ აქტივობაზე. ბავშვებს უკვე აქვთ უნარი, კონცენტრირდნენ ამოცანებზე, რომელიც კონკრეტულ მიზანს მოიცავს, მაგალითად, რაღაცის აგება ან მარტივი ინსტრუქციების შესრულება. მათ შეუძლიათ ყურადღების შენარჩუნება ჯგუფურ აქტივობებსა თუ გაზიარებულ თამაშებში, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამოცანა მათ ინტერესებს ეთანხმება. ყურადღების გახანგრძლივებას ხელს უწყობს მზარდი სოციალური უნარები და ამ ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელი სურვილი, მოაწონონ თავი უფროსებს ან თანატოლებს.

5-6 წლის ასაკში ტიპური ყურადღების ხანგრძლივობა 12-20 წუთია, ერთ აქტივობაზე. ბავშვებს აქვთ უფრო თანმიმდევრული ფოკუსი, შეუძლიათ ხანგრძლივად იყვნენ ჩართულები წესებით თამაშში, წაკითხულის მოსმენაში და ა.შ. მათ უჩნდებათ უნარი, ყურადღება შეინარჩუნონ ყურადღების გამფანტველ გარემოშიც. შეუძლიათ მრავალეტაპიანი ინსტრუქციების შესრულება და გრძელ საუბრებში ან ამბის თხრობის პროცესში ჩართვა.

თავისთავად ცხადია, ყურადღების ფოკუსის ეს ხანგრძლივობები შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური მახასიათებლების, განვითარების ტემპის, აქტივობის მიმზიდველობისა და გარემოს ფაქტორების მიხედვით.

როდესაც მიზნად ინტერესების გაღრმავებას ისახავთ, თქვენი ამოცანა იქნება, გაზარდოთ ბავშვების აქტივობაში/თამაშში ჩართულობის მდგრადობა, ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ბავშვების ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გასაღრმავებლად, ჩართულობის დროის გასაზრდელად, პირველ რიგში დააკვირდით მათ ინტერესს, ზოგს კუბურებით თამაში უფრო იზიდავს, ზოგს ცხოველები, ზოგიერთს წიგნების თვალიერება და ა.შ. დაფიქრდით როგორ შეიძლება მათი ინტერესი და აქტივობაში ჩართულობის დრო კიდევ უფრო გააღრმაოთ, იქნებ ერთ-ერთი გზა ბავშვისთვის დამატებითი სამშენებლო მასალის შეთავაზება იყოს, ან საყვარელ ცხოველზე საუბრის გაბმა ან საყვარელი წიგნის ერთად წაკითხვა?

2-3

ორი-სამი წლის ასაკში ბავშვების ინტერესები და ცნობისმოყვარეობა მათ ენობრივ უნარებთან ერთად ვითარდება. თქვენ ბავშვის ინტერესის გაღრმავება იმითაც კი შეგიძლიათ, თუ ხმამაღლა დაასახელებთ ბავშვის ინტერესის საგანს: -*„ნუცა, ვხედავ, ბუმბული იპოვე, ეს ჩიტის ბუმბულია, შეხედე, ხეზე ბეღურები სხედან, ალბათ ერთ-ერთს მოძვრა.“* ასე თქვენ ბავშვის ინტერესს ინარჩუნებთ და აღრმავებთ, ასევე ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში ეხმარებით.

დაეხმარეთ ბავშვებს ყურადღების შენარჩუნებაში. აღწერეთ, რითაც ბავშვია დაკავებული, მაგალითად: *,,როგორი წვეტიანია ამ ყვავილის ღერო, ეს კი - როგორი ჰრიალა. მოდი, ფრთხილად მოვსინჯოთ.“* ინტერესების ვერბალიზებით ვეხმარებით ბავშვებს, თავადაც გააცნობიერონ თავიანთი მისწრაფებები და ინტერესები. მაგალითად, ნიკო ხშირად თამაშობს მანქანებით, განსაკუთრებით კი მოსწონს, როგორ ტრიალებს ბორბლები და ხშირადაც ატრიალებს, უყურებს მათ. აღმზრდელი ამას ამჩნევს და ეუბნება: *“ნიკო, მანქანებით თამაში ძალიან მოგწონს. ალბათ, გაინტერესებს, როგორ ტრიალებს ბორბლები, არა? შეხედე ბორბლები ამ ღერძზეა დამაგრებული”*.

ინტერესი შეიძლება, არავერბალურად იყოს გამოხატული. ამიტომ, მნიშვნელოვანია ინტერესებზე დაკვირვება და მათი დანახვა ამ ინტერესების მხარდაჭერის მიზნით. შესთავაზეთ ბავშვს მისთვის საინტერესო იდეები, მიეცით მას აღმოჩენისა და შესწავლის დრო და მიჰყევით თამაშში. მაგალითად:

- მანქანის სიმაღლიდან დაშვება რაღაც დროით შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ, ახლა იქნება კარგია, ამ დაღმართს ხიდიც ავუშენოთ და მანქანა ხიდის ქვეშაც გავატაროთ?
- გარდა ამისა, ამ სიტუაციაში შესაძლებელია: კუბურებისგან კედელი ავაშენოთ, რომელსაც მანქანა დაეჯახება;
- დახრის კუთხე შევცვალოთ და დავაკვირდეთ, სხვა კუთხიდან მანქანა უფრო სწრაფად წავა თუ უფრო ნელა?

- გამოვიყენოთ სხვადასხვა ფორმის საგნები (ბურთები, კუბურები... და ვნახოთ, რა როგორ დაეშვება სიმაღლიდან,)
- ან მოვაწყოთ მინისცენა მინიატიურული სათამაშო კაცუნებისა და მანქანების გამოყენებით. (ადაპტირებულია წიგნიდან: Language Learning and Loving It).

3-5

სამი ხუთი წლის ასაკში ბავშვებს განსაკუთრებით იტაცებს დრამატული თამაშები. როლების გათამაშება აღრმავებს მათ ცოდნას სამყაროს შესახებ. რეალურ თემებში თამაშის ჩართვა ხელს უწყობს სხვადასხვა საკითხის მიმართ ცნობისმოყვარეობის გაღვივებას.

- „მინი სასურსათო მაღაზიაში“, „ექიმის კაბინეტში“, “სახლში” ან “მეკობრეების კუნძულზე” ბავშვები შეძლებენ სხვადასხვა სცენარის გათამაშებას. ამ დროს, მათი ინტერესების გაღრმავება და ცოდნის გაფართოება შეგიძლიათ შესაბამისი მასალების მიწოდებით, მაგალითად, ძველი კარდიოგრამის ანაბეჭდები, რენტგენის ფოტოები, რეცეპტები და ასევე შესაბამისი კომენტარების გაკეთებითაც, მაგალითად, -*“ხის გემით მიცურავთ მეზობელ კუნძულზე თუ გასაბერი ნავით*?”
- კოსმოსის თემის გამოყენებით ბავშვებს შეუძლიათ გამოიკვლიონ პლანეტები, ვარსკვლავები და ასტრონავტები. მიაწოდეთ მათ კოსტიუმები ან სხვა ატრიბუტები მათი ინტერესის გასაძლიერებლად.

გარე სივრცე სავსეა სწავლის შესაძლებლობებით. პარკები და ბაღები ბავშვებისთვის სამყაროზე დაკვირვების შესანიშნავი შესაძლებლობაა:

- მოაწყვეთ ბუნებრივი საგნების საძიებო თამაშები, სადაც ბავშვები შეძლებენ ფოთლების, ქვების, მწერების ან სხვა ბუნებრივი ელემენტების პოვნას
- მიეცით ბავშვებს საშუალება, ექსპერიმენტები ჩაატარონ ბუნებრივი მასალებით, როგორიცაა ტოტები და ფოთლები
- გარეთ ან ოთახში თამაშისას წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ და შეისწავლონ წონასწორობის, მიზიდულობისა და ძალის ზემოქმედება

ზემოთ აღვწერეთ, როგორ უნდა მოიქცეს აღმზრდელი, რომლის მიზანიც ბავშვების ინტერესების გაღრმავებაა, თუ დაინახავს, რომ პატარა ბავშვი ეზოში ბუმბულს შეამჩნევს. უფრო მოზრდილ ასაკში, **დაახლოებით, 4 წლიდან** იგივე სიტუაციაში ბავშვს შეიძლება ისიც უთხრათ, როგორ იყენებდნენ ადრე ჩიტის ბუმბულებს - მაგალითად, წერდნენ ბატის ფრთით და შესთავაზოთ მისი ნაპოვნი ბუმბულით წერა ან ხატვა, ანდა უთხრათ, რომ ძველად ინდიელები თავის სამოსს ჩიტების ბუმბულებით რთავდნენ და შემდეგ შესაბამისი ნახატები დაათვალიერებინოთ. ეს ყველაფერი, თავისთავად ცხადია, ბავშვის ინტერესს აღრმავებს და ასევე შესაძლოა, ახალი თემის ან პროექტის იდეადაც იქცეს.

5-6

ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვები ენას უკვე აქტიურად იყენებენ მათთვის საინტერესო თემების საკვლევად, ამბების მოსაყოლად. 5-6 წლის ბავშვებში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაღრმავება მოითხოვს ისეთი აქტივობების ხელშეწყობას, რომელიც სტიმულს აძლევს ბავშვების ბუნებრივ სურვილს, გამოიკვლიონ და ისწავლონ.

წაახალისეთ ბავშვები, **იფიქრონ კრიტიკულად ღია შეკითხვების დასმით**. პასუხის მიწოდების ნაცვლად, მიეცით მათ საშუალება, იფიქრონ, გამოიცნონ და სხვადასხვა შესაძლებლობა გამოიკვლიონ.

- „როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ ამ ორ ფერს ავურევთ?“
- „როგორ გგონია, მცენარე სინათლისკენ რატომ იზრდება?“

ბავშვებზე დიდ გავლენას ახდენს უფროსების ქცევა. თუ ბავშვები დაინახავენ თქვენს ცნობისმოყვარეობასა და სწავლისადმი ინტერესს, მათში იგივე შეგრძნებებს გააღვიძებთ.

- გაუზიარეთ ბავშვებს თქვენი აღფრთოვანება, როცა რაღაც ახალს აღმოაჩენთ, მაგალითად, თქვით: *„ვა, მე არ ვიცოდი ეს! მოდი, ერთად გავიგოთ მეტი!“*
- მიეცით ბავშვებს ხმამაღლა ფიქრის მაგალითი: *„მაინტერესებს, რატომ არის ეს ფოთოლი ასეთი ფორმის. მოდი, ერთად გავარკვიოთ.“*

თუ ბავშვებს რომელიმე თემა დააინტერესებთ, მიაწოდეთ მათ ამ თემასთან დაკავშირებული **დამატებითი რესურსები**, როგორიცაა წიგნები, ვიდეოები ან დააორგანიზეთ თემატური ექსკურსიები (მაგ., პლანეტარიუმში ან ბაღში ვიზიტი).

- აჩვენეთ ბავშვებს მოკლე, ასაკისთვის შესაფერისი ვიდეოები, როგორ ფეთქდება ვულკანი, როგორ ცხოვრობენ ცხოველები ან როგორ იზრდებიან მცენარეები, ერთად განიხილეთ ნანახი და ჩაატარეთ დაკავშირებული აქტივობები.

ცხრილი 10: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

7. ქვემიზანი: ინტერესის გაღრმავება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
7.1. ინტერესის შენარჩუნება და კონცენტრაცია	• ინტერესით აგრძელებენ თამაშს უფროსის ვერბალური წახალისების შემდეგ	• გარკვეული თემისადმი ინტერესს 10–15 წუთით ინარჩუნებენ • უბრუნდებიან თემას	• ინარჩუნებენ ინტერესს ≥20 წუთი ან უბრუნდება თემას დღის სხვა მონაკვეთში

7.2. თემის/ ინტერესის გაგრძელება სხვადასხვა გარემოში	• იმეორებენ თამაშს იგივე ნივთით ან თემით • სხვა დაკვირვება კუთხეში ან სხვა დღეს	• თემას უბრუნდებიან სხვა სივრცეში • უკავშირებენ გარემოს ელემენტებს ან სიტუაციებს (მაგ. წინა დღეს წაკითხული ზღვის ცხოველების ამბავი მეორე დღეს გადმოაქვს საქვიშეში. მაგ. ქვიშა- სანაპირო)	• აგრძელებენ თემას ახალ კონტექსტში: ხატავენ, აგებენ, იგონებენ ახალ ვარიანტს
7.4. კითხვების დასმა, ინტერესის გაზიარება	• მოსმენილს, რაც მოსწონთ, იმეორებენ სიტყვიერად ან ჟესტით	• იწყებენ კითხვების დასმას	• გამოხატავენ სურვილს, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ან ახსნა • უზიარებენ სხვებს • ცდილობენ ჩაუღრმავდნენ თემას

ინტერესის გამრავალფეროვნება

2-4

ორი-სამი წლის ასაკის ბავშვების ინტერესი ბუნებრივად მრავალფეროვანია, მათ აინტერესებთ სამყარო მათ გარშემო და შეძლებისდაგვარად ყველაფერს იკვლევენ. ამ ასაკში ბავშვების ინტერესები ჯერ კიდევ მაქსიმალურადაა დაკავშირებული სენსორულ კვლევასთან, ისინი **საუკეთესოდ სწავლობენ უშუალო გამოცდილებით**. მიაწოდეთ მათ მასალები, რომლებსაც შეეძლებათ შეეხონ, მართონ და გამოიკვლიონ. ეს კვებავს მათ ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას. **ამიტომ ამ ასაკის ბავშვებთან შეგიძლიათ ერთდროულად აიღოთ კვლევა-აღმოჩენის სამი ქვემიზანი: ინტერესების გაღრმავება, ინტერესების გამრავალფეროვნება და სენსორული კვლევა.** *(იხ. ინტერესების გაღრმავებისა და სენსორული კვლევის ქვეთავებიც).*

სამი-ოთხი წლის ბავშვებს ჯერ კიდევ ძალიან იტაცებთ სენსორული კვლევები (ქვიშა, წყალი), მარტივი წარმოსახვითი თამაში (სახლობანა, ექიმობანა) და საბაზისო მიზეზშედეგობრივი აქტივობები. ამ ასაკში ინტერესები, როგორც წესი, უფრო ერთჯერადი და მოკლევადიანია.

4-6

კოგნიტიურ, ენობრივ და სოციალურ-ემოციურ უნარებში განვითარებადი ცვლილებების გამო, **4-6 წლის** ბავშვების ინტერესები უფრო ფართო, ღრმა და სოციალურ გავლენებზეა დამოკიდებულია, ვიდრე 2-4 წლის ბავშვებისა.

4-6 წლის ასაკში, ბავშვების ინტერესები შეიძლება მოიცავდეს რთულ წარმოსახვით თამაშებს, მეტი დეტალებითა და გართულებული სცენარებით. ზოგიერთმა ბავშვმა შეიძლება განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინოს გარკვეული თემებისადმი, როგორიცაა დინოზავრები, კოსმოსი, ცხოველები ან ტრანსპორტი, და მათ შესახებ ინფორმაციის შეგროვებაც დაიწყოს.

ინტერესების გასამრავალფეროვნებლად შესთავაზეთ ბავშვებს თემებისა და თამაშის ფორმების მრავალფეროვნება, დააინტერესეთ ისინი სხვადასხვაგვარი მასალებითა და საგნებით.

- უზრუნველყავით ღია მასალებით მდიდარი გარემო
- იქონიეთ ისეთი მასალები (ძაბრი, გამადიდებელი შუშა, კოლბები და სხვა), რაც ბავშვების ინტერესებს გააღვივებს

ბავშვების ინტერესებიდან, შერჩეული თემებიდან ან პროექტებიდან გამომდინარე, ცვალეთ ატრიბუტები დრამატულ ცენტრში. დაახვედრეთ ბავშვებს ჯადოქრის ქუდი და ჯოხები, ან მეკობრის ქუდები, ჭოგრიტები ან წამლის ქილები, ფონენდოსკოპი, ძველი წნევის საზომი. დრამატული ცენტრი სხვადასხვა დროს შესაძლოა ფეხსაცმელების მაღაზიად, ავტობუსის გაჩერებად, სალაშქრო ადგილად ან ფოსტად იქცეს - ატრიბუტების ცვლილება ბუნებრივად გამოიწვევს თამაშის თემის ცვლილებას. თამაშის თემის ცვლილებას კი ახალი სააზროვნოს სქემებისა და ახალი ცნებებისა და სიტყვების გავარჯიშება მოიტანს.

თამაშის განახლებული ატრიბუტები ხშირად უკავშირდება ბავშვების ინტერესებიდან აღმოცენებულ ან აღმზრდელის მიერ შეთავაზებულ თემებს. თამაშის თემისა და ატრიბუტიკის შეცვლას შესაძლოა ბიძგი მისცეს დაგეგმილმა ვიზიტმა (ექსკურსიამ) ახლომდებარე ფერმაში, ბიბლიოთეკაში, საცხობში, სახანძროში ან სხვაგან.

ბავშვების ინტერესებზე დაკვირვებით და ამ ინტერესების წახალისებით ცვალეთ, განაახლეთ მასალები ხელოვნების, მეცნიერებისა და კუბურების ცენტრში (ინტერესების გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი სტრატეგიები და აქტივობების იხ. თავი 9).

ჩანართი

ნაწერებითა და წერით დაინტერესება

დაახლოებით, 4 წლის ასაკიდან ბავშვებს ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ ნაწერისადმი.

- “მე პინოქიოს ვკითხულობ” - ამბობს სანდრო, იღებს და შლის წიგნს, ნაწერს ხელს აყოლებს და ნაცნობს ამბავს ვითომ კითხულობს
- “ეს თ ასოა” - ამბობს თაკო, ჩემი სახლი თ-ზე იწყება
- “ეს გაჩერების, ნიშანია, “სტოპ” არ წახვიდე” - ამბობს ლევანი

ეს ნიშნავს, რომ სანდროსაც, თაკოსაც და ლევანსაც უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვთ გადადგმული მომავალი წერისა და კითხვის უნარების გასავითარებლად.

ბავშვები მეტს სწავლობენ ნაწერების შესახებ, როდესაც უფროსები მათ წერასთან ან ნაწერებთან დაკავშირებულ თემებზე ყურადღებას ამახვილებინებენ და ამგვარი საქმიანობაში რთავენ. აღმზრდელი ამჩნევს, რომ ნათია დრამატულ ცენტრში საქმიანობს - "ნათია, მოდი, საყიდლების სია ჩამოვწეროთ, შენთან მგონი სტუმრები მოდიან, არა?"- ეუბნება აღმზრდელი ნათიას და ისინი ერთად იწყებენ წერას. როდესაც ნათია აღმზრდელს სიაში ნამცხვარს ჩააწერინებს, ის ამბობს: -"აი, ნახე, ნამცხვარი "ნ" ასოთი იწყება, შენი სახელი რომელი ასოთი იწყება? მართალია, ნამცხვარიც და ნათიაც, ორივე "ნ" ასოთი იწყება".

"რა გაწერია მაისურზე?" " მოდი, დავთვალოთ, რამდენი ასოა ამ სიტყვაში." "ეს რა ასო ყოფილა ქვიშაში დამალული?" "შეხედეთ ამ პატარა ცარიელ ადგილებს სიტყვებს შორის, სიტყვები ერთმანეთისგან ამ ცარიელი ადგილებით გამოიყოფა." "აი, დააკვირდით წერტილს, როდესაც ეს ნიშანი გვხვდება, ე.ი. წინადადება დამთავრდა. მოდი, დავთვალოთ, რამდენი სიტყვა იყო ამ წინადადებაში". "მოდი, შეხედეთ ამ სიტყვებს, რომელია უფრო გრძელი, უფრო მოკლე? ე.ი. ამ სიტყვაში უფრო მეტი ასოა." - ამგვარი კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა დღის მანძილზე ხშირად გეძლევათ, მნიშვნელოვანია, იყოთ ყურადღებით და არ გამოტოვოთ ეს შესაძლებლობები.

დაიხმარეთ ბავშვები მასალების დახარისხებაში და სხვადასხვა კონტეინერებში განლაგებაში, შემდეგ კი მათთან ერთად დაამზადეთ დასაკრავი, რომელზეც კონტეინერის შიგთავსის დასახელება დაიწერება. ყურადღება მიაქცევინეთ ბავშვებს ამ ნაწერებზე, აღნიშნეთ, თუკი რომელიმე მათგანი წარწერების წაკითხვას შეეცდება.

წაახალისეთ ბავშვები, მოამზადონ ყუთები თავიანთი ნივთებისთვის და თავად ან თქვენი დახმარებით დააწერონ საკუთარი სახელები.

დაიხმარეთ ბავშვები ჯგუფის წესების შემუშავებაში, ხშირად მიუთითეთ ამ წესებზე და წაახალისეთ, "წაიკითხონ" ისინი.

ხშირად დაამზადეთ პლაკატები ბავშვებთან ერთად. მაგალითად, დაბადების დღეების კალენდარი თვეების მიხედვით, სადაც ბავშვები ყურადღებას მიაქცევენ თვის დასახელებას, კვირის დღეებს და ერთმანეთის სახელებს.

დაამზადეთ ამინდის აღმნიშვნელი ცხრილები, წაახალისეთ ბავშვები, ცხრილი ყოველდღიურად შეავსონ.

მიაჩვიეთ ბავშვები, დააკვირდნენ დღის განრიგს, სადაც გამოსახულებებთან ერთად, წარწერებიც იქნება გაკეთებული.

სეზონების მიხედვით შექმენით ხილის, ბოსტნეულის ან სხვა საჭმელების პლაკატები და მიაწერეთ ბავშვების სახელები, ვის რა უყვარს, იმის მიხედვით.

გაუკეთეთ წარწერები საგნებსა და პროექტებს მეცნიერების ცენტრში, შეუერთდით მათ საქმიანობას და გაამახვილებინეთ ყურადღება წარწერებზე. მიაწოდეთ ბავშვებს ➡

ფურცლები მონაცემების შესაგროვებლად, ჟურნალები დაკვირვებების საწარმოებლად და ექსპერიმენტების შედეგების აღსანუსხად. მაგალითად, ბავშვებმა შესაძლოა გაზომონ თავიანთი დარგული ლობიოს მარცვლების ყლორტები და გააკეთონ სია, ვისი რამხელა გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს საშუალება ჰქონდეთ, წერონ დაფაზე, გამოიყენონ ფერადი სტიკერები და ა.შ.

იმისთვის, რომ წარმოსახვით თამაშში წერა-კითხვის წინარე უნარების განვითარებას შეეწყოთ ხელი, დაამატეთ წერა-კითხვისთვის საჭირო ინვენტარი (ფანქრები და მარკერები, ქაღალდები, საკანცელარიო ნივთები და კონვერტები, წიგნები და სანიშნეები) სათამაშო ცენტრებში. თუ დრამატული ცენტრი მაღაზიადაა მოწყობილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საყიდლების სიაც, ფასდაკლების რეკლამებიც და ფასებიც ცარიელ ყუთებზე.

ორი 5 წლის ბავშვი წარმოსახვით ფოსტაში თამაშობს, რომელიც დრამატულ ცენტრში მოაწყო აღმზრდელმა. აქ საფოსტო ყუთებში კონვერტები დევს. აღმზრდელი ბავშვებს უახლოვდება და თავისთვის ამბობს: “დედა-ჩემისთვის რამდენი ხანია არ მიმიწერია”. „მეც დავწერ წერილს,“ -ამბობს ნიკო, ჩემს შვილებს უნდა მივწერო, ამერიკაში არიან.” ”ჩემი მეგობრები აფრიკაში არიან, ლომების სანახავად, მე მაგათ უნდა მივწერო” - უცებ იგონებს ვახო. ორივე ბიჭი ფურცელზე ვითომ წერილს წერს, ვახო თავის წერილს ახმოვანებს: “გიო, მალე ჩამოდი და შუბი ჩამომიტანე”. შემდეგ აღმზრდელი ბავშვებს კონვერტზე მისამართების დაწერაში ეხმარება და მას ვითომ საფოსტო ყუთში აგდებენ. ბიჭები ცოტა ხანს კიდევ აგრძელებენ აფრიკაში ლომების სანახავად წასულ მეგობრებზე საუბარს.

თუ ბავშვები სალონობანას თამაშობენ, აღმზრდელმა ისინი უნდა წაახალისოს, შექმნან მომსახურების პრეისკურანტი, დახატონ და მიაწერონ, რა ღირს თმის შეღებვა, დავარცხნა, შეჭრა და ა.შ. თუ ბავშვები ნამცხვრის ცხობას გადაწყვეტენ, ჯერ სია უნდა ჩამოიწეროს. მაღაზიაში მომუშავე მომმარაგებელს თავისი სია სჭირდება, კაფეში კი საჭიროა მენიუ.

აღმზრდელი ნიას და კატოს უერთდება, რომლებიც ექიმობანას თამაშობენ -”უკაცრავად, დამაგვიანდა, დღეს ხომ მისაღებში ჩემი მორიგეობის დღეა, აი, ავადმყოფების ისტორიაც მოვიტანე, აბა, მითხარით, რა სჭირთ თქვენს პაციენტებს და მე სიმპტომებს ჩამოვწერ.” ნია, თოჯინას კიდევ ერთხელ სინჯავს და შემდეგ საქმიანად ამბობს: “სიცხე აქვს და ახველებს.” აღმზრდელი სიმპტომებს პაციენტის ისტორიაში წერს. -”კატო, დაეხმარები ნიას რეცეპტის გამოწერაში?” - ეკითხება ის კატოს და “სარეცეპტოდ” გამოჭრილ ფურცელს აწვდის, რომელსაც თავზე აწერია “რეცეპტი”. კატო წარწერას აკვირდება და შემდეგ საქმიანად იწყებს “წერას”.

ცხრილი 11: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

8. ქვემიზანი: ინტერესის გამრავალფეროვნება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
8.1. ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა	• რეაგირებენ ახალ სტიმულზე (თითს იშვერენ, უყურებენ დაჟინებით, იღიმიან, გამოხატავენ ინტერესს ან მოწონებას სიტყვებით ან კითხვით) • იმეორებენ მოქმედებას განსხვავებულ მასალაზე; • ცვლიან მცირე დეტალს (მაგ. გადააქვს, აღებს სხვაგან) • იმეორებენ უფროსის კითხვებს	• ხშირად სვამენ კითხვებს („რატომ?“ „ეს რა არის?“) ცდილობენ, გაარკვიონ მიზეზები • აკვირდებიან დეტალებს	• უკავშირებენ ახალ გამოცდილებებს წარსულს • თავად სვამენ კითხვებს და გამოთქვამენ ვარაუდებს, ცდილობენ თანატოლების ჩართვას • პასუხობენ კითხვებზე, რომელსაც კვლევისკენ მიჰყავს – „რატომ ფიქრობ ასე?“
8.2. ახალი გამოცდილებების მიმართ ღიაობა და არჩევანი	• ეხებიან სხვადასხვა ტექსტურას და მასალას, ექსპერიმენტირებენ • ინტერესით ერთვებიან ახალ აქტივობებში • საჭიროებენ წახალისებას არჩევანში • ამჩნევენ და რეაგირებენ გარემოში ცვლილებებზე	• თავად ირჩევენ მასალას და თამაშის ადგილს • ცდილობენ ახალი აქტივობების მოსინჯვას • ინტერესდებიან თანატოლების ინტერესებით • იჩენენ მაღალ ინტერესს სიახლეების მიმართ	• გეგმავენ და არგუმენტირებულად ირჩევენ აქტივობას, იჩენენ ინიციატივას • ინტერესდებიან სხვადასხვა სფეროთი და მრავალფეროვანი აქტივობებით (ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა) • აქტიურად ეძებენ ახალ გამოწვევებს, მაგალითად, ახალი თამაშები ან ექსპერიმენტები • თავად იძიებენ სიახლეებს
8.3. მრავალფეროვანი თემებით დაინტერესება	• ავლენენ ინტერესს ნაცნობი აქტივობების მიმართ • ირჩევენ მათთვის კომფორტულ თემებს ან თამაშებს	• ავლენენ ინტერესს სხვადასხვა თემის მიმართ (ცხოველები, ბუნება, ტრანსპორტი) • ინტერესით ერთვებიან თემაზე მორგებულ სხვადასხვა აქტივობაში • ცვლიან თამაშის თემებს • იკვლევენ სხვადასხვა შინაარსს	• ავლენენ გამოკვეთილ ინტერესს მრავალფეროვანი თემების მიმართ • აგროვებენ ინფორმაციას და სვამენ კითხვებს მათთვის საინტერესო თემის გარშემო (სურათები, წიგნები, საუბრები)

კვლევა

ქვემიზანი - სენსორული კვლევა

2-4

ორ წლამდე ბავშვები სამყაროს ძირითადად სენსომოტორულად, ანუ შეგრძნებების (დანახვა, შეხება, მოსმენა, გემო, ყნოსვა) გზით იმეცნებენ**. თუმცა სენსომოტორული კვლევა 2-3 წლის ასაკშიც ძალიან აქტუალურია.**

სენსორული მასალები: ცომი, პლასტილინი, წყალი და ქვიშა ძალიან პოპულარულია ამ ასაკში. ეს მასალები ბავშვებს ხელის კუნთების კოორდინირებულად გამოყენებაში ეხმარება. მოჭრა, გაბრტყელება, მოზელა, გავსება - ხელის წვრილ კუნთებს აძლიერებს. ჩასხმა საჭიროებს კოორდინაციას. ყველა ეს აქტივობა, გარდა იმისა, რომ თვალისა და კუნთის ვარჯიშია, წარმოსახვასაც ავითარებს, რადგან მასალა სხვადასხვა ფორმას იღებს. ამ ასაკში სახალისოა დიდი მძივების ასხმა. ბავშვებს ეს თამაში უადვილდებათ, როდესაც თოკის ან მსხვილი თასმის ბოლო მყარია. სხვადასხვა სახის ასაწყობი კუბები საინტერესო გამოწვევაა სამწლიანებისთვის. ისინი ამ თამაშებით სწავლობენ ფორმის, ზომის და სიგრძის ცნებებს.

მოძრაობა, ფიზიკური განვითარება მსხვილი და ნატიფი უნარების გაუმჯობესება ბავშვების ჯანმრთელობისთვისაც აუცილებელია და მათი შემეცნებითი, ენობრივი და სოციალური უნარების განვითარებისთვისაც.

პატარა ბავშვებს უყვართ ლექსები და სიმღერები თითების მოძრაობებით. შეიძლება მათ ყველა სიტყვა ან მოძრაობა ვერ გაიმეორონ, მაგრამ ეს სახალისო და განვითარების ხელშემწყობია. 2-3 წლის ბავშვებს მოსწონთ რაღაცების ტარება - კალათა, ჩანთა, ურიკა, ყუთები. მოსწონთ კრეატიული მოძრაობითი თამაშები და ხალისით იმეორებენ უფროსის მოძრაობებს. ასეთი მოძრაობებით იკვლევენ და სწავლობენ თავიანთ სხეულს. ბევრი ეს მოძრაობა წარმოსახვითი თამაშის ნაწილია, როდესაც ბავშვი რომელიმე ცხოველს წარმოადგენს. ამ ასაკში, ვარჯიშის და გამოცდილების შედეგად, ხელი უფრო და უფრო მეტად ემორჩილება ტვინს. ბავშვებს მოსწონთ ხის ფაზლები, ყველაზე დიდი ზომის მძივები, მარტივი (ორ, სამნაწილიანი) ასაწყობები, დიდი ზომის მოზაიკები, რაც ნატიფი მოტორიკის გაწაფვას ემსახურება.

სენსომოტორული კვლევა ჯერ კიდევ რჩება **3-4 წლის ბავშვების** წამყვან და მნიშვნელოვან საქმიანობად, ამ ასაკში ბავშვებს სჭირდებათ გარემო, რომელიც მდიდარია კონკრეტული და მარტივი საკვლევი საგნებითა და მასალებით. ღია მასალების მოსინჯვა მათ საშუალებას აძლევს, ისინი სხვადასხვაგვარად გამოცადონ და დააკვირდნენ მიზეზშედეგობრივ კავშირებს. მიეცით ბავშვებს ეზოშიც და ოთახშიც საშუალება, ითამაშონ ქვიშითა და წყლით, გადაასხან, გადაყარონ სხვადასხვა ზომისა და ტიპის ჭურჭელში, შეურიონ ერთმანეთს სხვადასხვა ნივთიერებები, დააკვირდნენ, როგორ ცვლის შერევა ტექსტურასა და ფერს.

4-6

ხელით კეთებისა და სხვადასხვა შეგრძნებების მოსინჯვის სურვილი ბავშვებს დიდხანს მიჰყვებათ, ეს ძალიან სახალისო და მნიშვნელოვანია **4-6 წლის ასაკშიც**. **როდესაც 4-6 წლის ასაკის ბავშვებისთვის მიზნად სენსორულ კვლევას აიღებთ, თქვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ ბავშვებმა, სენსორულ კვლევასთან ერთად, სულ უფრო მეტად და მეტად გამოიყენონ დაფიქრებისა და ენობრივი შეფასების უნარები:**

გამოიყენეთ ბავშვების მიდრეკილება სენსომოტორული კვლევისადმი ახალი და აქამდე უცნობი სიტყვების გასავარჯიშებლად: „შეხედე, როგორი ხაოიანი ზედაპირი აქვს, რას გრძნობ, როდესაც ეხები? აი, ეს კი როგორი გლუვია“. ითამაშეთ თამაშები, სადაც ბავშვებს დასჭირდებათ დაბრკოლებებს შორის გადაადგილება, ქვეშ გაძრომა, ზემოდან გადასვლა, გვერდის ავლა და ა.შ. ან ისეთი მინიშნებების შესრულება, რომელიც მოიცავს სიტყვებს: „გვერდით“, „ახლოს“, „შორს“, „უკან“, „წინ“, „შუაში.“

მიეცით ბავშვებს საშუალება, თავისუფლად იმოძრაონ გარე სივრცეში, აძვრნენ, გაძვრნენ, დაბრკოლებები გადალახონ, გვირაბები გაიყვანონ, არხები გაჭრან და ა.შ.

სენსორული აქტივობებისას კარგად ვითარდება სივრცითი აზროვნება, რაც ადრეული მათემატიკური ცნობიერების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და ეხმარება ბავშვებს ობიექტებს შორის ურთიერთობების გაგებაში. წაახალისეთ ბავშვებში უფრო რთული სივრცითი სიტყვების გამოყენებაც: „პარალელურად“, “გასწვრივ“, და ა.შ.

წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ, რა მოხდება სხვადასხვა ფერების შერევისას, წაახალისეთ ბავშვები, დაყნოსონ სხვადასხვა საგნები: ბალახები მცენარეები (ლავანდა, პიტნა და ა.შ.). ისაუბრონ თავიანთ შეგრძნებებზე და გაიმდიდრონ ლექსიკონი - მძაფრი სუნი, მსუბუქი სუნი და ა.შ.

ცხრილი 12: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

9. ქვემიზანი: სენსორული კვლევა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
9.1. გარემოს სენსორული კვლევა (შეხება, სუნი, ხმა, ტემპერატურა)	• ინტერესით იკვლევენ მასალებს (ცომი, წყალი, ქვიშა, პლასტილინი) შეხებით, ზელით • სხვადასხვაგვარად იკვლევენ ღია მასალებს (დასხმა, შერევა)	• აკვირდებიან მიზეზშედეგობრივ კავშირებს (შერევისას ტექსტურის, ფერის შეცვლა) • აღწერენ შეგრძნებებს და აფასებენ მასალის თვისებებს	• ადარებენ და საუბრობენ განსხვავებებსა და მსგავსებებზე (სუნის ინტენსივობა, ხმის ტონალობა)

9.2. ნატიფი მოტორიკის გამოყენება სენსორული აქტივობებში	• ამზადებენ მარტივ ფიგურებს ცომისგან, აწყობენ მსხვილ მძივებს • ავსებენ და ცლიან ჭურჭელს • ინტერესდებიან და აწყობენ მარტივ ასაწყობებს (კუბები, ფაზლები) • თამაშობენ თითებით ლექსებსა და სიმღერებთან ერთად	• იყენებენ პატარა ჭურჭელს კოორდინირებულად • იყენებენ მარტივ ხელსაწყოებს • აწყობენ უფრო რთულ კონსტრუქციებს (კუბებით, ფაზლებით) • მოქმედებენ მიზანმიმართულად , აუმჯობესებენ მცირე ობიექტებზე ზუსტ მოქმედებას (მაგ. ცომის საბრტყელებელი, ცომისგან პატარა ფიგურების გამოყვანა, ფაზლები)	• ქმნიან რთულ კომპოზიციებს (დეტალების თანმიმდევრული აწყობა) • თავისუფლად და მიზანმიმართულად აკონტროლებენ თითებისა და ხელების მოძრაობებს (მინიატიურული მოდელების აწყობა, პატარა ინსტრუმენტების უსაფრთხო გამოყენება) • თავისუფლად და კოორდინირებულად იყენებენ ხელსაწყოებს (მაკრატელი)
9.3. სივრცითი და მოძრაობითი კვლევა	• იმეორებენ სხეულის მოძრაობებს უფროსთან ერთად • მოძრაობენ ცხოველების მსგავსად წარმოსახვით თამაშებში • სიამოვნებით გადააქვთ კალათები, ურიკები • მოძრაობით შეისწავლიან ახლო სივრცეს, თავისუფლად მოძრაობენ, გადაადგილდებიან, ადიან ჩადიან, იხედებიან - მაგ. ეზოში ბორცვზე ადის, ჩამოდის, გარშემო უვლის, გადადის გუბეზე	• გადაადგილდებიან დაბრკოლებებს შორის (გაძრომა, გვერდის ავლა) • ატარებენ ობიექტებს ერთი ადგილიდან მეორეზე • იყენებენ სივრცულ ტერმინებს: წინ, უკან, გვერდით • ირჩევენ გადაადგილების სხვადასხვა გზას და გეგმავენ მოქმედებას (მაგ. ბილიკზე იცვლის მიმართულებას, რომ დაბრკოლებას შემოუაროს) • იყენებენ სივრცეს თამაშის, კვლევისა და დამალვისთვის (ბალანსი, მოძრაობითი თამაშები)	• იყენებენ რთულ, კოორდინირებულ მოძრაობებს რთულ დაბრკოლებებთან: გადახტომა, ბალანსირება, გადახვევა, სწრაფი სვლა და ცვლილებები მიმართულებაში • აანალიზებენ სივრცეს, იაზრებენ სივრცეს სხვებთან მიმართებაში (მაგ. ადგენენ მარშრუტს ეზოში განძის საპოვნელად; იყენებენ რუკას ან შეთანხმებულ ნიშნებს, მოძრაობენ თანაგუნდელებთან მიმართებაში) • გადაადგილდებიან რთულ მარშრუტებზე და იყენებენ სიტყვებს: “შუაში”, “გასწვრივ”, “პარალელურად” • აფასებენ თავიანთ პოზიციას სივრცეში და აღწერენ მოძრაობის მიმართულებებს

9.4. სიტყვიერი გამოხატვა სენსორული თამაშის და აქტივობისას	• გამოხატავენ ემოციას ან სიხარულს სენსორული აქტივობისას • მარტივი სიტყვებით ასახელებენ, რასაც ეხებიან ან ხედავენ	• ცდილობენ, დაასახელონ ფერი, ფორმა, მასალის თვისებები • სიტყვიერად აფასებენ ცვლილებებს („გადავღებე“, „შევურიე“)	• იყენებენ მრავალფეროვან ლექსიკას სენსორული გამოცდილების აღსაწერად • ადარებენ და საუბრობენ განსხვავებებსა და მსგავსებებზე • ასრულებენ სიტყვიერ მითითებებს სენსორულ კონტექსტში („მიდი იქით, სადაც წითელი ნივთია“) • აღწერენ შეგრძნებებს მრავალფეროვანი ლექსიკით (მძაფრი სუნი, ხაოიანი ზედაპირი) • იკვლევენ ახალ სენსორულ შეგრძნებებს და აცნობიერებენ განსხვავებებს

სიღრმისეული/მეცნიერული კვლევა:

2-3

ერთი შეხედვით, აღმზრდელმა შესაძლოა იფიქროს, რომ მეცნიერული კვლევის მიზნად აღება ორი-სამი წლის ასაკის ბავშვებთან ადრეა, თუმცა ნებისმიერი ის უნარი, რომლის ხელშეწყობასაც კურიკულუმის მიზნები ემსახურება, ადრეული ასაკიდან იღებს სათავეს და ნელ-ნელა იხვეწება. ორი-სამი წლის ასაკში ბავშვებს შეუძლიათ, დაახარისხონ საგნები მარტივი და თვალსაჩინო მახასიათებლების მიხედვით (კლასიფიკაცია), როგორიცაა ფერი, ფორმა ან ზომა. ეს უკვე სიღრმისეული კვლევის საფუძველია. მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი წინაპირობა დაკვირვებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარების უნარია.

2-3წლიანთა ჯგუფში, თუ მიზნად სიღრმისეულ კვლევას აიღებთ, დახარისხებასთან ერთად, სწორედ დაკვირვებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვის უნარების განვითარებას შეგიძლიათ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ამ ასაკში მათი ყურადღების დიაპაზონი მცირეა, ამიტომ ყურადღებით დააკვირდით ბავშვების ინტერესებს, აღწერეთ მათი საქმიანობა და შეეცადეთ, ხელი შეუწყოთ მათში დაკვირვების უნარების გაღვივებას და მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვას დროის მცირე მონაკვეთში მაინც: „შეხედე, ამ ქვიშას ბევრი წყალი დავასხით და გუნდა აღარ კეთდება“. 2-3 წლის ასაკში ამგვარი კავშირების დამყარება მათ დაეხმარება, უფრო რთული დასკვნები გააკეთონ ზრდასთან ერთად, მაგალითად: სველი ტროტუარი ნიშნავს, რომ ცოტა ხნის წინ წვიმდა ან გამდნარი ნაყინი ისეთი ცივი არ იქნება.

3-5

უკვე სამი-ოთხი წლიდან წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ და აღმოაჩინონ თანმიმდევრობები, ასაკის მატებასთან ერთად გაართულეთ შაბლონები. საამისოდ გამოიყენეთ სხვადასხვაგვარი მასალები ფერადი მძივები, სტიკერები, ან კუბურები. წაახალისეთ ისინი, ამოიცნონ და გააგრძელონ თანმიმდევრობები, მაგალითად

განაგრძეთ დახარისხების უნარების წახალისება სამი-ოთხი წლის ასაკის ბავშვებთანაც, მაგრამ უფრო გაართულეთ ამოცანა, უბიძგეთ ბავშვებს, დაახარისხონ საგნები ერთდროულად რამდენი მახასიათებლის - ფერი, ზომა, ფორმა - გათვალისწინებით. ზრდასთან ერთად (დაახლოებით 4-5 წლის ასაკიდან), მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობები უფრო რთულდება. მათ შეუძლიათ, ამოიცნონ და დაასახელონ კონკრეტული მახასიათებლები, რაც ამ კატეგორიის განმსაზღვრელია. მაგალითად, მათ შეუძლიათ, დააჯგუფონ ცხოველები, რომელთაც ბეწვი აქვთ ან ისინი, რომლებიც დაფრინავენ. ზრდა-განვითარებასთან ერთად, ბავშვებს შეუძლიათ, ერთდროულად რამდენიმე მახასიათებელი განიხილონ. მაგალითად, დააჯგუფონ ძაღლი და კატა, რადგან ორივეს ბეწვი აქვს, ჩიტი და პეპელა, რადგან ორივეს შეუძლია ფრენა და თევზი და კუ, რადგან ორივე წყალში ცხოვრობს.

გამოიყენეთ ღია კითხვები, გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება სხვადასხვა მოვლენაზე, იმისათვის, რომ ბავშვებმა კვლევა გააგრძელონ: *„საინტერესოა, რატომ ტივტივებს წყლის ზედაპირზე დიდი სათამაშო ნავი, ხოლო ხურდა ფული იძირება? რატომ მიგორავს ეს ბურთი უფრო სწრაფად, ეს კი - ნელა?"*

აღწერეთ ფიზიკური ცვლილებები: *„როცა შენს ნახატზე ლურჯი ფერი ყვითელს შეერია, მწვანედ გადაიქცა; ნახე, შაქარი წყალში აღარ ჩანს, წიწიბურას კი ახლაც ვხედავთ."*

ბავშვებს ან მის მეგობრებს მათივე კითხვები შეუბრუნეთ - *„შენ როგორ ფიქრობ?" "ვკითხოთ, რას ფიქრობენ ამაზე შენი მეგობრები."* მიეცით საშუალება, გამოთქვან ვარაუდები.

ეცადეთ, დასვათ ღია კითხვები, რომლებიც ბავშვს შემდგომი კვლევისა და დაკვირვებისკენ უბიძგებს: *„როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე? რამ გამოიწვია? რა მოხდება, თუ?"*

დაეხმარეთ ბავშვებს არა კონკრეტული ფაქტების დამახსოვრებაში, არამედ კანონზომიერების გაგებასა და მიზეზშედეგობრიობის წვდომაში.

ბავშვებს შესთავაზეთ კონკრეტული, გამზადებული მასალა რამე ცდისათვის, რომელიც მათ კონკრეტული საკითხის გამოსაკვლევად მიიზიდავს.

იყავით მგრძნობიარეები ბავშვის ინტერესებისა და ასევე დასწავლის სტილისა და ტემპის მიმართ. მიეცით მათ საშუალება, იყვნენ აქტიური მკვლევარები.

ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვები ვარაუდების გამოთქმაში უფრო იწაფებიან. მაგალითად, ბავშვი შეიძლება ტემპერატურულ ცვლილებებთან დაკავშირებული წინა გამოცდილების საფუძველზე ვარაუდობდეს, რომ მდნარი ყინულის კუბი წყლად გადაიქცევა, ან წყლის ცირკულაციის შესახებ ადრე მიღებული ცოდნის საფუძველზე მსჯელობდეს, რომ თოვლის საღებავებით შეღებვამ შეიძლება ფერადი წვიმა გამოიწვიოს. ბუნებრივია, ვარაუდი არ გულისხმობს ყოველთვის სწორ პროგნოზს. ბავშვებმა თამამად უნდა შეძლონ მსჯელობა და ვარაუდების გამოთქმა და შემდეგ მოვლენებზე დაკვირვება, ექსპერიმენტირება, რომ უარყონ ან დაადასტურონ მათ მიერ გამოთქმული ვარაუდები. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არა სწორი პროგნოზი, არამედ დამოუკიდებლად მსჯელობა და ვარაუდების თამამად გაზიარება.

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ მარტივ ცდებსა და ექსპერიმენტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, როგორიცაა მაგალითად, ნივთიერებების შერევა (მაგ. წყალში რომელი ნივთიერება იხსნება და რომელი არა; რა ტივტივებს და რა იძირება), ცვლილებებზე დაკვირვება (მაგ. მცენარის მორწყვით ის უფრო მაღალი გაიზარდა), ცნებების გაგება (მაგ. სხვადასხვა კონტეინერში სხვადასხვა რაოდენობის ქვიშის ჩაყრაა საჭირო, რომ კონტეინერები პირამდე შეივსოს).

5-6 წლის ასაკში ბავშვები უკვე შესაძლოა, ხალისით ჩაერთონ კვლევის მიზნით მონაცემების შეგროვებაში, ორგანიზებაში და თქვენი დახმარებით ამ მონაცემების ინტერპრეტაციაში, რაც მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი პროცესია და ეხმარება ბავშვებს, იპოვონ კითხვებზე პასუხები, გააკეთონ აღმოჩენები. მონაცემები შეიძლება იყოს არტეფაქტები, საგნები, ფოტოები, ნახატები, რომლებიც ბავშვებს შეუძლიათ, კვლევისთვის შეაგროვონ. მონაცემთა ორგანიზება სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი: გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების, ნახატების, სქემების, პიქტოგრამების და რუკების სახით.

5-6 წლის რუსა ეზოში, ხის მორთან თამაშობს, რომელიც ნაწილობრივ ჭუჭყითა და ნაწილობრივ ხის პატარ-პატარა ნაფოტებითაა დაფარული. გოგონას პატარა ბარი უჭირავს და თხრის. როგორც ჩანს, მას სურს, რაც შეიძლება ღრმად ამოთხაროს - ბარი ხელში მაგრად უჭირავს და სახე გაწეული ფიზიკური დატვირთვის შედეგად შესწითლებია. რუსა ამბობს: „ჩემი შინაური მწერებისთვის ორმო უნდა ამოვთხარო.“ რამდენიმე წუთში რუსამ ხის მორის ნაფოტებში შეამჩნია, რომ რაღაც დახოხავდა. „აღმზრდელო, აღმზრდელო, აქ რაღაც დახოხავს, მგონი ათასფეხაა!“- დაიძახა რუსამ. აღმზრდელი, რომელიც შორიახლოს აკვირდებოდა სიტუაციას, უახლოვდება გოგონას. ეთანხმება იმაში, რომ შესაძლოა, მწერი მართლაც ათასფეხა იყოს. შემდეგ კი ბავშვს სთავაზობს, მოიფიქროს მისი შენახვის გზა და შეამოწმოს წიგნში, ნამდვილად სწორად ამოიცნო თუ არა მწერი. რუსა წიგნის მოსატანად გარბის, მანამდე კი სთხოვს აღმზრდელს, რომ უყუროს მწერს. რუსას წიგნი მოაქვს, გადაშლის იმ გვერდზე, სადაც ჩანს, რომ მის მიერ ნაპოვნი მწერი მართლაც ათასფეხას ჰგავს. „კი ეს არის,“ - ამბობს კმაყოფილი რუსა. აღმზრდელი შემდეგ ბავშვს ფურცელს და ფანქარს სთავაზობს, რათა გოგონამ აღბეჭდოს ათასფეხა და აჩვენოს თავისი ჯგუფის მეგობრებს.

ეს სცენარი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ აძლევს საშუალებას და ეხმარება აღმზრდელი ბავშვებს ღრმა, მეცნიერული კვლევითი უნარების განვითარებაში. პირველ რიგში, გარემო - პატარა ნიჩაბი, შესაძლებლობა, რომ ბავშვმა ეზოში თხაროს - კვლევისა და აღმოჩენის ხელშემწყობია. როდესაც რუსა მწერს აღმოაჩენს, აღმზრდელი მას რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი უნარის განვითარებაში ეხმარება: 1) მოიფიქროს როგორ შეინახოს მწერი - პრობლემის გადაჭრა; 2) მოძებნოს მწერი წიგნში - ვარაუდის დადასტურება; 3) აღბეჭდოს, გადახატოს თავისი აღმოჩენა - დოკუმენტირება; 4) გაუზიაროს თავისი აღმოჩენა მეგობრებს - პრეზენტაცია. რუსას მიერ გამოვლენილი და აღმზრდელის მიერ მხარდაჭერილი უნარები სწორედ ის უნარებია, რომლებსაც მეცნიერები იყენებენ თავისი საქმიანობისას: აღმოჩენა, დაკვირვება, ვარაუდის გამოთქმა, ვარაუდის გადამოწმება, აღმოჩენის დოკუმენტირება და სხვებისთვის გაზიარება.

ამ ასაკში ბავშვებს ბევრად მეტი უნარი აქვთ, **დააკვირდნენ გარემოს, აღმოაჩინონ უფრო რთული მიზეზშედეგობრივი კავშირები, დაინახონ კანონზომიერებები, გამოთქვან ვარაუდები გაზომონ, შეაერთონ, აწარმოონ ცხრილები და ჩაატარონ ექსპერიმენტები.**

ჩანართი

როგორ დავსვათ კვლევის წამახალისებელი შეკითხვები

კვლევითი საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი კითხვების დასმაა. წაახალისეთ ბავშვები, დასვან კითხვები, ამის მაგალითი თავად მიეცით.

თუ 3 წლამდე ასაკის კითხვითი სიტყვებია: ვინ? რა? სად? 3 წლის ასაკიდან მნიშვნელოვანი ხდება: რატომ? რისთვის? რამდენი? და როდის? თუ 3 წლამდე ასაკში ბავშვები სამყაროს უფრო შეგრძნებების მეშვეობით სწავლობენ, 4 წლიდან ასპარეზზე უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარები გამოდის.

უფროსი ფხიზლად უნდა იყოს და არ გამორჩეს ის შესაძლებლობები, საიდანაც შეიძლება საკვლევი კითხვები, ახალი იდეები, ახალი ინფორმაცია და მოლოდინები აღმოცენდეს. სწორედ ეს წარმოშობს ახალ აღმოჩენებს. არა უშავს თუ კვლევა არ მიგიყვანთ პასუხებამდე. მოძებნეთ ახალი გზები და სტრატეგიები პასუხის მისაღებად. კვლევის პროცესში ახალი კითხვები შეიძლება გაჩნდეს, რაც ბუნებრივი მეცნიერული პროცესია.

კითხვები, რომელიც ხელს უწყობს აღმოჩენას

- როგორ ფიქრობთ, ვიკვლიოთ ეს საკითხი?
- სად შეიძლება მოვიძიოთ ინფორმაცია ამაზე?
- რა არის გამოსავალი?
- როგორ გამოიყენებდით?
- რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ გაიგოთ, სწორი ხართ თუ არა?
- რა მასალები დაგჭირდებათ? რა ნაბიჯები უნდა გადადგათ?

- რა უნდა მოხდეს, თქვენი პროგნოზი რომ გამართლდეს?
- მართალი იყავით?
- რით მიხვდებით, თუ ცდებით?
- როგორ გაზომავთ ამას?
- სწორი იყო თქვენი პროგნოზი? თუ ასეა, რატომ?

მომავლის მოლოდინების ჩამოყალიბებას ბავშვები ცხოვრების ყველაზე ადრეულ ეტაპზე იწყებენ. პროგნოზის გაკეთება საშუალებას, გარემოსთან უფრო წარმატებულ ინტერაქციაში იყვნენ. ასევე **გახსოვდეთ, რომ ბავშვებისთვის უფრო მნიშვნელოვანია კეთების პრაქტიკა და ვარაუდების გამოთქმა, ვიდრე რაღაცების ზუსტად წინასწარმეტყველება.**

კითხვები, რომელიც ხელს უწყობს ვარაუდებს

- როგორ ფიქრობთ, რა იწვევს _____?
- რა მოხდება?
- როგორ ფიქრობ, რატომ ტივტივებს ნავი?
- შენი აზრით, რატომ აინთო ღილაკი?
- თუ ამას გააკეთებთ, რა მოხდება?
- იგივე მოხდება ყოველ ჯერზე, როცა _____ აკეთებთ?

მიეცით ბავშვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი. დაეხმარეთ ვარაუდების ჩამოყალიბებაში. ბავშვისგან წამოსულ კითხვებზე პასუხის ნაცვლად, გამოიყენეთ მათი ინტერესი მათივე აზროვნების წასახალისებლად. მაგალითად, თუ კატო კუბურებით თამაშისა და ბევრი ცდის შემდეგ აღმზრდელს ეკითხება: ,,რატომ არ მაგრდება ეს კუბური?“ აღმზრდელი პასუხის ნაცვლად კითხვას უბრუნებს: ,,შენ როგორ ფიქრობ, რატომ? მოდი, დავაკვირდეთ, რა ხდება? კატო ვარაუდს გამოთქვამს, როცა ამბობს, რომ კუბური ძალიან დიდი და მძიმეა, ან მრგვალია და გორდება.

ცოდნისა და გამოცდილების გარდა, პროგნოზირება საჭიროებს მეხსიერებას, ყურადღებით დაკვირვებას, მინიშნებების ამოცნობას და შესაძლებლობების წარმოსახვის უნარს. დაეხმარეთ ბავშვებს, გახდნენ ყურადღებიანი დამკვირვებლები. ყურადღება მიაქცევინეთ მნიშვნელოვან მინიშნებებზე, რაც შეიძლება მათთვის შეუმჩნეველი იყოს. წაახალისეთ დაკვირვება შესაბამისი კითხვებით, რომ ბავშვებმა დაკვირვებადი საგნებისა და მოვლენების აღწერა შეძლონ და ამ გზით პროცესები გაიაზრონ. დასვით სპეციფიკური კითხვები, რომელიც ფოკუსირებულ დაკვირვებას ახალისებს. პროცესის აღწერით ბავშვებს დაეხმარებით, ყურადღება გაამახვილონ იმ მოქმედებებზე, რასაც ასრულებენ. აღწერეთ პროცესი, რა ხდება, როცა ბავშვი თამაშობს: ჭიქა გაივსო და წყალი გადმოისხა, ხის კოვზი ტივტივებს, ბურთი გაგორდა და აშ.

კითხვები, რომელიც დაკვირვებას ახალისებს:

- რა მოხდა, როცა ასწიე?
- სად გამოჩნდა ბუშტულები, ჰაერი რომ შეუშვი?
- რამხელაზე ამოხტა, ხელი რომ დააჭირე?
- რამდენად სწრაფად გაგორდა?

დაუსვით კითხვები, რათა დაეხმაროთ ბავშვებს, გაიხსენონ, რაც გამოცადეს. დამახსოვრებისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილების ბევრჯერ გამეორება და მასალებისა და საგნების განსხვავებულად გამოყენება. ბავშვებს უკეთ ამახსოვრდებათ, როდესაც თავიანთი დაკვირვებებს სიტყვების, ნახატების ან ცხრილების საშუალებით კრებენ და აგროვებენ, რის საფუძველზეც გარკვეულ აღმოჩენებს და დასკვნებს გააკეთებენ. ასწავლეთ „მეცნიერული ჟურნალის“ წარმოება. სამეცნიერო ჟურნალი არის რვეული, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, თავიანთი დაკვირვებები, კითხვები და აღმოჩენები დააფიქსირონ, რაც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევებთან, ცნებებთან. ეს ხელს უწყობს ბავშვებს, ჩაერთონ კვლევისა და რეფლექსიის პროცესში. ჟურნალი ბავშვებს თავიანთი იდეების გამოხატვაში, ჰიპოთეზების ჩაწერაში, ექსპერიმენტებისა და კვლევების შედეგების დასაბუთებაში ეხმარება. სამეცნიერო ჟურნალი შეიძლება შეიცავდეს ნახატებს, წერილობით (ბავშვის კარნახით ჩაწერილ) დაკვირვებებს, მარტივ ცხრილებს და გრაფიკებსაც კი, რაც მათ აღმოჩენებს წარმოადგენს. ჟურნალის წარმოება შეგიძლიათ დაიწყოთ დაკვირვების ჩანახატებით და მარტივი ცხრილების წარმოებით. სამი წლის ასაკშიც შეუძლიათ ბავშვებს მარტივი ცხრილების წარმოება. მაგალითად, დავითვალოთ და ხაზებით აღვნიშნოთ, რამდენს აქვს ჯგუფში ლურჯი და რამდენს ყავისფერი თვალები. დაკვირვების ჩანახატების კეთება განსხვავდება წარმოსახვითი და შემოქმედებითი ხატვისგან. საგნის ჩანახატი რეალური საგნის რეპრეზენტაციაა. ჩანახატის კეთებისას ბავშვი ობიექტზე ყურადღებით დაკვირვებას სწავლობს. ამ დროს უფროსს შესაძლებლობა აქვს, დაუსვას კითხვები, რომელიც ამ დაკვირვებაში, საგნის დეტალებისა და შემადგენელი ნაწილების დანახვაში დაეხმარება.

კითხვები, რომელიც ხელს უწყობს: კლასიფიკაციას

- რას ამჩნევთ _____ზე?
- რით ჰგავს _____-ს _____-ს?
- რით განსხვავდება _____. _____-სგან?
- _____-ს რამეს გახსენებს, რაც ადრე გინახავს?

წაახალისეთ ბავშვები, თქვან, რა და როგორ გააკეთეს, დაუსვით ისეთი კითხვები, რომელიც პროცესების ახსნაში დაეხმარებათ. მაგალითად, როგორ შეუშვი წყალი ამ მილში? როგორ შეუცვალე მიმართულება? ასეთი კითხვები ასევე პროცესების და მოქმედებების თანმიმდევრობის გააზრებაში ეხმარება მათ. რა გააკეთე ჯერ, პირველი?

შემდეგ? ამის მერე? წაახალისეთ ბავშვები, გაუზიარონ სხვებს, რა დაინახეს, აღწერონ, რა მოხდა. ეს მათ დაეხმარება უფრო გამიზნულად გამოიყენონ საკვლევი ნივთები, მასალები, ხელსაწყოები.

კითხვები, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციას:

- ანიკა, შენ თქვი _____. ამას წინათ გავიგე ნიკას ნათქვამი _____ -ზე. შეგიძლია, ნიკას ამის შესახებ ესაუბრო?
- ელენე ,შეგიძლია, აუხსნა გიორგის, რატომ ფიქრობ _____-ს?
- დავინახე, რომ ნინო ამ პრობლემაზე ადრე მუშაობდა. შეგიძლია, ჰკითხო რა გააკეთა?
- შეგიძლიათ, დახატოთ სურათი იმაზე, თუ როგორ მუშაობს _____-ს?
- შეგიძლიათ, მოჰყვეთ ამბავი, ან დახატოთ რაც ტყეში აღმოვაჩინეთ დღეს?

დააკვირდით ბავშვების ინტერესებს, მოამარაგეთ ისინი შესაბამისი მასალებითა და ინსტრუმენტებით, დაუსვით მათ შეკითხვები, რომელიც მათ კვლევებისა და აღმოჩენებისკენ უბიძგებს.

ჩანართი

ფონოლოგიური ცნობიერება

ფონოლოგიური ცნობიერების ხარისხი ბავშვის მომავალი წერისა და კითხვის უნარების წინასწარმეტყველების ყველაზე ძლიერი ხერხია, ამიტომ, 4 წლიდან და ზევით, ფონოლოგიური ცნობიერების ხელშეწყობა ამ კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დაახლოებით, 4 წლის ასაკიდან ბავშვები აკეთებენ ცნობიერ აღმოჩენას, რომ სამეტყველო ენა შესაძლოა, დავყოთ სიტყვებად, ხოლო სიტყვები - მარცვლებად. თანდათან ბავშვები ხვდებიან, რომ ზოგი სიტყვა მსგავსად ჟღერს და 4 წლის ასაკამდეც კი შეიძლება დაიწყონ თამაში მსგავსი სიტყვების (ხანდახან უშინაარსო) გამოგონებაზე.

4-5 წლის ასაკში აღმზრდელებმა მხოლოდ ისეთ ფონოლოგიურ კვლევა-აღმოჩენებზე უნდა უნდა გაამახვილონ ყურადღება, როგორიცაა:

- მარცვლების რაოდენობა სიტყვებში
- მსგავსი ჟღერადობის სიტყვები
- მსგავსი საწყისის მქონე სიტყვები
- „მომისმინე... და იპოვე მსგავსი“, მომისმინე, ეს სიტყვა ბ-ზე იწყება, მოდი, ვიპოვოთ კიდევ რომელი სიტყვა იწყება ბ-ზე?

- მომისმინეთ, ნიკო ორ მარცვალზე გამოითქმის, ნახეთ, მოდი, ტაში დავუკრათ ყველა მარცვალზე და ისე მოვისმინოთ ნი-კო. აბა, კიდევ ვისი სახელი გამოითქმის ორ ტაშზე (ორ მარცვალზე)? ნინო, დათო, მარი (მცირე ჯგუფური აქტივობა)
- საბავშვო სიმღერის ან ლექსის თქმისას: „მომისმინეთ, ეს სიტყვები ერთმანეთს ჰგავს, მოდი, ვიპოვოთ, კიდევ რომელია მსგავსი სიტყვა? (მცირე ჯგუფური აქტივობა)
- საბავშვო მოთხრობების კითხვისას ყურადღება მიაქცევინეთ ბავშვებს ალიტერაციებზე: ტოპო-ტიპი, ბასტი-ბუბუ (მცირე ჯგუფური აქტივობა)

დაახლოებით, 5 წლის ასაკში ბავშვების უმრავლესობას უკვე შეუძლია:

- თქვას, რომელია სიტყვის პირველი ასო
- თქვას, რომელი სიტყვები იწყება ერთი და იმავე ასოთი

ბავშვებისთვის ლექსების კითხვისას, ხშირად კითხეთ მათ, მათი აზრით, რომელია მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვები, დააკვრევინეთ მსგავს სიტყვებში მარცვლების რაოდენობის შესაბამისი ტაში, დარწმუნდით, რომ კარგად ესმით ყველა ამ სიტყვის შინაარსი.

გამოიყენეთ წერითი აქტივობები ფონოლოგიური ცნობიერების ხელშესაწყობად. როდესაც ბავშვის ნახატს, სათაურს ან მის სახელს აწერთ მისივე კარნახით, ნელა გამოთქვით სიტყვა და გამოყავით ასოები. ასეთ დროს ბავშვები თქვენზე დაკვირვებით სიტყვების ბგერით შემადგენლობას სწავლობენ. მსგავსი რამის გაკეთება შეგიძლიათ, როდესაც:

- ბავშვები საკუთარი ნახატის აღწერას გვკარნახობენ
- როდესაც ერთად ადგენთ დაბადების დღეების, ამინდის ან დასწრების ცხრილს
- როდესაც ერთად იგონებთ და წერთ პატარა მოთხრობას
- როდესაც ბავშვებთან თამაშისას რაიმე როლი გაქვთ მორგებული, მაგალითად, ექიმის, რომელიც რეცეპტს წერს, მშობლის, რომელიც საყიდლების სიას წერს, ან ბანკის თანამშრომლის, რომელიც მომხმარებელს ჩეკებს უწერს.

ხანდახან ბავშვები წერას კითხვის სწავლაზე ადრე იწყებენ. რა თქმა უნდა, მათი პირველი ნაწერები უსწორმასწოროა და ბევრი შეცდომის შემცველი, თუმცა იცოდეთ, რომ ბავშვები, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე ცდილობენ, წერას დაეუფლონ, უფრო ადრე და უკეთ სწავლობენ კითხვას. ნაწერით დაინტერესებისა და წერის წასახალისებლად გამოიყენეთ გარე სივრცეც. წაახალისეთ ბავშვები, ხატონ და წერონ ცარცით ეზოში, გამოიყვანონ ასოები ან ციფრები ჯოხით ან თითით ქვიშაში, ყურადღება მიაქციონ ეზოსა და ქუჩაში განთავსებულ ნიშნებსა და წარწერებს.

ცხრილი 13: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

10. ქვემიზანი: სიღრმისეული/მეცნიერული კვლევა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
10.1. დაკვირვება და დახარისხება	• ამჩნევენ თვალსაჩინო ცვლილებებს, აკვირდებიან ერთი ან ორი თვისების ცვლილებას. • შეუძლიათ ნივთების მარტივი დახარისხება ფერის, ზომის ან ფორმის მიხედვით	• ამჩნევენ თანმიმდევრობებს, შეიძლება გააგრძელონ მარტივი პატერნები • ერთდროული ახარისხებენ რამდენიმე მახასიათებლით (მაგ. ფერი და ზომა)	• უფრო ღრმად აკვირდებიან პროცესებს • აღწერენ ცვლილებებს, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირებით • ახარისხებენ თვისებრივი მახასიათებლებით (მაგ. ბეწვი, ფრენა, საცხოვრებელი გარემო)
10.2. მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და ჰიპოთეზების გამოთქმა	• რეაგირებენ ვიზუალურ და ფიზიკურ ცვლილებებზე (მაგ. „ვერცხლისფერი ფხვნილი წყალში აირია“).	• პასუხობენ კითხვებზე „რატომ?“ და „რა მოხდება, თუ...?“ ტიპის შეკითხვებზე. • ცდილობენ, ივარაუდონ შესაძლო შედეგი მოქმედებამდე • ცდილობენ, ახსნან რაც დაინახეს	• აყალიბებენ ჰიპოთეზებს, გამოთქვამენ ვარაუდებს • აკვირდებიან შედეგებს და ადარებენ მოსაზრებას რეალობას • აფიქსირებენ საინტერესო დეტალებს/სურათებს/მონაყოლს
10.3. ცდა და ექსპერიმენტირება	• ინტერესდებიან მარტივი ექსპერიმენტებით და უფროსის მხარდაჭერით მონაწილეობენ. • ცდილობენ განმეორებით შეხებას, მასალაზე ზემოქმედებას, განთავსებას, განსხვავებული შედეგების კვლევის მიზნით (მაგ. პლასტილინს დებს სხვადასხვა ფორმაში, აწვება და აჭერს მაგიდაზე)	• აქტიურად ერთვებიან მარტივ ცდებში უფროსის ხელშეწყობით (მაგ. ტივტივებს – იძირება). • თავისთვის ხმამაღლა სვამენ კითხვებს	• დამოუკიდებლად მონაწილეობენ მარტივ ცდებში, აფიქსირებენ შედეგებს, ადარებენ ცვლადებს (მაგ. სინათლის ცვლილება, ტემპერატურის შესწავლა)
10.4. დოკუმენტირება და პრეზენტაცია	• უფროსის დახმარებით ავსებენ მარტივ ცხრილებს • აკეთებენ მარტივ ჩანახატებს • აკეთებენ სახელდებას	• იწყებენ ინფორმაციის შეგროვებას • მონაცემების ასაღებად ავსებენ მარტივ ცხრილებს და ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებენ უფროსის დახმარებას • წარადგენენ თავიანთ აღმოჩენებს სიტყვებით ან ნახატით	• დოკუმენტურად აფიქსირებენ შედეგს: აგროვებენ ნივთებს, ფოტოებს, აკეთებენ ჩანახატებს, ავსებენ ცხრილებს • შედეგებს უზიარებენ სხვებს, აჩვენებენ ჯგუფს და განმარტავენ

შემოქმედებითობა

შექმნა:

ბავშვები ქმნიან, როდესაც ხატავენ, კოლაჟს აკეთებენ, რაიმეს აშენებენ, რაიმეს გამოიგონებენ, წარმოსახვითი ამბავი იქნება ეს, გამოგონილი პერსონაჟი თუ ექსპერიმენტირებისას შექმნილი რაიმე ნივთი. შექმნაა, როდესაც ბავშვი თამაშს იგონებს და თავისი გამოგონილი სცენარით თამაშობს.

2-3

ცხადია, ორი-სამი წლის ასაკშიც შეუძლიათ ბავშვებს შექმნა. სილაში "გამომცხვარი პასკაც" ქმნილებაა, ფურცელზე გავლებული სხვადასხვა ფერის ხაზებით შექმნილი ნახატიც და კუბურებისგან აშენებული პატარა კოშკიც. ბავშვები ხატვას 2 წლამდე ასაკშიც იწყებენ, თუ მათ ამის საშუალებას ვაძლევთ.

თუ ჩვენი მიზანი შემოქმედებითობის წახალისებაა, ვიზუალური ხელოვნებასა და კონსტრუქციულ აქტივობებთან ერთად, აუცილებელია ბავშვებში დრამატული (სიმბოლური) თამაშიც განვავითაროთ, რადგან ეს შემოქმედებითი აზროვნების და ენის განვითარების მნიშვნელოვანი ასპარეზია. **ორი წლის** ბავშვების თამაშის სქემა მარტივია: ისინი ახურავენ ქვაბს თავსახურს, დგამენ ქვაბს გაზქურაზე; ერთად აგროვებენ მზარეულობასთან/ ჭამასთან დაკავშირებულ ნივთებს - თეფშებს, ქვაბებს, დანა-ჩანგალს, ჭიქებს. ხელში უჭირავთ, არწევენ და აძინებენ თოჯინას - „ნანა-ნანა". ამ ასაკში ბავშვები განასახიერებენ, იმეორებენ იმას, რასაც ყოველდღიურობაში ხედავენ. **ორწლინახევრის ასაკიდან** კი ბავშვები უკვე იწყებენ იშვიათი მაგრამ დასამახსოვრებელი მოვლენების განსახიერებას, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც სასიამოვნო ან მატრავმირებელია, მაგალითად, მაღაზიაში საყიდლებზე სიარული ან ექიმთან ვიზიტი. ეს კი ნიშნავს, რომ მათი სააზროვნო სქემები აღარაა მხოლოდ ყოველდღიურად განმეორებადი ქმედებებით მოცული. ახლა უკვე ბავშვები თოჯინას არა მხოლოდ აძინებენ ან აცმევენ, არამედ „ესაუბრებიან" მას. ისინი უკვე ანაწილებენ და ცვლიან როლებს „მე ვიქნები ექიმი და შენ იყავი ბავშვი". **ორწლინახევრიდან სამი წლის ასაკამდე** ბავშვებს უკვე შეუძლიათ თამაშისას ჩამანაცვლებელი ნივთების გამოყენება, ფანქარი უცებ შეიძლება მიკროფონად იქცეს, ფურცელი თოჯინას საბნად და ა.შ. **3 წლის ასაკიდან** კი ბავშვები უკვე მაკომპენსირებელ თამაშებს იწყებენ, ანუ ათამაშებენ გამოცდილ მოვლენებს, მაგრამ ცვლიან რეალურ დასასრულს.

თუ აღმზრდელი დაინახავს, რომ პატარა თომა იატაკზე წვება, თავზე რამეს იფარებს, ამბობს „ნანას" და თავს იმძინარებს, ამას დანახვა, აყოლა და წახალისება სჭირდება, რადგან ეს სიმბოლური თამაშის განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. – თომას სძინავს, – ამბობს აღმზრდელი - ჩჩჩ, – ტუჩებზე თითებს იფარებს და დანარჩენ ბავშვებს ღიმილით უყურებს, – ჩუმად უნდა ვიყოთ, თომა რომ არ გავაღვიძოთ. ნინა ქვაბიდან კოვზს იღებს და აღმზრდელს უწვდის „გასასინჯად", - უფ, რა გემრიელია, ამბობს აღმზრდელი, - მოდი, დათოსაც გავასინჯოთ.

თუ ხედავთ, რომ თქვენს 2-3-წლიანთა ჯგუფში ბავშვები ნაკლებად იყენებენ სიმბოლური თამაშის ელემენტებს, ამის მაგალითი თავადაც უნდა მისცეთ; თქვით, რომ დედას უნდა დაურეკოთ და ყურთან ხის კუბური მიიტანეთ, აჩვენეთ, როგორ შეიძლება ხის ჯოხი ცოცხად გადაიქცეს, რათა იატაკი დაგავო. დააკვირდით ბავშვებს, თუ ხედავთ, რომ ისინი ჩამანაცვლებელ ობიექტებს ხშირად და თავისუფლად იყენებენ, ახლა წაახალისეთ, რომ თამაშისას წარმოსახვითი ნივთებიც გამოიყენონ, ვითომ თოჯინას საბანს ვახურავ (სინამდვილეში კი ხელში არაფერი მიჭირავს), ვითომ პაციენტს ვსინჯავ, ვითომ ცეცხლს ვაქრობ და ა.შ. დააკვირდით და წაახალისეთ ის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როდესაც ბავშვები თოჯინების და სხვა სათამაშოების თამაშში აქტიურ ჩართვას, მათთან ლაპარაკს და მათ ნაცვლად ლაპარაკს იწყებენ.

3-5

მიეცით ბავშვებს საშუალება, ჯღაბნონ, ხატონ თითებით, ფუნჯით და სხვადასხვა სახატავი საშუალებებით, მაგალითად, დახატონ წიწვებით, მასალებთან მუშაობის დროს ესაუბრეთ მის ნამუშევარზე, აღწერეთ, რას აკეთებს ბავშვი, რა ნაკვალევს ტოვებს ნახშირი, საღებავი ან ცარცი, რა ფორმას იღებს ის და ა.შ. გაფერადება, დაწებება, გამოჭრა ძალიან პოპულარული საქმიანობებია 3-4 წლის ასაკში, რადგან ბავშვი ჩვეულებრივ სამი წლის ასაკშივე იწყებს მაკრატლის გამოყენების სწავლას.

კოგნიტიური, ენობრივი, სოციალური და მოტორული უნარების ზრდასთან ერთად, 4-5 წლის ასაკში მნიშვნელოვნად ვითარდება კრეატიული (შემოქმედებითი) უნარები. ამ ასაკში ბავშვები მასალებით უფრო დახვეწილ ექსპერიმენტებს ატარებენ. ისინი ქმნიან უფრო რთულ სცენარებს, ავითარებენ პერსონაჟებს და სიუჟეტებს, რომლებიც მოიცავს მრავალ როლსა და ჩახლართულ სიუჟეტებს. მათ მიერ აგებული კონსტრუქციები უკვე რაიმე სპეციფიკურს ასახავს - ზოოპარკი, ციხე-სიმაგრე, ისინი იგონებენ ისტორიებს და აღწერენ თავიანთ შექმნილ ნახატებსა და ნამუშევრებს უფრო დეტალურად.

წინა წლებთან შედარებით, ამ ასაკში აბსტრაქტული აზროვნების უნარი კიდევ უფრო მეტადაა განვითარებული და ეს უნარი განსაკუთრებით საინტერესოდ ვლინდება **„ვითომ“ თამაშებში (სიმბოლურ თამაშებში), ბავშვების ფანტაზიებში.** ისინი ხან თავისი საყვარელი პერსონაჟების როლში არიან, ხან კი საოცარ სცენარებს იგონებენ. სიმბოლური თამაშისას ბავშვები ყოველდღიურ ნივთებს ალტერნატიულ გამოყენებას უძებნიან. გარდა ამისა, ბავშვების აბსტრაქტული აზროვნება იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ მათ თამაში მხოლოდ მათ გონებაში არსებული, წარმოდგენილი ნივთებით, პერსონაჟებით ან მოვლენებით განაგრძონ. ეს ყველაფერი შემოქმედებითი აზროვნების ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებაა.

5-6

ხუთი-ექვსი წლის ბავშვების ნახატი და ნაძერწი უკვე, შესაძლოა, რაღაც ამბავს, რაღაც სიუჟეტს აღწერდეს. ამ ასაკში ბავშვებს უფრო მეტი უნარი აქვთ, შექმნან რიტმები, შეადგინონ პატარა „ბენდები“, „დადგან ცეკვები ან დაწერონ მუსიკა“.

ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, მივცეთ ბავშვებს საშუალება, ყველა, მათთვის საინტერესო თემაზე ითამაშონ **დრამატული, წარმოსახვითი** თამაშები. ამისთვის შეცვალონ და მოაწყონ გარემო, დაამზადონ და მოაგროვონ სათამაშო რეკვიზიტები.

უკითხეთ ბავშვებს ბევრი საინტერესო მოთხრობა თუ ზღაპარი, **უამბეთ მათ სხვადასხვა ამბები,** რათა მათი ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარები გაამდიდროთ.

წაახალისეთ ბავშვები, **გაითამაშონ მოსმენილი ამბები, მოირგონ სხვადასხვა პერსონაჟის როლი.**

ყურადღებით მოუსმინეთ მათ მოყოლილ, გამოგონილ ამბებს.

მიეცით ბავშვებს საშუალება, ხატვით, ძერწვით და სხვა ვიზუალური ხელოვნების აქტივობების გზით, თავიანთი ემოციები და იდეები **ვიზუალურად** გამოხატონ.

ბავშვების ჩართვა მუსიკალურ და მოძრაობით აქტივობებში არა მხოლოდ ხელს უწყობს ფიზიკურ განვითარებას, არამედ საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი შემოქმედებითად გამოხატონ.

ჩანართი

თხრობის (ნარატიული) უნარების ხელშეწყობა

თხრობის უნარი მომავალი სწავლის უნარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ეს უნარი ნებისმიერ ჩვენგანს გვესაჭიროება არა მხოლოდ სწავლისას, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ურთიერთობებშიც. მომხდარი ამბის გადმოცემას, მოსმენილი ამბის გაზიარებას, ნანახი ფილმის მოყოლას, წაკითხული მოთხრობის შესახებ მსჯელობას, ძველი ამბების გახსენებას საფუძვლად თხრობის ფუნდამენტური უნარი უდევს.

ისევე, როგორც სხვა ენობრივი უნარები, თხრობის უნარიც განვითარებას ადრეული ბავშვობიდან იწყებს. 2-3 წლის ასაკის ბავშვები იწყებენ პატარა (ხანდახან საოცარი) ამბების მოყოლას, რომელსაც ჯერ არა აქვს სტრუქტურა და არ არის ორგანიზებული. ხშირად ეს ერთმანეთთან დაუკავშირებელი განცხადებებია.

3-4 წლის ბავშვები პატარა ამბებსაც ჰყვებიან, მათი მონაყოლი შეიძლება სხვადასხვა ქმედებების ჩამონათვალს მოიცავდეს, თუმცა მასში ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი მთავარი თემა, ლოგიკური თანმიმდევრობა და მიზეზშედეგობრიობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მონაყოლს ჯერ კიდევ არა აქვს მკაფიო სტრუქტურა და დეტალები, ბავშვების ამგვარ მცდელობებს განსაკუთრებული დაფასება სჭირდება.

4-5 წლის ასაკისთვის თხრობა უფრო ორგანიზდება მთავარი თემის გარშემო, შეიცავს ხდომილებების თანმიმდევრობას და გარკვეულ მიზეზშედეგობრივ კავშირს.

5 წლის ასაკის ბავშვების მონათხრობი უკვე შეიცავს გარემოს, პერსონაჟების, პრობლემისა და პრობლემის გადაჭრის და ამ ქმედებათა შედეგის ელემენტებს, თუმცა შესაძლოა იყოს ბუნდოვანი, აკლდეს დეტალები. მიუხედავად ამისა, ამბავში არის ➡

ლოგიკური კავშირები და დასასრული. 6 წლის ასაკში ბავშვების მიერ მოყოლილი ამბები განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მათ უკვე აქვთ უნარი, დაფიქრდნენ ბევრ დეტალზე, უკეთ აღწერონ გმირის გარეგნობა, თვისებები, ტანსაცმელი, მეტი სიცოცხლე შთაბერონ იმ ადგილს, რომლის შესახებაც ჰყვებიან, მოულოდნელი გზით განავითარონ სიუჟეტი და ა.შ.

ყველა ერთნაირად კარგი მთხრობელი არ არის, თხრობის უნარებს გავარჯიშება სჭირდება. თხრობის უნარების ხელშესაწყობად ხშირად უამბეთ ბავშვებს ამბები. არ არის აუცილებელი, ეს რაიმე კონკრეტული მოთხრობა ან ზღაპარი იყოს.

ბავშვებისათვის ამბის თხრობა ძალიან სასიამოვნო პროცესია, რადგან მათ სჯერათ ყველაფრის, რასაც უყვებით და ავლენენ საოცარ ინტერესს მონაყოლი ამბების მიმართ. ბავშვებისათვის ამბების თხრობა შეიძლება ყველა თემაზე - ეს შეიძლება იყოს ამბავი იმ პატარა და უძვირფასეს ნივთზე, რომელიც ბავშვობაში გქონია, ბავშვობის ერთი თავგადასავალი; სუნი, რომელიც სამზარეულოში დგებოდა, როდესაც ბებო ნამცხვარს აცხობდა; ნაპოვნ ჩიტის ბუდეზე; ამბავი, რომელიც გუშინ შეგემთხვათ ქუჩაში ანდა ამბავი თქვენი ან თქვენი ნაცნობის კნუტის ოინებზე. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ამბები, რომელშიც ისინიც მონაწილეობენ. თუ სადმე წასვლას გეგმავთ, წინასწარ მოუყევით ბავშვს ამბავი იმ ადგილის შესახებ. ეს ენობრივ განვითარებაში დახმარების გარდა, საკუთარი ქალაქის თუ სოფლის ისტორიის შესწავლის კარგი საშუალებაც იქნება.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოუსმინეთ ბავშვების მონაყოლს, დააცალეთ, დაასრულონ ამბავი, გამოხატეთ ინტერესი მისი მონათხრობის მიმართ, დაუსვით შეკითხვები და წაახალისეთ ბავშვები, მოუსმინონ ერთმანეთს.

ცხრილი 14: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

11. ქვემიზანი: შექმნა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
11.1. ვიზუალური ხელოვნებით თვითგამოხატვა	• ჯღაბნიან ხაზებს, მარტივ ფიგურებს • ასახელებენ ნამუშევრებს • ხატავენ სხვადასხვა მასალით (ფურცელი, ქვიშა, თითები) • გამოხატავენ ინტერესს და დადებით ემოციებს ხელოვნების აქტივობებისას	• ირჩევენ ფერებსა და ფორმებს, რომელსაც იყენებენ ნამუშევრებში • აღწერენ თვიანთ ნამუშევრებს • იყენებენ მასალების კომბინაციას. გამოსახავენ ძირითად დეტალებს	• ქმნიან თემატურ ნამუშევრებს • ნამუშევრები გადმოსცემს ისტორიას • მუშაობენ თემატურად • ავლენენ რთულ უნარებს - ფორმის სიზუსტეს, დეტალებს

11.2. მუსიკით და მოძრაობითი თვითგამოხატვა	• იმეორებენ ნაცნობ რიტმებს ხმით ან მოძრაობით - გამოხატავენ ემოციებს სხეულის მოძრაობით - იმიტირებენ სიმღერასა და ცეკვას	• ქმნიან საკუთარ რიტმებს და იგონებენ ცეკვებს • მოძრაობით გამოხატავენ ემოციებს ან ამბავს • ექსპერიმენტულად იყენებენ რიტმულ ინსტრუმენტებს	• ქმნიან რიტმებს, იგონებენ ცეკვას (მაგ. "ბენდის" თამაშში ჩართვა) • მოძრაობით გამოხატავენ ემოციებს, ამბავს, ქმნიან მოძრაობით დადგმულ სცენებს
11.3. დრამატული/სიმბოლური თამაში	• განასახიერებენ ყოველდღიურ ქმედებებს (ჭამა, ძილი, დარეკვა) დრამატული და სიმბოლური თამაშის დროს • სიმბოლურად მოქმედებენ თოჯინებით ან საგნებით	• როლური თამაშისას იგონებენ პერსონაჟებს • იყენებენ ალტერნატიულ საგნებს დრამატულ თამაშში (კოვზი ტელეფონად)	• თამაშობენ სიუჟეტურ, მრავალროლიან დრამატულ თამაშებს • იგონებენ სცენარებს და ანაწილებენ როლებს; • თამაშში იყენებენ იშვიათ ან წარმოსახვით მოვლენებს
11.4. თხრობა / ნარატიული უნარები	• იაზრებენ სიტყვებითა და მოკლე წინადადებით მოსმენილს ან ნანახს • თხრობა ფრაგმენტულია	• ჰყვებიან მცირე ამბებს მოქმედებების თანმიმდევრობით • ცდილობენ, აღწერონ პერსონაჟი ან გარემო	• თხრობა სტრუქტურულია (დასაწყისი, შუა, დასასრული) • ჰყვებიან თავიანთ გამოგონილ ამბებს
11.5. კონსტრუირება	• აგებენ მარტივ კონსტრუქციებს • იცავენ ელემენტარულ სიმეტრიას (მაგ. კოშკის ორივე მხარეს დგას ერთი და იგივე ფერის, ან ზომის კუბი)	• აგებენ კონსტრუქციებს მრავალფეროვანი მასალებით (მაგ. ქალაქი, ხიდი) • გამოხატავენ თავიანთ იდეებს კონსტრუირებით	• ქმნიან თემატურ, კომპლექსურ ნაგებობებს მრავალფეროვანი მასალებით • განმარტავენ და ჰყვებიან თავიანთი კონსტრუქციების შესახებ

პრობლემის გადაჭრა

პრობლემების გადაჭრის უნარები გულისხმობს, სხვადასხვა გამოწვევებისას, სიტუაციის გაანალიზებას, გადაწყვეტილებების მიღებას და გამოსავლის პოვნას.

2-4

რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის უნარის ხელშეწყობას პატარა ასაკის ბავშვებთან, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ უნარებზე მუშაობა 2-3-წლიანებში ნაადრევია. ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან პრობლემის გადაჭრის უნარიც ყველა დანარჩენი უნარივით განვი-

თარებადია და მას ადრეული ასაკიდან ეყრება საფუძველი. ამისათვის შესთავაზეთ მათ ღია მასალები, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჭურჭელი, მიეცით საშუალება, გადაასხან სითხე ერთიდან მეორეში და დააკვირდნენ, რა მოხდება. თუ ბავშვი ცდილობს, ოთხკუთხედი კუბი მოათავსოს მრგვალ ჭრილში, კითხეთ, *„როგორ ფიქრობ, მოთავსდება, სხვა რა ფორმას ხედავ?“* თუ სათამაშო მანქანა სადმე გაიჭედა, აჩვენეთ მისი განთავისუფლების გზა: *„მოდი, აქედან მივაწვეთ, არა ასე არ გამოდის, აბა, მეორე მხრიდან ვცადოთ“*. დაიხმარეთ ბავშვები დამალული ან დაკარგული ნივთების მოძებნაში, შესთავაზეთ ასაკის შესაფერისი თავსატეხები (ფაზლები), დაიხმარეთ სუფრის გაწყობაში, კითხეთ, მათი აზრით, სად უნდა დაუდოს ჩანგალი, ჭიქა?

პრობლემის გადაჭრის უნარების გასავითარებლად ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება, ისწავლონ ცდისა და შეცდომის მეთოდით, შეისწავლონ მიზეზშედეგობრივი კავშირები და დაგეგმონ ამოცანების შესრულება. პატარა ასაკში ბავშვების პრობლემის გადაჭრის უნარები, ძირითადად, ექსპერიმენტირებასა და აღმოჩენაზეა დაფუძნებული. ისინი ხშირად ცდიან და შეცდომებს უშვებენ სხვადასხვა ამოცანის შესრულებისას, რაც ეხმარება მათ, გამოცადონ სხვადასხვა სტრატეგიები. ამ დროს ისინი იაზრებენ, თუ როგორ მოქმედებს ერთი რამ მეორეზე, მაგალითად, რამდენად საჭიროა ზუსტი ძალა სათამაშოს მოძრაობისას (მიზეზშედეგობრივი კავშირი). ბავშვები ხშირად აკვირდებიან უფროსების ქმედებებს და მათი მიბაძვით პრობლემის გადაჭრას ცდილობენ.

4-6

ოთხი-ექვსი წლის ასაკში, პრობლემის გადასაჭრელად, ბავშვებმა შესაძლოა, უკვე რაღაც წინასწარ დაგეგმონ და საკითხს მხოლოდ ცდისა და შეცდომის მეთოდით არ მიუდგნენ. მათ უფრო რთული მიზეზშედეგობრივი კავშირების გაგებაც შეუძლიათ. ამოცანის დასახვისას და შესაბამის ნაბიჯებზე ფიქრისას 4-6 წლის ბავშვები უკვე იწყებენ რამდენიმე შესაძლო ვარიანტის გათვალისწინებას, რაც ზრდის მათ კრეატიულობას და პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს.

მართალია, ამ ასაკში ბავშვები კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტული ცნებების გააზრებისკენ გადადიან, მაგრამ მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ რეალური საგნები და მაგალითები, რომ პრობლემა სრულად გაიგონ.

მათი ყურადღების ფოკუსი გაზრდილია წინა წლებთან შედარებით, მაგრამ არა იმდენად, რომ ძალიან რთულ პრობლემებს გაუმკლავდნენ. მათი თვითრეგულირების, იმპულსების კონტროლის უნარები ჯერ კიდევ ვითარდება, ამიტომ პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული აქტივობები უნდა იყოს საინტერესო და დინამიკური, რათა ბავშვებმა შეძლონ ყურადღების შენარჩუნება.

პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ:

- **კრიტიკულ აზროვნებას**: სიტუაციების ანალიზს, კანონზომიერებების ამოცნობას და შესაძლო გამოსავლების განხილვას.

- **წარმოსახვასა და შემოქმედებითობას**: ჩარჩოების მიღმა აზროვნებას და საინტერესო გადაწყვეტილებების მოფიქრებას, წარმოსახვის გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად.
- **მოსინჯვისა და შეცდომების გზით სწავლას**: სხვადასხვა მიდგომების გამოცდას საუკეთესო გამოსავლის საპოვნელად.
- **იმპულსების კონტროლს**: პრობლემის გადაჭრაზე მუშაობის გაგრძელების უნარს, მაშინაც კი, როცა ის რთულია.
- **თანამშრომლობას**: თანატოლებთან ერთად პრობლემის გადაწყვეტას.

ამ ასაკში თამაში არის მთავარი იარაღი პრობლემების გადაჭრის უნარების შესასწავლად. თამაშები და აქტივობები, რომლებიც მოიცავს მშენებლობას, წინა გამოცდილების გააზრებას და ორგანიზებას, ეხმარება ბავშვებს კრიტიკულ აზროვნებაში. წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ, რაც შეიძლება, მაღალი კოშკი. როდესაც ის დაინგრევა, დაეხმარეთ მათ დაფიქრდნენ, რატომ დაინგრა და როგორ შეიძლება, უფრო მტკიცე გახადონ. პასუხების პირდაპირ მიწოდების ნაცვლად, დაუსვით ბავშვებს ღია კითხვები, რათა წაახალისოთ ისინი კრიტიკულად იფიქრონ და გამოიკვლიონ სხვადასხვა გამოსავლები:

- „როგორ შევძლოთ ხიდის აშენება, რომელიც მეტ ტვირთს გაუძლებს?“
- „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ ამ ბლოკს დავამატებთ?“
- მიეცით ბავშვებს მრავალფეროვანი ღია მასალა, მაგ. ქაღალდი, ლენტი, ჩალა და ბლოკები ნაგებობების შესაქმნელად. მიეცით საშუალება, ცადონ სხვადასხვა ვერსიები და ნახონ, რომელი არის უფრო მყარი.
- დააორგანიზეთ გარე აქტივობა, სადაც ბავშვებმა უნდა იფიქრონ, როგორ გადაიტანონ წყალი ერთი ადგილიდან მეორეში ჭიქებით, სათლებით ან ფოთლებით. მიეცით მათ საშუალება, ცადონ სხვადასხვა მეთოდი, სანამ არ იპოვიან საუკეთესო გზას.

ჯგუფში მუშაობა ხელს უწყობს გუნდურ მუშაობას და სოციალური პრობლემების გადაჭრის უნარებს. ბავშვებს შეუძლიათ ერთმანეთისგან სწავლა, იდეების გაზიარება და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

- მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, ერთად ააშენონ რაღაც, როგორიცაა ციხე ან პორტი დიდი ბლოკებით ან მუყაოთი. დაეხმარეთ მათ, განიხილონ და მოლაპარაკება გამართონ სხვადასხვა სტრატეგიაზე.

წარმოსახვითი ან როლის თამაში ბავშვებს საშუალებას აძლევს, შექმნან სცენარები, სადაც მათ შეუძლიათ კრეატიული პრობლემების გადაჭრა. ეს აქტივობები აუმჯობესებს როგორც მათ კოგნიტიურ, ასევე სოციალურ პრობლემების გადაჭრის უნარებს.

- შექმენით „სუპერმარკეტი“ ან „ექიმის კაბინეტი“ და მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, შეასრულონ სხვადასხვა როლები. მაგალითად, მათ შეიძლება მოუწიოთ პრობლემების გადაჭრა, როგორ დაეხმარონ „პაციენტს“ ან უზრუნველყონ, რომ ყველას ჰქონდეს საკმარისი ფული, რათა იყიდონ საკვები.
- წაახალისეთ ბავშვები, რომ გამოიგონონ თავიანთი ისტორიები, გაამახვილონ ყურადღება, როგორ გადაჭრიან პერსონაჟები პრობლემებს მათ ისტორიებში.

დაიხმარეთ ბავშვებს ისეთი რეალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მათთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანია.

- თუ რამდენიმე ორცხობილა დარჩა, ჰკითხეთ ჯგუფს, როგორ შეუძლიათ მათი დაყოფა ისე, რომ ყველას საკმარისი ჰქონდეს.
- ჩართეთ ბავშვები არეული სივრცის დალაგებაში. დაეხმარეთ მათ, განიხილონ კატეგორიები (მაგალითად, სათამაშოები ერთ სივრცეში, ხელოვნების მასალები მეორეში).
- შესთავაზეთ სხვადასხვა ობიექტი და ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი ჩაიძირება ან გაცურდება წყალში. მიეცით საშუალება, გამოცადონ თავიანთი იდეები.
- გამოიყენეთ მძივები ან ფერადი ბლოკები და წაახალისეთ ბავშვები, რომ ამოიცნონ და შექმნან შაბლონები. ჰკითხეთ, „რა იქნება შემდეგი ამ თანმიმდევრობაში?“ რაც ხელს უწყობს ლოგიკურ აზროვნებას.

ჩანართი

პრობლემის გადაჭრის უნარები და მათემატიკური ცნობიერება

მათემატიკური აზროვნების ხელშეწყობა არ არის მხოლოდ ათამდე ან ოცამდე დათვლის სწავლება ან წინასასკოლო ასაკში ციფრების სასწავლებლად „მათემატიკის გაკვეთილის“ მოწყობა.

მათემატიკურ აზროვნებას ბავშვები ძალიან პატარა ასაკიდანვე იწყებენ, მაშინვე როდესაც პატარისა და დიდის, ბევრისა და ცოტას, წრისა და მართკუთხედის და მრავალი მსგავსი რამის განსხვავებას სწავლობენ.

გარემოში უამრავი რამ ხდება მათემატიკური აზროვნების გასავითარებლად. დრამატული თამაში და კონსტრუქციული თამაში, ასევე სამაგიდო თამაშები და მეცნიერების ცენტრები - **ამგვარი აზროვნების** ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებებია.

„რა ღირს კარტოფილი თქვენს მაღაზიაში? რამდენი პური უნდა იყიდოთ? რაზე დაჯდა კამათელი? რამდენი სვლაა გასაკეთებელი? რამდენი კეგლი წაიქცა? ვის რამდენი სროლა დარჩა? თუ სახლის აშენებისას გრძელი კუბური მჭირდება და არ მაქვს, იქნებ ორი მოკლე გამომადგეს, ე.ი. ორი მოკლე კუბური ერთი გრძელი კუბურის ტოლია? სახლის ასაშენებლად ოთხკუთხედი და სამკუთხედი ფორმები მჭირდება, თუ მართკუთხედი და მრგვალიც გამომადგება? ამ თხრილში წყალი რომ გავიყვანოთ, გრძელი მილები დაგვჭირდება, თუ მოკლე? როგორი უნდა იყოს მილის დახრა, წყალი ჩემს აშენებულ პატარა გუბურაში რომ ჩავასხა? ეს ბრტყელი ქვები ისე დევს, რომ რაღაც ცხოველს მაგონებს, მოდი, აქ ამ მოგრძო ქვას დავდებ, კუდი იქნება და ძაღლს დაემსგავსება.“ ამ მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ მათემატიკური აზროვნება მხოლოდ ათამდე ან ოცამდე დათვლით და ზოგიერთი ციფრის ცნობით არ შემოიფარგლება, მათემატიკური აზროვნება ბევრად უფრო მეტია და ბავშვებს მრავალფეროვანი გამოწვევები უნდა შევუქმნათ ამ ტიპის აზროვნების გასავითარებლად. **ცხადია, ყველა ეს შეკითხვა რაოდენობრივ აზროვნებასაც ავითარებს, სივრცითსაც, გეომეტრიულსაც, შემოქმედებითსაც და სამეცნიეროსაც.** უფროსებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ბავშვებს მრავალფეროვანი ასპარეზი შეუქმნან, რათა მათ ამგვარი კითხვების დასმისა და მათზე პასუხების მოძიების სურვილი გაუჩნდეთ.

2-3 წლის ბავშვებში მათემატიკური უნარების მხარდაჭერა მათი კვლევა-ძიებითი საქმიანობის პროცესშივე უნდა ხდებოდეს. ქვემოთ ჩამოთვლილია ამ ასაკისთვის სასარგებლო რამდენიმე სპეციფიკური მათემატიკური უნარი:

- *დათვლა*: თამაშისას ხმამაღლა დათვალეთ საგნები „ორი კუბური“, „სამი კოვზი“... ხელების დაბანისას წაახალისეთ ბავშვები, დათვალონ ხელის თითები, ან ფეხის თითები ფეხსაცმელების გამოცვლისას, დაითვალეთ კიბეების საფეხურები კიბეებზე ასვლისას და ჩამოსვლისას.
- *ძირითადი ფორმები*: წაახალისეთ ბავშვები, ამოიცნონ და დაასახელონ მათ სათამაშოებში ან გარემოში ნაპოვნი ძირითადი ფორმები: წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი. ჰკითხეთ ბავშვებს, რა ფორმისაა ორცხობილა, რომელსაც მიირთმევენ, როგორაა დაჭრილი ნამცხვარი სამკუთხედად თუ ოთხკუთხედად და ა.შ.
- *დახარისხება და კლასიფიკაცია*: დაეხმარეთ ბავშვებს, დაახარისხონ ნივთები - სათამაშოები, ტანსაცმელი ან საყოფაცხოვრებო ნივთები ფერის, ზომის ან ფორმის მიხედვით.
- *კანონზომიერებები*: ყურადღება მიაქცევინეთ ბავშვებს თანმიმდევრობებზე, მაგალითად, კუბურებით თამაშისას, „ნახე, როგორ დალაგდა -წითელი-ლურჯი-წითელი-ლურჯი) ან აღნიშნეთ: „მე ვხედავ თანმიმდევრობას შენს მაისურზე, ერთი პატარა ხაზი, ორი დიდი ხაზი, მერე ისევ - ერთი პატარა ხაზი და ორი დიდი ხაზი“.
- *სივრცითი ცნობიერება*: ითამაშეთ ბავშვებთან ერთად თამაშები, რომელიც ხელს უწყობს სივრცით ცნობიერებას: შენება კუბურებით, სხვადასხვა ფორმის კუბურების მორგება შესაბამის ყალიბზე, მარტივი ფაზლების აწყობა..
- *გაზომვა*: გამოიყენეთ ტერმინები, როგორიცაა “დიდი” და “პატარა”, “ცოტა” და “ბევრი” და მიეცით საშუალება, გადაასხან სითხე ერთი ჭურჭლიდან მეორეში და ა.შ.

გახსოვდეთ, რომ ეს პროცესი სასიამოვნო და სახალისო უნდა იყოს და ბუნებრივად ინტეგრირდეს მათ ყოველდღიურ გამოცდილებაში. იყავით მომთმენი, მიეცით საშუალება, გამოიკვლიონ და აღმოაჩინონ მათემატიკური კანონზომიერებები საკუთარი ტემპით, შენიშნეთ და აღნიშნეთ მათი წარმატებები.

განაგრძეთ მათემატიკური აზროვნების წახალისება **3-5 წლის ასაკშიც,** წაახალისეთ ბავშვები გაიღრმაონ უნარები, რომლებიც მათ რაოდენობრივი და სივრცითი ცნობიერების განვითარებაში დაეხმარება, ჩაუყრის საფუძვლებს გეომეტრიულ ცოდნას, კანონზომიერებების აღმოჩენაში დაეხმარება და გაზომვა-შედარებას ასწავლის.

- წაახალისეთ 3-4 წლის ასაკის ბავშვები, დათვალონ თითები, სათამაშოები, ნივთები მათ გარშემო.
- დაიწყეთ მიმატება-გამოკლების საბაზისო ცნებებზე ყურადღების გამახვილება ყოველდღიური აქტივობებისას, მაგალითად, „ბანანი რომ შუაზე გავჭრათ, რამდენი ნაჭერი მექნება“ ან „კიდევ - ორი ფანქარი რომ მოგცე,რამდენი გექნება“?

- დარწმუნდით, რომ 3-4 წლის ასაკის ბავშვები უკვე ცნობენ სამკუთხედს, წრეს, ოთხკუთხედს.
- 4-5 წლის ასაკში კი უკვე შეიძლება თავიანთი დათვლილი ციფრებს დაუკავშირონ. გამოიყენეთ ამისთვის რაოდენობებისა და ციფრების შემცველი ბარათები და სხვა სამაგიდო თამაშები, ციფრების შემცველი წიგნები. წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ქუჩის რომელ ნომერზეა მათი სახლი, ბაღი. რას აღნიშნავს ოთახებზე მიკრული ნომრები სხვადასხვა დაწესებულებებში?.
- დრამატული თამაშებისას გამოიყენეთ სათამაშო ფული, ივარჯიშეთ ხურდების ცნობაში და ისაუბრეთ, რისი ყიდვა შეიძლება მათი გამოყენებით.
- 4-5 წლის ასაკის ბავშვებთან კი უკვე შეგიძლიათ, გამოიკვლიოთ ექვსკუთხედი, რვაკუთხედი, ოვალი. ბავშვებთან თამაშისას გაამახვილეთ ყურადღება ფორმების მახასიათებლებზე, მაგალითად, რამდენი გვერდი აქვს, რამდენი კუთხე. ითამაშეთ ფორმების ამოცნობისა და დაკავშირების თამაშები.
- ხშირად წაახალისეთ ისეთი აქტივობები, სადაც ბავშვებს მოუწევთ საგნების სიგრძისა და სიდიდის შედარება, გაზომვა. გამოიყენეთ გასაზომად არასტანდარტული საშუალებები, მაგალითად, კუბურები ან ფანქრები ან სხვა რაიმე ნივთი.
- თუ ბავშვებს ყურადღებით აკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ისინი სივრცის აღმნიშვნელ ცნებებს უფრო ადრე ითვისებენ, ვიდრე დროის აღმნიშვნელ ცნებებს. დაეხმარეთ ბავშვებს დროის საბაზისო ცნებების დასწავლაში - დილა, შუადღე, საღამო, ღამე. გამოიყენეთ ტაიმერები და საათები დროზე მისანიშნებლად. შექმენით დღის განრიგის სურათებიანი ცხრილი.

5-6 წლის ასაკის ბავშვები სიამოვნებით იყენებენ მათემატიკურ ცოდნას სხვადასხვა პრობლემების გადაჭრისას, საინტერესო აქტივობებში (კონსტრუქციული, დრამატული, მეცნიერება) ინტეგრირებული მათემატიკური ცნობიერება მათ თამაშს მეტ გამოწვევას მატებს და უფრო საინტერესოს ხდის.

- ამ ასაკში შეიძლება ბავშვებმა უკვე ათეულების და ოცეულების თვლითაც იხალისონ
- პრაქტიკულად გაიგონ (მათივე "მომზადებული პიცის" დაჭრისას), რამდენია ნახევარი, მეოთხედი, მესამედი...
- დაეხმარეთ ამ ასაკის ბავშვებს, გაიფართოონ აზროვნება ფორმებისა და მათი მახასიათებლების შესახებ.
- გამოიკვლიეთ უფრო რთული ფორმები, შემოიტანეთ ისეთი ცნებები, როგორიცაა სიმეტრია.
- ჩართეთ ბავშვები აქტივობებში, რომლებიც მოიცავს გეომეტრიული ფორმების შექმნას და ამოცნობას.
- წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ სხვადასხვა ფორმისა და ზომის კონსტრუქციები, რაც დაეხმარება მათ სიმეტრიის, ბალანსისა და გეომეტრიის გაგებაში.

- წაახალისეთ ბავშვები, ამოიცნონ სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები გარემოში, დათვალონ მათი კუთხეების რაოდენობა, შეადარონ ერთმანეთს ორგანზომილებიანი, სამგანზომილებიანი და ოთხგანზომილებიანი ფიგურები.
- სამაგიდო თამაშები, როგორიცაა "დევების ციხესიმაგრე" ან "Uno" და სხვა ეხმარება ბავშვებს დათვლის, რიცხვების ამოცნობისა და შესაბამისი ნაბიჯების განსაზღვრაში.
- გააძლიერეთ დროის გაგება ელექტრო და ციფერბლატიანი საათების გამოყენებით. წარმოადგინეთ ცნებები, როგორიცაა საათი, წუთი და წამი.

გახსოვდეს, ყველა ეს აქტივობა უნდა იყოს ინტეგრირებული ყოველდღიურ თამაშსა და ქმედებებში, იყოს ასაკის შესაბამისი, პრაქტიკული და სახალისო. დააფასეთ ბავშვებში კვლევის სურვილი, ცნობისმოყვარეობა და მათემატიკური კანონზომიერებებით დაინტერესება. იყავით მგრძნობიარეები ბავშვის ინტერესებისა და ასევე დასწავლის სტილისა და ტემპის მიმართ. მიეცით მათ საშუალება, იყვნენ აქტიური მკვლევრები.

ცხრილი 15: დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

12. ქვემიზანი: პრობლემის გადაჭრა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
12.1. პრობლემის ამოცნობა და აღწერა	• ჟესტებით ან სიტყვებით მიუთითებენ პრობლემაზე („ვერ გავხსენი", „ჩავარდა")	• სიტყვიერად აფიქსირებენ პრობლემას („ვერ ავაწყვე", „აღარ ჯდება")	• ზუსტად აფასებენ პრობლემის არსს და წინაპირობას („ეს ნაწილი დიდია, არ ეტევა")
12.2. გამოსავლის ძიება და ცდა	• იმეორებენ ქმედებას ან ითხოვენ დახმარებას	• ცვლიან მიდგომას ან იყენებენ სხვა საშუალებებს (სხვაგვარად აწყობენ, ითხოვენ ინსტრუმენტს, ან დახმარებას) • ადარებენ ორ გამოსავალს და არჩევენ უკეთესს (ეს ჯობია, უფრო გრძელია)	• გეგმავენ მოქმედებებს • აანალიზებენ სხვადასხვა გამოსავლის ეფექტურობას
12.3. მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და ანალიზი	• ამჩნევენ მარტივ შედეგებს („გადავაგდე — დავარდა") • ამჩნევენ მხოლოდ აშკარა განსხვავებას (დიდი/პატარა)	• იწყებენ მიზეზის ძიებას („გადმოვარდა რადგან დიდია")	• ხსნიან მიზეზშედეგობრივ კავშირებს • წინასწარ განჭვრეტენ და განიხილავენ ვარიანტებს (არ დადგა გადმოვარდება)
12.4. რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნება პრობლემის გადაჭრაში	• იყენებენ მარტივ სივრცით ტერმინებს („შიგნით", „ზემოთ")	• ადარებენ ზომებს, ფორმებს ან რაოდენობებს პრობლემის გადაწყვეტისას	• ითვლიან, ადარებენ, იყენებენ სივრცით სტრატეგიებს და კანონზომიერებებს პრობლემის გადასაჭრელად

თავი 8. ინკლუზიური განათლება: დაინახე ბავშვი, დაეხმარე მას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება

ბავშვების ნებისმიერ ჯგუფში შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი ბავშვი არ მონაწილეობს თამაშებში, უჭირს თქვენს მიერ ინიციირებულ აქტივობებში ჩართვა, ნაკლებად შედის ინტერაქციაში თქვენთან თუ სხვა ბავშვებთან.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ:

- მათი კომუნიკაციური უნარები სხვა ბავშვებთან შედარებით ნაკლებ განვითარებულია, მათ აკლიათ თვითრწმენა ან შესაძლებლობა, მიიპყრონ თქვენი ყურადღება უფრო თვითდარწმუნებული და სოციალური ბავშვების გარემოცვაში.
- შესაძლებელია, თქვენ ვერ შეამჩნიეთ მათი მცდელობა, შემოსულიყვნენ თქვენთან კომუნიკაციაში.
- შესაძლოა, მათ კარგად არ ესმით, რას ეუბნებიან ენობრივი განვითარების შეფერხების გამო ან იმის გამო, რომ მათი მშობლიური ენა სხვაა.
- ფიზიკური ან მხედველობის სირთულეები.

სწორედ ესენი არიან ის ბავშვები, რომლებსაც თქვენი დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ. თქვენ უნდა დაეხმაროთ მათ ისწავლონ კომუნიკაცია და სოციალიზაცია დანარჩენ ბავშვებთან ერთად.

არსებობს მითი, რომ განვითარების სირთულეების მქონე ბავშვი განვითარებას თავისთავად შეძლებს, თუ ის საბავშვო ბაღში „ტიპური“ განვითარების ბავშვების გვერდით იქნება. სინამდვილეში:

- ბავშვები, რომლებსაც კომუნიკაციის სირთულეები აქვთ, ხშირად არიან უარყოფილები და იზოლირებულები;
- ტიპური განვითარების ბავშვი თითქმის არასდროს ირჩევს თამაშში პარტნიორად ენობრივი შეფერხების მქონე ბავშვს;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს ურჩევნიათ, ჯგუფში უფროსებთან იურთიერთონ, ვიდრე თავიანთ თანატოლებთან;
- თუ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი ჩართულია ბავშვების ჯგუფურ თამაშებში, მას, როგორც წესი, პასიური როლი აქვს, მაგალითად, „ჩვილია“- სახლობანას თამაშისას.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თავისთავად, უფროსების მხრიდან დახმარებისა და სპეციალური ჩარევის გარეშე, მხოლოდ ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები არ გვარდება.

დაინახე ბავშვი

ბავშვს რომ დავეხმაროთ, მას უნდა ვხედავდეთ. ბავშვის დანახვა მხოლოდ მისი პრობლემების დანახვას არ ნიშნავს. ხანდახან პრობლემების შემჩნევა ადვილია, ბავშვის დანახვა კი რთული, მაგალითად:

3.5 წლის ლაზარე შერეულ ასაკობრივ ჯგუფშია. ის მხოლოდ რამდენიმე საგნის ტრიალით, კაკუნით და ყურებით ერთობა, ხანდახან სათამაშოებს ძირს ყრის დროდადრო ოთახიდან გაქცევას ცდილობს. ვინც გადაეღობება, ყველას ხელს კრავს და ყვირის. მისი აღმზრდელი ნათია ლაზარეს აგრესიულ ბავშვად ახასიათებს და ფიქრობს, რომ ის უაზროდ იქცევა, როდესაც სათამაშოებს ატრიალებს და აკაკუნებს. ნათიას ლაზარეს ქცევა ძალიან ანერვიულებს, სულ ამაზე ფიქრობს, მისი გაღიზიანება და სტრესი სხვა ბავშვებზეც აირეკლება. ყველა დაძაბულია და არ იციან, როგორ მოიქცნენ.

ბავშვის დანახვა მის გულსა და გონებასთან დაკავშირებას ნიშნავს. განვიხილოთ იგივე მაგალითი სხვა აღმზრდელის პირობებში:

3.5 წლის ლაზარე შერეულ ასაკობრივ ჯგუფშია. ის მხოლოდ რამდენიმე საგნის ტრიალით და ყურებით ერთობა, ხანდახან სათამაშოებს ძირს ყრის დროდადრო ოთახიდან გაქცევას ცდილობს. ვინც გადაეღობება, ყველას ხელს კრავს და ყვირის. მისმა აღმზრდელმა მაკამ იცის, რომ ლაზარე თამაშის განვითარების ადრეულ სტადიაზეა (იხ. ცხრილი N 16). როდესაც ლაზარე სათამაშოს ან რაიმე ნივთს ატრიალებს და აკაკუნებს, ის ხედავს, რომ ეს უაზრო ქცევა კი არაა, არამედ ლაზარე ასე თამაშობს. მაკამ იცის, რომ ამგვარი თამაშის განვითარების შემდეგი ეტაპი საგნების სხვისთვის მიწოდება და საგნების დანიშნულების იმიტაციით სწავლაა. მაკა იმასაც ხედავს, რომ ლაზარე სათამაშოების დაყრასა და ოთახიდან გაქცევას მაშინ ცდილობს, როდესაც ხმაურის დონე ძალიან იმატებს და ის ზედმეტი სტიმულებისგან ძალიან გადაიღლება, ხოლო სიტუაციის გაურკვევლობისგან შფოთი უწევს, ამიტომ მაკამ მეორე აღმზრდელთან, ნინოსთან ერთად, დღე ისე დაგეგმა, რომ ლაზარე ამგვარ სიტუაციებს აარიდოს. მაკასა და ნინოს მაგალითზე ბავშვები თავს მშვიდად გრძნობენ, ჯგუფის ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიდის.

ცხრილი 16. თამაშის განვითარების ასაკობრივი მახასიათებლები

სოციალური სფერო	კოგნიტიური სფერო
• 2 წლამდე ბავშვები თანატოლებთან თამაშს **მარტო თამაშს** ამჯობინებენ, ცხადია, მცირე ხნით სიამოვნებით თამაშობენ მშობლებთან და სხვა უფროსებთან ერთადაც • 2–3 წლის ასაკში ისინი უფრო ერთმანეთის **პარალელურად თამაშობენ.** თუმცა ერთმანეთით ინტერესდებიან და ერთმანეთს აკვირდებიან. ხანდახან შეიძლება მიბაძონ ერთმანეთის ქცევებს ან გაიმეორონ ერთმანეთის ნათქვამი. იმიტაციისადმი ეს მიდრეკილება ასოციაციურ თამაშშიც ხშირია. • 3–4 წლის ბავშვები **ასოციაციურ თამაშებს** იწყებენ - ესაუბრებიან ერთმანეთს, ხანდახან სათამაშოებსაც ცვლიან. შესაძლოა, ხანმოკლე ალიანსიც შეკრან, როლების მინიჭებაც წამოიწყონ, პატარა სცენარიც გაათამაშონ • 4–6 წელი, **კოოპერაციული, თანამშრომლობითი თამაშის** წლებია, შეთანხმებული როლებით, წესებითა და საერთო მიზნებით	• **სენსორულ-ძიებითი თამაში:** ტაცება, დაჭერა, პირში ჩადება, გალოკვა, ქნევა, კაკუნი. ჩნდება 2-4 თვიდან, თამაშის ძირითად ფორმად ნარჩუნდება 8-9 თვემდე • **არაფუნქციური თამაში:** საგნების ერთად მოგროვება, ერთმანეთზე დარტყმა, მიწოლა, ჩალაგება-ამოლაგება, საგნების სხვისთვის მიწოდება და სხვისგან აღება. ჩნდება საშუალოდ 8 თვიდან, თამაშის ძირითად ფორმად ნარჩუნდება 12 თვემდე • **ფუნქციური:** სათამაშო მანქანის გაგორება, თოჯინას დაძინება, ფლომასტერით ჯღაბნა: ჩნდება საშუალოდ 10 თვიდან, თამაშის ძირითად ფორმად ნარჩუნდება 12-14 თვემდე • **სიმბოლური თამაში:** საგნების სხვა დანიშნულებით გამოყენება, წარმოსახვითი როლები, თოჯინას გახმოვანება და სხვა. ჩნდება საშუალოდ 14 თვიდან, იხვეწება, რთულდება და ნარჩუნდება 6-8 წლამდე

ბავშვის დანახვა ნიშნავს მისი მოციმციმე ან სევდიანი თვალების დანახვას, მისი დაძაბულობის ან სილაღის შემჩნევას. ბავშვის დანახვა ნიშნავს იმის გააზრებას, თუ ვისთან გრძნობს თავს კარგად და რატომ, რა ტიპის ურთიერთობები ამშვიდებს და რა ტიპის ურთიერთობები აშინებს, რა არის მისი გატაცება - თუნდაც ეს წრეზე ტრიალი ან მზის სხივების ყურება იყოს. ბავშვის დანახვა ნიშნავს მისი ინტერესებისა და მისწრაფებების შესწავლას და მისი საჭიროებების მიმართ მგრძნობელობას.

ბავშვის საჭიროებების მიმართ მგრძნობელობა მასზე დაკვირვებითა და მისი მოსმენით იწყება (მოსმენაში შედის მისი რეაქციების, ქცევისა და მინიშნებების შესწავლაც). თუ დაკვირვების კარგი უნარები გაქვთ, შეამჩნევთ, რომ:

- ზოგიერთი ბავშვისთვის დღის გარკვეული მონაკვეთია უფრო რთული და მას ამ დროს განმარტოება და დასვენება სჭირდება. ზოგიერთი საკუთარ თავს თავად შველის და

ასეთ დროს მაგიდის ქვეშ ან რაიმე სხვა დაცულ ადგილას იმალება, ზოგიერთს კი ჩვენ უნდა დავეხმაროთ და ვასწავლოთ, სად ჯობია მოისვენოს, როდესაც განრიდება სჭირდება. ამიტომ მყუდრო და დაცული სივრცეების ქონა ძალიან მნიშვნელოვანია.

- ზოგიერთი ბავშვისთვის „დასვენება“, ანუ გადატვირთვის შესაძლებლობა, შეიძლება გარეთ გასვლა და სირბილი იყოს. თუ ვხედავთ, რომ ბავშვისთვის ბალანსის აღსადგენად ეს აუცილებელია, თქვენი თანაშემწის ჩართულობით, დრო ისე გადაანაწილეთ, რომ ბავშვს ამის საშუალება მივცეთ.
- ზოგიერთი ბავშვი შესაძლებელია, კვების დაწყებამდე ან კვების დროს ღიზიანდებოდეს, ამის ფარული მიზეზი კი რომელიმე საკვების სუნის მიმართ მომეტებული მგრძნობელობა იყოს. დააკვირდით ბავშვს და თუ შეამჩნევთ, რომ მიზეზი ესაა, წინასწარ შეამზადეთ ბავშვი, ეცადეთ გააცნობიერებინოთ გაღიზიანების მიზეზი და გააგებინოთ, რომ მისი გესმით, გაახმოვანეთ, მის ნაცვლად: -„ფაფის სუნი არ მომწონს, გაღიზიანებული ვარ“.
- ზოგიერთი ბავშვი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ხმაურის ან შეხების მიმართ, ისინი ამას ვერ ამბობენ და როდესაც ძლიერი ხმაური აშინებთ ან ზედმეტი შეხების საფრთხეს გრძნობენ, პროტესტს უჩვეულო გზებით გამოხატავენ. იყავით ყურადღებიანი და დაეხმარეთ ბავშვებს, ისწავლონ თავის დამშვიდება ან დასახმარებლად მომართვა. _“ლუკა, ხმაური გაწუხებს? გინდა ყურსასმენები გაიკეთო“, ან -„მოდი, ჩემთან დადექი, არავინ დაგეჯახება“.

თუ დაკვირვების კარგი უნარები გაქვთ და ბავშვის განვითარების თავისებურებებიც კარგად გესმით, შეამჩნევთ, რომ:

- ზოგიერთი ბავშვი ტრანზიციებისას იმიტომ კი არ ჭირვეულობს, რომ ჯიუტია, არამედ იმიტომ, რომ ენობრივი გაგებისა და კონტექსტის გააზრების უნარები ჯერ კარგად არ ჩამოჰყალიბებია, ან ემოციების, იმპულსებისა და დაგეგმვის უნარების მოუმწიფებლობის გამო ერთი სიტუაციიდან მეორეში გადასვლა უძნელდება.
- ზოგიერთი ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩამოყალიბებულ რუტინებზე დამოკიდებულება, რადგან ყველანაირი ცვლილება მასში შფოთს იწვევს, ასე კი თავს უფრო დაცულად გრძნობს.
- ზოგიერთმა ბავშვმა სხვა ბავშვების ნაპოვნ ლოკოკინებს მიწიდან აღებული ფოთლები და ქვები იმიტომ კი არ დააყარა, რომ სხვების თამაშის ჩაშლა ან ლოკოკინების დაზიანება უნდოდა, არამედ იფიქრა, რომ ამ ფორმით მიიღებდა თამაშში მონაწილეობას და შესაძლოა მათი გამოკვებაც უნდოდა.

დაეხმარე ბავშვებს, განივითარონ თამაშის უნარები

თამაშის უნარების განვითარებაში დახმარება თავისთავად გულისხმობს კოგნიტიური სქემების, კონცენტრაციის, სოციალური, ემოციური, კომუნიკაციური და ენობრივი უნარების განვითარებას.

პატარა დიტო, რომელსაც აუტიზმის დიაგნოზი აქვს, ოთახის კუთხეში განმარტოებით თამაშობს, მას ხელში პირამიდის რგოლი უჭირავს და ატრიალებს. დანარჩენი ბავშვები ოთახის სხვადასხვა ცენტრებში არიან გადანაწილებულები, ზოგი სახლობანას თამაშობს, ზოგი კუ-

ბურების ცენტრშია დაკავებული, ზოგი კი ხატვით ერთობა. აღმზრდელი დიტოს აკვირდება, შემდეგ იქვე თაროზე მსგავს რგოლს პოულობს, მაგიდასთან, მის სიახლოვეს მშვიდად ცუცქდება, თუმცა არა ზედმეტად ახლოს, დიტო რომ არ დაფრთხეს და თავადაც იწყებს რგოლის ტრიალს, ისე, რომ დიტოს არც არაფერს ეუბნება და არც არაფერს სთხოვს. ცოტა ხანში დიტო აღმზრდელისკენ იწყებს ყურებას, აღმზრდელი მას უღიმის და ამბობს: -„რგოლს ვატრიალებთ, რა კარგია, რგოლს ვატრიალებთ“. დიტო რგოლის ტრიალს აგრძელებს და თან აღმზრდელს უსმენს, უცებ მას რგოლი უვარდება, აღმზრდელი სწრაფად აგორებს თავის რგოლს დიტოსკენ და ამბობს: -„გაგორდა“, შემდეგ დავარდნილ რგოლს იღებს და სახეზე მოლოდინი აწერია, დიტო აღმზრდელს უყურებს, იცინის და ხელებს ისე აქნევს, რომ აღმზრდელი ხვდება, ახლა მეორე რგოლის გაგორების დროა! დიტო კმაყოფილია და ცოტა ხანში ერთ რგოლს აღმზრდელისკენ აგორებს, ახლა ისევ აღმზრდელის ჯერია, რგოლი უკან დააბრუნოს: -„ჩემი ჯერია“ ამბობს ის და რგოლს დიტოსკენ აგორებს.

აღმზრდელის მიზანია, სანამ დიტოს სხვა ბავშვებთან ერთად სხვადასხვა რუტინულ აქტივობებში ჩართვას შეძლებს, მანამდე ბავშვს აჩვენოს, რომ სოციალური ინტერაქციები სასიამოვნოა და სახალისო თამაშს იწვევს.

აღმზრდელმა დიტოზე რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ უკვე იცის, რომ დღის გარკვეულ მონაკვეთებში ის განსაკუთრებით იღლება და განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, რომ თავი დაიმშვიდოს, ზედმეტი სტიმულებისგან დაისვენოს და ენერგია აღიდგინოს. ამ დროს დიტოს მაგიდის ქვეშ შეძრომა და განმარტოება ან აღმზრდელთან ახლოს მისვლა სიამოვნებს. აღმზრდელმა უკვე იცის, რომ ასეთ დროს დიტო კალთაში უნდა ჩაისვას და მხრებსა და მკლავებზე ხელი მოუსვას, რომ დიტო დაამშვიდოს.

ქეთის კი - პირიქით - ზედმეტი შეხება არ სიამოვნებს და ხმაურიც ძალიან აწუხებს ხოლმე. აღმზრდელი მისი ამ თავისებურებების მიმართ მგრძნობიარეა, არასოდეს ეხება მას ზედმეტად და როდესაც დანარჩენი ბავშვები ძალიან ახმაურდებიან, ქეთის მეორე აღმზრდელთან ერთად გვერდითა ოთახში ისტუმრებს, სადაც მათ წყნარად შეუძლიათ ფაზლების აწყობა ან რიცხვებით თამაში.

ირინას განვითარების გლობალური შეფერხება აქვს, მან იატაკიდან რბილი დათუნია ცალი ყურით აიღო და ყურს აკვირდება. აღმზრდელი ფრთხილად უჯდება ირინას გვერდით და ამბობს ,,ეს დათუნიას ყურია,''. ირინა ცოტა ხნით აღმზრდელს უყურებს, შემდეგ ისევ ყურს აკვირდება, სახესთან ახლოს მიაქვს და თითებით ათამაშებს. - „დათუნიას ყური გიჭირავს, - ამბობს აღმზრდელი - მას ორი ყური აქვს, ხედავ? - ის ნაზად სწევს მეორე ყურს. ირინა ამ მოქმედებას უყურებს, შემდეგ უბრუნდება იმ ყურს, რომელსაც აკვირდებოდა. წუთის შემდეგ აღმზრდელი ამბობს: ,,შეიძლება დათუნია დავიჭირო?'' და ხელებს წინ იშვერს. ირინა ჩერდება, შემდეგ სათამაშოს აწვდის. – “მადლობა”, - გახარებული ამბობს აღმზრდელი - ის სათამაშო დათუნიას მკერდთან ახლოს იჭერს და ამბობს, - “მე დათუნიას ვეხუტები”, - ის ახლა სათამაშოს ირინას აწვდის, - “გინდა, დათუნიას ჩაეხუტო”? ირინა სათამაშოსა და აღმზრდელს უყურებს, შემდეგ იღებს დათუნიას და სახესთან ახლოს იჭერს, ისევე, როგორც ეს აღმზრდელმა გააკეთა. – “ახლა შენ ეხუტები დათუნიას“ - ამბობს აღმზრდელი. ახლა ირინა აწვდის აღმზრდელს დათუნიას. მადლობა! - სიხარულით პასუხობს აღმზრდელი - ახლა ისევ ჩემი ჯერია, ხო?! მარტივი მონაცვლეობის თამაში გრძელდება *(ადაპტირებულია ჯუფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან “ ადრეული ასაკის ბავშვების თამაში.)*

დიტოსა და ირინასთან აღმზრდელის ეს მარტივი თამაში, რომელიც სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება, ძალიან მდიდარი ინტერაქციების შემცველია და ერთ დღეში არ აღმოცენებულა. აღმზრდელი დიტოსთან და ირინასთან გარკვეული ხნის განმავლობაში თამაშობდა, რათა მსგავსი სოციალური თამაშისთვის შეეწყო ხელი.

ცხრილი 17. თამაშის დროს ბავშვისა და უფროსის რამდენიმე მახასიათებელს აღწერს, რომელიც მხარს უჭერს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სოციალურ და ინტელექტუალურ განვითარებას (ადაპტირებულია ჯეფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან " ადრეული ასაკის ბავშვების თამაში.)

ცხრილი 17. თამაშისას ბავშვთან ურთიერთობის მახასაითებლები

ურთიერთობის მახასიათებლები	ურთიერთობის მაგალითები
ემოციური მგრძნობელობა	აღმზრდელი თავის ხმის ტონს, ემოციურ ინტენსივობასა და აქტივობის დონეს ფრთხილად არგებს ბავშვის ტონს, ინტენსივობასა და აქტივობის დონეს. უფროსების მსგავსი მგრძნობელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პოზიტიურ ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს (Steiner, Gengoux, Smith, & Chawarska, 2018).
მიყოლის უნარი	აღმზრდელი უფრო მეტად ბავშვის ქმედებებსა და ინტერესებს მიყვება და პასუხობს, ვიდრე თავად არის თამაშის ინიციატორი. ბავშვებისთვის თამაშში წამყვანის როლის მიცემა და მისი მიბაძვა და შემდეგ იმის გაფართოება, რასაც ბავშვი აკეთებს, თამაშს მრავალფეროვანს ხდის (Landa, 2018).
თამაშის საინტერესო მოქმედებები	აღმზრდელი თამაშის აქტივობებს ფრთხილად არჩევს იმის მიხედვით, თუ რა გააუმჯობესებს ბავშვის შემეცნებით ქცევასა და თამაშს. მაგალითად, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვს მოსწონს დათუნიას ყური, ის გადაწყვეტს, რომ ამ ინტერესზე დაფუძნებით მეორე ყურზე მიუთითოს და შემდეგ ჩახუტების მაგალითიც შესთავაზოს (Green et al., 2015).
ობიექტზე გაზიარებული ყურადღების დამყარება	აღმზრდელი სათამაშოს იყენებს, რათა ბავშვთან გაზიარებული ყურადღება დაამყაროს, წარუდგენს მას რბილ სათამაშოს და ასრულებს მოქმედებებს, რომელიც ბავშვის ინტერესს გამოიწვევს (Schertz, Odom, Baggett, & Sideris, 2013)

სიტყვიერი აღწერები, რათა თამაშის აქტივობები გაახმოვანო	აღმზრდელი მარტივი წინადადებებით აღწერს ქმედებებს, რათა ბავშვის ყურადღება თამაშის მიმდინარეობაზე გაამახვილოს და ენობრივ განვითარებასა და სოციალურ ინტერაქციებს შეუწყოს ხელი (Palacios, Rodriguez, & Mendez-Sanchez, 2018).

ცხადია, სპეციალური საჭიროების მქონე ყველა ბავშვს ამგვარი ინდივიდუალიზებული ყურადღება არ სჭირდება. ზოგიერთს თქვენი მხარდაჭერა იმაში სჭირდება, რომ სხვა ბავშვებთან თამაში და სოციალიზაცია შეძლონ. ამის საუკეთესო საშუალება კი მცირე, საშუალოდ, 4-ბავშვიანი, ჯგუფებია.

ზოგადად, მნიშვნელოვანია დღეს ისე გეგმავდეთ, რომ მცირეზომიან ჯგუფებთან 5-7-წუთიანი ინტერაქციის შესაძლებლობა დღეში რამდენჯერმე გქონდეთ. ეს შეიძლება იყოს: კითხვა მცირე ჯგუფში, ქვიშის მაგიდასთან თამაში, ხელების დაბანა, ძერწვა, სადილის მირთმევა და საუბარი, ნებისმიერი ტიპის თავისუფალი თამაში და სხვა. ამგვარ ჯგუფებში ყველაზე უკეთ შეძლებთ, დააკვირდეთ ყველას და აქტივობა ისე წარმართოთ, რომ ყველა ჩართოთ, მათი შესაძლებლობების ფარგლებში.

თუ ბავშვს აქვს ენობრივი განვითარების სირთულე, ან არის ჩაკეტილი და პასიური, მისთვის რთული იქნება, იყოს ძალიან სოციალური და კომუნიკაბელური ბავშვების ჯგუფში. მეორე მხრივ, მისთვის არც ისეთ ჯგუფში ყოფნა იქნება სასარგებლო, სადაც ბავშვები ძირითადად კომუნიკაციის პასიურ სტილს იყენებენ. კარგი მცირე ჯგუფი, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციური სტილის მქონე ბავშვებისგან შედგება. როდესაც კონკრეტული ბავშვის დასახმარებლად მცირე ჯგუფურ აქტივობას ვგეგმავთ, მნიშვნელოვანია ბავშვების ჯგუფი ჭკვიანურად შევარჩიოთ. დაფიქრდით, თქვენს ჯგუფში ვის რა კომუნიკაციური და სოციალური შესაძლებლობები აქვთ.

მაგალითად, თუ ფიქრობთ მცირე ჯგუფზე 3.5 წლის გოგონასთვის, რომელსაც ენობრივი განვითარების შეფერხება აქვს, უმჯობესია, მისი ჯგუფის წევრები იყვნენ ბავშვები, რომლებიც უკვე იყენებენ 3-4 სიტყვიან წინადადებებს, არ არიან ზედმეტად დომინანტური დიალოგისას და არიან კარგი სოციალური პარტნიორები.

ბავშვები, რომლებსაც აკლიათ თვითრწმენა ან ჩამორჩებიან განვითარებაში, უფრო უკეთ მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, რომლებშიც მთავარი პროცესია და არა შედეგი. მაგალითად, თუ 4 ბავშვს, კონკრეტული დავალების გარეშე, მისცემთ მშრალ წებოს, ფერად ქაღალდებს და ფერად ქვიშას, ისინი შექმნიან 4 განსხვავებულ ქმნილებას.

ცხადია, ბავშვებისათვის აქტივობების შეთავაზებისას, თუ ეს საჭიროა, ადაპტირება და დახმარებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. მაგალითად, თუ ამ აქტივობისას გიო და ლიზი დამოუკიდებლად იყენებენ წებოსა და მაკრატელს, აღმზრდელი მანოს, რომელსაც ცერებრული დამბლა აქვს, ადაპტირებულ მაკრატელს სთავაზობს და ფურცლის დაჭერაშიც ეხმარება. სანდრო კი მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ ფურცლებს ხევს და ერთად აგროვებს.

ხშირად ჩვენი სწორედ ეს გვევალება, რომ ბავშვებს ვაჩვენოთ, როგორ ითამაშონ, ვუთხრათ, კონკრეტულად როგორ უნდა მოიქცნენ, ან რა თქვან სხვებთან თამაშისას:

აღმზრდელს არ გამოეპარა, რომ დაუნის სინდრომის მქონე 4.5 წლის ბავშვი, ლიკა დრამატული ცენტრის ზღურბლზე დგას და თანატოლს, ნინას უყურებს, რომელიც თოჯინას არწევს და ელაპარაკება. აღმზრდელი ლიკას ეუბნება: ,,ლიკა, შენც გინდა, ბავშვს მოუარო? მოდი, აიღე ერთ-ერთი თოჯინა. ვითომ შენი შვილია'' - სთავაზობს იგი და ლიკას იმ თაროზე უთითებს, სადაც თოჯინები დევს. ბავშვი ერთ-ერთს ამოარჩევს და ცალი ფეხით უჭირავს. ,,ბავშვი მშიერია? მივცეთ ბოთლი?'' - ეკითხება აღმზრდელი. ლიკა თანხმობის ნიშნად თავს აქნევს. ,,კარგი, აი, ბოთლი. მოდი, გაჩვენო, როგორ უნდა აჭამო, უყურე.'' აღმზრდელი თოჯინას არწევს და სათამაშო ბოთლი თოჯინას პირთან მიაქვს. ,,ოჰ, ისეთი მშიერია. ახლა შენი ჯერია, ზუსტად ისე აჭამე, როგორც მე.'' ის ბოთლსა და თოჯინას ლიკას აწვდის. ლიკას ორივე სათამაშო ერთი წუთით უჭირავს, შემდეგ თოჯინას სახეზე აჭერს ბოთლს, არც ისე ახლოს პირთან. ,,აჭმევ!'' - უხარია აღმზრდელს - ,,მას ძალიან მოსწონს ეს.'' ლიკა ახლა ბოთლსა და თოჯინას აღმზრდელს უბრუნებს, თითქოს ეუბნება, ,,შენი ჯერია.'' აღმზრდელი ისევ აჭმევს თოჯინას, შემდეგ ორივე სათამაშოს ლიკას უბრუნებს. ლიკას თანატოლი, ნინა რომელიც მათ შორიდან უყურებდა, ახლა უახლოვდება მათ და ამბობს: ,,ლიკა, ჩემი თოჯინაც მშიერია.'' აღმზრდელი ენთუზიაზმით პასუხობს: ,,ლიკა, მოდი, აჩვენე ნინას, როგორ აჭამოს ბავშვს'' (ადაპტირებულია ჯეფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან " ადრეული ასაკის ბავშვების თამაში).

ხუთი წლის გიო, რომელსაც აუტიზმი აქვს, ზურგით დგას ორ თანატოლთან, რომლებიც საბავშვო ბაღის ოთახში მოწყობილ „სასურსათო მაღაზიაში თამაშობენ". გიოს ხელში სათამაშო პომიდორი უჭირავს და ატრიალებს. ის არ აქცევს ყურადღებას თავის თანატოლებს და არც ისინი აქცევენ ყურადღებას მას. აღმზრდელი მიდის ახლოს და ეუბნება: „გიო, იყიდე ეს პომიდორი სასურსათო მაღაზიაში. შეხედე, ნელი სალაროშია და შეგიძლია, მისგან იყიდო". გიო აღმზრდელს უყურებს, შემდეგ ისევ პომიდორს შეხედავს და აგრძელებს მის ტრიალს. აღმზრდელი ცდილობს სხვა მიდგომის გამოყენებას. "ნელი, მოდი, ვკითხოთ გიოს, სურს თუ არა ამ პომიდვრის ყიდვა?" "კარგი,"- ამბობს ნელი, რომელსაც რამეს გაყიდვა სურს. "გიო, გიო, მოდი აქ, იყიდე ეს პომიდორი", - იძახის ის. გიომ ახლა ნელის შეხედა და, როგორც ჩანს, გარკვეული ინტერესი გაუჩნდა და პლასტმასის პომიდორი მისკენ ააფრიალა. „გიო, აბა, უთხარი: ნელი, მე მინდა, ვიყიდო ეს პომიდორი. შეგიძლია ამის თქმა?" – „ამის ყიდვა მინდა, - ჩურჩულებს გიო და რამდენიმე ნაბიჯს დგამს ნელისკენ. "კარგი, გიო", - ამბობს ნელი,- "დღეს ეს წითელი პომიდორი იყიდება." "მე მინდა, ვიყიდო ეს პომიდორი," იმეორებს გიო. "და მწვანე ლობიოს ყიდვაც გინდა?", - ეკითხება ნელი,- "ლობიოც იქ არის, მაგრამ ნამდვილი არ არის, უბრალოდ პლასტიკურია". გიო პოულობს რამდენიმე სათამაშო ლობიოს. "ეს ეღირება 4 ლარი" - ამბობს ნელი. აღმზრდელი კვლავ ეხმარება გიოს: „ვითომ ფულს აძლევ, აი, ასე (ამ ქმედების იმიტაციას ახდენს) და შემდეგ უთხარი: „აი, შენი ფული". გიო ჰბაძავს აღმზრდელს და ნელი მას ეუბნება: "გმადლობთ, გიო და კიდევ მობრძანდით, რაც შეიძლება მალე" (ადაპტირებულია ჯეფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან " ადრეული ასაკის ბავშვების თამაში).

ხანდახან მნიშვნელოვანია, უბრალოდ დასხდეთ სპეციალური საჭიროების ბავშვების გვერდით და მათ თამაშში ჩართვაში დაეხმაროთ:

სამი 6 წლის ბავშვი სამაგიდო თამაშის სათამაშოდ ემზადება. მანანა, რომელსაც ინტელექტუალური დარღვევა აქვს, მაგიდასთან მჯდომ ბიჭებს შორის ერევა, აიღებს ერთ-ერთ სათამაშო ფიგურას და სიცილით იწყებს მის მოძრაობას დაფის გასწვრივ. „არა, მანანა გაჩერდი! ეს ჩემია", - წამოიძახებს ერთ-ერთი მოთამაშე და მანანას ხელიდან ართმევს სათამაშო ფიგურას. "მე ვიცი თამაში, - ამბობს გაბრაზებული მანანა. ის ცდილობს, დაიბრუნოს სათამაშო ფიგურა, შემდეგ - მისგან მოშორებით მდებარე, მეორე ფიგურას იღებს. აღმზრდელი, რომელიც უყურებს ამ ინტერაქციას, ბიჭებს მიმართავს: "მანანას, უბრალოდ, თქვენთან თამაში სურს." შემდეგ მანანას ეხმარება: „შეგიძლია, სხვა ფიგურა აიღო, ესენი უკვე აირჩიეს ბიჭებმა," შემდეგ კი მაგალითს აძლევს და ამბობს: „მე ვიქნები მწვანე ფიგურა". მანანა იღებს მწვანე ფიგურას, რომელიც ჯერ კიდევ სათამაშო ყუთშია და ამბობს: „ნახე, მე მაქვს მწვანე." "მოდი, მე და შენ ერთად ვითამაშოთ", - სთავაზობს აღმზრდელი. "დავდოთ ჩვენი მწვანე ფიგურა საწყის უჯრაზე? ის მიუთითებს სათამაშო დაფაზე არსებულ სივრცეზე. სხვა ბავშვები, როგორც ჩანს, მიესალმებიან მანანასთან ერთად თამაშს, როცა აღმზრდელიც მათთან ერთად თამაშობს. "კარგი, მანანა შენი ჯერია", - ამბობს ერთი ბავშვი, - "ხედავ? ჩვენ წინ ვართ, თქვენ უნდა დაგვეწიოთ" (ადაპტირებულია ჯეფრი ტრევიკ-სმიტის (2023) წიგნიდან " ადრეული ასაკის ბავშვების თამაში.)

ინკლუზიური განათლების პროცესის ამსახველი ვიდეო-მაგალითი იხ. აქ

უნივერსალური დიზაინის პრინციპი - რაც სასარგებლოა ერთისთვის, სასარგებლოა სხვებისთვისაც

უნივერსალური დიზაინის პრინციპი ეფუძნება დაშვებას, რომ რაც სასარგებლოა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის, სარგებლის მომტანია სხვებისთვისაც. მაგ ალითად:

- პანდუსს იყენებს როგორც ეტლით მოსარგებლე ადამიანი, ასევე ურიკით, გორგოლაჭებიანი ჩემოდნით მოსარგებლე ადამიანიც და ისიც, ვინც საბავშვო ეტლს ატარებს.
- გრძელსახელურიანი ჰორიზონტალური კარის სახელური სასარგებლოა ცერებრული დამბლის მქონე ადამიანებისთვის, მაგრამ მას კარგად იყენებენ ისინიც, ვისაც ორივე ხელში რამე უჭირავს და ისინიც, ვისაც ხელის დასვრა არ უნდა.

- სიმბოლური მინიშნებები უფრო ადვილად გასაგებია მათთვის, ვინც კითხვა არ იცის და მათთვისაც, ვინც ის კონკრეტული ენა არ იცის, რა ენაზეც მინიშნების ნაცვლად წარწერა შეიძლება იყოს გაკეთებული.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, როგორ გავხადოთ ერთი კონკრეტული ბავშვისთვის დაგეგმილი სტრატეგიები, სხვა ბავშვებისთვისაც სასარგებლო:

- დალიმ და თეამ შეამჩნიეს, რომ დიდ ჯგუფში კითხვისას რამდენიმე ბავშვი არასდროს ისმენდა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ კითხვა ყოველდღიური რუტინის ნაწილად ექციათ მცირე ჯგუფებშიც.მხოლოდ, მოსასმენ ამბებთან ერთად, ყურადღება წიგნების დათვალიერებასა და დიალოგზეც გაემახვილებინათ. ეს პროცესი დროში ისე გადაინაწილეს, რომ მცირე ჯგუფებში კითხვა მაქსიმალურად ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ცოტა ხანში შენიშნეს, რომ წიგნის კითხვა არა მხოლოდ იმ სამი ბავშვისთვის გახდა უფრო საინტერესო და მიმზიდველი, არამედ - ყველა დანარჩენი ბავშვისთვისაც.
- დღის განმავლობაში მაკა აღმზრდელი ხშირად რთავდა საბავშვო სიმღერებს. ფიქრობდა, რომ ბავშვები ასე უფრო მხიარულად იქნებოდნენ. მაკა აღმზრდელის ჯგუფში სმენის დარღვევის მქონე ბავშვია - დიტო. ბავშვის დედამ და სპეციპედაგოგმა მაკას აუხსნეს, რომ დიტოსთვის ზედმეტი ფონური ხმების შემცირება იქნებოდა უმჯობესი, რადგან მას სხვების ნათქვამი უკეთ გაეგო; ასევე სთხოვეს, რომ როდესაც რაიმეს ხსნიდა ან ბავშვებს ინსტრუქციას აძლევდა, უფრო მკაფიო და მოკლე წინადადებებით ესაუბრა, ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა აეხსნა და უფრო მეტი ვიზუალური ბარათები გამოეყენებინა. ახლა მაკა აღმზრდელი მუსიკას მხოლოდ მაშინ რთავს, როდესაც ბავშვებს ცეკვა უნდათ. მისდა გასაოცრად, მან შეამჩნია, რომ ბავშვები თითქოს უფრო დამშვიდდნენ, თამაშსა და აქტივობებზე უფრო კონცენტრირებულები გახდნენ. ინსტრუქციებიც უკეთ ესმით და ბევრი ახალი სიტყვა ისწავლეს.
- წლის დასაწყისში ეკამ გაიგო, რომ მის ჯგუფში მცირედმხედველი ბავშვი, ნია მოვიდოდა. ეკამ და ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგმა მარიკამ ბაღის გარემოს, ოთახებს, ეზოს და გასასვლელებს ნიას პერსპექტივით დაუწყეს ყურება და გარემოში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანეს. კიდევ ერთხელ შეაფასეს, რამდენად ორგანიზებულად და ბავშვის სიმაღლეზეა მასალები განთავსებული. ეს ნიას დაეხმარება, ადვილად დაიმახსოვროს, სად რა დევს და საჭიროების შემთხვევაში, **დამოუკიდებლად აიღოს.** ცენტრები **კონტრასტული საზღვრებით** გამოყვეს და იატაკზე კონტრასტული ფერის ლენტები დააწებეს. ფოსფორის ფერის ნაფეხურებით ოთახში შემოსასვლელი და ტუალეტში გასასვლელი მიმანიშნებელი ბილიკებიც გააკეთეს. **ცენტრის მინიშნებებზე სხვადასხვა ფაქტურის მასალა დააწებეს,** რომ ნიას ხელის შეხებითაც აღექვა განსხვავებები. მალე ეკამ აღმოაჩინა, რომ უკეთ მოწყობილმა გარემომ ყველა ბავშვი უფრო ორგანიზებული გახადა

ურთიერთობები სხვა ბავშვებთან

2-3 წლის ასაკში ბავშვებმა შესაძლოა შენიშნონ გარკვეული განსხვავებები, მაგალითად, თუ ბავშვი ეტლში ზის, მაგრამ ამასთან დაკავშირებით კითხვებს არ სვამენ, რადგან ეს მათთვის რაიმე მნიშვნელობის მატარებელი განსხვავება არ არის.

3-4 წლის ასაკში ბავშვები იწყებენ სხვადასხვაგვარი განსხვავებების შემჩნევას, მაგალითად,როდესაც ბავშვი არ საუბრობს ან განსხვავებულად თამაშობს. მათ, შესაძლოა, დასვან მარტივი, ცნობისმოყვარე შეკითხვები” - “რატომ აკეთებს ასე?”.

5-6 წლის ბავშვებისთვის სამართლიანობა, წესები, ჯგუფური დინამიკა უფრო გასაგები და მნიშვნელოვანი ხდება და ისინიც უფრო მგრძნობიარეები ხდებიან განსხვავებულობის მიმართ. ისინი უფრო მეტად არჩევენ თანატოლს, რომელსაც დახმარება სჭირდება ან აქტივობებში განსხვავებულად მონაწილეობს.

ნებისმიერ ასაკში მათი დამოკიდებულებებისა და ქცევის ჩამოყალიბების მთავარი მოდელი თქვენ ხართ, მათ თქვენგან უნდა ისწავლონ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან დამოკიდებულება და მოპყრობა, მათი მაგალითი თქვენ ხართ.

ადრეული წლებიდანვე შეაჩვიეთ ბავშვები იმას, რომ განსხვავებულობაც და შეზღუდული შესაძლებლობებიც ბუნებრივი ცხოვრების ნაწილია. იქონიეთ წიგნები და სათამაშოები, რომელიც ამ თემებს ასახავს.

უპასუხეთ ბავშვების შეკითხვებს მარტივად და გულწრფელად: მაგალითად: “ზოგიერთი ადამიანი გადასაადგილებლად ფეხებს იყენებს ,ზოგი კი - ეტლს”; ანდა “ზოგიერთი ადამიანი სიტყვების ნაცვლად ბარათებით ლაპარაკობს” და ა.შ.

უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვები (4 წლიდან) ჩართეთ გადაწყვეტილებების მიღებაში. მაგალითად, კითხეთ, მათი აზრით, როდის გრძნობს მათი სპეციალური საჭიროების მქონე თანაჯგუფელი თავს უკეთ და როდის არის ის მომენტები, როდესაც აღელვებულია? შემდეგ კი ჰკითხეთ, მათი აზრით, რისი გაკეთებაა შეიძლება, რომ მათმა თანატოლმა თავი უფრო ჩართულად იგრძნოს, ჩაიწერეთ ბავშვების პასუხები და იდეები. თქვენ აღმოაჩენთ, რომ მათ ძალიან ბევრი რამის დანახვა და თქმა შეუძლიათ. ამგვარი ქცევით თქვენ არა მხოლოდ ინკლუზიურ გარემოს ჩამოყალიბებას უწყობთ ხელს, არამედ ეხმარებით ბავშვებს დაკვირვებისა და გაანალიზების, აზრის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის უნარებში, ამაღლებთ მათ თვითრწმენას, რადგან აჩვენებთ, რომ მათი აზრი თქვენთვის მნიშვნელოვანია. ეხმარებით ბავშვებს, გახდნენ უფრო პასუხისმგებლიანები და ემპათიურები.

ზემოთ განვიხილეთ, როგორ მოამზადა ეკამ ფიზიკური გარემო მცირემხედველი გოგონას, ნიას, დასახვედრად. ახლა ვნახოთ, როგორ შეამზადა თანატოლები.

ნიას მოსვლამდე, მშობლებთან შეთანხმებით, ეკა აღმზრდელი ბავშვებს ნიას სპეციფიკურ საჭიროებებზე ესაუბრა. აუხსნა, რომ მათ ახალ მეგობარს მხედველობის სირთულეები აქვს და საგნებს და მის გარშემო მყოფ ნივთებს, ადამიანებს მათსავით მკაფიოდ ვერ ხედავს. ამიტომ, სათამაშო ახლოს მიაქვს და ისე ათვალიერებს. მცირე მხედველობის სიმულაციისთვის, ეკამ მოხალისე ბავშვებს თვალები გამჭვირვალე ნაჭრით აუხვია და სთხოვა, მოეთხროთ, რა სირთულეებს და წინააღმდეგობებს შეხვდნენ გადაადგილებისა და თამაშისას. შემდეგ სთხოვა, დაფიქრებულიყვნენ და ემსჯელათ, როგორ დაეხმარებოდნენ ნიას. სხვადასხვა აზრის მოსმენის შემდეგ შეჯერდნენ, რომ:

- ნივთები და სათამაშოები ერთსა და იმავე კონტეინერში და ადგილას შეინახონ, რომ ნიამ ადვილად დაისწავლოს, რომელი ნივთი სად ინახება და მიაგნოს.

- ცენტრებამდე მისასვლელი ყოველთვის მოწესრიგებული და თავისუფალი უნდა იყოს. ძირს არ ეყაროს სათამაშოები, გარდა იმ დასაშვები ადგილებისა (მაგალითად, ხალიჩაზე კონსტრუქციული აქტივობებისას), რის შესახებაც ნია გაფრთხილებული იქნება.
- ეცადონ, ხმაურის დონე აკონტროლონ, რომ ნიას შესაძლებლობა მიეცეს, ხმოვანი სიგნალები კარგად აღიქვას.
- და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვები გააცნობენ ბაღის საქმიანობებს და სხვადასხვა თამაშებში ჩართავენ. თამაშისას უხსნიან და ესაუბრებიან, რას აკეთებენ, რას ხედავენ *(ადაპტირებულია წიგნიდან: „ადრეული ინკლუზიური განათლება“).*

თავი 9. სტრატეგიებისა და აქტივობების მაგალითები



ამ თავში, კურიკულუმის მიზნების მიხედვით, მოცემულია სამაგალითო სტრატეგიებისა და აქტივობების მოკლე ნუსხა, რომელიც განვითარების შესაბამისად, მარტივიდან რთულისკენ არის დალაგებული.

სტრატეგიები არის უფროსის კონკრეტული, გამიზნული ქმედებები, რომლებიც გარკვეულ მიზანს, კერძოდ კი ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება.

სტრატეგიები გამოიყენება ნებისმიერ კონტექსტში, ბავშვების მიერ ინიციირებული, ან უფროსის მიერ დაგეგმილი თამაშებისას, რუტინული საქმიანობების დროს, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. კურიკულუმის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია, აღმზრდელს მრავალფეროვანი სტრატეგიების მარაგი ჰქონდეს, რომელსაც საჭიროებისამებრ, მიზნის შესაბამისად გამოიყენებს.

მრავალფეროვანი სტრატეგიების მაგალითებია: ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, ბავშვების საუბარში ჩართვა, დიალოგისა და საუბრისთვის სტიმულის მიცემა, ფიქრის ხელშეწყობა, უკუკავშირის მიცემა, წახალისება, ახსნა, გამხნევება, მაგალითის მიცემა, კითხვების დასმა, მდიდარი ლექსიკის გამოყენება, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა, საგანმანათლებლო პროცესის ყველა ბავშვზე მორგება, რთული და, ამავე დროს, მიღწევადი მიზნების მიღწევაში ბავშვებისთვის დახმარების გაწევა და ა.შ..

აღმზრდელი მრავალფეროვან სტრატეგიებს კომბინირებულად უნდა იყენებდეს, ბავშვების სწავლის სტილის, განვითარების ტემპისა და მრავალფეროვანი საჭიროებების შესაბამისად.

როდესაც აღმზრდელი სტრატეგიებს კურიკულუმის მიზნებისა და ბავშვების განვითარების მახასიათებლების მიხედვით არჩევს, ის რჩება ბავშვის განვითარების უახლეს ზონაში და ასაკისა და განვითარების შესაბამის გამიზნულ პრაქტიკას ნერგავს, რაც ამ კურიკულუმის მნიშვნელოვანი ამოცანაა.

სტრატეგიების მიზნებთან, ასაკთან და განვითარებად უნარებთან შესაბამისობა დეტალურადაა მოცემული მე-7 და მე-8 თავებში. ამ თავების წაკითხვის გარეშე, ქვემოთ მოცემული რჩევების მექანიკურად გამოყენება არ არის რეკომენდებული.

ჯგუფის ერთობის აქტივობები და სტრატეგიები

მიზანი - ურთიერთობები

ქვემიზანი - სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია:

- გახდით ბავშვის სანდო პარტნიორი, ხელი შეუწყვეთ თქვენდამი უსაფრთხო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას, ამისათვის: წაახალისეთ და დააფასეთ მისი ყოველი ძალისხმევა და აღმოჩენა, აღწერეთ, გაახმოვანეთ მისი ქმედებები, დაამშვიდეთ, როდესაც ეს საჭიროა, გაიზიარეთ ერთად კეთების სიამოვნება, აქტიურად გამოიყენეთ სხეულისა და ჟესტების ენა, გამოიყენეთ დალოდებისა და აქტიური მოსმენის ტექნიკები, იყავით ბავშვის სიმაღლეზე მათთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის დროს, დააკვირდით ბავშვის კომუნიკაციისა და ურთიერთობის ყველა მცდელობას, დააკვირდით და უპასუხეთ ბავშვის არავერბალურ მინიშნებებს - ჟესტებს, სხეულის ენას. როგორ ცდილობს, უსიტყვოდ გაგაგებინოთ.
- გამოიყენეთ პრინციპი - „ერთით მეტი“ - კომუნიკაციის დროს.
- შეუსაბამეთ მეტყველება ბავშვის ენობრივ განვითარების დონეს. დაფიქრდით, ვისთან დასვათ ღია კითხვა, ნაწილობრივ ღია, ან დახურული.
- ასწავლეთ ძირითადი სოციალური უნარები: საბაზისო სოციალური სიტყვები, თხოვება, გაზიარება, თანამშრომლობა, ბევრი ითამაშეთ მათთან ერთად წყვილებში, ან მცირე ჯგუფებში, სადაც რიგის დაცვით გააგორებენ ბურთს, მანქანას, მიეცით მათ თამაშის დროს დახმარებისა და გაზიარების ბევრი მაგალითი. შეამჩნიეთ და აღნიშნეთ ბავშვების მხრიდან გაზიარებისა და თანამშრომლობის ყველა მაგალითი, ასწავლეთ თამაშში მონაწილეობის თხოვნის მისაღები ფორმები, „შეიძლება“ და „მადლობის“ გამოყენება, ასწავლეთ დახმარების თხოვნა. ხშირად მიეცით მაგალითი, გამოიყენეთ დახმარების თხოვნის ფრაზები, მოთხრობის წაკითხვისას, ამბების მოყოლისას შეჩერდით და დასვით კითხვა: „რა გააკეთა გმირმა, როდესაც დახმარება სჭირდებოდა?“ დროდადრო ხელოვნურად შექმენით სიტუაციები, ბავშვს დახმარების თხოვნა რომ მოუწიოს.
- ასწავლეთ განმარტების თხოვნა. ამის მაგალითი მიეცით თავად: „ვერ გავიგე, რა მითხრა ნანიკომ, მოდი, ერთად ვკითხოთ.“

- მოირგეთ თარჯიმნის როლი. დაეხმარეთ ბავშვებს, გაიგონ ერთმანეთის ნათქვამი და ქმედება.
- შეახსენეთ ბავშვებს, რომ დააკვირდნენ და გაიგონ სოციალური მინიშნებები (სახის გამომეტყველება, სხეულის პოზა, ხმის ტონი).
- წაახალისეთ საუბარი თემებზე: „რა გვაქცევს კარგ მეგობრებად“, „როგორ ჩავრთოთ სხვები თამაშში“.
- პატარა ასაკის ბავშვებს ასწავლეთ, დაელოდონ ერთმანეთის საუბრის დასრულებას, უფროსი ასაკის ბავშვებს აუხსენით, რატომაა ეს მნიშვნელოვანი.
- უფროსი ასაკის ბავშვებთან ისაუბრეთ თანამშრომლობაზე, სამართლიანობასა და თანაგრძნობაზე. ამისთვის გამოიყენეთ ბუნებრივად წარმოქმნილი სიტუაციები, დაიფასეთ თანამშრომლობა, დააფიქრეთ: „სამართლიანი ხომ არ არის...?“ აჩვენეთ თანაგრძნობის მაგალითი.
- უფროსი ასაკის ბავშვებთან წაახალისეთ მოლაპარაკების და დაყოლიების სტრატეგიების გამოყენება/დაუფლება. ამისათვის შეიმჩნიეთ და უპასუხეთ ბავშვების ირიბ მოთხოვნებს, განმარტეთ, რას გულისხმობს იგი ამით.
- პატარა ასაკის ბავშვებს ვასწავლით წესების დაცვას, ხშირად ვახსენებთ წესებს, უფროსი ასაკის ბავშვებს ვრთავთ წესების შემუშავებაში.
- ვახალისებთ უფროსი ასაკის ბავშვებს, არგუმენტირებულად იმსჯელონ თამაშის წესებზე შეთანხმებისას.

ქვემიზანი - სოციალური თამაში

დაეხმარეთ, ბავშვები გადავიდნენ სოციალური თამაშის შემდეგ ეტაპებზე.

- წაახალისეთ, დაინტერესდნენ ერთმანეთის თამაშით: „ნახე, ნიკო კოშკს აშენებს, მოდი, ეს კუბიკი მივაწოდოთ.“
- წამოიწყეთ სოციალური თამაში მცირე ჯგუფში: „ნახე, ისიც აძინებს ბავშვს, მოდი, ვკითხოთ, რა ჰქვია.“
- ბავშვებს, რომლებიც მხოლოდ პარალელურად თამაშობენ, ნელ-ნელა ასოციაციური თამაშისკენ უნდა უბიძგოთ;
- ბავშვებში, რომლებიც უკვე ურთიერთობენ ერთმანეთთან თამაშისას (ასოციაციური თამაში), წაახალისეთ იმიტაციური თამაში, რომ ერთმანეთს მიბაძონ.
- წაახალისეთ მარტივი სცენარების და როლების გათამაშება.
- წაახალისეთ ბავშვებში საერთო მიზანზე ზრუნვა თამაშისას.
- დაეხმარეთ მათ, გაინაწილონ როლები.
- დაეხმარეთ შედარებით მორცხვ ან ნაკლები საკომუნიკაციო უნარების მქონე ბავშვს, ჩაერთოს თამაშში, დაეხმარეთ მის მეგობრებს, ისწავლონ მეგობრის ჩართვა.
- წაახალისეთ წესებიანი თამაშებისას მოგებისა და წაგების წესებზე შეთანხმება.
- თამაშისას წაახალისეთ შეთანხმება, დათმობა, განაწილება.

აქტივობები სოციალური ურთიერთობის და სოციალური თამაშის ხელშეწყობად

შენიშვნა: ქვემოთ მოცემული სამაგალითო აქტივობების გარდა, ნებისმიერი, თქვენ მიერ თუ ბავშვის მიერ, ინიციირებული თამაში მეგობრობისა და სოციალური ურთიერთობების ხელშეწყობისა და სწავლისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ.

- გამეცანი - ჩართეთ მარტივ აქტივობებში, რაც დაეხმარება ბავშვებს, დაისწავლონ ერთმანეთის სახელები ან მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ. წრეში დამსხდარ ბავშვებს სათითაოდ გადაუგდეთ ბურთი და დაუსვით სხვადასხვა კითხვა: ,,რა გქვია?", ,,და გყავს?",,რა თამაში გიყვარს?" ,,რომელია შენი საყვარელი ფერი?"
- ვესალმებით - ბავშვებისთვის ნაცნობ, რომელიმე სიმღერას შეუცვალეთ სიტყვები, მაგალითად:,,ვესალმებით ...-ს" და თითოეულ ბავშვზე იმღერეთ.
- თავაზიანი სიტყვები - მაგალითი მიეცით, ასწავლეთ და წაახალისეთ თავაზიანი სიტყვები და ფრაზები: ,,ინებე", ,,მადლობა" და ა.შ. მოიფიქრეთ სხვადასხვა სახალისო აქტივობები. მაგალითად, ხელოვნების ცენტრში მყარი ქაღალდისგან დაამზადეთ ნაყინის კონუსები, რომელშიც რბილ ბურთს ჩადებთ (იხ. ნიმუში). წრეში მდგომმა ბავშვებმა კონუსების გამოყენებით ერთმანეთს ფრთხილად უნდა გადააწოდონ ,,ნაყინის ბურთი". წაახალისეთ, გამოიყენონ სიტყვები ,,ინებე", ,,მადლობა". ეს არა მარტო თავაზიან სიტყვებს, არამედ სხეულის კონტროლსაც ასწავლის.
- სოციალური სცენარების გათამაშება თოჯინებით -მოიფიქრეთ ტიპური სიტუაციები მისაღები სოციალური ქცევის სწავლებისთვის, მაგალითად, ,,ელენემ ხელი ისე გაწია, რომ შემთხვევით კოტეს ნახატი გაუფუჭა. კოტეს ძალიან დაწყდა გული. რა უნდა უთხრას ელენემ კოტეს? უკაცრავად, შემთხვევით მომივიდა, არ მინდოდა შენი ნახატის გაფუჭება".
- წყვილში მოძრაობა - ერთმანეთის პირისპირ სხედან წყვილები. მუსიკაზე რიტმულად აყოლებენ ჩაკიდებულ ხელებს. ეს მოძრაობა შეიძლება იყოს მატარებლის ბორბლების იმიტაცია, ან ხელიხელ ჩაკიდებულების წინ და უკან რწევა. ასევე, შეიძლება ერთმანეთზე მიბჯენილი ტერფებით ფეხების სინქრონული მოძრაობა - ერთი ხრის, მეორე შლის. მოძრაობები ბავშვების ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების შესაბამისად მოიფიქრეთ. აქტივობის მთავარი ამოცანაა წყვილების სინქრონული მოძრაობა, რისთვისაც ბავშვმა მეწყვილეს მოძრაობა უნდა გაითვალისწინოს და აჰყვეს მას. ეს აქტივობა ასევე ეხმარებათ საკუთარი სხეულის შესწავლასა და მოძრაობების რეგულირებაში.
- გამოიცანი, ვინ გეძახის - ბავშვები წრეში დგანან და მოძრაობენ. თვალდახუჭული ბავშვი დგას შუაში. წრეში მოსიარულე ბავშვებიდან ერთ-ერთი მის სახელს ამბობს. თვალდახუჭულმა ბავშვმა უნდა გამოიცნოს, ვინ დაუძახა.
- პარაშუტი - გაშალეთ პარაშუტი, ბავშვებმა ჩაჭიდონ ხელი ბოლოებში, მოათავსეთ მსუბუქი ბურთი პარაშუტზე. ბავშვებმა ბურთი ისე უნდა ახტუნაონ, რომ არ გადმოვარდეს. ეს აქტივობა ჯგუფის შეთანხმებულ მოძრაობას საჭიროებს. შეგიძლიათ აქტივობის გამარტივება ან გართულება ბავშვების შესაძლებლობების მიხედვით. უფრო პატარა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ ,,ტალღების" გაკეთება, ან მოძრაობის ტემპის ცვლა მუსიკის

რიტმის შესაბამისად. ასევე, შეგიძლიათ მცირე ჯგუფებად დაყოთ ბავშვები, რომელთაც სხვადასხვა ხილის სახელი ერქმევა. ბრძანებაზე - ,,ვაშლები", ,,ვაშლები" ხელს უშვებენ პარაშუტს და შიგნით შედიან, ბრძანებაზე - ,,მსხლები", ვაშლები ხელს კიდებენ პარაშუტს და მათ ადგილს ,,მსხლები" იკავებენ. ბრძანებაზე -,,ხილის სალათა", ყველა ბავშვი ხელს უშვებს მაღლა აფრიალებულ პარაშუტს და მის ქვეშ დგება.

- ჯგუფის სიმღერა - მოიფიქრეთ ჯგუფის სიმღერა, რომელსაც ჯგუფის შეკრებისას იმღერებთ.
- აქტივობები ჯგუფის წესებზე - გამოიყენეთ სხვადასხვა საშუალებები წესების დასასწავლად. ამისათვის, შეიძლება, მცირე ჯგუფური აქტივობების ორგანიზება დაგჭირდეთ: დისკუსია, როლური თამაში, თოჯინებით გათამაშება, წიგნები, სიმღერები წესებზე.
  - ✓ დაასახელეთ წესი და სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ.
  - ✓ დაასახელეთ წესი და სთხოვეთ ბავშვებს, შეარჩიონ ვიზუალური სიმბოლოები ამ წესებისთვის.
  - ✓ ჩართეთ ბავშვები,, წესების პოსტერის" გაფორმებაში.
  - ✓ გამოიცანი, რა წესს ვასახიერებ. გაითამაშოს უფროსმა ან ბავშვმა და სხვები მიხვდნენ, რა წესია ეს.
  - ✓ წიგნის კითხვისას ჰკითხეთ ბავშვებს, იცავს თუ არა პერსონაჟი წესს, თუ - არა, რა წესი უნდა დაიცვას.
- ჩვენ ვამჩნევთ მეგობრულ ქცევას - შეიმუშავეთ სასარგებლო და მისაღები ქცევის აღნიშვნის გზები, რომ ბავშვებმა ამ ქცევებს მიაქციონ ყურადღება. მაგალითად, შექმენით დახმარების ქილა. ქილაში მოათავსეთ იმ ბავშვების სახელებიანი ბარათები, ვინც სხვას დაეხმარება. ასევე მათიც, ვინც სხვის ქცევას აღნიშნავს და გაუხარდება სხვისი წარმატება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა ქილა შეივსება, იზეიმეთ მეგობრობა. შენიშვნა: იფიქრეთ იმაზე, რომ აქტივობამ არ მიიღოს შეჯიბრების ფორმა. მნიშვნელოვანია არა ის, თუ ვინ რამდენ ბარათს ჩაყრის, არამედ თითოეულის მისაღები ქცევის დაფიქსირება. ეს ჯგუფის საერთო ზეიმი უნდა იყოს. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვები, დროთა განმავლობაში, ნაკლებად უნდა იყვნენ ჯილდოზე დამოკიდებული და უფრო მეტად შინაგანი მოტივაციით მოქმედებდნენ.
- წავიკითხოთ მეგობრობაზე - შეარჩიეთ და წაუკითხეთ წიგნები, რომლებიც ურთიერთობებზეა - მეგობრობა, დახმარება. ისაუბრეთ გმირების ქცევაზე, გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, წიგნი „რუ - მგრგვინავი დინოზავრი".
- შევქმნათ რამე მეგობრობაზე - შექმენით წიგნები მეგობრობაზე, ჯგუფის მრავალფეროვან გამოცდილებაზე, ბავშვების ერთად თამაშზე. მაგალითად, წიგნი ბავშვების ოჯახების შესახებ, ან წიგნები, სადაც დოკუმენტურად არის ასახული ექსკურსიები ან ჯგუფის სპეციალური სტუმრები, წიგნი საყვარელ მოთხრობებზე.
- მეგობრობის პოსტერი - დაამზადეთ სხვადასხვა ვიზუალური მასალა, რაც კიდევ ერთხელ დააფიქრებს ბავშვებს მეგობრობასა და მეგობართან მოქცევის წესებზე. მაგალითად, ,,მეგობრობის პოსტერი" ან ,,მეგობრობის რეცეპტი", სადაც ნაჩვენები იქნება ერთმანეთის პატივისცემა, თავაზიანობა, ღიმილი, ლოიალობა, გაზიარება,

გუნდურობა, გართობა. შეგიძლიათ, ერთი შეხედვით თემატურად დაუკავშირებელი აქტივობებიც კი მეგობრობის თემას მიუძღვნათ და კიდევ ერთხელ ჩართოთ ბავშვები გუნდურ საქმიანობაში, მაგალითად გამოაცხოთ ნამცხვარი.

- კომპლიმენტების წრე - წრიულად დამსხდარ ბავშვებს შესთავაზეთ, ერთმანეთს კომპლიმენტები უთხრან. ამით ისწავლიან, როგორ უთხრან და როგორ მიიღონ თავად კომპლიმენტები. მიეცით ბავშვებს მაგალითი და აიყოლიეთ ისინი. წაახალისეთ ბავშვები, აღნიშნონ ერთმანეთის თვისებები. დასაწყისში, ან პატარა ასაკის ბავშვებთან, შეიძლება დავიწყოთ გარეგნული ნიშნებით. მაგალითად, ,,მომწონს შენი მაისური", ან ,,კარგად იცინი". თანდათან დაეხმარეთ, დაინახონ და აღნიშნონ ერთმანეთის თვისებები, მაგალითად:,,შენ კარგი თამაში იცი, მომწონს შენთან ერთად ხატვა", ,,გუშინ შევნიშნე, როგორ დაეხმარე ანას, ეს ნამდვილი მეგობრობაა".
- რა სურს მეგობარს - მეგობრისთვის სხვადასხვა ზომის კაცუნების გაფორმება ცომებით ან სხვადასხვა მასალით (იხ. ნიმუში). ამ მიზნის მიღწევაში ხელოვნების სხვადასხვა აქტივობა დაგეხმარებათ. ბავშვებმა მეგობრისთვის ნივთები უნდა დაამზადონ. ამისათვის, ბავშვმა უნდა ჰკითხოს მეგობარს, როგორი ნივთი უნდა, რომ გამოვიდეს, მაგალითად, რა ზომის, რითი უნდა გაფორმდეს. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთის ნამუშევრები აღწერონ.
- ერთი სიმართლე, ერთი სიცრუე - ბავშვი თავის თავზე ერთ სიმართლეს და ერთ ტყუილს ამბობს ისე, რომ დანარჩენებმა იფიქრონ და გამოიცნონ, რომელია ტყუილი. მაგალითად, ,,მე შემიძლია ხატვა. მე შემიძლია ფრენა". გართულება: უფროსი ასაკის ბავშვებთან შეიძლება მტკიცებათა რაოდენობა გაიზარდოს - ორი სიმართლე და ერთი ტყუილი. ეს აქტივობა დაეხმარება ბავშვებს, მეტი გაიგონ მეგობრის შესახებ, ასევე დაფიქრდნენ თავის თავზე, ინტერესებზე, კომპეტენციებსა და მახასიათებლებზე.

მიზანი - ცნობიერება

ქვემიზანი - თვითცნობიერება:

- დააკვირდით, რას გრძნობენ ბავშვები. სახელი დაარქვით ბავშვის განცდებსა და ემოციებს.
- ყურადღებით მოუსმინეთ მათ.
- დაეხმარეთ ემოციების აღქმაში - აღწერეთ საკუთარი ემოციები და განცდები
- ასწავლეთ ბავშვებს ემოციების გამომხატველი ახალი სიტყვები. ამისათვის, გამოიყენეთ ბარათები, ნახატები.
- დააფასეთ მათი დამოუკიდებელი მცდელობები და ნაბიჯები და მიეცით დამოუკიდებელი არჩევანის საშუალება.
- წაახალისეთ ბავშვის მცდელობები და არა იმდენად შედეგი, „ვხედავ, როგორ ცდილობ თავსატეხის აწყობას."
- შეამჩნიეთ და აღნიშნეთ ყველა პოზიტიური ქცევა.
- პატარა ასაკის ბავშვებთან არჩევანის გასაკეთებლად შესთავაზეთ მკაფიო და შეზღუდული შეთავაზებები.

- დაეხმარეთ ბავშვებს ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში, გაიცნონ საკუთარი თავი, შესაძლებლობები და კომპეტენციები.
- ესაუბრეთ იმაზე, თუ რა ახარებთ ან აბრაზებთ მათ.
- კითხვისას და ამბების მოყოლისას ყურადღება გაამახვილეთ პერსონაჟების საბაზისო ემოციებზე.
- დაეხმარეთ გაიგონ, რომ მრავალფეროვანი გრძნობები ბუნებრივია და მათი მართვა შესაძლებელი.
- წაახალისეთ, ერთმანეთს გაუზიარონ რას გრძნობენ, დაასახელონ ემოციები.
- ერიდეთ ფავორიტიზმს.
- ერიდეთ კრიტიკული ენის გამოყენებას.
- მიეცით თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის მაგალითი.
- მოექეცით თითოეულ მათგანს პატივისცემით.
- ყოველთვის შეამჩნიეთ და გაახმოვანეთ მათი ემოციები და აუხსენით, რომ სირცხვილის, სიამაყის, ან გაურკვევლობის გრძნობა ნორმალურია.
- მიეცით შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი აზრები, გრძნობები და შეხედულებები.
- შექმენით უსაფრთხო გარემო შეცდომებისთვის.

ქვემიზანი სოციალური ცნობიერება

- ხშირად გაახმოვანეთ ის, რაც მათ გარშემო ხდება, რას გრნძობენ სხვები, რას აკეთებენ.
- გაახმოვანეთ თქვენი ფიქრები, მოტივები.
- მარტივი ენით აღწერეთ, რა არის მათი ან სხვების ამა თუ იმ ემოციის მიზეზი.
- უმცროსი ასაკის ბავშვებში განამტკიცეთ საბაზისო სოციალური ნორმების ცოდნა - მისალმება, დამშვიდობება, ზრდილობიანად თხოვნა, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა.
- უფროსი ასაკის ბავშვებს ესაუბრეთ, რატომ არის სასარგებლო და სასიამოვნო სოციალური ნორმების დაცვა.
- ასწავლეთ ბავშვებს სხვისი პერსპექტივის დანახვა სხვა ბავშვების, პერსონაჟების ემოციების, განზრახვების, მოტივების გახმოვანებით.
- წიგნის კითხვისას, ამბების მოყოლისას, როლური თამაშებისას, წაახალისეთ ისინი, წარმოიდგინონ საკუთარი თავი სხვის ადგილას გარკვეულ სიტუაციაში და თქვან, რას იგრძნობდნენ.
- უფროსი ასაკის ბავშვებს დაეხმარეთ, გაიაზრონ, რას შეიძლება გრძნობდეს გარიყული ბავშვი.
- ასწავლეთ ბავშვებს განსხვავებების დანახვა და პატივისცემა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო განსხვავებებისაც კი, მაგ. სხვადასხვა ინტერესები, ფიზიკური მახასიათებლები, გემოვნება, გამოცდილება.

- აღნიშნეთ სხვადასხვა კულტურებისთვის დამახასიათებელი დღესასწაული.
- თუ ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვი გყავთ, ესაუბრეთ ბავშვებს მის ინტერესებსა და საჭიროებებზე, 4 წლიდან ასაკის ბავშვები დაიხმარეთ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.
- კითხეთ ბავშვებს, თუ როგორ შეიძლება მათი სიტყვები ან ქმედებები მოქმედებდეს თანატოლებზე დადებითად ან უარყოფითად.
- დაეხმარეთ სხვისი პერსპექტივის გააზრებაში: ისაუბრეთ ისეთ თემებზე, თუ რას შეიძლება გრძნობდეს მათი თანატოლი, რომელიც გარიყეს, არ ათამაშებენ ან სათამაშოებს არ უზიარებენ. –"შენ როგორ იგრძნობდი თავს, თუ ეს შენ დაგემართებოდა?"
- დაიხმარეთ მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟები თანაგრძნობის თემებზე სასაუბროდ.
- ყოველთვის შეამჩნიეთ და დააფასეთ მათი პოზიტიური ქცევები, როგორიცაა გაზიარება, თანაგრძნობისა და ზრუნვის გამოხატვა.

აქტივობები თვითცნობიერებისა და სოციალური ცნობიერების ხელშესაწყობად

- ემოციები სარკეში - მცირე ჯგუფებში მიეცით პატარა ხელის სარკეები. წაუკითხეთ მოთხრობა, სადაც ბევრი ემოციების გამომხატველი სიტყვაა. ბავშვები იღებენ შესაბამის გამომეტყველებას, თან სარკეში იყურებიან. შემდეგ ერთმანეთს აჩვენებენ.
- ემოციების ბარათები - დაამზადეთ ემოციების წყვილი ბარათები. ეს ბარათები სხვადასხვა სამაგიდო თამაშებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ. უმცროსი ასაკის ბავშვებმა შეიძლება, ბარათები დააწყვილონ. სთხოვეთ ბავშვს, იპოვოს ორი ერთნაირი გამომეტყველების ბარათი და დაასახელოს. გაახმოვანეთ ემოციები, ისაუბრეთ, რა სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს მსგავსი ემოცია. უფროსი ასაკის ბავშვებთან ითამაშეთ მემო (იხ. ნახატი).
- სახეების ცვლილება- ეს აქტივობა მცირე ჯგუფებში შესთავაზეთ. დახატეთ ქაღალდის თეფშებზე სახეები, პირისა და წარბების ნაცვლად, გამოიყენეთ დრეკადი ფუმფულა მავთულები, რომ ბავშვებმა ემოციების შესაბამისად შეძლონ პირის და წარბის მოძრაობა. სთხოვეთ ბავშვებს, წარბების და პირის მოძრაობით სხვადასხვა ემოცია წარმოადგინონ: გაბრაზება, იმედგაცრუება, მოწყენილობა, შიში, გაოცება. ბავშვებს შეუძლიათ სახის დანარჩენი ნაწილის გაფერადება. ამის შემდეგ წაუკითხეთ მოთხრობა, გაჩერდით გადამწყვეტ მომენტებში და სთხოვეთ ბავშვებს, აჩვენონ ემოციები ქაღალდის თეფშზე.
- ემოციები ცომით - სთხოვეთ ბავშვებს, სახის კონტურზე ცომით ნაკვთები გააკეთონ და სხვადასხვა ემოციები გამოსახონ (იხ. ნახატი). გადაუღეთ ფოტოები მათ ნამუშევრებს. ასაუბრეთ ამ ემოციებზე.
- დაამზადეთ ემოციების სკალა- ეს შეიძლება ერთი ემოციის ინტენსივობას ეხებოდეს, ან - სხვადასხვა ემოციებს. იხილეთ ნიმუში. სასწავლო დაფაზე შეგიძლიათ, გამოაკრათ სკალა და სიტუაციის შესაბამისად გამოიყენოთ ემოციებზე სასაუბროდ, კომუნიკაციისთვის: ,,მაჩვენე, რა იგრძენი".

- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ემოციების ნიღბები - გამოიყენეთ ნიღბები წიგნის კითხვის დროს. ამოარჩიონ ის ნიღაბი, რასაც გმირი განიცდის. (იხ. ნახატი)
- ემოციების ფოტოები - სახეების ლამინირებული ფოტოები სხვადასხვა ემოციებით. ბარათის ჩვენებისას ბავშვები ასახელებენ ემოციებს. დასაწყისში დაკვირვების დრო აქვთ, მერე ტემპს უჩქარებ, რომ უფრო სახალისო იყოს. ვარიაცია: აჩვენეთ ემოცია და ისაუბრეთ ემოციებზე.
- სოციალური სცენარები ემოციებზე - ყვები სხვადასხვა სიტუაციებს და ბავშვებს სთხოვ, ამოირჩიონ ის ემოცია, რასაც ამ სიტუაციაში იგრძნობდნენ.
- ემოციების სათვალეები - დაამზადეთ სხვადასხვა ემოციების სათვალეები (იხ. ნიმუში, ზემოთ აწერია და ახატია შესაბამისი ემოცია). ბავშვები ყუთიდან მორიგეობით იღებენ სათვალეს და ცდილობენ, შესაბამისი ემოცია განასახიერონ, სხეულის პოზა მიიღონ, იმსჯელონ. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რას ხედავს და ფიქრობს ადამიანი ემოციის შესაბამისად.
- ემოციების კამათელი - დაფარეთ დიდი კამათელი (მუყაოს ყუთი) თეთრი ქაღალდით და თითოეულ წახნაგს დაახატეთ სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახეები. ბავშვები ისვრიან კამათელს, ასახელებენ ემოციას და აღწერენ მას. სახეები შეგიძლიათ ცვალოთ ბავშვების ასაკისა და ცოდნის მიხედვით. შეცვალეთ ახალი ემოციებით მას შემდეგ, რაც ძველს დაისწავლიან.
- ქუდის ჩამოტარება - დაჭერით სურათები, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახე, ჩაყარეთ ქუდში ან ყუთში, რომელსაც მუსიკის თანხლებით წრეზე ჩამოატარებთ. როცა მუსიკა შეწყდება, ბავშვი ქუდს ხელში დაიჭერს, ამოიღებს ერთ-ერთ ბარათს და აღწერს ემოციას. შემდეგ ბავშვები იხსენებენ დროს, როცა მსგავს განწყობაზე იყვნენ.
- ვეძებ ემოციებს - განათავსეთ ფოტოები ან ნახატები ემოციების გამომხატველი სახეებით ოთახის სხვადასხვა ადგილას (ასევე, შენობის გარშემო, თუ შესაძლებელია). ბავშვები ეძებენ სხვადასხვა სახეს. როცა იპოვიან, ჰყვებიან იმ დროის შესახებ, როცა ამ განწყობაზე იყვნენ.
- ემოციების სპინერი (იხ. ნიმუში) - დაამზადეთ ემოციების სპინერი. მცირე ჯგუფებში შესთავაზეთ ბავშვებს. დაატრიალეთ ისარი, რომელ ემოციაზეც ისარი გაჩერდება, ბავშვმა ის ემოცია უნდა განასახიეროს.
- ემოციების პოსტერი - დიდ ფორმატზე დააწებეთ ან დახატეთ სხვადასხვა ემოციები და მიაწერეთ სიტყვებიც. გააკარით თვალსაჩინო ადგილას და ემოციების გაცნობისთვის გამოიყენეთ.
- ემოციების გამოცნობა - მცირე ჯგუფებში შესათავაზებლად დაამზადეთ გვირგვინები ან სპეციალური სარჭები, რომელზეც დააფიქსირებთ ემოციების ბარათს (იხ. ნიმუში). ბავშვები ვერ ხედავენ, რა ემოციის აღმნიშვნელი ბარათი აქვთ შუბლზე დამაგრებული. სხვები მინიშნებებით ცდილობენ, აღწერონ და მიახვედრონ, რა ემოციაა ბარათზე გამოსახული. მინიშნებები შეიძლება იყოს სახის გამომეტყველების აღწერა, ან სიტუაციის აღწერა, რომლის დროსაც ბავშვი ამ ემოციას გრძნობს. აქტივობის მარტივი ვერსიაა, როდესაც ბავშვები სახის გამომეტყველებით ცდილობენ, მიახვედრონ დანა-

რჩენებს, თუ რა ემოციაა ეს. ასევე ხდება, როდესაც მარტივად ამოსაცნობი ემოციებია გამოსახული. აქტივობა რთულდება, როდესაც ბავშვებმა უნდა აღწერონ სიტუაციები ან რთულად ამოსაცნობი ემოციებია გამოყენებული.

- ჩემი მოლაპარაკე სხეული - ამ აქტივობის დროს მნიშვნელოვანია, ბავშვები დაფიქრდნენ, რა შეგრძნებები უჩნდებათ განსხვავებული ემოციებისა და ემოციების განსხვავებული სიძლიერის დროს. ამით მათ უნდა ისწავლონ თავიანთი ემოციების და სხეულის ენის წაკითხვა. მაგალითად, რას მეუბნება ჩემი სხეული: ,,რას ვფიქრობ; როგორია სახის გამომეტყველება (წარბები შეჭმუხნილი, მობრეცილი ტუჩი); სხეულის პოზა (მუშტები მოჭიმული, კუნთები დაჭიმული, ფეხები გასაქცევად მზად); რას ვგრძნობ შიგნიდან (გულისცემა გახშირებული, მუცელში მოჭერის შეგრძნება), რას ვგრძნობ გარედან (ხელის გულები და ფეხის ტერფები ოფლიანი).“ დაამზადეთ სხეულის დიდი კონტური და ისაუბრეთ, რა ხდება სხეულის სხვადასხვა ნაწილში - სხვადასხვა ემოციის დროს.
- ქვების ამბავი - შესთავაზეთ ბავშვებს, ბრტყელ ქვებზე დახატონ სხვადასხვა ემოციის შესაბამისი სახის ნაკვთები: თვალი, პირი. ცხვირი, წარბი. ააწყონ ბავშვებმა სხვადასხვა ემოციები (იხ. ნახატი). გადაუღეთ ფოტოები
- ვის ეკუთვნის - ყუთში ჩაყარეთ ნივთები. ამოიღეთ თითი-თითო და ამსჯელეთ ბავშვები, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ნივთი. ისაუბრეთ, რატომ ფიქრობენ ასე.
- გამოიცანი, ვინ რას ფიქრობს - ბარათებზე გამოსახულია სხვადასხვა პერსონაჟი. შეგიძლიათ გამოიყენოთ დასურათებული წიგნიც. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, რომელი პერსონაჟი შეიძლება ამბობდეს ამას: ,,ძალიან საყვარელი ხარ“, ,,მიყვარს დედის ჩახუტება“, ,,უკვე დაღამდა”. ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ ფიქრობენ ასე? როგორ მიხვდნენ?
- სოციალური სცენარების გათამაშება ხელის თოჯინებით. მოიფიქრეთ ტიპური ამბები და სცენარები ემოციების სწავლებისთვის. მაგალითად, ,,სათამაშო არ მათხოვა, მეწყინა“, ,,მეგობარმა სათამაშოდ დამიძახა, გამიხარდა“. მეტი თვალსაჩინოებისთვის, შეგიძლიათ, ბავშვებს ემოციების ბარათები შესთავაზოთ, საიდანაც შესაბამისი ემოციის გამომსახველ ნახატს ამოარჩევენ.
- რას განიცდის და ფიქრობს წიგნის გმირი - საბავშვო წიგნები საუკეთესო საშუალებაა ემოციების შესასწავლად. ბევრ წიგნში მკაფიოდ არის აღწერილი გმირის განცდები და შეიცავს ემოციების გამომხატველ უამრავ სიტყვას. წიგნის კითხვისას ყურადღება გაამახვილეთ გმირების ემოციებზე. ღია კითხვების საშუალებით ალაპარაკეთ ბავშვები საკუთარ ემოციებზე: ,,როდის იგრძენით იგივე?“ ან ,,შენ რომ მის ნაცვლად ყოფილიყავი, რას იგრძნობდი?“ ასევე, ისაუბრეთ გმირების ფიქრებსა და განზრახვებზე - რას ფიქრობენ, რატომ იქცევიან ასე. რით მიხვდით: ,,შევამჩნიე ... (დეტალურად აღწერეთ არავერბალური მინიშნებები)“. კითხვისას გმირზე შემდეგნაირად ისაუბრეთ: ,,... გამო ვფიქრობ, რომ ის განიცდის (დაასახელეთ ემოცია)“. ახლა ვეცდები, იგივე სახის გამომეტყველება მივიღო და სხეულით იგივე გავაკეთო“ (არავერბალური მინიშნებები). კითხვისას: ,,მგონი (გმირი) გრძნობს (ემოცია). ვიცი, რადგან (აღწერე არავერბალური მინიშნება)“. ,,როგორ ფიქრობ, რას გრძნობს ....? საიდან იცი ეს?“. ,,მაინტერესებს, რას გრძნობს (გმირი). როგორ შეგვიძლია მივახვედროთ სხვა? აბა, მიიღე იგივე გამომეტყველება და პოზა“.

მიზანი - რეგულაცია

ქვემიზანი - თვითრეგულაცია

- აღნიშნეთ და დააფასეთ, როდესაც ბავშვი ითმენს და საკუთარ რიგს ელოდება.
- ასწავლეთ ბავშვებს რიგის დაცვა და დალოდება.
- ლოდინის პერიოდში დაასაქმეთ მარტივი თამაშით.
- მიეცით მოთმინებისა და თავშეკავების მაგალითი, -„მშია, მაგრამ დაველოდები, სანამ ყველა გადაიღებს.“
- შეიმუშავეთ მკაფიო და მყარი წესები; წესი პოზიტიურად უნდა იყოს ფორმულირებული.
- იმპულსის კონტროლისათვის შესთავაზეთ მოძრავი თამაშები, სადაც მათ ტემპისა და მიმართულების შეცვლა უწევთ.
- განაგრძეთ ემოციების გაცნობიერებაში დახმარება.
- ასწავლეთ ბავშვებს ღრმად სუნთქვა თავის დასამშვიდებლად (4 თვლაზე ჩასუნთქვა, 7 თვალზე ამოსუნთქვა).
- ასწავლეთ ბავშვებს „კუს ტექნიკა“ და წაახალისეთ, გამოიყენონ საჭიროების მიხედვით.
- აღნიშნეთ, თუ დაინახავთ, რომ თავის დამშვიდების ტექნიკებს იყენებენ.
- შეაჩვიეთ გადავადებული სიამოვნების გააზრებას: -„ჩვენ შეგვიძლია, ეზოში ახლავე გავიდეთ, მაგრამ თუ ჯერ ოთახის დალაგებაში დამეხმარებით, შემდეგ ეზოში ყოფნას უფრო დიდხანს შევძლებთ“.
- მიეცით მაგალითი იმისა, თუ როგორ ინარჩუნებთ სიმშვიდეს იმედგაცრუების დროს.
- ხშირად შეახსენეთ ბავშვებს, რომ საუბრისას უნდა დაელოდონ თავის რიგს და დააცადონ მეგობარს საუბარი.
- წაახალისეთ ბავშვები, იფიქრონ გამოსავალზე პრობლემების დროს, იმპულსურად მოქმედების ნაცვლად.
- დაეხმარეთ ბავშვებს, დაფიქრდნენ სტრატეგიებზე ძლიერი ემოციების სამართავად „იმედგაცრუებული ხარ. მოდი, ღრმად ჩავისუნთქოთ და თავიდან ვცადოთ, ან დახმარება ვითხოვოთ.“.
- დაეხმარეთ გაივარჯიშონ მოთმინების უნარები: „ვიცი, რომ გიხარია, მაგრამ უნდა დაველოდოთ შენს ჯერს. მოდი, ათამდე დავთვალოთ, სანამ ველოდებით.
- დაეხმარეთ ბავშვებს, დაფიქრდნენ და დაგეგმონ აქტივობები
  - ✓ დილით მოსულ ბავშვებს ჰკითხეთ, რისი გაკეთება უნდათ. მზად იყავით რჩევების მისაცემად. ამავე დროს, მიეცით შანსი, თავად შეადგინონ გეგმა.
  - ✓ სთხოვეთ ბავშვებს, დაფიქრდნენ, რა ნივთები სჭირდებათ თამაშისთვის. მაგალითად, თუ ბავშვი იტყვის, რომ სენსორულ მაგიდასთან, ქვიშაში თამაში უნდა,

დაუსვით ისეთი კითხვები, რაც დაგეგმვაში დაეხმარება: „რა გინდა გამოიყენო? შეძლებ, თვითონ აიღო?"

- ✓ მაგალითი მიეცით და გაახმოვანეთ, როგორ გეგმავთ. მაგალითად, როცა ხელოვნების პროექტისთვის მასალას ამზადებთ, ხმამაღლა აღნიშნეთ: „ამ მაგიდასთან სამი ბავშვის ადგილია, უნდა ავიღო სამი სამუშაო ხალათი, სამი ფუნჯი და სამი სახატავი ჭიქა." „მინდა, კუბურებისგან ციხესიმაგრე ავაშენო. ამისთვის, ჯერ მყარი საძირკველი უნდა გავაკეთო."
- ✓ თამაშის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს, გაიხსენონ გეგმა და გაიაზრონ, როგორ შეასრულეს. მაგალითად, როგორ შევღებეთ ჩვენი ფიგურები, დავსვარეთ ტანსაცმელი? როგორი გამოვიდა შენობა? რა მასალა გამოვიყენეთ? რომელი მასალით გაგვიჭირდა კონსტრუქციის აგება, რომლით იყო ადვილი? როგორ გადაჭერით პრობლემა? და ა.შ.
- ✓ ექსკურსიების დაგეგმვისას დაეხმარეთ ბავშვებს, იფიქრონ ყველაფერზე: რას ნახავენ, რისი გაკეთება მოუწევთ. დასრულებისას, ისევ განიხილეთ, როგორ იყო ეს ყველაფერი. დაფიქრდნენ, რას ელოდნენ და რა მოხდა განსხვავებული.
- ✓ თამაშის დაწყების წინ ჰკითხეთ ბავშვებს, რა აქვთ ჩაფიქრებული. მაგალითად, „გაქვს რამე იდეა, რა უნდა ააშენო, რა უნდა დახატო, გამოძერწო."
- ✓ ბავშვებთან საუბარი იმის შესახებ, რა მოხდება ხვალ, ეხმარება მათ ფიქრში. შეეცადეთ, გაზარდოთ მათი ცნობისმოყვარეობა, დააინტერესეთ და სთხოვეთ, თვითონაც მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებაში. „ხვალ შევღებავთ ჩვენს ხის ფიგურებს. ნიკა, რომელი ფერით გინდა, შენი ფიგურა შეღებო? რა უნდა გავაკეთოთ, საღებავებით რომ არ დავისვაროთ ტანსაცმელი?"
- ✓ განავრცეთ ბავშვის იდეები: „რა შეიძლება კიდევ დავდოთ ამ ციხესიმაგრეზე?"

ქვემიზანი - კონფლიქტების მართვა

- ბავშვებს, რომლებიც ჯერ ვერ მეტყველებენ, ასწავლეთ - „არა", „შეჩერდი", „მომე" ჟესტები, ასევე 2-3 საბაზისო ემოციის ამოცნობა ბარათზე და მათი გამოყენება კომუნიკაციისას.
- ასწავლეთ ბავშვებს კონფლიქტის დრო მოგმართონ დასახმარებლად.
- იყავით ნეიტრალური, არ დაიჭიროთ არავის მხარე.
- გაახმოვანეთ, რასაც ხედავთ, ბავშვის შერცხვენისა და რჩევის მიცემის გარეშე -„ეს გიოს ეჭირა, ახლა ნიკამ აიღო. გიო ამან გააბრაზა". –„ნუცა, შენ გქონდა დათუნია და ახლა ლიზის აქვს. თქვენ ორივეს გინდათ, რომ ეს სათამაშო გქონდეთ. ნუცა, ცდილობს, სათამაშო დაიბრუნოს... ლიზა, დარტყმის უფლებას ვერ მოგცემ".
- ასწავლეთ ბავშვებს ასერტული ქცევა.
- გამოიყენეთ ბავშვებს შორის ბუნებრივად წარმოშობილი კონფლიქტური სიტუაციები სოციალური და ემოციური უნარების დასასწავლად და ამ დროს დაეხმარეთ ბავშვებს: გაიაზრონ საკუთარი და სხვისი ემოცია, საკუთარი და სხვისი ხედვა, დაფიქრდნენ, შეიკავონ იმპულსები, იპოვონ გამოსავალი და შეინარჩუნონ თანამშრომლობა.

- მომხდარის განხილვისას შეინარჩუნეთ სიმშვიდე და თავშეკავება.
- გამოიყენეთ ასაკისთვის შესაბამისი, მარტივი, ადვილად გასაგები მეტყველება.
- წაახალისეთ ბავშვები, სიტყვიერად გამოხატონ თავიანთი გრძნობები.
- დაეხმარეთ ბავშვებს, გაიგონ და ამოიცნონ ერთმანეთის გრძნობები.
- ყურადღებით მოისმინეთ თითოეული ბავშვის ნათქვამი და შემდეგ გაიმეორეთ.
- ხელი შეუწყვეთ რიგის დაცვას საუბრისას.
- უფროსი ასაკის ბავშვებს დაეხმარეთ ბავშვებს კონფლიქტის გადაჭრის გზების მონახვაში. ჰკითხეთ, რა შეიძლება იყოს გამოსავალი, დააფიქრეთ, არის თუ არა ეს სამართლიანი და ყველასთვის მისაღები.
- ხმამაღლა გაიმეორეთ მათ მიერ შემოთავაზებული აზრები და ყურადღება მიაქცევინეთ ამ აზრზე კონფლიქტის მეორე მხარეს მდგომ ბავშვსაც.
- საჭიროების შემთხვევაში, წაახალისეთ ბავშვები, იფიქრონ ისეთი დამხმარე საშუალებების გამოყენებაზე, როგორიცაა „სპინერი“, „ქვიშის საათი“.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ შეთანხმებული პირობები შესრულდეს
- უფროსი ასაკის ბავშვები დააფიქრეთ, რამდენად ეფექტური იყო და იმუშავა მათ მიერ შერჩეულმა გამოსავალმა.
- დააფასეთ და აღიარეთ კონფლიქტის მოგვარების პოზიტიური მცდელობები.
- დროის გასვლის შემდეგ აღნიშნეთ თქვენი კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვებმა კონფლიქტის გადაჭრა და შეთანხმება შეძლეს.
- „არ გააკეთო“ შეცვალე საპირისპირო სიტყვით - „გააკეთე“ , მაგალითად, „ფრთხილად შეეხე“, „ხმადაბლა მითხარი“, „ასე მოეფერე კუს“.

აქტივობები იმპულსის კონტროლზე

ქვემოთ მოცემულია აქტივობების ამოცანა, ბავშვებმა შეძლონ დალოდება, გაჩერება, მოთხოვნილების დაკმაყოფილების გადავადება, მითითებების შესაბამისად მოქმედება.

შენიშვნა: ზოგიერთი ეს თამაში შეგიძლიათ, ბავშვებს შესთავაზოთ გადასვლების (ტრანზიციების) დროს.

- ხმაურით თუ მშვიდად - აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა მოძრაობები შემდეგი მითითებით - ,,ხმაურით“ ან ,,მშვიდად“. მაგალითად, ,,ფეხების ბაკუნი ხმაურით“. ბავშვები ფეხებს ძლიერად და ხმაურით აბაკუნებენ. ,,ტაში მშვიდად“ - ბავშვები ჩუმად უკრავენ ტაშს.
- ორკესტრი - ჯოხის სწრაფ მოძრაობაზე ბავშვები სწრაფად უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე (ზანზალაკი, მარაკასი), ნელ ტემპზე - ნელა. შეიძლება გავართულოთ და ვთხოვოთ, ჯოხის ნელ მოძრაობაზე სწრაფად დაუკრან და - პირიქით.
- აჰყევი მუსიკას - დაინტერესეთ ბავშვები, სხვადასხვა რიტმის მუსიკას ააყოლონ ტაში, მოძრაობა.

- დრამერები - აღმზრდელი სხვადასხვა რიტმს უკრავს და ბავშვები ცდილობენ, აჰყვნენ.
- ყურადღებით, ვყანყალებთ! ყურადღებით, ვშეშდებით!. ბავშვები ელოდებიან აღმზრდელის ბრძანებას და შესაბამისად, ხან შეშდებიან, ხან მოძრაობენ.
- ცხოველების მიბაძვა - ათამაშეთ ბავშვები, მიბაძონ ცხოველების სიარულს. ,,შეგიძლია, მაიმუნივით ირბინო? ან სპილოსავით ნელა იარო?“
- მიბაძე უფროსს - აღმზრდელი სხვადასხვა მოძრაობებს აკეთებს და ბავშვებს სთხოვს, მიბაძონ. უფრო რთული ვარიანტია, როდესაც უფროსის მოძრაობები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაიმეორონ, როდესაც სახელს იტყვის, მაგალითად: “მანანამ თქვა, ასწიეთ ხელები“ და ბავშვებმა ხელები უნდა ასწიონ. თუ მხოლოდ იტყვის: „ასწიეთ ხელები“, ეს მოძრაობა არ უნდა გაიმეორონ და მშვიდად დაელოდონ შემდეგ მითითებას. შეგიძლიათ, ეს თამაში სხვადასხვა ვარიაციით ათამაშოთ - გაართულოთ ან გაამარტივოთ. შეგიძლიათ, დაამზადოთ ბარათები სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. რომელ ბარათსაც წამყვანი ამოაბრუნებს, ბავშვებმა სხეულის იმ ნაწილზე სწრაფად უნდა მოიკიდონ ხელი. მთავარია, ბავშვები ყურადღებით იყვნენ და შესაბამისად იმოქმედონ.
- წარმოსახვითი თამაში სხეულის მოძრაობით - მაგალითად, ,,ვითომ ვცურავთ ფაფაში (ან რამე ბლანტ სითხეში)“, „მძინარე გველეშაპთან ფეხაკრეფით მისვლა“. ეცადეთ, მოძრაობები მრავალფეროვანი იყოს, რომ ბავშვები ხალისით ჩაერთონ.
- იხვი, იხვი, ბატი - ბავშვები სხდებიან წრეში. ერთ-ერთი იხვია, ის დგება, წრეზე დადის, ბავშვებს თავზე ხელს ადებს და ამბობს - “იხვი”, ”იხვი”. ერთ-ერთი ბავშვის თავზე ხელის დადებისას უცებ ამბობს - ”ბატი” და გარბის. ”ბატის” მიზანია, ”იხვი” მანამდე დაიჭიროს, სანამ ის მის ადგილას მოასწრებს დაჯდომას. თუ ”იხვმა” დაჯდომა მოასწრო, მაშინ ”ბატი” იხვად იქცევა და ახლა ის იწყებს ბავშვების გარშემო სიარულს... თუ ”ბატმა” ”იხვის” დაჭერა მოასწრო, მაშინ ”იხვმა” ახლა ბედი სხვა ბავშვზე უნდა სცადოს.
- ,,წითელი შუქი, ყვითელი შუქი, მწვანე შუქი“ - შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მოძრაობები: ადგილზე მარშირება, ხტუნვა, ტაში, ტრიალი. აჩვენეთ ბავშვს მწვანე, წითელი ან ყვითელი ნიშანი. მწვანეზე ბავშვებმა სწრაფად უნდა იმოძრაონ, ყვითელზე - ნელა, ხოლო წითელზე - გაჩერდნენ. მსგავსი თამაშია “იარე, იარე, იარე, შეჩერდი”. ბავშვები მწკრივში დადიან და ჩერდებიან შესაბამის ბრძანებაზე. ამ დროს უნდა გაითვალისწინონ წინ მდგომი ბავშვი და შეეცადონ, სხეული ისე მართონ, რომ არ დაეჯახონ.
- აფრინდა, აფრინდა, ქორი აფრინა - თამაშის ლიდერი სხვადასხვა რამეზე ამბობს „აფრინდას“, მაგალითად: „აფრინდა, აფრინდა, ჩიტი აფრინდა“, ან “აფრინდა, აფრინდა, ჭიქა აფრინდა“. ამასთან, ყველა ბრძანებაზე ხელებს მაღლა სწევს, რომ შეცდომაში შეიყვანოს ბავშვები. ბავშვებმა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ასწიონ ხელები, თუ დასახელებული საგანი დაფრინავს. სხვა შემთხვევაში ჩამოწეული ხელებით ელოდება შემდეგ ბრძანებას.
- არეული სხეულის ნაწილები - თამაშის წამყვანის მითითებაზე - „მუხლი“, ბავშვები ხელს კიდებენ ფეხის წვერს. „ფეხის წვერი“ - მუხლს; „თავი’ - ცხვირს,“ „ცხვირი’- თავს.“

- მელა და ქათმები - „მელა“ ზურგით დგას ბავშვებისკენ - „ქათმებისკენ“. როდესაც „მელა“ ზურგით დგას, ქათმები ჩუმად მიიპარებიან მისკენ. როდესაც „მელა“ მიბრუნდება მათკენ, „ქათმები“ უნდა გაშეშდნენ. ვინც ვერ ასწრებს გაშეშებას, სამი ნაბიჯით უკან იხევს. ასე გრძელდება, სანამ რომელიმე ქათამი არ მიეპარება მელას და არ დაადებს ზურგზე ხელს.
- სარკეში - თხოვეთ ბავშვებს, დაწყვილდნენ. ერთი-ერთი იქნება სარკე, მისი მეწყვილე კი - ბავშვი. სარკე იმეორებს ბავშვის მოძრაობებს, მიმიკებს. შემდეგ ისინი როლებს ცვლიან.
- დედა - ,,დედა“ დგას ბავშვების წინ და აძლევს სხვადასხვა მითითებებს. მაგალითად, ,,გადადგი სამი სპილოს ნაბიჯი“ და ბავშვებიც სამ დიდ ნაბიჯს დგამენ. ,,გადადგი 7 ჭიანჭველას ნაბიჯი“ და ბავშვები შვიდი პატარა ნაბიჯით უახლოვდებიან „დედას“. ასე გაიმეორეთ კენგურუს ორი ფეხით წინ გადახტომა, დათვის მძიმე ნაბიჯები, მაიმუნის ადგილზე ხტუნვა, ბაყაყის ჩაკუზული წინ ხტომა, ზარმაცას ნელი მოძრაობა, კიბორჩხალას უკუსვლა, ქოლგის ბრძანებაზე - ტრიალი, ცხენზე - ჭენებით სვლა, ზღვის ვარსკვლავზე - ადგილზე ხტუნვა ხელების განზე აწევა-დაწევით და ფეხების განზე გაშლა-შეტყუპებით.

შენიშვნა: თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ, ნაბიჯების რაოდენობა დაწერილი ციფრებით მიუთითოთ.

- მძინარე ლომი - ბავშვები წვანან, ვითომ მძინარე ლომები არიან. ერთი ბავშვი მათ გაღვიძებას სხვადასხვა სასაცილო მოქმედებებით, ფრაზებით, დაჟინებული მზერით ცდილობს. ხელით შეხება არ არის დაშვებული. მოგებულია ის, ვინც თვალდახუჭული, გაუნძრევლად გაძლებს ბოლომდე.

აქტივობები ემოციების მართვაზე

- ბრაზის მართვა - ბავშვებს დილის წრეზე ან მცირე ჯგუფებში გააცანით გმირი, რომელიც ხშირად ბრაზობს. ასაუბრეთ ბავშვები, ვინ რაზე ბრაზობს და როგორ გამოხატავს ბრაზს. იმსჯელეთ, გამოხატვის რა ფორმებია მისაღები და რატომ. აჩვენეთ, როგორ უმკლავდება ეს გმირი ბრაზს. არსებობს სხვადასხვა მიდგომები და ხერხები ადრეულ ასაკში ბრაზის მართვის სწავლებაზე, მაგალითად, კუს მეთოდი. იმისათვის, რომ ბავშვებმა ეს ხერხები დაისწავლონ, იყავით თანმიმდევრულები და სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა დროს გაიმეორეთ და გაამეორებინეთ ბავშვებს:
  - ✓ უამბეთ რამე, რაც ბავშვებს, სავარაუდოდ, გააბრაზებს. აჩვენეთ, რა უნდა გააკეთოს, ბრაზს რომ გაუმკლავდეს.
  - ✓ მოაწყეთ კუთხე, სადაც გამოაკრავთ ბარათებს ბრაზის მართვაზე. საჭიროების შემთხვევაში, შეახსენეთ ბავშვებს ეს ტექნიკები.
  - ✓ წიგნის კითხვის დროს, თუ რომელიმე გმირი ბრაზობს, შეახსენეთ დასწავლილი ტექნიკები, რას იყენებენ ისინი ბრაზის სამართავად.
  - ✓ ხელოვნების ცენტრში შესთავაზეთ, დახატონ ან შექმნან თემატურად: „როცა ვბრაზობ“, „მე მოვერიე ბრაზს.“

- თვითდამშვიდება - ასწავლეთ ბავშვებს დამშვიდების და ემოციების გამკლავების გზები. მაგალითად: ღრმად სუნთქვა, რელაქსაცია - კუნთების დაჭიმვა-მოდუნება, საყვარელი მუსიკის მოსმენა და ა.შ.
- მოაწყეთ სპეციალური მყუდრო კუთხე, სადაც მოათავსებთ სპეციალურ ყუთს დასამშვიდებელი მასალებით. ეს შეიძლება იყოს: სპეციალური გასაფერადებელი, მაგ. მანდალა, მუსიკის მოსასმენი აღჭურვილობა, ბუშტუკებიანი შესაფუთი, რბილი ბურთი, ჩასახუტებელი რბილი სათამაშო, სენსორული ბოთლი ან სხვა სენსორული სათამაშო, სათამაშო ზამბარა, ჯოხზე ჩამოცმული ბზრიალა. შეგიძლიათ, დაამზადოთ პოსტერი - ,,როგორ შეგვიძლია დავმშვიდდეთ", რომელსაც ამ კუთხეში გამოაკრავთ. როდესაც _____ ამას ვგრძნობ, _____ მეხმარება, იხ ნიმუში.
- ბრაზის საზომი „ბრაზომეტრი" (მშვიდი - გაღიზიანებული - გაბრაზებული - ძალიან გაბრაზებული) იხ. ნიმუში.) - ბრაზომეტრი შეგიძლიათ გამოაკრათ ბრაზის მართვის ბარათების გვერდით. ეს იქნება თვალსაჩინო მასალა იმის დემონსტრირებისთვის, როგორ იცვლება ერთი და იმავე ემოციის ინტენსივობა და როგორ შეიძლება ადრეულ ეტაპზე მისი ამოცნობა, სანამ გაძლიერდება. გამოიყენეთ „ბრაზომეტრი" ემოციების კომუნიკაციისთვის: ,,აბა, ამ სახეებზე მაჩვენე, როგორი გაბრაზებული იყავი. რამდენად ძლიერი იყო შენი ბრაზი?

აქტივობები კონფლიქტისა და პრობლემის გადაჭრის სწავლებაზე

- მარიონეტები და თოჯინები. - ბავშვებისთვის დამახასიათებელი კონფლიქტური სიტუაციების მარიონეტებით და თოჯინებით გათამაშება ეხმარება ბავშვებს, ახლებურად დაინახონ სიტუაცია. ეს პრობლემის გადაწყვეტის შესახებ დისკუსიის შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, თუ თქვენს ჯგუფში ბავშვებს სათამაშოების განაწილების პრობლემა აქვთ, მსგავსი სიტუაცია პლუშის ცხოველების გამოყენებით გაითამაშეთ: გიგი თამაშობს ბურთით, რომელიც კატომ მოიტანა სახლიდან. კატომ დაინახა და ყვირილით დაედევნა: „ჩემია, დამიბრუნე". როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა კატო? რას გრძნობდა გიგი? გაქვთ რამე მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოაგვარონ ეს საქმე?
- დავფიქრდეთ პრობლემაზე - აფიქრეთ ბავშვები, რამხელა შეიძლება იყოს პრობლემა: პატარა (რომელსაც დამოუკიდებლად მოაგვარებ), საშუალო (როცა მცირედი დახმარებაც საკმარისია), დიდი (მეტი დახმარება გჭირდება). გამოიყენეთ სამი ზომის წრე და ბარათები შემდეგ სიტუაციებზე: ორი ბავშვი ერთ სათამაშოზე ჩხუბობს; ბავშვები კამათობენ; სათამაშო გაუფუჭდა და დაღონებულია; ერთი ბავშვი მეორეს ურტყამს; ერთი მეორეს თავის გვერდით არ სვამს; ბავშვები თამაშობენ და ერთი ბავშვი შორიდან უყურებს; იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად და დაალაგეთ ბარათები პრობლემის აღმნიშვნელ შესაბამის წრეზე. ასევე, იმსჯელეთ, როგორ უნდა მოაგვარონ თითოეული პრობლემა.
- პრობლემის გადაჭრის ყუთი - ჩამოწერეთ პრობლემის მოგვარების ხერხები. მაგალითად, ვეძახი აღმზრდელს, ვთხოვ თავაზიანად, ველოდები ჩემს რიგს, ვაიგნორებ. სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მიდგომა შეიძლება იყოს ეფექტური. ამიტომ, ბავშვებმა უნდა ისწავლონ დამოუკიდებლად ფიქრი, რა შესაძლებლობები

არსებობს და რა დროს რისი გამოყენება იქნება შედეგიანი. დაამზადეთ ბარათები, თითო ბარათზე დახატეთ და მიაწერეთ პრობლემის გამკლავების გზა. ლამინირებული ბარათები ააცვით ჯაჭვზე, ან მოათავსეთ სპეციალურ ,,პრობლემის გადაჭრის“ ყუთში. ისაუბრეთ და ავარჯიშეთ ბავშვები დილის წრეზე, მცირე ჯგუფებში. ჰკითხეთ, ჯგუფისთვის დამახასიათებელ პრობლემურ სიტუაციებში რა გზას აირჩევენ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს ბარათები კარგი საშუალებაა პრობლემის მოგვარების სწავლების პირველ ეტაპზე და ამასთან, ბავშვებისთვის თვალსაჩინოს ხდის პრობლემის მოსაგვარებელ მრავალფეროვან გზებს. შემდეგ, მათ ბარათებისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ იფიქრონ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ხერხზე. ზემოთ მოცემულ სტრატეგიებში ეს მიდგომა თვალსაჩინოდაა აღწერილი. ამ მიდგომისას გარკვეული ჩარჩო მაინც გჭირდებათ, რომ ბავშვები აფიქროთ, აკმაყოფილებს თუ არა მათი არჩეული გზა შემდეგ სამ მნიშვნელოვან წესს: გზა, რომელიც ავირჩიე: 1) ზიანის მომტანია თუ არა სხვებისთვის; 2) არის თუ არა სამართლიანი და 3) როგორ იგრძნობენ თავს სხვები.

- სპიკერის ჯოხი - კონფლიქტის მოგვარებისას მნიშვნელოვანია, ბავშვებმა ისწავლონ სხვისი მოსმენა და დალოდება. ამისათვის, გააცანით ბავშვებს დამხმარე საშუალებები და შესაბამისი წესები. მაგალითად, შესთავაზეთ სპიკერის სპეციალური ჯოხი, ან რამე სხვა ნივთი, რაც გაუადვილებს, გააკონტროლონ თავიანთი ქცევა და მოუსმინონ სხვას. ვისაც ეს ნივთი ხელში უჭირავს, ის საუბრობს. როდესაც საკუთარი აზრის გამოთქმას დაასრულებს, ნივთი სხვას უნდა გადასცეს. ეს თამაში დიალოგის - მოსმენა, საუბრის - გაკონტროლებაში დაეხმარება ბავშვებს.
- მოლაპარაკების მაგიდა - დააწესეთ ყოველდღიური პროცედურა კონფლიქტების მოსაგვარებლად და ასწავლეთ ბავშვებს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, რომ თამაშის დროს წარმოქმნილი კონფლიქტები მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა მოაგვარონ. და მხოლოდ მაშინ ადგნენ, როდესაც მოილაპარაკებენ. ასევე შეიმუშავეთ სპეციალური წესები მოლაპარაკების მაგიდისთვის, რომელიც იქვე, თვალსაჩინოდ იქნება გამოკრული. მაგალითად: ვუსმენ ყურადღებით; გასაგებად ვეუბნები და ვუხსნი, მე რა მინდა და რატომ; ვდგებით, როდესაც მოვილაპარაკებთ და ა.შ.
- დააპაუზე და დაფიქრდი - შექმენით „პაუზის ღილაკები“, დაურიგეთ ბავშვებს. უამბეთ ისეთ სიტუაციებზე, სადაც ბავშვი არ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, ან არ იქცევა სწორად. ბავშვებმა ასეთ დროს ხელი უნდა დააჭირონ ღილაკს და დაფიქრდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ გადაწყვეტილებას. გართულებული ვარიანტი: დაუმატეთ უკან გადახვევის ღილაკი და ბავშვები აფიქრეთ, როგორ შეიძლება მოიქცე ამ სიტუაციაში. სთხოვეთ ბავშვებს, ხელოვნების ცენტრში დისტანციური მართვის პულტი (შესაბამისი ღილაკებით) გააკეთონ, გააფორმონ სურვილისამებრ და გამოიყენეთ ამ თამაშისთვის.

კვლევა აღმოჩენის აქტივობები და სტრატეგიები

მიზანი - ცნობისმოყვარეობა,

ქვემიზანი - ინტერესების გაღრმავება:

- დააკვირდით, რა აინტერესებთ ბავშვებს ბუნებრივად და მიეცით მეტი შესაძლებლობა, ჩაერთონ ამ საქმიანობებში. შესთავაზეთ მათ ამ ინტერესების შესაბამისი სათამაშოები, წიგნები თუ აქტივობები.
- წაახალისეთ აღწერითი მეტყველება - ხშირად გაახმოვანეთ საკუთარი ქმედებები.
- ინტერესი შეიძლება, სიტყვების გარეშე იყოს გამოხატული. ამიტომ, მნიშვნელოვანია ინტერესებზე დაკვირვება.
- ბავშვების ინტერესების ვერბალიზებით დაეხმარეთ თავადაც გააცნობიერონ თავიანთი მისწრაფებები და ინტერესები.
- დაეხმარეთ ბავშვებს ყურადღების შენარჩუნებაში. აღწერეთ, რითაც ბავშვია დაკავებული.
- გააღრმავეთ ბავშვების ცოდნა და უნარები მათ საყვარელ თამაშებსა და აქტივობებში ახალი გამოწვევების დამატებით. მაგალითად, თუ ბავშვს ხატვა უყვარს, შესთავაზე მას სხვადასხვა ტექნიკა ან მასალები - აკვარელი, კოლაჟი, სხვა.
- შექმენით გარემო, სადაც ცნობისმოყვარეობა ფასდება. როდესაც ბავშვი სვამს შეკითხვებს,, ჩაერთეთ დისკუსიაში, ერთად მოძებნეთ პასუხები ან ჩაატარეთ მარტივი ექსპერიმენტები. ეს ხელს უწყობს მათ ინტერესს და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- შესთავაზეთ ბავშვს მისთვის საინტერესო იდეები და შემდეგ მიეცით მას აღმოჩენისა და შესწავლის დრო და მიჰყევით თამაშში.
- აღნიშნეთ და დააფასეთ (და არ შეაფასოთ) ძალისხმევა და მიღწევები. მათი ნამუშევრის გამოფენა ან ცნობისმოყვარეობის წახალისება, ხელს უწყობს მათ განვითარებასა და ინტერესების გაღრმავებას.
- როდესაც პატარა ბავშვებთან ერთად ვკითხულობთ, ჩვენი ამოცანა წიგნის თავიდან ბოლომდე წაკითხვა კი არ უნდა იყოს, არამედ მათი დაინტერესება წიგნით. (მეტი იხილეთ გვერდი 125.)
  - ✓ იყავით მათ სიმაღლეზე, მათთან პირისპირ, ერთად უყურეთ და ათვალიერეთ წიგნები და ერთად ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა ხდება მასში.
  - ✓ წიგნის კითხვისას, წიგნის თვალიერებისას და წიგნზე საუბრისას, დააკვირდით, რა მოეწონებათ ბავშვებს
  - ✓ დაელოდეთ მათ რეაქციებს. მოუსმინეთ მათ კომუნიკაციურ მინიშნებებს და გქონდეთ შესაბამისი რეაქცია - მიჰყევით ბავშვის ინტერესს
  - ✓ პატარა ასაკში მოკლე, ცხადი წინადადებები ბავშვისთვის გასაგებს ხდის, რა ხდება წიგნში. მნიშვნელოვანია წიგნში აღწერილის განსახიერებაც:
  - ✓ დააკვირდით და ჩაინიშნეთ, რომელი ბავშვები ინტერესდებიან მეტად წიგნებით და რომელი ნაკლებად.

- ✓ დააკვირდით იმ ბავშვების ინტერესებს, რომლებიც წიგნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ნახეთ, რა თემებითა და სათამაშოებით ინტერესდებიან, შეეცადეთ შეურჩიოთ წიგნები მსგავსი თემატიკითა და სურათებით;

- ბავშვებთან, ვისაც მეტი ლექსიკური მარაგი აქვთ, დაასახელეთ საგნების მახასიათებლები: საგნის ზომა, ფორმა, ფერი, რაოდენობა, მასალა და/ან მოქმედება აღწერთ – ჩქარა, მხიარულად, მარტივად, ხმამაღლა.
- წაახალისეთ ადგილმდებარეობის მიმანიშნებელი სიტყვების - შიგნით/გარეთ, ზევით/ქვევით, უკან/წინ, შუაში გამოყენება.
- გამოიყენეთ დროის, რაოდენობის ცნებები და სხვა მახასიათებლები
- მიეცით ბავშვებს საშუალება, ექსპერიმენტები ჩაატარონ ბუნებრივი მასალებით
- მიაწოდეთ ბავშვებს დამატებითი რესურსები მათთვის საინტერესო თემებზე: წიგნები, ვიდეოები ...
- გაუზიარეთ ბავშვებს თქვენი აღფრთოვანება, როცა რაღაც ახალს აღმოაჩენთ, მაგალითად, თქვით: „ვა, მე არ ვიცოდი ეს! მოდი, ერთად გავიგოთ მეტი!“
- მიეცით ბავშვებს ხმამაღლა ფიქრის მაგალითი: „მაინტერესებს, რატომ არის ეს ფოთოლი ასეთი ფორმის. მოდი, ერთად გავარკვიოთ.“
- აჩვენეთ ბავშვებს მოკლე, ასაკისთვის შესაფერისი ვიდეოები, როგორ ფეთქდება ვულკანი, როგორ ცხოვრობენ ცხოველები ან როგორ იზრდებიან მცენარეები, ერთად განიხილეთ ნანახი და ჩაატარეთ დაკავშირებული აქტივობები.

ქვემიზანი - ინტერესების გამრავალფეროვნება:

- შესთავაზეთ მრავალფეროვანი მასალები (ღია) და დააკვირდით მათ ინტერესებს, ისაუბრეთ მათთან იმაზე, რაც მათთვის საინტერესოა.
- გაუმრავალფეროვნეთ ინტერესები წიგნთან ურთიერთობით და კითხვით.
- დააკვირდით ინტერესებს და შემოიტანეთ ახალი თემები და პროექტები მათ ინტერესებზე დაფუძნებით.
- დააინტერესეთ ნაწერითა და წარწერით. (მეტი იხილეთ გვერდი 136.)
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ცენტრებში მასალები ბავშვების ინტერესებსა და თემებს შეესაბამებოდეს.
- რეგულარულად შეცვალეთ მასალები, რათა გარემო ახალი და საინტერესო იყოს.
- გაუზიარეთ ბავშვებს თქვენი აღფრთოვანება, როცა რაღაც ახალს აღმოაჩენთ,
- მიეცით ბავშვებს ხმამაღლა ფიქრის მაგალითი: „მაინტერესებს, რატომ არის ეს ფოთოლი ასეთი ფორმის. მოდი, ერთად გავარკვიოთ.“
- წაახალისეთ თავისუფალი პროექტები, რომლებიც არ ემორჩილება მკაცრ წესებს.
- მიაწოდეთ მუსიკალური ინსტრუმენტები, რათა ბავშვებმა გამოიკვლიონ სხვადასხვა ბგერები და რითმები, გამოსადონ სხვადასხვა ტიპის რეალურ თუ ხელნაკეთ ინსტრუმენტებზე დაკვრა.

- მიეცით საშუალება, მოისმინონ და თავისუფალი მოძრაობით აჰყვნენ სხვადასხვა ტიპის მუსიკას.
- მიეცით ბავშვებს საშუალება, შექმნან საკუთარი წარმოსახვითი სამყაროები ისეთი მასალებით, როგორიცაა თიხა, ქაღალდი ან გადამუშავებადი მასალები.
- დაეხმარეთ, ასწავლეთ როგორ იყვნენ უფრო ჯანმრთელები. თვალსაჩინოებების გამოყენებით ისაუბრეთ ჰიგიენის დაცვაზე. ისაუბრეთ სხეულისთვის სასარგებლო ჩვევებზე, ფიზიკურ აქტივობაზე, კვებაზე, სუნთქვასა და სუფთა ჰაერზე.

აქტივობები ინტერესების გაღრმავებისა და გამრავალფეროვნებისთვის

- წაახალისეთ, შექმნას მარტივი ნახატი, ავტოპორტრეტი, ნატურმორტი და ა.შ.
- გააცანით ბავშვებს პაპიე-მაშეს ტექნიკა. წაახალისეთ, რომ შექმნან ნაკეთობები ამ ტექნიკების გამოყენებით.
- დაათვალიერეთ ცნობილი მხატვრების რეპროდუქციები. წაახალისეთ, იმსჯელონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება.
- დაათვალიერეთ ხელოვნების სხვადასხვა დარგების ნიმუშები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. წაახალისეთ, რომ იმსჯელონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები.
- წაიყვანეთ მუზეუმში, საგამოფენო დარბაზში. წაახალისეთ, იმსჯელონ ნანახზე.
- მოასმენინეთ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, წაახალისეთ აჰყვნენ მუსიკას რიტმში, იმღერონ.
- შესთავაზეთ ოპერის, ბალეტის, საბავშვო სპექტაკლების ვიდეოჩანაწერები.
- აირჩიეთ კვირის თემად ბავშვების საყვარელი წიგნები, დაგეგმეთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები ბავშვებისთვის ნაცნობი წიგნების სიუჟეტზე დაყრდნობით.
- შესთავაზეთ ბავშვებს დასურათებული წიგნები დასათვალიერებლად.
- შესთავაზეთ სხვადასხვა თემატიკის წიგნები, წაუკითხეთ ხმამაღლა.
- გამოიყენეთ ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები, მოასმენინეთ ბავშვებს.
- ათამაშეთ რიტმული თამაშები, თამაშები თითების გამოყენებით.
- წაუკითხეთ ბავშვებს მცენარეებისა და ცხოველების შესახებ, მათ განსხვავებულ საჭიროებებზე, გარემო პირობებზე, წეს - ჩვეულებებზე, საცხოვრებელზე.
- შესთავაზეთ ბავშვებს მცენარეებითა და ცხოველებით დასურათებული ენციკლოპედიები. წაახალისეთ, აღწერონ და შეადარონ ერთმანეთს.
- პერიოდულად შეიყვანეთ ჯგუფში რამე შინაური ცხოველი, რომელსაც ბავშვები მოუვლიან.
- ხელი შეუწყვეთ ბავშვების ხშირ კონტაქტს ბუნებასთან, ეზოში ყოფნისას წაახალისეთ, რომ დააკვირდნენ, შეაგროვონ ბუნებრივი მასალები, ფოთლები, ჯოხები, ქვები და ა.შ.
- შეიტანეთ ჯგუფში ისეთი მასალები, როგორიცაა: მაგნიტები, სასწორები, სარკეები, ბორბლები, სხვადასხვა მასალის ბურთები.

- აჩვენეთ ბავშვებს საბავშვო რუკა და წაახალისეთ, იპოვონ სხვადასხვა ადგილები.
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ სად ცხოვრობენ, დახატონ და გააკეთონ საკუთარი უბნის, რაიონის მაკეტები.
- კითხეთ, როგორ გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეში, აღწერონ და დახატონ სხვადასხვა საშუალებები.
- კუბურებით თამაშისას ააგონ გზები, ხიდები, ქალაქები და სოფლები.
- შესთავაზეთ ბავშვებს ისეთი სამაგიდო და მოძრავი თამაშები, რომლებიც სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარებას უწყობენ ხელს. (წადი მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ , ქვემოთ და ა.შ.)
- შეიტანეთ დრამატულ ცენტრში მასალები, რომლებიც ადამიანის სხვადასხვა საქმიანობასთან არის დაკავშირებული - ყვავილების მაღაზია, ავტოსახელოსნო, რესტორანი და ა.შ.
- დაგეგმეთ და განახორციელეთ ვიზიტები სხვადასხვა სახის დაწესებულებებში, სადაც ბავშვები დააკვირდებიან სხვადასხვა საქმიანობებს და ისაუბრებენ მათზე.
- დაპატიჟეთ ჯგუფში ოჯახები, რათა ბავშვებს მათი კულტურის თავისებურებები გაუზიარონ.
- ისაუბრეთ ბავშვებთან ბუნების გაფრთხილებაზე, რა შეიძლება მოხდეს გარემოში, თუ ადამიანი მას არ გაუფრთხილდება (ხანძარი ტყეში, ადამიანთა გაუფრთხილებლობის გამო; თევზის სიკვდილი, წყლის დაბინძურების გამო; ხეების მოჭრის შედეგები და ა.შ.)
- ბავშვებთან ერთად დარგეთ ხეები და ნარგავები, დაასუფთავეთ ეზო.
- დაპატიჟეთ ჯგუფში ბებია-ბაბუები, ისაუბრონ წარსული დროის, საკუთარი ცხოვრების შესახებ.
- აჩვენეთ ბავშვებს ძველი ისტორიული ნაგებობები, ტანსაცმელი, დაგეგმეთ ვიზიტები ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მუზეუმებში.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიტანონ მათი ჩვილობის ფოტოები და ტანსაცმელი. ისაუბრონ, როგორ შეიცვალნენ.
- შესთავაზეთ ბავშვებს კალენდარი, საათი . გამოიკვლიონ, როგორ ზომავენ დროს.
- შეიტანეთ ჯგუფში სათამაშო ტელეფონი, კამერა, მიკროფონი.
- აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ უნდა ჩართონ ვიდეო, აუდიომაგნიტოფონი, გამოიყენონ ფოტოაპარატი.
- შეიტანეთ ჯგუფში სხვადასხვა ხელსაწყოები და წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ: გამადიდებელი შუშა, თეფშებიანი სასწორი, ბინოკლი და ა.შ.
- გააცანით სხვადასხვა ტექნოლოგიების მოხმარების წესები.
- წაახალისეთ მარტივი, განმავითარებელი პროგრამების გამოყენება კომპიუტერზე, მაგალითად: სახატავი პროგრამა ნახატის შესაქმნელად.
- წაახალისეთ, ააშენონ მრავალფეროვანი კონსტრუქციები სხვადასხვაგვარი მასალების გამოყენებით, არა მხოლოდ კუბურებით.

- გააცანით სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციები - მათი საჭმელი, ტანსაცმელი, დღესასწაულები და სხვა.
- წაუკითხეთ სხვადასხვა ჟანრის წიგნები - ზღაპრები, საინფორმაციო წიგნები, ლექსების კრებულები, საბავშვო მოთხრობები.
- ბავშვებთან ერთად შექმენით ინტერაქციული პლაკატები, როგორიცაა კალენდრები, ამინდის რუკები და ნომრების დაფები, რომლებიც ბავშვებს მონაწილეობის მიღებისკენ უბიძგებს.

მიზანი - კვლევა

ქვემიზანი - სენსორული კვლევა

- მიაწოდოთ ბავშვებს მრავალფეროვანი სენსორული მასალა (ქვიშა, წყალი, პლასტილინი, მისაწოლი და გასაგორებელი ნივთები, სხვადასხვაგვარი ჭურჭელი, ღია მასალები). უმცროსებისთვის დიდი ზომის და მარტივად გამოსაყენებელი ღია მასალა, უფროსებისთვის მცირე დეტალები და ნაწილები. უფროსებთან სენსორულ გამოცდილებები ასევე გაამდიდრეთ შესაბამისი ლექსიკონით.
- წაახალისეთ მრავალფეროვანი მარტივი საბავშვო სიმღერები და ლექსები, სადაც ჩართული იქნება მოძრაობა ან თითების გამოყენება.
- მიეცით ბავშვებს მოძრაობისა და გარემოს შესწავლის (განსაკუთრებით ეზოს სივრცის) საშუალება.
- სიტუაციურად ხაზგასმით გამოიყენეთ სიტყვები: „გვერდით“, „ახლოს“, „უკან“, „წინ“, „შუაში“.
- ითამაშეთ თამაშები, სადაც ბავშვებს დასჭირდებათ დაბრკოლებებს შორის გადაადგილება: ქვეშ გაძრომა, ზემოდან გადასვლა, გვერდის ავლა და ა.შ. ან ისეთი მინიშნებების შესრულება, რომელიც მოიცავს სიტყვებს „გვერდით“, „ახლოს“, „უკან“, „წინ“, „შუაში“.

ქვემიზანი - მეცნიერული კვლევა

- წაახალისეთ ბავშვები დასვან შეკითხვები, ამის მაგალითი თავად მიეცით.
  - ✓ ვინ, რა, სად, რისთვის?
  - ✓ რატომ, რანაირად? (3 წლიდან)
- წაახალისეთ, განივითარონ დაკვირვების უნარები.
- დაუსვით ღია შეკითხვები, რომელიც იწყება სიტყვებით: როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე?
- დაეხმარეთ ბავშვებს არა კონკრეტული ფაქტების დამახსოვრებაში, არამედ კანონზომიერებების გააზრებაში. მაგალითად, ცოცხალ არსებებს სჭირდებათ საკვები, ისინი იზრდებიან, მრავლდებიან, დამოკიდებული არიან ერთმანეთზე და ასე შემდეგ.
- მიეცით საშუალება, დაახარისხონ სხვადასხვა ნიშნების მიხედვით.
- მიეცით საშუალება, დაინახონ კანონზომიერებები.

- შესთავაზეთ კონკრეტული საგნები კონკრეტული ექსპერიმენტების ჩასატარებლად (მაგ. სოდა და ძმარი, საღებავები და ა.შ.)
- მიეცით საშუალება, დააკვირდნენ ცოცხალ ბუნებას.
- წაახალისეთ ფონოლოგიური აღმოჩენები.
- გამოიყენეთ კითხვები სიღრმისეული კვლევისა და აღმოჩენისთვის:
  - ✓ როგორ ვიკვლიოთ?
  - ✓ როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია ...ზე?
  - ✓ როგორ მივხვდეთ, მართალი ვართ თუ ვცდებით?
  - ✓ სწორი იყო თქვენი პროგნოზი?
- გამოიყენეთ კითხვები ვარაუდისთვის
  - ✓ როგორ ფიქრობ, რა იწვევს?
  - ✓ რა მოხდება?
  - ✓ როგორ ფიქრობ, რატომ აინთო ღილაკი?
- გამოიყენეთ კითხვები დაკვირვებისთვის:
  - ✓ რა მოხდა, როდესაც ასწიე?
  - ✓ რამდენად სწრაფად გაგორდა?
- გამოიყენეთ კითხვები კლასიფიკაციისთვის:
  - ✓ რით ჰგავს?
  - ✓ რით განსხვავდება?

აქტივობები კვლევისთვის

- შესთავაზეთ სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი (თეთრი, ფერადი ფურცელი, შესაფუთი, გაზეთის ქაღალდი და სხვ.), ან ზედაპირი (მაგ. მუშამბა, ქსოვილი და ა.შ.) და წაახალისეთ, რომ ხატონ მასზე სხვადასხვა სამხატვრო მასალებით.
- წაახალისეთ, რომ ძერწონ სხვადასხვა მასალით: თიხა, პლასტილინი, მარილიანი ცომი, წყალში დამბალი ქაღალდი და ა.შ.
- შესთავაზეთ სხვადასხვა სახის საკრავები ჟღერადობის მოსასმენად.
- ეთამაშეთ მუსიკალური თამაშები.
- მიეცით საშუალება, იცეკვონ მუსიკის თანხლებით. წაახალისეთ, მოიგონონ ილეთები.
- ითამაშეთ სიტყვების თამაშები - ახალი სიტყვის მოფიქრება სიტყვის პირველ ასოზე, ერთნაირი ბეჭდური სიტყვების მოძებნა, ნაბეჭდი და ნაწერი სიტყვების დახარისხება.
- მოამზადეთ ლანგარი, დაყარეთ ქვიშა და წაახალისეთ ბავშვები, ქვიშაზე ხატონ.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ სენსორული ანბანის წიგნი.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ანბანის ლოტო და წაახალისეთ, რომ ითამაშონ.

- შესთავაზეთ ბავშვებს გასაფერადებლები ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე.
- შესთავაზეთ ორნამენტები და შესთავაზეთ ასლების გაკეთება.
- სხეულის სხვადასხვა ნაწილებისა და კოორდინაციის გასავითარებლად შესთავაზეთ ბავშვებს ასაკის შესაბამისი ფიზიკური აქტივობები, როგორც ვარჯიშის (ცეკვა, აერობიკა, იოგა...), ასევე მოძრავი თამაშების სახით.
- წაახალისეთ იხტუნონ, ირბინონ, იცოცონ, გააკეთონ ბუქნები, დაეკიდონ, იხტუნონ ასკინკილით.
- შესთავაზეთ ბავშვებს, მოიფიქრონ ახალი ვარჯიშები. შემდეგ ჩაურთეთ მუსიკა და წაახალისეთ, მუსიკის რიტმის შესაბამისად ახალი ვარჯიშები მოიფიქრონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს თამაშები სხვადასხვა სპორტული ინვენტარის გამოყენებით: ბურთი, სახტუნაო, ჰულაჰუპი და ა.შ.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ ახალი მოძრავი თამაშები, თავად შეიმუშაონ წესები, ან ნაცნობი თამაშების მათეული ინტერპრეტაცია მოიგონონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს სენსორული მასალები და დაგეგმეთ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სმენის, მხედველობის, ყნოსვის, გემოს და შეხების შეგრძნებების განვითარებას (ცომი, ქვიშა, ხელის საღებავები და ა.შ.).
- ჩართეთ სახალისო აქტივობებში, რომელთა საშუალებითაც ბავშვები ისწავლიან ხელების სწორად დაბანას, კბილების გახეხვას, ცხვირის მოხოცვას, ტუალეტით სარგებლობას და ა.შ.
- შესთავაზეთ ფონენდოსკოპი გულისცემის მოსასმენად, უსაფრთხო თერმომეტრი სიცხის გასასინჯად.
- შესთავაზეთ რენტგენის ფირები, სადაც ჩანს ადამიანის შინაგანი ორგანოები, ძვლები.
- შესთავაზეთ ბავშვებს საბავშვო ილუსტრირებული წიგნები ადამიანის აგებულებაზე.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მცენარის თესლები, ნერგები, მიწა და პატარა ქოთნები. წაახალისეთ, რომ დათესონ, დარგონ, მორწყონ, გაზარდონ და დააკვირდნენ ზრდისა და განვითარების პროცესს.
- წაახალისეთ დაკვირვების პროცესი, ექსპერიმენტის მსვლელობა ჩაინიშნონ სხვადასხვა საშუალებებით, ჩანახატებით, ფოტოებით.
- შესთავაზეთ ბავშვებს, დააკვირდნენ სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, მწერების ცხოვრების ციკლს. აღწერონ და ისაუბრონ მის თავისებურებებზე.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიკვლიონ საგნებისა და სხვადასხვა ნივთიერების თვისებები შეხებით, გადაადგილებით, შერევით.
- შესთავაზეთ ბავშვებს საგნები, რომელთა მანიპულირებითაც ბავშვები დააკვირდებიან და შეადარებენ მათ ზომას, ფაქტურას, სიმკვრივეს, წონას ბალანსსა და მოძრაობას.

- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ბუნებრივი მასალა შესადარებლად.
- შესთავაზეთ ბავშვებს მცირე ზომის მექანიკური მოწყობილობები და დაზიანებული სათამაშოები დასაშლელად და გამოსაკვლევად.
- შესთავაზეთ ბავშვებს საღებავები, რათა შეურიონ ფერები და აღმოაჩინონ ახალი ფერები.
- წაახალისეთ ბავშვები, გახსნან წყალში მარილი, შაქარი, ფქვილი, ბურღულეული და მარცვლეული, გაყინონ სითხეები.
- წაახალისეთ, გასინჯონ, უყნოსონ, შეეხონ სხვადასხვა საკვებ პროდუქტს.
- წაახალისეთ, დააკვირდნენ, როგორ ირეკლავს მზის სხივებს პატარა სარკე, ითამაშონ ჩრდილებით, გახედონ შუქს სხვადასხვა ფერის მინებით, შექმნან მარტივი კალეიდოსკოპი.
- წაახალისეთ, ეზოში წყლის საშუალებით ხატონ კედელზე ან ქვაფენილზე და დააკვირდნენ, როგორ აორთქლდება წყალი.
- წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ბუნებაში მიმდინარე სეზონურ ცვლილებებს, ისაუბრონ და აღწერონ: „შეიძლება ვთქვათ, რომ შემოდგომა უკვე მოვიდა. ფოთლები გაყვითლდა, გაწითლდა.“
- წაახალისეთ ბავშვები, ყოველდღიურად დააკვირდნენ და ისაუბრონ ამინდზე. მაგალითად, ეზოში გასვლის წინ: „გიო, ნახე, როგორი ამინდია? დაგვჭირდება ჟაკეტების ჩაცმა?“

მიზანი - შემოქმედებითობა

ქვემიზანი - შექმნა

- ხელი შეუწყვეთ ბავშვებში განვითარდეს დრამატული-სიმბოლური თამაში; მიეცით ამის მაგალითი; წაახალისეთ თამაშისას წარმოსახვითი ნივთებიც გამოიყენონ.
- მიეცით ბავშვს თავისუფლება ხატვის დროს. ნუ „ასწავლით“ ხატვას.
- მიეცით ბავშვს საკმარისი დრო. ნუ დააჩქარებთ!
- მიაწოდეთ თემატური რეკვიზიტები როლური სცენარებისთვის, რომლებიც მხარს უჭერს უფრო რთულ სიუჟეტებს (მაგ., ექიმის ნაკრები, კარდიოგრამა, რენტგენის სურათი, სხვადასხვა კოსტიუმები, ქუდები, შარფები, ჭოგრიტი და ა.შ.).
- მიეცით ბავშვებს საშუალება, ხატონ და მოსინჯონ მრავალფეროვანი მასალები.
- შესთავაზეთ სენსორული მასალები (მაგ., პლასტილინი, თითის საღებავები, ქვიშა), რომ ბავშვებმა შეძლონ თავისუფლად მანიპულირება კონკრეტული მიზნის გარეშე. ეს საშუალებას აძლევს მათ, შექმნან ტექსტურები, ფერები და ფორმები კრეატიულად.
- ესაუბრეთ მის ნამუშევარზე, აღწერეთ, რას აკეთებს ბავშვი, რა ნაკვალევს ტოვებს ნახშირი, საღებავი ან ცარცი.
- მიეცით საშუალება, მოიფიქრონ და “დადგან” საკუთარი ცეკვა, “შექმნან” საკუთარი მუსიკა.

- მიეცით ბავშვებს ამბის მოყოლის მაგალითი. მოუყევით, რა შეგემთხვათ დღეს დილით, მოუყევით, როგორ ატარებდით დროს ბავშვობაში და ა.შ.
- უფრო მოზრდილი ბავშვები წაახალისეთ, შექმნან მოთხრობები, თავიანთი ნახატების ხმამაღლა აღწერითა და წარმოსახვითი თამაშების განმარტების გზით.
- წაახალისეთ და დაეხმარეთ, დადგან პატარა სახელდახელო წარმოდგენები წაკითხული მოთხრობების, ზღაპრების და ლექსების შესაბამისად.
- თამაშის და აქტივობის წინ ჰკითხეთ ბავშვებს, რა აქვთ ჩაფიქრებული, რა მასალა სჭირდებათ ჩანაფიქრის განსახორციელებლად.
- შემოქმედებითობის წასახალისებლად შეაგროვეთ და შეიტანეთ მრავალფეროვანი ღია მასალა (მეორადი, ბუნებრივი).
- ნუ იქნებით შემფასებლური მაშინ, როცა ბავშვები მღერიან, ცეკვავენ, ხატავენ ან რაიმე მსგავსს აკეთებენ.
- წაახალისეთ მათი შემოქმედებითობა. გამოხატეთ ინტერესი მათი შემოქმედების მიმართ.
- წაახალისეთ თხრობის (ნარატიული) უნარები. (იხილეთ გვერდი 154.)

ქვემიზანი - პრობლემის გადაჭრა

- მიეცით ბავშვებს ექსპერიმენტირებისა და კვლევის საშუალება.
- შესთავაზეთ ბავშვებს ღია მასალები.
- დააკვირდით მათ საქმიანობას და დაუსვით შესაბამისი შეკითხვები.
- მიეცით პრობლემის გადაჭრის მაგალითი.
- დაეხმარეთ იფიქრონ, დაფიქრდნენ, როგორ გადაჭრან პრობლემა.
- წაახალისეთ ცდა-შეცდომით სწავლა: შესთავაზეთ ბავშვებს აქტივობები, როგორიცაა კუბებით კოშკის აშენება ან ფაზლის აწყობა, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა მეთოდის გამოცდა და დასკვნების გამოტანა.
- განიხილეთ ბავშვებთან ქმედებების შედეგები: როდესაც ბავშვი რაღაცას ცდის, მაგალითად, ქაღალდის ჭრისას ან სათამაშოს გამოყენებისას, დაეხმარეთ მას, გააანალიზოს შედეგი და დაფიქრდეს იმაზე, რა მოხდა და რატომ.
- მიეცით ბავშვებს დახმარების თხოვნის შესაძლებლობა, რათა გაიგონ, რომ გარკვეული პრობლემები შეიძლება მოითხოვდეს სხვებისგან დახმარებას და მოსაზრებას.
- *დათვლა*: თამაშისას ხმამაღლა დათვალეთ საგნები.
- *ძირითადი ფორმები*: წაახალისეთ ბავშვები, ამოიცნონ და დაასახელონ მათ სათამაშოებში ან გარემოში ნაპოვნი ძირითადი ფორმები.

უფროსი ასაკის ბავშვებთან დამატებით გამოიყენეთ სტრატეგიები

- დაეხმარეთ მიზნების დასახვაში (დაგეგმვაში): შესთავაზეთ ბავშვებს ამოცანები, სადაც მათ უნდა განსაზღვრონ კონკრეტული მიზანი და იფიქრონ, რა გზით მიაღწევენ მას, მაგალითად, აგებულების შექმნა ან თემატური თამაშის სიუჟეტის შედგენა.

- დაუსვით კითხვები, როგორიცაა: “რა მოხდება თუ...” და “როგორ შეგიძლია, ეს შეცვალო?” რაც ბავშვებს დაეხმარება გააანალიზონ სიტუაცია და გამოიკვლიონ ახალი მიდგომები.
- მიეცით ბავშვებს ჯგუფური თამაშების საშუალება, სადაც მათ დასჭირდებათ სხვებთან კომუნიკაცია და გუნდური მუშაობა პრობლემების გადასაჭრელად.
- დაეხმაროთ ბავშვებს სიტუაციის გაანალიზებაში, კანონზომიერებების ამოცნობასა და შესაძლო გამოსავლების გზების მოძიებაში.
- წაახალისეთ ჩარჩოების მიღმა აზროვნებას და საინტერესო გადაწყვეტილებების მოფიქრება.
- მისცეთ საშუალება, ისწავლონ მოსინჯვისა და შეცდომების დაშვებით გზით.
- წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ რაც შეიძლება მაღალი კოშკი. როდესაც ის დაინგრევა, დაეხმარეთ მათ, დაფიქრდნენ, რატომ დაინგრა და როგორ შეიძლება უფრო მტკიცე გახადონ.
- პასუხების პირდაპირ მიწოდების ნაცვლად, დაუსვით ბავშვებს ღია კითხვები, რათა წაახალისოთ ისინი, კრიტიკულად იფიქრონ.
- მიეცით მათ მრავალფეროვანი შესაძლებლობა, აშენონ სხვადასხვა კონსტრუქციები ღია და გარე სივრცეში სხვადასხვა მასალების გამოყენებით, გადაიტანონ წყალი, ქვიშა, სხვა „სამშენებლო მასალები“ სხვადასხვა საშუალებებით ერთი ადგილიდან მეორეში.
- დაეხმარეთ მათ, განიხილონ და მოლაპარაკება გამართონ სხვადასხვა სტრატეგიაზე.
- დაიხმარეთ ბავშვები ისეთი რეალური პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მათთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანია, მაგალითად, როგორ გავანაწილოთ ნამცხვარი.
- წაახალისეთ მათემატიკური ცნობიერება. (იხილეთ გვერდი 159.)
- მონაცემები და გრაფიკები: ავარჯიშეთ ბავშვები მონაცემთა შეგროვებაში და მათ გრაფიკულად გამოსახვაში, მაგალითად, ჩაატარეთ გამოკითხვები საინტერესო თემებზე და წარმოადგინეთ მონაცემები სვეტოვანი დიაგრამების ან პიქტოგრამების გამოყენებით. მაგალითად, პირველ გრაფაში ჩაიწერება მათი სახელები ან ოდენობა, ვისაც უყვარს ფეხბურთი, მეორეში - კალათბურთი და ა.შ.

აქტივობები შემოქმედებითობისთვის

- შესთავაზეთ ბუნებრივი და მეორადი მასალები და წაახალისეთ, რომ შექმნან სამგანზომილებიანი ქანდაკებები.
- შესთავაზეთ მასალები კოლაჟის დასამზადებლად.
- წაახალისეთ ბავშვები, რომ ანაბეჭდებით შექმნან ნამუშევრები.
- შესთავაზეთ ბავშვებს ტრაფარეტების დამზადება და შემდეგ მათი გამოყენება ნამუშევრის შესაქმნელად.
- შესთავაზეთ მეორადი მასალები თოჯინების დასამზადებლად.

- წაახალისეთ, რომ დაამზადონ ხელნაკეთი წიგნები.
- წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ მუსიკალური ინსტრუმენტები.
- მიეცით საშუალება, თავად შექმნან რიტმი/მელოდია მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენებით.
- წაახალისეთ, თავად შეთხზან სიმღერის ტექსტები. შესაძლოა, ნაცნობ სიმღერას შეუცვალონ ტექსტი, ან ნაცნობი მელოდია გამოიყენონ.
- წაახალისეთ, ჩაერთონ დრამატულ თამაშში.
- წაახალისეთ, გაახმოვანონ ცხოველები, ფრინველები, მიბაძონ მათ მოძრაობით.
- მიეცით საშუალება, განასახიერონ როლები, გარდაისახონ. შესთავაზეთ შესაბამისი ატრიბუტები,, აქსესუარები, რათა როლის მორგება შეძლონ.
- შესთავაზეთ ნამდვილი ნივთები სათამაშოდ, წაახალისეთ წარმოსახვითი თამაშები.
- წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ წიგნების პერსონაჟები, გაითამაშონ სცენები ნაცნობი წიგნებიდან.
- შესთავაზეთ ბავშვებს, თავად შექმნან ნაცნობი წიგნების აუდიოჩანაწერები.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ნაცნობი წიგნების პერსონაჟები. შესაძლოა, დახატონ მხოლოდ კონტურული ნახატი, დაამზადონ ასლები და გასაფერადებლად გამოიყენონ.
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ნაცნობი ზღაპრების ლოტო, ფაზლი ან სხვა სამაგიდო თამაშები.
- შესთავაზეთ ილუსტრაციები და წაახალისეთ ბავშვები, შეთხზან ამბავი ნახატების გამოყენებით.
- წაახალისეთ ბავშვები, შეთხზან ამბები, მოიგონონ ისტორიები. შესაძლოა, ამ ისტორიებზე დაყრდნობით, დაამზადოთ წიგნები.
- დაამზადეთ მუყაოს ფორმები, დახვრიტეთ გარკვეული შუალედით და წაახალისეთ ბავშვები, გაუყარონ ზონარი.
- წაახალისეთ, რომ დაამზადონ მისალოცი/მოსაწვევი ბარათები სხვადასხვა დღესასწაულებისთვის.
- წაახალისეთ, სხვადასხვა მასალის გამოყენებით გააკეთონ და გააგრძელონ კანონზომიერებები და შემდეგ აღწერონ.
- გაასეირნეთ ბავშვები გარემოში სხვადასხვანაირი ფორმის პოვნის მიზნით.
- შეიტანეთ კამათლებიანი სამაგიდო თამაშები, რომლებიც წაახალისებს რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას, თვლას, გადათვლას.
- შეიტანეთ სამაგიდო თამაშები: ლოტო, დომინო, ბინგო, რაც ხელს უწყობს ობიექტების დახარისხებასა და კატეგორიზაციას.
- შესთავაზეთ ბავშვებს წიგნები ციფრებზე, რაოდენობებზე, ფორმებსა და ფერებზე.
- კულინარიული აქტივობებისას ხელი შეუწყვეთ, ბავშვებმა არწყან, დათვალონ, აწონონ მასალები.

- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მასალები რაოდენობების შესადარებლად.
- წაახალისეთ, დაახარისხონ კუბურები ფორმებისა და ზომების მიხედვით. გამოიყენეთ სიტყვები მაღალი, დაბალი, ტოლი.
- შესთავაზეთ ბავშვებს ბუნებრივი მასალების კოლექციები დასახარისხებლად: ზომის, ფორმის მიხედვით.
- შეიტანეთ სათამაშო ტელეფონი, სალარო აპარატი და სხვა ციფრებიანი სათამაშოები.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმის საძერწი ყალიბები და შტამპები.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა მასალები მათი წონის, ზომის შესადარებლად. წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ სახაზავები, სასწორები.

ნაწილი 4 - საგანმანათლებლო გარემოს მოწყობა

თავი 10. ფიზიკური გარემოს მოწყობა

როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემო, რომელშიც ეს კურიკულუმი ხორციელდება? ეს არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ეს არის მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის.

ჯგუფის ოთახი

ფიზიკური გარემოს დაგეგმვისას რამდენიმე მიმართულებით იფიქრეთ, გაითვალისწინეთ ბავშვის განვითარების სტანდარტი, პროგრამის ხარისხის სტანდარტი, კურიკულუმის მიზნები და თქვენი ოთახის ფიზიკური მახასიათებლები. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, ისეთი მასალით აღჭურვილი, რომ ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს,

კვლევა წაახალისოს, შემოქმედებითობასა და მათ სოციალიზაციას შეუწყოს ხელი, ემოციური კომპეტენციები განუვითაროს, ჯგუფის ერთობას გაუსვას ხაზი, ბავშვებს შორის თანამშრომლობა წაახალისოს. ბავშვის განვითარების სტანდარტისა და პროგრამის ხარისხის სტანდარტის ანალიზის შედეგად კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯგუფის ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებაში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ძირითადი პრინციპები ჯგუფის ოთახის მოსაწყობად:

1. ჯგუფის ავეჯი უნდა იყოს ხის ფაქტურის, ბავშვის სიმაღლის შესაბამისი.
2. ჯგუფის რესურსის უმეტესობა ღია და ბუნებრივი უნდა იყოს.

BOX: ღია რესურსი - ბავშვის შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განსავითარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია მასალების გამოყენება, როგორიცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი - კორპის საცობი, ბოთლის სახურავი, რბილი მავთული, იოგურტის ქილები, სამზარეულოს ქაღალდის მუყაოს ცილინდრი, მუყაოს ყუთები და ა.შ.

3. რესურსი უნდა იყოს ორგანიზებული, მარტივად ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის და შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რათა ბავშვებმა იცოდნენ, სად დააბრუნონ მასალები.
4. ჯგუფის გარემო მყუდრო უნდა იყოს, შეიცავდეს სახლის ელემენტებს (ვაზა, ფარდები), სიმყუდროვის ელემენტებს (სავარძელი, ხალიჩა), ნეიტრალურ ტონებში (კედლები, ფარდები).

5. გარემო უნდა იყოს მოქნილი და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მასში ცვლილებები შეიტანოთ და თამაშის შესაბამისად შეცვალოთ, ახალი რესურსით გაამდიდროთ, საჭიროებისამებრ ავეჯი გადააადგილოთ და ა.შ.
6. ჯგუფი უნდა იყოს მოწყობილი ცენტრებად, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ბავშვებს, დაკავდნენ მათივე არჩეული მრავალფეროვანი თამაშებით.

ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილებების უზრუნველსაყოფად ცენტრების რაოდენობა და ფუნქციები უნდა გამომდინარეობდეს თამაშის ტიპებისგან, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შეთავაზებული საბავშვო ბაღში. ცენტრები ისე უნდა დაიყოს და მოეწყოს, რომ თითოეული ტიპის თამაში ხელმისაწვდომი იყოს ბავშვებისათვის (მეტი ინფორმაციისთვის თამაშის ტიპებზე იხ. თავი 4). ქვემოთ მოცემულია ყველაზე ხშირად გამოყენებული ცენტრების ჩამონათვალი და მათი მოწყობისათვის საჭირო ავეჯი და რესურსი:

დრამატული თამაშების სივრცე

დრამატული სივრცე როლური, წარმოსახვითი თამაშების ადგილია. ეს სივრცე, ბავშვების თამაშის თემატიკის შესაბამისად, ადვილად უნდა გადაეწყოს. ამ სივრცეში ბავშვებმა უნდა შეძლონ როგორც რეალური, ცხოვრებისეული სიტუაციების, ისე წარმოსახვითი, ფანტაზიით შექმნილი ამბების განსახიერება. დაგჭირდებათ ისეთი ავეჯი, რომელიც სხვადასხვა ყოფითი სიტუაციების გათამაშების საშუალებას მისცემს ბავშვებს - სამზარეულოს ავეჯი, მაგიდა, სკამები, თეჯირი და ა.შ.

საჭირო რესურსი - დრამატულ ცენტრში დაგჭირდებათ სხვადასხვა სეზონის ტანსაცმელი და აქსესუარები, სათამაშო ჭურჭელი, ხილი და ბოსტნეული, ნამდვილი, ძველი ნივთები სათამაშოდ (ძველი ტელეფონი, რადიო, კედლის საათი და ა.შ). ცნობისმოყვარეობის გა-

საღრმავებლად შესაძლებელია სხვადასხვა არტეფაქტების შეტანა - სხვადასხვა პროფესიების ატრიბუტიკა, ბავშვებისთვის უცხო ყოფითი ნივთები და ა.შ

ხელოვნების სივრცე

ხელოვნების სახელოსნოში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ხატვის, ძერწვის, კოლაჟების, მაკეტების დამზადების საშუალება და, ზოგადად, ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების შექმნის საშუალება. ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, ამ სივრცეში როგორც იატაკი, ასევე ავეჯი, ადვილად უნდა სუფთავდებოდეს სველი წესით. აუცილებელი ავეჯია: დაბალი, ღია თაროები (რესურსის შესანახად), მაგიდა, სკამები, მოლბერტი.

საჭირო რესურსი - ხელოვნების სივრცე საუკეთესო ადგილია კურიკულუმის მიზნების - ცნობისმოყვარეობის, შემოქმედებითობის, კვლევითი უნარების გასავითარებლად. გამოიყენეთ სხვადასხვა ზომის ფუნჯი, სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი, სხვადასხვა სახეობის საღებავი, სხვადასხვა ფაქტურის საძერწი მასალა, ბუნებრივი და მეორადი მასალა კოლაჟისთვის, სამგანზომილებიანი ქანდაკებებისთვის და ა.შ.

კვლევების სივრცე

კვლევების ცენტრი ასევე ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ამ კურიკულუმის მიზნების მისაღწევად. ცენტრის მოსაწყობად საჭირო ავეჯია: მაგიდა, სკამები, დაბალი თარო, ან დაბალი, ღია კარადა ექსპერიმენტებისთვის საჭირო მასალის შესანახად. ისევე, როგორც ხელოვნების სივრცეში, იატაკი და ავეჯი აქაც ადვილად უნდა იწმინდებოდეს სველი წესით.

საჭირო რესურსი: ცნობისმოყვარეობის გასაღრმავებლად, კვლევების ცენტრში აუცილებლად უნდა იყოს მასალა, რომლის თვისებებზე დაკვირვების საშუალებაც ბავშვებს

ექნებათ. მასალა, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგალითად, ბუნებრივი მასალების კოლექციები: კურკების, სხვადასხვა ფრინველის ბუმბულის, სხვადასხვა ხის ფოთლების, ნიჟარების, კენჭების და ა.შ. ასევე, ექსპერიმენტებისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთიერებები: თხევადი მასალები, ფხვიერი მასალები, დაშლილი ტექნიკის ნიმუშები და ა.შ.

სენსორული სივრცე

სენსორული სივრცე ის ადგილია, სადაც ბავშვებს სენსორული თამაშების საშუალება აქვთ. ეს სივრცეც აუცილებლად ადვილად უნდა სუფთავდებოდეს სველი წესით. შესაძლებელია სენსორული მაგიდის გამოყენება, ან სენსორული კონტეინერის პირდაპირ იატაკზე მოთავსება.

საჭირო რესურსი: დასაკვირვებლად და საკვლევად სენსორული მაგიდა/კონტეინერი შეგიძლიათ, რომ პერიოდულად სხვადასხვა მასალით გაავსოთ. ესენია: კინეტიკური ქვიშა, უბრალო ქვიშა, მანანის ბურღული, წყალი, საკვები საღებავით შეფერილი წყალი, ყინულის ნატეხები და ა.შ. ამავე დროს, ძირითადი მასალის (ქვიშა, წყალი და სხვ.) შესაბამისად, სათამაშოებიც დაგჭირდებათ, მაგალითად, მცირე ზომის პლასტმასის ფიგურები, ნიჩბები, ძაბრები და ა.შ.

კუბურების სივრცე

კუბურების სივრცეში ავეჯი არ არის საჭირო, მხოლოდ მოზრდილი ხალიჩა ან იატაკზე დასაფენი გვჭირდება, რათა ბავშვებმა კუბურებით მშენებლობის თავისუფლად გაშლა შეძლონ. მასალა შესაძლებელია მოთავსდეს კონტეინერებში, დიდი ზომის ყუთებში, რომლებიც შეიძლება, რომ პირდაპირ ხალიჩაზე დავდგათ, ან ღია თაროებზე მოვათავსოთ.



საჭირო რესურსი: სხვადასხვა ზომის კუბურები, ბუნებრივი მასალა: გირჩები, დიდი ზომის ნიჟარები, ქვები, ხის ნაჭრები, ბამბუკის ჯოხები, ტოტები და ა.შ.

სამაგიდო თამაშების სივრცე

სამაგიდო თამაშების სივრცე საუკეთესო ადგილია მათემატიკური უნარების, წვრილი მოტორული უნარების და ა.შ. გასავითარებლად. სივრცის მოსაწყობად საჭიროა მაგიდა, რომელზეც 4-6 ბავშვი შეძლებს თამაშს და, ასევე, დაბალი თარო - რესურსის შესანახად.

საჭირო რესურსი: ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისი, სხვადასხვა ტიპის სამა-



გიდო თამაშები - მემო, ლოტო, მოზაიკა, დომინო; ასევე, ბუნებრივი და მეორადი მასალა - დასათვლელად, დასახარისხებლად, გასაზომად და ა.შ.

წიგნიერების სივრცე

წიგნიერების სივრცეში ბავშვები ასაკის შესაბამის ლიტერატურას ეცნობიან, ათვალიერებენ სურათებიან წიგნებს. მნიშვნელოვანია ამ ადგილის მყუდროდ მოწყობა, რათა სივრცე ბავშვებისთვის მიმზიდველი იყოს და მეტად დაინტერესდნენ წიგნებით. პატარა ხალიჩა ან რბილი იატაკი, ბალიშები, რბილი სავარძელი, დამატებითი განათება, დაბალი თარო ან დიდი ზომის ყუთი წიგნებისთვის - ეს რესურსი დაგეხმარებათ ცენტრის მოწყობაში.

საჭირო რესურსი: საბავშვო დასურათებული სხვადასხვა ჟანრის წიგნები, ხმოვანი წიგნები, ნახატიანი წიგნები სიტყვების გარეშე, სამგანზომილებიანი წიგნები, თქვენი და ბავშვების მიერ დამზადებული წიგნები და ა.შ.

მოძრაობის სივრცე

ამ სივრცეში ბავშვები თამაშობენ მოძრავ და მუსიკალურ თამაშებს: ცეკვავენ, კოტრიალობენ, დაძვრებიან დახტიან, დარბიან და ა.შ. ეს საუკეთესო ადგილია ბავშვის მოტორული უნარებისა და მეტყველების განსავითარებლად.

სივრცე განმარტოებისთვის

ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, ჯგუფში უნდა გვქონდეს განმარტოების, ე.წ. პრივატული თამაშების სივრცე, სადაც მაქსიმუმ 2-3 ბავშვი დაეტევა. ეს შეიძლება იყოს კარავი, სათამაშო სახლი ან უბრალოდ, ქსოვილით გადახურული, შემოსაზღვრული ადგილი ხალიჩაზე მოთავსებული ბალიშებით.

საჭირო რესურსი: წყნარ სივრცეში საგანგებო რესურსი არ გვჭირდება. ბავშვებმა, თამაშის მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლიათ, თავად შეიტანონ მასალა, იქნება ეს წიგნი - დასათვალიერებლად, თუ თოჯინა - დასაძინებლად.

წრეზე შეხვედრების სივრცე

ამ სივრცის მოსაწყობად შეარჩიეთ ოთახში ადგილი, სადაც დიდი ზომის ხალიჩას მოათავსებთ. გაითვალისწინეთ, რომ ხალიჩაზე ყველა ბავშვი უნდა დაეტიოს. თუ ოთახის ფა-

რთი ასეთი ცენტრის ცალკე გამოყოფის საშუალებას არ გაძლევთ, შესაძლებელია, წრეზე შეხვედრების ადგილად კუბურების ცენტრი გამოვიყენოთ.

საჭირო რესურსი: სპეციფიკური რესურსი წრეზე შეხვედრების ცენტრს არ სჭირდება. შეხვედრის მიზნებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოებისთვის საჭირო მასალა შესაძლებელია სხვა ცენტრებიდან გადმოვიტანოთ. ამ ცენტრის ახლოს, კედელზე, შესაძლოა გვქონდეს ვიზუალური განრიგის ბარათები, ჯგუფის ვიზუალური წესები, ვიზუალური კალენდარი და სხვ.

ჯგუფის ოთახის ზომიდან გამომდინარე, მასში შესაძლოა, ზემოთ ჩამოთვლილ 10 სივრცეზე ნაკლები ან მეტი ცენტრი იყოს. შესაძლოა, არ გამოყოთ განცალკევებული ცენტრი კულინარიული თამაშებისათვის, რომელსაც აღმზრდელი პერიოდულად წაახალისებს

და არა ყოველდღიურად და ამ ტიპის თამაშების/აქტივობების განხორციელებისას რომელიმე არსებული ცენტრი გამოიყენოთ (ხელოვნების ან სამაგიდო). შესაძლებელია, ოთახის ზომიდან და სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე, აღმზრდელების ჯგუფმა გადაწყვიტოს ერთ ცენტრში მოთავსება რამდენიმე ტიპის თამაშის, რომლებსაც საერთო მახასიათებლების მქონე სივრცე სჭირდებათ, (მაგალითად, კონსტრუქციული თამაშებისა და მუსიკალური და რიტმული თამაშების ან წიგნიერებისა და განმარტოების სივრცეები არ მოაწყოთ განცალკევებით, არამედ ერთ სივრცედ აქციოთ, რომელიც ორივე ფუნქციის მატარებელი იქნება.). ფიზიკური გარემოს მოცემულობების მიხედვით, ასევე შესაძლებელია, უფრო დაავიწროოთ სივრცის ფუნქცია და შესაბამისად გამოყოთ რამდენიმე სივრცე. მოაწყოთ უფრო მეტი ცენტრი, მაგალითად, სინათლის მაგიდის ცენტრი, პატარა ფიგურების სახლის ცენტრი, თოჯინების თეატრის ცენტრი და სხვა.

BOX: გაითვალისწინეთ, ჯგუფში სივრცეები ისე უნდა გადაანაწილოთ და მოაწყოთ, რომ ბავშვებისთვის სათამაშო ადგილების რაოდენობა იყოს არანაკლებ ბავშვების რაოდენობას დამატებული ამ რაოდენობის ერთი მესამედი (Rა=Rბ + Rბ/3; სადაც Rა არის სათამაშო ადგილების რაოდენობა, მხოლოდ Rბ - ბავშვების რაოდენობა). მაგალითად, მანანასთან ჯგუფში 20 ბავშვია, შესაბამისად, მანანამ გამოთვალა მინიმალური სათამაშო ადგილების რაოდენობა, რომელიც ჯგუფში უნდა ჰქონდეს - 27 ადგილი (20+(20/3)=26,67). შესაბამისად, ცენტრები ისეთნაირად მოაწყო, რომ მიეღო ხელოვნებაში 6 ადგილი, სამაგიდოში - 4 ადგილი, დრამატულში - 6 ადგილი, კუბურებში - 5 ადგილი, მეცნიერებაში - 2 ადგილი, წიგნიერებაში - 1 ადგილი, სენსორულში - 4 ადგილი. რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს მუდმივად ექნებათ შესაძლებლობა, არჩევანი გააკეთონ სხვადასხვა ტიპის თამაშებსა თუ აქტივობებს შორის და მარტივად მოხდეს ცენტრებს შორის მათი როტაცია.

განსხვავებები ფიზიკურ გარემოში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ფიზიკური გარემოს მოწყობისას უნდა გაითვალისწინოთ ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელთანაც მუშაობთ. შესაბამისად, მაგალითად 2-იდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებთან - მათი სიმაღლის შესაბამისი ავეჯი დაგჭირდებათ, ხოლო 4-5-წლიანებთან - მათი ფიზიკური მახასიათებლების შესაბამისი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ცენტრები განსხვავებული ზომის უნდა იყოს, მაგალითად, 2-3-წლიანებთან განსაკუთრებით აქტუალურია სენსორული სივრცე. ასევე, სჭირდებათ ადგილი, სადაც პატარები იმოძრავებენ, იძრომიალებენ. შესაბამისად, ამ ასაკობრივი ჯგუფებისთვის ეს ორი სივრცე შესაძლებელია უფრო მეტ ადგილს იკავებდეს, ვიდრე სხვა ასაკობრივ ჯგუფებში. დრამატული ცენტრი კი შესაძლებელია, არ იყოს ისეთი დიდი, როგორც, მაგალითად, 4-6-წლიანებთან, სადაც დრამატული თამაში ძალიან აქტუალურია და ბავშვებს დიდი ადგილი სჭირდებათ მის გასაშლელად. პატარებთან შესაძლოა, მეცნიერების ცენტრი სენსორულმა სივრცემ ჩაანაცვლოს, სადაც ბავშვებს კვლევითი უნარების განვითარების საშუალება სენსორული მასალით ექნებათ, ხოლო 4-5 და 5-6-წლიანებთან, მეცნიერების ცენტრისთვის, საკვლევად უფრო მრავალფეროვანი მასალაა საჭირო. ამ ასაკში მეცნიერული თამაშები კიდევ უფრო რთული ხდება და ბავშვები „ჩანაწერებისა“ და გრაფიკების აგებას იწყებენ. ასევე ამ ასაკში იწყება წესებიანი

თამაშებისთვის საჭირო უნარების გამომუშავება. სენსო-მოტორული თამაშები კი, წინა ასაკთან შედარებით, მეორე პლანზე გადადის.

5-6-წლიანთა ჯგუფის დრამატული ცენტრი შესაძლებელს უნდა იძლეოდეს, რომ მეტმა ბავშვმა (6-იდან ზემოთ) ითამაშოს ერთდროულად; მეცნიერების ცენტრი მეტ-ნაკლებად იმავე ზომის უნდა იყოს, რაც პატარების ოთახებში, მაგრამ საკვლევად უფრო მრავალფეროვანი მასალაა ხელმისაწვდომი. მასში შესაძლოა, შეგვხვდეს დაკვირვების წიგნაკები, დაფა ჩანაწერებისათვის ან სხვა, ხოლო სამაგიდო ცენტრში წესებიანი სამაგიდო თამაშები გვხვდება, რაც 4-6 ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, ერთად ითამაშონ სამაგიდო თამაში.

მართალია, ღია რესურსი ყველა ასაკის ბავშვისთვის საინტერესო და მიმზიდველია, მაგრამ განსაკუთრებით იზრდება ასეთი რესურსის როლი **შერეულ ასაკობრივ ჯგუფში**. მეორადი და ბუნებრივი მასალის გამოყენება სხვადასხვა ასაკის ბავშვებს საკუთარი უნარების შესაბამისად შეუძლიათ, საგანმანათლებლო რესურსის თაროებზე განლაგებისას, შეეცადეთ, რესურსი სხვადასხვა დონეზე მოათავსოთ: უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი რესურსი ქვედა თაროზე განალაგეთ, ხოლო ზედა თაროზე - შედარებით უფროსებისთვის განკუთვნილი მასალა.

ეზოს მოწყობა

ამ კურიკულუმის მიხედვით, ეზოს ფიზიკური გარემო ისევე უნდა იძლეოდეს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახი. ეზო სპე-

ციფიკურ შესაძლებლობებს სთავაზობს ბავშვებს განვითარებისათვის, ერთი მხრივ, ღია სივრცეა, სადაც ფიზიკური და ხმაურიანი თამაშები და აქტივობები უსაფრთხო და მისაღებია, მეორე მხრივ კი, კვლევისა და აღმოჩენისთვის ბუნებრივი რესურსით სავსეა. შესაბამისად, ბაღის ეზო აუცილებლად უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ და განვითარდნენ. ქვემოთ მოცემულია ეზოში შესაძლო ცენტრების ჩამონათვალი:

ადგილი მოძრავი თამაშებისთვის

ეს არის პატარა მოედანი, ბალახით დაფარული სწორი ადგილი, სადაც ბავშვები დაუბრკოლებლად სირბილს ან მოძრავ თამაშებში ჩართვას შეძლებენ - დაჭერობანა, გაშეშობანა, ფეხბურთი, კალათბურთი, წრეში ბურთი და ა.შ. ეს ის თამაშებია, რომლებიც ასეთ მოედანზე ძალიან კარგად გაიშლება და ბავშვების მსხვილ მოტორულ უნარებს განავითარებს.

საძრომიალო

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, მსხვილი მოტორული უნარები განივითარონ - გაძვრნენ გვირაბში, ჩამოსრიალდნენ, ავიდნენ კიბეზე ან აძვრნენ დახრილ ზედაპირზე, გადაახტნენ წინაღობას და ა.შ. საგანგებოდ შექმნილი ატრაქციონის გარდა, ასეთი საძრომიალო შესაძლოა, მოეწყოს ხის მორების, დიდი საბურავებისა და სხვა მეორადი მასალის გამოყენებით.

მცენარეების ბაღი/ბოსტანი

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები თავად რგავენ მცენარეებს და შემდეგ თავად ზრუნავენ მათზე. ამ სივრცეში მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება, გამოიყენონ ბავშვის შესაფერისი ზომის ნიჩბები, ფოცხები, რათა დაამუშაონ მიწა, დარგონ მცენარეები, შემოუბარონ, მორწყონ და ა.შ.

საქვიშე

ეს არის სწორი ადგილი ბაღის ეზოში, რომელიც მთლიანად დაფარულია ქვიშით. დღის ბოლოს საქვიშე აუცილებლად უნდა გადაიხუროს სპეციალური გადასაფარებლით, რათა სუფთად შენარჩუნდეს. საქვიშეში სათამაშოდ ბავშვებს დასჭირდებათ ნიჩბები, სათლები, ძაბრები და ა.შ. ამ მასალას ბავშვები საქვიშესთან ახლოს მდგარ სათავსოში ინახავენ.

დრამატული თამაშების სივრცეები:

ტალახის სამზარეულო

ეს არის ადგილი, სადაც ბავშვები წყლით, ტალახითა და ეზოში არსებული ბუნებრივი მასალით თამაშობენ. ერთმანეთს ურევენ ეზოში არსებულ ფოთლებს, ჯოხებს, ქვიშას; ამზადებენ ბალახისა და კენჭების „სადილებს“ და ა.შ. ამ სივრცეში გამოგადგებათ სამზარეულოს ძველი ჭურჭელი - ქვაბები, ტაფები, რკინისა და ხის კოვზები და ა.შ.



ქოხი

ხის ტოტებისგან აწყობილ ქოხში, ან ხისგან აწყობილ პატარა ფარდულში, 2-3 ბავშვს საშუალება აქვს, განმარტოვდეს და წყნარი თამაშები ითამაშოს - დაათვალიეროს ჯგუფიდან გატანილი წიგნი, ან თოჯინები დააძინონ. ტალახის სამზარეულოსთან ერთად, ეს, ასევე, არის დრამატული თამაშების ერთ-ერთი ადგილი ეზოში.

სახელოსნოს სივრცე

ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება აქვთ, ხელოვნების აქტივობებით დაკავდნენ, ხატონ, კოლაჟები დაამზადონ და ა.შ. ამისათვის ძველი ხის მაგიდა ან განიერი კუნძი გამოდგება, რომლის ზედაპირზეც ბავშვები იმუშავებენ.

კარგია, თუ ტალახის სამზარეულო და სახელოსნო წყლის ონკანის შორიახლო მდებარეობს, რათა ბავშვებმა თამაშში წყლის გამოყენება შეძლონ.

წიგნიერების სივრცე

წიგნიერების სივრცე ეზოშიც უნდა გვხვდებოდეს, ხოლო წყნარი სივრცეები განმარტოებისათვის ან მშვიდი თამაშებისთვის რამდენიმე უნდა გვხვდებოდეს. სხვადასხვა ადგილას შესაძლოა ეკიდოს ჰამაკები, გაფენილი იყოს პლედები და რამდენიმე წიგნი მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს ეზოში.

სხვა სივრცეების მოწყობა

დარბაზი

ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ბაღის შენობაში დახარჯონ ენერგია: ირბინონ, იხტუნონ, იძრომიალონ. ამისათვის მათ დარბაზი - საგანგებოდ მოწყობილი სივრცე - სჭირდებათ, სადაც სპორტული ინვენტარის გარდა, უბრალოდ, თავისუფლად სარბენი სივრცეც ექნებათ. დარბაზშივე არის შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა, დრამა, ცეკვა თუ იატაკზე ხატვა.

სკოლის შენობაში განთავსებული სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება, უამინდობის შემთხვევაში ისარგებლონ სკოლის სპორტული დარბაზით, თუმცა, აქაც გასათვალისწინებელია, რომ ბავშვები დარბაზს უფროსი ასაკის მოსწავლეებთან არ უნდა იყოფდნენ.

დერეფნები

დერეფანი, საიდანაც ბავშვები ჯგუფში შედიან, მნიშვნელოვანია, ქმნიდეს პოზიტიურ განწყობას, რათა ჯგუფში მოსვლა ბავშვებისათვის სახალისო და საინტერესო იყოს. დერეფანი საერთო გამოსაყენებელი სივრცეა ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც, ამიტომ, ის გათვლილი უნდა იყოს როგორც ბავშვებზე, ასევე მათ მშობლებზე. აქ მშობლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, ბავშვს კომფორტულად დაელოდონ, შესაბამისად, მოსასვენებელი სივრცე მოწყობილი უნდა იყოს სავარძლით, პატარა დაბალი მაგიდითა და საინფორმაციო ბროშურებით. ასევე ამ სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია მშობლებისთვის, ამისთვის შესაძლოა, დაიკიდოს მშობელთა დაფა. ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობის წასახალისებლად ასევე მნიშვნელოვანია, გაკეთდეს საგამოფენო სივრცე, სადაც ბავშვების ნახატები დაიკიდება, სამგანზომილებიანი ნამუშევრები დაიდგმება და პროექტის შემაჯამებელი პლაკატები გამოიფინება. დერეფანი ასევე შესაძლოა გააფორმოთ ისეთი ნივთებითა და პლაკატებით, რომელიც ბავშვის ინტერესს წაახალისებს იმ თემის ირგვლივ, რომლის ირგვლივაც მუშაობთ პროექტის ან თემატური მიდგომის გამოყენებით.

საპირფარეშო

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ თვითმოვლის უნარების განსავითარებლად ამ სივრცეს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. შესაბამისად, საპირფარეშოსაც საგანმანათლებლო პროცესის პერსპექტივიდან უნდა შევხედოთ. საპირფარეშოში ბავშვების სიმაღლის შესაბამისი ზომის ხელსაბანი და ტუალეტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, დამოუკიდებლობის უნარების განსავითარებლად. შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში განსაკუთრებით დაგჭირდებათ სპეციალური საფეხურები, რომელზეც ბავშვები შემოდგებიან საჭიროების შემთხვევაში. გამოაკარით ვიზუალური მინიშნებები ბავშვებისათვის, რომელიც მათ შეახსენებს ტუალეტის მოხმარებისა და ხელის დაბანის საფეხურებს. ასევე მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ თითოეული ბავშვის პირადი სივრცე, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თანატოლების მზერის გარეშე ისარგებლონ ტუალეტით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვისთვის პირადი სივრცის და სხვისი სხეულის პატივისცემის

სწავლებისათვის, რაც მათი ძალადობისგან დაცვის აუცილებელი პირობაა. შესაბამისად, ტუალეტები ერთმანეთისგან ისე უნდა იყოს გამოყოფილი, რომ ბავშვები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, თუმცა ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული უსაფრთხოების საკითხი, რომ უფროსმა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს ბავშვის დახმარება.

სამასწავლებლო

იმისათვის, რომ ჯგუფში მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს განტვირთვის, ჯგუფის გარეთ შეხვედრის, საკუთარ თავზე მუშაობის საშუალება ჰქონდეს, ბაღის შენობაში უნდა გამოიყოს სივრცე უფროსებისთვის, ე.წ. სამასწავლებლო. ეს უნდა იყოს მყუდრო ოთახი, სადაც ყველა აღმზრდელს ექნება თავისი პირადი სივრცე, განთავსდება პროფესიული ბიბლიოთეკა, ექნებათ წვდომა კომპიუტერზე და ინტერნეტზე.

მშობლების სივრცე

ეს არის ადგილი ჯგუფის ფოიეში ან დერეფანში, სადაც მშობლებს საშუალება აქვთ, დაისვენონ, ბავშვს დაელოდონ. ამ სივრცეში, ასევე, ტარდება აღმზრდელისა და მშობლის ინდივიდუალური შეხვედრები. ეს არის მოსასვენებელი სივრცე სავარძლით, პატარა დაბალი მაგიდითა და საინფორმაციო ბროშურებით.

ფიზიკური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინება სკოლაში განთავსებულ სასკოლო მზაობის ჯგუფში

თუ სკოლისათვის მზაობის ჯგუფი სკოლის ტერიტორიაზეა განთავსებული, ფიზიკური გარემოს მოწყობის იგივე პრინციპებსა და მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, რაც ამ თავშია აღწერილი. ოთახში იმავენაირად უნდა იყოს 5-6 წლის ბავშვების მახასიათებლები გათვალისწინებული ცენტრების ზომის განსაზღვრისას და მათი რესურსით აღჭურვისას. სკოლის შენობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფიზიკურ გარემოში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს უნდა მიაქციოთ ყურადღება:

- **ეზო** - სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის ეზოს მოწყობისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, ბავშვების უსაფრთხოების განცდაზე ფიქრი. 5-6-წლიანებისთვის შესაძლოა, შემაფერხებელი იყოს ეზოში თამაში, სადაც მათზე დიდი ასაკის ბავშვები არიან, თამაშობენ და დარბიან. შესაბამისად, მათთვის განკუთვნილი სათამაშო სივრცე ეზოში უნდა იყოს გამოყოფილი, ან მხოლოდ ისეთ დროს უნდა გაიყვანოთ, როდესაც სკოლის მოსწავლეები ეზოში არ არიან. თუ ეზოს გამოყოფას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ ბავშვზე 7 კვ.მეტრი სივრცე უნდა მოდიოდეს. მაგალითად, თუ 20 ბავშვია სასკოლო მზაობის ჯგუფში, ეზოს ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 140 კვ. მეტრისა.
- **საპირფარეშო** - თუ ჯგუფს საკუთარი საპირფარეშო არ აქვს და უწევს, სკოლის სივრცეში საერთო საპირფარეშო გამოიყენოს. მნიშვნელოვანია მისი მოწყობა სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვების საჭიროებების შესაბამისად. საპირფარეშოში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელსაბანი და ტუალეტი, შესაბამისად, მოიმარაგეთ სპეციალური საფეხურები, რომელზეც ბავშვები შემოდგებიან. გამოაკარით ვიზუალური მინიშნებები ბავშვებისათვის. დახაზეთ იატაკზე ბილიკი ოთახიდან საპირფარეშომდე.

- **დერეფანი** - მნიშვნელოვანია, ოთახში შესასვლელი დერეფანი საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყოს. დერეფანი საერთო გამოსაყენებელი სივრცეა ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც, ამიტომ, აქ უნდა იყოს სივრცეები, როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. სკოლის გარემოში ეს შეიძლება თქვენი ჯგუფის ბავშვებისა და მათი მშობლების გარდა ასევე გულისხმობდეს სკოლის სხვა თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებსაც. დერეფანში შესაძლოა განთავსებული იყოს ბავშვების საკიდები, მშობლების მოსაცდელი სივრცე, ბავშვების ნამუშევრების გამოსაფენი სივრცე, საინფორმაციო სივრცე მშობლებისთვის და ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, როგორც სასკოლო მზაობის ჯგუფის შესახებ ასევე ადრეული განათლების შესახებ ზოგადად.

თავი 11. დრო და განრიგი

დროითი გარემო, ანუ განრიგი, საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. განრიგის არსებობა მთლიანად მიმდინარე პროცესის ეფექტურობას უწყობს ხელს და სარგებლის მომტანია როგორც ბავშვისთვის, ასევე აღმზრდელისთვის. განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს, ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. ბავშვები მეტად დაცულად გრძნობენ თავს, აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ და შესაბამისად მოქმედებენ. აღმზრდელებს განრიგი ეხმარება დღის უკეთ დაგეგმვაში, დროის განაწილებაში, შესაბამისი რესურსის დროულად ორგანიზებაში და ა.შ

ვიდრე ამ კურიკულუმის მიხედვით განრიგის შედგენის პრინციპებზე ვისაუბრებთ, განვიხილოთ განრიგის ძირითადი კომპონენტები და მათი ხანგრძლივობა:

მიღება - 20-30 წთ. - ჯგუფის დღე მიღებით იწყება, როცა ბავშვები ჯგუფში ნელ-ნელა იკრიბებიან. ამ დროს მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის გამოვნახოთ დრო, ინდივიდუალურად მივესალმოთ და შევუძღვეთ ოთახში, სადაც საშუალება ექნებათ, მათსავე ინიციირებულ თამაშში ჩაერთონ. ეს თამაში შესაძლოა, სულაც არ იყოს დაკავშირებული მიმდინარე თემასთან, არც კვირის პროექტთან. ბავშვები, უბრალოდ, თავისუფლად იყენებენ ცენტრებში არსებულ რესურსს, ხელახლა იკვლევენ, თამაშობენ. საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ან შესაბამისი ამინდის შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვებს ეზოშიც შევხვდეთ და ეზოშივე გავატაროთ მთლიანი დღე.

დილის შეხვედრა - 5-15 წთ. - მას შემდეგ, რაც მიღება დასრულდება, ანუ ჯგუფის ბავშვები შეიკრიბება, დგება დილის შეხვედრის დრო. დღის ეფექტურად დაწყებისთვის მნიშვნელოვანია, დილის შეხვედრა ხალისიანად წარვმართოთ. ვიმღეროთ მხიარული მისასალმებელი სიმღერა, ბავშვებს საშუალება მივცეთ, გარედან გამოყოლილი ფიქრები, ემოციები, განცდები ერთმანეთს გაუზიარონ. ყურადღება მივაქციოთ, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. დილის შეხვედრა ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რამდენ ხანსაც ნარჩუნდება ბავშვების ინტერესი.

2-იდან 3 წლამდე ბავშვებთან დილის შეხვედრა შესაძლოა, უბრალოდ მხიარული მისალმებით შემოიფარგლოს, რადგან ამ ასაკში განსაკუთრებით რთულია ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა. 3-4-წლიანებთან დილის შეხვედრა შესაძლოა, 5 წუთს გაგრძელდეს და ა.შ.

თამაში - 45-90 წუთი - თამაში კურიკულუმის განრიგის ყველაზე მსხვილი კომპონენტია. აქ მოიაზრება, როგორც ცენტრებში მიმდინარე მცირე ჯგუფებში თამაში, ასევე - დიდი ჯგუფის საქმიანობები, მაგალითად, შეიძლება იყოს ვარჯიში, ახალი თემის წარდგენა, განსხვავებული რესურსის გაცნობა, მუსიკალური თამაშები, მოძრავი თამაშები და ა.შ. აღმზრდელი თავად გადაწყვეტს ამ აქტივობების სიხშირეს, ყოველდღიურობას და ამას ასახავს თავის მიმდინარე გეგმაში (იხ. თავი „დაგეგმვა“). ასევე, საგანმანათლებლო პრო-

ცესის განხორციელებისას ისე გაანაწილებს საქმიანობებს, რომ დაცული იყოს ბალანსი აღმზრდელის მიერ წარმართულ და ბავშვის მიერ ინიციირებულ, ასევე, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის. განრიგის ეს კომპონენტი მოქნილია, აღმზრდელი ბავშვების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მოქმედებს - მიჰყვება, ან ცვლის წინასწარ შემუშავებულ გეგმას.

წიგნის დრო 10-20 წთ. - გარდა თამაშის კომპონენტის დროს წიგნიერების ცენტრში დაინტერესებულ ბავშვებთან (მცირე ჯგუფში) წიგნის კითხვისა, მნიშვნელოვანია, დღეში ერთხელ წიგნის კითხვის დრო იყოს გამოყოფილი, როდესაც სრული ჯგუფი შეიკრიბება და მოუსმენს აღმზრდელს, განსაკუთრებით 4-6 წლის ბავშვებთან. უფრო პატარა ასაკის ბავშვებთან მხოლოდ მცირე ჯგუფებში კითხვაც საკმარისია.

ეზო - მინიმუმ 1 საათი - განრიგის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეზოს დრო. ეზოში აუცილებლად ყოველდღე, მინიმუმ ერთი საათით, ნებისმიერ ამინდში (გარდა ძლიერი ქარისა და თავსხმა წვიმისა) უნდა გახვიდეთ. თუმცა, განრიგში საგანგებოდ დროის გამოყოფა არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ დროს შეიძლება ეზოში გასვლა. შესაბამისი ამინდის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესმა შესაძლებელია, მთლიანად ეზოში გადაინაცვლოს. უამინდობის შემთხვევაში კი, ეზოს მოძრავი თამაშების ნაცვლად, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დარბაზში ირბინონ, იხტუნონ და იძრომიალონ.

გადასვლები 5-15 წთ - შესაძლოა, ჯგუფის განრიგში არ ჩავწეროთ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ განრიგის სხვადასხვა კომპონენტებს შორის არსებული სიცარიელე სწორედ „გადასვლაა“ და თუ დავითვლით, აღმოვაჩენთ, რომ განრიგში გადასვლებს საკმაოდ დიდი დრო უკავია. განრიგის ერთი კომპონენტიდან მეორეზე გადასვლა ბავშვებისთვის უმტკივნეულოდ, ორგანიზებულად, თამაშის ელემენტების გამოყენებით უნდა მოხდეს. ამისათვის, მნიშვნელოვანია, გადასვლები წინასწარ დაიგეგმოს, რათა არ გაიწელოს და ბავშვებს დიდხანს ლოდინი არ მოუწიოთ. აღმზრდელი წინასწარ მოიფიქრებს გადასვლის შესაბამის სიმღერას, თამაშს.

აქტივობიდან-აქტივობაზე გადასვლის (ტრანზიციის) ვიდეო მაგალითები იხ. აქ:

კვება - 30 წთ. - კვების პროცესის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, ბავშვებმა სუფრის გაწყობაში მიიღონ მონაწილეობა. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს სასადილო სივრცე ცალკე არ აქვს,

კვების პროცესი ცენტრებში განლაგებულ მაგიდებთან მიმდინარეობს. აღმზრდელები ბავშვებთან ერთად სხედან და მიირთმევენ, რითაც მაგალითს აძლევენ ბავშვებს.

კვების პროცესის ამსახველი ვიდეო მაგალითი იხ. აქ:

ძილი - დღის განრიგში ძილის კომპონენტის ქონა ან არ ქონა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გვჭირდება წინასწარი განწყობის და რუტინის ჩამოყალიბება ყოველდღიურობაში და არა იმასთან, უნდა მივცეთ თუ არა ბავშვებს დაძინების საშუალება. ბავშვი ძალით არ უნდა დავაძინოთ და გავაღვიძოთ და არც ფხიზლად ვამყოფოთ, თუ ძილი ჭირდება. თუ, ჯგუფში ბავშვების უმრავლესობა იძინებს, მაგრამ რამდენიმე - არა, მათ, სხვების ძილის დროს, შესაძლებლობა უნდა მივცეთ, წყნარი თამაშით დაკავდნენ. ძილი მხოლოდ იმ ჯგუფების დღის განრიგის კომპონენტად ითვლება, რომელშიც ბავშვების ნაწილი ყოველდღიურად იძინებს. შესაბამისად, 2-3-წლიანთა ჯგუფის დღის განრიგში აუცილებლად შეგვხვდება ეს კომპონენტი, შესაძლებელია 3-4-წლიანთა და შერეულ ასაკობრივ ჯგუფებისაშიც. თუმცა, 4-5-წლიანთა და 5-6 წლიანთა ჯგუფებში ძილი არ არის დღის განრიგის კომპონენტი.

ძილისთვის მომზადების ვიდეო მაგალითი იხ. აქ:

საღამოს წრე 10-15 წთ. - საღამოს წრეზე ბავშვებს საშუალება აქვთ, შეაჯამონ განვლილი დღე, მიმდინარე თემა, საქმიანობები. ისაუბრონ იმაზე, რომელი თამაში მოეწონათ ყველაზე მეტად, რით იყო ეს დღე გამორჩეული, რა არ მოეწონათ. საღამოს წრეზე შესაძლებელია მომდევნო დღის გეგმების განხილვა.

წასვლა 20-30 წთ. - წასვლა, ისევე როგორც მოსვლა, ბაღის რუტინის ნაწილია. წასვლისას მნიშვნელოვანია, ბავშვის მშობელს გავუზიაროთ მიმდინარე დღის შესახებ. ასევე, არ გამოგვრჩეს არც ერთი ბავშვი და თითოეულს ინდივიდუალურად დავემშვიდობოთ.

განრიგის კომპონენტები სკოლისათვის მზაობის ნახევარდღიან ჯგუფებში

მიღება - 20-30 წთ. - აქაც, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ გარემოში, მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის გამოვნახოთ დრო, ინდივიდუალურად მივესალმოთ და მივცეთ საშუალება, თავისუფლად იურთიერთონ ერთმანეთთან და იკვლიონ ჯგუფში არსებული მასალები.

დილის შეხვედრა - 15-20 წთ. - ამ ასაკობრივ ჯგუფში დილის შეხვედრა შესაძლოა, 20 წუთამდეც გაგრძელდეს, თუმცა მთავარი პრინციპი ამ შემთხვევაშიც ძალაშია - ვაგრძელებთ იმდენ ხანს, რამდენი ხანიც ნარჩუნდება ბავშვების ინტერესი.

თამაში - 60-90 წუთი - ამ ასაკში ბავშვების თამაშის მდგრადობა და ხანგრძლივობა გაზრდილია. მათ მიერ ინიციირებული, რომელიმე დრამატული თამაში ბავშვების ჯგუფმა შესაძლოა მთელი საათიც კი ითამაშონ, სხვა ჯგუფმა ან რომელიმე ბავშვმა შესაძლოა, საკმაოდ დიდი ხანი დაჰყოს კუბურების ან მეცნიერების ცენტრში. ეს არის ასევე თქვენ მიერ შეთავაზებული აქტივობების, თამაშებისა და გამოწვევების დროც, სადაც წაახალისებთ მათ კვლევა-აღმოჩენით და პრობლემის გადაჭრის უნარებს, მეტად გაუღვივებთ ინტერესს მათემატიკური ცნებებისა და ნაწერების მიმართ, მისცემთ საშუალებას, ითამაშონ სამაგიდო თამაშები, ააწყონ თავსატეხები ისწავლონ წესებზე შეთანხმება და ა.შ. ამ მონაკვეთში მნიშვნელოვანია, დაიცვათ ბალანში თქვენ მიერ შეთავაზებულ აქტივობებსა და ბავშვების მიერ ინიციირებულ აქტივობებს შორის.

ეზო - მინიმუმ 30 წუთი - ცხადია, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ 5-6 წლის ასაკის ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ საშუალება, ლაღად ითამაშონ ეზოში და ფიზიკურად განვითარდნენ.

წიგნის დრო 20 წთ - თუ ბავშვებისთვის საინტერესოდ შერჩეულ წიგნების კითხვისას ბავშვებთან დიალოგში ხართ და მათი გამოთქმული აზრებით ინტერესდებით, წიგნის კითხვისთვის გამოყოფილმა 20-მა წუთმა შესაძლოა ძალიან სწრაფად ჩაირბინოს.

შემაჯამებელი წრე 15-20 - ეს კარგი დროა ამ დღის თემასთან ან პროექტთან დაკავშირებული გამოცდილებების შესაჯამებლად.

წასვლა 20-30 წთ - ამ ასაკის ბავშვებსაც ძალიან სჭირდებათ თქვენი ინდივიდუალური ყურადღება და იმის დანახვა, რომ ყველა მათგანის მშობელთან პოზიტიურ კომუნიკაციას ინარჩუნებთ.

განრიგის შემუშავების პრინციპები

როგორი უნდა იყოს ჯგუფის განრიგი ამ კურიკულუმის მიხედვით? ქვემოთ მოცემულია სტრატეგიები ოპტიმალური განრიგის შესამუშავებლად, რომლებიც ამ კურიკულუმის ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა:

- **განრიგის კომპონენტები** - დღის განრიგში ისეთი კომპონენტები უნდა შედიოდეს, რომელიც ბავშვს მიუთითებს ცვლილებებს გარემოში ან მის ქცევაში. ზემოთ მოცემული კომპონენტები არის ამ კურიკულუმის ძირითადი კომპონენტები, რომელიც, როგორც ითქვა, აუცილებლად ან კონკრეტულ შემთხვევებში უნდა იყოს დღის განრიგის ნაწილი. კონკრეტულ ბაღებს შესაძლებელია ასევე დამატებით ჰქონდეთ სხვა კომპონენტები, მაგალითად, მუსიკა ან/ ცეკვა.
- **განრიგის კომპონენტების ხანგრძლივობა** - ჩამონათვალში მოცემული დროები საორიენტაციოა, ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად, თითოეული კომპონენტი პატარა ასაკში უფრო მოკლე უნდა იყოს და ასაკის ზრდასთან ერთად - უფრო ხანგრძლივი. მთავარი გზა, რომ სწორად განსაზღვროთ თითოეული კომპონენტის ხანგრძლივობა, არის ბავშვებზე დაკვირვება: ჰყოფნით ის დრო, რომელიც გამოყოფილია? გიწევთ ბავშვების დაჩქარება? რომელიმე კომპონენტის ბოლო პერიოდში იზრდება კონფლიქტებისა და რთული ქცევის რაოდენობა?
- **ბალანსის დაცვა** - განრიგის შემუშავებისას და ასევე, საკუთარი პრაქტიკის განხორციელებისას, აღმზრდელი ფიქრობს ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა: **ბალანსის დაცვა აღმზრდელის მიერ ინიციირებულ და ბავშვის მიერ ინიციირებულ თამაშებს შორის, ბალანსის დაცვა წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.**
- **ბავშვის საჭიროებებზე მორგება -** განრიგი გამოყენებული უნდა იყოს რუტინის ჩამოყალიბების მიზნით, თუმცა აღმზრდელმა ცვლილებები უნდა შეიტანოს საგანმანათლებლო მიზნების, ბავშვების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. მაგალითად, შესაძლოა, გადაწყვიტოს, რომ წრეები, წიგნის დრო წასვლა ან/და მოსვლა ეზოში განახორციელოს. ეს ცვლილებები ასახული უნდა იყოს ბავშვებთან გამოყენებულ ვიზუალურ განრიგში და ბავშვები წინასწარ გააფრთხილონ ცვლილებების შესახებ.
- **ვიზუალური დღის განრიგის შემუშავება -** იმისათვის, რომ ჯგუფის განრიგი ბავშვებისთვისაც ნათელი და თვალსაჩინო იყოს, აუცილებელია ვიზუალური განრიგის შემუშავება. მოძებნეთ ვიზუალური განრიგის ილუსტრაციები ინტერნეტით, თავად დახატეთ მარტივი, ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი ნახატები, ან ბავშვებს სთხოვეთ, დახატონ. ასევე შეგიძლიათ, გადაიღოთ ფოტოები ბავშვების მოსვლის, თამაშის პროცესში, ეზოში და სხვა. შემდეგ ამ ფოტოებს შესაბამისი წარწერები დაურთეთ და დაამზადეთ ვიზუალური განრიგი, რომელსაც ბავშვების სიმაღლეზე მოათავსებთ და მუდმივად გამოიყენებთ. მუყაოსგან გამოჭერით ისარი, რომელსაც ბავშვები ხის სარჭით დაამაგრებენ იმ კომპონენტზე, რომელიც მიმდინარეობს.
- კარგი იქნება, თუ 5-6 წლიანთა ჯგუფში ვიზუალური დღის განრიგის კომპონენტებს ასევე დაურთავთ საათის ამსახველი სიმბოლოებს და დღის განრიგთან ახლოს ჩამოკიდოთ საათს, რომ ბავშვებმა დროის გასვლა საათთან დააკავშირონ.

ქვემოთ მოცემულია ოპტიმალური განრიგის ნიმუშები (ცხრილები 18 და 19):

ცხრილი 18. განრიგი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში

	ადრეული განათლების დაწესებულება		3-4-წლიანები		4-5-წლიანები
9:00 – 9:30	მიღება	**9:00 – 9:30**	მიღება	**9:00 – 9:30**	მიღება
9:30- 9:40	დილის შეხვედრა	**9:30- 9:45**	დილის შეხვედრა	**9:30- 9:4**	დილის შეხვედრა
9:40-10:10	საუზმე	**9:45-10:15**	საუზმე	**9:45-10:15**	საუზმე
10:10-11:10	თამაში	**10:15-11:20**	თამაში	**10:15-11:20**	თამაში
11:10-12:10	ეზოში თამაში	**11:20-12:20**	ეზოში თამაში	**11:20-12:20**	ეზოში თამაში
12:10-13:00	თამაში	**12:20-13:30**	თამაში	**12:20-13:30**	თამაში
13:00-13:30	სადილი	**13:30-14:00**	სადილი	**13:30-14:00**	სადილი
13:30-16:00	ძილი	**14:00-15:00**	ძილი/თამაში	**14:00-15:00**	ძილი /თამაში
16:00-16:30	სამხარი	**15:00-16:00**	ეზო	**15:00-16:00**	ეზო
16:30-17:30	თამაში	**16:00-16:30**	სამხარი	**16:00-16:30**	სამხარი
17:30-18:00	წასვლა	**16:30-17:30**	თამაში/ეზო	**16:30-17:30**	თამაში/ეზო
		17:30-18:00	წასვლა	**17:30-18:00**	წასვლა

ცხრილი 19. განრიგის ნიმუში ნახევარდღიანი ჯგუფებისთვის

9:00 – 9:20	**მიღება**
9:20 - 9:35	დილის შეხვედრა
9:35 - 10:35	თამაში
10:40 - 11:10	ეზო
11:15 - 11:30	წიგნის დრო
11:30-12:30	თამაში
12:30 - 12:40	შემაჯამებელი შეხვედრა
12:40 - 13:00	წასვლა

ნაწილი 5 - შეფასება, დაგეგმვა, რეფლექსია

თავი 12. დანახვა, ჩანიშვნა, დაფიქრება

BOX: რეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე, საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი.

თვითცნობიერება - ცნობიერი ცოდნა საკუთარი მახასიათებლების, შეგრძნებების, მოტივებისა და სურვილების შესახებ.

ჩანართი

ბავშვის პორტფოლიო

ბავშვის პორტფოლიო ბავშვის გამოცდილებების და ნამუშევრების შეგროვების სისტემაა, რაც მისი განვითარების და სწავლის პროგრესს ასახავს. იგი ბავშვის თამაშის, საქმიანობის მრავალფეროვანი ვიზუალური და აუდიო დოკუმენტებისგან შედგება, ესენია:

- ბავშვის ნამუშევრები: ნახატები, ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვის მიერ წარმოებული ცხრილები და ა.შ.
- აუდიო, ვიდეო ჩანაწერები ბავშვის თამაშის, საუბრის, აქტივობაში მონაწილეობაზე
- აღმზრდელის ჩანაწერები ბავშვის თამაშზე, საუბარზე, აქტივობაში მონაწილეობაზე
- ბავშვის განვითარების კითხვარი
- და სხვა.

ბავშვის პორტფოლიო უნდა წარმოადგენდეს მისი სწავლისა და განვითარების მრავალმხრივ სურათს, რასაც განაპირობებს მასალის მრავალფეროვნება. პორტფოლიოში უნდა აისახოს ბავშვის მიერ შესრულებული მრავალფეროვანი ნამუშევრები, როგორიცაა ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, სიმბოლური ან წერითი ნამუშევრები, ნამუშევრის ფოტოები, თამაშის ვიდეო ჩანაწერები, რაც მის ინდივიდუალურ ინტერესებსა და უნარებს გამოხატავს და იძლევა მისი განვითარებისა და პროგრესის დანახვის შესაძლებლობას. ამ მასალებთან ერთად, მნიშვნელოვანია აღმზრდელის დაკვირვების ჩანაწერები, შევსებული კითხვარები რაც აღწერს ბავშვის ყოველდღიურ ქცევას, ინტერესებს, გამოწვევებს და მიღწევებს. ასევე, პორტფოლიოში შეიძლება შევიდეს მშობლების მიერ შევსებული კითხვარები, რაც დამატებითი ინფორმაციაა ბავშვების ინდივიდუალური მახასიათებლების. რაც უფრო მრავალფეროვანია მასალები, მათ შორის ვიზუალური თუ სიტყვიერი ჩანაწერები, მით უფრო სიღრმისეულად და ზუსტად შეძლებს პორტფოლიო ბავშვის განვითარების პროგრესის ჩვენებას.

აღმზრდელის პორტფოლიო

აღმზრდელის პორტფოლიო შედგება შემდეგი ჩანაწერებისა და დოკუმენტებისგან:

- კალენდარული გეგმები
- ყოველკვირეული გეგმები
- აღმზრდელის სურვილის მიხედვით, რეფლექსური ჩანაწერები, შესაძლოა მიმდინარე (კვირის) კვირის გეგმის ნაწილი იყოს, ან ცალკე გააკეთოს ჩანაწერი
- პრაქტიკაზე დაკვირვების ჩანაწერები და/ან საგანმანათლებლო პროცესის ფოტო, ვიდეო მასალები, შეიძლება ასევე საგანმანათლებლო პროცესის შეფასების კითხვარები, მაგალითად,. ფიზიკური გარემოს შეფასების კითხვარი, ბავშვების ინტერესების ცხრილი და სხვა)
- პროექტთან ან სხვა აქტივობებთან დაკავშირებული მასალები (მაგ. რუკა, ექსკურსიის ფოტოები) და ა.შ.

ვიდეო-მაგალითები პორტფოლიოების წარმოებაზე იხ. აქ:

ამ თავში ჩვენ ჩავუღრმავდებით საგანმანათლებლო პროცესზე და ბავშვებზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკას, მის მნიშვნელობას, მეთოდებს, პროცესებსა და ეთიკურ მოსაზრებებს.

დაკვირვებისა და შეფასების მიზანი

დაკვირვებისა და შეფასების პროცესი ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

1. **ბავშვების განვითარების გაგება:** ბავშვების განვითარების, შესაძლებლობების, ინდივიდუალური თავისებურებების, ინტერესების გაცნობა, დანახვა.
2. **საგანმანათლებლო პროცესის გააზრება:** მრავალმხრივად განმავითარებელი გამოცდილებების შექმნა; აღმზრდელის მიდგომების, სტრატეგიების, თამაშებისა და აქტივობების ბავშვების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგება, ადაპტაცია.
3. **მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან ეფექტური კომუნიკაცია:** ბავშვების პროგრესისა და მხარდაჭერის საჭიროებების შესახებ მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან კომუნიკაცია.

შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში აღმზრდელი აკვირდება:

- როგორც თითოეული ბავშვის განვითარებასა და პროგრესს
  ასევე
  მთლიან საგანმანათლებლო პროცესს.

დაკვირვება-შეფასება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს დაგეგმვას. ამ თავის მესამე ჩანართში მოცემულია, ცხრილი N21, რომელშიც აღწერილია მაგალითები, თუ როგორ იყენებს აღმზრდელი დაკვირვებას კონკრეტული ნაბიჯების დასაგეგმად. მანამდე კი ბავშვსა და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების მეთოდებს გავეცნოთ.

ბავშვებსა და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებისთვის აღმზრდელი მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს უნდა იყენებდეს და მრავალფეროვან ინფორმაციას აგროვებდეს.

ბავშვზე დაკვირვების მონაცემებს აღმზრდელი ათავსებს ბავშვის პორტფოლიოში, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების მონაცემებს კი - აღმზრდელის პორტფოლიოში.

„ნანა აღმზრდელი დაკვირვებისას სხვადასხვა ინსტრუმენტით არის შეიარაღებული და ბავშვებს ხან ინდივიდუალურად და ხან ჯგუფურად აკვირდება სხვადასხვა თამაშებისა და აქტივობების დროს. ნანა მნიშვნელოვან ფაქტებს მაშინვე მოკლედ ინიშნავს. მისი ჩანაწერი მოკლე, ფაქტობრივი და ობიექტურია და აღწერს თითოეული ბავშვის უნიკალურ მახასიათებლებს და განვითარებას. ზოგიერთ ჩანაწერს ნანა აღმზრდელი ბავშვების პორტფოლიოებში ათავსებს, ზოგიერთს - აღმზრდელის პორტფოლიოში. ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვების ნამუშევარსაც გადაუღო ფოტო, რაც პროექტში ბავშვების მონაწილეობას ყველაზე ნათლად აჩვენებდა. ნანა ბავშვებზე დაკვირვებისას ბავშვის განვითარების კითხვარებს იყენებს, რომ ბავშვების განვითარებაზე სრული წარმოდგენა შეიქმნას. ნანა აღმზრდელი ამ მონაცემებსაც ბავშვების პორტფოლიოში ათავსებს. ნანასთვის ბავშვის განვითარების დამატებით მტკიცებულებებს ბავშვების თამაშის ვიდეოები, მათი საუბრის აუდიო ჩანაწერები, ბავშვების ნამუშევრები ან ნამუშევრის ფოტოებიც წარმოადგენს.“

შეფასების პროცესი მოიცავს:

(1) მიმდინარე დაკვირვება-შეფასებას ბავშვებსა და საგანმანათლებლო პროცესზე სხვადასხვა მეთოდებით;

(2) და პერიოდულ შეჯამებას და მშობლებისთვის გაზიარებას, რომელიც წელიწადში მინიმუმ ორი უნდა იყოს, ჯგუფში ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე. თუ ჯგუფში უფროსი/ბავშვების თანაფარდობა 1/12-ია, შემაჯამებელი შეფასებები 3-ჯერაც შეიძლება გაკეთდეს.

დაკვირვება-შეფასების პროცესის ციკლი



...

დეტალურად განვიხილოთ დაკვირვება-შეფასების ციკლის თითოეული კომპონენტი.

ბავშვზე დაკვირვება მრავალფეროვანი მეთოდებით და შეფასება

სანამ ბავშვზე დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს განვიხილავთ, ყურადღება გავამახვილოთ ბავშვზე დაკვირვების ზოგად პრინციპზე.

კითხვარები/ჩეკლისტები. აღმზრდელი ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროებსა და მიმართულებს უნდა დააკვირდეს და არ გამორჩეს არც ერთი სფერო. ამისთვის აღ-

მზრდელს შეუძლია თავად სტანდარტის დოკუმენტი გამოიყენოს, ან შეუძლია ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტზე დაფუძნებული კითხვარების გამოყენება (იხილეთ დანართი 1).

კითხვარების გამოყენების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აღმზრდელი ნაკლებ დროს ანდომებს დასაკვირვებელი უნარების მონიშვნას და. ხელს უწყობს დაკვირვების პროცესის სისტემატიზაციას. ამ მეთოდის გამოყენებით აღმზრდელს შეუძლია დარწმუნდეს, რომ დაკვირვების პროცესში არ რჩება განვითარების სფერო ან ქვესფერო. გარდა ამისა, კითხვარების სტრუქტურირებული ფორმატი საშუალებას იძლევა, მარტივად გამოავლინოს განვითარების საერთო ტენდენციებიც.

მიუხედავად იმისა, რომ კითხვარები სტრუქტურირებული და მარტივად შესავსებია, რაც უპირატესობად ითვლება, არსებობს გარკვეული შეზღუდვებიც. კითხვარის ფორმატი ხშირად ვერ ასახავს ბავშვის ქცევისა და განვითარების სიღრმეს ისე, როგორც ეს შესაძლებელია დეტალურ, ობიექტურ ჩანაწერებში. მეორე შეზღუდვა არის ის, რომ კითხვარი კონკრეტულ ინდიკატორებს ეხება და ვერ ასახავს ამ ქცევის კონტექსტს. დაბოლოს, რთულია, კითხვარებში ჩაეტიოს ბავშვის უნიკალური ქცევები ან უნარები, მაგალითად, ბავშვის კონკრეტული ინტერესები, რომლებიც სტანდარტულ ჩამონათვალში არ არის მოცემული. შესაბამისად, შეზღუდულად ასახავს ბავშვის უნარების მრავალფეროვნებას და პროგრესს. სწორედ ამიტომ, ყველაზე ეფექტური მეთოდების კომბინირებული გამოყენებაა.

აღმზრდელის ჩანაწერები - აღმზრდელი საგანმანათლებლო პროცესის დროს ახორციელებს ბუნებრივ დაკვირვებას. რთულია ამ ფაქტების დამახსოვრება და სისტემაში მოყვანა, თუ არ ხდება ამ ფაქტების დოკუმენტირება, ჩაწერა. ბუნებრივია ყველაფერს, რასაც აღმზრდელი უყურებს ვერ ჩაინიშნავს და არც უნდა ჩაწეროს. მნიშვნელოვანია, დოკუმენტირებისთვის ის ფაქტები შეარჩიოს, რაც ბავშვის თავისებურებებს, მიღწევებს და გამოწვევებს ყველაზე კარგად აღწერს. როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთ შემთხვევაში კითხვარში მონიშნული ინდიკატორი საკმარისად ინფორმაციული არ არის . მაგ. თქვენ შეიძლება მონიშნოთ, რომ ბავშვი ინტერესდება კვლევით და სვამს კითხვებს, მაგრამ რა ტიპის კითხვები დასვა, რით დაინტერესდა, კითხვარში ეს არ გამოჩნდება. აღმზრდელმა დროდადრო, ბავშვების თამაშზე, ურთიერთობებზე, საუბარზე, ქცევაზე დაკვირვებისას, უნდა შეაგროვოს და მოკლედ ჩაიწეროს მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ბავშვის ინდივიდუალურ მიღწევებსა და გამოწვევებს ასახავს. ასეთია, მაგალითად, აღმზრდელის დაკვირვების ობიექტური ჩანაწერები იმის შესახებ, თუ როგორ არის ჩართული ბავშვი კვლევა-აღმოჩენის პროცესში; რას აკეთებს, რას ამბობს, როგორ ურთიერთობს. სოციალურ-ემოციურ სფეროზე დაკვირვებისას, ისევე, როგორც მეტყველებასა და კოგნიტიურ სფეროებზე , შედარებით დეტალური ჩანაწერებით ბევრ საინტერესო მონაცემებს შეაგროვებს აღმზრდელი, რაც შესაბამისი სტრატეგიების მოფიქრებასა და თამაშების დაგეგმვაში დაეხმარება. ჩანაწერებში უნდა ჩანდეს, რას აკეთებს და ამბობს ბავშვი, რასაც მის მიერ შესრულებული ნახატები, ნამუშევრები და ფოტოები გაამყარებს.

ჩანაწერის ფორმატი შეიძლება აღმზრდელმა შეარჩიოს. შეუძლია გამოიყენოს ბლოკნოტი, წებოვანი ან სწრაფი მონიშვნის ფურცლები. აუცილებელი წესია, ჩანაწერში თა-

რიღი, ბავშვის სახელი და დაკვირვების დრო და ადგილის მითითება, რაც შემდგომში ფაქტების დახარისხებას გააადვილებს. აღმზრდელს ჩანაწერების სისტემაში მოყვანაში დაეხმარება, თუ ის ჩანაწერებში მიუთითებს სტანდარტის ან კითხვარის კონკრეტულ ინდიკატორებს, ანუ იმას, თუ რა უნარები ვლინდება ამ ჩანაწერით. დაკვირვების და დოკუმენტირების მეტი ეფექტურობისთვის გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შეუძლებელია ბავშვების ყველა საქმიანობის ჩაწერა და პორტფოლიოში ასახვა. დაკვირვების ფოკუსი ბავშვების ისეთი თამაშები და საქმიანობები უნდა იყოს, სადაც ნათლად ჩანს, როგორ იცვლება ბავშვების სხვადასხვა უნარები, კომპეტენციები და ინტერესი, ან როგორ არ პროგრესირებს ან რეგრესირებს განვითარება.

აუდიო, ვიდეო ჩანაწერები - მონაცემების შეგროვების და ჩაწერის პროცესის გასამარტივებლად აღმზრდელები ტექნოლოგიებსაც იყენებენ. როდესაც შესაძლებელია საუბრის, დიალოგის, თამაშის მნიშვნელოვანი ფაქტების აუდიო, ვიდეო ჩანაწერების გაკეთება, აღმზრდელმა ამ ფორმითაც უნდა შეინახოს ინფორმაცია. თუმცა, მნიშვნელოვანია ამ ჩანაწერების დახარისხება და ელექტრონულ საქაღალდეში (ფოლდერში) შენახვა.

ბავშვის ნამუშევრები - ბავშვის ნამუშევრები არაჩვეულებრივი მტკიცებულებაა იმისა, თუ რას აკეთებს, რას თამაშობს, რას სწავლობს, როგორ ვითარდება და რით ინტერესდება იგი. შეაგროვეთ ბავშვების ნამუშევრები, გადაუღეთ ფოტოები იმას, რისი შენახვაც შეუძლებელია და შეინახეთ ელექტრონულად. ბავშვების ნამუშევრები შეიძლება გაამდიდროთ თქვენი მოკლე ჩანაწერებით: მაგ, რა მოგიყვათ თავის ნამუშევარზე. ბუნებრივია, შეუძლებელია ყველა ნამუშევრის შენახვა, ან შეიძლება ბავშვს სურვილი აქვს რომელიმე ნამუშევრის სახლში წაღების, რა თქმა უნდა, ამის საშუალება უნდა მიეცეს.

საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება

დაკვირვება-შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა არა მხოლოდ ინდივიდუალური ბავშვების პროგრესი განსაზღვრონ, არამედ საგანმანათლებლო პროცესის სხვა გარე ფაქტორებიც განიხილონ, რომლებიც ბავშვების სწავლასა და განვითარებაზე ახდენს გავლენას. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება მიზნობრივი პრაქტიკის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტებია. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება გულისხმობს ბავშვების ჯგუფებზე, თამაშების მიმდინარეობაზე, ფიზიკური სივრცის და რესურსების გამოყენებაზე, აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიებისა და მიდგომების ეფექტურობაზე დაკვირვებას. ის, თუ როდის, რას, რამდენს და რამდენად დეტალურად ჩაინიშნავს, აღმზრდელის გადასაწყვეტია. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებისას მონაცემები აქაც მრავალფეროვანი მეთოდებით გროვდება: აღმზრდელის ჩანაწერები, კითხვარები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, პროექტის მასალები და და სხვა მონაცემები აღმზრდელის პორტფოლიოს ნაწილია.

ცხრილში 20. ნიმუშად მოცემულია დასაკვირვებელი საკითხები და ის კითხვები, რაზეც უნდა გაეცეს პასუხი დაკვირვებისას.

ცხრილი 20. საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება.

რას აკვირდებით	**რას გაძლევთ ეს დაკვირვება რა კითხვებზე უნდა გაეცეს პასუხი**
დღის განმავლობაში ბავშვებზე, მთლიან ჯგუფზე დაკვირვება	• *რა საერთო კომპეტენციები და გამოწვევები ვლინდება ჯგუფში; კურიკულუმის რომელ მიზანზე უნდა იმუშაოთ* • *რა საკითხები და თამაშები აინტერესებთ ბავშვებს უფრო მეტად* • *რით დაინტერესდნენ და ვინ* • *როგორ მუშაობს თქვენ მიერ განსაზღვრული განრიგი* • *დაბალანსებულია თუ არა თამაშები (აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური თამაშები)* • *როგორია ტრანზიციები* • *როდის და როგორ წარმოიშვა პრობლემები ქცევასთან დაკავშირებით*
ბავშვების ჯგუფზე დაკვირვება თქვენ მიერ შეთავაზებული თამაშების დროს	• *რამდენად წარმატებულია თქვენ მიერ დაგეგმილი თამაშები, გამოწვევები, თემა* • *გამოიჩინეს თუ არა თამაშის მიმართ ინტერესი* • *ხალისობდნენ თუ არა* • *მისცა თუ არა ბიძგი უფრო კომპლექსურ თამაშს* • *რამდენ ხანს თამაშობდნენ* • *რამდენი ბავშვი მონაწილეობდა.*
ფიზიკური სივრცეების და რესურსების გამოყენებაზე დაკვირვება	• *როგორ იყენებენ ბავშვები ოთახის გარემოს* • *რომელ სივრცეს იყენებენ და როგორ* • *რა მასალებს იყენებენ და როგორ* • *რა ტიპის თამაშების პროვოცირება ხდება* • *ხომ არ არის სივრცე, რომელსაც თითქმის არ იყენებენ?* • *ხომ არ არის მუდმივი კონფლიქტის წყარო რომელიმე ცენტრი ან ნივთი?*
საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვება	• *რა სტრატეგიებს ვიყენებ* • *რამ იმუშავა* • *საკუთარი მიკერძოებულობის, დამოკიდებულებების გაცნობიერება*

აღმზრდელმა კურიკულუმის მიზნები რომ სწორად გამოყოს, მან უნდა დაინახოს ჯგუფის განვითარების სურათო სურათი, ტენდენციები და ასევე თითოეული ბავშვის განვითარება კურიკულუმის მიზნებთან დაკავშირებული კომპეტენციების მიხედვით. ამისათვის აღმზრდელს შეუძლია, გამოიყენოს - ***დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად*** (იხ. დანართი 2) კონკრეტულ ჯგუფში არსებული სურათის და ტენდენციების ანალიზისთვის. ინსტრუმენტი არ მოითხოვს ფორმალურ შეფასებას, ინსტრუმენტი კურიკულუმის მიზნების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომელშიც კონკრეტულ კომპეტენციებად და ასაკობრივ (2-3, 3-5, 5-6 წლები) ინდიკატორებად არის წარმოდგენილი ქვემიზნები (გაიხსენე კურიკულუმის მიზნები (თავი 2) და მასთან დაკავშირებული განვითარებადი მახასიათებლები. თავები 7,8)).

ინსტრუმენტის გამოყენების ინსტრუქცია: ამობეჭდეთ ინსტრუმენტის ის ნაწილი, რომელიც ჯგუფის ასაკს შეესაბამება. გამოყავით დაკვირვებისთვის რამდენიმე დღე. დააკვირდით ბავშვების თამაშს, ურთიერთობებს, ქცევას და იმ კომპეტენციებს, რომლებიც ინსტრუმენტშია წარმოდგენილი. დაკვირვება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში (შეხვედრები, ცენტრებში თამაში, აქტივობაში ჩართულობა, ბავშვების მიერ ინიციირებული თამაში, რუტინული საქმიანობები, გარე სივრცე) აწარმოეთ. შეიმუშავეთ თქვენთვის მარტივი კოდირება, მაგალითად:

V – ინდიკატორი ჯგუფში ხშირად ვლინდება

S – ზოგჯერ ჩანს

0 – თითქმის არ ჩანს

I – მხოლოდ ინდივიდუალურად ვლინდება

ან გამოიყენე ხაზები. მაგალითად, ერთი ხაზი / – ინდივიდუალურად ჩანს, ორი ხაზი // – ჯგუფის ნაწილში ჩანს, სამი ხაზი /// – ფართოდ ვლინდება

შედეგების ორგანიზება და შესაბამისობის დადგენა –გადახედე ინსტრუმენტის შედეგებს, სადაც ბევრჯერ არის მონიშნული V ან S, ეს ნიშნავს რომ ჯგუფში ეს კომპეტენცია დაძლეულია, ან განვითარების პროცესშია. მონიშნე მიზნები, სადაც 0 კოდია ყველაზე მეტი - ეს გაჩვენებს იმ მიმართულებებს, რაც საჭიროებს გაძლიერებას. ხაზი გაუსვი, 2 ან 3 მიზანს, რომელზეც იმუშავებ შემდეგ კვირებში.

მაგალითად, თუ 5-6-წლიანების ჯგუფში გამოვლინდა სიღრმისეული კვლევის კომპეტენციის დაბალი დონე - ბავშვები არ მონაწილეობენ დამოუკიდებლად მარტივ ცდებში; ნაკლებად გამოთქვამენ ვარაუდებს და ვერ აფიქსირებენ შედეგებს, მაშინ ჯგუფის განვითარების ერთ-ერთ მიზნად შეიძლება დაისახოთ სიღრმისეული კვლევა და მასთან დაკავშირებული კომპეტენციების მხარდაჭერა.

თუ 3-5-წლიანების ჯგუფში ბავშვები ვერ ავლენენ პრობლემის და მისი გამომწვევი მიზეზის სიტყვიერად დაფიქსირების უნარს და ხშირია უფროსის დახმარების თხოვნა, დაგეგმვა შეიძლება დაეფუძნოს პრობლემის გადაჭრის კომპეტენციების მხარდაჭერას.

ან კონფლიქტების მოგვარებისას თუ ჭარბობს ქმედებები სიტყვიერ სტრატეგიებს, მაშინ მიზანი კონფლიქტების ეფექტურად მოგვარების კომპეტენციების გამომუშავებას უნდა უკავშირდებოდეს.

დაგეგმვისას აღმოჩენილი მიზნები და საჭიროებები უნდა გაითვალისწინოთ და ასახოთ აქტივობებში, პროვოკაციებში, გარემოს ორგანიზებასა და მასალების შერჩევაში.

საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება კურიკულუმის მიზნების შერჩევის გარდა, ასევე მოიცავს ბავშვების თამაშებზე, რესურსებისა და სივრცეების გამოყენებაზე, რუტინულ საქმიანობებზე დაკვირვებას. ამით შესაძლებელია იმის გაგება, თუ როგორ მუშაობს განრიგი, დაბალანსებულია თუ არა თამაშები (აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური თამაშები), როგორია გადასვლები (ტრანზიციები).

ბავშვების ჯგუფებზე და მათ თამაშებზე დაკვირვება აღმზრდელს ეხმარება გაიგოს, არის თუ არა წარმატებული მის მიერ შეთავაზებული თამაში, გამოწვევები, თემა. გამოამჟღავნეს თუ არა ბავშვებმა ინტერესი, რამდენ ხანს თამაშობდნენ, ხალისობდნენ თუ არა, მისცა თუ არა ბიძგი უფრო კომპლექსურ თამაშს, რამდენი ბავშვი მონაწილეობდა. ფორმაში 1. ნიმუშად მოცემულია აღმზრდელის სამი დღის რეფლექსური ჩანაწერები. ამგვარი ჩანაწერისთვის აღმზრდელმა შესაძლოა მიმდინარე (კვირის გეგმის) შესაბამისი გრაფა გამოიყენოს, ან ეს ჩანაწერები ცალკე აწარმოოს, თუ მისთვის ასე უფრო კომფორტულია.

ფორმა 1. ჩანაწერებზე დაფიქრება. რეფლექსიის ნიმუში. 21.10. – 24.10

ბავშვებმა უკვე შეისწავლეს ცენტრები. ისინი ინტერესით არიან ჩართულები სხვადასხვა თამაშებში, თუმცა, ტრანზიცია ისევ ქაოსურია, მათ სჭირდებათ დახმარება თამაშების დასრულების შემდეგ დალაგებაში.

ბაღში მოსვლა ისევ პრობლემად რჩება ბავშვების უმეტესობისთვის. უძნელდებათ დილით ეზოში შეხვედრის და თამაშის შემდეგ შიგნით, შენობაში შემოსვლა. ლუკას და მარიამს ინდივიდუალური მუშაობა სჭირდება.

ელენემ, ნინომ და მარიამმა ბევრი ითამაშეს დრამატულ ცენტრში ჭურჭლით და რბილი სათამაშოებით. შევნიშნე დიდი ინტერესი შინაურ ცხოველებზე. შეიძლება პროექტიც წამოვიწყოთ ამაზე.

კუბურების ცენტრში ისევ იყო უთანხმოება. უნდა დავაკვირდეთ, რომ მიზეზი გავიგოთ.

დაკვირვებით შეიძლება ნახოთ, რომ ესა თუ ის სივრცე გამოუყენებელია, ხოლო სხვა სივრცეები მუდმივად ბავშვებითაა გადავსებული. ამ შემთხვევაში, ოთახი სხვაგვარად უნდა მოეწყოს. შეიძლება, ერთი კვირის განმავლობაში ბავშვები მაგნიტური ქვიშით იყვნენ გატაცებული, სხვა დროს კი სხვა რამით დაინტერესდნენ (ფორმა 2.).

ფორმა 2. ცენტრებში ბავშვების თამაშზე გაკეთებული დაკვირვების ჩანიშვნები.

დრამატული

დრამატულ ცენტრში ბავშვები შედიან მხოლოდ რამე ნივთის ასაღებად.

შემორბის ეთუნა, იღებს ცომის გასაბრტყელებელს და მიაქვს ხელოვნების ცენტრში. იოანეს გამოაქვს პატარა ქსოვილები მოძრავი თამაშისათვის.

(რადგან დრამატულ ცენტრში არსებული რესურსით ბავშვები აღარ ინტერესდებიან, შევცვალოთ სივრცე. შევიტანთ ძველ საბეჭდ მანქანას, ტელეფონს, საწერ და საოფისე მასალას.)

შეჯამება და მშობელთან გაზიარება

დაკვირვება-შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია დროდადრო სამუშაო შეჯამდეს - აღმზრდელის და ბავშვის პორტფოლიოები გადაიხედოს და მოკლედ შეჯამდეს სამუშაო შედეგები და გაზიარდეს მშობლებთან.

კურიკულუმი გვთავაზობს ბავშვის განვითარების შეჯამების ჩარჩოს, რაც ეფუძნება განვითარების 5 სფეროს, მათ შორის მიმართულებებსაც. თითოეული სფეროს გრაფაში მოცემულია სავარაუდო საკითხები იმის მიმანიშნებლად, თუ რას უნდა შეეხოს ბავშვის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ გაკეთებული მოკლე ჩანაწერები. თითოეული სფეროს შეჯამება 3-4 წინადადებით უნდა მოხდეს და მიეთითოს აღმზრდელის ის ჩანაწერები, ან ბავშვის ნამუშევრები, სადაც შეიძლება მშობელმა ან დაინტერესებულმა პირმა უფრო დეტალურად ნახოს ბავშვის მიღწევები. შეფასების ბოლოს გამოყოფილია გრაფა - "გავაგრძელებთ მუშაობას", სადაც აღმზრდელი ასევე მოკლედ ჩაწერს, რაზე აპირებს ბავშვთან მუშაობის გაგრძელებას (ფორმა 3).

შემაჯამებელი შეფასების ფორმა 3.

შენიშვნა: ხაზები, პირობითია.

ბავშვის სახელი, გვარი: *თარიღი:*
სოციალურ-ემოციური სფერო *(ემოციების ცოდნა, ურთიერთობები/კონფლიქტების მართვა, სოციალური თამაში , თვითრეგულირება):*
ფიზიკური სფერო *(სხეულის ცნობიერება, ნატიფი მოტორიკა, სენსორული თამაში, აქტიური თამაში, ცეკვა/რიტმიკა):*
შემეცნება *(შემოქმედებითობა, ინტერესი/ცნობისმოყვარეობა, კვლევა, მათ შორის მეცნიერებისადმი):*
ენა *(ენის გაგება, ენის გამოხატვა, წიგნისადმი და ნაწერისადმი ინტერესი):*
დამოუკიდებლობა *(თვითმოვლა, ინიციატივა, დამოუკიდებლობა, მედეგობა, უსაფრთხოება):*
გავაგრძელებ მუშაობას:

შეჯამების ეტაპზე ასევე ხდება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები და გაზიარება ბავშვის მიღწევების, გამოწვევების, აღმზრდელის მუშაობის. ეს პროცესი შეიძლება რამდენიმე კვირა გაგრძელდეს, რაც ასევე დამოკიდებულია ბავშვების რაოდენობაზე (იხილეთ შევსებული შემაჯამებელი შეფასების ფორმა 4).

ფორმა 4.

ბავშვის სახელი, გვარი: ნიკა 5 წლის 8 თვის.
თარიღი: 12.12.2025

სოციალურ-ემოციური სფერო *(ემოციების ცოდნა, ურთიერთობები/კონფლიქტების მართვა, სოციალური თამაში , თვითრეგულირება):*

ნიკა ბუნებრივად იყენებს სიტყვებს „მიხარია, მოწყენილია, დაიძაბა, გავბრაზდი, ბედნიერია“ საკუთარ თავთან და სხვებთან მიმართებით. და შეუძლია დაამშვიდოს მეგობარი.

ნიკა ხშირად იწვევს თანატოლებს საერთო თამაშებში და ავლენს ჯგუფური მუშაობის მიმართ ინტერესს. გამოხატა ინიციატივა : ჯგუფურად შეექმნათ "საგამოფენო ნამუშევრები".

იგი მოთმინებით ელოდება თავის რიგს და აკონტროლებს იმპულსებს. საჭიროების შემთხვევაში, იყენებს "დამამშვიდებელ კუთხეს" ან სხვა სტრატეგიებს ემოციების მართვისთვის.

ფიზიკური სფერო *(სხეულის ცნობიერება, ნატიფი მოტორიკა, სენსორული თამაში, აქტიური თამაში, ცეკვა/რიტმიკა):*

თამაშის დროს კარგად იყენებს მსხვილ და წვრილ მოტორიკას. ხის კონსტრუქციებით და ღია მასალის გამოყენებით აშენებდა "ხიდებს", რისთვისაც წონასწორობის და სიზუსტის აღქმის უნარი გამოავლინა.

ხალისით თამაშობს აქტიურ და რისკიან თამაშებს ეზოში. ფლობს სხეულს.

შემეცნება *(შემოქმედებითობა, ინტერესი/ცნობისმოყვარეობა, კვლევა, მათ შორის მეცნიერებისადმი):*

კვლევა - ნიკას უყვარს დაკვირვება და კითხვების დასმა, ავლენს საინტერესო მსჯელობის უნარებს. ბუნებაში საგნების კვლევისას ნიკამ ბავშვებს გაუზიარა სოფელში ყოფნისას ციცინათელებზე მისი დაკვირვება. რომ ციცინათელების შუქი სხვადასხვანაირია და თქვა, რომ მისი აზრით, ძლიერ ციცინათელებს უფრო ყვითელი შუქი აქვთ, სუსტებს კი - უფრო ფერმკრთალი.

შემოქმედებითობა - ავლენს ინტერესს ვიზუალური ხელოვნების მიმართ. ექსპერიმენტირებს სხვადასხვა მასალებით ხელოვნების აქტივობის დროს.

ენა *(ენის გაგება, ენის გამოხატვა, წიგნისადმი და ნაწერისადმი ინტერესი):*

ნიკა აქტიურად ერთვება დისკუსიაში. მას ხშირად სთხოვენ ჯგუფში რამის ახსნას. ერთ-ერთი თამაშისას გამოიგონა პატარა მოთხრობა ლაბირინთში დაკარგული ფარნის შესახებ.

ავლენს სიუჟეტების აგებისა და აზრის გამოხატვის უნარს.

დამოუკიდებლობა *(თვითმოვლა, ინიციატივა, დამოუკიდებლობა, მედეგობა, უსაფრთხოება):*

იგი ხშირად იჩენს ინიციატივას ყოველდღიურ საქმიანობებში, მაგალითად, სათამაშოების დალაგება. თვითმოვლის უნარები უფრო დახვეწა და ის ცდილობს ზედამხედველობის გარეშე დამოუკიდებლად შეასრულოს მარტივი დავალებები.

გავაგრძელებ მუშაობას:

- *ნიკასთვის დამატებითი მასალების შეთავაზება დამოუკიდებელი და ჯგუფური ექსპერიმენტებისთვის*
- *მისი ემპათიის უნარის განმტკიცება კონფლიქტების მართვისთვის.*
- *ვაწარმოებ სიღრმისეული დაკვირვებას, რომ უფრო ფართოდ შეფასდეს მისი კოგნიტიური და შემოქმედებითი უნარები.*

დაკვირვების და შეფასების გაზიარება

ყველა მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება აღმზრდელის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა. მშობლებს პერიოდულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ბავშვების განვითარების, მიღწევების და თქვენი გეგმების შესახებ. ამისათვის შეფასებითი პორტფოლიო გამოიყენეთ.

შეხვედრისთვის შემაჯამებელ შეფასებასთან ერთად, სხვადასხვა მტკიცებულებებიც უნდა მომზადდეს ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოდან. აღმზრდელი შეხვედრამდე უნდა დარწმუნდეს, რომ დაკვირვების ჩანაწერები, ფოტოები, ნამუშევრები და სხვა მტკიცებულებები მზად აქვს, რაც შეიძლება შემაჯამებელი შეფასების გაზიარებისას იყოს მშობლისთვის საინტერესო. მიზნების განსაზღვრაში ოჯახის ჩართვა კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროცესის თანამონაწილე გახადეს. შეხვედრისას აღმზრდელმა ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მათი მონაწილეობა მნიშვნელოვნად ეხმარება გეგმების შედგენაში. მშობლებს უნდა შეექმნათ სათანადო პირობები, რომ მათ თავისუფლად გააზიარონ თავიანთი მოსაზრება, შეხედულებები და მიაწოდონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასეთი შეხვედრა უზრუნველყოფს ოჯახების ჩართულობას და მონაწილეობას ბაღის ცხოვრებაში.

დაკვირვება-შეფასებაში პერსონალის თანამშრომლობის მნიშვნელობა

კონკრეტულ ბავშვებზე თუ საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებისას პერსონალის თანამშრომლობა გადამწყვეტია. ეს პროცესი მოითხოვს არა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევის კოორდინაციას, არამედ სხვადასხვა პროფესიონალის უნიკალური ხედვისა და გამოცდილების გაერთიანებას, რაც ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ გაგებას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს, ასევე განაპირობებს მთლიანად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ერთობლივ ზრუნვასაც.

აღმზრდელი, როგორც ბავშვის განვითარების ყოველდღიური პროცესის უშუალო მონაწილე, დაკვირვების მთავარი ფიგურაა. ის დეტალურად შეისწავლის ბავშვის ქცევას, თამაშსა და ურთიერთობებს. აღმზრდელის პარტნიორია მისი თანაშემწე, რომელიც ყოველდღიურ დაკვირვებას დამატებით დეტალებს სძენს და ხელს უწყობს დაკვირვების სიზუსტეს.

მეორე ცვლის აღმზრდელი უზრუნველყოფს ბავშვის დღის მეორე ნახევარში დაკვირვებას, რაც მონაცემებს მრავალფეროვნებას და სიღრმეს მატებს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლა და დაკვირვების მეთოდების შეთანხმება, რათა დღის ორივე ნაწილში ბავშვების სწავლისა და განვითარების სურათი თანმიმდევრული იყოს.

მუსიკის აღმზრდელი ბავშვის უნარებსა და ქცევებს მუსიკის აქტივობების დროს აფასებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამგვარ გარემოში შეიძლება ისეთი უნარები გამოვლინდეს, რომლებიც სხვა დროს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს.

სპეციალური განათლების პედაგოგი ინდივიდუალური საჭიროებების მქონე ბავშვებს აკვირდება და მათთვის ადაპტირებული მიდგომების შემუშავებაში მონაწილეობს. ფსიქოლოგი ემოციური და სოციალური ქცევის ანალიზს აკეთებს და გუნდს რეკომენდაციებს

აწვდის, ხოლო ენისა და მეტყველების თერაპევტი ეხმარება გუნდს, ბავშვის ენისა და კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესებაში.

თანამშრომლობის პრინციპები

პერსონალის თანამშრომლობა გუნდურ მუშაობას, თანმიმდევრულობას და ეფექტიან კომუნიკაციას მოითხოვს. ყველა სპეციალისტის მიერ გაზიარებული ინფორმაცია გუნდს ბავშვის უნარების, საჭიროებებისა და ინტერესების უკეთ გააზრებაში ეხმარება.

გუნდური მუშაობა: პერსონალი რეგულარულად უნდა უზიარებდეს ერთმანეთს დაკვირვების შედეგებს და რეკომენდაციებს, როგორც ინდივიდუალურ ბავშვებზე, ასევე - მთლიანად საგანმანათლებლო პროცესზე.

თანმიმდევრულობა: დაკვირვების პროცესის საერთო სტრატეგიები და მიზნები უნდა იყოს შეთანხმებული.

ეფექტიანი კომუნიკაცია: რეგულარული შეხვედრები და მონაცემების გაზიარება ბავშვის სრული სურათის შექმნას უზრუნველყოფს.

ეთიკური მოსაზრებები

ეთიკის დაცვა ასეთ პროცესში უმთავრესია. ბავშვებზე დაკვირვება უნდა ხორციელდებოდეს კონფიდენციალურობის, პატივისცემისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას.

კონფიდენციალურობა: ბავშვის პირადი მონაცემების გაზიარება მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული.

ობიექტურობა: დაკვირვების პროცესში ყველა პერსონალი ვალდებულია, იყოს ობიექტური.

პატივისცემა: დაკვირვების პროცესი ბავშვის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და დისკომფორტი არ უნდა გამოიწვიოს.

კულტურული მგრძნობელობა: პერსონალი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის კულტურულ თავისებურებებს და ინდივიდუალურ საჭიროებებს.

პერსონალის შეთანხმებული მუშაობა ბავშვის განვითარებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველია. მხოლოდ ერთიანი და პროფესიონალური მიდგომითაა შესაძლებელი ბავშვების პროგრესის და საჭიროებების სრულყოფილი შეფასება და მათზე სათანადო რეაგირება.

ჩანართი

დაკვირვება დასაგეგმად

ამ ცხრილში თქვენ ნახავთ, როგორ იყენებენ აღმზრდელები ერთ ბავშვზე, ბავშვების ჯგუფზე, ასევე ფიზიკურ გარემოსა და მასალებზე დაკვირვებას კონკრეტული ნაბიჯების დასაგეგმად. შესაბამისად, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, დაკვირვება-შეფასება-დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ცხრილი 21

რას ხედავს აღმზრდელი დაკვირვებისას	რას გეგმავს აღმზრდელი დაკვირვების შედეგად
თავისუფალი თამაშის დროს 4 წლის ალექსი ცხოველების ფიგურებით თამაშსა და ცხოველებზე წიგნების თვალიერებაში დიდ დროს ატარებს. მას ნიკა და ელენე შეუერთდა. ალექსი: „ლომი ძლიერი და სასტიკი ცხოველია, სპილო დიდია, გიგანტური, მაგრამ უფრო ნაზი .“	შევთავაზებ ცხოველებთან დაკავშირებულ ხელოვნების პროექტებს, ცხოველთა თემაზე წავუკითხავ წიგნებს მცირე ჯგუფებში. ბუნებაში გასეირნებისას წავახალისებ დააკვირდეს მწერებს, ჩიტებს. დავგეგმავ ზოოპარკში ვიზიტს; იქ ვაწარმოებთ დაკვირვების ჟურნალს, ცხრილებს, გადავაღებინებ ფოტოებს და ვიდეოებს და ჯგუფში დაბრუნებისას ვისაუბრებთ ამაზე.
ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე 5 წლის ლუკა ყოველთვის ინტერესდება ტექნიკით. დედის თქმით, ტელეფონით სულ იღებს სხვადასხვა ვიდეოებს, საკუთარ თავზე, სხვებზე და შემდეგ ყურადღებით ათვალიერებს.	ეზოში მცენარეებსა და მწერებზე დაკვირვებისას (ან სხვა პროექტის განხორციელებისას), გადავაღებინებ მოკლე ვიდეოებს. ერთად ვნახავთ და ვისაუბრებთ ჩამოვტვირთავ და გამოვიყენებ აპლიკაციას ‘speaker ’ მისი ენობრივი განვითარებისთვის. ყოველდღე დავუთმობ 10-15 წუთს მცირე ჯგუფური, ან ინდივიდუალური მუშაობისთვის.
3 წლის სესილი ბევრ დროს ატარებს კუბურების ცენტრში. საგულდაგულოდ არჩევს კუბებს და აწყობს კოშკებს. ცდილობს ბალანსის დაცვას, რომ კონსტრუქცია მყარად იდგეს. სესილი რთულ კონსტრუქციებს აშენებს და თამამად ატარებს ექსპერიმენტებს კუბების ბალანსსა და კოშკის სიმაღლეზე. იგი ამაყობს თავისი ნამუშევრით და მიზიარებს შთაბეჭდილებას.	შევთავაზებ უფრო რთულ სამშენებლო გამოწვევებს და მასალებს, სხვადასხვა ტიპის შენობების შესასწავლად და ასაგებად, როგორიცაა, მაგალითად ,მუყაო, თიხა. შევიტან სამშენებლო პროექტებს თანატოლებთან ერთად რომ ითამაშოს.

5 წლის ნიკა, რომელსაც ყურადღების კონცენტრაციის სირთულე აქვს, უმეტესად ძალიან აქტიურია. იგი ბევრს მოძრაობს, ხტუნავს თერაპიულ ბურთზე, ამოძრავებს თითებს.	ნიკასთვის რუტინაში ჩავრთავ მოძრაობით აქტივობებს, რაც მას საშუალებას მისცემს გამოითავისუფლოს ჭარბი ენერგია. გამოვიყენებ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა იოგას პოზები, სენსორული ბილიკი.
მეგობრებთან თამაშისას 4 წლის სოფი ენთუზიაზმით ირგებს სუპერგმირების როლებს. ის ვითომ დაფრინავს, ვითომ შველის განსაცდელში მყოფებს. მან განსაკუთრებული ძალების მქონე სუპერგმირების გუნდიც კი შექმნა.	მოვაწყობ სუპერგმირების თემაზე დრამატულ სათამაშო სივრცეს, დავუმატებ კოსტიუმებს, რეკვიზიტებს. გავუკეთებ „ქალაქის“ ფონს. ასევე შევთავაზებ სუპერგმირების თემაზე ხელოვნების პროექტებს, როგორიცაა, მაგალითად, კომიქსების გაკეთება.
5 წლის დანიელი, რომელსაც აუტისტური სპექტრი აქვს, უპირატესობას ანიჭებს სტრუქტურირებულ აქტივობებს და განიცდის მოულოდნელ ცვლილებებს.	გავაკეთებ ვიზუალურ განრიგს, რომელიც ყოველდღიურ რუტინას ასახავს. ვიზუალური განრიგი გადასვლების წინასწარ განსაზღვრაში და აქტივობების თანმიმდევრობის გაგებაში დაეხმარება. შევთავაზებ სტრუქტურირებულ აქტივობებს.
სენსორული თამაშის დროს 3 წლის ნოე ენთუზიაზმით იკვლევს ტექსტურებს შეხებით. ინტერესდება სენსორული კონტეინერებით, ტაქტილური მასალებით და სიამოვნებით იკვლევს სხვადასხვა ზედაპირებს.	შევქმნი სენსორულად მდიდარ აქტივობებს. შევთავაზებ ტექსტურის ხელოვნების პროექტებს, მაგალითად, თითების საღებავებით ხატვა, რომელშიც შერეულია, ბრინჯი, ქვიშა და ა.შ. სხვადასხვა ტექსტურის მასალით კოლაჟების გაკეთება. ტაქტილური ელემენტების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.
4 წლის მათე ხელოვნების აქტივობის დროს სხვადასხვა მასალით თავისუფლად ექსპერიმენტირებს, ქმნის ახალ ფერებს. თავდაჯერებულად და სიამოვნებით აჩვენებს თავის ნამუშევრებს მეგობრებს.	მათეს კიდევ უფრო მრავალფეროვან ხელოვნების მასალებს და ტექნიკას გავაცნობ: სხვადასხვა ფერის აკვარელის საღებავებს, სხვადასხვა ზომის ფუნჯებს, პასტელებს, ფერად ქაღალდებს. დავახატვინებ კედელზე გაკრულ დიდ ფორმატზე. შევთავაზებ თიხას. მოვაწყობთ გამოფენას. მისი მხატვრული ინტერესისა და უნარის შემდგომი განვითარებისთვის შევთავაზებ და გავაცნობ სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებს.

5 წლის სანდრო, სენსორული ინტეგრაციის სირთულეებით, მუდმივად ეძებს სენსორულ გამოცდილებას თამაშის დროს. იგი დიდ დროს უთმობს სხვადასხვა ტექსტურის შესწავლას: ხშირად თამაშობს ქვიშაში თითებით, რბილ ბურთებს ხელს უჭერს, სხვადასხვა ტექსტურის ქსოვილებს ხელს უსვამს.	მოვაწყობ სენსორულ სივრცეს. სხვადასხვა ტექსტურის მასალით გავაკეთებ სენსორულ ხალიჩას, ბილიკს. განვათავსებ ისეთ სათამაშოებს და რესურსს, რომელსაც ხელს მოუჭერს; გავაკეთებ სენსორულ ტომრებს, კონტეინერებს (ნაჭრის ტომრებში, ან კონტეინერებში ჩავყრი სხვადასხვა სენსორულ მასალას: წიწიბურა, ლობიო, ქვიშა, წიწვები, ნიჟარები, ქაფი, ბამბა და ა.შ.). ამით ის მიიღებს მრავალფეროვან სენსორულ ინფორმაციას.
სამეცნიერო ექსპერიმენტების დროს 5 წლის ელენე ცნობისმოყვარეობას და ენთუზიაზმს ავლენს. სვამს კითხვებს, აყალიბებს ჰიპოთეზებს და ინტერესით მონაწილეობს ისეთ აქტივობებში, როგორიცაა სითხეების შერევა და რეაქციებზე დაკვირვება.	ელენეს შესაძლებლობას მივცემ, უფრო ღრმა მეცნიერულ კვლევებში ჩაერთოს, როგორიცაა ექსპერიმენტები მარტივ ქიმიურ რეაქციებზე, ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვება. ასევე ჩავწერთ მისი აღმოჩენებს სამეცნიერო ჟურნალში.
4 წლის ლიას, რომელსაც მხედველობის დაქვეითება აქვს, იზიდავს ნათელი და კონტრასტული ფერები. ის ხშირად ცდილობს ხელის შეხებას სხვადასხვა ტექსტურის მქონე ობიექტებზე და სიამოვნებით უსმენს რიტმულ მუსიკას.	ლიასთვის მივიტან კონტრასტული ფერების მასალებს ხელოვნების პროექტებისთვის და დავუკრავ რიტმულ მუსიკას.
3 წლის თიკას იზიდავს მუსიკალური ინსტრუმენტები და სათამაშოები, რომლებიც ხმებს გამოსცემს. იგი ექსპერიმენტებს ატარებს სხვადასხვა რიტმებზე და ტონებზე. ხშირად ქმნის საკუთარ მუსიკალურ კომპოზიციებს.	გავაცნობ ახალ მუსიკალურ ინსტრუმენტებს და შევთავაზებ რიტმულ აქტივობებს. შემიძლია, ჩავრთოთ მუსიკა და მოძრაობა სხვადასხვა აქტივობებში. შესაძლებლობას მივცემ გაუზიაროს თავისი მუსიკალური შემოქმედება ჯგუფს. მოვსინჯავ, შეიძლება თუ არა, პროექტად დაიგეგმოს მუსიკალური ინსტრუმენტების თემა.
3 წლის დათას ხშირად აქვს კონფლიქტი მეგობრებთან, იშვიათად საუბრობს და თუ რამეს ამბობს 1 ან 2-სიტყვიან წინადადებებს იყენებს	სპეცპედაგოგსაც ვთხოვ დაკვირვებას, გავესაუბრებით მშობელს, ხომ არ არის საჭირო, მისი ენობრივი და სოციალურ-ემოციური განვითარება სპეციალისტმა შეაფასოს.

თავი 13. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა



ამ თავში შეიტყობთ, კურიკულუმის დაგეგმვის ძირითად პრინციპებს, ასევე გეგმების ტიპებისა და ფორმების და მათი შევსებისა და გამოყენების წესებს.

რა არის დაგეგმვა და მისი მიზანი?

დაგეგმვა საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ვგეგმავთ იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა არის ჩვენი მიზანი, ვიცოდეთ, რა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად, ვიცოდეთ, როგორ მოვემზადოთ წინასწარ პროცესისთვის. ეფექტური დაგეგმვა შესაძლებლობას გვაძლევს, ვიყოთ მიზანმიმართული და ორგანიზებული.

კურიკულუმის მიხედვით, აღმზრდელის მიერ წარმოებული გეგმები ისეა ორგანიზებული, რომ მივაღწიოთ კურიკულუმის მიზნებს და დავიცვათ მისი პრინციპები; გეგმა ამარტივებს საგანმანათლებლო პროცესის მთლიანობაში მართვას, შესაძლებელს ხდის ინდივიდუალურ მიდგომას და რეფლექსური პრაქტიკის საფუძველია.

ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის განსახორციელებლად უნდა დავიცვათ გეგმის მოქნილობის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, აღმზრდელმა საგანმანათლებლო პროცესში შეინარჩუნოს სპონტანურობა და შეცვალოს გეგმაში გაწერილი საქმიანობების გარკვეული ნაწილი. ეს ცხადია, არ ნიშნავს, რომ გეგმა მუდმივად ცვალებადია, აღმზრდელი მიჰყვება გეგმას და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში ცვლილებები.

დაგეგმვის ფორმები და პროცესი საერთოა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის და ასევე შერეული ჯგუფებისათვის. აქ მოცემული მითითებები შესაძლებელს ხდის, რომ პროცესის დაგეგმვისას გავითვალისწინოთ თითოეული ბავშვის საჭიროებები და შესაძლებლობები,

ასაკობრივი თავისებურებებიდან თუ ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

აღმზრდელმა უნდა გამოიყენოს სამი ტიპის გეგმა:

- კალენდარული (გრძელვადიანი) გეგმა
- მიმდინარე (კვირის) გეგმა
- ინდივიდუალური გეგმა

ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში სწორედ ამ გეგმების გამოყენების პრინციპები და რეკომენდაციები იქნება განხილული:

კალენდარული (გრძელვადიანი) გეგმა

კალენდარული (გრძელვადიანი) გეგმა, აღმზრდელის გადაწყვეტილების შესაბამისად, ივსება 2, 3 ან 4 თვეზე. ის საკმაოდ ზოგადია და მისი მიზანი ისეთი საქმიანობების განხორციელების შესაძლებლობის შექმნაა, რომელსაც მეტი დრო სჭირდება დასაორგანიზებლად. მაგალითად, ექსკურსია, სპეციალური სტუმრის მოწვევა, მეორადი რესურსის შეგროვება, მშობლების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

კალენდარული გეგმა ასევე იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვროთ ის საკითხები, რომელზე მუშაობაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ უფრო ხანგრძლივი დროით, მაგალითად, ბაღთან შეგუება ჯგუფის ერთობის ჩამოყალიბება სასწავლო წლის დასაწყისში, ან ტრანზიცია ბაღიდან სკოლაში.

კალენდარულ (გრძელვადიან) გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- **თარიღი** - რომელი თვეების კალენდარია წარმოდგენილი?
- **მნიშვნელოვანი თარიღები და პერიოდები** - როდის რა ხდება ბაღის ცხოვრებაში, საზოგადოებაში, თემში, რომელმაც შესაძლოა ბავშვების ინტერესი გამოიწვიოს? ეს შეიძლება იყოს ისეთი საერთაშორისო დღეები, როგორიც არის, მაგალითად, „დედამიწის საერთაშორისო დღე“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, შეიძლება იყოს ადგილობრივი საზოგადოებისთვის/თემისთვის დამახასიათებელი, როგორიც არის, მაგალითად, ლამპრობა ან ბაირამი; ასევე იყოს ჯგუფის წევრებისთვის მნიშვნელოვანი თარიღები, მაგალითად, ბავშვების დაბადების დღეები ან პერიოდი, როდესაც ერთ-ერთ ბავშვს დედმამიშვილი უნდა შეეძინოს. ასევე მშობლებთან ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად შეხვედრების პერიოდები, ამ შეხვედრების მიზნები და თემები და სხვა. ეს ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს თქვენს გეგმას, ეზოში მოაწყოთ რაიმე ცენტრი, ან - ბავშვების ექსკურსიაზე წაყვანას.
- **შესაბამისი რესურსის სია** - რა სპეციფიკური მასალა შეიძლება დამჭირდეს? რომელი მეორადი და/ან ბუნებრივი მასალის შეგროვება უნდა დავიწყო ამ პერიოდისთვის, რომ საკმარისი რაოდენობის მქონდეს? ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო, რესურსი აქტივობების მიხედვით გაიწეროს. უფრო ფართოდ შეხედეთ საკითხს, მაგალითად, თუ ეზოში რაიმეს აშენება გაქვთ მონიშნული, რესურსების სიაში შესაძლოა, უბრალოდ, ჩამოწეროთ აგურები და ცემენტი, სამშენებლო იარაღები, დიდი ზომის ტოტები და ფოთლები და სხვა; ანდა შესაძლოა მშობლებთან შესახვედრად პროექტორი, რაიმე ბროშურის ფერად პრინტერზე ამობეჭდვა ან ყავის მომარაგება გჭირდებათ.

შერეული ჯგუფის კალენდრის ნიმუში

სექტემბერ-ოქტომბერი

მნიშვნელოვანი თარიღები:

- 5-10 სექტემბერი - ღია კარის დღე ახალი ბავშვებისთვის
- 15-30 სექტემბერი - ბაღთან შეგუება მშობლების ჩართულობით
- 14 ოქტომბერი (დასვენება) - სვეტიცხოვლობა
- 15-30 ოქტომბერი - რთველის პერიოდი
- 20-30 ოქტომბერი - სანდროს დის დაბადება

პერიოდი	მნიშვნელოვანი თარიღები	რესურსი
5-10. 09	• ახალ მშობლებთან საერთო შეხვედრის მოწყობა, რათა მათ ვესაუბრო ბაღთან უმტკივნეულოდ შეგუების პროცესზე და მათ ჩართულობაზე • წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ახალი მშობლებისა და ბავშვების მოპატიჟება, ბაღის დათვალიერება და თამაში (ერთდროულად ვპატიჟებ მხოლოდ 1 ან 2 ოჯახს	ქვიშა, სათლები, ნიჩბები, ბურთი და მანქანები, თოჯინები პოსტერი კურიკულუმის მიზნებზე
15-30.09	• ბაღთან შეგუება; ზოგიერთი ბავშვის მშობელი რჩება ჯგუფში შეგუების პერიოდში	ასაკის შესაბამისი წიგნების მომარაგება
20-30.10	• ვულოცავთ სანდროს და მის ოჯახს - პლაკატის დამზადება	დიდი ფორმატის ფურცელი
15-30.10	• რთველი	ყურძენი, ბადაგი, თხილი ან ნიგოზი, ძაფი

ნოემბერი

მნიშვნელოვანი თარიღები:

- 19 ნოემბერი - ნინოს დაბადების დღე
- 23 ნოემბერი (დასვენება) – გიორგობა (ემთხვევა კვირას)
- 26 ნოემბერი - მიხოს დაბადების დღე

პერიოდი	მნიშვნელოვანი თარიღები	რესურსი
15-30	როგორ მოვუაროთ კბილებს - სანდროს დედის ვიზიტი (კბილის ექიმი)	• ტოპო-ტიპი კბილის ექიმთან მიდის

როგორ შევადგინოთ კალენდარული გეგმა?

ამ ფორმის გეგმის შესამუშავებლად მნიშვნელოვანია, გქონდეთ მოძიებული ინფორმაცია, ერთი მხრივ, თქვენი ჯგუფის ბავშვების და მათი ოჯახების შესახებ - დაბადების დღეები, დღესასწაულები, რომელსაც აღნიშნავენ, მშობლების პროფესია და სხვა, მეორე მხრივ, კი მომავალი მოვლენების შესახებ - დასვენების დღეები, დღესასწაულები, საერთაშორისო და ადგილობრივი დღეები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, გქონდეთ წარმოდგენა თქვენი ბავშვების ასაკობრივი თუ ინდივიდუალური ინტერესების შესახებ. წლის დასაწყისში, სანამ ბავშვებს შეხვდებით, ამის შესახებ მშობლების კითხვარებით შეიძლება შეიტყოთ, ასევე თქვენი გამოცდილება და არსებული საგანმანათლებლო ლიტერატურა უნდა გაძლევდეთ საშუალებას, მეტ-ნაკლებად განსაზღვროთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის რა საკითხები შეიძლება იყოს საინტერესო.

კალენდარულ გეგმას აღმზრდელები შეიმუშავებენ სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც, ასევე ორი კვირით ადრე იწყებენ ყოველი მომდევნო პერიოდის შემუშავებასაც. გაწერილი გეგმა შესაძლოა, აღმზრდელებმა ნებისმიერ დროს შეცვალონ და განაახლონ, მაგალითად, ნელ-ნელა დაამატონ განსაკუთრებული აქტივობები ან საერთოდ ამოიღონ საკითხები, ან დროში გადააადგილონ. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფორმა ამარტივებდეს მიმდინარე (კვირის) გეგმის დაწერას და შესაძლებელს ხდიდეს განსაკუთრებული გამოცდილებების ორგანიზებას.

შესაბამისად შედგენილი კალენდარული გეგმა აღმზრდელებმა უნდა გამოიყენონ სამი მიზნისთვის:

- კალენდარული გეგმის მიხედვით, აღმზრდელი წერს თავის საორგანიზაციო საქმიანობას. მოინიშნავს, როდისთვის ვის უნდა დაუკავშირდეს, რა მეორადი რესურსი უნდა შეაგროვოს, რა მასალის/რესურსის შეძენა უნდა თხოვოს დაწესებულებას, როდის და სად გავიდეს ბუნებრივი მასალის შესაგროვებლად და სხვა.
- კალენდარულ გეგმას აღმზრდელი იყენებს საკუთარი პრაქტიკის შესაფასებლად. შესაბამისად, ამ ფორმებს ის თავის პორტფოლიოში ინახავს.
- მიმდინარე გეგმის შედგენის დროს აღმზრდელი ეყრდნობა კალენდარულ გეგმას.

მიმდინარე (კვირის) გეგმა

მიმდინარე დაგეგმვა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის ყოველკვირეულ დაგეგმვას, რომლის დროსაც აღმზრდელი ერთდროულად ფიქრობს სხვადასხვა მიმართულებებზე: რა არის ჩემი ჯგუფის ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები? რა არის მთლიანი ჯგუფის საჭიროებები? კურიკულუმის რა მიზნებზე უნდა გავიდე ბავშვებთან? რა საქმიანობები/გამოწვევები უნდა შევთავაზო მათ ამ მიზნების მისაღწევად და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად? რა რესურსი მჭირდება ამისთვის? როგორ გავანაწილო დაგეგმილი საქმიანობები დღის განმავლობაში და ა.შ. ამ კითხვებიდან გამომდინარე, აღმზრდელს სჭირდება ცხრილი, რომელიც დაეხმარება ყოველივე ზემოთ თქმულის თავმოყრაში, დაეხმარება პროცესის ორგანიზებაში და შემდეგ შეფასებაში.

მიმდინარე გეგმა არის ის ფორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის აღმზრდელის პრაქტიკა იყოს თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული, მიზნობრივი, ინდივიდუალიზებული, ორგანიზებული და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული.

მიმდინარე გეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- **თარიღი** - პერიოდი ან თარიღები, როდესაც გეგმის განხორციელება მოხდება;
- **მიზნები** - კურიკულუმის ქვემიზნები, რომელზეც კონცენტრირება მოხდება ამ კვირის მანძილზე.
- **ინტერესი (თემა ან პროექტი) -** ბავშვების ინტერესებიდან წამოსული თემის ან პროექტის სათაური, რომელიც თემატური მიდგომის ან პროექტის სახით გაიშლება მოცემულ თარიღებში.
- **უფროსის მიერ დაგეგმილი აქტივობები და პროვოკაციები -** მაგალითად, მიზნების შესაბამისად დაგეგმილი ორი აქტივობა და ერთი პროვოკაცია და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსები.
- **რუტინული და სრული ჯგუფის აქტივობები და ტრანზიციები** - მიზნების შესაბამისი ტრანზიციები, აქტივობები, რომელიც ხორციელდება სრულ ჯგუფთან.
- **სტრატეგია** - ქვემიზნების ხელშემწყობი სტრატეგიები.
- **ინდივიდუალიზაცია** - ინდივიდუალური მიდგომები კონკრეტული ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- **კვირის ანალიზი** - განხორციელებულ პრაქტიკაზე დაფიქრება, რომელშიც გამოყოფილია მომავალში გასათვალისწინებელი პუნქტები.
- **საგანმანათლებლო პერსონალის როლი** - შესაძლოა, საჭირო გახდეს გეგმაშივე აღნიშვნა, თუ ვინ, სად და როდის რა როლს შეასრულებს ჯგუფში. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ჯგუფთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა დიდია. *როლების გადანაწილებისთვის, შესაძლოა, არ იქონიოთ ცალკე გრაფა და კონკრეტულ აქტივობებს, გამოწვევებს/პროვოკაციებს ან ინდივიდუალიზაციებს ფრჩხილებში მიუწეროთ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.*

როგორია მიმდინარე გეგმის ფორმა?

გეგმის ფორმა მნიშვნელოვანია, ისე იყოს აწყობილი, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი მკაფიოდ ჩანდეს და ამარტივებდეს აღმზრდელებსა და სხვა სპეციალისტებს შორის (მაგალითად, მეთოდისტთან ან ბაღის სპეცპედაგოგთან) გაზიარებასა და თანამშრომლობას.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმი სპეციფიკური ფორმის გამოყენების მითითებას არ იძლევა, დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, გთავაზობთ სამაგალითო ფორმას (იხ. მიმდინარე გეგმის ნიმუში 2.), რომელიც გაგიმარტივებთ მოცემული ყველა პრინციპის დაკმაყოფილებას მიმდინარე გეგმების შემუშავებისას.

მიმდინარე გეგმის რეკომენდებული ფორმა ისე არის აწყობილი, რომ მაქსიმალურად მოქნილი იყოს და თითოეული ჯგუფის აღმზრდელებს შესაძლებლობა მისცეს, კვირის საჭიროებებს მოარგოს გრაფები. ამიტომ არის ზოგიერთი ხაზი წყვეტილად მოცემული, რომ მარტივად დაამატოს ან გამოაკლოს გრაფა.

გეგმის ნიმუში 2. მიმდინარე გეგმის რეკომენდებული ფორმა

თარიღი: –ასაკობრივი ჯგუფი:-	**ორშაბათი**	**სამშაბათი**	**ოთხშაბათი**	**ხუთშაბათი**	**პარასკევი**
ქვემიზნები					
ინტერესი • თემატური მიდგომა • პროექტის მეთოდი					
დაგეგმილი აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსი					
სტრატეგია					
ინდივიდუალიზაცია					
კვირის ანალიზი:					

როგორ შევადგინოთ მიმდინარე გეგმა?

მიმდინარე გეგმის შესავსებად მნიშვნელოვანია, ითვალისწინებდეთ კურიკულუმის ქვე-მიზნებს, თქვენი ჯგუფის დღის განრიგს, კალენდარულ გეგმას, შიდა და გარე სივრცეებს, ბავშვების ინდივიდუალურ მონაცემებსა და ინტერესებს.

მიმდინარე გეგმას საგანმანათლებლო პერსონალი შეიმუშავებს მის განხორციელებამდე ერთი კვირით ან, მინიმუმ, რამდენიმე დღით ადრე. გეგმის „კვირის ანალიზში“ ჩანაწერები კეთდება გეგმის განხორციელების პარალელურად, ან კვირის ბოლოს.

ეს ფორმა მნიშვნელოვანია, აერთიანებდეს ყველა სპეციალისტის საქმიანობას, რომელიც კვირის მანძილზე ბავშვების ჯგუფთან მუშაობს. შესაბამისად, თუ საბავშვო ბაღს ჰყავს სპეციალიზირებული აღმზრდელი (მაგ.- მუსიკის აღმზრდელი) და დამხმარე საგანმანათლებლო პერსონალი (მაგ.- ფსიქოლოგი ან სპეცაღმზრდელი), ისინიც ამ გეგმაში შეიყვანენ ინფორმაციას ან ეტყვიან აღმზრდელებს, რა ინფორმაცია შეიტანონ მათ. ეს საშუალებას მისცემს ყველას, შეთანხმებულად და მთლიანობითად იმუშაონ ბავშვებთან.

გეგმის შედგენისას მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია **ქვემიზნების განსაზღვრა,** რადგან მათ უნდა ეყრდნობოდეს საგანმანათლებლო პროცესი და ყველა დანარჩენი გადაწყვეტილება ამ ქვემიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. როგორც დაკვირვების თავშია აღწერილი, ქვემიზნების განსაზღვრაში დაგეხმარებათ **„დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნე-ბის შესარჩევად“** (იხ. თავი 12 და დანართი 2). მიზნის გრაფაში სწორედ ეს ქვემიზნები იწერება. მნიშვნელოვანია, რომ მინიმუმ თითო ქვემიზანი აღებული იყოს ორივე მიზნი-დან ჯგუფის ერთობიდანაც და კვლევა-აღმოჩენიდანაც. შესაბამისად, აღმზრდელებს ყო-ველკვირეულად აქვთ მინიმუმ ორი ქვემიზანი. თუმცა ცხადია, შესაძლებელია, აღმზრდე-ლებმა გადაწყვიტონ, რომ ორივე მიზნიდან ორ-ორ ქვემიზანს აიღებენ ან, მაგალითად, ერთს აიღებენ კვლევა-აღმოჩენიდან და ორს - ჯგუფის ერთობიდან, ან - პირიქით, მაშინ მათ ექნებათ 3 ან 4 ქვემიზანი, რაც ასევე სრულიად მისაღებია. ეს ქვემიზნები შეიძლება, სა-ჭიროებიდან გამომდინარე, რამდენიმე მიმდინარე (კვირის) გეგმაში მეორდებოდეს. ასევე შესაძლებელია, შერჩეული ქვემიზნებიდან შემდეგ კვირებზე გადადიოდეს ზოგიერთი, ზოგიერთი კი იცვლებოდეს. ქვემიზნების ამოსარჩევად მნიშვნელოვანია, გაითვალისწი-ნოთ ბავშვების ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებები და გამოწვევები, რაზეც ჩანაწერები წინა კვირების მიმდინარე გეგმებსა და პორტფოლიოებში გაქვთ მოცემული.

ქვემიზნების შერჩევის შემდეგ, მნიშვნელოვანია, დაფიქრდეთ **ბავშვების ინტერესებზე** და განსაზღვროთ ამ კვირის მანძილზე რომელ ინტერესებზე და რა მეთოდით იმუშავებთ (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 5. თემა და პროექტი). ამ გრაფაში ამოკითხვადი უნდა იყოს ის ინტერესები, რომელზეც მიმდინარეობს ფოკუსირება კვირის მანძილზე. ასევე გეგმაში უნდა ჩანდეს, რა მეთოდი იქნება გამოყენებული - თემატური მიდგომა თუ პროექტი. პროექტის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თვალსაჩინო იყოს, რომელი ფაზა არის ამ კვირაში დაგეგმილი.

ასევე შესაძლებელია, იშვიათად კვირა იყოს თემის და პროექტის გარეშეც და ეს კონკრეტული გრაფა დარჩეს ცარიელი. ეს შეიძლება ხდებოდეს, მაგალითად, წლის დასაწყისში, როდესაც ბავშვები ჯერ კიდევ შეგუების პროცესში არიან და აღმზრდელი ჯერ კიდევ

აკვირდება მათ ინტერესებს, ან მას შემდეგ, რაც რაიმე პროექტი დასრულდა და სხვა თემაზე გადასვლამდე მცირე პაუზაა აღებული.

დაგეგმილი აქტივობების, პროვოკაციების და შესაბამისი რესურსის შესახებ ინფორმაცია საგანმანათლებლო პერსონალს შეაქვს დღეების მიხედვით. ამ გრაფაში იწერება მხოლოდ აღმზრდელების მიერ ინიციირებული აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსები. აქვე უნდა იკითხებოდეს, სად ხორციელდება ისინი (ეზოში თუ შიდა სივრცეში; რომელ ცენტრში). *ამავე გრაფაში შესაძლოა, საჭირო გახდეს დროის მითითებაც, მაგალითად, ნანა აღმზრდელმა დაგეგმა თემა არქიტექტურა, შესაბამისად, თითოეულ ცენტრში შესატანი სპეციფიკური რესურსი, განსაზღვრა და ასევე დრამატულ ცენტრში არქიტექტორის ოფისის მოწყობაც გადაწყვიტა, აღნიშნული ცვლილებების შეტანა მან ბავშვების მოსვლამდე გადაწყვიტა და შესაბამისი ინფორმაცია მიუთითა გეგმაში. მას ასევე დაგეგმილი აქვს არქიტექტორის სტუმრობა და ამ აქტივობას გეგმაში მითითებული აქვს ის დრო, როდესაც სტუმარი მათთან მივა. თუ წინასწარ განსაზღვრავს ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალიდან, ვინ რას გააკეთებს, ეს ინფორმაციაც აქვე იქნება მითითებული.*

თითოეული დღისთვის უნდა დაიწეროს თქვენ მიერ ინიციირებული მინიმუმ სამი აქტივობა ან/და პროვოკაცია. მათი დაგეგმვისას გაითვალისწინეთ თქვენს ჯგუფში არსებული ცენტრების მრავალფეროვნება და აქტივობა/პროვოკაციები და ისე გადაანაწილეთ კვირის მანძილზე, რომ, შეძლებისდაგვარად, ბევრი ცენტრი იყოს ჩართული. ფიზიკურ გარემოში შესატანი ცვლილებები საჭიროების მიხედვით დაიწერება, შესაძლოა იყოს კვირები, როდესაც არანაირი ცვლილება არაა დაგეგმილი და კვირები, როდესაც ყველა ცენტრში ცვლილება შეგაქვთ. მთავარია, გახსოვდეთ, რომ ფიზიკურ გარემოში სიახლეების შეტანა მნიშვნელოვანია ბავშვების ინტერესის შესანარჩუნებლად და გასამრავალფეროვნებლად, შესაბამისად, ეს კომპონენტი არ უნდა გამოგრჩეთ, ყოველი ახალი კვირის მიმდინარე გეგმის წერის დროს დაფიქრდით, ხომ არ არის სივრცეები, რომელშიც ბავშვები ისეთი ინტერესით აღარ თამაშობენ და დიდი ხანია, იქ სიახლე არ შეგიტანიათ, ასეთ შემთხვევაში, შეგიძლიათ ამ ცენტრში უბრალოდ რესურსის ცვლილება დაგეგმოთ.

ამ გრაფის შესავსებად ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოთ თქვენი ჯგუფისა და ეზოს ფიზიკური გარემოს სივრცეების სიით. ამ სიისთვის თვალის გადავლება დაგეხმარებათ იმაში, რომ არ დაამთხვიოთ საქმიანობები ერთ სივრცეში, ასევე, რომ არ გამოგრჩეთ სივრცეები, რომელზეც უნდა დაფიქრდეთ, რას სთავაზობს ბავშვებს და საბოლოოდ მოგცემთ შესაძლებლობას, ყველა სივრცეში შეგქონდეთ პერიოდულად აქტივობები და გამოწვევები. გამოცდილებების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად და, შესაბამისად, ბავშვების ჰოლისტური განვითარების ხელშესაწყობად ეს საფეხური ძალიან მნიშვნელოვანია.

აქტივობები და პროვოკაციები, პირველ რიგში, კვირის მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდნენ და შეესაბამებოდნენ კვირის თემას ან პროექტს, თუმცა აუცილებელი არაა, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობა თუ პროვოკაცია თემას შეესაბამებოდეს, მთავარია, ის პასუხობდეს მიზანს.

ასევე, არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე თემა კვირის ხუთივე დღეზე არ არის გაშლილი და ამ თემისგან თავისუფალ დღეებში აღმზრდელი მხოლოდ მიზნის შესაბამის

აქტივობებსა და პროვოკაციებს უთითებს. შესაბამისად, კვირის მანძილზე თემატური მიდგომა გაქვთ, პროექტის მეთოდი თუ თემისა და პროექტისგან თავისუფალი კვირა ან დღეები, აქტივობები და რესურსები მაინც იწერება.

თემის ქვეშ დაწერილი აქტივობა, პროვოკაცია და შესაბამისი რესურსი თემის შესაბამისი უნდა იყოს. ასევე თემის შემოტანის პირველივე დღეს უნდა დაიგეგმოს ძირითადი ცვლილებები ფიზიკურ გარემოში, ამავე თემის შესაბამისად.

პროექტის შემთხვევაში, სხვადასხვა აქტივობა/პროვოკაცია და შესაბამისი რესურსი იწერება პროექტის საკითხიდან გამომდინარე. ასევე აუცილებლად იწერება პროექტისთვის დამახასიათებელი საქმიანობები, მაგალითად, ექსკურსია ან მესამე ფაზის შემაჯამებელი საქმიანობა. ამ შემთხვევაში, გეგმაში შესაძლებელია ასევე მოცემული იყოს აქტივობები/პროვოკაციები და რესურსი, რომელიც პირდაპირ პროექტის თემას არ შეესაბამება.

როდესაც კვირის მანძილზე არც თემაა დაგეგმილი და არც პროექტი, დაგეგმილი აქტივობები/პროვოკაციები სხვადასხვა საკითხის ირგვლივ იტრიალებს და ისინი, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, იქნება მიზნებიდან გამომდინარე და ასევე ბავშვების ინდივიდუალური ინტერესებიდან გამომდინარე.

გეგმაში შეტანილი აქტივობები და პროვოკაციები, ასევე შესაბამის რესურსში ცვლილებები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების ჯგუფის ასაკობრივ მახასიათებლებს, თუმცა ეს გეგმაში მხოლოდ იმით გამოჩნდება, რომ აქტივობები/პროვოკაციები, შერჩეული რესურსი და სტრატეგიები (იხ. ქვემოთ) ბავშვების საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი იქნება.

შერეულ ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც ასაკობრივი სხვაობის გამო ბავშვების საჭიროებები და ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და ეს სხვაობები მხოლოდ ინდივიდუალური არ არის, გეგმის ფორმაში მნიშვნელოვანია, აღმზრდელებმა მიუთითონ აქტივობების, თამაშების, გამოწვევების, პროვოკაციების გამარტივებული ან გართულებული სახეცვლილებები, ასევე გამოწვევების ისეთი ფორმები, რომელიც მოერგება თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს; იმ შემთხვევაში, როდესაც აღმზრდელი ისეთ აქტივობას აარჩევს, რომელიც უმეტესად ერთ ასაკობრივ ჯგუფს მოერგება, მეორე აქტივობა, აუცილებლად, მეორე ასაკობრივ ჯგუფის შესაბამისი უნდა იყოს. ამ დროს სასარგებლოა, მიეთითოს, რომელი აღმზრდელი მუშაობს უფრო მოზრდილ ბავშვებთან უფრო რთული აქტივობის ფარგლებში, ხოლო რომელი - პატარებთან, იგივე აქტივობის უფრო გამარტივებული ვერსიით.

შესაძლოა, აღმზრდელები შეთანხმდეთ, ასევე ცალკეული ხაზებით გამოყოთ აღმზრდელების ცვლები „პირველი ნახევრის აქტივობები, გამოწვევები და რესურსი“ და „მეორე ნახევრის აქტივობები, გამოწვევები და რესურსი“.

რუტინული და სრული ჯგუფის აქტივობების რუტინულ აქტივობებში იგულისხმება ყოველდღიურ წესად ქცეული მთელი ჯგუფის აქტივობები, მაგალითად: დილისა და საღამოს წრე, კითხვა დიდ ჯგუფებში, კვება, მუსიკა, სავარჯიშოდ გასვლა და სხვა, ხოლო ტრანზიციებში აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პერიოდში შემუშავებული წესები, მაგალითად, ტრანზიციის სიმღერა ან მორიგეობა დალაგებასა და სუფრის გაშლაზე.

ეს კომპონენტები, შესაძლოა, ზოგიერთ კვირის გეგმაში გამოყოფილი იყოს და ზოგიერთში არა, იმის მიხედვით, არსებობს თუ არა ამ პროცესის დაგეგმვის საჭიროება.

შეიძლება, ეს გრაფა ცარიელი იყოს, თუ აქ არაფერს გეგმავთ და ტრანზიცია, თვითმოვლის საქმიანობები, დილისა და საღამოს წრეები უმტკივნეულოდ და რუტინულად ხორციელდება; ასევე თუ წიგნის კითხვის დროს არ არის ახალი წიგნის წაკითხვა დაგეგმილი და თუ ჯგუფს არა აქვს კიდევ დამატებითი სრული ჯგუფის აქტივობები, როგორიც მუსიკაა.

გრაფის გაჩენის შემთხვევაში კი იწერება შესაბამისი აქტივობა/პროცესი, საჭირო რესურსი და სტრატეგიები. *მაგალითად, შესაძლოა, თქვენ ყოველ დილის წრეზე ტრადიციულად დაგეგმილი გაქვთ რაიმე სახალისო დილის მისასალმებელი და მოსაკითხი აქტივობა, მაგრამ, ამჯერად თემიდან ან პროექტიდან გამომდინარე, გსურთ, რომ ამ აქტივობას რაიმე მასალა ან სასუბრო თემა დაამატოთ, მაშინ ამ გრაფაში მიუთითებთ შესაბამის სასუბრო თემასა და მასალას. მაგრამ თუ დილის წრის აქტივობებს ყოველთვის ცვლით თემისა და პროექტის შესაბამისად, მაშინ შეგიძლიათ ეს კომპონენტიც აქტივობების, გამოწვევებისა და რესურსების გრაფაში გადაიტანოთ, როგორც ეს მეორე ნიმუშშია მითითებული.*

სრული ჯგუფის აქტივობის გრაფას თავად ავსებს ან ძირითად აღმზრდელს ავსებინებს ის საგანმანათლებლო პერსონალი, რომელიც ამ კომპონენტს წარუძღვება, მაგალითად, მუსიკას - მუსიკის აღმზრდელი. მათაც იგივე პრინციპები უნდა დაიცვან, რაც გეგმის წერის პროცესში ხდება - აქტივობები და გამოწვევები უნდა შეესაბამებოდეს კვირის მიზანს და ინტერესებს.

ამ ხაზებში გაწერილი ინფორმაცია შესაძლებელია, დღიურად იყოს განსაზღვრული, მაგრამ ასევე აერთიანებდეს დღეებს. მაგალითად, შეიძლება დილის წრეზე გაწერილი გეგმა შეესაბამებოდეს იმ კვირის ყველა დღეს, შესაბამისად, აღმზრდელი არ გამოიყენებს ვერტიკალურ ხაზებს დღეების გამოსაყოფად და ერთიანად გაწერს მთელი კვირისთვის აღნიშნულ ინფორმაციას.

ზოგიერთ შერეულ ასაკობრივ ჯგუფში სრული ჯგუფის აქტივობები შესაძლოა საერთოდ არ ხორციელდებოდეს და შესაბამისად, აღმზრდელმა ეს გრაფა არც შეავსოს.

სტრატეგია უფროსებს აძლევს საშუალებას, მეტად მიზანმიმართული და თითოეულ ბავშვზე ორიენტირებული პრაქტიკა ჰქონდეთ. აქ უნდა დაიწეროს, რა სტრატეგიას იყენებ გამიზნულად (დაგეგმილად) და ინტენსიურად ზემოთ მოცემული ქვემიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ თქვენი მიზანია პრობლემის გადაჭრა სტრატეგიებში, შესაძლოა, დაწეროთ, რომ ხელს შეუწყობთ ბავშვებში დაკვირვებისა და დაფიქრების უნარებს, დაუსვამთ ღია შეკითხვებს და ა.შ. მიზნებისა და განვითარების შესაბამისი სტრატეგიების მნიშვნელობაზე იხ. კურიკულუმის მესამე ნაწილში შემავალი თავები.

ინდივიდუალიზაცია - ინდივიდუალიზაციაზე ფიქრისას ყურადღებას ამახვილებთ კონკრეტულ ბავშვებზე, ვისაც ესა თუ ის კონკრეტული მხარდაჭერა სჭირდება ამა თუ იმ აქტივობაში ჩასართავად და წერთ, ამას როგორ გააკეთებთ. ინდივიდუალიზაციის გრაფა შესაძლებელია აღმზრდელთან ერთად და მასთან შეთანხმებით, სპეციალური პედაგოგის, ფსიქოლოგისა და ენა-მეტყველების პედაგოგის მიერაც ივსებოდეს *მაგალითად, „მცირე ჯგუფებში კითხვისას, დათას (რომელიც წიგნებით ნაკლებად ინტერესდება) ვთხოვ, იყოს*

ჩემი ასისტენტი - გადაშალოს ფურცლები და დამეხმაროს ბავშვებისათვის ილუსტრაციების ჩვენებაში“, ან „წავახალისებ ნინას (რომელიც აქამდე დამოუკიდებლად არ ჭამდა) ნახევრადმყარი საკვები შეჭამოს დამოუკიდებლად, კოვზის გამოყენებით, აღვნიშნავ ყველა მის მცდელობას ჭამოს დამოუკიდებლად.“

ზოგიერთ ბავშვთან დაკავშირებით ინდივიდუალური გეგმა გექნებათ შედგენილი (წელიწადში ორჯერ). ამ შემთხვევაში, გაითვალისწინებთ ინდივიდუალურ გეგმაში ასახულ საკითხებს და ინდივიდუალიზაციას ამ საკითხებს შეუსაბამებთ, მაგალითად, ინდივიდუალურ გეგმაში შესაძლოა ეწეროს, რომ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ტრანზიციებისას, მცირე ჯგუფებში თამაშში ჩასართავად და ხმაურით გამოწვეული დისრეგულაციის პრევენცია. ამ შემთხვევაში, ინდივიდუალიზაციის გრაფაში შესაძლოა ჩაიწეროს „ტრანზიციებისას სანდროსთან ახლოს მივალ და შესაბამის ბარათს ვაჩვენებ. ხმაურის დროს ყურსასმენებს შევთავაზებ, როდესაც დავინახავ, რომ სხვების თამაშს უყურებს მივალ და დავეხმარები, რომ თამაშში ცოტა ხნით ჩაერთოს“. ***გაითვალისწინეთ, რომ ინდივიდუალიზაციას წერთ მათ შესახებაც, ვისაც აქვს ინდივიდუალური გეგმა და მათ შესახებაც, ვისაც ინდივიდუალური გეგმა არ აქვს, მაგრამ ინდივიდუალური მიდგომები მაინც სჭირდება.***

ინდივიდუალიზაცია სჭირდება ყველა ბავშვს, ვინც თავისებურად სწავლობს და აღიქვამს, ვისაც საკუთარი ქცევისა და გრძნობების რეგულირება უჭირს, ვისაც საკუთარი თავის გამოხატვა მოძრაობით ურჩევნია, ვინც განსხვავებული ენობრივი და კულტურული ოჯახის წარმომადგენელია, ვინც განსაკუთრებით მორცხვი და მორიდებულია, ვინც საკმარის სიყვარულს ვერ იღებს, ვისაც განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია სჭირდება ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ა.შ.

ინდივიდუალიზაცია შეიძლება მოიცავდეს, ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენებას. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას - ბავშვისათვის საქმიანობების ადაპტირებას: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ინდივიდუალიზაცია, ანუ მოდიფიცირება გულისხმობს:

- გამოწვევების შესაქმნელად ნაკლებად რთული მასალების შეთავაზებას
- სხვა ბავშვებთან თამაშსა და კომუნიკაციაში დახმარებას
- ბავშვისთვის ისეთი მასალის შეთავაზებას, რაც წარმატების განცდას გაზრდის
- ურთიერთობის, საუბრის, ფრაზების მოდელირებას
- ბავშვების დაწყვილებას, დაჯგუფებას - დახმარებისა და ხელშეწყობის მიზნით
- ახალი მასალების შეთავაზებას
- მეტი კვლევის ხელშეწყობისთვის - კითხვების დასმას
- ბავშვის სენსო-მოტორულ რეაქციებზე შესაბამის რეაგირებას
- ქცევითი სირთულეების თავიდან არიდებას და სირთულეების გამკლავებაში დახმარებას

გეგმის ბოლოს უნდა დაიწეროს **კვირის ანალიზი.** დაფიქრდით განვლილ კვირაზე, მოკლედ დაწერეთ, რამ იმუშავა კარგად, ან რა ვერ გამოვიდა და რას შეცვლიდით და გაითვალისწინებდით მომავალი კვირისთვის. ცხადია, თუ მაგალითად, ოთხშაბათს მოხდა რაიმე გასათვალისწინებელი და არ გინდათ რომ ეს დაგავიწყდეთ, ამის შესახებ მოკლე ინფორმაცია ამ გრაფაში მაშინვე შეგაქვთ. ამ გრაფას ყველა ჯგუფთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი ავსებს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და წერს ისეთ საკითხებს, რაც უნდა გაითვალისწინონ შემდეგ კვირას. ჩანაწერი მოკლე და შეჯერებული უნდა იყოს და მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- რა ინტერესები დაფიქსირდა ბავშვებში
- რა გამოწვევები შეიქმნა პროცესში
- რა გამოწვევები შეექმნა ინდივიდუალურ ბავშვს ან ბავშვთა ჯგუფს
- რა შედეგები იქნა მიღწეული
- რომელმა სტრატეგიებმა გამოიღეს შედეგი
- როგორი იყოს ბავშვების კეთილდღეობა და ჩართულობა
- რა არის შესაცვლელი
- რა არის იგივე დასატოვებელი

მიმდინარე გეგმა ცენტრალური მნიშვნელობისაა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი სწორად დაწერა, არამედ მისი გამოყენების პროცესიც. საგანმანათლებლო პერსონალი მიმდინარე გეგმას იყენებს იმისთვის, რომ:

- შეთანხმდნენ საერთო მიზნებზე და სტრატეგიებზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, იყვნენ თამნიმდევრულნი და ერთიანები მიდგომებში.
- მოემზადონ საგანმანათლებლო პროცესის წარსამართად. გადაამოწმონ რესურსის ხელმისაწვდომობა და რაოდენობა, დროულად დაგეგმონ რესურსის შეგროვება და შეძენა, დროულად მოელაპარაკონ შესაბამის მხარეებს (მშობლებს, საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას, თემის წარმომადგენლებს) სხვადასხვა პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველსაყოფად, წინასწარ მოამზადონ/შექმნან სპეციფიკური რესურსი (მაგალითად ვიზუალური ბარათები ან ხელნაკეთი სათამაშოები), ასევე შეიძლება მოიძიონ მეტი ინფორმაცია იმ სტრატეგიების შესახებ, რომელიც მომავალ კვირაში უნდა განახორციელონ.
- კვირის მანძილზე ყოველდღიურად ბავშვებთან მუშაობის დაწყების წინ გადახედონ და გაიხსენონ დღის გეგმა. მიმდინარე გეგმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა საგანმანათლებლო პერსონალისთვის, რომელიც იმ კვირის მანძილზე შედის ჯგუფთან სამუშაოდ, ეს შესაძლებლობას მისცემს თითოეულს, არ გამორჩეთ ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი მხარდამჭერი სტრატეგიები და იყვნენ ფოკუსირებული შეთანხმებულ მიდგომებსა და სტრატეგიებზე.
- შეაჯამონ განვლილი კვირა და ერთად მოაქციონ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც მომავალში უნდა გაითვალისწინონ.

- დაწერონ მომავალი მიმდინარე გეგმები. აღმზრდელები უნდა ხელმძღვანელობდნენ დაგროვილი გამოცდილებით, როდესაც გეგმებს ადგენენ, ამიტომ ახალი მიმდინარე გეგმის შედგენისას მნიშვნელოვანია წინა კვირების გეგმის გადახედვა, როგორც ანალიზში აღნიშნული საკითხების გასახსენებლად, ასევე იმისთვის, რომ უზრუნველყონ დაგეგმილი აქტივობებისა და მიღწეული მიზნების მრავალფეროვნება. წინა გეგმებში ჩახედვით აღმზრდელი ცნობიერად შეძლებს, აღმოაჩინოს, რა ტიპის თამაშები ან გამოცდილებები არ დაუგეგმავს, ან ნაკლებად დაუგეგმავს და ასევე მიზნები, რომელზეც აქამდე აქცენტი გაუკეთებია და შესაბამისად, შეძლებს მომავალ გეგმებში მათ გავრცობასა და გამრავალფეროვნებას.
- მიმდინარე გეგმები კალენდარულ გეგმებთან ერთად აღმზრდელებს საკუთარ პრაქტიკაზე დასაფიქრებლად (რეფლექსიისთვისაც) სჭირდებათ. შესაბამისად, ამ ფორმებს აღმზრდელის პორტფოლიოში ინახავს და დროდადრო უბრუნდება, რათა შეაფასოს თავისი საქმიანობა და ამ შეფასებაზე დაყრდნობით გაუმჯობესოს იგი.

ქვემოთ მოცემულია გეგმის ნიმუშები. ნიმუში 3, 4-5-წლიანი ასაკის ბავშვების ჯგუფისთვისაა განკუთვნილი და თემატურ მიდგომას მიჰყვება. მასში ჩანს, რომ კვირის ყველა დღეს დაგეგმილი აქტივობები და პროვოკაციები თემის გარშემო ტრიალებს და აღმზრდელის ჩანაწერების ძირითადი ფოკუსი შესაბამისი მასალების ჩამონათვალზეა გაკეთებული.

მე-4 ნიმუშში, რომელიც განკუთვნილია შერეული ასაკის ჯგუფისთვის, ჩანს, როგორ გამოყოფენ აღმზრდელები აქტივობებს ან სტრატეგიებს, რომელიც უფროსი და უმცროსი ასაკის ბავშვებს განეკუთვნება. ამ გეგმაში, ასევე ჩანს, რომ ყველა აქტივობა თემატური არ არის, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი ზოგიერთი აქტივობა მხოლოდ მიზნების შესაბამისია.

ნიმუში 5 პროექტის მეთოდს ასახავს, ეს ნიმუში შედარებით მოკლევადიანი პროექტის გეგმის მაგალითია, მასში ჩანს, როგორ ასწრებს აღმზრდელი კვირის მანძილზე პროექტის 2 ფაზის განხორციელებას და ასევე, რა სხვა დამატებით მიზნის შესაბამის აქტივობებსა და გამოწვევებს გეგმავს კვირის მანძილზე.

გაითვალისწინეთ, ნიმუშებზე ჩანაწერები თვალსაჩინოებისთვის უფრო ვრცლადაა მოცემული, ვიდრე ის რეალურად უნდა იწერებოდეს.

გეგმის ნიმუში 3

თარიღი — ასაკობრივი ჯგუფი: 4-5	**ორშაბათი**	**სამშაბათი**	**ოთხშაბათი**	**ხუთშაბათი**	**პარასკევი**
ქვემიზნები	***კონფლიქტის მოგვარება, სოციალური თამაში, სენსორული კვლევა, ინტერესის გაღრმავება***				
ინტერესი • თემატური მიდგომა	**სახლის ცხოველები**				
აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსი	**მეცნიერების ცენტრში:** ლუპები, ჩლიქები, კბილები და ხელთათმანები წითელ სინზე **სენსორულ ცენტრში**: ბურღულეულში მინიატიურული ცხოველები **დრამატული**: სალამური, ქუდი, მწყემსის მოსაცმელი და ჯოხი	**ხელოვნების ცენტრში**: სიმინდის სახამებელი, საცერი, პატარა ცხოველები ***კუბურების ცენტრი:*** ფერმის სურათის გაკვრა, თივისა და შინაური ცხოველების დამატება	**ხელოვნების ცენტრში:** გუაშები, პლასტილინი, ფქვილი, პატარა ჯამი და ცომი და ცხოველები და ჯამი - გამოცხობა შეღებვა **წიგნიერება**: ჯიუტი თხები	**წიგნიერების ცენტრში:** ჯიუტი თხების გათამაშება **ხელოვნების ცენტრი**: ფანქრები და ფურცლები და დიდ სურათების ხატვის წახალისება **მეცნიერება:** რძე, საკვები საღებავი, პიპეტები, საკვების სურათები და დიდი პლაკატი ორად გაყოფილი თავში დავაწეროთ და დავახატოთ „რძით“ რძის გარეშე“ - რა მზადდება რძით, რა ემართება ფერების შერევით	**ხელოვნება**: ცხენის თავები და ჯოხები, დამზადება გაფერადება **მეცნიერების ცენტრი:** *მშობლის ვიზიტი და ყველის ამოყვანა* რესურსი: რძე, ქვაბი, საწური, მარლა, კოვზები, შემკვრელი
		ეზო: ბუდრუგანაში, ტალახის სამზარეულოში ცხოველები სალაფავი	**ეზო**: დააკვირდნენ ცხოველებს ეზოში		**ეზო:** ცხენებით ჯირითი
რუტინები და ტრანზიციები	**დილის წრე:** დიდი ილუსტრირებული **წიგნის დრო:** წიგნები შინაურ ცხოველებზე	**მუსიკა:** ფერმის ცხოველების ხმების გამოცნობა ***მიღება ან წასვლის დროს:*** *მშობელთან შეთანხმება პარასკევის ვიზიტზე*		**მუსიკა**: ცხოველების მოძრაობის მიბაძვა	**დილის წრე და საღამოს წრე:** თამაში ტყუილი და მართალი

<table>
<tr><td rowspan="2">ინდივიდუალიზაცია</td><td>დათას ინდივიდუალურად ვაცნობთ მეცნიერების ცენტრში განლაგებულ ძვლებს და ლუპას, ვუსახელებთ და ვაჩვენებთ, როგორ შეიძლება ლუპით დაკვირვება, მასთან და 2 ბავშვთან ერთად ვთამაშობთ ქვიშაში, მარიკა მასთან და დანარჩენ ბავშვებთან ერთად თამაშობს დრამატულ ცენტრში</td><td>დათასთან ერთად ვთამაშობთ გარეთ ტალახში, მარიკა ეხმარება კუბურების ცენტრში ითამაშოს სხვებთან ერთად</td><td>ჯიუტი თხების კითხვისას აღმზრდელს უზის კალთაში, მარიკა და დათა თამაშობენ პლასტილინით</td><td>სხვა ბავშვებთან ერთად დათასაც წავახალისებთ, იმოძრაოს თხასავით და გამოსცეს შესაბამისი ხმები</td><td>ეზოში შევთავაზებთ ცხენის ჯოხს საჯირითოდ, დანარჩენ ბავშვებს წავახალისებთ გაამხნევონ დათა</td></tr>
<tr><td colspan="5">ევას ყოველდღე ვესალმებით სახელით, აღვნიშნავთ ვარცხნილობას, ან თუ რაიმე საინტერესო მაისური ეცმევა, ერთად წავიკითხავთ წიგნს. წასვლისას დედას მისი თანდასწრებით ვეუბნებით, როგორ ვისიამოვნეთ ერთად კეთებით</td></tr>
<tr><td>სტრატეგია</td><td colspan="5">განსაკუთრებით ყურადღებით ვართ კონფლიქტების მიმართ, თანმიმდევრულად ვიყენებთ კონფლიქტის გადაჭრის საფეხურებს. ვიყენებთ ჯადოსნურ ჯოხს, ვისაც ხელში უჭირავს, ის საუბრობს, მეორე უსმენს.

როდესაც ბავშვები სენსორული კვლევით არიან დაკავებულები, ვსვამთ ღია შეკითხვებს და ველოდებით მათ პასუხებს</td></tr>
<tr><td colspan="6">კვირის ანალიზი: კონფლიქტების მოგვარება ქვემიზნად ისევ უნდა დავტოვო; ევასთან დაგეგმილმა სტრატეგიებმა გაამართლა, ნაკლებად მორცხვობს და ანისთანაც დაიწყო თამაში. საბა ისევ ძალიან გატაცებულია გზების მშენებლობით, დამატებითი მასალები და წიგნები უნდა შევთავაზო მშენებლობაზე.</td></tr>
</table>

გეგმის ნიმუში 4

თარიღი: –
ასაკობრივი ჯგუფი: შერეული

ქვემიზნები:

სოციალური თამაში
თვითრეგულაცია (ვიქცევი დაფიქრებით)
კონფლიქტების მართვა
პრობლემის გადაჭრა

ინტერესი - თემა ან პროექტი:
თემა: ფოთოლი

უფროსის მიერ ინიციირებული აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსები:

ორშაბათი

დილის წრე: ბავშვებს ვახვედრებთ სხვადასხვა ფოთლებს, მათ შორის, წიწვოვანს. წავახალისებთ, ფოთლები დასრისონ და დასუნონ. უფროსებს წავახალისებთ, დაწყვილდნენ და გაუზიარონ ერთმანეთს, რომლის სუნი უფრო მოსწონთ. პატარებს ვაჩვენებთ, როგორ დასრისონ ფოთლები.

ეზოს აქტივობა: წავახალისებთ უფროს ბავშვებს, გაინაწილონ როლები - ფოთლების შემგროვებელი და ფოთლების დამხარისხებელი, ბავშვებს ვკითხავთ, რაში შეიძლება გამოიყენონ ეს ფოთლები სხვადასხვა ცენტრებში და ჩავიწერთ მათ იდეებს (წავახალისებთ იდეებს მეცნიერებისა და დრამატული წრისთვისაც). პატარებთან საქვიშეში სხვადასხვა ფერისა და ზომის ფოთლებსაც განალაგებთ, დავაკვირდებით, როგორ გამოიყენებენ ბავშვები ფოთლებს.

შემოქმედების ცენტრში: დავდებთ რამდენიმე უცნაური ფოთლის ფერად ფოტოს და სხვადასხვა მასალას სახატავად. პატარებს მივცემთ მაგალითს ან წავახალისებთ დააკვირდნენ უფროსებს

სამშაბათი

წიგნიერება: უფროსების ჯგუფს ვუკითხავთ წიგნს „ტოპო-ტიპი იბუტება“, წავახალისებთ საუბარს, როდის ვარ მოწყენილი ან ნაწყენი. პატარების ჯგუფთან ერთად ვათვალიერებთ მათ საყვარელ წიგნებს და ვსაუბრობთ.

მეცნიერების ცენტრი: ვდებ ჯამებს, სანაყს, სხვადასხვა სუნის მქონე ფოთლებს, ლუპას, პიპეტებს, კოლბებს.

დრამატული ცენტრი: შემაქვს სხვადასხვა მწვანილები, საჭრელი დაფა, სათამაშო ან არაწვეტიანი (კარაქის) დანები, მარილი, ძმარი.

კუბურების ცენტრში: ვდებთ ფოთლიან ტოტებს და ხის მორებს, ვაკრავთ ფოთლებით გადახურული ქოხის სურათს, უფროსებს ვეკითხებით, როგორ შეიძლება აიგოს ასეთი ქოხი. ვაშენებთ პატარებთან ერთად.

შემოქმედების ცენტრში: წიწვებით ხატვა (მასალა: წიწვები, საღებავები, ფურცლები), პატარებს ვეხმარებით.

ოთხშაბათი

წიგნიერება: ვიხსენებთ წინა დღეს წაკითხულ წიგნს „ტოპო-ტიპი იბუტება.“ უფროსებთან ვსაუბრობთ თავის დამშვიდების მეთოდებზე, ბავშვებთან ერთად ვაწყობთ დამშვიდებისა და მოლაპარაკებების კუთხეს, ვიხსენებთ კუს ტექნიკას.

მეცნიერების ცენტრი: წავახალისებთ ბავშვებს, გააგრძელონ მცენარეებისგან სხვადასხვა სახის „წამლების“ და „მალამოების“ დამზადება

დრამატული ცენტრი: ვამატებთ მწვანილებს. ვამატებთ ფურცლებს და კალმებს, უფროსებს ვეხმარები „ჩაიწერონ“ რეცეპტები. პატარებს წავახალისებ, „დაამზადონ წამლები“.

მოტორული: ,,წითელი შუქი, ყვითელი შუქი, მწვანე შუქი“ - უფროსებთან; „აფრინდა, აფრინდა“ - პატარებთან.

კუბურების ცენტრი: წავახალისებ ბავშვებს, კუს აუშენონ ფოთლების სახლი.

ხუთშაბათი

დილის წრე: მოვიმარაგებთ რამდენიმე პატარა სარკეს, ბავშვებს ვთხოვთ, დაწყვილდნენ და გაიმეორონ ერთმანეთის მიმიკები, ვაძლევ მაგალითს.

მეცნიერების ცენტრი: წავახალისებთ ბავშვებს, გააგრძელონ მცენარეებისგან სხვადასხვა სახის „წამლების“ და „მალამოების“ დამზადება. ამისთვის ეზოდან ამოგვაქვს დამატებითი ფოთლები, ბავშვებს წინასწარ ვთხოვთ, დაგეგმონ, რა სჭირდებათ ფოთლების შესაგროვებლად და რა ტიპის ფოთლების შეგროვებას აპირებენ.

შემოქმედება: ფოთლების ჩრდილების ხატვა (მასალა: ფოთლები, ჩარჩო, ძაფები).

კუბურები: წავახალისებთ ბავშვების იდეებს ფოთლებით მორთული ხიდის აგებაზე, ვეკითხები, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, ვეკითხები, ვის რა როლის ექნება ამ საქმეში.

წიგნიერება: ბავშვების მიერ შერჩეული წიგნების კითხვა და/ან თვალიერება მცირე ჯგუფებში (ასაკობრივად გადანაწილებული)

პარასკევი

დილის წრე: ვახვედრებთ პატარა თოჯინებს, გავითამაშებთ სცენარს, სადაც თოჯინები სათამაშოს ვერ იყოფენ, უფროსებს ვეკითხებით, როგორ შეიძლება გადაიჭრას კონფლიქტი, პატარებს ვეკითხებით, მათი აზრით, როგორ გრძნობენ თავს თოჯინები და რატომ?

შემოქმედება: შემოდგომის ქალბატონი (მასალა: თოჯინა, ქაღალდი, წებო, ფოთლები)

წიგნიერება: ბავშვების მიერ შერჩეული წიგნების კითხვა და/ან თვალიერება მცირე ჯგუფებში (ასაკობრივად გადანაწილებული)

ტრანზიცია/რუტინა/დილის წრე/საღამოს წრე

ამ კვირაში ბავშვებთან ერთად ვგეგმავთ სუფრის ალაგება-დალაგების მორიგეობას, ერთად ვაკეთებთ ვიზუალურ ცხრილს, ყოველ დილას წავახალისებთ ბავშვებს, შეხედონ ცხრილს და თქვან, დღეს ვინაა მორიგე - პატარების მორიგეობას აღმზრდელი უწევს ასისტირებას და თან ეხმარება, დათვალონ თეფშები მაგიდაზე.

სტრატეგია/ინდივიდუალიზაცია:

სტრატეგიები:

- ვეკითხებით ბავშვებს, როგორ შეუძლიათ, გამოიყენონ დამზადებული „საწებლები“ და „აჯიკები“. ვუსვამ შეკითხვას, რა სჭირდებათ იმისთვის, რომ „საწებლები“ და „აჯიკები“ გაყიდონ.
- აღვნიშნავთ გაზიარების ყველა მცდელობას.
- აღვნიშნავთ პრობლემის გადაჭრის ყველა მცდელობას.
- კონფლიქტებისას ვიყენებთ კონფლიქტის მართვის სტრატეგიას და ჯადოსნურ ჯოხს, ასევე მოლაპარაკებების კუთხეს.
- ხშირად შევახსენებთ ბავშვება კუს ტექნიკას.
- ხშირად ვასახელებთ, ვახმოვანებთ მათ ემოციურ მდგომარეობას.

ინდივიდუალიზაცია:

- ხშირად ვარ დათუნას გვერდით და ვეხმარები ბრაზის მართვაში, ერთად ვსუნთქავთ, აღვნიშნავ ყველა მის პოზიტიურ მცდელობას, ბავშვებისა და განსაკუთრებით მის წინაშე ვიძლევი მოთმინების მაგალითებს: „როგორ მშია, მაგრამ ჯერ დაველოდები, სხვა როდის გადაიღებს.“
- ყოველდღე ლუკასთან ერთად ვთამაშობ სარკესთან მიმიკების იმიტაციაზე, ვაგორებთ მანქანებს სხვადასხვა ზედაპირზე, ვახალისებ, გამოიყენოს ბარათები „კიდე“.“არა“, „დავიღალე“, ეზოში ყოფნისას ლუკ,ა თანაშემწე და სხვა 2 ბავშვი სირბილში თამაშობენ. ვცდი, რამდენად მოეწონება ფოთლების დანაყვა და დასუნვა. ერთად დავხატავთ წიწვებით, ბავშვებს წავახალისებ ლუკას, ყოველთვის სახელით მიესალმონ და დაემშვიდობონ.

კვირის ანალიზი (იწერება კვირის დასრულების შემდეგ):

აღმზრდელებს როლები კარგად არ გვქონდა გადანაწილებული, შემდეგი კვირის დაგეგმვისას საჭიროა, უფრო მკაფიოდ გავიყოთ როლები.

ნიკას და ანის წიგნის კითხვა არ აინტერესებთ, კიდევ უნდა დავაკვირდეთ.

პროექტის გეგმის ნიმუში 5.

თარიღი	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
ქვემიზნები	სიღრმისეული კვლევა ინტერესების გაღრმავება ვაკეთებთ ერთად				
ინტერესი • თემატური მიდგომა • პროექტის მეთოდი	როგორ ცხვება პური? (თონე) ფაზა 1 და 2				
აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსი	სენსორულ ცენტრში შემაქვს ფქვილი, საცერი და სხვა სამზარეულოს უსაფრთხო ნივთები კუბურების ცენტრში შემაქვს ფერმის ცხოველები, თვალსაჩინოდ ვუდებ დიდი ფერმის საინტერესო კონსტრუქციების სურათებს	ექსკურსია თონეში (მიგვაქვს ფურცლები და ფანქრები ადგილზე ჩანახატების გასაკეთებლად. წავახალისებ ბავშვებს დასვან კითხვები) ეზოში საქვიშესთან - წავახალისებ აგურებით და ტალახით ‘ააგონ’ თონე’ (აგურები)	წიგნიერებაში - წიგნები პურის ცხობაზე, ასევე ქრონოლოგიური ბარათები, რომელიც პურის ცხობის პროცესს აღწერს. წავახალისო ბავშვები დაალაგონ ქრონოლოგიურად ბარათები, წიგნის წაკითხვის შემდეგ. ეზოში საქვიშესთან - ‘თონეს’ დავუმატო დახლი, თაროები გამომცხვარი პურის შესანახად, სათამაშო ფული, მეორადი ფურცლები. წავახალისო ბავშვები, ითამაშონ.	მეცნიერების ცენტრი - პურის ცხობა, რას შვება საფუარი, ექსპერიმენტი სხვადასხვა ტიპის საფუარი, სოდა და ძმარი, თბილ წყალში, ცივ წყალში ხელოვნების ცენტრში - წავახალისებთ, დახატონ პურის რეცეპტი. (წიგნი „კუკრუჭანები, კოკლოზინები და სხვა გემრიელი რამეები პატარა მკითხველებისათვის“, რეცეპტის ტექსტები დანომრილ პატარა ფურცლებზე დაწერილი) წიგნის მაგალითზე შევთავაზებ, დახატონ რეცეპტი, ვეხმარები ტექსტების თანმიმდევრობის დალაგებაში, ვუკითხავ, რომ შეძლონ ტექსტის დასურათება და წავახალისებ, რომ შესაბამის ნახატთან ჩააკრან ტექსტი.	კულინარია - მოვზილოთ პურის ცომი და ბავშვებს შევთავაზებ, შექმნან „თავიანთი ტრადიციული“ პურის ფორმა. სამაგიდო ცენტრი - შევიტანო ფერმის ცხოველების ლოტო

დილის წრე	ვახვედრებ და ვთავაზობ 2-3 ნაირსახეობის პატარა კუბიკებად დაჭრილ პურს. კითხვები: რა არის? როგორია? რა იციან პურის შესახებ? ვის უნახავს / მიუღია მონაწილეობა პურის ცხობაში? ვიწერ მათ იდეებს (დიდი ფორმატის ფურცელი, მარკერი, დაფა) იცით რომ არსებობს პურის ცხობის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები? რა იცით ამის შესახებ? შუაში ვხატავ დიდ პურს და გარშემო ვიწერ იმ შეკითხვებს, რაც ბავშვებს გაუჩნდათ (თემები წესით უნდა წამოვიდეს: შეშის ღუმელი (ფეჩი), ცეცხლი, გაზქურა, თონე, აპარატი)				ბავშვებს ვახვედრებ ვიდეოებს ან/და სურათებს, რომელზეც აღბეჭდილია სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციული პური.
საღამოს წრე	ბავშვებს, რომლებმაც ითამაშეს, მცირე ჯგუფებში წავახალისებ, გააზიარონ, რა გააკეთეს ერთად და იმსჯელონ, როგორი იყო ერთად თამაში/კეთება, რა გამოვიდა უკეთ, იმიტომ რომ ერთად აკეთეს.				
სტრატეგია	ღია კითხვები, წავახალისებ, დასვან ბევრი შეკითხვები, მოყვნენ, რა იციან პურის ცხობაზე, წავახალისებ დაკვირვებისა და აღმოჩენების გაკეთების უნარებს, ხელებით ერთად კეთებას.				
ინდივიდუალიზაცია	ნინა - ვრწმუნდები, რომ გაიგო თემასთან დაკავშირებული ახალ სიტყვები, ვიყენებ ბარათებს: ცომი, საფუარი, საცხობი, თონე, ფქვილი. ნიკო - ველაპარაკები მკაფიოდ, ახლოს , პირისპირ, არა ხმამაღლა.				
კვირის ანალიზი: მესამე ფაზა - დრამატულში პურის ცხობის ინსცენირება ან სტუმრებისთვის (გვერდითა ჯგუფი/მშობლები) პატარა პრეზენტაციის გაკეთება და ჩვენი გამომცხვარი პურით გამასპინძლება.					

ინდივიდუალური გეგმა

ინდივიდუალური გეგმა ივსება წელიწადში ორჯერ იმ ბავშვებისათვის, ვისაც აქვს **გამოკვეთილი საჭიროებები, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, მწვავე ქცევითი სირთულეებიდან, სოციალური მდგომარეობიდან ან ამ ფაქტორების კომბინაციიდან მომდინარეობს. ინდივიდუალური გეგმის შესაბამისი ინდივიდუალიზაციის კონკრეტული სტრატეგიები შემდეგ მიმდინარე (კვირის) გეგმის ინდივიდუალიზაციის გრაფაში აისახება.**

გაითვალისწინეთ, რომ ზოგადად ჯგუფში, შესაძლოა, იყოს 1 ან 2 ბავშვი, ვისთვისაც ინდივიდუალური გეგმა იწერება, მაგრამ თქვენს ჯგუფში ასევე იქნებიან სხვა ბავშვებიც, ვისაც ინდივიდუალური საჭიროებები აქვთ, მაგალითად, ზედმეტი სიმორცხვე და შფოთი, ნაწერისა და წიგნისადმი ნაკლები ინტერესი, უყურადღებობა და სხვა, ეს საჭიროებები შესაძლებელია იყოს დროებითი (მაგალითად, ოჯახური სიტუაციით გამოწვეული სტრესი) ან ხანგრძლივი (მაგალითად, ენობრივი შეფერხების ნიშნები). ამ ბავშვებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა არ არის აუცილებელი, მათთან გამოსაყენებელი ინდივიდუალური სტრატეგიები შეგიძლიათ მხოლოდ მიმდინარე გეგმაში ასახოთ.

ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შედგენაში აუცილებლად მონაწილეობს მშობელი ან მეურვე, მისი ჯგუფის ყველა აღმზრდელი (პირველი, მეორე ცვლა, თანაშემწე), სპეციალური პედაგოგი (თუ ბაღში არის) და ფსიქოლოგი ან ენა-მეტყველების თერაპევტი (არსებობისა და საჭიროებებიდან გამომდინარე).

თუ ბაღში არის სპეციალური პედაგოგი, მაშინ ინდივიდუალური გეგმის კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი ის იქნება, მაგრამ, მისი (ასევე ფსიქოლოგისა და ენა-მეტყველების თერაპევტის) არარსებობა არ გულისხმობს, რომ ბავშვის ინდივიდუალური გეგმა არ შედგეს, თუ ამის საჭიროება არსებობს. ასეთ შემთხვევაში, გეგმის შექმნის კოორდინატორი აღმზრდელია.

მნიშვნელოვანია, აღმზრდელებმა გააცნობიერონ, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის ჯგუფის საქმიანობებში ჩართვაზე მთავარი პასუხისმგებელი პირები თავად არიან. საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი: სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენა-მეტყველების თერაპევტი, მათ შესაძლოა, მხოლოდ ეხმარებოდნენ: აძლევდნენ რჩევებს, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით თამაშობდნენ ბავშვთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში, აკოორდინირებდნენ შეხვედრებს და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია ინდივიდუალური გეგმის ცარიელი და შევსებული ორი ნიმუში. *გაითვალისწინეთ, რომ ამ კონკრეტულ გეგმებში ჩანაწერები ვრცლად არის მოცემული. ყოველთვის ამგვარი ვრცელი ჩანაწერების გაკეთება აუცილებელი არ არის.*

გეგმას უნდა ეწეროს თარიღი და ბოლოს მიწერილი ჰქონდეს გადახედვის თარიღიც, ისე, რომ გუნდი წელიწადში ორჯერ მაინც იკრიბებოდეს, მსჯელობდეს ბავშვის პროგრესსა და საჭიროებებზე და ადგენდეს ამ საჭიროებებზე საპასუხო კონკრეტულ გზებს.

საუკეთესო შემთხვევაში, გუნდის წევრი შესაძლოა იყოს ის სპეციალისტი, ვისთანაც ბავშვი ბაღის გარეთ დადის, მაგალითად, ადრეული ჩარევის სპეციალისტი, ფსიქოლოგი,

ფიზიკური თერაპევტი, ქცევის თერაპევტი ან სხვა. თუ მისი შეხვედრაზე მოყვანა ვერ ხერხდება, შესაძლებელია, მასთან ტელეფონით გასაუბრება ან მისი ონლაინ ჩართვა.

ფორმა 100-ის ჩანაწერის გადმოტანა გეგმაში სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი.

ინფორმაცია სმენისა და მხედველობის შესახებ გასათვალისწინებელია, რადგან სმენის, თუნდაც მცირედი სირთულე, ენის გაგების უნარებისთვის სერიოზული ხელის შემშლელი ფაქტორია, ისევე, როგორც მხედველობის შესაძლო სირთულე აფერხებს ბავშვის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას. გუნდის შეკრებაზე ამ საკითხებზე მსჯელობა ამაღლებს მშობლებსა და აღმზრდელებს შორის ცნობიერებას ამის მნიშვნელობაზე.

ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა, იმყოფებოდეს სპეციფიკურ დიეტაზე და გუნდმა უნდა იმსჯელოს, როგორ დააკმაყოფილებს ბაღი ამ საჭიროებებს. ზედა გრაფაში იწერება, რა სახის დიეტაზეა ბავშვი, ხოლო ქვემოთ, სადაც კვებისა და ჰიგიენის საჭიროებებს განვსაზღვრავთ, იწერება, რას გააკეთებს ბაღი ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. იგივე ლოგიკით ივსება მედიკამენტებთან დაკავშირებული საჭიროებებიც. თუ ბავშვი, ექიმის დანიშნულების საფუძველზე რაიმე ისეთ წამალს იღებს, ან, მაგალითად, ინსულინის ნემსის გაკეთება სჭირდება ბაღში ყოფნის დროს, ზედა გრაფაში ჩაიწერება წამლის დასახელება, ხოლო ქვემოთ სხვა გასათვალისწინებელი საკითხის გრაფაში ჩაიწერება, დღის რომელ მონაკვეთში და ვინ დაალევინებს ბავშვს ამ წამალს, ან ვინ გაუკეთებს ინსულინის ნემსს.

შემდეგ მონაკვეთში ივსება ინფორმაცია იმ ცენტრებისა ან ინდივიდუალური თერაპევტების შესახებ, ვისთანაც ბავშვი ბაღს გარეთ დადის. ეს ინფორმაცია საჭიროა, რათა გავითვალისწინოთ ბავშვის ბაღში სიარულის ინდივიდუალური გრაფიკი და ასევე გვქონდეს მისი გარე სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, მოსაზრებები რომ გაიცვალოს.

მესამე მონაკვეთში მოკლედ იწერება ბავშვის ინტერესები და მისწრაფებები, ასევე მისი თამაშის განვითარების ეტაპი და მახასიათებლები. ასევე მნიშვნელოვანია, მოვუსმინოთ მშობელს და გეგმაში ავსახოთ მისი პრიორიტეტებიც.

გეგმის მეოთხე მონაკვეთი ბაღის რუტინას მიჰყვება. პირველ მარცხენა გრაფაში გამოტანილია ბაღის დღის რუტინა, შუა გრაფაში იწერება ჩართულობის გამოწვევები, ის კონკრეტული სირთულეები, რასაც ავლენს ბავშვი ბაღის რუტინაში ჩართულობის თვალსაზრისით, ხოლო მარჯვენა გრაფაში, სახელწოდებით -"მხარდაჭერა", იწერება ის, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, თუ ბავშვს დილას მშობელთან განშორება უჭირს, რა კონკრეტულ ღონისძიებებს დაგეგმავს გუნდი და ვინ იქნება მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი. შესაბამისად, ის რაც „ჩართულობის გამოწვევების" გრაფაში გვიწერია, ჩვენი სამიზნეა, ხოლო ის, რაც „მხარდაჭერის" გრაფაში - ჩვენი სტრატეგიებია.

ამ მონაკვეთის ბოლო გრაფაში - „სხვა გასათვალისწინებელი საკითხი" შეგიძლიათ ჩაწეროთ ყველაფერი, რაც დღის რუტინას არ უკავშირდება, მაგრამ მნიშვნელოვანია ბავშვის ჩართულობისა და კეთილდღეობისათვის, მაგალითად, რაიმე დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და მშობლისთვის გაზიარება, რაიმე სპეციფიკური ნივთის შეძენის საჭიროება ან სხვა.

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმა

თარიღი: 20 სექტემბერი

ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი:

ბაღის ჯგუფი და აღმზრდელის სახელი:...

მშობლის/მეურვის სახელი, გვარი: ...

კიდევ ვინ ესწრება შეხვედრას: ..

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ფორმა 100-ის ჩანაწერი (არსებობის შემთხვევაში)	
სმენა	
მხედველობა	
დიეტა	
მედიკამენტები	
დამატებითი ინფორმაცია	

სხვა სპეციალისტები და სერვისები:

ორგანიზაცია	სპეციალისტი, სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფო-რმაცია	მომსახურების ხან-გრძლივობა	კომენტარი
..	...			

ბავშვის ინტერესები და თამაშის განვითარების საფეხური:	

მშობლის პრიორიტეტები:	

ბაღის აქტივობებში ჩართულობა

დღის რუტინა	ჩართულობის გამოწვევები (სამიზნეები)	მხარდაჭერა (სტრატეგიები)
შეგუება მშობელთან განშორება		
აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა		
მცირე ჯგუფებში თამაში		

დიდ ჯგუფებში მუშაობა		
კვება, ხელების დაბანა, ტუალეტი, (ძილი)		
ეზო და დარბაზი		
სხვა გასათვალისწინებელი საკითხი		

გეგმის გადახედვის თარიღი: 1 თებერვალი

ხელმოწერები:

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ნიმუში 1

თარიღი:

ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი: დიტო, 5 წლის

ბაღის ჯგუფი და აღმზრდელის სახელი:...

მშობლის/მეურვის სახელი, გვარი: ...

კიდევ ვინ ესწრება შეხვედრას: ...

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ფორმა 100-ის ჩანაწერი (არსებობის შემთხვევაში)	ცერებრული დამბლა
სმენა	შემოწმებულია, არ აქვს სირთულე
მხედველობა	შემოწმებულია, არ აქვს სირთულე
დიეტა	ესაჭიროება დაბლენდერებული საკვები
მედიკამენტები	არ იღებს
დამატებითი ინფორმაცია	ესაჭიროება ეტლის მორგება, უკვე დაწყებულია ამ თემაზე მოლაპარაკება შესაბამის ორგანიზაციასთან

სხვა სპეციალისტები და სერვისები:

ორგანიზაცია/სერვისი	სპეციალისტი, სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	მომსახურების ხანგრძლივობა	კომენტარი
.....	...	...	....	.....

ბავშვის ინტერესები და თამაშისა და კომუნიკაციის განვითარების საფეხური:	დიტოს ძალიან მოსწონს ბავშვებთან ერთად ყოფნა, სიამოვნებით თამაშობს მათთან ერთად, სიმბოლური და კოოპერაციული თამაშის საფეხურზეა, თუმცა ესაჭიროება მეტი გამოცდილება და მხარდაჭერა სხვებთან თამაშისას. უყვარს, წიგნებს როდესაც ვუკითხავთ, ცნობს რამდენიმე ასოს და სიტყვას.

მშობლის პრიორიტეტ-ტები:	დიტოს ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობა

ბაღის აქტივობებში ჩართულობა

დღის რუტინა	ჩართულობის გამოწვევები (სამიზნე-ები)	მხარდაჭერა (სტრატეგიები)
შეგუება მშობელთან განშორება	ბაღში სიამოვნებით მოდის და რჩება, მაგრამ დიტოს დედას უჭირს მისი ხელით შემოყვანა	სანამ დიტოსთვის ეტლის მორგება და ასევე პერსონალური ასისტენტის მოძიება დასრულდება, ბაღის დარაჯი დიტოს დედას გარეთ დახვდება ხოლმე და დიტოს ჯგუფში შემოყვა-ნაში დაეხმარება. *პასუხისმგებელი პირი:* დარაჯი
აქტივობიდან აქტივობაზე გადას-ვლა	არა აქვს გააზრების სირთულე	
მცირე ჯგუფებში თამაში	ჭირდება უფროსის მხარდაჭერა ფიზიკური ამოცანების შესრულებისას - გადაადგილება/ხელში დაჭერა	დიტო დღის მანძილზე რამდენჯერმე ჩაერთვება აღმზრდელის მიერ ინი-ციირებულ მცირე ჯგუფურ თამაშში, ან აღმზრდელი მას ფიზიკურად დაეხმარება ჩაერთოს ბავშვების მიერ ინიციირებულ თამაშში *პასუხისმგებელი პირი: ორივე ცვლის აღმზრდელი*
დიდ ჯგუფებში მუშაობა	მოსწონს ბავშვებთან ერთად ყოფნა სამაგიდო აქტივობებისას, მაგრამ სჭირდება მასალის ადაპტირება	საჭიროა კონსულტაციის გავლა იმის თაობაზე, თუ როგორ მოვარგოთ მის ხელს მაკრატელი და ფანქრები: *პასუხისმგებელი პირი: პირველი ცვლის აღმზრდელი*

კვება, ხელების დაბანა, ტუა-ლეტი, (ძილი)	ბაღში ჭამს მხოლოდ ფაფას ესაჭიროება ფიზიკური დახმარება ჰიგიენური პროცედურებისას	პერსონალური ასისტენტის აყვანამდე მის ჰიგიენაზე იზრუნებს აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე. საჭიროა ბლენდერის შეძენა, რათა სხვა დაბლენდერებული საკვებიც შევთავაზოთ: *პასუხისმგებელი პირი: აღმზრდელი, თანაშემწე, დირექტორი*
ეზო და დარბაზი		ეზოში ჩაყვანისას აღმზრდელს ბაღის დარაჯი დაეხმარება. აღმზრდელი უზრუნველყოფს, რომ დიტო ჩაერთოს გარე აქტივობებში, იყოს მსაჯი, გადაუგდოს მიწოდებული ბურთი და ა.შ. *პასუხისმგებელი პირი: ორივე ცვლის აღმზრდელი, დარაჯი*
სხვა გასათვალისწინებელი საკითხი	დიტოს დედას უნდა დავუზუსტოთ ინფორმაცია მეზობელ ქალაქში გახსნილი ახალი ცენტრის შესახებ. *პასუხისმგებელი პირი: პირველი ცვლის აღმზრდელი*	

გეგმის გადახედვის თარიღი:

ხელმოწერები:

ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ნიმუში 2

თარიღი: 5 ოქტომბერი

ბავშვის სახელი, გვარი, ასაკი: საბა, 4 წლის

ბაღის ჯგუფი და აღმზრდელის სახელი:...

მშობლის/მეურვის სახელი, გვარი: ...

კიდევ ვინ ესწრება შეხვედრას: ...

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ფორმა 100-ის ჩანაწერი (არსებობის შემთხვევაში)	აუტისტური სპექტრი
სმენა	შემოწმებულია, არ აქვს სირთულე
მხედველობა	შემოწმებულია, არ აქვს სირთულე
დიეტა	იკვებება მხოლოდ პურით
მედიკამენტები	
სხვა გასათვალისწინებელი ინფორმაცია	

სხვა სპეციალისტები და სერვისები:

ორგანიზაცია	სპეციალისტი, სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	მომსახურების ხანგრძლივობა	კომენტარი
...	...	...	....	.....

ბავშვის ინტერესები და თამაშისა და კომუნიკაციის განვითარების საფეხური:	საბას მოსწონს საგნების კაკუნი და ტრიალი, უყვარს წყლითა და ქაფით თამაში. მშვიდდება, როდესაც ეხუტები და რიტმულად უმღერი დაბალ ხმაზე. უპირატესობას ანიჭებს მარტო თამაშს, თამაშის განვითარების სენსორულ-ძიებით ეტაპზეა, გადადის დაკავშირებითზე. კომუნიკაციაში იშვიათად შემოდის. ღედის გადმოცემით, როდესაც რაიმე უნდა ხელს გკიდებს და იმ საგნისკენ მიჰყავხარ.

მშობლის პრიორიტეტები:	ისწავლოს რამდენიმე სიტყვა და შეძლოს სხვა ბავშვებთან თამაში, გამოიმუშაოს ტუალეტის ჩვევები და გაამრავალფეროვნოს კვება

ბაღის აქტივობებში ჩართულობა

დღის რუტინა	ჩართულობის გამოწვევები (სამიზნეები)	მხარდაჭერა (სტრატეგიები)
შეგუება, მშობელთან განშორება	უჭირს მშობელთან განშორება, დილით ხანგრძლივად ტირის, ყრის სათამაშოებს	წამოსვლის წინ დედა ყოველთვის აჩვენებს ბაღისა და აღმზრდელის ფოტოს. საბას აღმზრდელი ხვდება კართან, ეხუტება, უმღერის მის საყვარელ სიმღერას და სთავაზობს წყლითა და ქაფით თამაშს. *პასუხისმგებელი პირი*: აღმზრდელი
აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა	არ ამჩნევს აქტივობების ცვლილებას, ჯგუფში დადის ან სათამაშოს კაკუნით ერთობა	აღმზრდელის თანაშემწე ყოველი ტრანზიციისას მიდის საბასთან, ერთ ან ორსიტყვიანი წინადადებით ეუბნება, რა არის შემდეგი აქტივობა და შესაბამის ბარათს უჩვენებს. *პასუხისმგებელი პირი*: აღმზრდელის თანაშემწე
მცირე ჯგუფებში თამაში	ხანდახან შესაძლოა, გაიხედოს ბავშვებისკენ	როდესაც ბავშვები მცირე ჯგუფებში თამაშობენ, საბასთან ინდივიდუალურად თამაშობს აღმზრდელი ან აღმზრდელის თანაშემწე, ან სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი ან ლოგოპედი, ისე რომ ჯამში დღის მანძილზე 2-საათიანი ინდივიდუალური ყურადღება მაინც ეთმობოდეს. აქტივობების მიზანია დამყარდეს ორმხრივი ინტერაქცია, ემოციებისა და სათამაშოს გაცვლა-გამოცვლა, საბამ ისწავლოს "მომე" და "არა" ჟესტები. ყოველთვის, როდესაც უფროსი შეამჩნევს, რომ საბა ბავშვებისკენ იყურება, ახლოს მყოფი უფროსი 1-2 სიტყვიანი წინადადებებით ახმოვანებს, რას აკეთებენ ბავშვები და საბას მსგავს სათამაშოს სთავაზობს. დღის მეორე ნახევარში, როდესაც განსაკუთრებით იღლება, და შესაძლოა ქცევა აერიოს, აღმზრდელი მას პრევენციულად წყნარი კუთხისკენ მიმართავს და მის საყვარელ ნივთებს სთავაზობს. *პასუხისმგებელი პირი*: აღმზრდელები და საგანმანათლებლო დამხმარე პერსონალი
დიდ ჯგუფებში მუშაობა	თუ გვერდით მოისვამ, შესაძლოა გაჩერდეს რამდენიმე წუთი	აღმზრდელი და თანაშემწე საბას გვერდით ისვამენ და შესაბამისი აქტივობების ადაპტირებულ ვერსიების შესრულებაში ეხმარებიან. *პასუხისმგებელი პირი*: აღმზრდელები და საგანმანათლებლო დამხმარე პერსონალი

კვება, ხელების დაბანა, ტუალეტი, (ძილი)	იკვებება მხოლოდ პურით. საბა ან სიარულისას ჭამს პურს ან მაგიდასთან მარტო. ხანდახან სადილის დაწყებამდე ეწყება ტანტრუმი. (აღმზრდელმა გუნდს გაუზიარა ვარაუდი, რომ საბას ტანტრუმი იმ დღეებში ეწყება, როდესაც ოსპის სუპი შემოდის. საბას დედამ თქვა, რომ სახლში არაჟანს და ორცხობილასაც ჭამს, დაიწყო ვაშლისა და შემწვარი კარტოფილის ჭამაც) ხელებს ბანს აღმზრდელის თანაშემწე. აცვია პამპერსი.	აღმზრდელი იმ დღეებში, როდესაც ოსპის სუპია მენიუში და საბას გაღიზიანებას ამჩნევს, მასთან მიდის და მშვიდად ეუბნება - "შენ სუნი არ მოგწონს", ცდილობს მოაშოროს სივრცეს, სადაც სუნის მეტი კონცენტრაციაა და გაანიავოს ოთახი. ხანდახან დედა საბას მის საყვარელ საკვებს კონტეინერით გამოატანს და ბაღში ცდიან, რომ ამ საკვების ჭამას საბა, სხვა ბავშვებთან ერთად მაგიდასთან ჯდომისას შეეჩვიოს. თავიდან ამას იმით დაიწყებენ, რომ როდესაც საბა მარტო ზის და ჭამს პურს, აღმზრდელი ან აღმზრდელის თანაშემწე ფრთხილად მიუჯდება გვერდით და დაიწყებს პურის ჭამას, მშვიდი გახმოვანებით: "პური გემრიელია". აღმზრდელის თანაშემწე აჩვენებს, როგორ მოუშვას ონკანი და შეუშვიროს ხელები, აიღოს საპონი, აძლევს ამის საშუალება და ნაბიჯ-ნაბიჯ ასწავლის ხელების დაბანას გაზაფხულზე უნდა დავიწყოთ ტუალეტის ჩვევების გამომუშავება. *პასუხისმგებელი პირები:* აღმზრდელი, თანაშემწე, დედა
ეზო და დარბაზი	არ მოსწონს დარბაზში შესვლა, იწყებს ტირილს და წვება იატაკზე. გუნდის წევრებმა, საბაზე დაკვირვებისა და დედის დასტურის შედეგად, ივარაუდეს, რომ მას ხმაური აღიზიანებს. აპროტესტებს გარეთ გასვლას, მაგრამ, როცა გავა, თავს კარგად გრძნობს და საქანელას გარშემო დარბის.	საბას დედა შეუძენს და ბაღში გამოატანს ყურის დამცავს, რომელსაც უფროსები შესთავაზებენ ყოველთვის, როდესაც ოთახში შედარებით უფრო ძლიერი ხმაურია. ეზოში გასვლამდე მას ინდივიდუალურად რამდენჯერმე აფრთხილებენ და აჩვენებენ ეზოს ბარათს. *პასუხისმგებელი პირები:* აღმზრდელი, თანაშემწე, დედა
სხვა გასათვალისწინებელი საკითხი	დასაბეჭდია ბაღისა და აღმზრდელის ფოტო, ეზოს ბარათი, შესაძენია ყურსასმენები პასუხისმგებელი პირი: აღმზრდელი, დედა	

გეგმის გადახედვის თარიღი: 5 თებერვალი

ხელმოწერები:

ნაწილი 6 - ოჯახებთან და პერსონალთან თანამშრომლობა

თავი 14. ოჯახებთან თანამშრომლობა

მოცემულ თავში საუბარია ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება:

- ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა.
- ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა.
- დაბოლოს, მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

ასევე, განხილულია შესაბამისი სტრატეგიები ამ პროცესების უზრუნველსაყოფად.

ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა

მაღალხარისხიანი ადრეული განათლება ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობების გარეშე შეუძლებელია. საუკეთესო შედეგებს ოჯახისა და საბავშვო ბაღის მიდგომების თანხვედრა და მათი შეთანხმებული მოქმედება განაპირობებს. ბავშვი ვითარდება ორივე გარემოში - ოჯახშიც და ბაღშიც; ის სწავლობს მაგალითებზე, ურთიერთობით, პირდაპირ თუ ირიბად.

საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის ურთიერთპატივისცემა, ღია კომუნიკაცია, ინფორმაციის თანმიმდევრული გაცვლა, ერთმანეთის მოსმენა, ურთიერთგაგება, ერთმანეთისგან სწავლა და თანამშრომლობა ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება.

პირველ რიგში, იზრუნეთ იმაზე, რომ შექმნათ გარემო, სადაც თითოეული ოჯახი თავს მიღებულად იგრძნობს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ყველა მშობელს, განურჩევლად მათი რელიგიის, მსოფლმხედველობის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური მიკუთვნებულობის თუ ნებისმიერი სხვა მახასიათებლისა, ერთნაირად გულღიად და კეთილგანწყობით ხვდებით. თუ ბაღში ბევრია, რომელიმე სხვა ენაზე მოსაუბრე ეთნოსის წარმომადგენელი, იყოლიეთ ამ ენაზე მოსაუბრე თანამშრომლებიც, რომლებიც მშობლებთან (ასევე, პირველ ეტაპზე, ბავშვებთან) ურთიერთობაში დაგეხმარებიან.

- დააკვირდით, ხომ არ გაქვთ შემოსასვლელ კარზე რაიმე ამკრძალავი შინაარსის წარწერა.
- შექმენით მშობლისთვის დაფა შემოსასვლელში, ჰკითხეთ მათ, რა ინფორმაცია მიაჩნიათ მნიშვნელოვნად დაფაზე გამოსაკრავად. გამოიყენეთ დაფა ისეთი ინფორმაციისთვისაც, როგორიც არის მაგალითად, „ვულოცავთ საბას დედას გოგონას დაბადებას“.
- შეხვდით მშობლებს კეთილგანწყობილად, ღიმილით, იყავით მეგობრულები და შეეცადეთ, გამოეხმაუროთ მათ საჭიროებებს, რაც შეიძლება, სწრაფად.
- თუ ბაღი ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოშია, მშობელთა დაფაზე დროდადრო გამოაკარით კულტურულად მათთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულების მილოცვაც ან რაიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათ მშობლიურ ენაზე

გაითვალისწინეთ, რომ ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა მშობლებსაც ეხებათ. მშობლებისთვის დაგეგმილ ან მშობლების მონაწილეობით გამართულ ყველა ღონისძიებაში (ჯგუფის აქტივობაში მშობლის ჩართვა, ექსკურსიის დაგეგმვა, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა) გათვალისწინებული უნდა იყვნენ, როგორც სხვა ენაზე მოსაუბრე ან განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი მშობლები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებიც.

მშობლებთან ნდობა რომ მოიპოვოთ და თანამშრომლობითი ურთიერთობა დაამყაროთ, ამისათვის:

წლის დასაწყისში მოაწყვეთ შეხვედრა, რომ ისაუბროთ და გაცვალოთ მოლოდინები. ეს დაგეხმარებათ, გაიგოთ, რას ელიან მშობლები ბაღისგან და გაუზიაროთ ბაღის გეგმები. შესაძლო კონფლიქტის მიზეზი განსხვავებული მოლოდინებია. საგანმანათლებლო მიდგომებისა და მიზნების წინასწარ გაზიარება ასეთ გაუგებრობას თავიდან აგაცილებთ

და ურთიერთკმაყოფილებას გაზრდის. გააცანით მშობლებს კურიკულუმის მიზნები, აუხსენით, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი, როგორ დაეხმარება ეს მათ შვილებს სწავლასა და კეთილდღეობის შენარჩუნებაში. მოისმინეთ მშობელთა უკუკავშირი. გახსოვდეთ, რომ შეხვედრის მიზანი არა ცალმხრივად ინფორმაციის მიწოდებაა, არამედ - ნდობისა და ურთერთგაგებისთვის საფუძვლის შექმნა.

ერთი შეხედვით ისეთი მცირე რაღაცები, როგორიც მოსვლა-წასვლის დროს პერსონალური მისალმება და სახელით მიმართვაა, სანდო ურთიერთობებს აყალიბებს.

დადებით და ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება დამაჯერებლობას მატებს და ღია კომუნიკაციისკენ განაწყობს. ბავშვის შესახებ მიღწევების გაზიარებისას შეგიძლიათ აღნიშნოთ: „ელენე თავისუფლად ხმარობს მაკრატელს. ეტყობა, სახლში ხშირად აძლევთ ამის საშუალებას. ეს წერის საბაზისო უნარების განვითარებაში ეხმარება.“ ასეთი ფრაზები მშობელს აგრძნობინებს, რომ შვილის მთავარი აღმზრდელი თვითონ არის და მეტად მოისურვებს ბავშვის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის თქვენთან გაზიარებას.

ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მშობლის მონაწილეობა

მშობლების რესურსი მრავალფეროვანია და მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობა მათი პროფესიული თუ მოხალისეობრივი რესურსის გამოყენების გარანტიაა. მრავალფეროვანი შესაძლებლობა უნდა შექმნათ, რომ ოჯახებმა შეძლონ ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობა. ზოგიერთი ოჯახის წევრი შეიძლება დაინტერესდეს ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობით და მოხალისეობით, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, როგორ გააკეთოს ეს, რას მოითხოვენ მისგან. ამიტომ მნიშვნელოვანია, გარკვევით აუხსნათ, რა შესაძლებლობები არსებობს და რისი გაკეთება შეუძლიათ. ეს ეხება როგორც ექსკურსიებს, ისე ღია კარის დღეს და ბაღის სხვა ღონისძიებებს. იმისათვის, რომ მეტი გაიგოთ მშობლების შესახებ, წინასწარ შეავსებინეთ კითხვარი. კითხვები შეიძლება ასეთი იყოს:

- დაინტერესებული ხართ თუ არა, იყოთ ბაღის სტუმარი? შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ წიგნის კითხვაში, რამე სიმღერა ასწავლოთ ბავშვებს, შექმნათ ერთად რაიმე კერძი ან დაგვეხმაროთ ხელოვნების პროექტის ორგანიზებასა და წარმართვაში? თქვენ რას შემოგვთავაზებთ?
- გსურთ თქვენი ცოდნის, გამოცდილების, ნიჭის ბავშვებისთვის ან თანამშრომლებისთვის გაზიარება?

ვიდეო ოჯახის წევრის ბაღის ცხოვრებაში ჩართულობაზე იხ. აქ:

ბავშვებისგან მშობლები ვერ იღებენ ინფორმაციას, რა ხდება ბაღში. ბაღის საქმიანობაზე უშუალოდ დაკვირვების ერთ-ერთი გზა ბაღის ღია კარის პოლიტიკაა. უთხარით ოჯახის წევრებს, რომ მათ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მოვიდნენ და თავად ნახონ, რა ხდება ბაღში.

რეგულარულად გამოიყენეთ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება: საინფორმაციო დაფა, ბავშვების ნამუშევრების გამოფენა, საინფორმაციო ეკრანი, ვებგვერდი, სადაც ბავშვების ნამუშევრების და თამაშის ფოტოები იქნება ნაჩვენები. შექმენით სიახლეების პოსტი ფეისბუქზე ან ბაღის ვებგვერდზე, სადაც პერიოდულად განათავსებთ ბაღის სიახლეებს. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებისთვის მიწოდებული ფოტომასალა და ბავშვების ნამუშევრები ასევე შეიცავდეს ინფორმაციასაც სასწავლო მიზნების შესახებ, რათა ჩანდეს სასწავლო მიზნებთან მათი კავშირი. ბევრმა მშობელმა არ იცის, რას სწავლობენ ბავშვები თამაშით. შეგიძლიათ, სხვადასხვა თამაშის ფოტოებს მოკლე აღწერილობები დაურთოთ, თუ როგორ და რას სწავლობენ ბავშვები ამ კონკრეტულ დროს. ამ გზით დაეხმარებით მშობლებს და ოჯახის წევრებს, თანდათანობით თქვენი მიდგომები გაიაზრონ და გაიგონ კურიკულუმი.

ჩართეთ მშობლები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს გაზრდის განცდას, რომ მათ უსმენენ, რომ ეს ბაღი მათაც ეკუთვნით და თავად მოძებნიან გზებს მონაწილეობისა და მეტი ჩართულობისთვის.

ვიდეო-მაგალითი ოჯახების ჩართულობაზე იხ. აქ:

მშობლის უწყვეტი ჩართულობა ბავშვის სწავლასა და განვითარებაში

ბავშვების პროგრესისა და განვითარების შედეგების გაზიარების მიზნით, წელიწადში, ყველაზე ცოტა, ორჯერ უნდა მოეწყოს თითოეულ ოჯახთან ინდივიდუალური შეხვედრა. დაკვირვება/შეფასების თავში, კერძოდ, მშობლებთან ინფორმაციის გაზიარების ნაწილში, დეტალურადაა მოცემული ის საკითხები, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ასეთი შეხვედრები და რა ინფორმაციას უნდა უზიარებდეს აღმზრდელი მშობლებს. შეხვედრისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით ბავშვის განვითარებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის მომზადებასთან ერთად, ბევრ ტექნიკურ დეტალზეც უნდა იფიქროთ. მაგალითად, რა პირობებში ხვდებით, რა დროს უთმობთ, გაქვთ თუ არა პრობლემებისა და შეკითხვების განსახილველი საკმარისი დრო. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრისა და საუბრის მთავარი ფოკუსი ბავშვის წარმატება და მიღწევებია.

ამ ფორმალური შეხვედრების გარდა, სხვა საშუალებებიც უნდა გამოიყენოთ, რომ მშობლებს უწყვეტად შეეძლოთ თავიანთი შვილების საქმიანობებზე დაკვირვება, რით არის ბაღში დაკავებული, თქვენ როგორ მუშაობთ მასთან. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ წერილობითი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება: ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, ტელეფონი ან უბრალო ბარათები, სადაც მოკლედ აღწერთ ბავშვის თამაშს.

თქვენ შესაძლოა განსაკუთრებით ღელავდეთ მაშინ, როდესაც მშობლისთვის თქვენი დაკვირვება პირველად გაქვთ გასაზიარებელი მისი შვილის განვითარების შესაძლო სირთულესთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ამ ღელვამ და შიშმა მშობელთან საუბარზე უარი არ გათქმევინოთ, რადგან ბავშვის საუკეთესო ინტერესი თქვენი დაკვირვების მშობლისთვის გაზიარებაა. უნდა გვესმოდეს, რომ სირთულესთან გასამკლავებლად ჩვენ ყველას ჩვენი ინდივიდუალური და განსხვავებული ხერხები გვაქვს, შესაბამისად, მშობლის რეაქციებიც შესაძლოა განსხვავებული იყოს. ზოგიერთი ძალიან სწრაფად შემოგიერთდებათ საუბარში, ზოგიერთი კი შესაძლოა ამაზე სალაპარაკოდ ჯერ მზად არ იყოს, ზოგიერთი შესაძლოა, გაღიზიანდეს კიდეც, თუმცა ყველა ეს რეაქცია ბუნებრივია და მათ უკან შვილის სიყვარული და მის მომავალზე შფოთვა იმალება. აუხსენით მშობელს, რომ მთელი წლის განმავლობაში ყველა ბავშვის განვითარებას აკვირდებით და აფასებთ, აჩვენეთ თუ ამ დროს რაიმე კითხვარსაც იყენებთ ხოლმე. დაიწყეთ საუბარი იმით, თუ რა გამოსდის მის შვილს კარგად: „დაჩის ძალიან უყვარს კუბურებით თამაში და საინტერესო კონსტრუქციებს აშენებს, თუმცა თამაშისას შედარებით ნაკლებს ლაპარაკობს და სხვების თამაშშიც ნაკლებად ერთვება. მე ვაპირებ, რომ დაჩისთან მეტი ვიმუშაო მის კომუნიკაციურ და სოციალურ უნარებზე, რაიმე რჩევას ხომ არ მომცემდით ამ მიმართულებით, როგორ და ვისთან თამაშობს ხოლმე დაჩი სახლში?“ გახსოვდეთ, როგორი რეაქციაც არ უნდა ჰქონდეს მშობელს თავდაპირველად, თუ თქვენ მასთან თანმიმდევრულად, გულწრფელად და ბავშვზე ზრუნვის სურვილით სავსე ისაუბრებთ ხოლმე, ადრე თუ გვიან, თქვენ შორის ნდობა ჩამოყალიბდება. მშობელთან კომუნიკაციისას თქვენი მიზანი არ უნდა იყოს, რომ მას ბავშვის მდგომარეობა „აღიარებინოთ“. მშობელი უნდა გრძნობდეს, რომ თქვენი მთავარი ამოცანა ბავშვის მხარდაჭერა და მასზე ზრუნვაა. ძლიერ მხარეებზე და არა დეფიციტზე ორიენტირებული მიდგომა, არა მხოლოდ ბავშვების დანახვასა და მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების აღმოჩენაში დაგეხმარებათ, არამედ მშობლებთან ურთიერთობაშიც. ნებისმიერ ბავშვს, განვითარების რა სირთულეებიც არ უნდა ჰქონდეს მას, აქვს რაღაც ინტერესები და შესაძლებლობები. კარგად გაიცანით და დაინახეთ თქვენი ბავშვები და მშობლებთან საუბრები მათ ძლიერ მხარეებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს დააფუძნეთ.

მშობელთა განათლება

ოჯახების გაძლიერება ბავშვების კეთილდღეობასა და სწავლაზე აისახება. არავის ისე არ შესწევს ძალა, იზრუნოს მშობლობის ხარისხისა და აღმზრდელობითი მიდგომების გაუმჯობესებაზე, როგორც ადრეული განათლების სპეციალისტებს. ბაღის თანამშრომლები ბავშვის განვითარების ექსპერტები არიან, კარგად იცნობენ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, აკვირდებიან და თვალყურს ადევნებენ ბავშვისა და მშობლის ურთიერთობას. სხვა პროფესიონალებთან შედარებით, მეტი შესაძლებლობა აქვთ, სანდო ურთიერთობები დაამყარონ და გავლენა მოახდინონ მათზე. ბაღის პერსონალის ერთ-ერთი პროფე-

სიული ვალდებულება ბავშვის ადრეული განვითარების, სწავლის შესახებ მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლებაა.

მშობელთა საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობაზე პასუხისმგებლობას აღმზრდელთან ერთად უნდა იღებდეს ბაღის სხვა საგანმანათლებლო პერსონალიც - მეთოდისტი, ფსიქოლოგი. შედეგიანი იქნება, თუ ბაღი გამოძებნის რესურსს და თანამშრომლებს გადაამზადებს მშობლებთან ეფექტური მუშაობის მიმართულებით, ან გამოყოფს მშობლებთან მომუშავე პასუხისმგებელ პირს საგანმანათლებლო პერსონალიდან, რომელიც, ასევე, იზრუნებს ამ მიმართულებით საგანმანათლებლო რესურსების მოძიებასა და ბაღის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე.

შესაძლებელია მშობელთან საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება, როგორც შიდა რესურსის, ისე მოწვეული სპეციალისტის საშუალებით. შეხვედრის თემები მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, მშობლების ინტერესისა და ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე. სავარაუდო თემების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ:

- ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები
- სტრესის გავლენა ბავშვის განვითარებაზე და ბავშვის დაცვა ძალადობისგან
- თამაშის როლი ბავშვის სწავლასა და განვითარებაში
- წიგნიერება ადრეულ ასაკში
- გაჯეტები ადრეულ ასაკში
- მამის როლი ბავშვის სწავლასა და განვითარებაში
- სოციალიზაცია ადრეულ ასაკში
- თამაშების (მათ შორის, "ჭუჭყიანი" თამაშის) მნიშვნელობა ბავშვის განვითარებაში
- მაწოვარა, კბილებისა და ყელ-ყურ-ცხვირის ჰიგიენა და სხვა

შეხვედრები ისე უნდა მოეწყოს, რომ მშობლებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ ბევრი რამ არ იციან და სწავლას საჭიროებენ. თემები მშობლების ინტერესითა და საჭიროებებით უნდა შეირჩეს, შეხვედრაზე ისინი კვალიფიციურ და პრაქტიკულ ინფორმაციას უნდა იღებდნენ, შეხვედრის გარემო კი ღია, არაფორმალური და სასიამოვნო იყოს, სადაც მშობელი თავისი აზრის გაზიარებას უსაფრთხოდ შეძლებს.

თავი 15. პერსონალის თანამშრომლობა

კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაღის საგანმანათლებლო პერსონალისა და ადმინისტრაციის შეთანხმებული მოქმედება და პასუხისმგებლობების გადანაწილება. ამ თავში შეიტყობთ, როგორია საგანმანათლებლო პერსონალის როლი და ფუნქციები კურიკულუმის განხორციელებაში.

ბავშვებთან მომუშავე პერსონალი - აღმზრდელი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის თანახმად, საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელია. აღმზრდელ-პედაგოგი და მისი თანაშემწე (აღმზრდელი) საგანმანათლებლო პროცესის (რომელიც ბაღის ცხოვრების ყველა მომენტს მოიცავს) თანაბრად მნიშვნელოვანი და პასუხისმგებელი პირები არიან. თუმცა, წინამდებარე კურიკულუმში ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი მოიხსენიება, როგორც „აღმზრდელი.“

კურიკულუმის ეფექტურად განხორციელებაში საგანმანათლებლო პერსონალის როლი ძალიან დიდია,. ბავშვი თავისი შესაძლებლობების სრულ პოტენციალს ავლენს მხარდამჭერი და შემოქმედებითი უფროსის გარემოში, რომელიც არ ზღუდავს ბავშვის ავტონომიურობას, არჩევანის თავისუფლებას, მიჰყვება მის ინტერესებსა და განვითარების ტემპს. . ამის საპირისპიროდ, უფროსი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესს იზოლირებულ აქტივობებში ბავშვისგან დამოუკიდებლად ხედავს, ვერ უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების საუკეთესო პირობებს. შეიძლება, უფროსმა დაარქვას პროცესებს თამაში, მაგრამ ბავშვებისთვის ეს თავს მოხვეული, უინტერესო საქმიანობა იყოს. შეიძლება უფროსს

მიაჩნდეს, რომ ამ პროცესებში მონაწილეობით ბავშვი გარკვეულ უნარებს ივითარებს, მაგრამ მოტივაციისა და ინტერესის ნაკლებობის გამო, ამ შედეგებამდე ვერ მივიდეს.

ამ კურიკულუმის განხორციელებას სჭირდება მაღალი კომპეტენციის აღმზრდელი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას და რომელიც დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს კურიკულუმის ბავშვების საჭიროებებზე მორგებისას. აღმზრდელი ვერ ნახავს კურიკულუმში მზა, რუტინულ მასალას, როგორიცაა სამუშაო ფურცლები ან გასაფერადებლები, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი თამაშები და აქტივობები, რომლებიც ბავშვის და ბავშვების ჯგუფის ინდივიდუალურ კონტექსტებს არ ითვალისწინებს. აღმზრდელმა კრიტიკულად უნდა შეაფასოს კურიკულუმში მოცემული სამაგალითო თამაშები, ნიმუშები და შეძლოს მათი ინტეგრირება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ჯგუფის საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. დასახული მიზნის შესაბამისად, სასწავლო პროცესის თითოეულ ეტაპზე, აღმზრდელი უნარების განვითარების, ცოდნის შეძენისა და გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს.

კურიკულუმის თანახმად, ჯგუფში მომუშავე აღმზრდელები (აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი) საგანმანათლებლო პროცესში შეთანხმებულად მოქმედებენ და თანაბრად ინაწილებენ პასუხისმგებლობებს - ერთად ქმნიან გეგმას, ერთად ირჩევენ კურიკულუმის მიზნებს, რომლებზეც კვირის ან თვის განმავლობაში მუშაობენ, ერთად შეიმუშავებენ სტრატეგიებს, გეგმავენ მათ მიერ ინიციირებული თამაშებისა და გამოწვევების რაოდენობას, ერთად მოიძიებენ ამისთვის საჭირო რესურსს. ორივე აღმზრდელი თანაბრად არის პასუხისმგებელი ბავშვების მრავალმხრივ განვითარებაზე. ისინი აწარმოებენ ბავშვებზე დაკვირვებას მთელი წლის განმავლობაში, ერთად აფასებენ მათ უნარებს და ერთად ზრუნავენ მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

ყოველი დღის დასაწყისში აღმზრდელები გადახედავენ შემუშავებულ გეგმას, მისაღწევ მიზნებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას: მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, ვინ რომელ ცენტრში ადევნებს ბავშვებს თვალყურს, ვინ რომელ ბავშვს აკვირდება და ა.შ. ეს გარემოება არ გულისხმობს აღმზრდელების მხრიდან ყოველი ნაბიჯის ზუსტად გაწერას. ზოგ შემთხვევაში ისინი სპონტანურად, სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება მოქმედებდნენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მუდმივად უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კონტაქტი და შეთანხმება. ყოველი დღის ბოლოს, აღმზრდელები მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. ამ დროს ისინი რეფლექსიისთვის იყენებენ. კვირაში ერთხელ აღმზრდელები იკრიბებიან მომდევნო კვირის დასაგეგმად, ბავშვების პროგრესის განსახილველად, ბავშვებთან მისაღწევი ინდივიდუალური მიზნების შესამუშავებლად.

იმისთვის, რომ აღმზრდელებმა შეძლონ ზემოთ აღწერილი თანამშრომლობითი პრაქტიკის განხორციელება აუცილებელი პირობაა, მათ ჰქონდეთ სამუშაო დროში განსაზღვრული არასაკონტაქტო დრო, მინიმუმ 2 საათი კვირაში, როდესაც მათ მიეცემათ შესაძლებლობა ბავშვებისგან მოშორებით, სამასწავლებლოში, დასხდნენ და იმუშაონ გეგმებზე და ბავშვების შეფასებაზე. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ ბაღის დირექტორისა და მეთოდისტის ორგანიზებით შეიძლება მოხდეს, რომლებმაც ამ პირობის შესრულების მოთხოვნის გარდა, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა აღმზრდელებისათვის და

განსაზღვრონ, თუ როდის უნდა განხორციელდეს არასაკონტაქტო დრო და ამ ორი საათის მანძილზე ბავშვები სად და ვისთან ერთად გაატარებენ.

ბავშვებთან მომუშავე სხვა პერსონალი

როგორც ზევით ითქვა, ამ კურიკულუმის განმახორციელებლები აღმზრდელები არიან, თუმცა, ბაღის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე და ბავშვების ინტერესების შესაბამისად, ბაღს შესაძლოა, ჰყავდეს მუსიკის, ხატვის, ცეკვის პედაგოგი და ა.შ. ისინი შესაძლოა იყვნენ შტატში ან მოკლე პერიოდით იყვნენ მოწვეულნი, მაგალითად, რამე კონკრეტულ პროექტზე მუშაობისას.

ასეთი აღმზრდელები, ბავშვების სპეციფიკური ინტერესებისა და უნარების შესაბამისად, ჯგუფის ძირითად აღმზრდელებთან შეთანხმებულად მუშაობენ. სახელმძღვანელოდ, აღმზრდელების მსგავსად, ისინიც ბავშვის განვითარების სტანდარტსა და ამ კურიკულუმის მიზნებს იყენებენ. მაგალითად, მუსიკის აღმზრდელის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ მან მუსიკის აქტივობების განხორციელებისას ისევე გაითვალისწინოს ბავშვების ინტერესები და თავისუფალი არჩევანი, როგორც ჯგუფის აღმზრდელმა. ამ კურიკულუმის მიხედვით, მუსიკის 'მეცადინეობებისთვის' განრიგში დრო არ არის გამოყოფილი. მუსიკის პედაგოგი, განრიგის კომპონენტში - „თამაში", მუსიკალურ თამაშებში რთავს იმ ბავშვებს, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ, ეს თამაშები შესაძლოა, ჩატარდეს ოთახში ან დარბაზში. მუსიკის აღმზრდელი, თავის მხრივ, აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვებას და ადგენს ამ უნარების შესაბამისობას ბავშვის განვითარების სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან (თემატური მიმართულება - ხელოვნება). ამის შემდეგ, აღმზრდელთან შეთანხმებით გეგმავს ინდივიდუალურ სტრატეგიებს კონკრეტულ ბავშვთან მიზნების მისაღწევად. არსებობის შემთხვევაში, ასევე იქცევიან სხვა სპეციალიზებული პედაგოგებიც (ხატვა, ცეკვა). ისინი აკვირდებიან ბავშვს და დაკვირვებასა და შეფასებაზე დაყრდნობით, ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალურ თამაშებსა და სტრატეგიებს იყენებენ.

საგანმანათლებლო პროცესის (ინკლუზიური განათლების) მხარდამჭერი პერსონალი

საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალის (სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, მათი საქმიანობის მთავარი მიზანი, ბავშვებთან მუშაობის პროცესში, აღმზრდელის დახმარება, მხარდაჭერა და ხელშეწყობაა.

კურიკულუმის მიხედვით, საკუთარი პრაქტიკის განხორციელებისას, სპეცპედაგოგი, მეტყველების თერაპევტი ან ფსიქოლოგი უშუალოდ ჯგუფში მუშაობენ. შესაძლოა, აღმზრდელმა მათ კონკრეტული გამოწვევით მიმართოს, ამ შემთხვევაში, ისინი რეკომენდაციებს აღმზრდელს უწევენ, ეხმარებიან ბავშვების თამაშებში ჩართვაში, ან საგანმანათლებლო პროცესში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრაში. თუმცა, აღმზრდელის მხრიდან გამოწვევების არქონის მიუხედავად, ეს პერსონალი ჯგუფის საგანმანათლებლო პროცესს პერიოდულად აკვირდება. დაკვირვებისას ჯგუფის ბუნებრივ რიტმს არ არღვევენ და აღმზრდელების მსგავსად, ბავშვებთან ურთიერთობენ და თამაშობენ. მათი მიზანი პრობლემების

იდენტიფიცირებაა იმ სპეციფიკურ საკითხებზე, რაც მათი უშუალო სპეციალიზაციაა. ამ დროს ისინი აღმზრდელებსაც აკვირდებიან ამ საკითხებზე მათი სპეციფიკური საჭიროებების დადგენისა და შემდგომში პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ფსიქოლოგი ხელს უწყობს საბავშვო ბაღში ეთიკური, არადისკრიმინაციულ და ინკლუზიურ პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას როგორც ბავშვებთან, ასევე მშობლებთან და თანამშრომლებს შორის. მისი მნიშვნელოვანი ამოცანაა, ბავშვების სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერის, პოზიტიურ გაძღოლისა და თვით-რეგულირების საკითხებზე ითანამშრომლოს აღმზრდელებთან, ინკლუზიის მხარდამჭერ სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან. ამისათვის ის გეგმავს და აორგანიზებს შეხვედრებს თანამშრომელთა და მშობელთა ჯგუფებთან, საჭიროების შესაბამისად, უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას აღმზრდელსა და/ან მშობელს. ფსიქოლოგი, საჭიროებისა და/ან აღმზრდელის ან სხვა თანამშრომლის მხრიდან მიმართვის შემთხვევაში, კონსულტაციას ატარებს ბავშვის განვითარების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საჭიროების შესაბამისად, ეხმარება აღმზრდელს და ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალს ინდივიდუალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიების მოფიქრებასა და გამოყენებაში. ფსიქოლოგი მუშაობს ბავშვების მცირე ჯგუფთან ან უკიდურეს შემთხვევაში, ინდივიდუალურად, თუ ბავშვს აქვს ბაღთან ადაპტაციის, ჯგუფში ინტეგრაციის და/ან, ქცევით-ემოციური სირთულეები. თუ ის აღმზრდელის მიერ არასაკონტაქტო საათებით სარგებლობის დროს ჯგუფში იმყოფება, ბავშვებს სთავაზობს სოციალურ-ემოციური კომპეტენციების წამახალისებელ საქმიანობებს.

სპეციალური განათლების პედაგოგი ხელს უწყობს ბაღში ინკლუზიური გარემოს შექმნას, რაც გულისხმობს ინკლუზიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას მშობლებსა და თანამშრომლებში. ის მონაწილეობას იღებს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის შეფასებაში აღმზრდელთან და ინკლუზიის სხვა მხარდამჭერ სპეციალისტთან ერთად. კონსულტირებას უწევს მშობელს და ამისამართებს შესაბამის სერვისში უფრო სიღრმისეული შეფასებისთვის და შესაძლო ინტერვენციის მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის ტექნიკურ მხარეს, კოორდინაციას უწევს მისი შესრულებისა და გადაფასების პროცედურებს. საჭიროების შემთხვევაში, აღმზრდელის მიერ არასაკონტაქტო საათებით სარგებლობის დროს, ბავშვებს სთავაზობს ბავშვის განვითარების სტანდარტის სფეროებზე ორიენტირებულ საქმიანობებს. სპეციალური განათლების პედაგოგი, აღმზრდელ-პედაგოგთან ერთად, რეკომენდაციებს აძლევს და მეთვალყურეობას უწევს ბავშვის ინდივიდუალურ ასისტენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სპეციალური პედაგოგი მონაწილეობს ბავშვის ტრანზიციის დაგეგმვასა და განხორციელებაში ბაღიდან სკოლაში.

ენისა და მეტყველების თერაპევტი უზრუნველყოფს ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეების პირველად იდენტიფიცირებას. აღმზრდელის, სპეციალური პედაგოგის ან ფსიქოლოგის მომართვის, საკუთარი ობიექტური დაკვირვების საფუძველზე აფასებს ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარებს, შეფასების კითხვარების გამოყენებით. სავარაუდო სირთულეების შემთხვევაში, აღმზრდელთან ან ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტთან ერთად, კონსულტირებას უწევს მშობელს ან ამისამართებს უფრო სიღრმისეული შეფასებისთვის. იგი ხელს უწყობს აღმზრდელებსა და მშობლებს

შორის ენობრივი, ფონოლოგიური და წიგნიერების უნარების ხელშესაწყობად ცნობიერების ამაღლებას.

აღმზრდელის მიერ არასაკონტაქტო საათებით სარგებლობის დროს, ჯგუფში ყოფნისას ბავშვებს სთავაზობს ბავშვის განვითარების სტანდარტის სფეროებზე ორიენტირებულ საქმიანობებს.

ბაღის ადმინისტრაცია

როგორც ზემოთ ითქვა, კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ბაღის ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

ბაღის დირექტორის/მენეჯერის პასუხისმგებლობაა ამ კურიკულუმის სრულყოფილად დანერგვა, რადგან ბაღის, როგორც დაწესებულების მართვასთან ერთად, საგანმანათლებლო პროცესსაც ხელმძღვანელობს და აღმზრდელებს საკუთარი პრაქტიკის წარმატებით განხორციელებაში ეხმარება. დირექტორმა/მენეჯერმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური კომუნიკაცია მეთოდისტთან, კვირაში ერთხელ - შეხვედრა აღმზრდელებთან კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ბაღში მეთოდისტის არსებობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობაა საგანმანათლებლო პერსონალის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, **პროფესიული სუპერვიზია**, რაც გულისხმობს: რეფლექსიაში დახმარებას (რა გამოვიდა დაგეგმილიდან, რა არ გამოვიდა, რატომ), პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, აღმზრდელების წახალისებას ბაღის გარე ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად (კონფერენციებში მონაწილეობა, ვებინარებში მონაწილეობა, და ა.შ) თანასწორთა ქოუჩინგის მხარდაჭერას (ინიციირება, მართვა).

ამ კურიკულუმის მიხედვით, აღმზრდელებს ბავშვებთან უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული არასაკონტაქტო დრო. მეთოდისტი ზრუნავს, რომ აღმზრდელებმა ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დრო - ამარაგებს მათ მეთოდური მასალებით, დროდადრო ორგანიზებას უწევს საინფორმაციო შეხვედრებს აღმზრდელებისთვის საინტერესო თემატიკაზე, მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით.

მეთოდისტმა უნდა იცოდეს ჯგუფებში მიმდინარე თემებისა თუ პროექტების შესახებ და შესაბამისი რესურსის მოძიებაში დაეხმაროს აღმზრდელებს.

მეთოდისტი ასევე ეხმარება აღმზრდელებს კოლეგებთან ან მშობლებთან წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

მეთოდისტი ასევე გარკვეული სიხშირით აწარმოებს დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის შიდა მონიტორინგს: რამდენად დგება დოკუმენტაცია კურიკულუმის შესაბამისად, რამდენად ასრულებს აღმზრდელი თავის ვალდებულებებს (მშობელთან ურთიერთობა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა). ამისთვის იგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს სხვადასხვა საკითხების კვლევის მიზნით: აღმზრდელის მუშაობის შესაფასებლად (პროფესიული მუშაობის - გარემოსა და პროცესის შესაფასებლად.

ნაწილი VII - პრაქტიკული მაგალითები

თავი 16. 2-3-წლიანთა ჯგუფი

მანანამ ხუთშაბათს, დილის შეხვედრაზე დააფიქსირა, რომ ბავშვების განსაკუთრებული ყურადღება ანის ყვითელმა მაისურმა და ჩანთამ მიიპყრო. ნიკომ და მარიმ, როგორც თავად ახსენეს, „ანის ჩანთისნაირი“ ნივთების ძებნა დაიწყეს ოთახში და სხვა ბავშვებიც აიყოლიეს. მანანამ გადაწყვიტა, რომ მეორე დღესვე - გამოწვევების სახით - ცენტრებში ყვითელი ფერის საგნები შეეტანა და მომდევნო კვირის თემაც ყვითელი ფერი ყოფილიყო.

კვირის დაგეგმვა

მანანამ და ლიამ მიზნების ასარჩევი ინსტრუმენტი გამოიყენეს და გადაწყვიტეს, შემდეგი მიზნები აერჩიათ - სოციალური ურთიერთობები, ინტერესების გაღრმავება, ჩაღრმავებული კვლევა.

მანანამ და ლიამ გადაწყვიტეს, კვირის განმავლობაში მხოლოდ სამ ცენტრში შეეტანათ განსხვავებული მასალა, რათა ბავშვების გაძღოლა შედარებით მარტივი ყოფილიყო. დანარჩენ სივრცეებში ბავშვებს ჩვეული რესურსი დახვდებათ, რომელსაც აქამდეც იყენებდნენ თამაშებში.

მანანამ და ლიამ ასევე შეაგროვეს ყვითელი ფერის ნივთები, რომლებსაც გამოწვევების შესაქმნელად კვირის განმავლობაში გამოიყენებენ: ყვითელი კუბურები, ქვიშა და ა.შ.

მომდევნო დღეებში მანანა ბავშვებს სთხოვს, სახლიდან ყვითელი ნივთები მოიტანონ. ასევე, ისეთი საბავშვო წიგნები, სადაც პერსონაჟებს ყვითელი ტანსაცმელი აცვიათ და დილის შეხვედრაზე სთხოვს, გააზიარონ.

მანანა ბავშვებზე დასაკვირვებლად ემზადება. ბავშვის განვითარების სტანდარტის მიხედვით, კითხვარს ამზადებს გაამზადა. განსაკუთრებული ფოკუსი ბავშვების სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებზე ექნება. დასაკვირვებელი ბევრია, მაგრამ ბავშვების კონკრეტული უნარების უკეთ გასაგებად მანანამ რამდენიმე ზოგადი სფერო და ქვესფერო გამოყო (იხ. დანართი 1. განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით).

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დილის შეხვედრა. რბილი დაფისთვის გამოჭრა ფლანელის მზე, ჩიტი და ყვავილი. „სახელების“ თამაშისთვის ბურთი და ყვითელი ქუდიც მოიმარაგა.

სენსორული მაგიდა. მანანამ ყვითელი ქვიშით გაავსო და შიგნით ყვითელი ნიჩბები და ძაბრები მოათავსა.

ხელოვნების ცენტრში ბაბუაწვერას ყვავილი, ყვითელი გუაშის საღებავი, ყვითელი ქვიშა და ფურცელი მოათავსა. აქ ბავშვები შეძლებენ, ფუნჯის მაგივრად ყვავილი გამოიყენონ და ყვითელი ანაბეჭდი დატოვონ ფურცელზე. მანანას მიზანი არ არის, რომ ბავშვებმა კონკრეტული ნამუშევარი შექმნან, მისი მიზანია, ყვითელი ფერის საღებავითა და ყვითელი ყვავილით „ითამაშონ“, ამ ორ მასალას დააკვირდნენ, იკვლიონ.

სამაგიდო თამაშების ცენტრში ბავშვებს მოუმზადეს ყვითელი ფერის პომპონები და დიდი პინცეტი, რათა შეძლონ პინცეტის საშუალებით პომპონების სპეციალურ კონტეინერში გადატანა.



პრაქტიკა

დილით, სანამ ყველა შეიკრიბება, ბავშვები სხვადასხვა კუთხეში თამაშობენ (აღმზრდელებს ახალი, ყვითელი ფერის რესურსი ჯერჯერობით ცენტრებში განთავსებული არ აქვთ და ბავშვებიც იმ სათამაშოებით თამაშობენ, რაც ამ სივრცეებში ყოველთვის არის). მანანა იწყებს სიმღერას „ჩიტო, ჩიტო - ნაცარა“ და თან ბავშვებს დილის წრის ბარათს აჩვენებს. მანანას ლიაც (თანაშემწე) ეხმარება. ბავშვებს ანიშნებენ, რომ დილის შეხვედრის დროა და ეხმარებიან, წრეზე დასხდნენ. მანანა სიმღერას ხელის, სხეულის მოძრაობას აყოლებს, ცვლის სახის გამომეტყველებას. მეტი ვიზუალიზაციისთვის, შინაარსის აღქმისთვის რბილი დაფაც გამოიყენა და სიმღერის სტროფების შესაბამისად, გამოჭრილი მზე, ჩიტი და ყვავილი დაფაზე განათავსა. სიმღერის დასრულების შემდეგ - „ყველას მოგესალმებით: დილა მშვიდობისა“ - თითოეულ ბავშვს ყველა ერთად ესალმება. მანანა და თანაშემწე მაგალითს აჩვენებენ და ბავშვებს ძალას არ ატანენ. ზოგიერთი ბავშვი მაშინვე აჰყვება, ზოგი ნელ-ნელა სწავლობს და იმეორებს, ზოგიც - ჯერ მხოლოდ დამკვირვებლის როლშია.

თამაში - „ვის რა ჰქვია.“ სიმღერის დასრულების შემდეგ, ნ. დუმბაძის ლექსის - „ბურთი და ნიკორა“ - პირველი სტროფის თანხლებით, მანანა სათითაოდ უგორებს ბურთს ბავშვებს:

„ბურთმა იგორა, იგორა,
მთა-ბარი გადაიგორა,
მინდვრის ბოლოს რომ მიგორდა
ბოლოში დახვდა .... (ბავშვის სახელი).“

მანანა ახალისებს, რომ ბავშვმა საპასუხოდ გამოუგოროს ბურთი.
და ასე ყველა ბავშვს მოივლის.

კვირის ორ დღეს (მაგალითად, ოთხშაბათს და პარასკევს) მანანა ბავშვებს გაცნობის თამაშს სხვაგვარად ათამაშებს. თამაშს ჰქვია - „ვის ახურავს ყვითელი ქუდი“. აღმზრდელი ბავშვებს სთხოვს, დახუჭონ თვალები. შემდეგ მიდის ერთ ბავშვთან და ქუდს ჩუმად

ახურავს. ბავშვებს სთხოვს, თვალები გაახილონ და თქვან, ვის ახურავს ყვითელი ქუდი. შეიძლება, ამ თამაშის წესი ბავშვებმა ზედმიწევნით ვერ დაიცვან, თუმცა, თამაში დაეხმარება, ყურადღება თავიანთ ჯგუფელზე მიმართონ და კიდევ ერთხელ მოისმინონ მისი სახელი (მოდიფიცირებული ვარიანტი: აღმზრდელი აცხადებს: ,,აბა, დააკვირდით, ვის ახატია დათვი მაისურზე". ბავშვები ეძებენ, ვინ არის ასეთი და ასახელებენ. აღმზრდელი თითოეული ბავშვის გამორჩეულ ნიშანს ასახელებს. ეს თამაში დაეხმარება ბავშვებს, ყურადღება ერთმანეთისკენ მიმართონ; ასევე, ხელს უწყობს განსხვავებულობის აღქმასაც).

დილის შეხვედრის შემდეგ, საუზმეზე, მანანამ და ლიამ ბავშვებს ყვითელი ფერის ქაღალდის ხელსახოცები მოუმზადეს და წაახალისეს, დაერიგებინათ მაგიდებზე. საუზმის შემდეგ ბავშვებმა მაგიდის ალაგებაში მიიღეს მონაწილეობა. გადასვლების დროს მანანა იყენებს შემდეგ სტრატეგიას: წიგნებით სავსე კალათას დიდ ხალიჩაზე ამოალაგებს და ბავშვები წიგნებს ათვალიერებენ. ეს დრო საშუალებას აძლევს მას და ლიას, რომ საუზმის შემდეგ ოთახი მოაწესრიგონ და ცენტრებში მასალები მოამზადონ.

საუზმის შემდეგ მანანამ და ლიამ ბავშვებს საშუალება მისცეს, ცენტრებში გადასულიყვნენ სათამაშოდ. უფროსებმა წინასწარ „გაინაწილეს" ცენტრები. მანანა ხელოვნების ცენტრში გაუძღვება ბავშვებს. აქ, გამოწვევის სახით, ახალი მასალებია შეტანილი. ის ასევე თვალყურს ადევნებს კუბურებსა და დრამატულ ცენტრებს, სადაც ბავშვებს ნაცნობი სათამაშოები დახვდებათ, ხოლო ლია სენსორულ და სამაგიდო ცენტრებზეა პასუხისმგებელი, სადაც ასევე ახალი მასალებია.

მანანამ ხელოვნების ცენტრში გადაინაცვლა და ბავშვების თამაშს ახმოვანებს. ცენტრში შესული ბავშვები თავდაპირველად ახალ რესურსთან ფრთხილობენ, თუმცა მანანა წაახალისებს მათ, თავად ჯდება მაგიდასთან, ყვავილის ღეროს საღებავში ყოფს და ხმამაღლა აღნიშნავს -,, როგორი ყვითელი ფერია... მაინტერესებს, როგორ კვალს დატოვებს ყვავილი ფურცელზე" და შემდეგ ფურცელზე დებს საღებავიან ყვავილს. ნინიმ და ნიკომ ყვავილების თვალიერება დაიწყეს და საღებავში მოათავსეს, ლევანი და მარი ჯერ საღებავით ატარებენ ექსპერიმენტს, მანანა გვერდიდან აკვირდება ბავშვების საქმიანობას, ერევა საჭიროებისამებრ. ძირითადად, ღია შეკითხვებს სვამს. აძლევს საშუალებას, რომ მასალები თავისუფლად იკვლიონ, სიამოვნება მიიღონ პროცესით.

ახალი მასალების გამოყენებაზე მეთვალყურეობის გარდა, მანანა და ლია მცირე ჯგუფებში გაზიარებასაც ახალისებენ. გაზიარებაზე მუშაობა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით შეიძლება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეტაპზეა ბავშვი ამ უნარის თვალსაზრისით. მანანას შეუძლია დაიწყოს გაზიარების რიტუალით, მარტივი როლური თამაშით: „ამით მე ვთამაშობ. ახლა შენი ჯერია, აჰა, ითამაშე, ახლა ჩემი ჯერია. მადლობა." ამას რამდენჯერმე გაიმეორებს. ამასთან ერთად, ცენტრებში თამაშისას თუ შეამჩნევს, რომ ბავშვები ერთმანეთს რამეს უზიარებენ, აღნიშნავს და წაახალისებს.

10 წუთის შემდეგ ზოგიერთი ბავშვი ტოვებს ცენტრს. ლევანმა და ნინიმ კიდევ აიღეს ფურცლები და განაგრძეს მასალების კვლევა, ნიკომ და მარიმ კი დაასრულეს, მანანას დახმარებით ნამუშევრები თოკზე სარჭებით დაამაგრეს და სენსორული მაგიდისკენ გა-

დაინაცვლეს. ხელოვნების ცენტრში კი აჩიკო შემოვიდა, ფურცელი აიღო და ყვითელი საღებავით დაფარა მთლიანად, ზედ ქვიშა დააყარა.

მანანა პერიოდულად კუბურების და დრამატულ ცენტრში გადადის, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, ნაცნობი სათამაშოებით ითამაშონ. გიორგი, თაკო და ლელა კუბურებით სხვადასხვა რამეს აშენებენ. ლევანის კოშკი ინგრევა, დანარჩენები მას აკვირდებიან. ლევანი თავიდან იწყებს აშენებას. იქვე ანი პლასტმასის ცხოველებს სვამს კუბურებზე, ნანიკო კი უყურებს. „იმიტომ, რომ აქ იცხოვროს“- ამბობს ანი, „ესე იგი, სახლს უშენებ?’ - პასუხობს მანანა. ,,კი, სახლს ვუშენებ“ - პასუხობს ანი. „ეს გირჩები რაში შეიძლება გამოგადგეს?“- ჰკითხა მანანამ და გირჩებზე მიუთითა. მისი მიზანია, ბავშვები წაახალისოს, რომ სხვადასხვა მასალა გამოიყენონ თამაშის დროს. „ეს გირჩები საჭმელი იქნება და ეს ძროხები შეჭამენ“ - უპასუხა ანიმ.

მანანამ დრამატულ ცენტრში გადაინაცვლა - „ოო, მგონი, აქ ვიღაც გემრიელ ნამცხვარს აცხობს. ისეთი სუნია, მეც მინდა გავსინჯო, დაგრჩათ ერთი ნაჭერი?“ - ეკითხება მანანა იკას, რომელიც მარისთან ერთად სამზარეულოს ქვაბში ხის კოვზით ურევს. „ნამცხვრის სუნი არაა, ხაჭაპურია, მოგიჭრი ახლა და გასინჯე შენც,“ - უპასუხა იკამ და დაბრტყელებულ ცომს პლასტმასის დანით მოაჭრა ნაწილი და მანანას გაუწოდა. მანანა პერიოდულად გადადის ერთი ცენტრიდან მეორეში, ბავშვების თამაშში მხოლოდ საჭიროებისამებრ ერთვება.

ლია კი ჯერ სენსორულ ცენტრში შედის და ბავშვებს აკვირდება. ბავშვები ეცნობიან მასალებს და იწყებენ თამაშს. ეს ცენტრი მთელი კვირის განმავლობაში სავსე იქნება ყვითელი ქვიშითა და ყვითელი ნივთებით, შესაბამისად, ბავშვები შეძლებენ კვირის განმავლობაში უკვე ნაცნობი მასალებით თამაშს. უფროსები მხოლოდ ზოგიერთ ბუნებრივ მასალას დაამატებენ მრავალფეროვნებისთვის, მაგალითად, გირჩებს ან ყვითელი ყვავილის ფურცლებს და ა.შ. უფროსების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყონ ბავშვებს, რომ რესურსი თავისუფლად და შემოქმედებითად გამოიყენონ, მაგალითად, გირჩებს ძაბრით ქვიშა დააყარონ, ან ორმოები გააკეთონ ნიჩბებით და ა.შ.

შემდეგ ლია სამაგიდო თამაშების ცენტრში გადადის და პინცეტით პომპონების კონტეინერში მოთავსებას იწყებს. ლია ახმოვანებს, რასაც აკეთებს: „მე ვიღებ ყვითელ ბურთულას და გადამაქვს ყუთში“. რამდენიმე ბავშვი შემოუჯდა მაგიდას, მათაც აქვთ შესაძლებლობა, ინდივიდუალური პინცეტებით გადაიტანონ პომპონები. კვირის განმავლობაში სამაგიდო თამაშების ცენტრშიც შეიცვლება მასალა: თოკზე ასასხმელად დაემატება დიდი ზომის ყვითელი მძივები, პლასტმასის ცარიელი ბოთლები - სახურავების მოსარგებად.

ირაკლი და გიგი წყნარ ცენტრში ხალიჩაზე წამოკოტრიალებულები არიან და ზღაპრების დიდ წიგნს ათვალიერებენ. ნაცნობ ილუსტრაციას რომ დაინახავენ, ერთმანეთს მიუთითებენ და გულიანად იცინიან.

მანანა და ლია ბავშვებს საკმარის დროს აძლევენ იმისთვის, რომ ითამაშონ, არ აჩქარებენ. განრიგის შემდეგი კომპონენტი ეზოა, უფროსები გარკვეული დროით ადრე იწყებენ

ზრუნვას, რომ ბავშვებმა ნელ-ნელა დაასრულონ თამაში, ვიზუალურ განრიგზე მიუთითებენ და გადასვლისთვის ემზადებიან.

ეზოში მანანა და ლია ბავშვებს საშუალებას აძლევენ, რომ თავისუფლად ირბინონ, შემდეგ სთხოვენ, მოძებნონ ყვითელი ნივთები გარშემო (საქანელა, სასრიალო, ბაღის ღობე). ამის შემდეგ, ბავშვები კვლავ მცირე ჯგუფებად თამაშობენ საქვიშეში, ტალახის სამზარეულოში, სადაც თავისუფლად გამოიყენებენ იქ არსებულ მასალებს. ბავშვები საქვიშეში ორცხობილებს აკეთებდნენ ქვიშისგან, ტალახის სამზარეულოში კი კვლავ „ხაჭაპური გამოაცხვეს“. მანანამ დააფიქსირა ბავშვების ეს ინტერესი და გადაწყვიტა, შემდეგი კვირის განმავლობაში ნამდვილი ხაჭაპურის ცხობა დაეგეგმა.

ეზოდან ამოსულები ხელებს იბანენ და დასაძინებლად ემზადებიან. მანანა იწყებს „ძილის სიმღერას“, რომლის ფონზეც ბავშვები უფროსების დახმარებით იცვლიან ტანსაცმელს და ლოგინებში წვებიან. ბავშვების უმეტესობა იძინებს, მხოლოდ ნინი, ირაკლი და აჩიკო არ იძინებენ, მანანას და ლიას მათთვის ე.წ. „წყნარი თამაშები“ აქვთ მომზადებული, ხალიჩაზე შლიან დასურათებულ წიგნებს და ბავშვებს დათვალიერების საშუალებას აძლევენ.

სამხრის შემდეგ მანანამ წიგნიერების ცენტრში მოიკალათა, რათა რამდენიმე ბავშვთან ერთად დაიწყო წიგნის კითხვა ყვითელ წიწილაზე. ამ დროს ლია ცენტრებში მოთამაშე დანარჩენ ბავშვებს აკვირდება.

მალე ეზოში მეორედ გასვლის დრო მოდის. მანანამ ბავშვებს ვიზუალურ განრიგზე მიანიშნა და შეახსენა, რომ ეზოში ყოფნას სახლში წასვლის დრო მოსდევს.

მანანა და ლია მთელი დღის განმავლობაში ახალისებენ ბავშვების ერთად თამაშს, ერთმანეთთან კომუნიკაციას და შესაბამისი ფრაზების გამოყენებას.

კვირის განმავლობაში ხელოვნების ცენტრში მანანა და ლია სხვადასხვა მასალას დაამატებენ: ყვითელი ცომი და გირჩები, თითით სახატავი საღებავი. უფროსები ყურადღებას მიაქცევენ, რომ ბავშვებმა თავისუფლად გამოიყენონ რესურსი და პროცესით სიამოვნება მიიღონ.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

მანანას და ლიას ერთი კვირის დაკვირვების ჩანაწერები

ნინი

უკიალო სოფაცვში ჭეს უკეკოლის
ოსრ ჩაყო და ფუჩეფოზე ეფეიფანა
ნაკვალევი, შემდეგ აკიალნ უკეკოლი
ჩაყო და ასკვ ფაიფანა ანაბეფფი.
ანაბეფფებს ფაეყაჩა ქვიშა.
ფაინფეჩესფა ოფუნეს აიშაშია, ჩოშეოიფ
ალჭინაა აფშეკფ;
მეყაბნეაბა, ჩოფა ჩაშ სფიჩეაბა.

ეიეი

წუნაჩ ფენფჩში ხაფოიჩაბეა
წაშოკოფჩოიფეაბეოი და ფოიაჩეაბის
ფიფ წიუნს აკეკოიეჩეს იჩაკფოილაან
ეჩაფ. ნაფნოფბ იფოეესფჩაფიეს ჩოშ
ფაინაჩაკეს, იჩაკფოის მიეკიაეაბს და
ეეფოიანაფ იფინის.

მაჩი

ფუჩეფოი მაფოიანაფ ფაეფაბოფ წეფოია
და შემდეგ ფაიწეკეა უკიალოი სოფაცვი.
აკეიჩეაბა, ჩოშოჩ იეფინეაბა
ფუჩეფოი უკიალოი ფეჩია, იფინის
და ამაფეაბს სოფაცვს.
5 წეკაი ოფუნესაან ეჩაფ იაშაშა
ფჩამაფეეფ ფენფჩში ეფიშის
აფჩიბეეფეაბია და ალჭინაკი.

ანი

ბეეაბს სწოჩ ხაბბე ამწეჩიკეაბს
და ფხოფკეფეაბს სკაშს. შემაშჩნია
და მეყაბნეაბა: „იშიფოშ, ჩოშ აუ
იფხოფკეჩოფ“.

ნიკო

ფიჩიფია მოფის, ჩოფა ფახმაჩეაბა
სფიჩეაბა.

სოფოშ

ნიჩაბი და ძაბჩი ფჩშაფ ჩაკფოფ
ქვიშაში, ხეფეაბი ჩაყო და ფაიწყო
ძეაბა, ეაიფინა, ჩოფა ფოიგის ხეფი
„აფშოფაჩინა“ ქვიშაში:
ჩოფა მოფის, ფოფა ხანი აჩაკის
კკოხფაუქეაბა, ალშფა, ინფეჩესია
აკეკოიეჩეაბს ფაახს.

დაკვირვების ჩანაწერს მანანა და ლია იმის გასაანალიზებლად იყენებენ, თუ რა უნარები აქვს ბავშვს, რა შეუძლია და როგორ შეიძლება მისი უკვე არსებული უნარების მეტად განვითარება, შემდეგ საფეხურზე გადაყვანა (ამისათვის, მანანა კიდევ ერთხელ მიმართავს ბავშვის განვითარების სტანდარტს, რათა თითოეული ბავშვისთვის, რომელსაც კვირის განმავლობაში აკვირდებოდა, მიმდინარე კვირის მანძილზე ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობა შესთავაზოს).

კვირის განმავლობაში წარმოებული დაკვირვების ჩანაწერებს მანანა და ლია ბავშვების პორტფოლიოში მოათავსებენ, ასევე გამოიყენებენ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს იმის საჩვენებლად, თუ რა უნარებს ივითარებენ/ამჟღავნებენ სხვადასხვა აქტივობაში ჩართული ბავშვები.

ბავშვების უმეტესობა თავისუფლად იყენებს სხვადასხვა სამუშაო მასალას, მოსინჯავს საგნების გამოყენების სხვადასხვა გზას, ელენესთან და სალომესთან ამ უნარზე მუშაობას მომდევნო კვირაშიც განაგრძობს. სიტყვას „ყვითელი“ უმეტესობა იყენებს. მისი დაკვირვებით, ბავშვების მცირე ნაწილი დაინტერესდა წიგნიერების ცენტრით, ამიტომ, მომდევნო კვირაში შეეცდებიან, ცენტრები ისე გადაინაწილონ, რომ წიგნიერების ცენტრში რომელიმე მათგანმა შეძლოს ბავშვების მცირე ჯგუფთან უფრო ხშირად კითხვა.

მისი დაკვირვებით, ბავშვებისთვის ძალიან საინტერესო იყო ქვიშითა და საღებავით ექსპერიმენტირება, ამიტომ მომდევნო კვირაში ჯგუფის რესურსს უმეტესად ისეთი მასალებით გაამდიდრებს, რომ ბავშვებმა შეძლონ ნივთიერებების შერევა და დაკვირვება. მეცნიერების ცენტრში შეიტანს ქვიშას, მიწას და წყალს ერთმანეთში შესარევად, სენსორულ მაგიდას კი მარილით გაავსებს სათამაშოდ, ხელოვნებაში საღებავებთან ერთად სველ მიწას და მარილს შესთავაზებს.

ბავშვების უმეტესობისთვის სიმღერის დაწყება ნიშანია, რომ დილის წრე იწყება. სალომეს და ნიკოს ისევ სჭირდება ვიზუალური მინიშნება და გაძღოლა დილის წრის სივრცისკენ. ბავშვებს არ მოჰბეზრდათ „ვის რა ჰქვია“ თამაში და ისევ აპირებს გააგრძელოს, თან ჯერ ყველამ ყველას სახელი არ იცის. მანანამ გადაწყვიტა, ამ კვირაში ასევე, იმუშაოს შემდეგ უნარზე: ემოციების სახელდება.

აღმზრდელის პორტფოლიოს ჩანაწერები

მანანა კვირის განმავლობაში აკეთებდა ჩანაწერებს საკუთარი პრაქტიკის მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ყოველდღიურად აანალიზებდა დღის განმავლობაში მომხდარს, ცდილობდა, პასუხი გაეცა შემდეგი შეკითხვებისთვის: რა მოხდა კვირის განმავლობაში? რა გამომივიდა კარგად? რამ არ გაამართლა? რა უნდა შევცვალო?

ამ ჩანაწერებს მანანა საკუთარი პრაქტიკის ანალიზისთვის და ასევე საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობაში ცვლილებების ასახვის მიზნით იყენებს. ამ ჩანაწერების ნაწილს მანანა მიმდინარე (კვირის) გეგმის ანალიზის გრაფაში წერს, ნაწილს კი უცებ ჩაიწერს ხოლმე პატარა ფურცელზე, მერე რომ არ დაავიწყდეს და თავის პორტფოლიოში გეგმებთან ერთად ათავსებს.

„კარგია, ეს თემა რომ დავგეგმეთ, გაამართლა. დაფას სიმღერის დროს კიდევ გამოვიყენებ, უფრო თვალსაჩინო და სახალისო გახადა ეს პროცესი. “

„ეზოში იკამ, ნიკომ და ნინიმ ხაჭაპური გამოაცხვეს, დრამატულ ცენტრშიც იკამ ხაჭაპური ახსენა, მგონი კარგი იქნება, ნამდვილი ხაჭაპურის ცხობაც დავგეგმო ამ კვირაში. შევეცდები, რომ ის ბავშვები წავახალისო, რომლებმაც ინტერესი გამოთქვეს. მეთოდისტი უნდა ვნახო ხვალ, რომ საჭირო მასალა მოვიმარაგოთ.“

„დღეს ცოტა ვშფოთავდი, ნივთების შესაგროვებლად ამჯერად მშობლებს ბარათები გავატანეთ და ამ ფორმით ვთხოვეთ, რომ ყვითელი ნივთები მოეტანათ. ეს მეთოდი არასდროს გამომიყენებია და თავიდან ვიფიქრე, არც კი წაიღებდნენ ბარათებს, მაგრამ მგონი ინდივიდუალურად რომ მივმართეთ მშობლებს, გაამართლა. ამ ხერხს სხვა დროსაც გამოვიყენებ.“

„არ მომწონს, რომ წიგნიერების ცენტრში ხშირად კითხვას ვერ ვახერხებ. ისე უნდა გადავნაწილდეთ ცენტრებში, რომ წიგნიერების ცენტრში რომელიმემ შევძლოთ შესვლა და კითხვა. თითქმის მესამე დღეა, რაც იქ შესული ბავშვები მხოლოდ ათვალიერებენ წიგნებს. ეს უნდა მოვაგვაროთ “.

„ქვიშით და საღებავებით თამაში ძალიან მოეწონათ, თუმცა, მე თვითონ დაძაბული ვიყავი, ყველაფერი ძირს დაყარეს და ძალიან დაისვარნენ, დიდი დრო წავიდა მერე მოწესრიგებაზე და ამის გამო ცოტა დავიძაბე. უნდა მოვიფიქრო რამე, რაც ამ პრობლემის მოგვარებაში დამეხმარება. მშობლებს ვთხოვ, დიდი ზომის მაისურები გამოატანონ, პირდაპირ რომ გადაიცვან ტანსაცმელზე. გიგის და ნიკოს მშობლებს უნდა ვუთხრა, მეტი გამოსაცვლელი მოუმარაგონ. ასევე, მჭირდება ბავშვებისთვის პატარა ზომის რამდენიმე ცოცხი, რომ თავად დაალაგონ ცენტრები. მეც უფრო მშვიდად უნდა ვიყო, დღეს ძალიან გავღიზიანდი.

ქვიშა და საღებავი ისე მოეწონათ, მომდევნო კვირაში უმეტესად ასეთ მასალებს შევიტანთ, რომ ბავშვებმა ნივთიერებები შეურიონ. სენსორულში იმავეს დავტოვებ, ხელოვნებაშიც ისევ საღებავებს გამოვიყენებ და მარილს სველ ქვიშას დავუმატებ.

იმ კვირაში ისევ გავაგრძელებ დილის შეხვედრას იგივე სიმღერით.“

„მომდევნო კვირაში ელენესთან და სალომესთან მაქვს სამუშაო, ახალ მასალას ნაკლებად კიდებენ ხელს და რამე უნდა მოვიფიქრო მათთვის.”

მშობლებთან თანამშრომლობა

კვირის განმავლობაში მანანა და ლია აქტიურად აწარმოებენ მშობელთა დაფას, სადაც გამოფენენ ინფორმაციას ჯგუფში მიმდინარე პროცესების შესახებ.

„განვაგრძობთ ყვითელი ფერით თამაშს.

დღეს ბავშვებმა მოსინჯეს ახალი მასალა. გაარკვიეს, როგორი ნახატი გამოდის ყვითელი საღებავისა და წებოს შერევით. ასევე, ყვითელი ცომით ვითამაშეთ.



ძალიან გამოგვადგა ის ყვითელი ნივთები, რომლებიც გვათხოვეთ, დავრწმუნდით იმაში, რომ თურმე რამდენი რამ ყოფილა ყვითელი ფერის“.

თავი 17. 3-4-წლიანთა ჯგუფი

წლის დასაწყისი და წინასწარი დაგეგმვა

ხათუნას და აბოს წელს ბავშვების ახალი ჯგუფი აჰყავთ. ბავშვების უმეტესობა სამი წლის არის ან ხდება. აღმზრდელებმა წლის დასაწყისისთვის შემდეგი მიზნები დაისახეს: სოციალური ურთიერთობები და ინტერესების გამრავალფეროვნება, მათი ამოცანაა:

- ბავშვების და მშობლების გაცნობა. სანდო ურთიერთობების დამყარება, ემოციურად უსაფრთხო კლიმატის შექმნა.
- ბავშვების ინტერესების გასაღვივებლად და კვლევის წასახალისებლად ასაკის შესაბამისი, საინტერესო და მიმზიდველ, მრავალფეროვან აქტივობებში ბავშვების ჩართვა. ეს კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს უფროსებს, სიღრმისეულად დააკვირდნენ ბავშვებს და მათ ინტერესებს.
- თანატოლების გაცნობა.
- ბაღის რუტინის და სივრცეების გაცნობა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, აღმზრდელებმა შეადგინეს გრძელვადიანი გეგმა, რათა გაიმარტივონ სამუშაო და არაფერი გამორჩეთ. გრძელვადიანი გეგმის ფორმაში განსაზღვრეს სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები:

1. ბავშვების შესახებ არსებული ინფორმაციის (შევსებული ფორმების) გაცნობა
2. მშობლებთან დაკონტაქტება და ბაღში ვიზიტების თარიღები
3. სახლში ვიზიტები
4. მშობელთა შეხვედრების ორგანიზება

5. პირველი კვირის აქტივობების მოფიქრება და რესურსების მობილიზება

6. ჯგუფის მოწყობა

ამის შემდეგ, ხათუნამ და აბომ მშობლების შევსებული ანკეტები წაიკითხეს და თავისთვის სია შექმნეს, სადაც გადაიტანეს მნიშვნელოვანი, ძირითადი ინფორმაცია (მშობლის ანკეტის ნიმუში, დანართი).

ბავშვის ანკეტა

1. ინფორმაცია ბავშვზე

სახელი. გვარი _____

პირადი ნომერი_____დაბადების თარიღი _____

მისამართი_____

სახელი, რომელიც ბავშვს ურჩევნია რომ დაუძახონ _____

ბავშვის სპეციალური საჭიროებები

_____

_____

ბავშვის კვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/ საყვარელი საკვები

_____

_____

ბავშვის ხასიათის თავისებურებები

_____

_____

საყვარელი ზღაპრის გმირი ან პერსონაჟი, საყვარელი სათამაშო

_____

_____

საყვარელი საქმიანობა

_____

_____

2. ინფორმაცია ოჯახზე

ოჯახის შემადგენლობა სადაც ცხოვრობს ბავშვი

_____

_____

დედა ____დედინაცვალი ___ სხვა___ სახელი, გვარი _____ პირადი ნომერი_____ პროფესია/სამუშაო ადგილი _____ საკონტაქტო ნომერი _____	მამა ___ მამინაცვალი ____სხვა ____ სახელი, გვარი _____ პირადი ნომერი_____ პროფესია/სამუშაო ადგილი _____ საკონტაქტო ნომერი _____

გთხოვთ მიუთითოთ ბავშვის ბაღში დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი მოყვანისა და წაყვანის დრო:

_____-

იმ ადამიანების ჩამონათვალი რომლებსაც უფლება აქვთ ბავშვი ბაღიდან გაიყვანონ სახელი და გვარი:

1._____ 2._____

3._____ 4._____

თანახმა ხართ თუ არა ბავშვები თქვენტან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გავიყვანოთ ექსკურსიაზე?

დიახ ○ არა ○

თანახმა ხართ თუ არა ბავშვების ფოტოგადაღებაზე და მათ გამოყენებაზე ბაღის საიტსა და სოც ქსელის გვერდისთვის?

დიახ ○ არა ○

სახელი, გვარი _____

თარიღი _____

№	სახელი, გვარი	დაბადების დღე	მისამართი ტელ.	ალერგია	საყვარელი სათამაშო, საქმიანობა	ფოტო გადაღება	ექსკურსია	სხვა
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								
11								
12								
13								
14								
15								

ანი - 2 წლის და 7 კვირ, აკეთებს უმცროსი ძმა, ეუბნის "ვჩოუბენი", ეუბნის შინაური ცხოველები. ძალიან ჩიტიანი - წიგნს უკითხავს ბებია.

ეკატე - ის ეუბნის, ჩოდა ჩამელ ამალებს, ძალიან ეუბნის ჩაინტერესებ.

აკრო - ეუბნის ამბების მოლმენა, ნაკლებად ეუბნის, ჩოდა წიგნს უკითხავენ, უფრო მოლმენა ეუბნის.

ანიკო - სახლში ხშირად ხატავს ვჩარი ფანქრებია, ხატვა ეუბნის. შეუძლია, კირხანს იკვლს და ხატოს.

ნიკო - ატის ეტხო აკამიანებაან და ეჩემოლაან შეკეუბა, ეუბნის რაგუნიბი.

ბაღში ვიზიტის დღედ აღმზრდელებმა 3 და 4 სექტემბერი შეარჩიეს, მშობლებთან დარეკეს და შეუთანხმდნენ ბაღში წინასწარ ვიზიტის დროებზე (მშობლები და ბავშვები დაიბარეს ყოველი ნახევარი საათის გამოტოვებით). ორ ბავშვთან, რომლების ანკეტაშიც ეწერა, რომ უცხო გარემოსთან შეგუება განსაკუთრებით უჭირთ, სახლში ვიზიტები დაგეგმეს.

ბაღში ბავშვების ვიზიტისათვის აღმზრდელებმა მოამზადეს კომფორტული კუთხე ჯგუფის სივრცეში, დადგეს სკამები მშობლებისათვის, თაროებზე კი დააწყვეს სახატავი ფანქრები, ფურცლები, თითის საღებავები, კუბურები, სახანძრო მანქანები და ცხოველების ფიგურები, თოჯინები და დასაჭრელი ხის ხილი - ყველაფერი, რაც ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ:

მშობლები ბავშვებთან ერთად მოდიოდნენ, ათვალიერებდნენ ბაღს და ჯგუფს, აღმზრდელებს საშუალება ჰქონდათ, თითოეულ ბავშვებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია ჰქონოდათ და ცოტა ეთამაშათ კიდეც.

მყუდრო და საინტერესო გარემო, მშობლებთან მშვიდი კეთილგანწყობილი საუბარი, ბავშვებს ნდობას უჩენდა ბაღისა და აღმზრდელების მიმართ.

სახლში ვიზიტი აბომ ნიკოსთან 5 სექტემბერს დაგეგმა. აღმზრდელმა ბავშვს ბაღის სათამაშო დათუნია მიუტანა და გააცნო წიგნი ბაღის შესახებ. ოჯახის წევრებმა ის ჩაიზე დაპატიჟეს, ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე. ნიკო თავიდან მშობლებს უკან იყო ამოფარებული, მაგრამ ცოტა ხანში გათამამდა და აბოსთან და დათუნიასთან თამაშიც დაიწყო. წამოსვლისას აბო თბილად დაემშვიდობა და ბაღში დაპატიჟა. უთხრა, რომ დათუნიას ბაღში კიდევ შეხვდებოდა (წიგნი დაუტოვა და სთხოვა, ბაღში მოსვლისას წამოეღო).

კვირის ბოლოს, მშობელთა საერთო შეხვედრაზე, აღმზრდელებმა მშობლებს ბაღის პროგრამა და განრიგი, მიზნები და პირველი კვირის აქტივობები გააცნეს.

დაგეგმვა

აღმზრდელებმა პირველი კვირის აქტივობებზე ფიქრი დაიწყეს და დაგეგმვის ფორმაც შეავსეს.

15-19 სექტემბერი

პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში ბავშვები ბაღში ნახევარ დღეს ატარებენ და მათ მშობელი ან ნაცნობი უფროსი ახლავს თან. ამიტომ, ხათუნა და აბო ცდილობენ ისეთი აქტივობები დაგეგმონ, რომლებშიც, ერთი მხრივ, მშობლებიც მარტივად ჩაერთვებიან და მათთვისაც სახალისო იქნება, მეორე მხრივ კი, დაეხმარება მასწავლებლებს, უკეთ გაიცნონ ბავშვები, მათი ინტერესები და შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ პირველი კვირის განმავლობაში ბევრი ადამიანის ყოფნამ ჯგუფში ქაოსი არ გამოიწვიოს, აღმზრდელები უფრო დეტალურად გეგმავენ აქტივობებს ყველა ცენტრისთვის და ასევე გადასვლების პერიოდებსა და რუტინებს. ბავშვები პირველი დღეების განმავლობაში უნდა გაერკვნენ დღისა და გარემოს სტრუქტურაში, რომ შემდეგ, თავი დაცულად იგრძნონ ამ სივრცეში. ამაში აღმზრდელებს ეხმარება ვიზუალური განრიგი. ასევე, აბრები ცენტრებსა და კონტეინერებზე.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

აბომ და ხათუნამ ჯგუფის ოთახი პატარა ცენტრებად მოაწყვეს:

1. სენსორული ცენტრი, სადაც ბავშვები ქვიშით ითამაშებენ
2. ხელოვნების სახელოსნო
3. კვლევების ცენტრი
4. დრამატული
5. კუბურები
6. სამაგიდო
7. წიგნიერება
8. კარავი
9. შეხვედრების სივრცე

მასალები სპეციალურ კონტეინერებში მოათავსეს. იმისათვის, რომ მასალების გამოყენების შემდეგ ბავშვებმა ადვილად შეძლონ დალაგება, კონტეინერებს იარლიყები გაუკეთეს. ასეთივე იარლიყი დააწებეს თაროებზე, რომ კონტეინერმა ადვილად „იპოვოს“ თავისი ადგილი. ხათუნამ დაამზადა ვიზუალური განრიგი და ჯგუფში გამოფინა.

აღმზრდელები პირველი დღეების განმავლობაში სივრცეში მხოლოდ საჭირო მასალას ალაგებენ. ბავშვების პროფილების შესწავლის შემდეგ კი, ჯგუფის ფიზიკურ გარემოში მასალა ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით შეაქვთ. ხელოვნების კუთხეში ფერად ფურცლებს, სახატავ ფანქრებსა და ცომს მოიმარაგებენ, კუბურებში სხვადასხვა ცხოველებისა და ტრანსპორტის ფიგურები აწყვია. დრამატულ ცენტრში სათამაშო ჭურჭელი მაგიდაზეა გაწყობილი და სკამებზე თოჯინები სხედან. წიგნებში ზღაპრების სამი სურათებიანი წიგნი დევს, სამაგიდო თამაშების კუთხის მაგიდაზე ორი ფაზლია გაშლილი.

აბომ კოტესთვის სენსორულ ცენტრში, ქვიშაში რაინდების ფიგურები დამალა, ხელოვნების ცენტრში დამატებით ზეთოვანი პასტელების შეტანა გადაწყვიტა, რაც მისი აზრით, ანიკოსთვის საინტერესო იქნებოდა, რადგან ხატვა უყვარს და მხოლოდ ფანქრები აქვს სახლში.

ხათუნამ წინასწარ მოამზადა ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინა, რომელსაც ბავშვებთან მისალმების, ან ამბის მოყოლის დროს გამოიყენებს.

პრაქტიკა

პირველ დღეს, როცა ბავშვები მოსვლას იწყებენ, ბევრი მათგანი უკვე იცნობს აღმზრდელებს. აბო და ხათუნა თითოეულს სახელით მიმართავენ და თბილად ესალმებიან, გამოეთამაშებიან, გამოელაპარაკებიან ინდივიდუალურად და ჯგუფს ათვალიერებინებენ. ბავშვების მოსვლის შემდეგ, ბავშვებსა და მათ მშობლებს შეხვედრების სივრცეში ეპატიჟებიან. წრეზე დამსხდარ მშობლებს ბავშვები კალთაში უზით, ხათუნა ბავშვებს კიდევ ერთხელ ესალმება და მხიარულ მისალმებას ასწავლის, თითოეული ბავშვი და მშობელი მის გვერდით მჯდომს უნდა მიესალმოს, ხელი ჩამოართვას და სახელი უთხრას. პირველი

წრის შემდეგ, ხათუნას თავისი თოჯინა გამოჰყავს და მისი საშუალებითაც ესალმება ბავშვებს. შემდეგ ცდილობს, ბავშვების სახელები დაასახელოს, მაგრამ ყოველ ჯერზე ვითომ ეშლება. ბავშვები ხალისობენ დაბნეული თოჯინას შეცდომებზე და ახსენებენ სახელს. აბო ბავშვებსა და მშობლებს დღის განრიგსა და დაგეგმილ აქტივობებს აცნობს. ბავშვებს ეუბნება, რომ ახლა საუზმეს მოიტანენ და სთხოვს მშობლებს, ბავშვებს ხელების დაბანაში დაეხმარონ. აღმზრდელები ხელების დაბანის სიმღერას მღერიან და სიმღერ-სიმღერით მიდიან ხელსაბანთან.

დაბრუნებულ ბავშვებს აღმზრდელები საუზმეს ახვედრებენ და ყველანი ერთად სხდებიან სასაუზმოდ. ბავშვები მიირთმევენ, აღმზრდელები კი ეკითხებიან, მოეწონათ თუ არა ხაჭო? ხაჭო უფრო უყვართ თუ მაწონი? როგორ ფიქრობენ, რა მსგავსება და განსხვავებაა ხაჭოს და მაწონს შორის.

საუზმის შემდეგ აღმზრდელები სთხოვენ მშობლებს, ბავშვებს დაეხმარონ ჭურჭლის ჯამში ჩალაგებაში და სასურველი სათამაშო კუთხის არჩევაში.

ბავშვები და მშობლები სურვილის მიხედვით გადანაწილდებიან სხვადასხვა სივრცეში და თამაშს იწყებენ. ბავშვები ათვალიერებენ ახალ მასალას, ზოგი ხატავს, ზოგი კუბურებს აშენებს და მანქანებით და ცხოველებით თამაშობს, ზოგი წიგნებს ათვალიერებს, ზოგი კი ფაზლის აწყობას შეუდგა. აბო და ხათუნა ბავშვებს ინდივიდუალურად და მცირე ჯგუფებში ეთამაშებიან. ერთ კუთხეში მყოფ ბავშვებს წაახალისებენ, ერთმანეთს ეთამაშონ. გარკვეული დროის შემდეგ კი, ყველას აფრთხილებენ, რომ გარეთ თამაშის დრო მოდის და ეზოში გასასვლელად უნდა მოემზადონ.

ეზოში აღმზრდელებს დაგეგმილი აქვთ ბურთის გაგორობანა, ბავშვები და მშობლები ორ მწკრივად დგებიან და ბავშვები ერთმანეთს ბურთს ფეხით ზიგზაგისებურად უგორებენ, თან ცდილობენ, ერთმანეთის სახელები გაიხსენონ და დაუძახონ მას, ვისაც უგორებენ. თამაშის შემდეგ კი, ბავშვებს ეზოს სხვადასხვა კუთხეს ათვალიერებინებენ, აჩვენებენ ბოსტანს, მუსიკალურ კედელს, საქვიშესა და ტალახის სამზარეულოს. ბავშვები ეზოში სურვილის მიხედვით გაიშლებიან და თამაშობენ. ცოტა ხანში, ხათუნა სათამაშო ჟღარუნას აჩხრიალებს და ბავშვებს თავისთან მოუხმობს, თურმე, სადილის დროც მოსულა. ბავშვები ნელ-ნელა ოთახში ბრუნდებიან, ფეხზე იცვლიან და ხელს იბანენ. სადილი ისევ გაშლილია, ხათუნა და აბო ბავშვებთან ერთად სხდებიან და ეკითხებიან, დღეს რა მოეწონათ ყველაზე მეტად? ხვალ რისი გაკეთება მოუნდებათ კიდევ? ზოგს ქვიშაში უნდა თამაში, ზოგს - პასტელებით ხატვა, ზოგი კი - ჯერ მორცხვობს და არაფერს ამბობს. სადილის მერე მშობლები და ბავშვები აღმზრდელებს ემშვიდობებიან და სახლებში მიდიან.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

უკვე სამი თვე გავიდა. ხათუნა და აბო ბავშვებს უკვე კარგად იცნობენ, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც ჩაატარეს, ბავშვების პირველადი შეფასებაც გააკეთეს მათ მიერ შექმნილი კითხვარებით (იხ. დანართი 1. განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით) და დაიწყეს ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერების წარმოებაც. ბავშვები უკვე აღიქვამენ თავს ჯგუფის წევრებად, დამეგობრდნენ, მიეჩვივნენ აღმზრდელებს, დღის რუტინას, წრეზე ჯდომასა და ერთმანეთის მოსმენას.

ნინუცას კარგად აქვს განვითარებული მეტყველებისა და ნატიფი მოტორული უნარები. მის მშობლებთან შეხვედრისას დედამ სურვილი გამოთქვა, რომ აღმზრდელებმა მეტად მიაქციონ ყურადღება ბავშვის მსხვილ მოტორიკას და საშუალება მისცენ, მეტად იმოძრაოს.

ალექსანდრეს ძალიან უყვარს ცხოველები, ყველა ცხოველის სახელი იცის, მათი შვილებისაც, ვინ სად ცხოვრობს და რა ხმას გამოსცემს. უყვარს თიხით ძერწვა, მაგრამ უჭირს ჭრა და ფანქრის სწორად ჭერა.

იოანას უყვარს თოჯინები და ზღაპრების მოსმენა, მეტყველება მისი ძლიერი მხარეა, ფურცელზე მხოლოდ ხაზებს ავლებს, ფიგურების გამოსახვა კი უჭირს.

მარიტა თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობს, ორ-სამსიტყვიან წინადადებებს ამბობს და ლექსიკური მარაგიც საკმაოდ შეზღუდული აქვს, ძალიან უყვარს დინოზავრები, უჭირს ემოციების მართვა.

გიორგი შეზღუდული რაოდენობის ცალკეულ სიტყვებს ამბობს. უჭირს სხვა ბავშვებთან კომუნიკაცია, სხვადასხვა აქტივობებზე ძალიან მცირე ხნით ახდენს ყურადღების კონცენტრაციას, ძალიან უყვარს სათამაშო მანქანები და ხეებზე ცოცვა.

ხათუნამ და აბომ ბავშვებზე დაკვირვებისას შეამჩნიეს, რომ ყველა ბავშვს მოსწონს ბაღის ეზოში კუებზე დაკვირვება და მათთან თამაში, ბავშვების დიალოგებიც ძალიან ხშირად კუების ირგვლივ ტრიალებს, მაგალითად, სამი დღის წინ ნინუცა და ანიკო კამათობდნენ იმაზე, თუ რას ჭამენ კუები, ბალახს, პურს თუ ჭიანჭველებს. ალექსანდრე კი ეუბნებოდა იოანას, რომ მის სათამაშო კუს სულ სხვანაირი ფეხები აქვს და წყალშიც დაცურავს.

აღმზრდელებმა გადაწყვიტეს, ბავშვების ეს ინტერესი გამოეყენებინათ შემდეგი თემის დაგეგმვისას.

დღისა და კვირის დაგეგმვა

ხათუნამ და აბომ კუს თემაზე მუშაობისას, შემდეგი მიზნები შეარჩიეს - თვითრეგულირება და ჩაღრმავებული კვლევა და შემდეგი აქტივობები და გამოწვევები დაგეგმეს:

წინასწარ მოიფიქრეს ამბავი კუზე, რომელმაც ბრაზის მართვა ისწავლა. ხათუნამ დაგეგმა, რომ კუს დილის წრეზე გააცნობდა და მის თავგადასავალსაც ამ დროს მოყვებოდა.

მეცნიერების ცენტრში: კუებზე დაკვირვება ლუპის საშუალებით, შედარება სათამაშო კუებთან, ექსკურსია ეგზოტარიუმში.

წიგნიერების ცენტრი: კუს შესახებ ილუსტრირებული წიგნების დათვალიერება, წაკითხვა, წიგნის დამზადება.

ხელოვნება: გაშალეს დიდი ფორმატის ქაღალდი, სხვადასხვა ფერის საღებავების, პატარა კუები, ზღვის კენჭები და ქვიშა და ასევე ფოთლები დაალაგეს.

ამ აქტივობების დროს, რა თქმა უნდა, აღმზრდელები დასახულ მიზნებზე შესაბამისი სტრატეგიებით იმუშავებენ. ამისთვის მათ კიდევ ერთხელ გადაიკითხეს კურიკულუმის შესაბამისი თავები.

ისინი ყურადღებას გაამახვილებენ ემოციების მართვასა და იმპულსების კონტროლზე, რადგან ბავშვებს საშუალება აქვთ, დააკვირდნენ და შეისწავლონ კუ, აღმზრდელებმა გადაწყვიტეს, გააცნონ ბავშვებს ეს ტექნიკა.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

ხათუნამ წინასწარ მოამზადა მასალები და განალაგა ცენტრებში.

წიგნიერების ცენტრში - ილუსტრირებული წიგნი კუებზე.

ხელის თოჯინა - კუ - ბრაზის მართვის სასწავლებლად.

აბომ მოამზადა მშვიდ კუთხეში კუს ბაკანი დიდი მუყაოს ყუთისგან, ასევე დაამზადა ბარათები ბრაზის მართვაზე.

პრაქტიკა



დილის შეხვედრაზე აბო და ხათუნა ბავშვებს მხიარული მისასალმებელი სიმღერით დახვდნენ, შემდეგ კი ხათუნამ ზღაპარი წაიკითხა კუზე, რომელსაც ემოციების მართვა უჭირდა. აბომ ეზოდან კუ ამოიყვანა და ბავშვებს სთხოვა, დაკვირვებოდნენ და ეთქვათ, რას ფიქრობდნენ.

მაგიდის გაწყობაში ბავშვები აღმზრდელებს ეხმარებიან, საუზმის დროს მიირთმევდნენ და თან იმაზე საუბრობდნენ, წიწიბურას ფაფა კუს თუ მოეწონებოდა. ნინუცამ თქვა, რომ თავის პატარა ლეკვს წიწიბურა ძალიანაც უყვარს, მაშომ კი თქვა, რომ ძაღლებიც და კუებიც მხოლოდ სპეციალურ საჭმელს ჭამენ. ხათუნა ეკითხება ბავშვებს: როგორ შეიძლება გავიგოთ, რას ჭამენ კუები? ბავშვები ფიქრობენ. ალექსანდრე ამბობს, რომ შეიძლება რამდენიმე საჭმელი დაუდონ და ნახონ, რომელი მოეწონება. აბო ამბობს: ,,ასე შეიძლება საყვარელი სათამაშოც შევამოწმოთ, არა? რამდენიმე დავუდოთ და ვნახოთ, რით ითამაშებს.“ ბავშვებს მოსწონთ ეს აზრი.

საუზმის შემდეგ ბავშვები სურვილის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში იწყებენ თამაშს. ნინუცა, ანიკო და ალექსანდრე ხელოვნების სახელოსნოში შედიან, იქ აბოს ერთ-ერთი კუ დაუსვამს მაგიდაზე. ბავშვები აკვირდებიან კუს ბრჭყალებს, ზოგმა კუს ხატვა დაიწყო, ზოგი კი ქვიშითა და ქვებით კუსთვის ბილიკებს აკეთებს.

იოანა ყოყმანობს, აბო ეუბნება:

„იო, დააკვირდი, როგორი ფორმა აქვს კუს, აბა თითი დავადოთ და შემოვატაროთ.“ აბო და იოანა ერთად ადებენ ხელს კუს ბაკანზე და თითით შემოავლებენ წრეზე.

„ აბა, ახლა ფურცელზე მაჩვენე, საიდან დაიწყებ ხატვას?“

იოანა გაუბედავად ადებს ფანქარს ფურცელს და ცდილობს, იგივე მოძრაობა გაიმეოროს.

აბო: - „მე მგონი ძალიან ჰგავს, შეხედე.“ - იოანა კმაყოფილი იყურება.-„ აბა ახლა ფეხებს შევხედოთ“ -აგრძელებს აბო...





მეცნიერების კუთხეში სათამაშო კუს და ნამდვილი კუს შედარება აქვთ დაგეგმილი. სათამაშო კუ და რამდენიმე ლუპა მაგიდაზე დევს. ხათუნა გიორგის სთხოვს, კუ გამოიყვანოს ხელოვნების კუთხიდან და დაიჭიროს, სანამ თედი და ანა მას ლუპით დააკვირდებიან. ხათუნა ეუბნება ბავშვებს: ,,ნახეთ, ეს როგორი დიდია, როგორი ფეხები აქვს, როგორი თავი და კუდი. როგორ ფიქრობთ, რით გვანან ეს კუები ერთმანეთს?“ ბავშვები ცდილობენ, ჩამოთვალონ.



კუბურების კუთხეში კოტემ გრძელი გალავნის შენება დაიწყო. ზედ მეომრების ფიგურებს აწყობს და ანასტასიას სთხოვს, მასთან ერთად ითამაშოს.

სამაგიდო თამაშებში კესო და ნიკო ნახატებიან დომინოს თამაშობენ.

წიგნიერების კუთხეში ბავშვები ენციკლოპედიას ათვალიერებენ, სადაც ზღვის ცხოველებთან ერთად სხვადასხვანაირი კუები არიან გამოსახული.

ცოტა ხანში ეზოში ჩასვლის დრო მოდის და აღმზრდელები ბავშვებს ნელ-ნელა ამზადებენ. ზოგს პატარა ქვიშის საათს უდებენ, ზოგს წაახალისებენ, რომ სივრცე მოაწესრიგონ. დაუმთავრებელ ნამუშევრებს თაროზე ინახავენ, დასრულებულ ნახატებს კი, კედელზე აკრავენ.

ეზოში აღმზრდელებს ფიზიკური თამაში აქვთ დაგეგმილი, ბავშვები გრძელ სკამზე უნდა გაცოცდნენ, შემდეგ ხეს შემოურბინონ და ადგილზე დაბრუნდნენ.

ამ თამაშის შემდეგ ბავშვებმა გადაწყვიტეს, გამოცადონ, იცის თუ არა მათი ეზოს კუმ ცურვა. ამისათვის, პატარა სათავსო წყლით გაავსეს და კუები ჩასვეს. კუებს წყალში ცურვა ძალიან მოეწონათ.

ზოგიერთი ბავშვი ეზოში ფოთლებს აგროვებდა, რომ კუსთვის რბილი ლოგინი გაეკეთებინათ.



ეზოდან ამოსული ბავშვები, სანამ სასადილოდ დასხდებოდნენ, ხათუნამ და აბომ კიდევ შეკრიბეს წრეზე და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვეს, რომ მოკლედ შეეჯამებინათ დილის სამუშაოები. სადილის შემდეგ ბავშვებმა ზღაპარი მოისმინეს და დაიძინეს. გაღვიძების შემდეგ, სამხარი მიირთვეს და შემდეგ ისევ თამაშს შეუდგნენ. ამჯერად ხელოვნების ცენტრში ბავშვებს კაკლის ნაჭუჭები და პლასტილინი დახვდათ. ასევე, სახატავი ფანქრები და ფურცლები. მეცნიერების ცენტრში ბავშვებმა გამოცადეს, რას შეჭამდა და რით ითამაშებდა კუ.





დღის შეჯამებისას ბავშვებმა და აღმზრდელებმა უფრო მეტის გასაგებად ზოოპარკის ეგზოტარიუმში ექსკურსია დაგეგმეს. ერთად ჩამოწერეს კითხვები, რაც იქ უნდა დაესვათ და მომდევნო დღეებში კუს პაპია მაშეს ფიგურების გაკეთებაც გადაწყვიტეს.

კვირის ბოლოს ხათუნამ და აბომ დაგეგმვის ფურცელზე გადაიტანეს მთელი კვირის შეჯამებული რეფლექსია, სადაც შეაჯამეს, როგორ ჩაიარა კვირამ.

მშობლებთან თანამშრომლობა

აღმზრდელები ექსკურსიაზე წამოსვლას მშობლებსაც სთხოვენ. ერთ-ერთი ბავშვის მამა ბავშვებს სულ პაწაწინა წყლის კუებს მოუყვანს დასაკვირვებლად.

თავი 18. 4-5-წლიანთა ჯგუფი

დღისა და კვირის დაგეგმვა

გასული კვირის განმავლობაში ანას და ლელას ჯგუფი მუშაობდა თემაზე „ჯანსაღი კვება“. თან ანა და ლელა კიდევ ერთხელ დააკვირდნენ ბავშვების თამაშის დინამიკას ამ ასაკის შესაბამისი „მიზნების შესარჩევი დაკვირვების ინსტრუმენტით“ (იხ. დანართი 2) და გადაწყვიტეს, ქვემიზნებად შექმნა, ჩაღრმავებული კვლევა, კონფლიქტის მოგვარება აეღოთ. მათ ასევე გადაწყვიტეს, ამ კვირაში კონკრეტული თემა ან პროექტი არ შეეთავაზებინათ ბავშვებისთვის, არამედ, უბრალოდ, სხვადასხვა რესურსი შეეტანათ ცენტრებში, გამოწვევების სახით, და ბავშვების ინტერესებს დაკვირვებოდნენ. მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებს შორის იყო:

- შტამპებით ბეჭდვა და ოფისობანას თამაში; ცათამბჯენების აშენება, მათზე სარეკლამო აბრების დამაგრება;
- საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვა და სარეკლამო აბრების დამზადება;

ანამ და ლელამ გადაწყვიტეს, ამ კვირაში ყურადღება გაამახვილონ კონფლიქტის მოგვარების გზებზე. ასევე, გააცნონ სივრცე, სადაც ბავშვები სხვადასხვა მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დრამატული თამაშების სივრცე: ანა დრამატულ ცენტრს გადააწყობს, პატარა მაგიდაზე დგამს ძველებურ საბეჭდ მანქანას, თაროზე ძველი ტელეფონის აპარატს, გვერდით მაგი-

დაზე სათამაშო „ნოუთბუკს“, მოიმარაგებს სხვადასხვანაირ საწერ ფურცლებს, კალმებსა და ფანქრებს, სახვრეტელასა და სხვა საკანცელარიო ნივთებს.

ხელოვნების ცენტრი: შტამპების შეტანა და ბავშვების წახალისება, რათა ანაბეჭდების კოლაჟები დაამზადონ.

კონფლიქტების მართვის მიზნების მისაღწევად ანამ და ლელამ მოლაპარაკების სივრცე მოაწყვეს პატარა მაგიდით და კედელზე განთავსებული წესებით, რომლებიც კონფლიქტზე საუბრისას უნდა გამოიყენონ. ეს წესები ბავშვებმა და ანამ წინა კვირას, დილის წრეზე მსჯელობისას შეიმუშავეს, ესენია: (ა) ყურადღებით და მოთმინებით ვუსმენთ სხვას და ველოდებით ჩვენს ჯერს; (ბ) პატივისცემით ვეპყრობით ერთმანეთის აზრს (ვიცით, რომ სხვა შეიძლება განსხვავებულად ფიქრობდეს და ეს ნორმალურია); (გ) ჩვენს აზრს ვეუბნებით დაბალ ხმაზე; (დ) მონდომებით ვფიქრობთ, როგორ შეგვიძლია პრობლემის გადაჭრა. (ე) ვდგებით, როცა მოვრიგდებით. ასევე, განათავსეს თვითდამშვიდების პოსტერი (თვითდამშვიდების სტრატეგიებით) და ის ნივთები, რომლებსაც ბავშვები თვითდამშვიდებისას გამოიყენებენ, ესენია: მუჭის ზომის რბილი ბურთი, რბილი ჩასახუტებელი სათამაშო, გასაფერადებელი ფურცელი (მანდალა) ფანქრები, მუსიკის მოსასმენი მოწყობილობა ყურსასმენებით და ა.შ. ამ თვითდამშვიდების სტრატეგიებს მაშინაც იყენებდნენ ბავშვები, როდესაც ანამ ბრაზის მართვა ასწავლა.

პრაქტიკა

ანამ დილის წრეზე ბავშვებს მოლაპარაკების ჯოხი აჩვენა და აუხსნა, როგორ შეუძლიათ ამის გამოყენება მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს ჯოხი დაეხმარება ბავშვებს გააკონტროლონ, ვინ ასრულებს საუბარს და ვინ იწყებს. ვისაც ხელში უჭირავს, ის საუბრობს. როდესაც ამთავრებს საუბარს, გადასცემს ჯოხს სხვას. ამის მოდელირებისთვის ანამ ასეთი თამაში შესთავაზა ბავშვებს. ანა: „ვისაუბროთ, რა გვიყვარს ყველაზე ძალიან, საუბრობს ის, ვისაც ჯოხი უჭირავს და როდესაც დაასრულებს, გადასცემს გვერდით მჯდომს. ანა: „მე ძალიან მიყვარს, როდესაც ინტერესით მისმენთ წიგნის კითხვის დროს“, ანამ ჯოხი გვერდით მჯდომ კოტეს გადასცა და ა.შ.

დილის შეხვედრის შემდეგ ბავშვებთან ერთად ასევე განვლილი თემა - „ჯანსაღი საკვები პროდუქტი“ - შეაჯამა. შემდეგ ბავშვებს კონფლიქტის მოგვარების კუთხე გააცნო, გაახსენა მოფიქრებული წესები. როლური თამაშიც გაითამაშა. წარმოიდგინეთ, რომ მე და ელენე ვერ მოვრიგდით დრამატულ ცენტრში თამაშის დროს. „ელენე, ვითომ შენ გინდოდა, რომ გიგის მოეტანა პროდუქტები, მე კიდევ მინდოდა, რომ კერძის მომზადებაში მომხმარებოდა. მოდით, ვნახოთ, რა უნდა გავაკეთოთ და როგორ გამოვიყენოთ მოლაპარაკების კუთხე იმისათვის, რომ მოვრიგდეთ და ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება მივიღოთ.“ ლელა აკვირდება ბავშვების ჩართულობას და ინიშნავს დაკვირვებას, რომ შემდგომი კონფლიქტის სწავლებისთვის ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში იმუშაონ. ელენე და ანა აღმზრდელი მაგიდასთან სხდებიან, ჯოხის მონაცვლეობით თავიანთ შეხედულებებსაც ცვლიან. მერე გიგისაც ეძახიან და მასაც ეკითხებიან აზრს. ბავშვები სხვადასხვა გამოსავალზე ფიქრობენ. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ გიგი იმას გააკეთებდა, რაც სურს.

საუზმეზე ანამ შეამჩნია, რომ ბავშვები აკვირდებოდნენ და საუბრობდნენ შემდეგ თემაზე: ჩვეულებრივი წყალი და ბალახეული ჩაი ორივე გამჭვირვალეა, მაგრამ ერთი ცოტა ტკბი-

ლია, წყალი კი - არა. “ჩაი ცოტა ტკბილი იმიტომ არის, რომ შაქრიანია“, თქვა ნიკომ. შაქრიანი რომ იყოს, შაქარიც გამოჩნდებოდა“, თქვა ანიკომ. შაქარმა გააფერადა წყალი, იმიტომ არის ჩაი სხვა ფერის - აღნიშნა თიკომ. აღმზრდელი სვამს შეკითხვებს:„ესე იგი, თქვენ ასე ფიქრობთ, არა? როგორ უნდა გავიგოთ, რა ემართება წყალში შაქარს?“ ნიკომ წამოიძახა: ,,შეგვიძლია შევურიოთ და ვნახოთ, რა მოხდება, შეგვიძლია შაქარს წყალი დავასხათ“. ანამ კვლავ იკითხა: ,,როგორ ფიქრობთ, რა დაგვჭირდება ამისთვის?“ თიკოს პასუხები იყო: ,,შაქარი და წყალი.“ ანამ ბავშვების ვარაუდები ჩაიწერა და შესთავაზა: „ვცადოთ მეცნიერების ცენტრში და ვნახოთ, რა გამოვა“. ,,მე მარილიც მაინტერესებს“ - თქვა ნინიმ.

საუზმის შემდეგ, ანამ ცენტრებში დაგეგმილი გამოწვევების გარდა, ბავშვების ინტერესები გაითვალისწინა და მეცნიერების ცენტრში მარილი და შაქარი შეიტანა, ლელას მიერ სახელდახელოდ შექმნილი ცხრილის ფორმები დაახვედრა და ბავშვებს ექსპერიმენტში ჩართვისა და მონაცემების ჩანიშვნის საშუალება მისცა. (ამ ფაქტს ანა დაგეგმვის ფორმაში, რეფლექსიის გრაფაში მოგვიანებით ჩაწერს).

ბავშვებმა შემდეგი ჰიპოთეზები გამოთქვეს:

- შაქარი გაქრება და მარილიანი წყალი თეთრი იქნება;
- მარილიც და შაქარიც გაქრება და წყალი იქნება ჭიქის ფერი (იგულისხმა, რომ წყალი გამჭვირვალე დარჩება);
- შაქარს თუ ჩაყრი, წყალი გახდება ტკბილი და მარილს სადაც ჩაყრი, წყალი იქნება ცოტა თეთრი და მლაშე;
- შაქრიანი წყალი გახდება ყვითელი, მარილი უფრო მალე გაქრება;
- წყალი ორივეს გააქრობს, უფრო მალე მარილს, წყალი ფერს არ შეიცვლის.

ანა შეეცადა, დამატებითი რესურსის მოძიებაში ბავშვებიც ჩაერთო და იკითხა, როგორ მიეღოთ ერთნაირი წონის შაქარი და მარილი. მან წაახალისა სასწორის გამოყენება.

ბავშვებმა აწონეს მარილი და შაქარი, ერთნაირი რაოდენობის მისაღებად, მოიმარაგეს წყალი და საჭირო ჭურჭელი. ბავშვებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, დააკვირდნენ შედეგებს, გამოთქვეს მოსაზრებები. მონაცემები ლელას მიერ წინასწარ მომზადებულ ფორმაში ფანქრის საშუალებით ჩაინიშნეს. კვლევაში ჩართული ბავშვები ანასთან ერთად მსჯელობენ ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე, მიღებულ შედეგებზე.







მეცნიერების ცენტრში ექსპერიმენტის მსვლელობისას ბავშვებთან ერთად ანა იყო, ხოლო დანარჩენ ცენტრებში ბავშვებს თვალყურს ლელა ადევნებდა. კუბურების ცენტრში აკამ და გიგიმ წითელი კუბურები ვერ გაინაწილეს, ლელას არ გამორჩენია ეს ფაქტი და ბავშვებს ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა ამ უთანხმოების მოგვარება. იქვე მყოფ ელენეს გაახსენდა კონფლიქტების მოგვარების კუთხე და იქ გადასვლა შესთავაზა ორივეს. ლელამ ელენეს მადლობა გადაუხადა და ბავშვებს საშუალება მისცა, მოლაპარაკების ჯოხი გამოეყენებინათ. აკამ თავიდან უარი თქვა ჯოხის გამოყენებაზე, მაგრამ ლელას მხარდაჭერით და წახალისებით ჯოხი აიღო. საბოლოოდ, ბავშვები შეთანხმდნენ და კუბურების ცენტრს დაუბრუნდნენ.

დრამატულ ცენტრში ბავშვებმა იქ არსებული ტელეფონი თავიდანვე შეამჩნიეს, მაგრამ თამაშში არ გამოუყენებიათ. ლელამ შეამჩნია ეს, ცენტრში შევიდა და იქ მყოფ ბავშვებს უთხრა: ტელეფონის ხმა მომესმა, როგორი ძველებური ტელეფონი გქონიათ, ვის ურეკავენ ნეტა? შეიძლება, მე ვუპასუხო? ლელამ ბავშვებს ამგვარად მიანიშნა, როგორ უნდა გამოეყენებინათ ტელეფონი.

ხელოვნების ცენტრში თინიკომ, დათომ და ზაზამ ერთმანეთს შტამპები დაადეს და ქანდაკებები გააკეთეს. ლელამ ბავშვებს შესთავაზა, დარჩენილი შტამპები საღებავით დაეფარათ და ფურცელზე ანაბეჭდები დაეტოვებინათ. თინიკომ წამოიძახა: ,,ნახე, ზუსტად ისეთი კვალი დატოვა, როგორიც არის". შემდეგ სხვა შტამპი აიღო, იგივე მოქმედება გაიმეორა და სიხარულით აღნიშნა: ,,ამანაც თავისნაირი კვალი დატოვა". ზაზამ საფანქრიდან ფანქარი ამოიღო, საღებავი წაუსვა და ფურცელზე დადო - ,,ამანაც კვალი დატოვა" - თქვა მან და ლელას აჩვენა ნამუშევარი.

ცენტრებში თამაშის შემდეგ სადილამდე ანამ და ლელამ ასალაგებელი სიმღერა წამოიწყეს, რითაც ბავშვებს ნიშანი მისცეს, რომ ცენტრები უნდა მიელაგებინათ. სადილის შემდეგ ეზოში გავიდნენ, რა დროსაც აღმზრდელებმა ეზოში გასასვლელი სიმღერა გამოიყენეს.

ეზოში თამაშის დაწყებამდე ანა სთავაზობს მეცნიერების ცენტრში მომუშავე ბავშვებს მეგობრებისთვის კვლევის შედეგების გაზიარებას. ბაღის ეზოს მდელოზე აღმზრდელი საშუალებას აძლევს ბავშვებს, რომ სხვებს გაუზიარონ მიღებული შედეგები.

ხდება ჰიპოთეზების სიასთან დაბრუნება და შეჯამება, რამდენად გამართლდა ბავშვების ვარაუდები.

ეზოს შემდეგ ჯგუფში დაბრუნებულ ბავშვებს ანა და ლელა საშუალებას აძლევენ, კვლავ ითამაშონ ცენტრებში. აღმზრდელები ცდილობენ, მათი ინტერესები დააფიქსირონ მომდევნო კვირის თემისთვის ან პროექტისთვის. ანამ გადაწყვიტა, კვირის განმავლობაში მეცნიერების ცენტრში სხვა ექსპერიმენტებიც დაეგეგმა წყალთან დაკავშირებით, რადგან რამდენიმე ბავშვმა ეზოში ყოფნის დროს დასვა შეკითხვა, ყველანაირი ფხვნილი იხსნება თუ არა წყალში. შესაძლოა, ბავშვების ინტერესები ამ მიმართულებითაც წავიდეს და მომდევნო კვირის პროექტის თემა წყალი იყოს.

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

ანას და ლელას ერთი კვირის დაკვირვების ჩანაწერები
(8/04- 15/04)

დაკვირვების ეფექტურად ორგანიზების მიზნით, ანამ და ლელამ საქმე გადაინაწილეს და მოილაპარაკეს, რომ მიმდინარე და შემდგომი კვირის განმავლობაში ბავშვებსაც დააკვირდებოდნენ და საგანმანათლებლო პროცესსაც. მთელი კვირა ანა და ლელა დაკვირვებისთვის იყენებდნენ ბავშვის განვითარების სტანდარტის მიხედვით შექმნილ კითხვარსაც (იხ. დანართი 1.) და დაკვირვების ინსტრუმენტსაც მიზნების შესარჩევად (იხ. დანართი 2).

დაკვირვების ჩანაწერების და კითხვარების ანალიზის შედეგად, ანამ და ლელამ დაასკვნეს, რომ გიგისთან და აკასთან მეტი მუშაობა სჭირდებათ პრობლემის გადაჭრის უნა-

რის გასავითარებლად. ასევე, სჭირდებათ დამატებითი წახალისება წესების დასაცავად. ჯგუფზე დაკვირვებამაც გამოავლინა, რომ პრობლემის გადაჭრის უნარებზე მუშაობა ცუდი არ იქნება, შესაბამისად, გადაწყდა, რომ კვირის მიზნები პრობლემის გადაჭრა და თვითრეგულირების მხარდაჭერა იქნება.

კვირის განმავლობაში წარმოებული დაკვირვების ჩანაწერებს ანა და ლელა ბავშვების პორტფოლიოში მოათავსებენ. ამავე ჩანაწერებს გაუზიარებენ მშობლებს ინდივიდუალური შეხვედრების დროს. ამით მშობლებისთვის თვალსაჩინო გახდება, თუ როგორ ხდება სხვადასხვა უნარის გამომჟღავნება თამაშის დროს და რა სტრატეგიებით არის შესაძლებელი ამ უნარის ხელშეწყობა.

გარდა კონკრეტული უნარებისა, ანა და ლელა, ასევე, აკვირდებიან ბავშვების თამაშს სხვადასხვა ცენტრში.

კვირის განმავლობაში ანამ და ლელამ დააფიქსირეს ბავშვების ინტერესი წყალთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებთან, ამიტომ, მომდევნო კვირაში ისინი დაგეგმავენ ისეთ საქმიანობებს ან გამოწვევებს, რომ ბავშვებს წყლისა და სხვადასხვა ნივთიერებების გამოკვლევის საშუალება ჰქონდეთ. მეცნიერების ცენტრში ისინი წყალთან ერთად შეიტანენ სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტს: ზეთს, მარცვლეულს, სუნელებს და დააკვირდებიან, რა იხსნება წყალში და რა არა. ხელოვნების ცენტრშიც წყალთან დაკავშირებულ გამოწვევებს შექმნიან, წყლის საღებავებს მოიმარაგებენ, ან სულაც წყლით ხატვის საშუალებას მისცემენ.

ანა და ლელა მომდევნო კვირაშიც განაგრძობენ ბავშვებთან მოლაპარაკების ჯოხის გამოყენებას. ასევე შეეცდებიან, კონფლიქტების მოგვარების კუთხე უფრო ხშირად გამოიყენონ პრობლემების გადასაჭრელად.

ანამ და ლელამ კვირის ბოლოს გეგმაში ასეთი რეფლექსური ჩანაწერები გააკეთეს: *„დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ, საუზმეზე წამოჭრილი ინტერესი დროულად დავაფიქსირე და კარგად მოვიფიქრე ბავშვებისთვის მეცნიერების ცენტრში ექსპერიმენტის შეთავაზება. ისე კარგად ჩაერთნენ, შეკითხვებს სვამდნენ, ვარაუდებს გამოთქვამდნენ. ლელა ძალიან დამეხმარა, ვიდრე ბავშვები საუზმობდნენ, სამზარეულოდან უცბად მოიტანა შაქარი და მარილი, ყველაფერი გაამზადა მეცნიერების ცენტრში. ერთადერთი, რაც არ მომეწონა, მთელი ჩემი ყურადღება მეცნიერების ცენტრმა მიიპყრო და ვეღარ მოვახერხე სხვაგან ჩართვა. მართალია, ასეც გადავანაწილეთ საქმიანობები, მაგრამ ვხედავდი, რომ ლელასთვის ადვილი არ იყო, არადა მეც ვერ მივატოვე ბავშვები, მეგონა, რომ გამოვსულიყავი, ბოლომდე არ მიჰყვებოდნენ ექსპერიმენტის მსვლელობას, მონაცემების ჩანიშვნაც გაუჭირდებოდათ... მოკლედ, რამე უნდა მოვიფიქროთ ასეთი სიტუაციებისთვის, ან მე უფრო მეტად მობილიზებული უნდა ვიყო...“*

„ბავშვებს ძალიან მოეწონათ წყალზე ექსპერიმენტები, გუშინწინ მხოლოდ ანიკო, ნიკო და ეთუნა იყვნენ მეცნიერების ცენტრში და გუშინ და დღეს ყველამ გამოთქვა სურვილი, მგონი ახალი პროექტის თემა წყალი იქნება...ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. შეიძლება გავყინოთ, ავადუღოთ, ავაორთქლოთ და ა.შ.“

მშობლებთან თანამშრომლობა

კვირის განმავლობაში ანა და ლელა მშობელთა დაფაზე ცვლილებებს შეიტანენ და მიმდინარე ექსპერიმენტების ამსახველ ფოტოებსა და ცხრილებს გამოფენენ. ასევე, ტექსტის სახით აღწერას დაურთავენ, თუ რა ხდება ჯგუფში.

კვირის ბოლოს რამდენიმე ინდივიდუალურ შეხვედრას დაგეგმავენ ზოგიერთი ბავშვის მშობელთან. ასეთ შეხვედრებს გარკვეული სიხშირით, სისტემატურად ატარებენ მშობლებისთვის ბავშვების მიღწევების გაზიარების მიზნით, ასევე, სამომავლო გეგმების ერთობლივად განსახილველად და რეკომენდაციების გასაცნობად. მაგალითად, გიგის მშობლებს შესთავაზეს მოლაპარაკების ჯოხის სახლში გამოყენება გიგის ერთი წლით უფროს ძმასთან ერთად. ნიკოს მშობლებს ურჩიეს, სხვადასხვა მასალის გამოყენებით, ნიკოსთვის სახლში ექსპერიმენტების ჩატარების საშუალება მიეცათ. ხოლო ელენე - მეტად ჩაერთოთ ოჯახის საქმიანობებში.

თავი 19. 5-6-წლიანთა ჯგუფი

რამდენიმე დღით ადრე ანა აღმზრდელმა, რომელსაც ჯგუფში 25 ბავშვი ჰყავს, შემდეგი კვირის აქტივობები დაგეგმა. მისი მიზნები ბავშვების შესაძლებლობებს და საჭიროებებს ითვალისწინებს და გეგმაში გაწერილი აქტივობები და სტრატეგიები ერთდროულად ამ მიზნებსა და ბავშვების ინტერესებს ეყრდნობა (იხ.გეგმის ნიმუში გვ. 314).

მისი მიზანია, უფრო გააღრმაოს ბავშვების კვლევითი ინტერესები მეცნიერულ ექსპერიმენტებში მონაწილეობით, შეუქმნას ბავშვებს შესაძლებლობა, რომ აწარმოონ დაკვირვებები, ცხრილები. ასევე ფიქრობს, რომ გაზაფხულის მოსვლით გამოწვეულმა ამდენმა ცვლილებებმა არ უნდა ჩაიაროს ისე, რომ ბავშვებმა აღმოჩენები არ გააკეთონ. ანა აღმზრდელს ამ შესაძლებლობის გამოყენება ბუნების მიმართ ინტერესის გაღრმავებისთვის უნდა. ანა ასევე ფიქრობს, რომ ეს შემოქმედებით პროცესებსაც შეუწყობს ხელს. ასევე, ბაღის ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით შეივსო. ანა იმაზეც ფიქრობს, რომ ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. ის ფიქრობს როგორ გააღრმაოს ბავშვების ინტერესი წიგნის მიმართ და გეგმავს როგორც დიდ, ისე მცირე ჯგუფებში ინტერაქციულ კითხვას. რადგან ბავშვები უკვე 5-6 წლისები არიან, მათთვის ასევე სასარგებლო იქნება ფონემური თამაშები, რომელსაც ტრანზიციების დროს გამოიყენებს. დაბოლოს, აუცილებლად დაუთმობს გარკვეულ დროს კონფლიქტის მოგვარების პოზიტიური გზების სწავლებას, რადგან ამ ბოლო პერიოდში განცდა გაუჩნდა, რომ კონფლიქტები გახშირდა. ანამ წინა კვირაში კონფლიქტების ცხრილი გააკეთა, რომელმაც ობიექტურად აჩვენა, რომ ოთახში თამაშის დროს კონფლიქტების რაოდენობა გაიზარდა და ასევე გამოავლინა რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც უფრო ხშირად აქვთ ერთმანეთთან კონფლიქტი. ამ მიზნებზე ფიქრისას, ანას არ ავიწყდება ბავშვების ინდივიდუალური გამოწვევების გათვალისწინებაც.

გეგმის ნიმუში 6

თარიღი 16.04-21.04	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
მიზნები	*ინტერესის გაღრმავება, ჩაღრმავებული კვლევა, კონფლიქტის მოგვარება*				
ინტერესი • თემატური მიდგომა • პროექტის მეთოდი	თემის გარეშე				
აქტივობები, პროვოკაციები და შესაბამისი რესურსი	ეზოში: ვიპოვოთ გაზაფხული გარეთ; დააკვირდნენ ცვლილებებს მიწაზე, ხეზე, ჰაერში. მოუსმინონ ხმებს. ხელოვნება: გარედან შემოტანილი მასალის ჩანახატების გაკეთება საღამოს წრე: დღის განხილვა და შეჯამება როგორ გამოიყენეს კონფლიქტის მოგვარების სივრცე	მეცნიერება: ექსპერიმენტი მაგნიტებზე წიგნის კითხვა მცირე ჯგუფში. ხატვა ეზოში სამაგიდო: "დევების ციხესიმაგრე" და ყვავილების ფაზლი	დილის წრე: კონფლიქტის მოგვარების სივრცის გამოყენებაზე საუბარი; კონფლიქტურ სიტუაციებზე საუბარი; ხელოვნება: ბავშვების მიერ არჩეული საგნის ჩანახატის გაკეთება წიგნის კითხვა მცირე ჯგუფში:	სენსორულში გამოწვევის შექმნა: სენსორულ კონტეინერში პატარა კარიერის მოწყობა - სამშენებლო ტრანსპორტი, წვრილი კენჭები, მილები, ძაბრები. ეზოში წიგნის კითხვა მცირე ჯგუფში:	მეცნიერება/ სენსორული: ყინულის კუბების კვლევა: მაშები, კოვზები, საკვები საღებავი. წიგნის კითხვა მცირე ჯგუფში: სამაგიდო: ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები და სხვადასხვა შენობების ბარათები
რუტინები და ტრანზიციები	ფონემური სავარჯიშოები სიტყვების სინთეზი. სადილის დროს საუბარი, როგორ ვაგვარებთ კონფლიქტებს. წიგნის კითხვა დიდ ჯგუფებთან,				
ინდივიდუალიზაცია					
	ლუკასთან, ნიკასთან და მარიამთან არ დაგვავიწყდეს ვიზუალური ბარათების გამოყენება. ელენეს და გიოს კონკრეტულ მითითებებს და დროს მივცემ ექსპერიმენტების დროს. მცირე ჯგუფში კითხვას შევთავაზებ მარიამს, ანას, გიოს, სანდროს, ირაკლის, ლუკას. გამოცდილების გაზიარებაში დღის ბოლოს დავეხმარები ელენეს და სანდროს. სენსორულ მასალას დავუდებ გიოს. მარიამს და ნუცას კითხვებით დავეხმარები, აღმოჩენები გააკეთონ ეზოში. ლუკასთან არ დამავიწყდეს ტრანზიციის დროს მხარდაჭერა.				
სტრატეგია	აღწერა და ღია კითხვები ეზოში ცვლილებებზე დაკვირვების, ექსპერიმენტების დროს.				
კვირის ანალიზი:					

ორშაბათი დღე თბილი მისალმებით იწყება. სანამ ჯგუფი სრულად შეიკრიბება, ბავშვები თავიანთი ინიციატივით მცირე ჯგუფებში სხვადასხვა თამაშებით კავდებიან. ანა აღმზრდელი ბავშვების აღრიცხვით და მშობლებთან მოკლე საუბრებით არის დაკავებული და ბავშვების თამაშსაც ადევნებს თვალს. მისთვის საინტერესოა როგორ თამაშობენ, რამე ახალს ხომ არ ამბობენ ან აკეთებენ, როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან.

ანამ ბავშვებს დილის შეხვედრაზე მოუხმო. დილის წრემ ჩვეულებრივად ჩაიარა. ანამ და ბავშვებმა ერთმანეთი მოიკითხეს, ისაუბრეს სხვადასხვა თემებზე და დაგეგმეს დღე.

დღის რაღაც მონაკვეთში ანა ბავშვების მცირე ჯგუფს როლური თამაშის მარტივ სცენარს სთავაზობს კონფლიქტურ სიტუაციაზე. მაგალითად, ორ მეგობარს უნდა ერთი და იგივე სათამაშო. ანას წახალისებით, ბავშვები ფიქრობენ, როგორ უნდა მოიქცნენ მსგავს სიტუაციაში. ბავშვები ხალისით თამაშობენ ამ სცენარებს.

ანას ბავშვები გარეთ გაჰყავს. გაზაფხული უკვე იგრძნობა. ეზოში გასვლის წინ ანა ბავშვების მცირე ჯგუფს სთავაზობს, რომ ბუნების მკვლევრები იყვნენ და მოძებნონ გაზაფხულის ნიშნები მიწაზე, ცაში, ხეებზე. ამ საუბარს კიდევ რამდენიმე ბავშვი შეუერთდა და მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ანა: ‘რა დაგვჭირდება ამისთვის?’ ბავშვები: ‘ფანქრები და ქაღალდები წავიღოთ და დავხატოთ, რასაც ვიპოვით’, ანა: „კარგი აზრია“, სანდრო: „გამადიდებელი შუშებიც წავიღოთ, როგორც მაშინ“, ელენე: „რაღაცებიც შევაგროვოთ და შემოვიტანოთ ჯგუფში, ყუთი წავიღოთ“. მარი და თინი: „ჩვენ ბავშვს გავასეირნებთ, ეტლით გამოვიყვანთ“, ანა: „ფოტოებიც გადავიღოთ, მე ჩემს ტელეფონს წამოვიღებ და დამიძახეთ, ვისაც გადაღება მოგინდებათ“. გამადიდებლებით და სახატავი საშუალებებით შეიარაღებული ბავშვები ეზოში ხმაურით გავიდნენ და გაიფანტნენ. ზოგიერთი ბავშვი მიწაზე ეძებს რაღაც ახალს და პატარა ყვავილს პოულობს, ზოგი ახალამოსულ ბალახზე მიუთითებს, ზოგი - ჩიტებზე, ხოლო რამდენიმე ხის ირგვლივ იკრიბება და პატარა კვირტებს აკვირდება. ანა ბავშვებთან მოძრაობს და კითხვებს სვამს - “რას ხედავთ ახალს, განსხვავებულს, რაც აქამდე არ იყო ეზოში?” და “როგორია ხე დღეს. რა ცვლილებას ხედავ?” ბავშვები უზიარებენ თავიანთ დაკვირვებებს, ანა ინიშნავს მათ ნათქვამს და აღმოჩენებს. რამდენიმე ბავშვმა სახატავი გაშალა და ჩანახატების გაკეთება დაიწყო. ზოგი ტალახის სამზარეულოსკენ წავიდა და იქ წამოიწყო თამაში, რამდენიმემ სირბილი დაიწყო და ბურთის გამოსატანად ოთახში შევიდა, ანას თანაშემწეც გააფრთხილეს. ანა ლუკასთან მიდის და ეკითხება, უნდა თუ არა, რომ პატარა ვიდეოები გადაიღოს. რა ნახა ახალი, რაც წინა დღეებში არ შეუმჩნევია. ამასობაში ბავშვები ჭიანჭველების ბუდეს პოულობენ და აღტაცებას გამოხატავენ. ლუკას ანა ჭიანჭველებისკენ მიჰყავს და გადაღებას სთხოვს.

ჯგუფში დაბრუნებისას ისევ ერთად იკრიბებიან, რომ განიხილონ თავიანთი აღმოჩენები. ბავშვები უზიარებენ საკუთარ აღმოჩენებს, ანა კი ეხმარება ბავშვებს, სეზონის ცვლილების ნიშნები გაიაზრონ ღია კითხვების დასმით და ბავშვების კითხვებზე ინფორმაციული პასუხების გაცემით.

ხელოვნების ცენტრში შესულ ბავშვებს ანა სთავაზობს, გაიხსენონ ფერები და ფორმები, რაც გარეთ ნახეს, როგორ გამოიყენონ ისინი ნახატებში. რამდენიმე ბავშვი ეზოდან შემოტანილ ბალახსა და ყვავილს ხატავს.

ბავშვები ცენტრებში გადანაწილდნენ. ზოგიერთი კუბურების ცენტრში იკრიბება. სხვები დრამატულ ცენტრშია და სუპერგმირობანას თამაშს იწყებენ.

რამდენიმე ბავშვი ხელოვნების ცენტრში დაბრუნდა თავისი ნამუშევრის დასასრულებლად. ზოგი ბავშვი ექსპერიმენტებს ატარებს თიხით. ანა აკვირდება შორიდან, მზად არის, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს, თუმცა ბავშვებს თამაშის წარმართვის შესაძლებლობას აძლევს. ამ დროს ამჩნევს, რომ თიხაზე მომუშავე ბავშვებში კონფლიქტია. ანა ბავშვებში ჩაჯდა და ჰკითხა, რამ გამოიწვია უთანხმოება. ბავშვები აღელვებით იწყებენ თავის მართლებას. ანა მშვიდი ტონით მოუწოდებს რიგ-რიგობით ისაუბრონ, რომ გაიგოს, თან მოლაპარაკების ჯოხის გამოყენებას თხოვს, რომ მორიგეობით ისაუბრონ. ყველამ რომ დაასრულა, ანამ ბავშვებს ჰკითხა, როგორ მოაგვარებდნენ ამ უთანხმოებას. რამდენიმე ვერსიის გაჟღერების და მსჯელობის შემდეგ, ბავშვებმა შეთანხმებას მიაღწიეს. ანამ ეს სიტუაცია მოკლედ ჩაიწერა, კმაყოფილი იყო, რომ ბავშვებმა შეძლეს ანას ძალიან მცირედი დახმარებით დამოუკიდებლად კონფლიქტის მოგვარება.

სიმღერაზე და ნიშანზე "ალაგების დროა" ბავშვები იწყებენ თამაშის დასრულებას და დალაგებას. თანაშემწემ ლუკას ბარათიც დაანახა იმის საჩვენებლად, რა უნდა გაეკეთებინა და მისგან რას ელოდნენ. დალაგების შემდეგ ანა ბავშვებს კუბურების ცენტრში უხმობს, დიდ ჯგუფში წიგნის წასაკითხად. წიგნის კითხვა 10-15 წუთი გრძელდება.

საღამოს წრეზე ანამ ბავშვებს შეახსენა, როგორ წარმატებით გაართვეს თავი კონფლიქტურ სიტუაციას. ისევ იმსჯელეს და ერთად გადაწყვიტეს კონფლიქტის მოგვარების ცენტრის მოწყობა. ცენტრში გამოაკრეს პოსტერი, სადაც წერია, რომ ბავშვები თუ დაფიქრდებიან, აუცილებლად მოიფიქრებენ კონფლიქტის გამოსავალს, რაც სამართლიანი, უსაფრთხო და ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. ასევე გადაწყვიტეს, რომ ანა შეახსენებს მათ, თუ ცენტრის გამოყენება საჭირო გახდება. საღამოს წრეზევე გადაწყვიტეს, რომ კარგი იქნებოდა, მსგავსი სივრცე ეზოშიც მოეწყოთ.

სამშაბათი

მეორე დღეს ბავშვებს მოლაპარაკების სივრცე ეზოშიც ხვდებათ. დილის თამაშის შემდეგ ანა მეცნიერების ცენტრში ნივთებს (სხვადასხვა მაგნიტები, მაგნიტური და არამაგნიტური საგნები - ხე, პლასტმასა, ლითონი, ქაღალდის სამაგრები, ცხრილები, ორი სინი წარწერებით - მაგნიტური და არა მაგნიტური) ალაგებს. ბავშვებს მათთვის საინტერესო მასალები და გამოწვევები სხვა ცენტრებშიც ხვდებათ. როდესაც ბავშვების მცირე ჯგუფი მეცნიერების ცენტრში შედის, ანა ღიმილით კითხულობს: "ვინ მეტყვის რა არის ეს?" "ეს მაგნიტია!" წამოიძახა ელენემ. "და რას აკეთებენ მაგნიტები?" "ისინი რაღაცეებს იკრავენ!" პასუხობს ნიკა. "ზუსტად! მაგრამ ყველაფერს?", - ანა მაგნიტს პლასტმასის კუბს ადებს. "ეს არ წებდება!" იძახის სანდრო. "მართალია, მაგნიტი მხოლოდ ზოგიერთ რამეს ეკვრის. შეგვიძლია, გავიგოთ, რა სახის საგნებს იკრავს და რა სახის არა?" - ამბობს ანა და ბავშვებს ეპატიჟება, ექსპერიმენტი ჩაატარონ მაგიდაზე განთავსებულ ნივთებზე. ანამ შეახსენა ბავშვებს, როგორ შეუძლიათ ცხრილის გამოყენება, რა წერია ცხრილში, და რას ნიშნავს სიმბოლოები. ერთი ცხრილის შევსება თავად დაიწყო.

ანას მიერ წინასწარ მომზადებულ ცხრილში ბავშვებმა სხვა, მათ მიერ შერჩეული ნივთებიც ჩახატეს, რასაც ექსპერიმენტში გამოიყენებდნენ. ანამ ბავშვების ჩანახატებს წარწერები გაუკეთა.

დაკვირვების ცხრილი

		იკრავს	არ იკრავს
ჩანახატი	ქაღალდი		

„როგორ ფიქრობ, ამას მიიკრავს?“ ბავშვები თავიანთ ვარაუდებს გამოთქვამენ, ინიშნავენ და შემდეგ ამოწმებენ. “აჰა, მაგნიტი მონეტას იკრავს, მაგრამ ფანქარს არა!” - იძახის სანდრო.”რატომ გგონია ასე, სანდრო?”- ეკითხება ანა, რომელიც მის გვერდითაა ჩამჯდარი. “იმიტომ, რომ მონეტა ბრწყინავს და ფანქარი არა?” პასუხობს სანდრო. ანა იღიმის: “კარგი დაკვირვებაა, სანდრო! მონეტა ლითონისგანაა დამზადებული და მაგნიტი იკრავს. მოდით, დავაჯგუფოთ საგნები “მაგნიტურ” და “არამაგნიტურებად.” ბავშვები ინიშნავენ დაკვირვებას ცხრილში და საგნებს ანაწილებენ შესაბამის სინზე, სადაც ფურცლებია წარწერით - „მაგნიტური“, “არამაგნიტური”.

ანა აკვირდება ბავშვებს და ინიშნავს.



ეზოში ანამ ბურთები და სახტუნაოები გაიტანა. ბავშვები მცირე ჯგუფებად იშლებიან, ზოგმა ფეხბურთის თამაში წამოიწყო, ზოგი სამზარეულოს და სენსორულ ცენტრში მივიდა და იქ თამაშობს. ნიკამ და ელენემ მაგნიტები გაიტანეს ეზოში, იმის სანახავად, თუ რას მიიზიდავს იქ.

დაკვირვების ჩანაწერები:





ჭამის შემდეგ ბავშვები წიგნის წასაკითხად ემზადებიან. ანა: “დღეს ჩვენ წავიკითხავთ წიგნს პატარა ბიჭზე, რომელიც აღმოაჩენს დამალულ ბაღს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იქ იპოვოს?” ეკა: “საიდუმლო კარი”, იკა: “განძი”.

“შესანიშნავი იდეებია” - ანა წიგნის კითხვას იწყებს, რომელიც 15 წუთი გრძელდება.





ბავშვები ცენტრებში იშლებიან და თამაშს იწყებენ. ყველა ცენტრი დატვირთულია მოთამაშე ბავშვების ჯგუფებით. ანა ოთახში მოძრაობს, აკვირდება ბავშვების ურთიერთობას და საჭიროების შემთხვევაში ერთვება ან თამაშში, ან საუბარში. ხელოვნების ცენტრში: “შენი ნახატი საინტერესოა. როგორ ფიქრობ, რისი დამატება შეგიძლია, რომ კიდევ უფრო განსაკუთრებული გახადო?” კითხულობს ანა და კრეატიული აზროვნებისკენ უბიძგებს სალომეს.

კუბურების ცენტრში ანა ხედავს ბავშვების აშენებულ და მიტოვებულ თვითმფრინავს. ანა: “მზად არის თქვენი თვითმფრინავი მგზავრების მისაღებად?” ბავშვი: “კი, აი ეს ასაფრენი გზაა თვითმფრინავების ასაფრენი და დასაფრენი.”

ანა: “ეს რა არის?” ბავშვი: “მგზავრების ასასვლელი.” “აქ, ადამიანები თვითმფრინავებს ელოდებიან.” ანა: “რა ჰქვია თქვენს კომპანიას? ხომ არ გააკეთებთ თქვენი კომპანიის ბანერს?” ისინი თანხმდებიან ანას ახალ იდეას.



ოთხშაბათი

...

ეზოში ნუცა და ლილი ყვავილების თაიგულს კრავენ და ანას აჩვენებენ: “შეხედე ყვავილებს!” ანა ჩაიცუცქა და პასუხობს: “რა საყვარელი ყვავილებია, ნუცა. როგორ ფიქრობ, რაში გამოვიყენოთ?“ ნუცა: “შეგვიძლია ამისგან ნახატი გავაკეთოთ.”

“მშვენიერი იდეაა. როგორ გავაკეთოთ?“ ლილი: “წებოვან ქაღალდზე დავაკრათ”. „ძალიან კარგი იდეაა. ასე ვქნათ. კიდევ იცი, რა გავაკეთოთ, მოდით, ქაღალდში გავახმოთ და მერე რამე სურათი ავაწყოთ”, - შესთავაზა ანამ.

ჯგუფში დაბრუნებისას ანამ ბავშვებთან ერთად წიგნში ჩააწყო ყვავილები და შეინახა გასახმობად. მათ სხვა ბავშვებიც შეუერთდნენ და დაინტერესდნენ, რას აკეთებდნენ. ანამ აუხსნა. მათაც გამოთქვეს ყვავილების შეგროვების და გახმობის სურვილი. ეკა: “რამდენ ხანში გახმება?’ ანა: ’მმ, საინტერესო კითხვაა. შენ როგორ ფიქრობ?’ ეს კითხვა სხვებსაც შეუბრუნა. ბავშვებმა სხვადასხვა აზრი გამოთქვეს: ერთ საათში, 5 საათში, ექვს დღეში, ხვალ. ანა: “რით მივხვდებით, რომ ყვავილები გახმა?’ საბა: “მშრალი იქნება”, თიკა: “გათეთრდება”. “მოდით, დავიმახსოვროთ, როგორია ეს ყვავილები და შევამოწმოთ ხოლმე, ვნახოთ, რამდენ ხანში გახმება და როგორ შეიცვლება. როგორ დავიმახსოვროთ?“ ელენე: ”სურათი გადავუღოთ”. მარიამი: “ჩავხატოთ”. “ძალიან კარგი აზრებია”. ყვავილებს გადაუღეს. პალიტრის ფერებში მოძებნეს ცოცხალი ყვავილის ფერები. ბავშვებმა ჩახატეს. ანამ ბავშვებს ნაზად ხელიც მოაკიდებინა ყვავილებს და ჰკითხა, როგორი იყო: მშრალი, პრიალა. ანამ იქვე ცხრილი (22) დახაზა, სადაც დაკვირვების ჩანაწერს გააკეთებდნენ, როცა ყვავილს დააკვირდებოდნენ.

ცხრილი 22: რამდენ ხანი სჭირდება ყვავილებს გასახმობად (სურათებს გადაიღებენ ყოველდღე)

როგორია	1 დღე	2 დღე	3 დღე	4 დღე	5 დღე
ფერი (მარკირება)					
ფაქტურა (პრიალა, სველი, მშრალი, ქაღალდივით)					
სუნი					



ხუთშაბათი

სენსორულ მაგიდასთან თამაშის დროს ანამ შეამჩნია, როგორ იკვლევს მარი მინერალურ ქვებს და მბზინავ საგნებს. ერთს უჭირავს კრისტალი: “ნახე, როგორ ანათებს სინათლეში”. ანა უსმენს, როგორ ადარებენ სხვა საგნებს და განიხილავენ მის ფერებს, ფორმებს. ანა უერთდება საუბარს და ეკითხება: “როგორ ფიქრობ, რატომ ბრწყინავს ასე?”

საერთო შეხვედრაზე ანა რამდენიმე კრისტალს და ქვას აჩვენებს, რომლებიც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ღია კითხვებს სვამს: “რას ამჩნევთ ამ კრისტალებს?”, “როგორ ფიქრობთ, რისგან არის გაკეთებული?” ანამ მცირე კვლევითი პროექტი შესთავაზა ბავშვებს: “როგორც ჩანს, ჩვენ ყველას ძალიან გვაინტერესებს ეს კრისტალები. როგორ უნდა გავიგოთ მასზე მეტი? როგორ წარმოიქმნება ისინი? იქნებ ჩვენც კი ვცადოთ საკუთარი კრისტალების გაზრდა!”

ანამ გადაწყვიტა მეორე დღეს, მეცნიერების ცენტრში კრისტალები და გამადიდებელი შუშები შეეტანა, რომ ბავშვების ინტერესები მოესინჯა, რამდენად იმუშავებდა კრისტალებზე პროექტი. ანამ ასევე სავარაუდო კითხვებიც ჩამოწერა და კვლევითი აქტივობებისა და ექსპერტების სიაც გააკეთა წინასწარ. დაწერილ გეგმაში კი პარასკევისთვის ასეთი ცვლილებები შეიტანა:



პარასკევი

მეორე დღეს ანა ჯგუფში „კრისტალების კვლევის სივრცეს“ აწყობს, გამადიდებლებით, სპეციალური წიგნებითა და სხვადასხვა კრისტალებით.

ბავშვებმა ინტერესით დაიწყეს კრისტალების კვლევა. ანა ეკითხება, თუ რას ხედავენ, გრძნობენ. “რა გაინტერესებთ ამ კრისტალების შესახებ?” ან “რის შესახებ გსურთ, მეტი იცოდეთ?” ბავშვები იწყებენ კითხვების დასმას, „რატომ არის კრისტალები სხვადასხვა ფერის? ,”საიდან ჩნდება კრისტალები?” ანა კითხვებს დიდ ფურცელზე - “კითხვების რუ-კაზე” - წერს.

მთავარი კითხვა - რა არის კრისტალები?

ბავშვების კითხვები:

- საიდან ჩნდება კრისტალები?
- რატომ არის ზოგიერთი კრისტალი გამჭვირვალე, ზოგი კი ფერადი?
- სად ვიპოვით კრისტალებს ?
- მიწაში შეგვიძლია ვიპოვოთ?
- რამხელაა ყველაზე დიდი კრისტალი?
- სად შეგვიძლია, ვიპოვოთ?
- კლდე კრისტალებისგანაა გაკეთებული?
- რატომ ანათებენ კრისტალები?
- რატომ აქვთ სხვადასხვა ფორმა?
- შეგვიძლია, ჩვენ გავაკეთოთ?
- რატომ არის ზოგი დიდი და ზოგი პატარა?
- რატომ აქვს სხვადასხვა ფერი?
- რა მოხდება, თუ გატეხავ?
- ესეც ქვაა?
- წყალში არის კრისტალები?
- ცხოველები აკეთებენ კრისტალს?
- შეგვიძლია სამაჯური, ყელსაბამი გავაკეთოთ?
- რამე ავაშენოთ კრისტალისგან?

დღე ჩვეულებრივ დაგეგმილი აქტივობებით (წიგნის კითხვა) გაგრძელდა. ბავშვებს ბევრი დრო ჰქონდათ თავიანთი ინიციირებული თამაშისთვის, როგორც ეზოში, ისე ჯგუფში.

ბოლოს ანამ კვირის საქმიანობები შეაჯამა და გააანალიზა. ასევე დაუკავშირდა გიგას მამას, რომელიც გეოლოგია.



შემდეგი კვირის გეგმა. (იხ. გეგმის ნიმუში 7.)

გეგმის ნიმუში 7

თარიღი: 24.04-29.04
მიზანი: აღმოჩენებზე საუბარი, გაზიარება სიტყვების სინთეზი კონფლიქტების მოგვარება
პროექტი/თემა: პროექტი “რა არის კრისტალები”. მე-2 ფაზა
ორშაბათი: დილის წრე: კონფლიქტის მოგვარების სივრცის შეხსენება და კონფლიქტების მოგვარებაზე საუბარი. მეცნიერება: კრისტალების დამზადება; მასალა - შაქარი, მარილი, ხის ჯოხი, მავთული, კონტეინერები; კულინარიული საღებავები.
სამშაბათი: გეოლოგის სტუმრობა. წიგნიერება: კრისტალებზე წიგნების დათვალიერება საღამოს წრე: საუბარი სტუმრის ვიზიტზე; რა მოეწონათ; რა აღმოაჩინეს;

ოთხშაბათი

მეცნიერება: ყინულის კრისტალების დამზადება;

პროვოკაცია: გამჭვირვალე პლასტმასის, მძივების და ყინულის კუბების მარტივი ფორმები, კენჭები და ქვიშა; მარილის და შაქრის კრისტალები. გამადიდებელი შუშები, პატარა ჭიქები ფერადი წყლებით ექსპერიმენტისთვის,

წიგნის კითხვა მცირე ჯგუფში

ხუთშაბათი

წიგნიერება დიდ ჯგუფში: გავიხსენოთ რომელ ზღაპრებში ეძებენ ძვირფას ქვებს.

ხელოვნება: პროვოკაცია - ფერადი ქვები; საღებავები; პლასტილინები;

პარასკევი

მცირე ჯგუფში წიგნის კითხვა;

სენსორული - ფერად, გამჭვირვალე ქვებზე დაკვირვება სანათ მაგიდაზე;

საღამოს წრე: საუბარი, როგორ მოაგვარეს კონფლიქტები და გამოიყენეს მოლაპარაკების სივრცე ამ კვირას.

ტრანზიციები და რუტინები: ფონემური სავარჯიშოები - სიტყვების სინთეზი (გაგრძელება)

წიგნის კითხვა დიდ ჯგუფში.

სტრატეგიები: კითხვები დაკვირვების და მიზეზშედეგობრიობის აღმოსაჩენად; საუბრის და დიალოგის წახალისება; კონფლიქტებთან დაკავშირებით ყურადღებით ვიქნები - შევახსენებ სწორი სტრატეგიების გამოყენებას.

ინდივიდუალიზაცია: სანდროს ინდივიდუალურ კონტეინერს დავუდებ ექსპერიმენტისთვის.

ინდივიდუალიზაცია: ლუკას წავახალისებ კრისტალებს, ფოტოები გადაუღოს და თანატოლებს აჩვენოს, ვიქნები "თარჯიმანი: ლუკასა და სხვა ბავშვების ურთიერთობისას

ანალიზი:

....

ორშაბათს მეცნიერების ცენტრში ანამ ბავშვებთან ერთად მარილითა და შაქრით დაიწყო კრისტალების დამზადება. მან დიდი რაოდენობით მარილი და შაქარი თბილ წყალში გახსნა. გაჯერებული ხსნარი სხვადასხვა კულინარიული საღებავით გააფერადეს და ვიწრო ჭურჭელში ჩაასხეს. ზოგიერთ ჭურჭელში ძაფი, ქაღალდის ჯოხი, ხის ჯოხი და მავთული (სასურველია ფაფუკი მავთულები) მოათავსეს. ქაღალდის ჯოხებს და მავთულებს სხვადა-

სხვა ფორმები (ვარსკვლავი, წრე, სპირალი და სხვა) მისცეს. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ბავშვები კრისტალების წარმოქმნას აკვირდებოდნენ. ისინი იხატავდნენ, რასაც ყოველდღე ხედავდნენ. აკვირდებოდნენ, როგორ იცვლება და იზრდება დროთა განმავლობაში კრისტალები, იღებდნენ ფოტოებს.

ანა კითხვების დასმით ბიძგს აძლევდა მათ აღმოჩენებს და ბავშვები უფრო მეტ დეტალებს ამჩნევდნენ მზარდ კრისტალებს. მსჯელობდნენ კრისტალების ფორმასა და ტექსტურაზე, რით ჰგავდნენ და განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

...

ჯგუფში გეოლოგიც მოიწვიეს, რომელმაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის კრისტალები მოუტანა საკვლევად (კვარცი, ამეთვისტო, კალციტი). ბავშვები გამადიდებელი შუშით აკვირდებოდნენ და ადარებდნენ მათ მიერ გამოყვანილ კრისტალებს. ისინი მსჯელობდნენ ტექსტურაზე, ფორმებზე, ფერებსა და გამჭვირვალობაზე. მან ბავშვების მიერ დასმულ კითხვებსაც უპასუხა (რატომ არის სხვადასხვა ფერის, რატომ არის ზოგიერთი გამჭვირვალე, როგორ პოულობენ, ჩვენ სად შეგვიძლია ვნახოთ, ცოცხალია თუ არა, რომელია ყველაზე დიდი კრისტალი და ა.შ.) და ბავშვების მიერ გაკეთებული კრისტალები დაათვალიერა.

სტუმარი ბავშვებს ესაუბრა, როგორ წარმოიქმნება კრისტალები დედამიწის სიღრმეში ათასობით წლის განმავლობაში. მან განიხილა, თუ როგორ მოქმედებს გარემო კრისტალების ფორმირებაზე. სხვა თვალსაჩინოებებიც გამოიყენა: ფოტოები, წიგნები და მოკლე, შემეცნებითი ვიდეო. ისაუბრეს სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებზე.



წიგნიერების ცენტრში ბავშვების ჯგუფი ინტერესით ათვალიერებს წიგნებს კრისტალებსა და მინერალებზე.

...

ბავშვებმა ყინულისგანაც გააკეთეს კრისტალები. თხელ ჭურჭელზე წყალი მოასხეს და გაყინეს. მეორე დღეს ყინულის ნახატიც გადმოიხატეს და გამადიდებელი შუშით დააკვირდნენ ფორმებს, როგორ წარმოიქმნება ყინულის კრისტალები. ანას დახმარებით, იმ-

სჯელეს როგორ ჰგავს ყინულის კრისტალები კლდეებში ნაპოვნ კრისტალებს და როგორ მოქმედებს ტემპერატურა კრისტალების ფორმირებაზე.

მეცნიერების ცენტრში, პროვოკაციის სახით და კრისტალების იმიტაციის მიზნით, ანამ შემდეგი მასალები განალაგა: გამჭვირვალე პლასტმასის, მძივების და ყინულის კუბების მარტივი ფორმები, რომელიც ბროლის ფორმებს წააგავს, როგორიცაა პირამიდა, კუბი, რომბი. ასევე ბუნებრივი მასალა, როგორიცაა: ქანები, კენჭები და ქვიშა; პატარა კონტეინერები მოათავსა მარილისა და შაქრის კრისტალებით. სამეცნიერო ინსტრუმენტები: გამადიდებელი შუშები პატარა ჭიქები ფერადი წყლებით ექსპერიმენტისთვის, რომ გამოიწვიოს ხსნარებისა და კრისტალიზაციის შესახებ საუბრები.

...

წიგნის კითხვისას გაიხსენეს, რომელ ზღაპრებში ეძებენ ძვირფას ქვებს. ანას წაკითხვაც სთხოვეს.

...

შემდეგ კვირას იუველირს ესტუმრნენ. ვიზიტის წინ ანამ და ბავშვებმა სამკაულების დამზადებაზე ისაუბრეს. ანამ აჩვენა მათ სხვადასხვა სახის სამკაულების სურათები და აუხსნა, როგორ შეიძლება კრისტალების გამოყენება მათ დასამზადებლად.

ანამ წაახალისა ბავშვები, დაფიქრებულიყვნენ კითხვებზე, რომელსაც იუველირს დაუსვამდნენ, მაგალითად, „როგორ იქცევა კრისტალები სამკაულად?“ ან “შეგვიძლია თუ არა საკუთარი სამკაულების დამზადება?”

იუველირმა სახელოსნოში ბავშვებს ხელსაწყოები და მასალები აჩვენა იმის დემონსტრირებისთვის, თუ როგორ იქმნება სამკაულები კრისტალებისგან. მან ბავშვებს საშუალება მისცა, მარტივი რაღაცები თავადაც დაემზადებინათ. ზოგიერთმა სურათებიც გადაუღო იუველირის სახელოსნოს და მის ინსტრუმენტებს.

ჯგუფში დაბრუნების შემდეგ ზოგიერთმა ბავშვმა იუველირის სახელოსნოს მოწყობა გადაწყვიტა და აქტიურად შეუდგა ჯგუფში არსებული რესურსით მის მოწყობას.

ხელოვნების ცენტრში ანამ სამკაულების ასაწყობად სხვადასხვა მასალა და პატერნები დაახვედრა, პატარა დაფაზე წარწერით: „ააწყვე შენი დიზაინის სამკაული“. ზოგიერთი ხალისით შევიდა ხელოვნების ცენტრში და სამკაულების აწყობა დაიწყო.

საღამოს წრეზე ერთმანეთს გაუზიარეს, რა შექმნეს, იმსჯელეს, როგორ აირჩიეს თავიანთი მოდელები და კრისტალები, რა ისწავლეს იუველირთან ვიზიტით.

ანამ ბავშვების შემოქმედებას ფოტოები გადაუღო, ჩაიწერა ბავშვების აზრები, როგორ დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხებით.

ერთ-ერთ დღეს, დილის შეხვედრაზე, ანამ ბავშვებს სთხოვა, შეექმნათ სამადლობელი ბარათი გეოლოგისთვის და იუველირისთვის, რომელსაც გააფორმებდნენ და მორთავდნენ “კრისტალებითა“ და სამკაულების ნახატებით. ბავშვებმა ხალისით აიტაცეს ეს შემოთავაზება.

...

პროექტის შემაჯამებელ ფაზაზე ანამ ჯგუფი ისე მოაწყო, რომ ბავშვებს დრამატული თამაში წამოეწყოთ. “დამალული განძის აღმოსაჩენად“ ანამ ოთახში „ძვირფასი ქვები“ დამალა. მოაწყო გამოქვაბული ბუნებრივი, კრისტალური წარმონაქმნების ფოტოებით და პლაკატებით, რომელიც ბავშვის სიმაღლეზე განათავსა. ოთახი ჩააბნელა და ხელოვნური განათებებით გაანათა, ამან უფრო მეტად მისტიკური, გამოქვაბულის ატმოსფერო შექმნა. ჭერიდან მუქი ქსოვილი და ქაღალდის ნაჭრები ჩამოკიდა. დააწყო პაპიე მაშესგან დამზადებული სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ასევე, სველი ქვიშა, მარილი, პატარა კენჭები, რომ ბავშვებს საკუთარი „გამოქვაბულის წარმონაქმნები“ შეექმნათ. ანამ წინასწარ დაამზადა განძის საძიებო რუკაც.

ბავშვები მცირე ჯგუფებად დაუღალავად თამაშობდნენ. ანა აკვირდებოდა მათ თამაშს, საუბარს, როგორ ავლენდნენ პროექტის დროს მიღებული ცოდნის დემონსტრირებას თამაშში. როგორ საუბრობდნენ, როგორ გამოვლინდა მათი შემოქმედებითი და პრობლემის გადაჭრის უნარები ამ პროექტში. პარალელურად, მათი თამაშის ფოტოებსაც იღებდა და ინდივიდუალურ ბავშვებზე და ჯგუფებზე ჩანაწერებსაც აკეთებდა.

თავი 20. შერეული ასაკობრივი ჯგუფი

დღისა და კვირის დაგეგმვა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე შერეული ჯგუფის აღმზრდელებმა, მარიმ და თეომ გადაწყვიტეს, სხვადასხვა პროფესიები გაეცნოთ ბავშვებისათვის და ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი პროფესია - მეხანძრე - აირჩიეს. თავდაპირველად გადაწყვიტეს, "მეხანძრე", როგორც თემა, ასე დაეგეგმათ. შესაბამისად, შეარჩიეს რამდენიმე თამაში. აქტივობების შერჩევისას მარიმ და თეომ გაითვალისწინეს მათი ჯგუფის სხვადასხვა ასაკის ბავშვების განსხვავებული შესაძლებლობები და კურიკულუმის მიზნები (ინტერესის გაღრმავება, სენსორული კვლევა, თვითრეგულირება). შესაბამისად, დაგეგმეს მსგავსი, მაგრამ ზოგისთვის უფრო მეტად მარტივი, ზოგისთვის უფრო რთული აქტივობის შეთავაზება, მაგალითად :

- ხელოვნების ცენტრში ისეთ გამოწვევებს შექმნიან (წითელი და შავი საღებავი, მსხვილი და წვრილი ფუნჯები, მეხანძრის მანქანა, პატარა მუყაოს ყუთები და ფურცლები), რომ მეხანძრის ხატვა წაახალისონ. უფროსებისთვის განათავსებენ სახანძრო ჩაფხუტებს, ქაღალდსა და წებოს და დაეხმარებიან ბავშვებს პაპიე მაშეს ტექნოლოგიით ჩაფხუტების დამზადებაში.
- მეცნიერების ცენტრში: უმცროსებისთვის - ნახშირის დაფშვნა და დაკვირვება. უფროსებისათვის - დაკვირვება კრისტალებზე ლუპის საშუალებით, ნაცრისა და ნახშირის შედარება.
- წიგნიერების ცენტრი: გადაწყვიტეს მეხანძრეებზე არსებული წიგნების შეთავაზება. უმცროსები მოძებნიან მეხანძრეების ფოტოებს, ხოლო უფროსები შეეცდებიან, იპოვონ სიტყვა „მეხანძრე".

მარიმ და თეომ, ასევე, განსაზღვრეს სტრატეგიები შერჩეული მიზნებისთვის. ამ სტრატეგიებს ისინი კვირის მანძილზე გამოიყენებენ. ეს სტრატეგიები, ასაკის მიხედვით, განსხვავებული იქნება. მაგალითად, უმცროსებთან უფრო აღწერით და სახელდებით ისაუბრებენ, ხოლო უფროსებთან, მიზეზშედეგობრივი კავშირების გააზრებისთვის, ღია კითხვებს დასვამენ.

უფროსებისათვის: გადაწყვიტეს, იმუშაონ დაგეგმვის უნარზე. უმცროსებთან კი - მოდელირების საშუალებით, იმპულსების მართვაზე.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

დრამატული თამაშების სივრცე: თეომ და მარიმ გადაწყვიტეს, დრამატული თამაშების სივრცე შეეცვალათ და იქ სახანძრო სადგური მოაწყვეს. ამისათვის შეღებეს ყუთები და სახანძრო მანქანებად გამოიყენებენ. ასევე, კვირის განმავლობაში შეიტანენ ბავშვებთან ერთად დამზადებულ ჩაფხუტებს, პლასტმასის ბოთლებისაგან ხელნაკეთ ცეცხლმაქრებს და რეზინის სარწყავ მილს.

ხელოვნების სივრცე: აღმზრდელებმა წინასწარ მოიმარაგეს სხვადასხვა მეორადი მასალები, რომლითაც წაახალისებენ ბავშვებს, დაამზადონ სახანძრო მანქანები. ასევე, გამოყენებული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები და სახამებელი, პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით, სახანძრო ჩაფხუტების დასამზადებლად.

კუბურების სივრცე - თეომ და მარიმ კუბურებსა და სხვადასხვა ფიგურებს დაუმატეს სახანძრო მანქანები და მეხანძრეების პატარა ფიგურები.

წიგნიერების სივრცე - მოიძიეს და შეიტანეს ფერადი ილუსტრირებული წიგნები მეხანძრეებზე.

მეცნიერების სივრცე - ცდებისა და დაკვირვებისთვის აღმზრდელებმა გადაწყვიტეს ნახშირისა და ლუპის შეტანა, რომ ბავშვებმა შეძლონ ნახშირის დაფშვნა, მის კრისტალებსა და თვისებებზე დაკვირვება ლუპის საშუალებით და ნახშირის წყალში გახსნით და ფურცელზე გასმით.

სამაგიდო თამაშების სივრცე - აქ აღმზრდელებმა გამოიყენეს სახანძრო სადგურის ფაზლი უფროსებისათვის, ხოლო უმცროსებისათვის - ხელნაკეთი 6-ნაწილიანი ფაზლი "ცეცხლი და მეხანძრე".

სენსორული - მარიმ და თეომ კონტეინერი ნაცრით გაავსეს.

პრაქტიკა

თეომ და მარიმ დილის შეხვედრა მისასალმებელი სიმღერით დაიწყეს. ბავშვებს საშუალება მისცეს, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ შაბათ-კვირის ამბები, შემდეგ კი საუზმის ნიშანი მისცეს. საუზმისთვის მაგიდის გაშლაში უფროსი ბავშვები უმცროსებს ეხმარებიან, თეო და მარი ისე გადანაწილდნენ მაგიდებთან, რომ საჭიროებისამებრ დაეხმარონ იმ ბავშვებს, რომლებსაც დამოუკიდებლად საკვების მიღება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ. საუზმის შემდეგ მარიმ ხალიჩაზე მატარებლობანას თამაში წამოიწყო. თამაშში უფროსებიც ჩაერთნენ და უმცროსებიც, ეს დრო საშუალებას აძლევს მას და თეოს, რომ საუზმის შემდეგ ოთახი მოაწესრიგონ და ცენტრებში მასალები მოამზადონ.

თეოს და მარის როლები გადანაწილებული აქვთ. თეო უმცროსებს მიაქცევს ყურადღებას, შეეცდება, რომ ჩართოს ადაპტირებულ აქტივობებში. მარი უფროსებს ადევნებს თვალყურს, რომ პროცესი და აქტივობები მათთვის ზედმეტად მარტივი და მოსაწყენი არ იყოს.

ხელოვნების ცენტრში უფროსი ბავშვები - გიო, ირაკლი, ნანა - მეორადი მასალის საშუალებით სახანძრო მანქანის გაკეთებას ცდილობენ, უმცროსები კი - ანი და კოკი - იქვე, სახამებლით სავსე ჯამში ხელებს აჭყაპუნებენ. თეო მათ სახამებელში ქაღალდის ჩაყრას და შემდეგ ბუშტზე დაწებებას სთავაზობს. ანი და კოკი სიამოვნებით ერთვებიან პროცესში. უფროსი ბავშვებიც ინტერესდებიან და ნანა, რომელმაც იცის პაპიე მაშეს ტექნოლოგია, უმცროსებს სიტყვიერ მითითებებს აძლევს. ხოლო მას შემდეგ, რაც მუყაოსგან სახანძრო მანქანის დამზადებას დაასრულებს, თავადაც ჩაერთვება. თეო ხედავს, რომ 5 წლის ნანა კარგად ეხმარება უმცროსებს, მათთან ერთად მუშაობს, ამიტომ, ცოტა ხნით ამ ცენტრი-

დან გამოდის და მეცნიერების ცენტრში გადაინაცვლებს, სადაც უმცროსებს - გივიკოს და აჩის ნახშირი დაუფშვნიათ და ახლა უფროსებივით ლუპით აკვირდებიან ნაფშვენებს.

მარი წიგნიერების ცენტრში შესულ ბავშვებს ეხმარებოდა სიტყვის - „მეხანძრე“- პოვნაში. სამაგიდო თამაშების ცენტრში უფროსი ბავშვები მაგიდასთან აწყობენ ფაზლს, ხოლო უმცროსებს იატაკზე გაუშლიათ და ისე მუშაობენ. ცენტრების დრო რომ სრულდება, მარი და თეო საგანგებო ხმოვან ნიშანს აძლევენ ბავშვებს და ისინი ნელ-ნელა იწყებენ ცენტრების ალაგებას. უფროსი ბავშვები უმცროსებს ეხმარებიან, შემდეგ შემოსასვლელში გადაინაცვლებენ, გამოიცვლიან და ეზოში გადიან.

კვირის განმავლობაში აღმზრდელები იყენებენ თამაშებსა და სტრატეგიებს თვითრეგულირებისთვის. რადგან უფროსებისათვის არჩეული აქვთ დაგეგმვის უნარებზე მუშაობა, ყველა თამაშისა თუ რუტინული აქტივობის დროს დასვამენ კითხვებს: რა უნდა გააკეთო? რა დაგჭირდება ამისთვის? იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები გეგმას შეცვლიან, აღმზრდელი მათ კითხავს: ,,გადაწყვიტე, გეგმა შეცვალო?“

უმცროსებთან კი კვირის განმავლობაში - მოდელირების საშუალებით - იმპულსების მართვაზე მუშაობენ, მაგალითად, სახანძროში წასვლის წინა დღეს ხშირად გააჟღერებენ: ,,როგორ მინდა, ახლა მივდიოდეთ სახანძროში, მაგრამ ხვალამდე მოვითმენ. “

დაგეგმვა

მას შემდეგ, რაც თემა - „მეხანძრეზე“ მუშაობისას აღმზრდელებმა დაინახეს ბავშვების ცოცხალი ინტერესი ცეცხლის მიმართ, გადაწყვიტეს, ეს თემა მომდევნო კვირის პროექტად დაეგეგმათ. ბავშვები წინა კვირის განმავლობაში სხვადასხვა კითხვას სვამდნენ ცეცხლზე: რკინა და ქვა იწვის თუ არა? წყალი უფრო აქრობს ცეცხლს თუ ზეთი და ა.შ.

აღმზრდელებმა გააკეთეს წინასწარი დაგეგმვის ფორმა, სადაც ჩამოწერეს ბავშვების არსებული და შესაძლო კითხვები, ასევე ფორმა, სადაც ჩამოწერეს ცეცხლთან დაკავშირებული თემები, რომლებზეც შეიძლება დაიგეგმოს აქტივობები და თამაშები.





ამ რუკების მიხედვით, თეომ და მარიმ დაგეგმეს კვლევითი ტიპის ცდები და თამაშები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ბავშვებს, პასუხი გაეცათ თავიანთ კითხვებზე, მაგალითად, რა იწვის და რა არა, მოიფიქრეს ცდა, ეზოში დანთებულ პატარა ცეცხლზე მოესინჯათ სხვადასხვა ნივთების დაწვა (ნაფოტების, ქაღალდის, მუყაოს, ნაჭრების და ქვების) უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ფიზიკური გარემოს მოწყობა

ამჯერად, აღმზრდელებმა მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრში ის საჭირო ნივთები შეიტანეს, რაც ბავშვებს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაში დაეხმარება:

წიგნიერების ცენტრში - ილუსტრირებული ენციკლოპედია ბავშვებისათვის, სადაც ახსნილია ცეცხლის თვისებების შესახებ.

ხელოვნების ცენტრში - გუაშის საღებავები და ფორმატები, ნახშირი და თაბახის ფურცლები, ცვილი და თასმები.

მეცნიერების ცენტრში - სანთლები და ქილა.

დრამატულო თამაშების ცენტრში - ბავშვები ისევ თამაშობენ მეხანძრეობანას წინა კვირას დამზადებული რეკვიზიტებით.

პრაქტიკა

დილის შეხვედრაზე აღმზრდელები ბავშვებს ჩვეული სიმღერით შეხვდნენ და დღის გეგმებზე მოკლედ ისაუბრეს. საუზმის შემდეგ ისევ შეიკრიბნენ მხოლოდ ის უფროსი ბავშვები, ვისაც სურვილი ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ცხრილის შედგენაში ცეცხლის შესახებ. თავდაპირველად, აღმზრდელებმა ბავშვებს საშუალება მისცეს, ეთქვათ, რა იცოდ-

ნენ ცეცხლის შესახებ. გიგიმ და ნიკომ თქვეს, რომ ცეცხლის დასანთებად „რაღაც“ არის საჭირო - ჯოხები, ფოთლები, ქაღალდი და აუცილებლად ასანთი. გიომ და ნანამ თქვეს, რომ ზოგიერთ საგანს ცეცხლი ეკიდება, მაგალითად, ქაღალდს, წინდას და ა.შ. ნანამ ის ფაქტი გაიხსენა, როცა სოფელში შეშის ღუმელის გამო წინდა დაეწვა მის ბიძაშვილს. ბავშვებმა აღნიშნეს, რომ რკინა და ქვა ცეცხლში არ იწვება. დასვეს კითხვებიც, მაგალითად ირაკლის აინტერესებს, იწვის თუ არა ცეცხლში ზღვაში ნაპოვნი ნიჟარა, იწვის თუ არა წაბლი. ნანამ თქვა, რომ მისი ბაბუა ეზოში მოგროვებულ ფოთლებს ნაგვის ურნაში ყრის და ამბობს, რომ დაწვა არ შეიძლებაო. თეო დაეხმარა ნანას შეკითხვის ჩამოყალიბებაში: ნანა, მგონი გაინტერესებს, რატომ არ შეიძლება ფოთლების დაწვა, ხომ? ნანა დაეთანხმა. გიგის აინტერესებს, რა ემართება ცეცხლში რკინას. აღმზრდელები იწერდნენ ბავშვების შეკითხვებს, ბავშვები კი პატარა მინიშნებებს ახატავდნენ, რომ უცებ მიმხვდარიყვნენ, რას ეხებოდა წარწერა ფორმატზე.

ამ დროს მარი პატარებს ეხმარებოდა, რომლებიც კუბურების ცენტრში ერთობოდნენ და თან იმპულსების კონტროლისა და რიგის დაცვის მაგალითებსაც იძლეოდა და ბავშვების ამგვარი ქმედებებსაც ახმოვანებდა: „დათი, ვხედავ ნიას, როგორ ელოდები“, „ნია, მოდი, ეს პირამიდა ერთად ავაწყოთ მე, შენ და დათიმ“, „ნოდო, ამ დიდ წითელ კუბურას ხომ არ ეძებ? აი, აქ არის, მოგაწოდო?“.



ამის შემდეგ ბავშვები ეზოში გადიან, რომ თავისი ვარაუდები გამოცადონ და შეამოწმონ, რა იწვის ცეცხლში და რა არა. ზოგიერთი მათგანი ცეცხლის ჩანახატებს აკეთებს. ზოგიერთი პატარაც ცოტა ხნით ინტერესდება ცეცხლში ჯოხების ჩაყრით, ზოგიერთი უფროსებს ჰბაძავს და იქვე დაწყობილ მუყაოებზე ფლომასტერით ჯღაბნიან და ამბობენ, აი, ცეცხლი დავხატე. სხვები შორი-ახლოს ქვიშაში თამაშობენ.

ჯგუფში დაბრუნების შემდეგ ბავშვები ცენტრებში გადადიან და იქ დაგეგმილ და დაუგეგმავ თამაშებს თამაშობენ. მეცნიერების ცენტრში, თეოს მეთვალყურეობით მოსინჯავენ, როგორ ქრება სანთელი, როცა ჟანგბადი მთავრდება.

წიგნიერების ცენტრში ბავშვები ენციკლოპედიას ათვალიერებენ, აღმზრდელი მათთან ზის და უკითხავს. ამ დროს მეორე აღმზრდელი შედარებით პატარებთან ერთად ზღაპარს კითხულობს.

ხელოვნების ცენტრში ზოგიერთი ბავშვი ეზოში დამწვარი ჯოხებით ხატავენ. პატარები ინტერესით აკვირდებიან და იმავეს გაკეთებას ცდილობენ. თეოც იქვეა და ბავშვებს აკვირდება.

მომდევნო დღეებში ბავშვები ეზოში ექსპერიმენტს ატარებენ ცეცხლის ჩაქრობაზე. ამოთხრილ ორმოში დაანთებენ ცეცხლს და ზედ ფიცარს დააფარებენ, ცეცხლი ჩაქრება. შემდეგ, ცეცხლის წყლით და ქვიშით ჩაქრობასაც გამოცდიან.

ხელოვნებაში ბავშვები გუაშებით დახატავენ ცეცხლს და სანთლებს დაამზადებენ. პატარები ცომით "ამზადებენ სანთლებს".

დაკვირვება, შეფასება და კვლავ დაგეგმვა

თეოს და მარის ერთი კვირის დაკვირვების ჩანაწერები.
(14.02 – 18.02)

მარიმ და თეომ გადაწყვიტეს, კვირის განმავლობაში ბავშვების... უნარებს დაკვირვებოდნენ. ამისათვის, საქმე გაინაწილეს: თეო უმცროს ბავშვებზე აწარმოებდა დაკვირვებას, ხოლო მარი უფროსებზე.

ბავშვების სახელები	ხელოვნება	სენსორული	კუბურები	დრამატული	წიგნიერება	ურთიერთობები ბავშვებთან, უფროსთან	ენობრივი უნარები	მიჯაჭვულობა
ნანა	პლასტმასის ბოთლის სახურავებზე დაამაგრა საწრუპი ჩხირები პლასტილინის გამოყენებით,		ნანამ გადმოალაგა დიდი ზომის კუბურები, გიგის შეკითხვაზე უპასუხა:	მოირგო მეხანძრის ფორმა, პლასტმასის ბოთლი დაიჭირა,		კოკის დაეხმარა ქაღალდების დახევაში პაპიე- მაშესთვის,		ბებოს ხელს უქნევს და ემშვიდობება, გამორბის ჩემკენ.

	შემდეგ ეს ჩხირები მუყაოს ყუთზე დაამაგრა, ირა-კლისკენ გაიხედა და უთხრა: ,,ნახე, ბორბლები გავუკეთე.“ კოკის ეუბნება: ,,თუ გინდა გასწავლი, როგორ უნდა“ და ფურცლებს თანაბარ ნაწილე-ბად ყოფს და სახამე-ბელში ალ-ბობს:,,აი, შეხედე, რომ და-სველდება, მერე ამოიღე და ბუშტზე დაადე.“		,,სახან-ძრო უნდა ავაშენო, აი ეს მან-ქანა რომ ჩაეტიოს, იმხელა. ნახე, რო-გორი დიდი მანქანაა, ამიტომ, ბევრი კუბურები მჭირდება.“	გიგის დაუძახა: ,,ცეცხლი უნდა ჩავაქრო“ და ბოთლი კარადისკენ მიმართა.		თან უხ-სნის, რო-გორ უნდა დახიოს და დაალბოს წებოში.		
გიო	რამდენიმე მუყაოს კოლოფი აიღო და წითელი ფურცელი შემოახვია. ,,ხუთი სახანძრო მანქანა უნდა გავაკეთო“- უთხრა ირაკლის.			ნიკო-სთან და ანისთან ერთად თამაშობს, გიგის უხ-სნის, რო-გორ უნდა ჩააქროს ხანძარი.	მოძებნა სიტყვა-,,მეხან-ძრე“.		როცა დახმარება სჭირდება, მომმა-რთავს	თამაშობს სხვა ბავ-შვებთან ერთად.

კოკი	ხელი ჩაყო სახამებ-ლით სავსე ჯამში და დაიწყო ჭყაპუნი. უსმენს ნანას, რომელიც უხსნის, როგორ დახიოს ქაღალდი. ნანას ხე-ლის მოძ-რაობებს იმეორებს. დახეულ ქაღალდს ყრის ჯა-მში.	ჯერ ნაც-რიან ჯამში ჩაყარა პლასტმა-სის სათა-მაშოები და შემდეგ დაუწყო ძებნა.					ტირილით ითხოვს დახმარე-ბას.	თამაშობს მარტო

დაკვირვების ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე, თეომ და მარიმ გადაწყვიტეს, რომ:

ნანას შესთავაზებენ დამატებით სამუშაო მასალას და წაახალისებენ, რომ სახანძროს შე-ნობის მაკეტი დაამზადოს.

გიოსთვის მოამზადებენ ბარათებს სიტყვებით: „მეხანძრე“ და „სახანძრო“.

კოკის მისცემენ საშუალებას, რომ ნაცარში წყალი ჩაასხას და ისე ითამაშოს, ხშირად გა-ახმოვანებენ მისი თანდასწრებით, როგორ უნდა დახმარების თხოვა, თეო და მარი ყოვე-ლდღე გამოყოფენ მცირე დროს (გაინაწილეს დროები), როდესაც კოკის და სხვა ბავშვის ერთად თამაშს წაახალისებენ.

მშობლებთან თანამშრომლობა

პროექტის შესაჯამებლად ბავშვები ჯგუფში მშობლებს მოიწვევენ, დაათვალიერებენ ნა-მუშევრებს და მოუყვებიან, რა და როგორ გაიგეს.

ტერმინთა განმარტება

ავტონომიური უფროსი - უფროსი**,** რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს.

ასერტულობა – უნარი, გამოხატო საკუთარი სურვილები, გრძნობები, საჭიროებები და დაიცვა საკუთარი უფლებები ისე, რომ ანგარიში გაუწიო სხვების გრძნობებს და არ დაარღვიო მათი უფლებები.

არავერბალური კომუნიკაცია - ურთიერთობა სიტყვების გარეშე, ჟესტებისა და მიმიკის საშუალებით.

ბუნებრივი მასალა - ნებისმიერი მასალა, რომლის შეგროვებაც ბუნებაში არის შესაძლებელი: კენჭები, ნიჟარები, ბუმბული, ფოთლები, მცენარეთა ფესვები, ხავსი, ცხოველების ბეწვი და ა.შ.

გამიზნული პრაქტიკა - აღმზრდელის მიერ წინასწარ გააზრებული ქმედებები, დაგეგმილი სტრატეგიები, რომლებიც ემსახურება გარკვეული მიზნის მიღწევას.

გამოწვევა არის მიზანმიმართული სასწავლო ან განვითარების ბიძგის მიმცემი მასალა, იდეა, შეკითხვა, კომენტარი ან აქტივობა, რომელიც ბავშვის ამჟამინდელ უნარებზე ცოტათი უფრო რთულია და უბიძგებს მას ფიქრისკენ, სტრატეგიის განვითარებისა და ახალი უნარების დაუფლებისაკენ.

განვითარების უახლოესი ზონა - გულისხმობს იმ ფსიქიკურ ფუნქციებს, უნარებს, ჩვევებს, მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია მოზრდილის დახმარებით.

დაგეგმილი და დაუგეგმავი გამოცდილებები- სხვადასხვა სახის დაგეგმილი და დაუგეგმავი საქმიანობები, რომლებშიც ბავშვი ერთვება და მონაწილეობს.

დროითი გარემო - დროის ორგანიზება გარკვეული ლოგიკის მიხედვით.

ემერჯენტული კურიკულუმი - ბავშვის ინტერესებზე დაფუძნებული, სპონტანური, დაუგეგმავი კურიკულუმი.

თემა - საგანმანათლებლო პროცესში შინაარსის ორგანიზების ფორმა.

თემატური მიმართულება - ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტის მიმართულებები, რომლებიც აერთიანებს ცალკეულ დარგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს.

თვითცნობიერება - ცნობიერი ცოდნა საკუთარი მახასიათებლების, შეგრძნებების, მოტივებისა და სურვილების შესახებ.

ინდივიდუალური გეგმა - სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების და ამ მიზნების მიღწევის გზების გეგმა, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეთანხმებულად არის შედგენილი.

ინდივიდუალიზაცია - ბავშვის კონკრეტული საჭიროებებისა და ინტერესების საფუძველზე, ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენება. ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობისას - ბავშვისათვის საქმიანობების ადაპტირება: გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

ინოვაციურობა- შემოქმედებითი გადაწყვეტების უნარი.

კოგნიტიური განვითარება - შემეცნებითი პროცესის განვითარება, რომელიც მოიცავს წარმოსახვას, აღქმას, აზროვნებასა და ამოცანის გადაჭრას.

კოოპერაციული თამაში (თანამშრომლობითი) - – ბავშვები ერთად მოქმედებენ და თამაში ორგანიზებულია ერთი მიზნის ირგვლივ, გადანაწილებულია როლები.

კურიკულუმი - ყველა დაგეგმილი ან დაუგეგმავი გამოცდილება, საქმიანობა, რუტინა, მოვლენა და ყველა ტიპის ურთიერთობა, რომელიც ხორციელდება ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის განკუთვნილ გარემოში.

მთლიანობითი განვითარება - ყველა სფეროს თანაბრად განვითარება.

მიჯაჭვულობა - მიჯაჭვულობა არის ემოციური კავშირი, რომელიც ყალიბდება ბავშვსა და მის მზრუნველს შორის და უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოების, დაცულობისა და მხარდაჭერის განცდას. ეს კავშირი ხელს უწყობს ბავშვის სოციალური, ემოციური და კოგნიტიური განვითარებისთვის აუცილებელი საფუძვლის ჩამოყალიბებას.

პარალელური თამაში - თამაშის განვითარების ეტაპი, რომლის დროსაც მოთამაშეები ერთმანეთთან არ ურთიერთობენ და ერთ თამაშში არ მონაწილეობენ. თუმცა ერთმანეთს, როგორც მოთამაშეებს, ხედავენ და ერთმანეთის თამაშს აკვირდებიან.

პორტფოლიო – კრებული, რომელიც მოიცავს ბავშვის ნამუშევრებს, დაკვირვების/შეფასების შედეგად მიღებულ მრავალფეროვან ინფორმაციას, ბავშვების სურათებს სხვადასხვა საქმიანობის შესრულებისას და სხვა.

პროვოკაცია - (Reggio Emilia-ს მიდგომის თანახმად) არის საგულდაგულოდ შერჩეული და გააზრებულად მოწყობილი კონკრეტული ფიზიკური გარემო და მასალები, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ფიქრისა და კვლევის სტიმულირებას. პროვოკაცია არ არის უბრალოდ მასალების შეთავაზება ბავშვის ყურადღების მისაპყრობად, ან თამაშში მოსაპატიჟებლად. პროვოკაცია კვლევის და კითხვების გაჩენის სტიმულია.

პროსოციალური ქცევა – ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ინდივიდის მიერ სხვათა დახმარებაზე. პროსოციალური ქცევის განხორციელების მთავარი მოტივი სხვა ადამიანის დახმარებაა. პროსოციალურ ქცევას წარმოადგენს ალტრუიზმიც, რომელიც, საკუთარი უსაფრთხოებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად, მეორე ადამიანისთვის დახმარების გაწევას ნიშნავს.

რეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე, საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი.

რთული ქცევა - ქცევა, რომელიც არღვევს საზოგადოებაში, ან კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ წესებს; ხელის შემშლელია და პრობლემას უქმნის როგორც თავად ბავშვს, ასევე მის გარშემომყოფებს.

რუტინა - მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ხშირად და გარკვეული თანმიმდევრობით მეორდება.

სტრატეგიები - აღმზრდელის გამიზნული ქმედებები, რომლებიც ბავშვების ეფექტურ სწავლასა და განვითარებას ემსახურება. მაგალითად, ბავშვებთან საუბარი მათი თამაშის და საქმიანობის შესახებ, უკუკავშირის მიცემა, კითხვების დასმა, ყურადღებით მოსმენა, არჩევანის შესაძლებლობის მიცემა.

საგანმანათლებლო რესურსი – ყველა ის მასალა, რომელიც გამოიყენება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას (მაგ., ქარხნული წესით დამზადებული თუ ხელნაკეთი სათამაშოები, ბუნებრივი, სამხატვრო და საკანცელარიო, ღია და მეორადი მასალა, ბეჭდური მასალა და ა.შ.) (სტანდარტი).

საგანმანათლებლო სივრცე - ადგილი, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი.

სასწავლო შესაძლებლობა/მომენტი- ნებისმიერი სიტუაცია, რომლის გამოყენებაც შეიძლება ბავშვის რომელიმე უნარის განვითარების ხელშეწყობისთვის.

სენსიტიური პერიოდი - პერიოდი, როდესაც ბავშვის თავის ტვინი განსაკუთრებულ მზადყოფნაშია გარკვეული უნარების ასათვისებლად, მაგალითად, ენობრივი უნარების სენსიტიური პერიოდი დაბადებიდან სამ წლამდეა.

სოციალური სცენარები - ამბები, ზღაპრები, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვანაირი სიტუაციების შესახებ, რომელთა მაგალითზეც გვინდა ბავშვს დავეხმაროთ თავისი ქმედების, სიტუაციის დანახვასა და გააზრებაში.

ტრანზიცია/გადასვლა – პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვის გადასვლას სახლიდან ან ბავშვთა ადრეული ინტერვენციის (განვითარების) პროგრამიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში; ან გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სივრცეში არსებულ სხვადასხვა პროცესს შორის; ან ბავშვის გადასვლას ადრეული და სკოლამდელი აღზრდიდან და განათლებიდან - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში.

ღია მასალა – საგანმანათლებლო რესურსის ტიპი, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვანაირად. ღია მასალა შესაძლოა იყოს როგორც ბუნებრივი წარმოშობის (მაგ., კენჭები, ჯოხები, ფოთლები, ბუმბული და ა.შ.), ასევე ქარხნული (მაგ., მინისა და ხის ბურთულები, მუყაოს ყუთები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ.). ბავშვების მიერ ღია მასალის გამოყენება ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

შეფასებითი პორტფოლიო - შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელსაც აღმზრდელი ბავშვის პორტფოლიოზე დაყრდნობით პერიოდულობად აწარმოებს. დოკუმენტი წარმოადგენს ბავშვის პროგრესის, აღმზრდელის მუშაობის შედეგებისა და მომავალი გეგმების მოკლე ანგარიშს.

ცენტრი - ჯგუფის ფიზიკურ გარემოში არსებული სივრცე, სადაც საგანგებო რესურსის გამოყენებით, ბავშვებს სპეციფიკურ აქტივობებში ჩართვის საშუალება აქვთ.

ჰოლისტური განვითარება – თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მისი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიძე, ხ. ცინცაძე, ნ. მორანი, მ. ადრეული ინკლუზიური განათლება. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის. თბილისი. 2019. http://inclusion.ge/res/docs/2019012113462151451.pdf

2. აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლების ერთობლიობა https://casel.org/

3. მაკლაქლანი, კ., ფლიერი, მ., & ედვარდსი, ს. (2013). ადრეული ბავშვობის კურიკულუმი. კემბრიჯის საუნივერსიტეტო გამოცემა, მეორე გამოცემა. პირამიდის მოდელის ინოვაციების ეროვნული ცენტრი. https://challengingbehavior.cbcs.usf.edu/

4. ტრავიკ-სმითი, ჯ. (2023). ადრეული ასაკის ბავშვების თამაში.

5. ქაფლ, კ., & ბრედეკამპი, ს. (2008). განვითარების შესაბამისი პრაქტიკა. მცირეწლოვან ბავშვთა განათლების ეროვნული ასოციაცია, მესამე გამოცემა.

6. ცინცაძე, ნ. ქურციკიძე, ლ. კუხალეიშვილი, ნ. რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს. https://elfiles.emis.ge/uploads/55419/%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

7. ცინცაძე, ნ. ქურციკიძე, ლ. პოზიტიური მშობლობა. https://elfiles.emis.ge

8. ჯეიმს. ი. ჯონსონი, ჯეიმს ფ. ქრისტი, ფრენისი უორდლი. თამაში, განვითარება და ადრეული განათლება. პერსონ ედუქეიშენ, 2005

9. Baker, C. (2011). *Foundations of bilingual education and bilingualism* (5th ed.). Multilingual Matters.

10. Bialystok, E. (2004). The impact of bilingualism on language and literacy development. *In J. Byrnes & E. Bialystok (Eds.), Language development and bilingualism: Essays in honor of Ruth A. Berman* (pp. 45–62). Cambridge University Press. Dodge, D. T., Colker, L. J. & Heroman, C. (2007). The Creative Curriculum for Preschool. Teaching Strategies

11. García, O., & Lin, A. M. Y. (2017). Translanguaging in bilingual education. In O. García, A. M. Y. Lin, & S. May (Eds.), *Bilingual and multilingual education* (pp. 117–130). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-319-02258-1_9;

12. Garrity, S., Aquino-Sterling, C. R., & Day, A. (2015). Translanguaging in an infant classroom: Using multiple languages to make meaning. *International Multilingual Research Journal*. https://doi.org/10.1080/19313152.2015.1048542;

13. Durlak, J. A., Domitrovich, C. E., Weissberg R. P., & Gullotta. T. P. (2015). Handbook of Social and Emotional Learning. Guilford Publications

14. Edwards, C., Gandini, L., & Praeger, G. F. (2011). The Hundred Languages of Children: The Reggio Emilia Experience in Transformation.

15. Gartrell, D. (2003). The Power of Guidance. Teaching Social-Emotional Skills in Early Childhood Classrooms, Delmar Learning;

16. Helm, J. H., & Katz, L. G. (2016). Young Investigators: The Project Approach in the Early Years. Teachers College Press

17. Lewis, G., Jones, B., & Baker, C. (2012). Translanguaging: Origins and development from school to street and beyond. *Educational Research and Evaluation*, 18(7), 641–654. https://doi.org/10.1080/13803611.2012.718488;

18. Miller, K. (2001). Ages and Stages. Birth Through Eight Years

19. Paradis, J., Genesee, F., & Crago, M. B. (2011). *Dual language development & disorders: A handbook on bilingualism and second language learning* (2nd ed.). Brookes Publishing.

20. School Readiness. A Conceptual Framework. (2012). United Nations Children's Fund, New York

21. Stacey, S., & Elizabeth Jones, E. (2018). Emergent Curriculum in Early Childhood Settings: From Theory to Practice. Redleaf Press; Second edition

22. Vogel, S., & García, O. (2017). Translanguaging. *Oxford Research Encyclopedia of Education*. https://doi.org/10.1093/acrefore/9780190264093.013.181

23. Weitzman, E. (1992). Language learning and loving it: A guide to promoting children's social, language, and literacy development in early childhood settings. The Hanen Centre.

24. Weitzman, E., & Greenberg, J. (2010). *ABC and Beyond: Building Emergent Literacy in Early Childhood Settings*. Toronto, ON: The Hanen Centre.

დანართი 1. განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

კითხვარი განკუთვნილია ბავშვზე სისტემური და სტრუქტურირებული დაკვირვებისთვის. ის ეყრდნობა ბავშვის სწავლისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიერ განსაზღვრულ ინდიკატორებს და წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელო რუკას ბავშვის უნარების შესაფასებლად. კითხვარი გამოიყენება სხვა დაკვირვების მეთოდებთან (მაგ. ჩანაწერები, ფოტოები, ბავშვის ნამუშევრები) ერთად.

ყოველი ინდიკატორი შეგიძლიათ მონიშნოთ შესაბამისი სიმბოლოთი +, - , ~ და ასევე სურვილის შემთხვევაში, მიუწეროთ კომენტარი

2-3-წლიანების განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

ბავშვის სახელი, გვარი: _____

ბავშვის ასაკი (წელი, თვე): _____

შევსების პერიოდი: _____

აღმზრდელი/ები: _____

მსხვილი მოტორიკა	
დგება ფეხის წვერებზე ბურთს ფეხს ურტყამს იჭერს დიდი ზომის ბურთს	
თავს არიდებს დაბრკოლებებს (მაგ. გვერდს უვლის ან გადააბიჯებს) სირბილისას კუთხეებში მკვეთრად უხვევს	
კიბეზე ადის და ჩამოდის ფეხის მონაცვლეობით ახტება დაბალ დაბრკოლებას	
წვრილი მოტორიკა	
იჭერს ფანქარს შუა თითზე დაყრდნობით, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ხსნის პატარა შეფუთულ ნივთს	
ჭრის სწორ ხაზზე, ჩაჭრის განცალკევებული მოძრაობებით	
ხატავს პირველ განზრახულ მონახაზს ან სპონტანურ ფორმებს (თითქოს ნახატს ხატავდეს ან წერდეს) თოკზე აცვამს საშუალო ზომის მძივებს	

თვითშეფასება	
ნაცნობ გარემოში იოლად ეგუება მზრუნველთან განშორებას	
იცის საკუთარი, ოჯახის წევრების, აღმზრდელებისა და რამდენიმე თანატოლის სახელი	
სათამაშოდ იწვევს მზრუნველს, არის თამაშის ინიციატორი, წამომწყები	
ემოციური კომპეტენცია	
ცნობს და ასახელებს ორ-სამ ძირითად ემოციას	
გამოხატავს ემოციებს, განცდებს ნაცნობი ადამიანების, ცხოველების ან საგნების მიმართ (ეხუტება და კოცნის მშობლებს).	
იწყებს იმპულსების კონტროლს (მაგ., ამბობს - „არა“, როდესაც უწვდიან აკრძალულ ნივთებს, ცდილობს თავი შეიკავოს და ფეხი არ დაადგას იატაკზე დაგდებულ წიგნს).	
სოციალური კომპეტენცია	
ითვალისწინებს და იცავს მარტივ წესებს, შეხსენების შემთხვევაში, ხვდება, რა შედეგი მოჰყვება წესების დარღვევას	
ჰყავს გამორჩეული თანატოლები, რომლებთანაც უყვარს თამაში ეხალისება სხვა ბავშვების გვერდით თამაში ჰბაძავს მზრუნველის ქცევას	
ემორჩილება მზრუნველის ჩარევას, სათამაშოების გამო წარმოქმნილი დავის დროს.	
რეცეპტული ენა (აღქმითი ენა)	
ესმის მრავალფეროვანი სიტყვები მნიშვნელობა	
ასრულებს ორსაფეხურიან ინსტრუქციას	
ექსპრესიული ენა	
თავისი განცდების, არჩევანის, სურვილის გამოსახატავად, თავისუფლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას - როგორც სიტყვებს, ისე ჟესტებს	
იმ მნიშვნელობების გამოსახატავად, რომელთა აღმნიშვნელებიც არ იცის, თავად აწარმოებს, იგონებს ახალ სიტყვებს (მაგ., ნაცვლად იმისა, რომ თქვას - „კოვზით ურევს“, ამბობს - „ანკოვზიალებს“)	

პრაგმატული ენა	
შთაბეჭდილებებს უზიარებს სხვებს.	
სათქმელს ორ-სამ სიტყვიანი წინადადებებით გადმოსცემს	
წერისა და კითხვის წინა უნარები	
მღერის სიმღერებს, ამბობს ლექსებს	
ცნობს ისეთ ნიშნებს, სიმბოლოებს, რომლებიც გარემოში ხვდება (მაგ., სიტყვებს - „ღიაა“, „დაკეტილია“)	
მიზანმიმართულად აკეთებს მარტივ მონახაზებს, ვითომ წერს	
ცნობისმოყვარეობა და ყურადღება	
ინტერესდება და სვამს შეკითხვებს მისთვის უცხო ადამიანებისა და საგნების შესახებ (ვინ არის ეს, რა არის ეს?) სვამს შეკითხვას : „სად?“	
თავისივე ინიციატივით წამოწყებულ საქმიანობაში ჩართულია გარკვეული დროის განმავლობაში (5-10, 20 წთ)	
შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა	
საგნებს განსხვავებულად და შემოქმედებითად იყენებს (მაგ., ჯოხს იყენებს როგორც ცხენს, ან თოფს და ა.შ.)	
უკვე ნაცნობ წარმატებულ სტრატეგიას იყენებს ახალ სიტუაციაში	
აზროვნება და კვლევა	
თამაშისას ერთდროულად იყენებს როგორც სათამაშოს, ისე რეალურ ნივთს	
იწყებს ორი მოვლენის ერთმანეთთან დაკავშირებას (მაგ., იმიტომ დაბნელდა, რომ მზე ჩავიდა)	
ერთ მოქმედებას მეორით ანაცვლებს (მაგ., ეს არ გამომივიდა, სამაგიეროდ, ეს გავაკეთე)	
აკვირდება და მზრუნველის დახმარებით მანიპულირებს საგნებით, რათა შეძლოს მსგავსებისა და განსხვავების შემჩნევა.	
დამოუკიდებლობა და ინიციატივა	
ითხოვს რაღაცების დამოუკიდებლად კეთებას	
გამოთქვამს თავის აზრს, რისი გაკეთება სურს	

დახმარებით იცვამს და იხდის დახმარება სჭირდება ტუალეტის მოხმარებაში- გასუფთავებაში	
იცავს მარტივ წესებს	
ვიზუალური ხელოვნება	
გამოცდილებისა და კვლევისათვის იყენებს სხვადასხვა მასალას (მაგ., საღებავს, ფანქრებს, სათამაშო ცომს, სამგანზომილებიან მასალებს)	
დამოუკიდებლად წამოიწყებს ნამუშევრის შექმნას (ასახელებს რა დახატა, განმარტავს რა რას ნიშნავს)	
საშემსრულებლო ხელოვნება	
აკვირდება და ჰბაძავს თამაშს, სიმღერას, რიტმულ მოძრაობას.	
მღერის ნაცნობ სიმღერას (შეიძლება ინსტრუმენტის ან მეორე ადამიანის ხმის თანხლებით)	
გაითამაშებს რეალურსა და თავის გამოგონილ სიტუაციებს.	
წიგნიერება	
წიგნებს სიამოვნებითა და ინტერესით ათვალიერებს	
სიამოვნებით ისმენს წაკითხულ მცირე ზომის ზღაპრებსა და მოთხრობებს	
წიგნის კითხვისას სვამს შეკითხვებს პერსონაჟების შესახებ	
მე და ჯანსაღი ცხოვრება	
აჩვენებს სურათზე სხეულის 6 ნაწილს	
დედამიწა და გარემო	
ამოიცნობს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ., ზომა, ფორმა, ფერი და ტექსტურა)	
აქვს წარმოდგენა მარტივ ბუნებრივ კანონზომიერებებზე (მაგ., იმისათვის, რომ მცენარე გაიზარდოს, მას ესაჭიროება წყალი, ცხოველს კი წყალი და საკვები)	
სხეული და მოვლენები	
ურევს ნივთიერებებს ახლის მისაღებად (მაგ. ქვიშასა და წყალს, ორი განსხვავებული ფერის საღებავს)	

საგნის დასახასიათებლად იყენებს შესაბამის სიტყვებს - (მაგ. სწრაფი, ნელი)	
ადამიანი და მსოფლიო	
სწავლობს და ხვდება ისეთ ფიზიკურ მიმართებებს, როგორიცაა „ახლოს“ და „შორს“. „ზემოთ“ და „ქვემოთ“, „შიგნით“ და „გარეთ“	
გამოხატავს ინტერესს ისეთი საგნების მიმართ, როგორიცაა გლობუსი, რუკა, ბინოკლი და ა.შ	
შეუძლია გიხსენოს ინფორმაცია ახლო წარსულიდან, ახლახან დასრულებული მოქმედება (მაგ., როცა ეკითხებიან, წეღან კარზე ვინ დააკაკუნა, მიუთითებს ადამიანზე, რომელმაც ეს გააკეთა)	
ცნობს მისთვის ნაცნობი პროფესიების წარმომადგენლებს (ექიმს, აღმზრდელს, პოლიციელს, მძღოლს)	
რიცხვები და სიდიდეები	
მზრუნველის დახმარებით, საგნებს ერთი ნიშნით ახარისხებს	
შესაბამის კონტურზე აწყობს სხვადასხვა ზომის გეომეტრიულ ფიგურებს	
იყენებს სიტყვას - მეტი. ესმის ცნებები – ყველა, არც ერთი ითვლის 5-მდე	
იყენებს ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს - დიდი და პატარა.	
ადამიანები და მანქანები	
ასახელებს ტექნიკას გამოყენების ან ჩვენების დროს	
მარტივ ინსტრუმენტებს მიზნობრივად იყენებს (მაგ., სათამაშო ჩაქუჩს სათამაშო ლურსმნის ჩასარჭობად იყენებს, ფონენდოსკოპი დათუნიას გულთან მიაქვს).	

3-4-წლიანების განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

ბავშვის სახელი, გვარი: _____

ბავშვის ასაკი (წელი, თვე): _____

შევსების პერიოდი: _____

აღმზრდელი/ები: _____

მსხვილი მოტორიკა	
იცავს წონასწორობას ცალ ფეხზე დგომისას ხელებით წელზე იატაკს ურტყამს დიდი ზომის ბურთს და ასხლეტილს იჭერს	
სირბილისას მიმართულებას იცვლის გაჩერების გარეშე ხტება ადგილზე ფეხის მონაცვლეობით	
კოტრიალობს წინ მიმართულებით	
წვრილი მოტორიკა	
ფანქარს იჭერს შუა თითზე დაყრდნობით, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის ფანქარს ავლებს შიგნიდან ამოჭრილ ფორმებს	
დამოუკიდებლად გამოჭრის პატარა ოთხკუთხედებსა და სამკუთხედებს	
თოკზე აცვამს პატარა ზომის მძივებს, კუბურებს, ცილინდრებს მარტივი ფორმის ნიმუშის მიხედვით	
თვითშეფასება	
გამოხატავს მზაობას, მონაწილეობა მიიღოს და დაკავდეს ახალი საქმიანობებით	
აღწერს საკუთარ საკუთარ თავს	
ირჩევს ინდივიდუალურ საქმიანობას, ცდის და ამოწმებს საკუთარ შესაძლებლობებს	
ემოციური კომპეტენცია	
ამჩნევს და ასახელებს საკუთარ და სხვის ემოციებს (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას)	
ძლიერ ემოციებს (გაბრაზებას, წყენას) კონსტრუქციულად გამოხატავს	

ჯგუფური საქმიანობის დროს თავის რიგს ელოდება (იცავს რიგითობას, ამჟღავნებს მოთმინების უნარს)	
სოციალური კომპეტენცია	
ავლენს, რომ მისთვის გასაგებია კავშირი ორ მოქმედებას შორის (მაგ. რომ წავართვი სათამაშო, იტირა)	
სხვა ბავშვებთან ერთობლივი თამაშის წამომწყებია, ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს მათთან თამაში	
მზრუნველის დახმარებით, ურთიერთობს სხვა ბავშვებთან კონფლიქტის მოსაგვარებლად	
რეცეპტული ენა (აღქმითი ენა)	
ესმის მეტი სივრცითი და დროითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვები	
ესმის მოთხრობების და ზღაპრების შინაარსი	
თანმიმდევრულად ასრულებს ლოგიკურად დაკავშირებულ მარტივ მითითებებს (მაგ. მოუშვი ონკანი, აიღე საპონი, დაიბანე ხელი)	
ექსპრესიული ენა	
იყენებს საგნის ზომის, ფერის, კუთვნილების, დანიშნულების აღმნიშვნელ სიტყვებს	
მისი მეტყველება გასაგებია, სულ უფრო ნაკლებ გრამატიკულ შეცდომებს უშვებს	
ამბობს 3-5-სიტყვიან წინადადებებს	
პრაგმატული ენა	
თავისუფლად გადასცემს შეტყობინებას	
სვამს კითხვებს პასუხის მისაღებად (მაგ. რატომ? როდის? როგორ?)	
მზრუნველის დახმარებით ყვება მოკლე ამბავს	
წერისა და კითხვის წინა უნარები	
იწყებს მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვების ამოცნობას (მაგ. ბალი-ქალი)	
ესმის სხვადასხვა სიმბოლური მინიშნებები (მაგ. აფთიაქის ნიშანი, ან „stop“ ნიშანი) ერთმანეთისაგან განასხვავებს ასოებსა და რიცხვებს	

ცნობისმოყვარეობა და ყურადღება	
ინტერესდება, ატარებს „ექსპერიმენტებს“, რათა თვითონ გაერკვეს, როგორ მუშაობს სხვადასხვა საგანი	
გარეგანი გამღიზიანებლების მიუხედავად, განაგრძობს თავის არჩეულ საქმიანობას	
შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა	
ცდილობს მოქნილად მიუდგეს ამოცანას (მაგ. ჯოხით მისწვდეს სასურველ ნივთს)	
იყენებს ფანტაზიას, იგონებს ახალ თამაშებს	
პრობლემის გადასაჭრელად სხვადასხვა გზას ეძებს	
აზროვნება და კვლევა	
შეუძლია, აღწეროს ის საგანი ან ადამიანი, რომელსაც იმ მომენტში ვერ ხედავს	
ხმამაღლა ფიქრობს და მსჯელობს მიმდინარე სიტუაციის, მოვლენის შესახებ	
აკვირდება უფროსების საქმიანობას და აღწერს თავის დაკვირვებას	
დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	
მონაწილეობს დალაგებაში (სათამაშოების, ტანისამოსის და სხვ.) და იცის საკუთარი ნივთების ადგილი.	
დამოუკიდებლად იკვებება, მცირედი დახმარებით იცვამს და იცავს ჰიგიენის წესებს	
ცდილობს შეცდომების გამოსწორებას და არ წყვეტს საქმიანობას პირველივე წარუმატებლობისას	
ვიზუალური ხელოვნება	
სვამს კითხვებს ან მარტივად აღწერს, რა არის ნახატზე გამოსახული	
ქმნის სქემატურ ნახატებს	
პლასტილინით ან თიხით იწყებს მარტივი ფორმების გამოძერწვას	
საშემსრულებლო ხელოვნება	
უსმენს და უყურებს საბავშვო წარმოდგენას, თოჯინების სპექტაკლს	

იმეორებს მუსიკის მელოდიასა და ცეკვავს	
როლის მიხედვით იცვლის ხმის ტემბრსა და სახის გამომეტყველებას	
წიგნიერება	
სვამს შეკითხვებს წაკითხული წიგნის შესახებ	
დამოუკიდებლად ათვალიერებს წიგნებს, ჟურნალებსა და სხვა ბეჭდურ გამოცემებს	
მე და ჯანსაღი ცხოვრება	
მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ ფიზიკურ აქტივობაში 5-10 წუთის განმავლობაში	
საუბრობს ჯანსაღ ქცევებზე, მათ შორის ჰიგიენასთან, კვებასთან, ძილთან, ავადმყოფობასთან, ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით	
დედამიწა და გარემო	
აინტერესებს ბუნება და მისი მოვლენები და სვამს კითხვებს, ხშირად თამაშობს უფრო მეტის გასაგებად	
სხვებთან ერთად საუბრობს მიმდინარე სეზონსა და ამინდის ცვლილებებზე	
მონაწილეობს საქმიანობებში, რომელიც გარემოს მოფრთხილებისთვის მნიშვნელოვანია	
სხეული და მოვლენები	
ამჩნევს, რომ საგნების ფორმა დამოკიდებულია მათ აგრეგატულ მდგომარეობაზე (მაგ. სველი ქვიშა იღებს პასკის ფორმას)	
ადამიანი და მსოფლიო	
იცის, საგნების განთავსების ადგილი მათი დანიშნულების მიხედვით	
ცნობს სახელმწიფო დროშასა და სახელმწიფო ჰიმნს	
რიცხვები და სიდიდეები	
ახარისხებს საგნებს ერთი ნიშნით	
ამოიცნობს და ასახელებს სამ ფორმას (მაგ., ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე)	
ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს რიცხვებს დათვლას	

ადამიანები და მანქანები	
ემორჩილება შემუშავებულ წესებს ტექნიკის გამოყენებისას	
აწყვილებს პროფესიის წარმომადგენელსა და მის მიერ გამოყენებულ ტექნიკას	

4-5-წლიანების განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

ბავშვის სახელი, გვარი: _____

ბავშვის ასაკი (წელი, თვე): _____

შევსების პერიოდი: _____

აღმზრდელი/ები: _____

მსხვილი მოტორიკა	
ფეხს ურტყამს მისი მიმართულებით მოძრავ დიდი ზომის ბურთს ბურთს ისვრის თავზე გადატარებით.	
დარბის „ჭენებ-ჭენებით“ წინ ხტება (რომელიმე ფეხი წამყვანია).	
ძელზე ხელების მოჭიდებით ეკიდება	
წვრილი მოტორიკა	
ერთმანეთზე ამაგრებს ხრახნიან საგნებს (მაგ. ბოთლის სახურავს და ა.შ.	
შეუძლია ფიგურების გამოჭრა (ფიგურები შემოხაზულია სქელი ხაზით)	
პატარა მძივებს აცვამს ფერისა და ფორმის ნიმუშის დაცვით.	
თვითშეფასება	
იოლად ახდენს ახლობელ მზრუნველთან განშორებას	
ესმის, რომ მას აქვს აზრები, შეგრძნებები, ემოციები, სხეული	
დამოუკიდებლად ცდის ახალ საქმიანობებს, ამჟღავნებს თავისი შესაძლებლობების ცოდნას	

ემოციური კომპეტენცია	
აღწერს შემთხვევას, როდესაც მისმა ქცევამ სხვისი ემოცია განაპირობა	
ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ	
ძლიერი განცდების შემდეგ ცდილობს დაწყნარებას და უარს არ ამბობს მზრუნველის დახმარებაზე	
სოციალური კომპეტენცია	
იქცევა სიტუაციის შესაბამისად (მაგ., მუზეუმში, სათამაშო მოედანზე თუ ტრანსპორტში)	
უერთდება სხვადასხვა თამაშით დაკავებული ბავშვების ჯგუფს	
პრობლემის გადასაჭრელად იყენებს მარტივ და განსხვავებულ სტრატეგიებს კონფლიქტურ სიტუაციაში ხსნის საკუთარ პოზიციას.	
რეცეპტული ენა (აღქმითი ენა)	
კითხულობს ახალი და უცნობი სიტყვების მნიშვნელობას	
ესმის მრავალფეროვანი სიტყვების მნიშვნელობა განმარტავს სიტყვებს	
მითითებებს ასრულებს მოცემული თანმიმდევრულობით, რომელშიც მოქმედებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთმანეთს (მაგ. დააბრუნე წიგნი, დაუძახე დაჩის)	
ექსპრესიული ენა	
სწორად იყენებს ბრუნვებს, მრავლობითსა და ზმნის ფორმებს	
საუბრისას იყენებს მოკლე და გრძელ წინადადებებს	
ადეკვატურად იყენებს სივრცით, დროით და ზომის აღმნიშვნელ სიტყვებს	
პრაგმატული ენა	
სვამს კითხვებს პასუხის მისაღებად	
აზიარებს თავის იდეებს	
ზღაპრიდან ან მოთხრობიდან გამოყოფს და სხვა ადამიანს უყვება მისთვის მნიშვნელოვან ფრაგმენტს	

წერისა და კითხვის წინა უნარები	
ასახელებს სიტყვას, რომელიც იწყება მზრუნველის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით შეუძლია დაუკრას სიტყვაში მარცვლის შესაბამისი რაოდენობის ტაში	
ყურადღებას აქცევს წარწერებს და თამაშისას იყენებს „წერას“ (დაწერილი სიმბოლოები ასოების მსგავსია)	
ცნობს რამდენიმე ასოს, მზრუნველს საკუთარი აზრის ჩაწერას სთხოვს	
ცნობისმოყვარეობა და ყურადღება	
აქვს გამოკვეთილი ინტერესების სფერო	
იჩენს ახალი მოვლენების შესწავლისა და ახალი გამოცდილების შეძენის ინტერესსა და სურვილს	
უბრუნდება დაწყებულ საქმიანობას, რომელიც შეაწყვეტინეს, წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი ცდილობს შეასრულოს მოქმედება და გადაჭრას ამოცანა	
შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა	
თამაშობს წარმოსახვით თამაშებს, დრამატული თამაშის დროს იგონებს ახალ სცენარებს	
სხვადასხვა საგნების კომბინაციით ქმნის რაღაც ახალს შეუძლია, შეთხზას ამბავი, მოიგონოს ახალი სიტყვები და მელოდია	
ასახელებს პრობლემის გადაჭრის გზას ცვლის ქცევას ახალი ინფორმაციისა და გამოცდილების შესაბამისად (მაგ. მილს უცვლის დახრის კუთხეს წყალმა რომ თავისუფლად იდინოს)	
აზროვნება და კვლევა	
ამოიცნობს და განსაზღვრავს იმ საგნებს, რომელთა ზეგავლენა სხვა საგნებზე თვალსაჩინოა გამოთქვამს ვარაუდს შესაძლო შედეგზე	
პრობლემის მოგვარებამდე, წინასწარ ცდილობს მოქმედების გააზრებას	
დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	
დამოუკიდებლად იკვებება, იკრავს ტანსაცმლის წინა მხარეს, იცავს ჰიგიენის წესებს	
მზრუნველის დახმარებით იცავს უსაფრთხოების ძირითად წესებს	

ვიზუალური ხელოვნება	
ინტერესდება სხვადასხვა ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრებით და უზიარებს შთაბეჭდილებებს სხვებს	
ხატავს ავტოპორტრეტს, რეალურ და წარმოსახვით საგნებსა და ადამიანებს	
საშემსრულებლო ხელოვნება	
აკეთებს სიმღერებისა და რითმის იმპროვიზაციებს ან ნაცნობი სიმღერების სიტყვებს ან მელოდიას ცვლის ახლის გამოსაგონებლად	
მონაწილეობს მზრუნველის მიერ მართულ თეატრალიზებულ თამაშებში	
წიგნიერება	
შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი იმის შესახებ, მოთხრობის რომელი ნაწილი მოეწონა და რომელი- არა	
ყურადღებით უსმენს წაკითხულს	
დამოუკიდებლად იგონებს მარტივ ამბავს და ცდილობს მის დახატვას	
მე და ჯანსაღი ცხოვრება	
სიხარულით ერთვება სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში	
არჩევს ჯანსაღ ქცევას არაჯანსაღისაგან (მაგ. ტკბილეული არ არის სასარგებლო, ხილი სასარგებლოა)	
დედამიწა და გარემო	
არაცოცხალ და ცოცხალ ბუნებას აკვირდება და შეისწავლის	
საუბრობს წელიწადის დროებზე და აღწერს მათთვის დამახასიათებელ ამინდს შესაბამისი სიტყვების გამოყენებით	
ადამიანის ქმედებებიდან, განასხვავებს, რომელია გარემოსთვის უსაფრთხო და რომელი - საფრთხის შემცველი (მაგ. ტყეში ცეცხლის დანთება)	
სხეული და მოვლენები	
გამოთქვამს ვარაუდს, რა მოხდება კვლევის დროს (მაგ. „ ყინული წყლად გადაიქცევა“).	
უზიარებს ადამიანებს საკუთარ დაკვირვებებს ფიზიკური მოვლენების შესახებ და ადარებს მათ დაკვირვებებთან	

ადამიანი და მსოფლიო	
სამეზობლოში ამოიცნობს ნაცნობ ადგილებს იცის, რომ გზებს თავიანთი საგზაო ნიშნები დასახელებები აქვთ, სახლებს კი - ნომრები	
ინტერესდებასხვაბავშვებისეთნიკურიდაკულტურულიწარმომავლობით და სხვა ერების ლეგენდებით, ზღაპრებით, სიმღერებითა და ტრადიციებით	
წარმოსახვით თამაშებში ასახიერებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანს	
რიცხვები და სიდიდეები	
ახარისხებს საგნებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ხსნის რატომ	
ამოიცნობს და გეომეტრიული სახელწოდებით მოიხსენიებს რამდენიმე სამგანზომილებიან ფორმას	
ამოიცნობს ციფრების სიმბოლოს ათამდე	
ადამიანები და მანქანები	
მარტივ ტექნიკას მიზნობრივად იყენებს	
იყენებს ტექნოლოგიებს ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგ. იღებს ფოტოს ინფორმაციის მიზნით)	

5-6-წლიანების განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით

ბავშვის სახელი, გვარი: _____

ბავშვის ასაკი (წელი, თვე): _____

შევსების პერიოდი: _____

აღმზრდელი/ები: _____

მსხვილი მოტორიკა	
ბრუნვის, დატრიალების დროს ინარჩუნებს წონასწორობას	
დარბის ისე, რომ თავს არიდებს დაბრკოლებებს	
იჭერს 3 მეტრის მანძილიდან ჩაწოდებულ დიდი ზომის ბურთს	
წვრილი მოტორიკა	
უფროსის დახმარებით იკრავს ფეხსაცმლის თასმას	
შეუძლია მაკრატლით ქაღალდისაგან მარტივი ფიგურების გამოჭრა, აპლიკაციის გაკეთება	
აგებს მცირე ზომის მძივს ძაფზე	
თვითშეფასება	
ითვალისწინებს უფროსის რჩევას	
ინტერესით იწყებს საქმიანობას და ასრულებს ბოლომდე; შეუძლია თამაშის ინიციირება და ორგანიზება	
სიახლის მიმართ გამოხატავს ინტერესს, ცდილობს მოსინჯოს და შეასრულოს ახალი საქმიანობა, სვამს კითხვებს	
ემოციური კომპეტენცია	
ესმის ნათქვამს, ემოციებსა და ქმედებებს შორის კავშირი (მაგ. მისმა სიტყვებმა - „არ ხარ ჩემი მეგობარი“ სხვაში გამოიწვია წყენა; სხვისმა დახმარებამ - მადლიერების გრძნობა და ა.შ.)	
ასახელებს და საუბრობს მრავალფეროვან ემოციებსა და განცდებზე	
სხვადასხვა გარემოში შესაბამისად იქცევა; ითვალისწინებს მეგობრის ემოციებსა და ქცევას თამაშის დროს	

სოციალური კომპეტენცია	
ამჟღავნებს მხარდაჭერას სხვების მიმართ	
ადვილად უერთდება უკვე მიმდინარე ჯგუფურ აქტივობას; იგონებს და ახორციელებს თამაშებს, რომლებშიც ერთზე მეტი ბავშვი მონაწილეობს.	
კონფლიქტის მოსაგვარებლად იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას, ცდის სხვადასხვა გზას და საშუალებას; მოლაპარაკების დროს მსჯელობს წესების შესახებ სხვა ბავშვთან, რათა უკეთესად იქნეს გათვალისწინებული ორივე მხარის ინტერესი	
რეცეპტული ენა (აღქმითი ენა)	
ესმის მრავალფეროვანი სიტყვების მნიშვნელობა: დროისა და სივრცის აღმნიშვნელი კავშირები, ზმნიზედები, მრავალფეროვანი ზედსართავები, რუტინული ფუნქციური სიტყვები.	
იგებს აბსტრაქტულ ცნებებსა და აზრებს (მაგ. პატივისცემა, სამართლიანობა, წარმოსახვა, მოთმინება და სხვა)	
მითითებებს (ორზე მეტს) ასრულებს მოცემული თანმიმდევრობით, რომელშიც მოქმედებები შეიძლება არ უკავშირდებოდეს ერთმანეთს (მაგ. დააბრუნე წიგნი, დაუძახე დაჩის, დაიბანე ხელი)	
ექსპრესიული ენა	
ფუნქციურად და გააზრებულად იყენებს კომუნიკაციის არავერბალურ ფორმებს: ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, სხეულის ენას	
გრამატიკულად გამართულად საუბრობს გრძელი და რთული წინადადებებით	
იყენებს ენას ვარაუდისა და დასკვნების გასაკეთებლად	
პრაგმატული ენა	
ცოტა ხნით ინარჩუნებს საუბრის თემას კითხვა-პასუხის რეჟიმში (ინარჩუნებს დიალოგის 4-ზე მეტ რიგს)	
იყენებს ენას ეფექტურად სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში (შეუძლია ირიბად რაღაც მოგთხოვოს, დაგიყოლიოს, დაგარწმუნოს)	
შეუძლია ამბის მოყოლა, რომელიც შეიცავს გარემოს, პერსონაჟების, პრობლემას, მისი გადაჭრის და ქმედებათა შედეგის ელემენტებს; ამბავში არის ლოგიკური კავშირები და დასასრული	

წერისა და კითხვის წინა უნარები	
შეუძლია მარცვლები ან ბგერები გაამთლიანოს სიტყვებად (კ ა ლ ა თ ა -კალათა). შეუძლია სიტყვის შემადგენელ ბგერებად-ასოებად დაშლა (მაგ. დათვი - დ ა თ ვ ი)	
ინტერესდება და სვამს შეკითხვებს წარწერებთან დაკავშირებით	
ცნობს რამდენიმე ნაწერ სიტყვას, ცდილობს ასოების გამოყვანას შეუძლია საკუთარი სახელის დაწერა	
ცნობისმოყვარეობა და ყურადღება	
უფროსის დახმარებით ეძებს ახალ ინფორმაციას მის მიერვე გამორჩეული ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით	
მონაწილეობს ახალი აქტივობების და მიმდინარე მოვლენების განხილვაში (მაგ., რატომ მოხდა ეს?).	
ისახავს მიზანს და დამოუკიდებლად ცდილობს მის განხორციელებას წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით (მაგ. ამბობს, რომ უნდა ააშენოს ქალაქი, ეძებს ყუთებს და შესაბამის მასალებს და თანმიმდევრულად აშენებს)	
შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა	
ჩანაფიქრის განხორციელებისას იყენებს სხვადასხვა ხერხებს (მაგ. არხის გასაყვანად გადაჭრის პლასტმასის ბოთლს და აწყობს ბრტყელ ქვებს)	
ცვლის ნაცნობ მოთხრობას, გმირების ან მოქმედებების დამატებით	
მუშაობს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად პრობლემის გადაჭრაზე და გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას.	
აზროვნება და კვლევა	
შეუძლია განსაზღვროს საგნის (ობიექტის) რომელი ელემენტები (ნაწილები) იწვევს ამა თუ იმ ეფექტს (მაგ.: ძლიერი დარტყმისას ბურთი უფრო შორს მიფრინავს)	
გეგმავს ქმედებებს, ითვალისწინებს გამოცდილებას	
აკვირდება და იკვლევს ობიექტს ან მოვლენას და სვამს შეკითხვებს ახალი ან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.	

დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა	
დამოუკიდებლად იკვებება, იცვამს და იცავს ჰიგიენის წესებს; იცის, როგორ გამოიყენოს საგნები უსაფრთხოდ (მაგ. დანა, მაკრატელი)	
არჩეულ საქმიანობას დამოუკიდებლად ართმევს თავს	
მოქნილია ცვლილებების მიმართ (მაგ. თამაშის დასრულებისას და სხვა საქმიანობაზე გადართვისას)	
ვიზუალური ხელოვნება	
ინტერესდება სხვადასხვა ვიზუალური ხელოვნების ნამუშევრებით და უზიარებს შთაბეჭდილებებს სხვებს	
შეუძლია დახატოს, ან გამოძერწოს რთული სქემატური ფიგურა	
საშემსრულებლო ხელოვნება	
შეუძლია რიტმის შექმნა დასარტყამი ინსტრუმენტებით და ხმოვანების სიძლიერის შეცვლა: ჩქარა - ნელა; ხმამაღლა - ხმადაბლა	
მონაწილეობს როლურ თამაშებში, შეუძლია როლის განსახიერება, შეუძლია გაითამაშოს სხვადასხვა მოვლენა საკუთარი ცხოვრებიდან (ახლო წარსულიდან), ან - ამა თუ იმ ამბიდან	
წიგნიერება	
ითხოვს, რომ წაუკითხონ წიგნები, აქვს საყვარელი წიგნები და ზღაპრები	
ესმის ზეპირად მოთხრობილი ან წაკითხული ზღაპრების და მარტივი ამბების შინაარსი	
წიგნის გარშემო გამართული დიალოგისას შეუძლია განმარტოს, ისაუბროს საკუთარ გამოცდილებაზე, ემოციებსა და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე	
მე და ჯანსაღი ცხოვრება	
ყოველდღიურად მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში (ცეკვავს, თამაშობს სპორტულ თამაშებს)	
ასახელებს, რა სარგებლობა მოაქვს კვების ძირითად პროდუქტებს (მაგ.: რძე კარგია ძვლების ზრდისათვის)	
ერთვება საუბარში სხეულის ნაწილებისა და შინაგანი ორგანოების დანიშნულებაზე	

დედამიწა და გარემო	
ამჩნევს და სვამს შეკითხვებს ცხოველების, მცენარეების ზრდისა და ცვლილებების შესახებ, და ასევე შეუძლია მარტივად მოყვეს, თუ როგორ იზრდება და იცვლება მცენარე, ცხოველი	
იცის, რა ცვლილებები ხდება ბუნებაში წლის განმავლობაში და რა არის მათთვის დამახასიათებელი	
იცის, თუ როგორ უნდა მოუფრთხილდეს ბუნებას, გარემოს და ამას ყოველდღიურობაში ახორციელებს (მაგ.: ქუჩაში ნაგავს ურნაში ყრის, წყალს მოშვებულს არ ტოვებს, ხეს ტოტს არ სტეხს)	
სხეული და მოვლენები	
შეუძლია განსაზღვროს, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, თუ რამდენად განსხვავებული შედეგი შეიძლება მიიღოს (მაგ.: ყვითელი და წითელი ფერის შერევით ნარინჯისფერი მიიღება, ხოლო ყვითელი და ლურჯის შერევით - მწვანე).	
უზიარებს ადამიანებს საკუთარ დაკვირვებებს ფიზიკური მოვლენების შესახებ და ადარებს მათ დაკვირვებებთან.	
ადამიანი და მსოფლიო	
ვითარდება მისი წარმოდგენები იმაზე, რაც მისი სოფლისა თუ ქალაქისათვისაა დამახასიათებელი	
აქვს წარმოდგენა იმაზე, რომ წარსულში ადამიანები განსხვავებულად ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს	
მსჯელობს საკუთარ ძირითად უფლებებსა და მოვალეობებზე	
რიცხვები და სიდიდეები	
შეუძლია, დახატოს კვადრატი, სამკუთხედი; შეუძლია დანაწევრებული ფორმის ნაწილებით რაიმე ფიგურის შექმნა	
დამოუკიდებლად ითვლის 21-ამდე; ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობაში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით	
შეუძლია საგანთა რაოდენობრივი შედარება პრაქტიკულ მაგალითზე დაყრდნობით (მაგ., სწორად ხმარობს ტერმინებს ტოლია, არ არის ტოლი, მეტია, ნაკლებია)	

ადამიანები და მანქანები	
სვამს კითხვებს იმ სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებასა და საყოფაცხოვრებო მოწყობილობაზე, რომელიც ადამიანს ეხმარება ყოველდღიურ საქმიანობაში	
უფროსის დახმარებით იწყებს იმ ტექნიკური საშუალებების გაცნობას, რომლებიც მის ირგვლივაა	

დანართი 2. დაკვირვების ინსტრუმენტი მიზნების შესარჩევად

ინსტრუმენტის ამოცანაა კურიკულუმის მიზნები ხელშესახები, კონკრეტული, დაკვირვებადი და ინტერპრეტირებადი გახდეს და დაეხმაროს აღმზრდელს კონკრეტულ ჯგუფში არსებული განვითარების სურათის ტენდენციების ანალიზში და ქვემიზნების შერჩევაში.

დააკვირდით ბავშვების თამაშს, ურთიერთობებს, ქცევას და იმ კომპეტენციებს, რომლებიც ინსტრუმენტშია წარმოდგენილი. დაკვირვება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში (ღია სივრცე, შეხვედრების დრო, ცენტრებში თამაში, აქტივობებში ჩართულობა და სხვა) უნდა აწარმოოთ. ამობეჭდე ინსტრუმენტის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ჯგუფის ასაკს შეესაბამება.

შეიმუშავე **შენთვის მარტივი კოდირება**, მაგალითად:

V – ინდიკატორი ჯგუფში ხშირად ვლინდება

S – ზოგჯერ ჩანს

0 – თითქმის არ ჩანს

I – მხოლოდ ინდივიდუალურად ვლინდება

ან გამოიყენე ხაზები. მაგალითად, ერთი ხაზი / – ინდივიდუალურად ჩანს, ორი ხაზი // – ჯგუფის ნაწილში ჩანს, სამი ხაზი /// – ფართოდ ვლინდება

გადახედე ინსტრუმენტის შედეგებს, სადაც ბევრჯერ არის მონიშნული V ან S, ეს ნიშნავს რომ ჯგუფში ეს კომპეტენცია დაძლეულია, ან განვითარების პროცესშია. მონიშნე მიზნები, სადაც 0 კოდია ყველაზე მეტია - ეს გაჩვენებს იმ მიმართულებებს, რაც საჭიროებს გაძლიერებას.

გამოყავი 2 ან 3 მიზანს , რომელზეც იმუშავებს შემდეგი კვირების განმავლობაში.

აღმოჩენილი მიზნები და საჭიროებები ასახე აქტივობების, პროვოკაციების დაგეგმვაში, გარემოს ორგანიზებაში და მასალების შერჩევაში.

ჯგუფის ერთობა

1. ქვემიზანი: სოციალური ურთიერთობები და კომუნიკაცია

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
1.1.მიჯაჭვულობა და დაცულობა	• გამოხატავენ ემოციურ მიჯაჭვულობას და უსაფრთხოებას აღმზრდელთან • ემორჩილებიან მის მითითებებს	• მიმართავენ უფროსს დახმარებისთვის • იღებენ და ეძებენ ემოციურ და ქცევით მხარდაჭერას	• ავლენენ დამოუკიდებლობას • თავად იჩენენ ინიციატივას უფროსებთან ურთიერთობისას და მხარდაჭერის მოძიებისას

1.2.ურთიერთობაში ენის გამოყენება და გაგება	• იყენებენ 2-3-სიტყვიან წინადადებებს • ესმით მარტივი მიმართვები	• იყენებენ 3-5 სიტყვიან წინადადებებს • ძირითადად სწორად იგებენ სხვის ნათქვამს	• გამართული წინადადებებით გამოხატავენ აზრს • იგებენ სოციალურ მინიშნებებს (ინტონაცია, მიმიკა) • იცვლიან საუბრის ტონს და სტილს პარტნიორის დასარწმუნებლად
1.3. ურთიერთობების დამყარება და კომუნიკაცია	• უფროსის დახმარებით ამყარებენ კონტაქტს ჟესტებითა და მარტივი სიტყვებით	• იწყებენ დამოუკიდებლად ურთიერთობის დამყარებას • ამჩნევენ და რეაგირებენ ემოციურ მინიშნებებზე მაგ. რატომ არის მოწყენილი. • აცდიან ერთმანეთს საუბარს.	• დამოუკიდებლად ურთიერთობენ როგორც უფროსებთან ისე თანატოლებთან • სწავლობენ როგორ შეუერთდნენ უკვე დაწყებული თამაშს ან აქტივობას ეფექტურად
1.4. მეგობრობის ინიციატივა და თანამშრომლობა ჯგუფში	• უფროსის დახმარებით ერთვებიან ერთობლივ საქმიანობასა და ინტერაქციულ თამაშში	• იჩენენ თამაშის ინიციატივას • მეგობრობის მცდელობები ხშირია, თუმცა ხშირად ხანმოკლე • შეუძლიათ საერთო მიზანზე მუშაობა	• მეგობრობა უფრო მდგრადი ხდება და მნიშვნელობას იძენს • იყენებენ თანატოლებთან „დაყოლიების“ ელემენტებს (მაგ. დიდების მიმბაძველი ფრაზები) • თანამშრომლობისას იჩენენ უფრო დიპლომატიურ მიდგომებს
1.5. საბაზისო სოციალური ნორმების ცოდნა	• უფროსის დახმარებით მიჰყვებიან მარტივ წესებს	• ესმით და იცავენ ძირითად სოციალურ ნორმებს - მისალმება, დამშვიდობება, იციან მოკითხვა, კითხვის დასმა. • მიმართავენ დახმარების თხოვნით	• იყენებენ არაპირდაპირი მოთხოვნის ფორმებს (მაგ. შეგიძლია მომცე?) • იციან გაზიარება, თხოვნის ფორმულირება, მეგობრის თამაშში ჩართვა • მონაწილეობენ წესების შემუშავებაში

2. მიზანი: სოციალური თამაში

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-7 წელი
2.1.პარალელ-ური თამაში	• თამაშობენ ერთ სივრცეში, მაგრამ დამოუკიდებლად, პარალელურად, თუ-მცა ინტერესდებიან ერთმანეთით	(შენიშვნა: ამ ასაკში პარალელური თამაში ეტაპობრივად გადაიზ-რდება ასოციაციურში)	(შენიშვნა: ამ ასაკში ნაკლე-ბად აქტუალურია, თამაშები თანამშრომლურია)
2.2. ასოციაცი-ური თამაში	• უფროსის დახმა-რებით ერთმანეთს ესაუბრებიან, ცვლიან სათამაშოებს • ერთმანეთს ჰბაძავენ, იმეორებენ ქმედე-ბებს, სიტყვებსა და ჟესტებს	• 3 წლიდან იწყებენ მცირე კომუნიკა-ციას • უზიარებენ სათამა-შოებს • იჩენენ ინტერესს ერთმანეთის თა-მაშის მიმართ	• არ არის დომინანტური ფორმა, თუმცა გარ-კვეულ სიტუაციებში ვლინდება როგორც კოოპერაციული თამაშის გარდამავალი ფორმა
2.3. კოოპერაცი-ული თამაში	• უფროსის დახმარე-ბით ჩნდება კოოპე-რაციული თამაშის ელემენტები • თამაში მოკლეა და მარტივი სცენარებით მიმდინარეობს	• იწყებენ შეთანხმე-ბულ მოქმედებას თამაშის საერთო მიზნის მისაღწე-ვად • ინარჩუნებენ ინტე-რაქციას ხანმოკლე დროით • 4-წლიდან ავი-თარებენ კოორ-დინირებულ და თანამშრომლურ ქმედებებს • ინაწილებენ როლებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის სუ-რვილებს • იწყებენ შეთა-ნხმებებს, მიდიან კომპრომისზე • იგონებენ ახალ სცენარებს. • მუშაობენ ჯგუფურ პროექტებზე, მა-გალითად ნახატი, კონსტრუქცია.	• როლური თამაშები რთულდება და ხდება კომპლექსური • თამაშში კომპრომისე-ბისა და კონფლიქტის გადაჭრის ,,დიპლომა-ტიურ'' , თანამშრომლო-ბით გზებს იყენებენ. • თამაშის დროს უკეთ აკონტროლებენ ემოციე-ბსა და იმპულსებს • თამაშისას მიჰყვებიან წესებს • თამაშობენ ჯგუფურ სამაგიდო თამაშებს

2.4. სიმბოლური თამაში	• იმიტირებენ მარტივ ყოველდღიურ ქმედებებს (დალევა, ჭამა, თოჯინასთვის საბანის აფარება). • ახასიათებთ განმეორებადი მოქმედებები ერთსა და იმავე სცენარში. • იწყებენ როლების მინიჭებას (მაგ. თვითონ არის “დედა”, თოჯინა — “ბავშვი”) • იყენებენ ერთ საგანს მეორის ნაცვლად (მაგ. კოვზს ტელეფონად).	• ქმნიან თამაშის სცენარებს • ცვლიან ხმას ან ინტონაციას როლის მიხედვით • იყენებენ სხვადასხვა საგნებს სიმბოლურად • თამაშობენ სხვა ბავშვებთან ერთად და როლებს ინაწილებენ • შეუძლიათ რთული სცენარის განვითარება	• ქმნიან რთულ და ხანგრძლივ თამაშის სცენარებს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღე • ემოციებსა და იდეებს სიმბოლურად გამოხატავენ როლური თამაშით, ნახატით ან იმიტაციით. მაგ. ექიმობანას თამაშისას ამშვიდებს თოჯინას • აგებენ თამაშს წარსულის ან წარმოსახვით სამყაროზე (მაგ. მოგზაურობა კოსმოსში, მეფე და რაინდები). • როლებში ერთვებიან შეთანხმებით და ჯგუფურად ავითარებენ სიუჟეტს • შემოქმედებითად იყენებენ მრავალფუნქციურ და სიმბოლურ საგნებს

3. მიზანი: თვითცნობიერება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-7 წელი
3.1.საკუთარი თავის რწმენა	• ავლენენ ავტონომიურობის პირველ ნიშნებს. • ცდილობენ, დამოუკიდებლად იმოქმედონ • აკეთებენ მარტივ არჩევანს	• მგრძნობიარენი არიან იმასთან მიმართებით, რას ფიქრობენ სხვები მათზე • ხედავენ საკუთარ შესაძლებლობებს, თუმცა ზოგჯერ იმედგაცრუებულები არიან როდესაც შედეგს ვერ იღებენ	• უფრო მკაფიოდ აღიქვამენ საკუთარ თავს. როგორც განსხვავებულ ინდივიდს • იწყებენ შეცდომების აღიარებას • სწავლობენ საკუთარი ძალისხმევის მნიშვნელობას
3.2. ემოციების ცოდნა	• ემოციების ამოცნობაში სჭირდებათ უფროსის დახმარება • ცნობენ მარტივ ემოციებს: სიხარული, გაბრაზება, შიში.	• უკეთ აცნობიერებენ საკუთარ ემოციებს • იწყებენ ემოციების დასახელებასა და ახსნას • იაზრებენ რთულ ემოციებს, როგორიცაა სიამაყე ან დანაშაულის გრძნობა • სწავლობენ საკუთრ ქმედებებსა და ქცევებზე დაფიქრებას • იწყებენ გაგებას, რომ მრავალფეროვანი გრძნობები ბუნებრივია და მართვა -შესაძლებელი	• ცნობენ უფრო კომპლექსურ ემოციებს როგორიცაა უხერხულობა ან დაბნეულობა • შეუძლიათ საკუთარი ქცევების გააზრება • აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა გრძნობა ბუნებრივია და მართვა შესაძლებელი
3.3. ემოციების გამოხატვა	• ემოციებს ქცევებით გამოხატავენ	• 4 წლიდან იწყებენ რთული ემოციების სახელდებას • სწავლობენ ახსნას, რას და რატომ გრძნობენ	• აქვთ მდიდარი ემოციური ლექსიკონი • შეუძლიათ დაასახელონ, და განმარტონ რთული ემოციები

4. მიზანი: სოციალური ცნობიერება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-7 წელი
4.1.სხვისი ემოციების აღქმა და გაგება	• უფროსების დახმარებით იწყებენ მარტივი, სხვისი ემოციების დანახვასა და სახელდებას.	• ბავშვები იწყებენ სხვისი ემოციების უკეთ გაგებას. • უჩნდებათ სურვილი, გაითვალისწინონ სხვების გრძნობები და საჭიროებები. • შეხსენებისას აკვირდებიან ერთმანეთის სახეებს და ესმით ემოციები.	• ესმით სხვისი ემოციები. • ითვალისწინებენ სხვების გრძნობებს და საჭიროებებს, მაგ. მეგობრის მოწყენილობის შემჩნევა თამაშის დროს და რეაგირება
4.2. განსხვავებების გაგება და პატივისცემა	• განსხვავებების გასააზრებლად სჭირდებათ უფროსის დახმარება	• ამჩნევენ განსხვავებებს, მაგრამ ჯერ შესაძლოა, არ ესმოდეთ ან ვერ დააფასონ მრავალფეროვნება • 4 წლიდან იწყებენ მრავალფეროვნების ცნების გააზრებას	• იწყებენ სხვების განსხვავებების დაფასებას და პატივისცემას.
4.3. სოციალური პასუხისმგებლობა და წესები	• იწყებენ სხვების ქცევების დაკვირვებას და ზოგადი შთაბეჭდილებების შექმნას სხვებზე. • ხშირად უგულებელყოფენ წესებს და იწყებენ უფროსის დახმარებით წესებზე დამორჩილებას	• 4 წლიდან იწყებენ სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვების დახმარების მნიშვნელობის გაგებას. • იცავენ სამართლიანობას • ამჩნევენ წესებს და იწყებენ მათი გარკვეულწილად დაცვას, კვლავ უფროსის დახმარებით.	• გამოხატავენ თანაგრძნობას, ეხმარებიან სხვებს. • აქვთ სამართლიანობის შეგრძნება. • ხშირ შემთხვევაში იცავენ წესებს და წესრიგს დამოუკიდებლად და უმნიშვნელო დახმარებით.
4.4. სხვისი პერსპექტივის გაგება	• საჭიროებს უფროსის დახმარებას, მიხვდეს, რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ	• იწყებს იმის გაგებას თუ რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ	• შეუძლიათ წარმოიდგინონ საკუთარი თავი სხვის ადგილას. უკეთ ესმის რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას ხედავს, რა იცის სხვამ

4.5. სოციალური მიზეზ-შედეგობ-რიობა	• უფროსის დახმარებით იაზრებენ ემოციებსა და ქმედებებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს	• 4 წლიდან იაზრებენ, რა გავლენა აქვს მათ ქმედებებს, ნათქვამს, ემოციებს სხვებზე.	• აცნობიერებენ საკუთარი ქმედებების, ნათქვამის, ემოციების გავლენას სხვებზე.

5. მიზანი: თვითრეგულაცია

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-7 წელი
5.1. ემოციების რეგულირება	• ხშირია ძლიერი ემოციური გამოხატვები • საჭიროებენ უფროსის აქტიურ დახმარებას ემოციების, განსაკუთრებით ბრაზისა და იმედგაცრუების რეგულირებაში	• იწყებენ ემოციებთან გამკლავებას მარტივ სიტუაციებში, თუმცა ჯერ კიდევ სჭირდებათ წახალისება და მოდელირება უფროსის მხრიდან	• ხშირად ახერხებენ ემოციების დასახელებას და რეგულაციის სტრატეგიების გამოყენებას
5.2. მოთმინება და იმპულსების კონტროლი	• ბავშვებს იქცევიან იმპულსურად. სჭირდებათ უფროსის მხარდაჭერა იმპულსების კონტროლში	• იწყებენ მოთმინების გამოვლენას განსაკუთრებით როცა მოტივაცია მაღალია ან უფროსისგან იღებენ დადებით მაგალითს	• უკეთ შეუძლიათ მოთმინებით ლოდინი და საკუთარი სურვილების და იმპულსების კონტროლი, • შეუძლიათ დაელოდონ ჯერს თამაშში
5.3. დაგეგმვის უნარი	• დაგეგმვა სპონტანურია • საჭიროებენ უფროსის დახმარებას დაგეგმვაში	• მოკლევადიან მიზნებთან მიმართებით ვლინდება დაგეგმვის უნარები • ჯერ კიდევ სპონტანურები არიან და არ არის მიზანმიმართული და თანმიმდევრული ნაბიჯები მაგალითად, თამაშის წინ შესაბამისი ნივთების და საგნების მომზადებას, ისევ საჭიროა უფროსის მინიშნებები.	• ბავშვები უკეთ იყენებენ დაგეგმვის უნარებს, განსაკუთრებით, როდესაც გარკვეული აქტივობები მოითხოვს წინასწარ გადაწყვეტილებას • შეუძლიათ მარტივი გეგმების დასახვას და მოქმედებები თანმიმდევრულია • გეგმებს ხშირად სიტყვიერად აფიქსირებენ, მაგ. “ჯერ ეს უნდა გავაკეთო, მერე ის”

6. მიზანი: კონფლიქტების მართვა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-7 წელი
6.1კონფლიქტების მართვა	• კონფლიქტურ სიტუაციებში გამოხატავენ ემოციებს (ტირილი, ხელის კვრა), იშვიათად ითხოვენ დახმარებას სიტყვიერად. საჭიროებენ უფროსის დახმარებას • ემორჩილებიან უფროსს კონფლიქტების მოგვარებაში და ასრულებენ მითითებებს, რაც კონფლიქტის კონსტრუქციულ გადაჭრაში ეხმარებათ	• ცდილობენ სიტყვიერად გამოხატონ სურვილები კონფლიქტის დროს („ეს მინდა“, „არ მომწონს“), თუმცა ხშირად არ ითვალისწინებენ სხვის პოზიციას. უფროსის დახმარებით ცდილობენ შეთანხმებას. • არჩევენ შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთ სტრატეგიას. იწყებენ არჩეული სტრატეგიის დასაბუთებულ ახსნას.	• იწყებენ პრობლემის სიტყვიერად გამოხატვას და თანამოსაუბრის მოსმენას • კონფლიქტის დროს ცდილობენ მოიფიქრონ გამოსავალი (გაცვლა, რიგის დაცვა) • შეუძლიათ გაიაზრონ რა მოყვება თითოეულ გამოსავალს შედეგად • უფროსის ჩარევა ჯერ კიდევ სჭირდებათ. ზოგჯერ დამოუკიდებლად პოულობენ გამოსავალს და ესმით სხვების გრძნობები • ცდილობენ, აირჩიონ სამართლიანი გამოსავალი
6.2. მოლაპარაკების უნარები	• ჯერ ვერ თანხმდებიან. • საკუთარ სურვილებს გამოხატავენ უშუალოდ, ჟესტით ან სიტყვებით. • მხოლოდ საკუთარ პერსპექტივაზე არიან ორიენტირებული	• იწყებენ მარტივ მოლაპარაკებას თანატოლებთან: „მოდი ესე გავადიდოთ და შენც შემოიყვან?“, “ცდილობენ შეთანხმებას უფროსის მხარდაჭერით.	• იყენებენ მიზნობრივ, მოლაპარაკების ფრაზებს შეთანხმებისთვის: „გავითვლი და ისე გადავწყვიტოთ, ვინ იქნება პირველი, „შენ დამეხმარე და მეც დაგეხმარები“. • სწავლობენ კომპრომისზე წასვლას.
6.3. ასერტულობა	• გამოხატავენ სურვილს პირდაპირ და ძლიერად, არ ითვალისწინებენ სხვების რეაქციას.	• იწყებენ საკუთარი მოსაზრებების ფორმულირებას: „მე მინდა ეს“, „არ მინდა ახლა თამაში“. უფროსის დახმარებით სწავლობენ მოსმენისა და უარის თქმის ფორმებს.	• აფიქსირებენ საკუთარ აზრს დამაჯერებლად, ცდილობენ თანატოლს სამართლიანად დაელაპარაკონ • ცდილობენ, გაითვალისწინონ თანატოლის გრძნობები და საჭიროებები საუბრისას

კვლევა - აღმოჩენა

7. მიზანი: ინტერესის გაღრმავება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
7.1. ინტერესის შენარჩუნება და კონცენტრაცია	• ინტერესით აგრძელებენ თამაშს უფროსის ვერბალური წახალისების შემდეგ	• გარკვეული თემისადმი ინტერესს 10–15 წუთით ინარჩუნებენ • უბრუნდებიან თემას	• ინარჩუნებენ ინტერესს ≥20 წუთი ან უბრუნდება თემას დღის სხვა მონაკვეთში
7.2. თემის/ ინტერესის გაგრძელება სხვადასხვა გარემოში	• იმეორებენ თამაშს იგივე ნივთით ან თემით სხვა კუთხეში ან სხვა დღეს	• თემას უბრუნდებიან სხვა სივრცეში • უკავშირებენ გარემოს ელემენტებს ან სიტუაციებს (მაგ. წინა დღეს წაკითხული ზღვის ცხოველების ამბავი მეორე დღეს გადმოაქვს საქვიშეში. მაგ. ქვიშა- სანაპირო)	• აგრძელებენ თემას ახალ კონტექსტში: ხატავენ, აგებენ, იგონებენ ახალ ვარიანტს
7.4. კითხვების დასმა, ინტერესის გაზიარება	• მოსმენილს, რაც მოსწონთ, იმეორებენ სიტყვიერად ან ჟესტით	• იწყებენ კითხვების დასმას	• გამოხატავენ სურვილს, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ან ახსნა • უზიარებენ სხვებს • ცდილობენ, ჩაუღრმავდნენ თემას

8. მიზანი: ინტერესის გამრავალფეროვნება

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
8.1. ცნობისმოყვარეობის და ინტერესის გამოხატვა	• რეაგირებენ ახალ სტიმულზე (თითს იშვერენ, უყურებენ დაჟინებით, იღიმიან, გამოხატავენ ინტერესს ან მოწონებას სიტყვებით ან კითხვით) • იმეორებენ მოქმედებას განსხვავებულ მასალაზე; • ცვლიან მცირე დეტალს (მაგ. გადააქვს, ადებს სხვაგან) • იმეორებენ უფროსის კითხვებს	• ხშირად სვამენ კითხვებს („რატომ?“ „ეს რა არის?“) ცდილობენ, გაარკვიონ მიზეზები • აკვირდებიან დეტალებს	• უკავშირებენ ახალ გამოცდილებებს წარსულს • თავად სვამენ კითხვებს და გამოთქვამენ ვარაუდებს, ცდილობენ თანატოლების ჩართვას. • პასუხობენ კითხვებზე, რომელსაც კვლევისკენ მიჰყავს – „რატომ ფიქრობ ასე?“
8.2. ახალი გამოცდილებების მიმართ ღიაობა და არჩევანი	• ეხებიან სხვადასხვა ტექსტურას,და მასალას. ექსპერიმენტირებენ • ინტერესით ერთვებიან ახალ აქტივობებში • საჭიროებენ წახალისებას არჩევანში • ამჩნევენ და რეაგირებენ გარემოში ცვლილებებზე	• თავად ირჩევენ მასალას და თამაშის ადგილს • ცდილობენ ახალი აქტივობების მოსინჯვას • ინტერესდებიან თანატოლების ინტერესებით • იჩენენ მაღალ ინტერესს სიახლეების მიმართ	• გეგმავენ და არგუმენტირებულად ირჩევენ აქტივობას, იჩენენ ინიციატივას • ინტერესდებიან სხვადასხვა სფეროთი და მრავალფეროვანი აქტივობებით (ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა) • აქტიურად ეძებენ ახალ გამოწვევებს, მაგალითად, ახალი თამაშები ან ექსპერიმენტები. • თავად იძიებენ სიახლეებს

8.3. მრავალფეროვანი თემებით დაინტერესება	• ავლენენ ინტერესს ნაცნობი აქტივობების მიმართ • ირჩევენ მათთვის კომფორტულ თემებს ან თამაშებს	• ავლენენ ინტერესს სხვადასხვა თემის მიმართ (ცხოველები, ბუნება, ტრანსპორტი) • ინტერესით ერთვებიან თემაზე მორგებულ სხვადასხვა აქტივობაში • ცვლიან თამაშის თემებს • იკვლევენ სხვადასხვა შინაარსს	• ავლენენ გამოკვეთილ ინტერესს მრავალფეროვანი თემების მიმართ; • აგროვებენ ინფორმაციას და სვამენ კითხვებს მათთვის საინტერესო თემის გარშემო (სურათები, წიგნები, საუბრები)

9. მიზანი: სენსორული კვლევა

კომპეტენცია	**2-3 წელი**	**3-5 წელი**	**5-6 წელი**
9.1. გარემოს სენსორული კვლევა (შეხება, სუნი, ხმა, ტემპერატურა)	• ინტერესით იკვლევენ მასალებს (ცომი, წყალი, ქვიშა, პლასტილინი) შეხებით, ზელით • სხვადასხვაგვარად იკვლევენ ღია მასალებს (დასხმა, შერევა)	• აკვირდებიან მიზეზშედეგობრივ კავშირებს (შერევისას ტექსტურის, ფერის შეცვლა) • აღწერენ შეგრძნებებს და აფასებენ მასალის თვისებებს	• ადარებენ და საუბრობენ განსხვავებებსა და მსგავსებებზე (სუნის ინტენსივობა, ხმის ტონალობა
9.2. ნატიფი მოტორიკის გამოყენება სენსორული აქტივობებში	• ამზადებენ მარტივ ფიგურებს ცომისგან, აწყობენ მსხვილ მძივებს • ავსებენ და ცლიან ჭურჭელს • ინტერესდებიან და აწყობენ მარტივ ასაწყობებს (კუბები, ფაზლები) • თამაშობენ თითებით ლექსებსა და სიმღერებთან ერთად	• იყენებენ პატარა ჭურჭელს კოორდინირებულად • იყენებენ მარტივ ხელსაწყოებს • აწყობენ უფრო რთულ კონსტრუქციებს (კუბებით, ფაზლებით) • მოქმედებენ მიზანმიმართულად , აუმჯობესებენ მცირე ობიექტებზე ზუსტ მოქმედებას (მაგ. ცომის საბრტყელებელი, ცომისგან პატარა ფიგურების გამოყვანა, ფაზლები)	• ქმნიან რთულ კომპოზიციებს (დეტალების თანმიმდევრული აწყობა) • თავისუფლად და მიზანმიმართულად აკონტროლებენ თითებისა და ხელების მოძრაობებს (მინიატიურული მოდელების აწყობა, პატარა ინსტრუმენტების უსაფრთხო გამოყენება) • თავისუფლად და კოორდინირებულად იყენებენ ხელსაწყოებს (მაკრატელი)

9.3. სივრცითი და მოძრაობითი კვლევა	• იმეორებენ სხეულის მოძრაობებს უფროსთან ერთად • მოძრაობენ ცხოველების ნაირად წარმოსახვით თამაშებში • სიამოვნებით გადააქვთ კალათები, ურიკები • მოძრაობით შეისწავლიან ახლო სივრცეს, თავისუფლად მოძრაობენ, გადაადგილდებიან, ადიან ჩადიან, იხედებიან - მაგ. ეზოში ბორცვზე ადის, ჩამოდის, გარშემო უვლის, გადადის გუბეზე.	• გადაადგილდებიან დაბრკოლებებს შორის (გაძრომა, გვერდის ავლა) • ატარებენ ობიექტებს ერთი ადგილიდან მეორეზე • იყენებენ სივრცულ ტერმინებს: წინ, უკან, გვერდით • ირჩევენ გადაადგილების სხვადასხვა გზას და გეგმავენ მოქმედებას (მაგ. ბილიკზე იცვლის მიმართულებას, რომ დაბრკოლებას შემოუაროს) • იყენებენ სივრცეს თამაშის, კვლევისა და დამალვისთვის (ბალანსი, მოძრაობითი თამაშები)	• იყენებენ რთულ, კოორდინირებულ მოძრაობებს რთულ დაბრკოლებებთან: გადახტომა, ბალანსირება, გადახვევა, სწრაფი სვლა და ცვლილებები მიმართულებაში • აანალიზებენ სივრცეს, იაზრებენ სივრცეს სხვებთან მიმართებაში (მაგ. ადგენენ მარშრუტს ეზოში განძის საპოვნელად; იყენებენ რუკას ან შეთანხმებულ ნიშნებს, მოძრაობენ თანაგუნდელებთან მიმართებაში) • გადაადგილდებიან რთულ მარშრუტებზე და იყენებენ სიტყვებს: "შუაში", "გასწვრივ", "პარალელურად" • აფასებენ თავიანთ პოზიციას სივრცეში და აღწერენ მოძრაობის მიმართულებებს
9.4. სიტყვიერი გამოხატვა სენსორული თამაშის და აქტივობისას	• გამოხატავენ ემოციას ან სიხარულს სენსორული აქტივობისას • მარტივი სიტყვებით ასახელებენ რასაც ეხებიან ან ხედავენ	• ცდილობენ დაასახელონ ფერი, ფორმა, მასალის თვისებები • სიტყვიერად აფასებენ ცვლილებებს („გადავღებე", „შევურიე")	• იყენებენ მრავალფეროვან ლექსიკას სენსორული გამოცდილების აღსაწერად • ადარებენ და საუბრობენ განსხვავებებსა და მსგავსებებზე • ასრულებენ სიტყვიერ მითითებებს სენსორულ კონტექსტში („მიდი იქით, სადაც წითელი ნივთია") • აღწერენ შეგრძნებებს მრავალფეროვანი ლექსიკით (მძაფრი სუნი, ხაოიანი ზედაპირი) • იკვლევენ ახალ სენსორულ შეგრძნებებს და აცნობიერებენ განსხვავებებს

10. მიზანი: სიღრმისეული/მეცნიერული კვლევა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
10.1. დაკვირვება და დახარისხება	• ამჩნევენ თვალსაჩინო ცვლილებებს, აკვირდებიან ერთი ან ორი თვისების ცვლილებას. • შეუძლიათ ნივთების მარტივი დახარისხება ფერის, ზომის ან ფორმის მიხედვით.	• ამჩნევენ თანმიმდევრობებს, შეიძლება გაა-გრძელონ მარტივი პატერნები. • ერთდროული ახარისხებენ რამდენიმე მახასიათებლით (მაგ. ფერი და ზომა).	• უფრო ღრმად აკვირდებიან პროცესებს • აღწერენ ცვლილებებს, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირებით. • ახარისხებენ თვისებრივი მახასიათებლებით (მაგ. ბეწვი, ფრენა, საცხოვრებელი გარემო).
10.2. მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და **ჰიპოთეზების გამოთქმა**	• რეაგირებენ ვიზუალურ და ფიზიკურ ცვლილებებზე (მაგ. „ვერცხლისფერი ფხვნილი წყალში აირია“).	• პასუხობენ კითხვებზე „რატომ?“ და „რა მოხდება, თუ...?“ ტიპის შეკითხვებზე. • ცდილობენ ივარაუდონ შესაძლო შედეგი მოქმედებამდე • ცდილობენ ახსნან რაც დაინახეს	• აყალიბებენ ჰიპოთეზებს, გამოთქვამენ ვარაუდებს • აკვირდებიან შედეგებს და ადარებენ მოსაზრებას რეალობას. • აფიქსირებენ საინტერესო დეტალებს/სურათებს/მონაყოლს
10.3. ცდა და ექსპერიმენტირება	• ინტერესდებიან მარტივი ექსპერიმენტებით და უფროსის მხარდაჭერით მონაწილეობენ. • ცდილობენ განმეორებით შეხებას, მასალაზე ზემოქმედებას, განთავსებას, განსხვავებული შედეგების კვლევის მიზნით (მაგ. პლასტილინს დებს სხვადასხვა ფორმაში, აწვება და აჭერს მაგიდაზე)	• აქტიურად ერთვებიან მარტივ ცდებში უფროსის ხელშეწყობით (მაგ. ტივტივებს–იძირება). • თავისთვის ხმამაღლა სვამენ კითხვებს	• დამოუკიდებლად მონაწილეობენ მარტივ ცდებში, აფიქსირებენ შედეგებს, ადარებენ ცვლადებს (მაგ. სინათლის ცვლილება, ტემპერატურის შესწავლა).

10.4. დოკუმენტირება და პრეზენტაცია	• უფროსის დახმარებით ავსებენ მარტივ ცხრილებს. • აკეთებენ მარტივ ჩანახატებს • აკეთებენ სახელდებას.	• იწყებენ ინფორმაციის შეგროვებას • მონაცემების შესაგროვებლად ავსებენ მარტივ ცხრილებს, და ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებენ უფროსის დახმარებას. • წარადგენენ თავიან აღმოჩენებს სიტყვებით ან ნახატით.	• დოკუმენტურად აფიქსირებენ შედეგს: აგროვებენ ნივთებს, ფოტოებს, აკეთებენ ჩანახატებს, ავსებენ ცხრილებს; • შედეგებს უზიარებენ სხვებს, აჩვენებენ ჯგუფს და განმარტავენ.

11. მიზანი: შექმნა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
11.1. ვიზუალური ხელოვნებით თვითგამოხატვა	• ჯღაბნიან ხაზებს, მარტივ ფიგურებს • ასახელებენ ნამუშევრებს • ხატავენ სხვადასხვა მასალით (ფურცელი, ქვიშა, თითები) • გამოხატავენ ინტერესს და დადებით ემოციებს ხელოვნების აქტივობებისას	• ირჩევენ ფერებსა და ფორმებს, რომელსაც იყენებენ ნამუშევრებში • აღწერენ თვიანთ ნამუშევრებს • იყენებენ მასალების კომბინაციას. გამოსახავენ ძირითად დეტალებს.	• ქმნიან თემატურ ნამუშევრებს • ნამუშევრები გადმოსცემს ისტორიას • მუშაობენ თემატურად • ავლენენ რთულ უნარებს - ფორმის სიზუსტე, დეტალები

11.2. მუსიკით და მოძრაობითი თვითგამოხატვა	• იმეორებენ ნაცნობ რიტმებს ხმით ან მოძრაობით - გამოხატავენ ემოციებს სხეულის მოძრაობით - იმიტირებენ სიმღერასა და ცეკვას	• ქმნიან საკუთარ რიტმებს და იგონებენ ცეკვებს • მოძრაობით გამოხატავენ ემოციებს ან ამბავს • ექსპერიმენტულად იყენებენ რიტმულ ინსტრუმენტებს	• ქმნიან რიტმებს, იგონებენ ცეკვას (მაგ. "ბენდის" თამაშში ჩართვა) • მოძრაობით გამოხატავენ ემოციებს, ამბავს, ქმნიან მოძრაობით დადგმულ სცენებს
11.3. **დრამატული/ სიმბოლური თამაში**	• განასახიერებენ ყოველდღიურ ქმედებებს (ჭამა, ძილი, დარეკვა) დრამატული და სიმბოლური თამაშის დროს • სიმბოლურად მოქმედებენ თოჯინებით ან საგნებით	• როლური თამაშისას იგონებენ პერსონაჟებს • იყენებენ ალტერნატიულ საგნებს დრამატულ თამაშში (კოვზი ტელეფონად)	• თამაშობენ სიუჟეტურ, მრავალროლიან დრამატულ თამაშებს • იგონებენ სცენარებს და ანაწილებენ როლებს; • თამაშში იყენებენ იშვიათ ან წარმოსახვით მოვლენებს
11.4. თხრობა / ნარატიული უნარები	• იაზრებენ სიტყვებითა და მოკლე წინადადებით მოსმენილს ან ნანახს • თხრობა ფრაგმენტულია	• ყვებიან მცირე ამბებს მოქმედებების თანმიმდევრობით • ცდილობენ აღწერონ პერსონაჟი ან გარემო	• თხრობა სტრუქტურულია (დასაწყისი, შუა, დასასრული) • ყვებიან თავიანთ გამოგონილ ამბებს
11.5. კონსტრუირება	• აგებენ მარტივ კონსტრუქციებს • იცავენ ელემენტარულ სიმეტრიას (მაგ. კოშკის ორივე მხარეს დგას ერთი და იგივე ფერის, ან ზომის კუბი)	• აგებენ კონსტრუქციებს მრავალფეროვანი მასალებით (მაგ. ქალაქი, ხიდი) • გამოხატავენ თავიანთ იდეებს კონსტრუირებით	• ქმნიან თემატურ, კომპლექსურ ნაგებობებს მრავალფეროვანი მასალებით • განმარტავენ და ყვებიან თავიანთი კონსტრუქციების შესახებ

12. მიზანი: პრობლემის გადაჭრა

კომპეტენცია	2-3 წელი	3-5 წელი	5-6 წელი
12.1. პრობლემის ამოცნობა და აღწერა	• ჟესტებით ან სიტყვებით მიუთითებენ პრობლემაზე („ვერ გავხსენი“, „ჩავარდა“)	• სიტყვიერად აფიქსირებენ პრობლემას („ვერ ავაწყვე“, „აღარ ჯდება“)	• ზუსტად აფასებენ პრობლემის არსს და წინაპირობას („ეს ნაწილი დიდია, არ ეტევა“)
12.2. გამოსავლის ძიება და ცდა	• იმეორებენ ქმედებას ან ითხოვენ დახმარებას	• ცვლიან მიდგომას ან იყენებენ სხვა საშუალებებს (სხვაგვარად აწყობენ, ითხოვენ ინსტრუმენტს, ან დახმარებას) • ადარებენ ორ გამოსავალს და არჩევენ უკეთესს (ეს ჯობია, უფრო გრძელია)	• გეგმავენ მოქმედებებს • აანალიზებენ სხვადასხვა გამოსავლის ეფექტურობას
12.3. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა და ანალიზი	• ამჩნევენ მარტივ შედეგებს („გადავაგდე — დავარდა“) • ამჩნევენ მხოლოდ აშკარა განსხვავებას (დიდი/[ატარა)	• იწყებენ მიზეზის ძიებას („გადმოვარდა რადგან დიდია“)	• ხსნიან მიზეზშედეგობრივ კავშირებს • წინასწარ განჭვრეტენ და განიხილავენ ვარიანტებს (არ დადგა გადმოვარდება)
12.4. რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნება პრობლემის გადაჭრაში	• იყენებენ მარტივ სივრცით ტერმინებს („შიგნით“, „ზემოთ“)	• ადარებენ ზომებს, ფორმებს ან რაოდენობებს პრობლემის გადაწყვეტისას	• ითვლიან, ადარებენ, იყენებენ სივრცით სტრატეგიებს და კანონზომიერებებს პრობლემის გადასაჭრელად

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

წინამდებარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო განახლებული სახით შემუშავდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) მიერ.

ნაშრომი შესრულდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამაში „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“, რომელიც მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შედგა.

ISBN 978-9941-8-8220-3

9 789941 882203